

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის
ინსტიტუტი

•
პროგრამა «ლოგოსი»

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში



ლოგოსი

ლოგოსი

წელიწდული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში

7



თბილისი
2021

LOGOS

The Annual of Greek and Roman Studies

7



Tbilisi
2021

სარედაქციო კოლეგია:

ვალერი ასათიანი (მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია)

ეკატერინე კობახიძე (რედაქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ნიკოლოზ ალექსიძე (თავისუფალი უნივერსიტეტი)

მარინა გიორგაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მაია მაჭავარიანი (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)

ქეთევან ნადარეიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

თამარ ოთხმეზური (კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი)

ნესტან რატიანი (შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)

მანანა ფხაკაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ანი ჩიქოვანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ნინო ჩიხლაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ეკა ჭყომიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

საორგანიზაციო ჯგუფი:

ეკატერინე კვიციანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მარიამ კალაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

რეცენზირებადი წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში „ლოგოსი“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

Editorial Board

Valeri Asatiani (Editor-in-chief, Georgian National Academy of Science)
Ekaterine Kobakhidze (Editor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University)
Nicoloz Aleksidze (Free University of Tbilisi)
Marina Giorgadze (Batumi Shota Rustaveli State University)
Maia Machavariani (Georgian National Centre of Manuscripts)
Ketevan Nadareishvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)
Tamar Otkhmezuri (Georgian National Centre of Manuscripts)
Nestan Ratiani (Shota Rustaveli Institute of Georgian Literature)
Manana Pkhakadze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)
Ani Chikovani (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)
Nino Chikhladze (Akaki Tsereteli Kutaisi State University)
Eka Tchkoizde (Iliia State University)

Administrative support:

Ekaterine Kvirkvelia (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)
Mariam Kaladze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

Logos is a peer-reviewed journal published annually by the Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University

e-mail: logos@tsu.ge

www.logos.tsu.ge

ISSN 2667-9051

© ლოგოსი, წელიწადეული, 2021

სარჩევი

სტატიები

ნათია არველაძე	
ეპითეტები ანტიკურ ეპოსსა და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ..11	
Natia Arveladze – Epithets in Ancient Epic Poetry and in the Poem 'The Knight in the Panther's Skin' by Rustaveli	46
დიმიტრიოს მანძილასი	
ბერძნული და რომაული ცივილიზაციები: ურთიერთქმედება და ინოვაცია	48
Dimitrios Mantzilas – Interaction and Innovation between Greek and Roman Civilization	78
ქეთევან ნადარეიშვილი	
აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა კონტექსტში	79
Ketevan Nadareishvili – Akaki Tsereteli’s <i>Media</i> in the Context of the Georgian Interpretations of the Argonaut Myth	95
ნანა ტონია	
დიოტიმას „სიყვარულის ფილოსოფია“ და საპფოს პოეზია	97
Nana Tonia – Diotima's “Philosophy of Love” and Sappho's Poetry	121
ანა კირია	
პირველი საწყისისადმი მიდგომის სამი პარადიგმა პლოტინის შემდგომ ნეოპლატონიზმში	122
Ana Kiria – The three Paradigms of Approaching to the First Principle in Post-Plotinian Neoplatonism	159
გიორგი ჩარბაძე	
გლადიატორული ორთაბრძოლების წარმომავლობის საკითხი	160
Giorgi Charbadze – The Origins of the Gladiatorial Combats	176
ლელა ჩოთალიშვილი	
მიკენური პანთეონი	177
Lela Chotalishvili – Mycenaean pantheon	203
ლელა ციხელაშვილი	
გრამატიკული ცვლილებების ერთი ტიპი ბარუქის წიგნის ქართულ ვერსიებში	204

Lela Tsikhelashvili – One Type of Grammatical Change in the Georgian Versions of the Book of <i>Baruch</i>	231
სალომე ჯოგლიძე	
ესქილეს “სპარსელების” ინტერპრეტაციის ძირითადი ტენდენციები თანამედროვე სცენაზე.....	232
Salome Joglidze – The main tendencies of Aeschylus's "Persians" on the modern stage	254
რეცენზიები	
ირინე დარჩია – რისმაც გორდეზიანი, „ბერძნული ცივილიზაცია“ III.....	257
თარგმანები	
ნიკოს კაზანძკისი – ღვთის გლაზა (ახალი ბერძნულიდან თარგმნა მიაა კაკაშვილმა).....	267
კონსტანტინოს კავაფისი – ლექსები (ახალი ბერძნულიდან თარგმნა მარიამ წიკლაურმა, სიტყვასიტყვითი თარგმანი მიაა კაკაშვილისა).....	289
იოანე იტალოსის ერთი ტრაქტატი (68) (ბერძნულიდან თარგმნა მაგდა მჭედლიძემ).....	301
დემოსთენეს სასამართლო ორატორია და მისი სიტყვა "ევზულიდესის წინააღმდეგ" (ქეთევან ნადარეიშვილი).....	317
მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი – ძველი რომაელი ავტორი სწავლების თანამედროვე ხედვით (ნინო ჩიხლაძე)	358
მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი – „მჭევრმეტყველების სწავლება“ (ლათინურიდან თარგმნა ნინო ჩიხლაძემ)	362
VARIA	
მანანა ფხაკაძე, თამარ ჭეიშვილი – ხალხური ლათინური ენა.....	440



სტატისტიკა

ნათია არველაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ეპითეტები ანტიკურ ეპოსსა და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

საკვანძო სიტყვები: ეპითეტი, რუსთაველი, ჰომეროსი, აპოლონიოსი, ვერგილიუსი

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის თემაა „ეპითეტი როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება (ჰომეროსი, აპოლონიოს როდოსელი, ვერგილიუსი)“, სადაც შევისწავლეთ ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში (ჰომეროსი, აპოლონიოს როდოსელი, ვერგილიუსი) წარმოდგენილი ეპითეტები, მათი გამოსახვის საშუალებები, მოვახდინეთ შესაბამისი კლასიფიკაცია და გამოვყავით ის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, რაც ანტიკური ეპოსის წარმომადგენელთა ნაშრომებში ეპითეტების თვალსაზრისით იკვეთება. აღნიშნულმა გამოიწვია ინტერესი ანტიკურ ეპიკურ პოეზიასა და ქართულ ეპიკურ ტექსტს შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებთან დაკავშირებით. საინტერესოა, თუ რა რეალობას ვხვდებით ანტიკურ ეპოსსა და ქართულ ეპოსში წარმოდგენილ ეპითეტებს შორის და რა შეიძლება ჩაითვალოს მათ შორის გავლენად და რა ჟანრობრივ თავისებურებად, მით უფრო, რომ საკითხი იშვიათად არის დამუშავებული ქართულ

სამეცნიერო ლიტერატურაში მაშინ, როცა არაერთი სხვა მსგავსება მათ შორის არის სიღრმისეულად შესწავლილი.

ჩვენი ინტერესი საკითხისადმი განაპირობა ეპითეტის თეორიის გამოყენების აუცილებლობამ ეპიკური პოეზიის ტექსტების მიმართ. აღნიშნულის შემდგომ დავინტერესდით თუ როგორ არის გამოხატული ეპითეტის მრავალფუნქციურობა ანტიკური ეპიკური პოეზიის კონკრეტულ წარმომადგენლებთან – ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის სახით, რომელთა შემოქმედებაში, ვთვლით, რომ ეპითეტი ერთ-ერთი განმსაზღვრელი მარკერია არა მხოლოდ მხატვრული ეფექტის გამოწვევის, არამედ, ზოგადად ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური სიტუაციის შექმნის თვალსაზრისით.

ჩვენი კვლევის მიზანი არ არის რუსთაველის ეპოსისა და მასში წარმოდგენილი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების თავისებურებათა შესწავლა. მოცემული კვლევა მოგვაქვს, როგორც მასალა იმის საილუსტრაციოდ, რომ ეპითეტების ანალიზზე დაყრდნობით, შესაძლებელია კვლევის წარმოება ანტიკური ეპოსისა (ჰომეროსი, აპოლონიოს როდოსელი, ვერგილიუსი) და ქართული ეპიკური პოეზიის (რუსთაველი) მსგავსება-განსხვავებების საკითხებზე, ზოგად შტრიხებში გარკვეული დასკვნების მისაღებად.

კვლევის დროს ვეყრდნობით „ვეფხისტყაოსნის“ 2009 წლის გამოცემას (რედაქტორი: ალექსი ჭინჭარაული), რადგან მივიჩნევთ, რომ აღნიშნული არის აკადემიური გამოცემა, რომელზეც იმუშავა ტექსტის დამდგენელმა კომისიამ. ტექსტს ახლავს ნოდარ ნათაძის განმარტებები, კომენტარები და ლიტერატურული გარჩევა.

ანტიკური ეპიკური პოეზიისა და ქართული ეპოსის მსგავსება-განსხვავებების საკითხზე მსჯელობას ქართული მეცნიერება ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ადრეული წლებიდან იწყებს¹. საკითხი აქტიურად განიხილება თანამედროვე რუსთველოლოგიაში. ანტიკურ და ქართულ ეპოსს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები განსაკუთრებით თვალშისაცემია რუსთაველისა და ჰომეროსის ეპიკური ნაწარმოებების ანალიზის შემთხვევაში და მათ შორის მსგავსება იკვეთება სხვადასხვა ასპექტით. თავის ნაშრომში „ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში“ ვალერი ასათიანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართული ეპიკური პოეზია ავლენს ცხად მსგავსებას ანტიკური ეპიკური პოეზიის მიმართ, თუმცა, აღნიშნული არ შეიძლება მოვიაზროთ იმგვარად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ტიპოლოგიური მსგავსება ადასტურებს ჰომეროსის შემოქმედების უშუალო ზეგავლენას აღნიშნულ ნაწარმოებზე².

თინა ყაუხჩიშვილი წერს, რომ ქართული საზოგადოება ანტიკურ ეპიკურ პოეზიას და კერძოდ, ჰომეროსის ეპოსს ადრეული ხანიდან იცნობდა (VI-VIII სს.), ამას ადასტურებს ის ქართული წყაროები, სადაც ჰომეროსისეული ლექსიკური ერთეულებია მოხსენიებული, თუმცა, ავტორი აღნიშნავს იმასაც, რომ რთული დასადგენია ქართული აუდიტორია იცნობდა ძველბერძნული ტექსტის ორიგინალს თუ მის ადაპტირებულ, „გადაკეთებულ“ ვერსიას³.

მ. ჩიქოვანის ნაშრომში ვკითხულობთ, რომ რუსთაველს ჰქონდა შეუხელებელი ინტერესი ლიტერატურული წყაროების

¹ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ნადირაძე 1958; ბაკაშვილი 1964; ჩიქოვანი 1971; ხინთიბიძე 2000; ხინთიბიძე 1986.

² (ასათიანი 1996, 305-307).

³ ყაუხჩიშვილი 1974, 124-125.

მიმართ, რამაც განაპირობა რეალობა, რომ ის კარგად იცნობდა, როგორც ქართულ, ისე ანტიკურ მწერლობას⁴.

ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის მნიშვნელოვან საერთო ინტერესს, ადრეული საუკუნეებიდან, ქრისტიანული პრინციპების დაცვა წარმოადგენდა. საყოველთაოდ შესამჩნევი იყო ქართული ეკლესიის სწრაფვა დასავლეთისკენ. IX საუკუნიდან ბიზანტიური ლიტერატურა წამყვანი გახდა სრულიად ქრისტიანული სამყაროსთვის, რასაც თავისი გავლენა, ბუნებრივია, ექნებოდა ქართულ ლიტერატურაზეც. რისმაც გორდეზიანი აკეთებს დაშვებას, რომ შესაძლოა, ქართველთა შორეულ წინაპრებს უკვე ჰქონდათ გარკვეული სახის კავშირები მედიტერანულ ერთიანობასთან⁵. კვლევები ადასტურებს, რომ IX საუკუნისთვის საქართველოში უკვე კარგად იცნობდნენ ანტიკური ლიტერატურის გარკვეული ნიმუშების ქართულ თარგმანებს. ე. ხინთიბიძე აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების ქართული მწერლობის განვითარებაში დიდი როლი აქვს ბიზანტიურ ლიტერატურას⁶.

კ. კეკელიძე წერს, რომ თუ გადავხედავთ რუსთაველის ეპოქის ისტორიულ თუ მხატვრულ ძეგლებს, ნათლად დავინახავთ ელინურ მისწრაფებებს, რაც გამოხატულია ელინური ტექსტების ციტირებით, პერსონაჟთა საკუთარი სახელებით, თუ მხატვრული ხასიათით და ა.შ.⁷

აღნიშნულმა მსგავსება-განსხვავებებმა, რომლებიც საფუძვლიანად არის დამუშავებული, გვიბიძგა საკითხის შესწავლისაკენ ეპითეტების თვალსაზრისით, რადგან მოცემული საკითხი ჯერ კიდევ შეუსწავლელია სამეცნიერო ლიტერატურაში. სა-

⁴ ჩიქოვანი 1966, 20-22.

⁵ გორდეზიანი 1988, 25-27.

⁶ Khintibidze 1996, 25-31.

⁷ კეკელიძე 1971, 128-130.

კითხის აქტუალობას აძლიერებს ისიც, რომ ეპითეტი მისი ფუნქციური დანიშნულებით ეპიკური ჟანრის ერთ-ერთი წამყვანი მახასიათებელია და აღმწერთა შორის ეპიკურ ნაწარმოებებში ყველაზე აქტიურად სწორედ ეპითეტი გვხვდება.

თავად ანტიკურ ეპიკურ პოეზიასთან მიმართებაში არსებობს მეცნიერთა არგუმენტირებული მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ ჰომეროსის გავლენა აპოლონიოსისა თუ ვერგილიუსის შემოქმედებაზე ეპითეტების დონეზე როგორც სულიერ, ისე, უსულო საგნებთან და უკვდავებთან მიმართებაშიც იგრძნობა⁸. ანტიკურ ეპიკურ პოეზიასა და რუსთაველის პოემას შორის არსებულ მიმართებებს, საკვლევ ტექსტებში გამოყენებული ეპითეტების მსგავსება-განსხვავებების შეპირისპირებით – კომპარატივისტული მეთოდით ვიკვლევთ. კომპარატივისტული ხაზი გატარებული გვაქვს ორი ძირითადი მიმართულებით: ეპითეტების სიხშირის მიხედვით – რაოდენობრივი ანალიზი და მათი შინაარსის მიხედვით – თვისობრივი ანალიზი⁹.

ეპითეტების ანალიზის საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ მსგავსება-განსხვავების სხვადასხვა ასპექტი:

ლექსიკური თვალსაზრისით გამოკვეთილი მსგავსება-განსხვავებები: საინტერესოა, თუ რას გვამღევეს ეპითეტების, როგორც ლექსიკური ერთეულების ანალიზი ანტიკური ეპოსისა და რუსთაველის ეპოსის ანალიზის შემთხვევაში. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში, ეპითეტი ცალსახად გამოყენებულია, როგორც წამყვანი მხატვრული ერთეული¹⁰. ამავეს ვაწყდებით ქართული ეპოსის საკვლევ მასა-

⁸ Richardson 1943, 2.

⁹ 1975.

¹⁰ Passakos and Raad 2009: 75.

ლაში, მაგრამ აღნიშნულს გარდა, ყველა შესწავლილ ტექსტში ეპითეტს სხვადასხვა ფუნქცია აკისრია: ახდენს მხატვრული პერსონაჟის ინდივიდუალიზებას; მკითხველში ქმნის მის წარუშლელ ხატს; ახდენს ემოციურ ინტენსიფიკაციას და ეხმარება მკითხველს სიტუაციის წინასწარგანცდაში (იხ. სქემა #1).

სქემა #1

კატორი	მხატვრული სახის საიდენტიფიკაციო ეპითეტები	ინტენსიფიკატორი ეპითეტები
ჰომეროსი	<p>ისრისმტყორცნელი/შორსმტყორცნელი (<i>Ἐκχέβλος</i>) (აპოლონი); ომში მედგარი (<i>ἄριστος</i>) (თოანტი); განთქმული/სახელგანთქმული (<i>κυδάνλιμος</i>) (იდაიოსი და ფეგევსი / მეროპი); საწუთრო მცირე (<i>μικροσθάνδιος</i>) (აქილეფსი)...</p>	<p>უსასოო (<i>ἄλαστος</i>) სევდა; მოგიზგიზე/შესაზარი/გამანადგურებელი (<i>ἀνδύλος</i>) ცეცხლი; ძალაზვიადი / მთაში გაზრდილი (<i>ὄρειστροφος</i>) ლომი; ყალბი (<i>ἐπιτορκον</i>) ფიცი; მოახლოებული (<i>πυκινός</i>) საფრთხე; მაღალი/ვრცელი (<i>εὐρύς</i>) ზეცა; უკვდავი (<i>ἀθάνατος</i>) ღმერთი...</p>
აპოლონიოს როდოსელი	<p>ისრისმტყორცნელი (<i>Ἐκχέβλος</i>) (აპოლონი); ომისმოყვარე/არესისმსგავსი (<i>ἄρειος</i>) (ზუტე); პატივცემული/სახელგანთქმული (<i>κυδιστος</i>) (კირონე); მრისხანე (<i>ὀλιός</i>) (ამიკოსი); უზადრუკები (<i>ἀτιμάζοντο</i>) (ლემნოსელი კაცები)...</p>	<p>საკვირველი (<i>θελεκτήριος</i>) სევდა; მდულარე/მწველი (<i>λιαρός</i>) ცრემლი; ძლიერი (<i>πελάριος</i>) ცეცხლი; მტკიცე (<i>πελάριος</i>) ფიცი; მძვინვარესაბედისწერო (<i>ἀάφριος</i>) საფრთხე; კაშკაშა/სხივოსანი/მოსარკული (<i>αιγλήεις</i>) ცა...</p>

ვერგილიუსი	რომელზე უკეთ, არვის შეედლო გაეპოხა ისრები შხამით (<i>quo non felicior alter ungere tela manu ferrumque armare veneno</i>) (ამიკუსი); სახელგანთქმული/გამორჩეული (<i>insignis</i>) ნავტე; გულმრისხანე (<i>superbus</i>) (ტურნუსი); ორსახიანი (<i>biformis</i>) (პაზიფეს მოდგმა)...	უზომო (<i>maximus</i>) დარდი; უძლური (<i>inanis</i>) ცრემლი; მცხუნვარე/დაუნდობელი (<i>crudelis</i>) ცეცხლი; გაუძლომელი/დამშეული (<i>impastus</i>) ლომი; საშინელი/ავისმომასწავებელი (<i>dirus</i>) საფრთხე; მაღალი/შთამბეჭდავი (<i>ingens</i>) გალავანი; დიდი/დიადი (<i>magnus</i>) ღმერთი...
რუსთაველი	მშვილდფიცხელი (კაცი); მხეცქმნილი (ავთანდილი); საომრად ატეხილი (ტარიელი); ომ-გარდახდილი (ტარიელი); ლომი (ტარიელი); საწუთრო გაცუდებულო (ტარიელი); გაქცეულები (ხატაელები)...	დაუშრობელი სახმილი; ცხელი ცრემლი; შემწველი ცეცხლი; პირგამეხებულო ვეფხი; საშინელი ფიცი, დიდი იმედი, მაღალი ციხე; მაღალი ღმერთი...

მოცემული სქემა ადასტურებს, რომ ანტიკურ ეპიკურ პოეზიასა (ჰომეროსი, აპოლონიოს როდოსელი, ვერგილიუსი) და ქართულ ეპოსში (რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“) იკვეთება თვალსაჩინო მსგავსება ლექსიკური თვალსაზრისით, რაც გამოხატულია (სემანტიკურად) იდენტური ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. წამყვანი გმირის მახასიათებელთა შორის ეპითეტების მეშვეობით გამოკვეთილია სანადირო, საბრძოლო უნარები. ინტენსიფიკატორი ეპითეტებით ხდება სევდის, ცეცხლის, ცრემლის და სხვა ცნებათა მნიშვნელობის ემოციური ინტენსიფიკაცია¹¹.

მსგავსება, ასევე, თვალსაჩინოა გმირთა საიდენტისიფიკაციო ეპითეტების თვისობრიობის თვალსაზრისით: ამგვარი ეპითეტ-

¹¹ Ink and Montgomery 1944: 229-30.

ები გმირის შეუცვლელ და განუყოფელ ელემენტს წარმოადგენს, რომელიც ინარჩუნებს პერსონაჟის საკუთარი სახელის ჩანაცვლების ფუნქციას.

იდეოლოგიური თვალსაზრისით გამოკვეთილი მსგავსება-განსხვავებები: ანტიკური ეპიკური პოეზიისა და ქართული ეპოსის საკვლევ ტექსტში დაფიქსირებული ეპითეტების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეპითეტების გამოყენების იდეოლოგიის თვალსაზრისით, მკვეთრი მსგავსება იკვეთება. კერძოდ, ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის პოემებში, მუდმივი ეპითეტები ქმნის ჯაჭვს, რომელიც თავის მხრივ მრავალგვარ ფუნქციას ასრულებს ნაწარმოებში; ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში მოცემული მუდმივი ეპითეტები აღსაწერის იმგვარი სტატიკური საიდენტიფიკაციო საშუალებაა, რომელიც არ იცვლება კონტექსტის მიხედვით¹²; მუდმივი ეპითეტი ძირითადი მხატვრული მარკერია მხატვრული სახის შექმნისა და აღქმის პროცესში, რომელიც შეიძლება ისე მიემაგროს აღსაწერს, რომ მისი განუყოფელი ნაწილი გახდეს¹³. უსულო საგანთა მხატვრულ სახესაც კი ანტიკური ეპოსის შემოქმედნი ეპითეტების საშუალებით ქმნიან. განსაკუთრებით, აღნიშნული ეხება ესთეტურ ან ინტენსიფიკატორ ეპითეტებს¹⁴. შეიძლება იქვას, რომ იდენტურ სურათს ვხვდებით რუსთაველის ეპოსში (იხ. სქემა #2). რა თქმა უნდა, მუდმივი ეპითეტები მეტწილად ზეპირსიტყვიერებისთვის არის დამახასიათებელი, თუმცა ფაქტია, რომ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსთაველის ეპოსში ანტიკური ეპოსის კვალდაკვალ.

¹² Mackie 1984, 207.

¹³ Dubinsky and Hamilton 1998, 685; Passakos and Raad 2009, 75.

¹⁴ Osborn 1935, 278-280.

სქემა #2

მუდმივი ეპითეტი	ჰომე- როსი	აპოლ- ონიოსი	ვერგი- ლიუსი	რუსთა- ველი
მაღალი/დიდი/ <i>μέγας/magnus</i> ღმერთ(ებ)ი	√	√	√	√
ომ-გარდახდილი/ომში მიმავალი/ომ- ში მედგარი/ <i>ἄριστος/ ἄρειος</i>	√		√	√
<i>πόδας ἶκνς/velox</i>	√	√	√	
მძლე/ <i>πολέμιος/potens</i>	√	√	√	√
<i>κν̄διστος/ inclutus</i>	√	√	√	
ერთგული/სანდო/ <i>κεδν̄ς/fidus</i>	√	√	√	√
წაერთგულევი				√
შმაგი/ <i>πολύαξ/acer</i>	√	√	√	√
მოლაღატე/უზნეო/ <i>ἐχέθυμος</i>	√	√		√
მუხთაღნი/ <i>λαβητήρης/ ἄλος</i>	√	√		√
როსკიპი				√

როგორც ვხედავთ, ანტიკური ეპიკური პოეზიის საკვლევ ტექსტებსა და რუსთაველის ეპოსს შორის მიმართება იკვეთება განსხვავების თვალსაზრისითაც. კერძოდ, შესწავლილი მუდმივი ეპითეტების მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ნაჩვენები მუდმივი ეპითეტები მხოლოდ წამყვანი გმირების აღმწერებია. ამგვარ ეპითეტებს რუსთაველის ეპოსში უხვად ვხვდებით: *პირ-მზე* (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 174); *ლომი* (ტარიელი) /*ასმათი*/ (რუსთ. ვეფხ. 1189); *ბრძენი* (ინდოთ მეფე) (რუსთ. ვეფხ. 6179); *მტირალი* (ნესტანი) (რუსთ. ვეფხ. 5113); *მზე* (თინათინი) (რუსთ. ვეფხ. 3633); *ლომი* (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 3653); *მხიარული* (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 2733); *ბრძენი* (ავთანდილი) /*ავთანდილი*/ (რუსთ. ვეფხ. 2613) და სხვა. კვლევის დროს არ მოვიაზრებთ ეპითეტს როგორც მხო-

ლოდ პერსონაჟის მაინდივიდუალიზებული საშუალებას, არამედ ჩვენთვის საინტერესოა მისი მრავალფეროვანი ფუნქციების აღმოჩენა და შედარება სხვადასხვა ტექსტში. ეპითეტი თავისთავად ახდენს გმირის ინდივიდუალიზებას, თუმცა ჩვენთვის საინტერესოა, თუ როგორ ახდენს ავტორი მიზნის შესრულებას ეპითეტის საშუალებით. ეპიკოსი ავტორი მეორეხარისხოვან პერსონაჟებს მუდმივი ეპითეტებით არ ახასიათებს, რაც ახდენს მთავარი პერსონაჟების კიდევ უფრო ცენტრალიზებას და მეორეხარისხოვანი პერსონაჟების მნიშვნელობის თითქმის ანულირებას. სრულიად საპირისპირო სურათს ვხვდებით ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში, სადაც ეპითეტებით აქტიურად აღიწერებიან, როგორც მთავარი, ისე მეორე ხარისხოვანი პერსონაჟები¹⁵.

სემანტიკური თვალსაზრისით გამოკვეთილი მსგავსება-განსხვავებები: საკვლევ ავტორებთან მოძიებული ეპითეტების სემანტიკური ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმართებებს შორის იკვეთება როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება. ანტიკური ეპიკური პოეზიიდან აღებულ საკვლევ ტექსტებში („ილიადა“, „ოდისეა“, „არგონავტიკა“, „ენეიდა“) ეპიკოსი ავტორები ესთეტურ განწყობას ეპითეტების მეშვეობით ქმნიან¹⁶. მაგალითად: *φαεινός* (ტურფა) (ჰომ. ოდ. XXI. 67); *καλλιπάρηος* (ტურფაღაწვება/ლამაზღაწვება) (Hom. Il. I. 143); *γλακύν* (სასურველი/საამო/ტკბილი) ძილი (Hom. Od. II. 395); *μελίφρων* (ტკბილი) ღვინო /ჰექტორი/ (Hom. Il. VI. 264); *purpureus* (ძოწისფერი) წალი (Verg. Aen. I. 337). ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ესთეტური განწყობის შექმნის წამყვან შტრიხს სწორედ ეპითეტი წარმო-

¹⁵ Brown 2003, 84.

¹⁶ Auerbach 1968, 17.

ადგენს¹⁷. ესთეტიური ეპითეტები რუსთაველის ეპოსში ისევე ხშირია, როგორც ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში: *ტურფა* კარავნი (რუსთ. ვეფხ. 1833); *უტურფეს* ბაღჩა /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1337); *უამესი* ხმა /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1338); *კეკლუცად* ნაგები სახლი (რუსთ. ვეფხ. 1601); *პირი ვარდი*, *ბროლ-ბაკმული* (ტარიელი) (რუსთ. ვეფხ. 908); *ტურფა* ქალაქი (მულღაზანზარი) /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 2409); *ტკბილი* ხმა (რუსთ. ვეფხ. 3819); *ძოწისფერი* ბაგე (ავთანდილის) (რუსთ. ვეფხ. 3530); *წითელი* იაგუნდი (რუსთ. ვეფხ. 5698); *უცხო ფერთა* ჭურჭელი (რუსთ. ვეფხ. 6146). ამავე დროს, რუსთაველთან, ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის კვალდაკვალ, ესთეტიური აღმწერებით დახასიათებულია როგორც მდედრობითი, ისე, მამრობითი თუ საშუალო სქესის წარმომადგენლები.

ეპითეტების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში და რუსთაველის ეპოსში, საგმირო კოდექსის ძირითადი პრინციპები ერთმანეთის იდენტურია. ანტიკური ეპიკური პოეზიის შესწავლილ ნიმუშებსა და რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ იკვეთება შემდეგი მიმართებები: ა) ქართველი ეპიკოსი პოემაში წარმოადგენს პატრონიმულ ეპითეტებს: *ძე ამირ-სპასალარისა* (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 157); *ამირან დარეჯანისძე* (რუსთ. ვეფხ. 6673); *ლაშქრის სპასპეტი* (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 174); *მონა* ზანგი (რუსთ. ვეფხ. 478)... მსგავს პატრონიმულ ეპითეტებს უხვად ვხვდებოდით ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში: *Πελειδης* (ენეასი); *Ατρείδης* (აგამემნონი და მენელაოსი); *Λαερτιάδης* (ოდისევსი); *Αίσονίδη* (იასონი); *Αηχιΐδης* (აპოლონ ღმერთი); *Anchisiade* (ენეასი) და სხვა. ამგვარი ეპითეტები, ერთის

¹⁷ Adorno 1997: 3-10.

მხრივ, ხაზს უსვამს გმირის წარმომავლობას და მეორეს მხრივ, მის სტატუსს საზოგადოებაში, რაც, როგორც ანტიკური ეპიკური პოეზიის, ასევე, რუსთაველის ეპოსის საგმირო კოდექსის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია; ბ) ანტიკური ეპოსის მსგავსად, „ვეფხისტყაოსანში“ გმირთა დამახასიათებელ უპირატეს ეპითეტს მათი გონებრივი/ინტელექტუალური შესაძლებლობების აღმწერი ერთეული წარმოადგენს. ეპითეტებს შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა *ბრძენი* ((ავთანდილი) /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 2613) /კაცი /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 3118) / (ტარიელი) /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 3461) / ინდოთ მეფე (რუსთ. ვეფხ. 6179)); *გონიერი* ((კაცი) (რუსთ. ვეფხ. 847)); *ჭკვიანი* ((კაცი) (რუსთ. ვეფხ. 81)). ამავე ტიპის ეპითეტებში ერთიანდება ეპითეტები *ერთგული* ((ყმანი /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 650) / შერმადინი (რუსთ. ვეფხ. 397) / ავთანდილი (რუსთ. ვეფხ. 205)); *კეთილი/უხვი* ((ფარსადანი (რუსთ. ვეფხ. 932) ფრიდონი (რუსთ. ვეფხ. 3882)). ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში, ასევე, ვხვდებით ეპითეტებს: *πολύμητις* (*გამჭრიახი/ჭკუაუხვი/ცბიერი*) (ოდისევსი); *περίφρων* (*ბრძენი*) (პენელოპე); *μητίετα* (*შორსმჭვრეტელი*) (*ზევისი*); *κεδνός* (*ჭკვიანი/ფრთხილი*) (პენელოპე); *πέπθυμαι* (*კეთილგონიერი*) (იდაიოსი); *θεόφιν μίσηταρ ἀπάλαντος* (*ბრძნულ თათბირში უსწორ-უტოლო/ბრძნულ თათბირში ღმერთების ტოლი*) (პატროკლე); *ποικιλομήτην* (*ხერხიანი/მოხერხებული*) (ოდისევსი); *δαίφρων* (*გამობრძმედილი*) (ტიფისი); *εὐφρονέων* (*ჭკვიანი/ბრძენი*) (იასონი და მედეა); *πολιφάρμακος* (*გრძნეული/წამალთა მცოდნე*) (მედეა); *πολύμητις* (*ბრძენი*) (ღმერთები); *praescius* (*მყობადის მცოდნე*) (ფებუსი) და სხვა; გ) რუსთაველის პოემაში, ანტიკური ეპოსის კვალდაკვალ, პერსონაჟთა შეურაცხმყოფელ ძირითად ეპითეტს მათი საბრძოლო უნარების სისუსტის აღმწერი

ეპითეტი წარმოადგენს, რამდენადაც საგმირო კოდექსის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია გმირის ბრძოლისუნარიანობა: *გაქცეულები* (ხატაელები) /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1777); *შემინებულნი* (ხატაელები) /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1778); *ძლეულნი* (ხატაელები) /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1778); *ჯაბანი* კაცი /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 3159); *მუხთაღნი* (ხატაელები) /ტარიელის ვაზირნი/ (რუსთ. ვეფხ. 1667)...

„ვეფხისტყაოსანში“, ანტიკური ეპიკური პოეზიის მსგავსად იკვეთება ამადონობის მოტივებზე აგებული მხატვრული სახეები, რომლის საიდენტიფიკაციო ნიშნად, ავტორი, სწორედ ეპითეტებს იყენებს. მაგალითად: *დიაცი მაგრა კლდე, ვითა ლოღია* – *დულარდუხტი* /ქაჯთა მონა/ (რუსთ. ვეფხ. 4833); *თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი, ნაკვთად კარგი, შავ-გრემანი, პირ-მსუქანი, არ პირ-ხმელი, მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი* – ფატმან ხათუნი (რუსთ. ვეფხ. 4257-60).

სემანტიკური თვალსაზრისით ვხვდებით განსხვავებულ მიმართებას, რაც შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ მაინდივიდუალიზებელ მახასიათებლად მივიჩნიოთ: თუ ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ესთეტიური შეფასების ეპითეტები გამოიყენება სულიერთა, უსულოთა და ღმერთთა მხატვრული სახეების აღსაწერად, რუსთაველის პოემაში ღმერთები არასოდეს აღიწერებიან ესთეტიური აღმწერებით. შეიძლება ვთქვათ, ანტიკურ ეპოსში სილამაზე ღმერთების მიმართაც ისე აქტიურად იყო გამოხატული, როგორც მოკვდავების მიმართ – ეპითეტების დონეზე, რუსთაველი ამგვარ დამოკიდებულებზე უარს ამბობს და ვიზუალურ მშვენიერებას ეპითეტებით მხოლოდ მოკვდავთათვის დამახასიათებელ თვისებად წარმოადგენს, რაც შეიძლება რუსთაველის ეპოსში მოცემული რელიგიური მსოფლმხედველობით ავ-

ხსნათ. რუსთაველის ღმერთები არ წარმოადგენენ ვიზუალურ ფიგურანტებს, რომლებიც შესაძლოა აღიწეროს ვიზუალური აღმწერებით¹⁸.

აღნიშნულს გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ საიდენტიფიკაციო ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ ესთეტურ აღმწერებს შორის, ავტორი უფრო ჭარბი რაოდენობით იყენებს ფერთა აღმწერ ეპითეტებს: *ლურჯი* და *მწვანე* არაბთა ტანსაცმელი (რუსთ. ვეფხ. 5955); *მწვანე* კორდი (რუსთ. ვეფხ. 6014); *ზაფრანის ფერი* ბროლი /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1401); *შავნი* წამწამნი (რუსთ. ვეფხ. 487); *უცხო ფერთა* ჭურჭელი (რუსთ. ვეფხ. 6146); *წითელი* იაგუნდი (რუსთ. ვეფხ. 5698); *ნარინჯისფერი* (ჯუბა) (რუსთ. ვეფხ. 1889); *ძოწისფერი* ბაგე (ავთანდილისა) (რუსთ. ვეფხ. 3530) და სხვა.

მუდმივი ეპითეტები. „ვეფხისტყაოსანში“ მუდმივ ეპითეტებს, რომელთაც პერსონაჟის საკუთარი სახელის ჩანაცვლების უნარი აქვთ და მათი წამყვანი საიდენტიფიკაციო საშუალებება ვხვდებით ნესტანის, თინათინის, ტარიელისა და ავთანდილის აღსაწერად. პარალელისთვის, შეიძლება გავხსენოთ ეპითეტები ანტიკური ეპოსისა და რუსთაველის პოემიდან: ჰომეროსის პოემის წამყვანი პერსონაჟი – აქილევსი ომსა თუ მშვიდობაში, მდგომი თუ მჯდომარე მუდამ ფეხმარდია და ეპითეტი მისი მხატვრული სახის წამყვანი შტრიხის ფორმირებას ახდენს¹⁹. რუსთაველის პოემაში მუდმივი ეპითეტით *ომ-გარდახდილი* დახასიათებულია ტარიელი (რუსთ. ვეფხ. 1943; რუსთ. ვეფხ. 1882...) და პერსონაჟი ომგარდახდილია მაშინაც, როცა მშვიდობა არის და მაშინაც, როცა რეალურად საბრძოლო ვითარებაში

¹⁸ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ნოზაძე 1963; გონჯილაშვილი 2009.

¹⁹ Bazzano 2006: 33-34.

იმყოფება. ამასთან, გმირი *ოშ-გარდახდილია* მის წარმოსახვაშიც, (რუსთ. ვეფხ. 1882) და თინათინის შეფასებაშიც (რუსთ. ვეფხ. 1943). ეპითეტი გმირის მხატვრული სახის წამყვანი მახასიათებელია.

მუდმივ ეპითეტს *მზე* იყენებს ავტორი პოემის წამყვანი ქალი პერსონაჟების – ნესტანისა და თინათინის აღსაწერად (რუსთ. ვეფხ. 1498; რუსთ. ვეფხ. 1595; რუსთ. ვეფხ. 1981; რუსთ. ვეფხ. 2777; რუსთ. ვეფხ. 2818). ეპითეტებს ავტორი ხშირ შემთხვევაში საკუთარი სახელის გარეშეც წარმოგვიდგენს, თუმცა მკითხველმა იცის თუ ვისი მუდმივი ეპითეტია აღნიშნული. ამგვარი ეპითეტები რუსთაველის პოემაში – ანტიკური ეპიკური პოეზიის მსგავსად – პერსონაჟის ძირითადი საიდენტიფიკაციო საშუალება ხდება. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მიმართ გამოყენებული მუდმივი ეპითეტი *ლომი* (რუსთ. ვეფხ. 2432; რუსთ. ვეფხ. 5329; რუსთ. ვეფხ. 1126; რუსთ. ვეფხ. 6073; რუსთ. ვეფხ. 5993; რუსთ. ვეფხ. 5609; რუსთ. ვეფხ. 2344...).

ღმერთის აღსაწერად, ანტიკური ეპიკური პოეზიის მსგავსად (*ἀθάνατος*), რუსთაველი იყენებს მუდმივ ეპითეტს *უკვდავი* (რუსთ. ვეფხ. 3197; რუსთ. ვეფხ. 3205...). ეპითეტი ამავე დროს ჭეშმარიტების აღმწერია და ობიექტურ რეალობას აღწერს. რუსთაველის პოემის მსოფლმხედველობა ერთი და მთლიანი – ქრისტიანულია. ანტიკური ეპოსისგან განსხვავებით ღმერთი რუსთაველის მიხედვით არის ერთი და ერთარსება²⁰.

რუსთაველის ეპოსში ვხვდებით სულიერი არსებითი სახელების მიმართ გამოყენებულ სხვა მუდმივ ეპითეტებს: *მზე* (თინათინი) /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 2818); *მნათობი* (თინათინი)

²⁰ ჩიტაური, შამანაძე 2016, 26.

(რუსთ. ვეფხ. 735); ლალი ავთანდილი (რუსთ. ვეფხ. 481); მთვარე (ნესტანი) /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1602); ლომი (ფრიდონი) /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 2432); ლომი (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 2734); ომ-გარდახდილი (ტარიელი) /ნესტანი/ (რუსთ. ვეფხ. 1943) და სხვა.

რუსთაველის ეპოსში მუდმივ ეპითეტებს ვხვდებით უსულო საგნების აღსაწერად: ცხელი ცრემლი (რუსთ. ვეფხ. 704); სისხლის ცრემლი (რუსთ. ვეფხ. 1056); შეუშრობელნი ცრემლნი /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 2536); ცხელი ცეცხლი /ასმათი/ (რუსთ. ვეფხ. 1027); მოუთმინები ცეცხლი /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 4011); ფიცხელი ომი /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 5551)...

უკვდავთა ჯგუფის მიმართ პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ გამოყენებულია მუდმივი ეპითეტები: მაღალი ღმერთი /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 3197); მოწყალე ღმერთი /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 3205); უკვდავი ღმერთი (რუსთ. ვეფხ. 3171).

კერძო საიდენტიფიკაციო ეპითეტები “ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება კერძო ეპითეტები, რომლებიც გმირთა ხასიათის საიდენტიფიკაციო შტრიხებს უსვამს ხაზს, სემანტიკურად, ფაქტობრივად, უტოლდება ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ნაჩვენებ მსგავს ეპითეტებს. ასევე, მსგავსია მათი კონტექსტუალური ანალიზიც.

ასეთი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე ეპითეტების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ეპითეტები *საწუთრომცირე* და *საწუთრო-გაცუდებული*. ეს ეპითეტები, ფაქტობრივად, ერთი შინაარსის მატარებელია და ამავე დროს, პოემის წამყვანი მამაკაცი გმირების – აქილევისა და ტარიელის მიმართ არის გამოყენებული. ჰომეროსი აქილევის აღსაწერად იყენებს კერძო ეპითეტს *საწუთრო მცირე* (*μινυθᾶδιος*) (Hom. II. I. 352). ასე მოიხ-

სენიებს აქილევსი საკუთარ თავს, როდესაც დედას შესჩივის მის უბედობას. პოემაში „ვეფხისტყაოსანი“, ტარიელის აღსაწერად გამოყენებულია ეპითეტი *საწუთრო-გაცუდებული* (რუსთ. ვეფხ. 1309).

თითქმის იდენტურია ეპითეტების კონტექსტუალური ანალიზიც. ორსავე შემთხვევაში, მამრობითი სქესის წამყვანი პერსონაჟი ეპითეტს საკუთარი თავის მიმართ – საკუთარ ბედზე საუბრისას – თავად იყენებს და ამით ახდენს მისი მდგომარეობის მიმართ სხვა პირის ემოციური დამოკიდებულების ინტენსიფიკაციას. ამავე დროს, ორსავე შემთხვევაში, ეპითეტი კერძოა და სხვა არც ერთ აღსაწერთან იგივე ეპითეტი არ გამოიყენება.

ანტიკურ ეპიკურ პოეზიასა და ქართულ ეპოსს შორის გამოკვეთილ მიმართებებს შორის არსებული მსგავსების კიდევ ერთი ნათელი მაგალითია „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ეპითეტი *მშვილდოსანი* (რუსთ. ვეფხ. 265) (ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში – შორსმმუსვრელი – *ἐκπιβόλις*). აღნიშნული, პირველივე გამოყენებისას, გმირის საიდენტიფიკაციო საშუალება ხდება, რადგან იგი აღსაწერის კერძო ეპითეტია. ლექსიკურ-გრამატიკული მარკერი პოემის მთავარი გმირის – ავთანდილის მიმართ გამოიყენება. ეპითეტს – *მშვილდოსანი/შორსმოისარი/შორსმმუსვრელი* განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში. ის გამოყენებულია, როგორც მოკვდავების (ტევკროსი (Hom. II. VIII. 279); ფილოკტეტე (Hom. II. II. 718)), ასევე უკვდავების (აპოლონი (Hom. II. I. 451)) დასახასიათებლად. ეპითეტით ანტიკური ეპოქის ეპიკოსები, ისევე, როგორც რუსთაველი, ახდენენ გმირთა იდენტიფიკაციას და, ამავე დროს, გამოყოფენ მათ განსაკუთრებით მნიშვნელოვან დადებით მახასიათებელს.

ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში, ეპითეტების მიხედვით, წამყვანი ადგილი უჭირავს გმირთა წარმოშობას. მაგალითად, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ენეასის მოქმედებებში მისი წარმოშობა(ც) თამაშობს მნიშვნელოვან როლს²¹. მართალია, რუსთაველის ეპოსში ეპითეტების თვალსაზრისით, გმირთა წარმომავლობას წამყვანი ადგილი არ უჭირავს, მაგრამ ანტიკური ეპიკურ პოეზიასთან მსგავსება მცირე ხარისხით მაინც იკვეთება პოემაში გამოყენებული ერთეული ეპითეტების სახით, რომლებიც პერსონაჟის წარმოშობას უსვამს ხაზს. ამგვარი ეპითეტებია: *სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა* (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 157); *ძე დიდებულთა დიდ-გვართა* (ავთანდილი) /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 3919).

რუსთაველის ეპოსში – ანტიკური ეპიკური პოეზიის კვალდაკვალ – გვხვდება საკმაოდ უხვი რაოდენობა კერძო საიდენტოფიკაციო ეპითეტებისა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით ახდენს პერსონაჟთა ინდივიდუალიზებას: *მეფე მებრძოლთა მზარავი* (სარიდანი) /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1225); *ულურჯესი ლილისა* – ტარიელი /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1567); *საწუთრო-გაუმწარავი* (სარიდანი) /ტარიელი/ (რუსთ. ვეფხ. 1228); *პირ-გამქუშავი* (ტარიელი) (რუსთ. ვეფხ. 801); *ლადი, კუშტი, ამაცი* (ტარიელი) (რუსთ. ვეფხ. 824); *მოსილი ვეფხის ტყავითა* (ტარიელი) (რუსთ. ვეფხ. 869)...

ესთეტიური შეფასების ეპითეტები. საკვლევ ავტორთა შემოქმედებაში გამოკვეთილ მსგავსება-განსხვავებებს შორის მსგავსების საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ესთეტიზმის იმ მკვეთრ გამოხატულებას, რაც პოემაში ეპითეტების მეშვეობით არის შექმნილი.

²¹ Saad 2017, 44.

ანტიკური ეპიკური პოემების ავტორებისთვის ვიზუალური მშვენიერება ხშირად მორალური მშვენიერების გამოხატულებაა²². მათ კვალდაკვალ, რუსთაველი აქტიურად აღწერს პერსონაჟთა გარეგნულ სილამაზეს ესთეტიური შეფასების ეპითეტებით. ამგვარი ეპითეტები რუსთაველის ეპოსში მეტაფორული ეპითეტების შემდეგ გამოყენების სიხშირის მიხედვით პირველ ადგილზეა (იხ. სქემა #3).

სქემა #3

ესთეტიური შეფასების ეპითეტები					
	წამყვანი პერსონაჟების აღსაწერად	მორეხარის-ხოვანი პერსონაჟების აღსაწერად	მოკვდავების აღსაწერად (მდედრობითი და მამრობითი სქესი)	უსულო საგნების აღსაწერად	უკვდავების აღსაწერად
ჰომეროსი	√	√	√	√	√
აპოლონიოსი	√	√	√	√	√
ვერგილიუსი	√	√	√	√	√
რუსთაველი	√		√	√	

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ესთეტიურ აღმწერებს შორის ვხვდებით იმგვარ ეპითეტს, რომელიც მათი თმის რაგვარობაზე ამახვილებს ყურადღებას და აღსაწერის ხშირ-თმიანობა თუ გრძელთმიანობა ისევე ესთეტიურად არის ხაზგასმული, რო-

²² არველაძე 2020, 131.

გორც ჰომეროსის ეპოსში. „ილიადაში“ ამგვარი ეპითეტია *ლა-მაზთმიანი* (*εὐκόμοζ*) (Hom. *Il.* II. 689); *გრძელთმიანი/კობტათმიანი* (*κομόωνταζ*) (Hom. *Il.* II. 11; Hom. *Od.* II. 119). ასევე, ვხვდებით აქველების მიმართ გამოყენებულ ეპითეტს *გრძელთმიანი* (*κομόωνταζ*) (Hom. *Od.* II. 7). ორივე აღნიშნული ეპითეტი თმის სიხშირესა და სიგრძეზე მიუთითებს და ესთეტური განწყობის შესაქმნელად გამოიყენება. რუსთაველის ეპოსში ვხვდებით ესთეტური შეფასების ეპითეტს *არ-უხშირონი* თმანი, რომელიც ავთანდილის თმის სიხშირის გამოსახატად არის გამოყენებული (რუსთ. *ვეფხ.* 488). ეპითეტი ადასტურებს, რომ თმის სიხშირე რუსთაველის ეპოსშიც ისევე იმსახურებს ესთეტური აღმწერის საშუალებით გამოხატვას, როგორც ეს ანტიკურ ეპოსში.


ფერთა აღმწერი ესთეტური შეფასების ეპითეტები. რუსთაველის ეპოსში, ესთეტური განწყობის შესაქმნელად, აქტიურად გამოიყენება ფერთა გამა, თუმცა, ანტიკური ეპიკური პოეზიისგან განსხვავებით, „ვეფხისტყაოსანში“ ფერთა გამა უფრო მრავალფეროვანია.

ანტიკურ ეპიკურ პოეზიასთან მსგავსებად შეიძლება მივიჩნიოთ რუსთაველის ეპოსში შავი ფერის ინტენსიური გამოყენება, რაც, თავის მხრივ, მკითხველში ქმნის გარკვეულ წინასწარგანწყობას სიტუაციის სავარაუდო განვითარებასთან დაკავშირებით. რუსთაველის პოემაში, შავ ფერს, ისევე, როგორც ჰომეროსთან, აპოლონიოსთან (*μέλαζ*) და ვერგილიუსთან (*niger*) ნეგატიური განწყობის შექმნის დატვირთვა აქვს და ის დახასიათებულია ეპითეტით *შავი* (რუსთ. *ვეფხ.* 1052; რუსთ. *ვეფხ.* 1585; რუსთ. *ვეფხ.* 2341; რუსთ. *ვეფხ.* 2469). ის გამოიყენება მკითხველის ემოციური დამაბვისა და ნეგატიური მოლოდინის შექმნის ინტენციონალური მნიშვნელობით. ასევე, ანტიკურ ეპიკურ პო-

ეზიასთან მსგავსებად შეიძლება ჩავთვალოთ რუსთაველის ეპოსში თეთრი ფერის აღმწერი ეპითეტების – *თეთრი* (რუსთ. *ვეფხ.* 254) / *შავ-თეთრი* (რუსთ. *ვეფხ.* 5414) ფუნქციური თავისებურება. თეთრი ფერი ოთხივე ანტიკურ ტექსტსა და რუსთაველის ეპოსში მშვიდობასა და პოზიტივთან ასოცირდება. ის გამოიყენება მოვლენების პოზიტიური განვითარების სიმბოლოდ.

„ვეფხისტყაოსანში“ დაფიქსირებული ფერთა აღმწერი ეპითეტების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსთაველის შემოქმედებაში უფრო მეტი ნათელი ფერია მოცემული, ვიდრე ანტიკური ეპოქის ეპიკოსების შემოქმედებაში. ფერთა პალიტრის მრავალფეროვნება შეიძლება დავუკავშიროთ როგორც ავტორის ოკულისტურ შესაძლებლობებს, ასევე მის მცდელობას, შემოიტანოს მეტი პოზიტიური განწყობა მოქმედების განვითარებაში ფერების საშუალებით (ფსიქოლოგიური ზემოქმედების საშუალება). აღნიშნულის გარდა, რუსთაველი იყენებს ფერთა აღმწერ ეპითეტებს: *ნარინჯისფერი ჯუბა* (რუსთ. *ვეფხ.* 1889); *მწვანე შესამოსელი /ტარიელი/* (რუსთ. *ვეფხ.* 1603); *შავნი წამწამნი* (რუსთ. *ვეფხ.* 487); *ზაფრანის ფერი ბროლი /ტარიელი/* (რუსთ. *ვეფხ.* 1401); *წითელი იაგუნდი* (რუსთ. *ვეფხ.* 5698); *ლურჯი და მწვანები* – არაბთა ტანსაცმელი (რუსთ. *ვეფხ.* 5955) და ა.შ. (იხ. სქემა #4).

სქემა #4



ჭეშმარიტების აღმწერი ეპითეტები. ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ხშირად ვხვდებით ზედსართავი სახელის ფორმით წარმოდგენილ ეპითეტებს, რომლებიც ტაქსონს წარმოადგენს. ამგვარი ეპითეტები ხაზს უსვამს აღსაწერის პროფესიას, მის მიერ დაკავებულ თანამდებობას²³. ჭეშმარიტების აღმწერი ეპითეტების უმრავლესობას, ასევე, წარმოშობისა და პატრონიმული ხასი-

²³ Nicholson 1974, 551.

ათის ეპითეტები წარმოადგენს. ასე, მაგალითად: *Ὀλύμπιος/Ὀλύμπια δῶματ* (ოლიმპიელი/ოლიმპოს მკვიდრნი (ღმერთები); *σὺβῶτης, ὄρχαμος* (მწყემსთა უფროსი) (ევმეოსი); *ἄναξ* (თემისთავი) (აგამემნონი); *ποιμὴν* (ხალხთა მეფე/მწყემსი) (ატრევსი); *Ἄργεϊος* (არგოსის მკვიდრნი) (აქაველები) და სხვა. აღნიშნული, რუსთაველის ეპოსშიც იდენტური სახით ჰპოვებს ასახვას. რუსთაველი იყენებს ჭეშმარიტების აღმწერ ისეთ კერძო ეპითეტებს, რომლებიც გმირთა წარმოშობას, ან გმირთა სტატუსს უსვამს ხაზს. აღსაწერის სტატუსისა თუ თანამდებობის გამომკვეთი ეპითეტებია: *სპასკეტი* (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 157); *ამირბარი* (ტარიელი) (რუსთ. ვეფხ. 3561). ეპითეტები მკითხველისთვის შეუცვლელ კერძო მახასიათებელს წარმოადგენს. ანტიკური ეპოსის მსგავსად, რუსთაველის პოემაში სტატუსის აღმწერი ჭეშმარიტების ეპითეტი გმირის საიდენტიფიკაციო ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა.

ანტიკური ეპოსის კვალდაკვალ, პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ გვხვდება ჭეშმარიტების აღმწერი ეპითეტი *მოკვდავი* (რუსთ. ვეფხ. 3485), რომელსაც ავტორი იყენებს მოკვდავი პერსონაჟების დასახასიათებლად. ეპითეტი კვლავ ხაზს უსვამს პოემის ხორციელი გმირების ნაკლებ შესაძლებლობებს ღმერთთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გროტესკული სახეები არიან.

რუსთაველის ეპოსში ვხვდებით სხვა ჭეშმარიტების აღმწერ ეპითეტებს: *ნაჭედი მათრახი* (რუსთ. ვეფხ. 335); *შეკაზმული* (ტარიელი) (რუსთ. ვეფხ. 2309); *უსულო, მკვდარი, ქვე-დანარცხებული* – ვეფხი (რუსთ. ვეფხ. 3434); *მტირალი, ცრემლთა მფრქვეველი* (ავთანდილი) (რუსთ. ვეფხ. 3413); *ეკლიანი ვარდი /ავთანდილი/* (რუსთ. ვეფხ. 3470) და სხვა.

მატერიალური ეპითეტები. ანტიკურ ეპოსში მატერიალურ ეპითეტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ამგვარ აღმწერ ერთეულებს არც რუსთაველი ტოვებს უყურადღებოდ. უსულო საგნებთან გამოყენებული ჭეშმარიტების აღმწერი ეპითეტებიდან „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე აქტიურად გვხვდება მატერიალური ღირებულებების აღმწერი ეპითეტები.

ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში მატერიალური ეპითეტებიდან ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებულია ეპითეტი *ოქროს* (*χρῶσεος*) და მისი სიტყვათმეთანხმება (*ოქროსთმება* (*χρυσήμιος*); *ოქროსგვირგვინოსანი* (*χρυσόθρονος*); *ბაჯაღლო ოქროს* (*crateresque auro solidi*); *ოქროსფერი* (*flaventesque*)). ისევე, როგორც ანტიკური ეპოქის ეპიკოსები, რუსთაველი ხშირად გამოკვეთს აღსაწერის ღირებულებას ეპითეტით *ოქროს*. ეპითეტი ერთდროულად ახდენს როგორც ჭეშმარიტების სახელდებას, ასევე, მატერიალური ღირებულებების გამოკვეთას. რუსთაველი მატერიალურ ღირებულებას ხშირად გამოჰყოფს ეპითეტების საშუალებით: *ოქროს*, *ოქრომჭედლისა დნობილი სამხრე* (ტარიელის) (რუსთ. ვეფხ. 3549); *ოქროს ტახტი /ფატმანი/* (რუსთ. ვეფხ. 4702); *ოქროს გობი* (რუსთ. ვეფხ. 5484) და სხვა.

ინტელექტუალური ეპითეტები. ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის საკვლევ ტექსტებსა და რუსთაველის პოემას შორის მსგავსება იკვეთება იმ ეპითეტების მიხედვით, რომლებიც პერსონაჟთა გონებრივ შესაძლებლობას გამოკვეთს. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ერთ-ერთი მთავარი თვისება, რომელიც ეპითეტით არის ხაზგასმული, მათი გონიერებაა. გმირთა გონიერება განსაზღვრავს მოქმედების შემდგომ განვითარებას და სასიკეთოდ დასრულებას. ანტიკური ეპოსის

მთავარ გმირებს ის თავისებურება გამოარჩევთ, რომ ყოველი მათგანი ღვთიურ სიბრძნეს არის ნაზიარები. მათ აქვთ განსაკუთრებული გონიერება და ასევე, განსაკუთრებული თმენის უნარი. პერსონაჟთა ინტელექტუალურ შესაძლებლობებში კი განსაკუთრებით გამორჩეულია მათი საბრძოლო და ლიდერული უნარ-ჩვევები²⁴. თუ საილუსტრაციოდ განვიხილავთ ვერგილიუსის გმირებს, მათი ინტელექტი იმდენად მაღალია, რომ ხშირად დგანან მორალური და სოციალური ვალდებულებების დილემის წინაშე და უმეტეს შემთხვევაში ამ ორიდან ისინი არჩევენ სოციალური ინტერესებისა და საზოგადო ვალდებულებების სასიკეთოდ აკეთებენ²⁵.

იდენტური მახასიათებლებითა და ეპითეტებით გამოიხატება გმირთა მხატვრული სახეები რუსთაველის შემოქმედებაში. ინტელექტუალურობის აღმწერებიდან რუსთაველის ეპოსში სამ სხვადასხვა ეპითეტს ვხვდებით: *გონიერი* (რუსთ. ვეფხ. 847); *ბრძენი* (რუსთ. ვეფხ. 2613); *ჭკუიანი* (რუსთ. ვეფხ. 3409). ეპითეტები გამოიყენება სხვადასხვა პერსონაჟის აღსაწერად. მაგალითად ტარიელიც ბრძენია (რუსთ. ვეფხ. 3461) და ავთანდილიც (რუსთ. ვეფხ. 3582) (იხ. სქემა #5)

²⁴ Ahn 2011, 14.

²⁵ MacKay 1963, 166.

სქემა #5

	გონიერი/ <i>πειθυμένος/ magnamini</i>	ბრმენი/ <i>περίφρων/ πολύβουλος/ μυτίετα/altus</i>	ჭკუიანი/ჭკვიანი/ <i>εὐφρονέων/ κεδνός</i>
ჰომეროსი	✓	✓	✓
აპოლონიოსი	✓	✓	✓
ვერგილიუსი	✓	✓	✓
რუსთაველი	✓	✓	✓

პიროვნების შემფასებელი ეპითეტები. შესწავლილი მასალა ცხადყოფს, რომ რუსთაველის პოემაში მოცემული საგმირო კოდექსი, რომელსაც წამყვანი გმირების აბსოლუტური უმრავლესობა აკმაყოფილებს, ანტიკური საგმირო კოდექსის იდენტურია, რაც, თავის მხრივ, ეპიკურ პოეზიაში ჰომეროსის მემკვიდრეობად მიიჩნევა. შესაბამისად, რუსთაველის პოემაში ვხვდებით იმგვარ ეპითეტებს პიროვნების შესაფასებლად, რომელთაც იყენებენ ანტიკური ეპიკური პოეზიის წარმომადგენლები მათი გმირების დადებითი თუ უარყოფითი თვისებების წარმოსაჩვენად.

როგორც ანტიკურ ეპოსში, ისე „ვეფხისტყაოსანში“, გმირთა ძირითადი ღირსება ეპითეტების მიხედვით მათი მეზრძოლი სულისკვეთებაა. რუსთაველის ეპოსში გამოყენებული ამგვარი ეპითეტებია: *საომარად ატეხილი* (ტარიელი) (რუსთ. ვეფხ. 1750); *მკლავ-მაგარი* (ტარიელი) (რუსთ. ვეფხ. 1754); *მეფე მეზრძოლთა მზარავი* (სარიდანნი) (რუსთ. ვეფხ. 1225)...

ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის პოემებში საგმირო კოდექსის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია პერსონაჟთა ერთგულება, რაც ნაჩვენებია ერთგულების აღმწერი ეპითეტებით (*κεδνός*). აღნიშნულის ანარეკლად შეიძლება

ჩავთვალოთ რუსთაველის პოემაში გამოყენებული ერთგულების აღმწერი ეპითეტები: *ერთგულნი* და *მისანდონი* (რუსთ. ვეფხ. 650).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნულ მახასიათებელთა შორის ქართულ პოემაში, ანტიკური ეპიკური პოეზიის მსგავსად, კვლავ ვხვდებით წარმოშობის გამომხატველ ეპითეტებს, რომლებიც მხატვრული სახის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ასევე, გმირთა ღირსებებს შორის, ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის მსგავსად, რუსთაველი ასახელებს მათ კეთილშობილებასა და სიქველეს: *უხვი* – *ნურადინ ფრიდონი /მენავეები/* (რუსთ. ვეფხ. 3834); *მოწყალე* – *როსტევან მეფე* (რუსთ. ვეფხ. 127-28).

ინტენსიფიკატორი ეპითეტები. საკვლევ ტექსტებში უხვად გვხვდება ინტენსიფიკატორი ეპითეტები, რომლებიც მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მიზნით არის გამოყენებული. რუსთაველის პოემაში ვხვდებით ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის ტექსტებში მოცეული ინტენსიფიკატორი ეპითეტების იდენტურ ეპითეტებს.

საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ომის აღსაწერად „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გამოყენებული ეპითეტი *დიდი* (რუსთ. ვეფხ. 1761). აღნიშნულის გარდა, პოემაში ვხვდებით მეტაფორულ ეპითეტს *ვიცხელი* ომი (რუსთ. ვეფხ. 5551), რომელიც ასევე, შესწავლილ ანტიკურ ტექსტებში გამოყენებული ეპითეტის იდენტურია.

ეპითეტების მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული იდეოლოგია ღმერთ(ებ)ის მიმართ ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში მოცემულის იდენტურია: ღმერთი ადამიანზე ზემდგომი ძალაა. რუსთაველი ანტიკური ეპიკური პოეზიის ავტორების მსგავსად,

ღმერთების ძალისა და მდგომარეობის ინტენსიფიკაციას ახდენს ინტენსიფიკატორი ეპითეტით *მაღალი* ღმერთი (რუსთ. ვეფხ. 3197).

მეტაფორული ეპითეტები. ანტიკურობის ანარეკლად შეიძლება ჩავთვალოთ ქართულ ეპოსში გამოყენებული მეტაფორული ეპითეტები, რომლებიც გადატანითი მნიშვნელობით არის გამოყენებული და მათი მიზანია მკითხველის აღქმაში ერთი საგნისა თუ მოვლენის მახასიათებელი დაუკავშიროს მეორე ისეთ საგანსა ან მოვლენას, რომლისთვისაც რეალურად ამგვარი რამ არ შეიძლება იყოს დამახასიათებელი. რუსთაველი, ისევე, როგორც ანტიკური ეპიკური პოეზიის წარმომადგენლები, აქტიურად მიმართავს საგანთა გაცოცხლების გზას – პერსონიფიკაციას, რაც გულისხმობს უსულო საგნებისთვის ადამიანური თვისების მინიჭებას.

ისევე, როგორც ანტიკურ პოემებში, რუსთაველის შემოქმედებაში ლექსიკური ერთეული, რომელსაც მეტაფორული ეპითეტით ავტორები ყველაზე აქტიურად ახასიათებენ, არის *სიტყვა*. პოემებში *სიტყვის* დასახასიათებლად არაერთი სხვადასხვა სემანტიკური შინაარსის მქონე ეპითეტია გამოყენებული (*δῆλιος* (სატყუარი); *μειλίχιος* (საამო/ტკბილი/რბილი/კეთილი); *ἐναίσιμος* (საბედისწერო); *ἄλιος* (მრისხანე/უკმები); *θερασλιος* (თამამი); *πυκνός* (თავაზიანი); *αἰψάλιος* (მომხიბლავი/მაცდური/მოთაფლული); *ἔσθλιος* (კეთილი)... ამასთან, აღნიშნული ეპითეტები ცხადყოფს, რომ სიტყვის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს კეთილი, ბოროტი, ავი, ოხერი განზრახვა. მათ შორის, „ვეფხისტყაოსანში“ ვხვდებით იმგვარ ეპითეტებს, რომლებიც ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში სიტყვის მიმართ გამოყენებული ეპითეტების

იდენტურია როგორც სემანტიკურად, ასევე ლექსიკურად. ასეთია, მაგალითად *ტკბილი სიტყვა* (რუსთ. ვეფხ. 1721).

რუსთაველის პოემაში სიტყვის მიმართ გამოყენებულია სხვა არაერთი მეტაფორული ეპითეტი, რომლებიც შინაარსობრივ კავშირს ავლენს ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ამავე კონცეპტის აღსაწერად გამოყენებულ ეპითეტებთან: *სამუდარი* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 1384); *ღობობიერი* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 1847); *კვლუც-სიტყვა* (რუსთ. ვეფხ. 501); *უამესი* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 993); *საკვირველი* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 1119); *ღამაზი* სიტყვები (რუსთ. ვეფხ. 1125); *გულისა გასაგმირი* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 62); *ავი* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 120); *მრავალ-ფერი* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 3505); *ოხერი* სიტყვა /ავთანდილი/ (რუსთ. ვეფხ. 3506); *ტურფა* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 5705); *ბრძნად ნაკაზმი* სიტყვა (რუსთ. ვეფხ. 6020).

ანტიკურ ეპოსში მეტაფორული ეპითეტით *ფიცხელი* განსაზღვრულია *მშვილდი*. ამავე ეპითეტს ვხვდებით მშვილდის აღსაწერად რუსთაველის ეპოსშიც (რუსთ. ვეფხ. 290). აღნიშნულის გარდა, რუსთაველი მშვილდის აღსაწერად იყენებს ეპითეტს *ბედითი* (რუსთ. ვეფხ. 63).

სხვადასხვა ჯგუფში გაერთიანებული მრავალფეროვანი ეპითეტების ანალიზი მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის საკვლევ ტექსტებსა და რუსთაველის პოემას შორის არსებულ მსგავსება-განსხვავებებზე. მიმართებები იკვეთება როგორც მსგავსებათა, ასევე, განსხვავებათა სპექტრში.

სტატის მიზანი არ იყო გვემტკიცებინა, რომ არსებობს კონკრეტული მსგავსებები ან განსხვავებები ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელის, ვერგილიუსისა და რუსთაველის პოემებს შორის.

რის. აღნიშნული საკითხი შეიძლება გახდეს შემდგომი კვლევების საგანი. გაწეული კვლევისა და ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი: ბუნებრივია, ჩატარებული კვლევა არ არის საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ რუსთაველის პოემა უშუალოდ ჰომეროსისა თუ სხვა ანტიკური ეპიკური ტექსტის გავლენით არის შექმნილი, მაგრამ გვიქმნის წარმოდგენას იმ მიმართებების შესახებ, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას რუსთაველისა და ანტიკური ეპიკური პოეზიის „ნათესაობის“ დამადასტურებელ არგუმენტად. რუსთაველის ეპოსსა და ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში („ილიადა“, „ოდისეა“, „არგონავტიკა“, „ენეიდა“) მოცემულ ეპითეტებს შორის გამოკვეთილი მსგავსებები გვაძლევს საფუძველს იმის სავარაუდოდ, რომ ქართველი ეპიკოსის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა ანტიკურმა ეპოსმა, ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის ავტორობით, მაგრამ აღნიშნული ჯერ კიდევ არ იძლევა დაზუსტებული დასკვნის გაკეთების საშუალებას. აქვე უნდა გამოიკვეთოს ის მომენტიც, რომ აღნიშნული მსგავსებების ნაწილი განპირობებული უნდა იყოს ჟანრობრივი სპეციფიკითა და ეპიკური ნაწარმოებების მაღალი მხატვრული სტანდარტებით, რადგანაც ეპოსი არის სწორედ ის ჟანრი, სადაც ეპითეტი ალბათ ყველაზე ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი.

ეპითეტი – ანტიკური ეპიკური პოეზიის მსგავსად – პოემაში „ვეფხისტყაოსანი“, იჭერს წამყვან ადგილს მხატვრული სახის ფორმირებაში და მეტწილად სწორედ აღნიშნული მხატვრული ხერხი წარმოადგენს პერსონაჟის ძირითად საიდენტიფიკაციო საშუალებას. ოთხივე საკვლევი ავტორი იყენებს ეპითეტს, როგორც წამყვანი სტილისტური მარკერი მხატვრული სახის ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მუდმივი ეპ-

ითეულების ჯაჭვი, რომელიც ეხმარება მკითხველს როგორც მხატვრული სახის აღქმაში, ისე ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური სიტუაციის გააზრებაში.

რუსთაველის პოემაში გამოყენებული მხატვრული ლექსიკა არა მხოლოდ ენათესავება ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში (ჰომეროსი, აპოლონიოს როდოსელი, ვერგილიუსი) ნაჩვენებ ერთეულებს, არამედ, როგ შემთხვევებში, მისი იდენტურიც კი არის. განსაკუთრებით, აღნიშნული ეხება წამყვან გმირთა კერძო ეპითეტებს.

ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის ტექსტების მსგავსად, „ვეფხისტყაოსნის“ ფიგურანტთა წამყვანი დადებითი მახასიათებელი მათი გონიერებაა, თანაც, ეს თვისება დამახასიათებელია, როგორც ქალთა, ისე, კაცთა საზოგადოებისთვის. მეორეს მხრივ, პიროვნების აღმწერი ეპითეტები, რუსთაველის ეპოსში ხაზს უსვამს საგმირო კოდექსის სწორედ იმ შტრიხებს, რაც ანტიკურ ეპოსში ეპითეტების საშუალებით არის ხაზგასმული. ამგვარი ეპითეტები განსაზღვრავს გმირის საბრძოლო უნარებს, ერთგულებას, გონიერებას და წარმოშობას. ყველა მათგანი მნიშვნელოვანი და ეპითეტების საშუალებით მკვეთრად ხაზგასმულია ანტიკურ ეპოსში. ასევე მსგავსია პიროვნების უარყოფითად შემფასებელი ეპითეტების ხასიათი, რაც ძირითადად პერსონაჟთა ბრძოლისუუნარობითაა გამოხატული.

ეპითეტების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსხვავებულია რუსთაველის დამოკიდებულება უკვდავთა მიმართ. „ვეფხისტყაოსანში“ ღმერთთა/უკვდავთა მახასიათებლებს შორის არასოდეს ვხვდებით ესთეტური შეფასების ეპითეტებს. ეს შეიძლება განიმარტოს ავტორის მსოფლმხედვე-

ლობითა და რელიგიური ფაქტორით. ეპითეტების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართველი ეპიკოსისთვის ღმერთების მახასიათებლებში ფიზიკური მშვენიერება რაიმე მნიშვნელობის მატარებელი არ არის, რაც განსხვავებულია ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის შემთხვევაში.

რუსთაველი, ანტიკური ეპიკური პოეზიის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მიმართავს პერსონაჟთა ნეგატიური დახასიათების უკიდურეს ფორმებს. ქალთა უარყოფითი მახასიათებლის აღსაწერად ის იყენებს ეპითეტებს *ბოზი*, *როსკიპი*, რაშიც ავტორი სიძვასა და მრუმობას მოიაზრებს. ჰომეროსის, აპოლონიოს როდოსელისა და ვერგილიუსის პოემებში ამგვარ დახასიათებელ ლექსიკურ ერთეულს არ ვხვდებით, მიუხედავად იმისა, რომ ქალთა ერთგულება მათთვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ბიბლიოგრაფია:

Adorno, Theodor. 1997. *Aesthetic Theory*. London: Continuum.

Ahn, Mark. 2011. *Is the “Aeneid” Relevant to Modern Leadership?* Thesis. Wellington: Victoria University of Wellington

არველაძე, ნათია. 2020. ეპითეტი როგორც მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება (ჰომეროსი, აპოლონიოს როდოსელი, ვერგილიუსი). დისერტაცია. ქუთაისი. ხელნაწერის უფლებით.

ასათიანი, ვალერი. 1996. ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Auerbach, Erich. 1968. *Mimesis*. Beograd: Nolit.

ბაკაშვილი, ვახტანგ. 1964. ჰომეროსი ძველ ქართულ მწერლობაში. ძველი ქართული მწერლობის საკითხები. ტ. 2. თბილისი.

Bazzano, Manu. 2006. The Hero as a Human Being: An Adlerian Reading of Achilles. Adlerian Year Book, ed. Heinz L. Ansbacher R. R. Chippenham: Rowe.

ზარამიძე, ალექსანდრე. 1952. რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ზარამიძე, ალექსანდრე. 1975. შოთა რუსთაველი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Brown, Paul. 2003. The Pragmatics of Direct Address in the “Iliad”: a Study in Linguistic Politeness. Dissertation. Ohio: Ohio State University.

გონჯილაშვილი, ნანა. 2009. „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სიმბოლიკის ერთი ასპექტი (ნესტანისა და თინათინის სახეთა მიმართებით). რუსთველოლოგია. N5. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

გორდუზიანი, რისმაგ. 1988. ბერძნული ცივილიზაცია. ნაკვეთი I. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.

Dubinsky, Stanley and Robert Hamilton. 1998. Epithets as Antilogophoric Pronouns.

Homer. 1927. The Odyssey. With an English translation by Murray A. T. London: William Heinemann LTD. The Loeb Classical Library.

Homer. 1928. The Iliad. With an English Translation by Myrray A. T. London: William Heyneman LTD.

ვერგილიუსი. 1976. ენეიდა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

Ink, N. and Henry Montgomery. 1944. The Homeric Epithet in Contemporary Literature. The Classical Journal, vol. 39. 4. The Classical Association of the Middle West and South.

კეკელიძე, კორნელი. 1971. დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა. რუსთველოლოგიური ნარკვევები. თბილისი: მერანი.

Khintibidze, Elguja. 1996. *Georgian-Byzantine Literary Contacts*. Amsterdam: Adolf M. Hakkert Publishing.

MacKay, Louise. 1963. *Hero and Theme in the “Aeneid”*. Transactions and Proceedings of the American Philological Association. Vol. 94. The Johns Hopkins University Press.

Mackie, Christopher. 1984. *Speech and Narrative: Characterisation Techniques in the “Aeneid”*. Dissertation. Scotland: University of Glasgow.

Nicholson, Dan. 1974. *Orthography of Names and Epithets: Latinization of Personal Names*. Taxon. Vol. 23.4. International Association for Plant Taxonomy.

ნოზაძე, ვიქტორ. 1963. *ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება*. საფრანგეთი.

Osborn, Margaret. 1935. *A Latin Epithet*. Mnemosyne. vol. 2. 4. Brill
Passakos, Constantinos and Boele Raad. 2009. *Ancient Personality: Trait Attributions to Characters in Homer’s Iliad*. Ancient Narrative. Vol. 7.

Passakos, Constantinos. Raad, Boele. 2009. *Ancient Personality: Trait Attributions to Characters in Homer’s “Iliad”*. Ancient Narrative. Vol. 7.

Richardson, Eliot. 1943. *Greece and Rome. Virgil and the Homeric Epithet*. Vol. 12.34. Cambridge University Press.

როდოსელი, აპოლონიოს. 1975. *არგონავტიკა. თარგმნა აკაკი გელოვანმა. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება*.

რუსთაველი, შოთა. 2009. *ვეფხისტყაოსანი. რედ. ალექსი ჭინჭა-რაული. განმარტებები, კომენტარები და ლიტ. გარჩევა დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი: ანბანი*.

Saad, George. 2017. *Eternity Visible: The Tragic Cycle of history in Vergil’s “Aeneid”*. Master Thesis. Halifax: Dalhousie University.

სირაძე, რევაზ. 1952. *სახისმეტყველება. თბილისი: ნაკადული*.

ყაუხჩიშვილი, თინათინ. 1974. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში. მაცნე. ტ. 2. თბილისი: საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემია.

ჩიტაური, ნათელა. შამანაძე, შორენა. 2016. ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კონცეპტი მე-20-ე საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობაში. შრომების კრებული. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია საქართველო და თანამედროვე სამყარო – გამოწვევები, მიღწევები, პროგრესი. თბილისი: წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი.

ჩიქოვანი, მიხეილ. 1966. შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი. თბილისი: მეცნიერება.

ჩიქოვანი, მიხეილ. 1971. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ხინთიბიძე, ელგუჯა. 1986. ძველი ქართული და ბიზანტიური ისტორიოგრაფიის ურთიერთობათა შესახებ. *Georgica*. #9. იენა.

ხინთიბიძე, ელგუჯა. 2000. ძველი ბერძნული სააზროვნო სტილის ერთი ნიმუში ძველ ქართულ მწერლობაში. კრებული შოთა რუსთაველი. თბილისი.

ჰომეროსი. 2011. ოდისეა. თარგმნა ზ. კიკნაძემ, თ. ჩხენკელმა. თბილისი: პალიტრა L.

ჰომეროსი. 2013. ილიადა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

Natia Arveladze
Akaki Tsereteli Kutaisi State University, Georgia

Epithets in Ancient Epic Poetry and in the Poem 'The Knight in the Panther's Skin' by Rustaveli

Key words: *Epithet, Rustaveli, Homer, Apollonius, Virgil*

The topic of our dissertation is "Epithet as an artistic mean of expression (Homer, Apollonius, Virgil)", where we studied the epithets presented in ancient epic poetry (Homer, Apollonius, Virgil). We have made the appropriate classification of epithets. We also distinguished the common and distinctive features that are evident in terms of epithets in the works of the representatives of the ancient epic.

We got interested in functions of the epithet expressed in the works by the three representatives of ancient epic poetry – Homer, Apollonius and Virgil, in whose work we believe that the epithet is one of the defining markers not only in creating an artistic effect, but also in developing the linguistic situation.

Numerous works can be found about the relations between ancient epic poetry and the poem “The Knight in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli, which highlight the issues of similarities and differences between the mentioned texts in different directions. Our interest in the interrelationships of epithets given by the three representatives of ancient epic poetry and Georgian epic writer Shota Rustaveli was caused by the rarity of the issue in Humanitarian literature, while a number of other approaches are elaborated and studied in depth.

The urgency of the issue is also enhanced by the fact that the epithet by its functional purpose is one of the leading features of the epic genre and is the most active among the descriptors in epic works. We study the relations between ancient epic poetry and Georgian epic poem “The Knight in the Panther’s Skin” by contrasting the similarities and differences of the epithets given in the studied texts. We have drawn a comparative line in two main directions: quantitative analysis – according to the frequency of epithets and qualitative analysis – according to their content.

The following research makes an overview about the references that can be used as arguments to prove the relationships between Rustaveli and ancient epic poetry. The similarities between the epithets used in the epic poem by Rustaveli and in the ancient epic poetry ("Iliad", "Odyssey", "Argonautica", "Aeneid")

give us the reason to believe that the ancient epic poetry, authored by Homer, Apollonius and Virgil, found an important reflection in the work by the Georgian epic writer Shota Rustaveli.

დიმიტრიოს მანძილასი

პარიზ-სორბონის უნივერსიტეტი, საფრანგეთი
თრაკიის დემოკრიტეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი

ბერძნული და რომაული ცივილიზაციები: ურთიერთქმედება და ინოვაცია

საკვანძო სიტყვები: ბერძნული ცივილიზაცია; რომაული ცივილიზაცია; ურთიერთქმედება; ინოვაცია.

რომაელებისთვის ბერძნული ცივილიზაცია მრავალმხრივი შთაგონების წყარო იყო ყველა სფეროში (არქიტექტურა, ხელოვნება, ფილოსოფია, ლიტერატურა, მითოლოგია, რელიგია). ერთი მხრივ, ბერძნული კულტურის გავლენა რომაელებზე, რომლებმაც სიღრმისეულად შეისწავლეს და გაითავისეს ბერძნული განათლება, და მეორე მხრივ, პროცესი, რომელსაც „სინკრეტიზმს“ ვუწოდებთ (ბერძნ. *συγκρητισμός*) - სხვადასხვა ელემენტის შერევა, შერწყმა მათ შორის არსებული შინაგანი კავშირის საფუძველზე - ის ორი ფაქტორია, რომელთა ურთიერთქმედებით ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია შეიქმნა, ამ უკანასკნელმა კი მნიშვნელოვნად იმოქმედა დასავლური ცივილიზაციის ფორმირებაზე, რაც დღესაც გრძელდება. თავდაპირველად, ეს მუხტი სამხრეთ იტალიაში დაარსებული ბერძნული კოლონიებიდან,

ე.წ. „დიდი საბერძნეთიდან“ (Magna Graecia) წამოვიდა და ჯერ ირიბად, ეტრუსკების „გავლით“ გავრცელდა; ძვ.წ. 146 წლიდან, როცა რომმა საბერძნეთი საბოლოოდ დაიპყრო, რომი ყველა სფეროში უშუალოდ მოექცა კლასიკური და ელინისტური ბერძნული კულტურის გავლენის ქვეშ.

რომაელების პირველი კონტაქტი ბერძნულ განათლებასთან¹ ძვ.წ. III საუკუნით თარიღდება, როდესაც ტარენტუმელ ბერძენ ტყვეს, ლივიუს ანდრონიკუსს ბატონმა შვილების განსწავლა დაავალა. თავისუფლების მოპოვების შემდეგ ის პირველი კერძო მასწავლებელი იყო, რომელიც სწავლების ბერძნულ მეთოდებს იყენებდა. მოგვიანებით, როცა რომის იმპერია კიდევ უფრო გაფართოვდა და მეტი ძალაუფლება შეიძინა, რომაელებმა დაიწყეს დიად ლიტერატურაზე დაფუძნებული ახალი საგანმანათლებლო სისტემის გამოყენება. წარჩინებული რომაელებისთვის ბერძნული განათლება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე დასამკვიდრებლად. განსაზღვრება „კულტურული“ იმითივე გულისხმობდა როგორც ლათინურის, ისე ბერძნულის მცოდნეს. ამიტომ, განათლების მსურველი ახალგაზრდები სხვადასხვა საგანმანათლებლო კერისკენ (ათენი, როდოსი, პერგამონი, ალექსანდრია, ფეესოსი) მიისწრაფოდნენ, სადაც სახელმოხვეჭილი მასწავლებ-

* ნაშრომში ასახულია „ვიკიპედიის“ რამდენიმე სტატია, რომლებსაც ფართოდ ვიყენებთ ბერძნული და რომაული ცივილიზაციებისა და მათი ურთიერთქმედების სხვადასხვა ასპექტის სინთეზურად წარმოჩენის მიზნით. წინამდებარე სტატია ინფორმაციის ამგვარი დამუშავების პირველ მცდელობას წარმოადგენს. ნაშრომს ასევე ერთვის თემატური ბიბლიოგრაფია.

¹ რომაული განათლების შესახებ მეტი ინფორმაცია იხ. Gwynn 1926; Smith 1955; Barrow 1976; 1977; Shelton 1998; Too 2001; Morgan 2001, 11-24; Joyal, McDougall and Yardley 2006; Wikipedia article, “Education in Ancient Rome” [https://en.wikipedia.org/wiki/Education_in_ancient_Rome].

ლებისგან ფილოსოფიას, რიტორიკის თეორიასა და პრაქტიკას, ისტორიასა და სხვა საგნებს სწავლობდნენ. მეტიც, ისინი ეზიარებოდნენ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების, პოეტებისა და ისტორიკოსების მოძღვრებებს. მხოლოდ მუსიკასა და სპორტს არ უთმობდნენ დროს, რადგან ეს ორი სფერო თავდაპირველად ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნეოდა. ბერძნები, თავის მხრივ, რომაულ სამართალსა და პოლიტიკის თეორიას ეუფლებოდნენ.

მითოლოგია² და რელიგია³ ის სფეროებია, სადაც ორი ცივილიზაციის ურთიერთგადაკვეთა განსაკუთრებით მკაფიოა. რომაულმა კულტურამ გარკვეული სახეცვლილებით ან უცვლელად მიიღო არა მარტო ბერძნული მითები და თქმულებები, არამედ ბერძნული პანთეონის ღვთაებებიც.⁴ პირველი პროცედურა, ერთგვარი ასიმილაცია, დისკურსი, რომელიც გულისხმობს ბერძნული რელიგიური კონცეპტებისა და პრაქტიკის, ღვთაებათა სახეებისა და მითების გამოყენებას სხვა კულტურის მითოლოგიისა და რელიგიის ასახსნელად და გასაგებად, *interpretatio graeca*-ს სახელით არის ცნობილი. მაგალითად, გარკვეული მსგავსებების საფუძველზე მიწათმოქმედების ძველი-

² Humbert 1890 (24th edition 1933); Commelin 1907 (reprint 2014); Grimal 1951 (15th edition 2011); *Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae* 1981-1999; Bremmer and Horsfall 1987; Grandazzi 1997; Coenen 1992; Nardo 1998; Thibaut 1998; Salles 2003 (2013²); Belfiore 2003 (reprint 2011); Wiseman 2004; M. 2010; Wikipedia article: “Roman Mythology” [https://en.wikipedia.org/wiki/Roman_mythology].

³ Wissowa 1902 (1912²); Latte 1960; Radke 1965 (1979²); Dumézil 1966 (1974²); Massey 1979; Beard, North and Price 1998 (reprint 2015); North 2000 (reprint Cambridge, 2006); Ando 2003 (reprint 2012); Rüpke 2007 (reprint 2013); Wikipedia articles: “List of Roman Deities” [https://en.wikipedia.org/wiki/List_of_Roman_deities]; “Religion in Ancient Rome” [https://en.wikipedia.org/wiki/Religion_in_ancient_Rome].

⁴ დამატებითი დეტალებისთვის იხ. Mantzilas 2016, 1-11.

ტალიური ღმერთი სატურნუსი მის მსგავს ბერძენ კრონოსთან გაიგივდა. იგივე მოხდა ზევსისა და იუპიტერის, ჰერასა და იუნოს, ათენასა და მინერვას, არესისა და მარსის, არტემისისა და დიანას, ჰესტიასა და ვესტას, დემეტრესა და კერესის, დიონისესა და ლიბერის, პერსეფონესა და ლიბერას, ჰებესა და იუვენტას, ჰერმესისა და მერკურიუსის, პანისა და ფაუნუსის, პოსეიდონისა და ნეპტუნის, რეასა და ოსის, სელენესა და დიდი დედის (Magna Mater), ჰეფესტოსისა და ვულკანუსის შემთხვევაში - ამგვარი პარალელი საკმაოდ ბევრია.

ბევრ შემთხვევაში მოხდა ორმაგი ასიმილაცია, რომელიც ჰომოლოგიურ ეტრუსკულ და ეგვიპტურ ღვთაებებსაც შეეხო - მაგალითად, ზევსი, იუპიტერი, ტინია, ამონი და რა ერთ ღვთაებად ჩამოყალიბდა, რაც იმით აიხსნება, რომ ბერძნულ-რომაული ტრადიცია მოიცავს ინდოევროპულ, მედიტერანულ, პროელინურ, ბაბილონურ, ფინიკიურ, ხეთურ, მინოსურ, მიკენურ, ბერძნულ, რომაულ, საბინურ, ეტრუსკულ და ეგვიპტურ ელემენტებს. ეს არის მრავალრიცხოვანი ტრადიციის, თქმულებისა და მითის ნაზავი, რომლის თითოეული ელემენტი გაკვეული ეპიზოდის სახით არის წარმოდგენილი და ერთ გაურკვეველ მთლიანობაში ერთიანდება. მეორე, შედარებით ნაკლებად გავრეცელებული პროცესი გულისხმობს ღვთაების ან გამირის სახელის უცვლელად ათვისებას, თანაგვარ რომაულ თუ იტალიკურ სახესთან მისი გაიგივების გარეშე. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ აპოლონი, ნიქსი/ნიქტი (ნოქსი), ოდისევსი (ულისე), ჰერაკლე (ჰერკულესი), ლეტო (ლატონა), ასკლეპიოსი (ესკულაპიუსი), ქარონი, ქარის ღვთაებები - ანემოსი (ვენტისი) და სხვანი.

ძველი რომაული არქიტექტურა⁵ კლასიკური ბერძნული არქიტექტურის იმიტაციით შეიქმნა, თუმცა განსხვავებულად განვითარდა და ახალი არქიტექტურული სტილის სახით ჩამოყალიბდა, რომელიც ძლიერი და გამართული შენობების ასაგებად იყენებდა მანამდე უცნობ მასალებს, კერძოდ, ბეტონს და ისეთ ახალ ტექნოლოგიებს, როგორებიც იყო კამარა და გუმბათი. საუკუნეების განმავლობაში ყოფილ პროვინციებში საკმაოდ ძლიერი იყო რომაული არქიტექტურის სტილის გავლენა. სწორედ ამიტომ, დაახლოებით 1000 წლიდან დასავლეთ ევროპის არქიტექტურას „რომაულს“ უწოდებენ, რაც რომაული სტილის ძირეულ ფორმებზე მის დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.

რომის ტექნიკური დაწინაურების მიუხედავად, რისი წყალობითაც რომაული შენობა-ნაგებობები ბევრად დაშორდა მძიმე კოჭებისა და ჭერის საყრდენად სვეტების გამოყენების ბერძნულ კონცეფციას, საჯარო დანიშნულების შენობების აგებისას რომაელები ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ კლასიკური ორდერის გამოყენების ტრადიცია, თუნდაც დეკორაციის ფუნქციით. თუმცა, ბერძნული ესთეტიკის პრინციპებს მკაცრად არ იცავდნენ და ორდერებს საკმაოდ თავისუფლად ეპყრობოდნენ.

ინოვაციები ძვ.წ. III-II საუკუნეებში დაიწყო, როცა რომაელებმა შექმნეს ბეტონი, რომელსაც იყენებდნენ ქვასთან ან აგურთან კომბინაციაში ან მათ ნაცვლად. ამას მოჰყვა ბევრად უფრო გაბედული არქიტექტურული სიახლეები - შენობები, რომელთა

⁵ Brown 1961 (reprint 1990); MacDonald 1965 (5th edition 1997); Robertson 1969 (1980²; reprint 2004); Ward-Perkins 1974 (reprint Milano 2003); Sear 1982 (reprint 2014); Blagg 1983 (reprint 2006); Benevolo 1993; Thorpe 1995 (reprint with amendments 2001); Fürst and Grundmann 1998; Olsen 2006; Wikipedia article: “Ancient Roman Architecture”

[https://en.wikipedia.org/wiki/Ancient_Roman_architecture].

კამარები და გუმბათები დიდი ზომის სვეტებს ეყრდნობოდა. ბეტონის გამოყენებამ რომაელებს მზიდი კედლის წინ დეკორატიული კოლონადის აგების საშუალება მისცა, მცირე ზომის შენობებში კი იატაკის უჯრედებად დაყოფის საჭიროება ჩაანაცვლა და სივრცის დაგეგმვაში მეტი თავისუფლება შეიტანა.

ქალაქებში მოსახლეობის სიმჭიდროვემ და სიმდიდრემ რომაელებს ახალი არქიტექტურული გადაწყვეტილებებისკენ უბიძგა. სამშენებლო მასალების ცოდნითა და თაღებისა და კამარების გამოყენებით მათ უპრეცედენტო წარმატებას მიაღწიეს სამოქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებაში და უაღრესად შთამბეჭდავი შენობა-ნაგებობები შექმნეს. რომაული არქიტექტურის ტიპური ნიმუშებია: აკვედუკები, აბანოები, ბაზილიკები, ქალაქების კედლები და, რა თქმა უნდა, პანთეონი და კოლიზეუმი.

ტრადიციული შეხედულების მიხედვით, ძველი რომაული ხელოვნების არსებითი ნიშანია ბერძნული ნიმუშების სესხება ან იმიტაცია (კოპირება). თუმცა, ბოლოდროინდელი კვლევები რომაულ ხელოვნებას წარმოგვიდგენს, როგორც უაღრესად კრეატიულ ნაზავს, რომელიც მეტწილად ბერძნული მოდელებით საზრდოობს, თუმცა მასში ასევე აისახება ეტრუსკული, ადგილობრივი იტალიკური და ეგვიპტური ვიზუალური კულტურაც კი. რომაული ხელოვნების განმსაზღვრელი ნიშნებია სტილისტური ეკლექტიზმი და პრაქტიკულობა.

პლინიუსის თანახმად, საბერძნეთში მაღალ დონეზე იყო განვითარებული ხელოვნების ყველა სახე⁶ – სკულპტურა, პეიზაჟი,

⁶ Wickhoff, *Anti and Anti* 1912 (1947²); Picard 1962; Strong, Toynbee and Ling 1976 (1995²); Heinitze 1981; Henig 1983 (reprint 2006); Turner 2002; D’Ambra 2004; Stewart 2004 (reprint Cambridge 2010); Kleiner 2007 (2010²); Siebler and

პორტრეტი, ხოლო ქანრული მხატვრობა, ზოგ შემთხვევაში, რომზე დაწინაურებულებს კი იყო. იმის მიუხედავად, რომ ბერძნული კედლის მხატვრობა და პორტრეტული მხატვრობა ნაკლებად არის შემორჩენილი, ქანდაკება და ვაზური ფერწერა სრულ შთაბეჭდილებას გვიქმნის ბერძნული ხელოვნების სიდიადეზე. რომაელებმა ვერ შესძლეს ამ სიმაღლეების გადალახვა ვერც ფორმათა დახვეწილობით და ვერც შესრულებით. რომაელი ხელოვნების ბერძნული წინამორბედები ლეგენდარულები იყვნენ. ძვ.წ. V ს-ის შუა წლებში საბერძნეთში მოღვაწეობდნენ კედლის მხატვრობით სახელგანთქმული პოლიგნოტოსი და შუქრდილის (chiaroscuro) ტექნიკის შემქმნელი აპოლოდოროსი. პირველ რეალისტ ფერმწერებად მიიჩნევენ ძევქსისა და პარასიუსს, რომლებიც გადმოცემის თანახმად, ერთმანეთს გაეჯიბრნენ საკუთრი ნიჭისა და ოსტატობის გამოვლენაში - სწორედ მათ სახელებს უკავშირდება უადრესი ცნობები თვალის მოტყუების (Trompe-l'œil) ტექნიკის გამოყენების შესახებ. ქანდაკების უბადლო ოსტატები იყვნენ სკოპასი, პრაქსიტელესი, ფიდიასი და ლისიპოსი. რომაელ ხელოვანებს კარგად მიუწვდებოდათ ხელი ბერძნულ ხელოვნებაზე და ადვილად შეეძლოთ მისი იმიტირება: ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ იმპერიაში, ბერძნული კულტურული მემკვიდრეობა კი რომაულ ხელოვნებაში წიგნებისა და სწავლების საშუალებით აღწევდა.

რომაელთა მიერ ბერძნული ხელოვნების ნიმუშების ფართომასშტაბიანი იმიტირება (კოპირება) მიუთითებს მათ პატივის-

ცემაზე ბერძნული კულტურის მიმართ და ამ უკანასკნელის უპირატესობაზე.

რომაული ხელოვნების ფორმებისა და მეთოდების დიდი ნაწილი – მაგალითად, ბარელიეფი და ჰორელიეფი (მაღალი და დაბალი რელიეფი), მრგვალი ქანდაკება, ჩამოსხმული ბრინჯაოს ქანდაკება, ვაზების მხატვრული დამუშავება, მოზაიკა, კამეა, მონეტების მხატვრული დამუშავება, სამკაულებისა და ლითონის ნაკეთობების მხატვრული დამუშავება, სამგლოვიარო-მემორიალური სკულპტურა, პერსპექტივის გადმოცემა გრაფიკული საშუალებებით, კარიკატურა, ჟანრული და პორტრეტული მხატვრობა, პეიზაჟი, მონუმენტური (არქიტექტურული) სკულპტურა, Trompe-l'œil – ეს ყველაფერი ბერძნულ სამყაროში შეიქმნა ან დაიხვეწა. გამონაკლისია რომაული უმხრებო ბიუსტი. ტრადიციული ბიუსტი - ადამიანის გამოსახულება მკერდამდე - შესაძლოა, ეტრუსკული ან ადრერომაული ფორმაა. 1900 წლის შემდეგ, აღორძინების პერიოდში გამოყენებული მხატვრული გამომსახველობის ყველა მეთოდს ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იყენებდნენ - ზეთის საღებავებისა და მათემატიკური სიზუსტით გადმოცემული პერსპექტივის გარდა. თუ ბერძენ ოსტატებს თანამემამულეები დიდ პატივს მიაგებდნენ, რომელი ოსტატები ანონიმურები რჩებოდნენ და მათ ვაჭრებად მიიჩნევდნენ. ძველი ბერძენი ოსტატებისგან განსხვავებით, პრაქტიკულად, არ არსებობს რომაელი ხელოვნების ავტოგრაფები, ან ჩანაწერები მათ შესახებ. ბერძნები დიადი ხელოვნების ესთეტიკურ ღირსებებს განსაკუთრებულად აფასებდნენ და ვრცელ თეორიულ ნაშრომებს უძღვნიდნენ სახელოვნებო საკითხებს, რომაელები კი უფრო მეტად ხელოვნების დეკორატიულ მხარეს აქცევდნენ ყურადღებას და მას სოციალურ და ქონებრივ სტა-

ტუსს უკავშირებდნენ. რომში ხელოვნება არ იყო სამეცნიერო-თეორიული ან ფილოსოფიური მსჯელობის საგანი.

რადგან რომაული ქალაქები ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებზე უფრო ძლევამოსილი, მრავალრიცხოვანი და ნაკლებად პროვინციული იყო, ანტიკურ რომში ხელოვნებამ უფრო ფართო, ზოგჯერ კი, უტილიტარული, დანიშნულება შეიძინა. რომაულმა კულტურამ ბევრი სხვა კულტურა შეითვისა და მეტწილად ტოლერანტული იყო დაპყრობილი ხალხების ყოფის მიმართ. რომაული ხელოვნების ნიმუშებს ბევრად უფრო დიდი რაოდენობით უკვეთავდნენ, გამოფენდნენ და იძენდნენ, უფრო ფართოდ იყენებდნენ, ვიდრე ბერძნული პერიოდის ნიმუშებს. მდიდარი რომალები უფრო მატერიალისტები იყვნენ, კედლებს ხელოვნების ნიმუშებით ამკობდნენ, სახლში ბევრი დეკორატიული ნივთი ჰქონდათ, საკუთარი თავისთვის კი სამკაულს არ იშურებდნენ.⁷

IV-V სს-ში რომში იმპორტირებული ბერძნული ფერწერული ნიმუშებიდან და იმავე პერიოდის იტალიაში ხის მასალაზე შესრულებული ნახატებიდან აღარაფერი შემორჩა. კედლის მხატვრობაში მეტწილად ე.წ. მშრალი (“secco“) მეთოდი გამოიყენებოდა, თუმცა რომაულ პერიოდში ფრესკული მხატვრობის ნიმუშებიც გვხვდება. მოზაიკისა და რამდენიმე მინაწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომაული ფერწერა უფრო ადრეული ბერძნული ნამუშევრების იმიტაციას წარმოადგენს. თუმცა, ამ მინაწერებში დადასტურებული სახელები, შესაძლოა, რომაული პერიოდის ბერძენ ემიგრანტებს ეკუთვნოდეთ და არა

⁷ Marshall 1911; Higgins 1951 (1980²); Coarelli 1970 (1988²); *Roman Jewellery* 2015; Wikipedia article: “Roman Jewelry” [https://en.wikipedia.org/wiki/Roman_jewelry].

ძველბერძნული ორიგინალების ავტორებს. რომაელებს არ ჰქონდათ ვაზების ფიგურული მხატვრობის ძველბერძნულთან შესადარისი ტრადიცია, რომელიც ეტრუსკებმა შეითვისეს.

რომაული მხატვრობა⁸ მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა: ცხოველების გამოსახულებები, ნატურმორტი, ყოველდღიურობის ამსახველი (ქანრული ხასიათის) სცენები, პორტრეტები და მითოლოგიის ელემენტები. ელინისტური პერიოდის განმავლობაში იგი ასახავდა ბუკოლიკურ ეპიზოდებს: მწყემსებს, ჯოგს, სოფლის ტაძრებსა და საცხოვრებლებს, მთიან ლანდშაფტს, მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყო ეროტიკული სცენებიც. ახ.წ. 200 წლის შემდგომი პერიოდის კატაკომბების კედლებზე კი წარმართული გამოსახულებებით შეზავებული ადრექრისტიანული თემატიკა გვხვდება.

ბერძნულ ხელოვნებასთან შედარებით, რომაული ფერწერის მთავარი ინოვაცია იყო პეიზაჟი⁹, კერძოდ, პერსპექტივის ტექნიკის გამოყენება, თუმცა, მათემატიკური სიზუსტით პერსპექტივის ასახვა ფერწერაში 1500 წლის შემდეგ განხორციელდა. რომაული პეიზაჟებისთვის დამახასიათებელია ზედაპირის ფაქტურის დამუშავება და შუქრდილებისა და ფერების გამოყენება, თუმცა, არა მასშტაბისა და სიღრმის ზუსტი გადმოცემა. წარმოდგენილია ან ბუნების სცენები, მეტწილად, ყვავილებისა და ხეების ბაღები, ან ურბანული სცენები - შენობა-ნაგებობები. ზოგიერთი პეიზაჟი მითოლოგიურ ეპიზოდებსაც ასახავს.

⁸ Maiuri 1953; Borda 1958; Picard 1970; Mansueti, Lagona and Laurenzi 1979; Ling 1991 (reprint 2006); Donati 1998; Pollitt 2014; Wikipedia articles: “Pompeian styles” [https://en.wikipedia.org/wiki/Pompeian_Styles]; “Roman wall painting (200 BC-AD 79)” [[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_wall_painting_\(200_BC%E2%80%93AD_79\)](https://en.wikipedia.org/wiki/Roman_wall_painting_(200_BC%E2%80%93AD_79))].

⁹ Barker and Lloyd 1991; Rozenbergt 1993; Fleming 2007.

რომაული პერიოდის ნატურმორტებზე ხშირად გამოსახულია ნიშებში ან თაროზე მოთავსებული ხილი, ნანადირევი ან ცოცხალი ცხოველი, ზღვის პროდუქტები და ნიჟარები. განსაკუთრებით აღსანიშნავია წყლიანი მინის ჭურჭლის ოსტატურად შესრულებული გამოსახულებები - ამგვარ დეტალებს რენესანსისა და ბაროკოს ფერწერულ ტილოებზეც ვხვდებით. საბერძნეთსა და რომში კედლის მხატვრობას მაღალ ხელოვნებას არ მიაკუთვნებდნენ.

ქანდაკების გარდა, ხელოვნების ყველაზე პოპულარული ფორმა იყო პანელური მხატვრობა¹⁰, ე.ი. ხის პანელებზე ტემპერას ტექნიკით შესრულებული ან ენკაუსტიკური მხატვრობა. სამწუხაროდ, რადგანაც ხე არის მალფუჭებადი მასალა, ასეთი ნახატები მხოლოდ რამდენიმეა შემორჩენილი, კერძოდ, სევერუსის ტონდო (Severan Tondo) დაახლ. ახ.წ. 200 წ., ჩვეულებრივი ოფიციალური პორტრეტი ერთ-ერთი პროვინციის მმართველისა, და ფაიუმის ცნობილი პორტრეტები, ყველა რომაული ეგვიპტიდან, რომლებიც არ არის უმაღლესი ხარისხის. მუმიებს სახეზე ჰქონდა დაფარებული ეს პორტრეტები, რომელთაგანაც ახლა თითქმის ყველა გადაშლილია. როგორც წესი, პორტრეტებზე გამოსახული იყო ერთი ადამიანი მხოლოდ სახით ან სახითა და ბიუსტით წინხედში. მხატვრული თვალსაზრისით, გამოსახულებები აშკარად უფრო ბერძნულ-რომაული ტრადიციებიდან მომდინარეობს, ვიდრე ეგვიპტურიდან. პორტრეტები საოცრად რეალისტურია, თუმცა მხატვრული შესრულებით განსხვავდება ერთმანეთისგან და შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ მსგავსი ხელოვნება სხვაგანაც იყო გავრცელებული,

¹⁰ Laurie 1910 (reprint 2014); Boardman 1993; Wikipedia article: “Panel Painting” [https://en.wikipedia.org/wiki/Panel_painting].

მაგრამ არ მოუღწევია ჩვენამდე. შემორჩენილია აგრეთვე გვიანი იმპერიის პერიოდის მინასა და მედლებზე შესრულებული რამდენიმე პორტრეტი, ისევე როგორც მონეტების პორტრეტები, რომელთაგანაც ზოგი ძალიან რეალისტურად მიიჩნევა.

ოქროს მინა¹¹, ან ოქროს სენდვიჩ მინა, იყო ოქროს ფურცლის შრის ფიქსაციის ტექნიკა, რომელიც ჩასმული იყო მინის ორ შერწყმულ ფენას შორის, ეს ტექნიკა გამოიყენებოდა ელინისტური ხანის მინის ნაკეთობებში და აღდგა III საუკუნეში. ასევე არსებობს უფრო მასშტაბური ზომის დიზაინები, მათ შორის III საუკუნის პორტრეტების ძალიან ლამაზი ჯგუფი, რომელსაც დამატებული აქვს საღებავები, 500-მდე გადარჩენილ არტეფაქტთა დიდი უმრავლესობა არის რონდელები (roundels), რომლებიც წარმოადგენს ღვინის ჭიქების ან ჭიქების ფსკერებს, რომლებიც ამშვენებდა საფლავებს რომის კატაკომბებში. ჭურჭლებზე გამოსახული სცენები კატაკომბების ნახატების მსგავსია, მაგრამ უფრო მეტად წარმოდგენილია გარდაცვლილის პორტრეტული მხატვრობა (ჩვეულებრივ, ეს ვარაუდია).

ტრადიციული რომაული ქანდაკება¹² დაყოფილია ხუთ კატეგორიად: პორტრეტული მხატვრობა, ისტორიული რელიეფები, სამგლოვიარო რელიეფები, სარკოფაგები და ძველი ბერძნული ნამუშევრების ასლები. მიუხედავად ადრეული არქეოლოგების რწმენისა, ამ ქანდაკებთა უმრავლესობა იყო პოლიქრომიანი, მრავალი მათგანის ზედაპირის მხატვრობა ჟამთა სვლაში წაიშალა.

¹¹ Strong and Brown 1976; Lutraan 2006; Howells, Entwistle and James 2015.

¹² Perry 1881 (reprint 2013); Strong 1907 (reprint Cambridge, 2015); Arias 1941 (1943²); Mariën 1945; Matt and Mustilli 1958; Kleiner 1992 (reprint 2006); Liverani and Santamaria 2014; Wikipedia article: “Roman sculpture”

[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_sculpture].

მაშინ, როდესაც ბერძენი მოქანდაკეები ტრადიციულად ასახავდნენ სამხედრო გამირობებს მითოლოგიური ალეგორიების გამოყენებით, რომაელები უფრო მეტად დოკუმენტურ სტილს იყენებდნენ. საბრძოლო სცენების რომაული რელიეფები, მაგალითად, ტრაიანუსის სვეტი, რომაული ძალის განდიდების მიზნით შეიქმნა, თუმცა იგი ასევე გვთავაზობს სამხედრო ტანსაცმლისა და სამხედრო აღჭურვილობის დემონსტრირებას. ქრისტიანულ ეპოქაში, ახ.წ. 300 წლის შემდეგ კარების პანელებისა და სარკოფაგების გაფორმება გრძელდებოდა, მაგრამ დიდი ზომის ქანდაკებამ ამოწურა საკუთარი თავი და არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ელემენტი ადრეული ხანის ეკლესიებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრეულ რომაულ ხელოვნებაზე დიდი გავლენა იქონია საბერძნეთისა და მეზობელი ეტრუსკების ხელოვნებამ, რომლებიც თავის მხრივ განიცდიდნენ ბერძენი სავაჭრო პარტნიორების გავლენას. ეტრუსკების ხელწერა იყო ადამიანის ჩვეულ ზომასთან მიახლოებული ტერაკოტული პორტრეტული სარკოფაგები. გარდაცვლილთა ფიგურები მაშინდელი პერიოდისათვის დამახასიათებელ სადილობის პოზაში, ერთ იდაყვზე დაყრდონობილი, იყო გამოსახული სარკოფაგების სახურავებზე. როდესაც გაფართოებულმა რომის რესპუბლიკამ დაიწყო საბერძნეთის ტერიტორიის დაპყრობა, თავდაპირველად სამხრეთ იტალიაში და, შემდეგ, მთელ ელინისტურ სამყაროში, ოფიციალური და პატრიციული ქანდაკება მეტწილად გახდა ელინისტური სტილის გაგრძელება, რომლისგანაც განსაკუთრებით რთულია რომაული ელემენტების გამოყოფა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბერძნული ქანდაკება შემორჩენილია მხოლოდ რომაული პერიოდის ასლებით. II საუკუნისთვის მოქანდაკეების უმეტესობა, რომლებიც რომში მუშაობდნენ, იყ-

ვნენ ბერძნები, ხშირად თავდასხების შედეგად დამონებულები, რომელთა სახელები ძალიან იშვიათად ფიქსირდება. ბერძნული ქანდაკებები დიდი რაოდენობით იყო შეტანილი რომში, ნადავლის სახით, გამოძალვისა თუ ვაჭრობის შედეგად, ტაძრების ხშირად შემკული იყო მეორეული ბერძნული ნამუშევრებით.

იტალიისათვის დამახასიათებელი სტილი შეიძლება დაიძებნოს საშუალო კლასის რომაელების სამარხებში¹³, რომლებშიც ძალიან ხშირად გამოსახული იყო პორტრეტული ბიუსტები. პორტრეტული მხატვრობა, სავარაუდოდ, რომაული ქანდაკების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია. დიდი ოჯახების დაკრძალვების პროცესიაში გამოყენებული წინაპრების ნიღბების ნიმუშები, რომლებსაც შემდგომ სახლებში გამოფენდნენ ხოლმე, არ არის შემორჩენილი, თუმცა სავარაუდოა, რომ ბევრი გადარჩენილი ბიუსტი წინაპრების ფიგურებს უნდა წარმოადგენდეს. ძლევამოსილ პიროვნებათა სახეები გამოსახულია კონსულების მონეტებზე, იმპერიის პერიოდში როგორც მონეტები, ისე ბიუსტები, რომლებიც იგზავნებოდა იმპერიაში პროვინციული ქალაქების ბაზილიკებში მოსათავსებლად იმპერიული პროპაგანდის მთავარი ვიზუალური ფორმა იყო; იმპერიული პორტრეტული მხატვრობა თავდაპირველად ელინიზებული იყო და უაღრესად იდეალიზებული, როგორც Blacas Cameo და ავგუსტუსის სხვა პორტრეტები.

რომაელები ზოგადად არ ცდილობდნენ პირდაპირ გადმოეტანათ ბერძნული ისტორიული ან მითოლოგიური ნამუშევრები¹⁴, მათ ადრევე დაიწყეს ისტორიული შინაარსის რელიეფების შექმნა, რამაც კულმინაციას მიაღწია რომაულ ტრიუმფალურ

¹³ ყველაზე მრავლისმომცველი წიგნია Toynbee 1971 (reprint 1996).

¹⁴ Torelli 1982 (1992).

სვეტებში, რომლებზეც გამოსახული იყო სიუჟეტი უწყვეტად. ასეთი სვეტებიდან რომში შემორჩენილია ტრაიანუსისა და მარკუს ავრელიუსის სვეტები. Ara Pacis (მშვიდობის საკურთხეველი) წარმოადგენს ბერძნულ-რომაული ოფიციალური სტილის ყველაზე კლასიკურ და დახვეწილ ნამუშევარს, ხოლო Sperlonga-ს ქანდაკებები მეტად უახლოვდება ბაროკოს სტილს. ძვ.წ. III საუკუნიდან რომაულ ხელოვნებაში გამოჩნდა სპეციფიკური ჟანრი, რომელიც ცნობილია როგორც *ტრიუმფალური მხატვრობა*, იკონოგრაფია, რომელიც ბერძნულ ხელოვნებაში არ გვხვდება. ეს იყო ნახატები, რომლებზეც წარმოდგენილი იყო სამხედრო გამარჯვებების შემდეგ ტრიუმფალური სვლები, ასევე ომის ეპიზოდები, რეგიონებისა და ქალაქების დაპყრობა.

რომაელებმა მემკვიდრეობით მიიღეს ხელოვნების ტრადიცია ე.წ. „მცირე ხელოვნების“ ან დეკორატიული ხელოვნების ფართო გაგებით¹⁵. მათი უმეტესობა ყველაზე შთამბეჭდავად განვითარდა ფუფუნების საგნებზე, თუმცა ტერაკოტას ფიგურების დიდი რაოდენობა¹⁶, რელიგიური თუ საერო ხასიათისა, იაფი წარმოებისა იყო, როგორც უფრო დიდი კამპანიის ტერაკოტაში შესრულებული რელიეფები. რომაული ხელოვნება არ იყენებდა ძველი ბერძნების მსგავსად ვაზების მოხატვის ტექნიკას, მაგრამ ძველ რომაულ კერამიკაში ჭურჭელი¹⁷ ხშირად ელეგანტურად იყო შემკული გამოძერწილი რელიეფებით. მილიონობით პატარა ზეთის ლამპის მწარმოებლები იმედოვნებდნენ, რომ მიმზიდველი დეკორაციებით კონკურენტებს მოიგერიებდნენ

¹⁵ Mansueti, Lagona and Laurenzi 1979; Vermeule and Gusman 1987.

¹⁶ Nicholson 1965.

¹⁷ Charleston 1900 (reprint 1960); Oswald and Pryce 1920; Hayes 1972; Hayes 1980; Fleuret and Birt 1986; Peacock and Williams 1986; Greene 1992; Wikipedia article: “Ancient Roman pottery” [https://en.wikipedia.org/wiki/Ancient_Roman_pottery].

და რომაული ხელოვნების ყველა საგანი, გარდა პეიზაჟისა და პორტრეტისა, შეიძლება ვიპოვოთ ლამპებზე გამოსახულ მინიატურებში.

ძვირადღირებული ხელოვნება ტექნიკური მრავალფეროვნების თვალსაზრისით მოიცავდა ლამაზ რომაულ მინასაც,¹⁸ რომელთა მრავალი მცირე ტიპი, ალბათ, ხელმისაწვდომი იყო რომის საზოგადოების შეძლებული ნაწილისთვის. ეს, რა თქმა უნდა, არ ეხება მინის ყველაზე ექსტრავაგანტულ ტიპებს, მაგალითად, გალიის ტიპის ჭიქები ანუ *დიატრეკუმები*, რომელთაგანაც საყურადღებოა *Lycurgus Cup* (ლიკურგოსის ჭიქა), რომელიც დაცულია ბრიტანეთის მუზეუმში. ეს სასმისი წარმოადგენს უნიკალურ, ფიგურალური შუშის დამუშავების მაგალითს, რომელიც იცვლის ფერს, როდესაც მასში სინათლე გადის. *Augustan Portland Vase* (პორტლენდის ავგუსტუსის ვაზა) არის რომაული კამეა მინის შედევრი, რომელიც ბამავს დიდი ამოტვიფრული ძვირფასი ქვების სტილს (*Blacas Cameo*, ავგუსტუსის გემმა, საფრანგეთის დიდი კამეა) და ქვაში ამოკვეთილ სხვა გამოსახულებებს, რომლებიც ყველაზე პოპულარული იყო იმ პერიოდში.

მოზაიკა¹⁹ მეორეხარისხოვანი ხელოვნება იყო, თუმცა ხშირად ძალიან ფართო მასშტაბით გამოიყენებოდა. IV ს-ის ბოლოდან ქრისტიანებმა დაიწყეს მისი გამოყენება კედლებზე დიდი რელიგიური სურათებისთვის თავიანთ ახალ და დიდ ეკლესიებში; ადრეულ რომაულ ხელოვნებაში მოზაიკას ძირითადად

¹⁸ Walters and Smith 1926; De Maine and Dvorzak Schrunk 1979; Francke 1990; Miller and Jarrett 1991 (2009-4th edition); Roberts 2010; Goodman 2011; Bayley Freestone and Jackson 2015; Wikipedia articles: “Roman glass” [https://en.wikipedia.org/wiki/Roman_glass]; “Cameo (carving)” [[https://en.wikipedia.org/wiki/Cameo_\(carving\)](https://en.wikipedia.org/wiki/Cameo_(carving))].

¹⁹ Wikipedia article: “Roman mosaic” [https://en.wikipedia.org/wiki/Roman_mosaic].

იყენებდნენ იატაკებისთვის, თაღოვანი ჭერებისთვის, შიდა და გარე კედლებისთვის, რომლებიც სველდებოდა. რომაელები განასხვავებდნენ სტანდარტულ *opus tessellatum*-ს, რომელიც ძირითადად 4 მმ-ზე მეტი *tesserae*-სგან შედგებოდა და ადგილზე იწყობოდა, *opus vermiculatum*-სგან, მცირე პანელებისთვის გამოსაყენებელი, რომელიც, სავარაუდოდ, სამქროში იწყობოდა და დასრულებული მიჰქონდათ ადგილზე. პანელი ეს უკანასკნელი ელინისტური ჟანრია, რომელიც იტალიაში გვხვდება ძვ.წ. 100 წ-დან ახ.წ. 100 წ-დე. ხელმოწერილ მოზაიკათა უმეტესობაზე ბერძნული სახელებია, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მხატვრები ძირითადად ბერძნები იყვნენ, თუმცა, სავარაუდოა, რომ სახელოსნოებში მონებსაც ასწავლიდნენ ამ ხელობას.

ლითონის დამუშავება²⁰ ძალზე განვითარებული იყო და მდიდრების სახლების ინტერიერის განუყოფელი ნაწილს წარმოადგენდა. შეძლებული რომაელები სადილობდნენ ვერცხლის ჭურჭლით, ხშირად სვამდნენ მინისგან დამზადებული სასმისებისგან, დახვეწილი ფიგურებით ჰქონდათ დამუშავებული ავეჯი, სამკაულები და პატარა სტატუეტები. რიგმა მნიშვნელოვანმა საყოფაცხოვრებო ნივთებმა, ძირითადად გვიანი იმპერიის უმეტესად განაპირა საზღვრებიდან, უფრო ნათლად წარმოგვიჩინა რომაული ვერცხლის ჭურჭლის არსი. მილდენჰოლისა და ჰოქსნეს საგანძურები, ორივე ინგლისშია აღმოჩენილი- აღმოსავლეთ ანგლიაში (East Anglia). ძველი რომაული ავეჯიდან გადარჩენილია რამდენიმე ნივთი, რომლებიც გვიჩვენებს დახვეწილ და ელეგანტურ დიზაინსა და შესრულებას.

²⁰ Tylecote 1976; Healy 1978; White 1984; Craddock 2008; Jensen 2009; Cech 2010; Wikipedia article: “Roman Metallurgy” [https://en.wikipedia.org/wiki/Roman_metallurgy].

რამდენიმე რომაული მონეტა²¹ აღწევს საუკეთესო ბერძნული მონეტების მხატვრულ მწვერვალებამდე. რომაული მონეტები დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი. მათი იკონოგრაფია და წარწერები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს რომის ისტორიისა და იმპერიული იკონოგრაფიის განვითარების შესწავლაში. მონეტები აგრეთვე შეიცავს პორტრეტული მხატვრობის მრავალ შესანიშნავ მაგალითს. მონეტებმა შეაღწია მთელი იმპერიის სოფლის მოსახლეობაში და იმპერიის ფარგლებსაც კი გასცდა. იმპერიაში ძვირფასი ლითონების მედალიონების წარმოება დაიწყო მცირე რაოდენობით, როგორც საიმპერატორო საჩუქრებისა, რომლებიც მსგავსია ჩვეულებრივი მონეტებისა, თუმცა უფრო დიდი ზომისაა და შესრულების ტექნიკის თვალსაზრისით, უფრო დახვეწილი. მონეტებზე გამოსახულებები თავდაპირველად ბერძნულ სტილს მისდევდა, მათზე გამოსახული იყო ღმერთები და სიმბოლოები, მაგრამ რესპუბლიკური პერიოდის ბოლოს მონეტებზე გამოჩნდა ჯერ პომპეუსი, შემდეგ კი - იულიუს კეისარი. ამგვარად, იმპერატორის ან მისი ოჯახის წევრების პორტრეტების ასახვა გახდა საიმპერატორო მონეტების სტანდარტი. მონეტებზე წარწერები გამოყენებული იყო პროპაგანდისტვის.

ლიტერატურაზე გადასვლამ²², ბერძნული მწერლობის მიბაძვამ (*imitatio*), თარგმანმა (*translatio*) და ემულაციამ (*aemulatio*) შექმნა ის ლათინური ენა, რომლის საშუალებითაც ჰუმანისტებ-

²¹ Thomsen 1957-1961; Mattingly, Sydenham, Sutherland et al. 1923 (reprint 1972); Crawford 1974 (reprint 2008); Metcalf 2012; Butcher, Ponting, Evans et al. 2014; Wikipedia article: “Roman Currency” [https://en.wikipedia.org/wiki/Roman_currency].

²² Highet and Bloom 1949 (reprint 2015); Rose 1936 (reprint 1996); Kenney and Clausen 1982; Herzog et al. 1989-1997; Albrecht 1992 (2009-4th edition); Wikipedia article: “Roman Literature” [https://en.wikipedia.org/wiki/Latin_literature].

მა გაიცნეს და შეინარჩუნეს ძველი ბერძნული ტექსტები, შესაბამისად, ბერძნების აზროვნება და მენტალიტეტი. მთელ მსოფლიოში განაგრძობენ ორივე ლიტერატურის შესწავლას მათი მასიური, გლობალური ეფექტის გამო. რომაელ მწერლებს ამოდრავებდა არ იყო მხოლოდ მათი ბერძენი კოლეგების მიზამვისა ან თარგმნის, არამედ მათი აღმატების სურვილი. ისინი იყენებენ სხვადასხვა ბერძნულ ელემენტს: თემებს, მოტივებს, სიტყვებს, ლექსებს, გამოსახულებებს, რომლებიც რომაულ გარემოში იყო ინტეგრირებული. ვერგილიუსი ბაძავს ჰომეროსს, სენეკა მიჰყვება ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს კვალს, პლავტუსი ბევრს სესხულობს ახალი კომედიისგან, ციცერონი მისდევს დემოსთენეს თავის რიტორიკულ ნაშრომებში და პლატონს - თავის ფილოსოფიურ ნაწარმოებებში, ჰორაციუსი შთაგონებას იღებს ძველი ბერძენი ლირიკოსი პოეტებისგან, სალუსტიუსი, კორნელიუს ნეპო და ტიტუს ლივიუსი არიან ახალი თუკიდედესი, პლუტარქოსი და ჰეროდოტოსი და ა.შ. ვარიაციის (*variatio*) მეთოდის გამოყენებით რომაელებმა შექმნეს ახალი, უფრო რთული და შერწყმული ჟანრები და ქვეჟანრები, რომლებიც დაშორდა ექვსი ჟანრის ძველ კონცეფციას (ეპიკური, ლირიკული და დრამატული პოეზია, ისტორიოგრაფია, ფილოსოფია და რიტორიკა). მათი მთავარი ინოვაციები იყო სატირა და სასიყვარულო ელეგია.

გარდა ამისა²³, ლათინურში ბერძნული ნასესხობები გახდა ჩვეულებრივი ფენომენი, რაც შემდეგში გავრცელდა მრავალ ენაში, რომელთა დიდი ნაწილი შეიცავს ბერძნული წარმოშობის ლექსიკას. ამის უამრავი მაგალითია: *aer*, *analogia*, *astrologia*, *astronomicus*, *athleta*, *basilica*, *chalybs*, *chaos*, *choraules*, *cometes*,

²³ Mantzilas 2016, 236-253.

comoedia, diadochos, diphyses, elaterium, elegia, epos, erotylus, etymologia, glossa, grammaticus, hora, lembus, marmor, nauta, nominatives, oda, organum, palaestes, pelages, phlegma, pistacium, prologus, prosodia, sperma, thalamus, thesaurus, tragoedia. ამას უნდა დავამატოთ სამეცნიერო ტერმინები ბოტანიკაში, ფარმაცოლოგიაში, ალქიმიაში, მედიცინაში, ფიზიკაში, ასტრონომიასა და სხვა მეცნიერებებში, რომელთა ფარგლებშიც ლათინურენოვანმა ტრაქტატებმა ისესხა ტერმინები ბერძნულიდან. ამ ტერმინებიდან ზოგიერთი უცვლელი დარჩა, ზოგიერთმა კი ლათინური ყალიბი მიიღო. ქრისტიანულ და საეკლესიო ლექსიკაშიც ბევრი ტერმინია დამკვიდრებული ბერძნულიდან (ანგელოზი (angelus), დიაკონი (diaconos), ეუქარისტია (eucharistia), ეუსები (eusebes), ლაიკუსი (laicus), პრესვიტერი (presbyter) და ა.შ.), რომლებიც რომის იმპერიის ქრისტიანულ ეპოქაში გამოიყენებოდა. თანამედროვე ტექნოლოგიების ლექსიკა დაფუძნებულია ერთერთ კლასიკურ ენაზე, დაწყებული ბინომური ნომენკლატურიდან (ცხოველებისა და მცენარეებისთვის გამოყენებული) და დამთავრებული ისეთი სიტყვებითა და ტერმინებით, როგორებიცაა: channel, compiler, computer, connection, data, database, digital, direct, disc, electronic, erase, execute, format, generator, hypertext, icon, instruction, internet, interpretation, interrupt, magnetic, memory, operating system, procedure, process, program, register, rotate, scan, scanner, screen, serial, server, system, television, terminal, video და სხვ. ყველა ეს სიტყვა ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარეობს.

საპირისპირო მიმართულებით- სიტყვები, ფრაზები და გამოწატქვამები შევიდა ახალ ბერძნულ ენაში უცვლელი ან შეცვლილი სახით ლათინურიდან, ან რომანული ენების მეშვეობით,

რაც ამდიდრებს მას სხვადასხვა ენობრივ დონეზე. გამოთქმა ადაპტირებულია ბერძნულ ფონემებზე, მაგრამ სიტყვები ერთი და იგივეა.

ბერძნულმა ლათინურიდან ისესხა: ა) ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ლექსიკა (ამπούლა, βράκα, σπίτι, στάβλος, κελί, φούρνος, παλάτι, ταβέρνα, κάμπος, καντήλι, κάγκελο, σκαμνί, τσεκούρι, λάβαρο, παλουკი, τάβλα, κάπα, κάρβουνο, κουβούκλιο, κούρα, μαρούλι, λουκάνικο, βερίκοκο, μουλári, καλαμάρι, κότα, μπισκότο, βάρκα, κάστρο, φούρνος, τέντα, πόρτα, κάμαρα, κουρέλι, σκαμνί, πανέρι, καντήλι, κάμπος, στράτα, καπούλι, μπάνιο, μάγουλο, μαξιλάρι, κακά, πουλί, μπούφος, σίκαλη, σπανάκι, φασόλια, κάρβουνο, καμίνι, κανάλι, σουβლა, λαρδί, λουκάνικο, φάβα, άρματα, βίγλα, κάπα, μανίκι, πουκάμισο, πανί, φασκιά, καρίνα, κουρσάρος, σαβούρα, σακούλα, σκρίνιο, σαγκουίνι, μανουάλι, ράσο, φαιλόνιο, βούλα, καπίστρι, λουρί, κούνια, πουγκί, σαπούნი, σέλα, σκούπα, ταβέρνα, φარίνα, φούρκα, τρούλος, μπαλαρίνα, φάμπρικα, არένα, καლენტარი, კონსέρβα, μანიკა, ρότα, ροτόντα, τούμπα, κασίδα, აτζέντα, κάψουλα, ντοκουμέντο, ντούρος, φιγούრა, φίρμα, φόρμα, φούμο, τανγκό, სტრინγκ), ბ) ჰირთა დახასიათება (μάστορας, πρίγκიπας, τιτουლარიος, νοტარიος, βαρβάτος, κόμης, καβαλάρης, βετεράνος, δόκτωρ, ρήγας, αποθηκάριος, μακελάρης, ρεφερενდარიος, σακεლარიος, δούκας, δόγης, λάμια, σεκιურიტάς), გ) სხვადასხვა სიტყვა, აბსტრაქტული ცნება და ცივილიზაციის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული ტერმინები (καριέρα, კულτούრა, κλάση, κλασικός, μαντάτο, νούμερο, მილი, τίτλος, δίσεκτος, κάλαντα, φούρια, λούσο, οι ονομασίες των μηνών, άσπρος, μαύρος, μακελειό, γεμάτος, κουβέντα, οφίκια, μιζέρια, γκρινιάζω, ακουμπώ,

διαφεντεύω, μιλιταριστικός, νιχλισμός, ιμπεριαλιστικός, προβοκάτορας, ακτιβισμός, αλτροუიზმის, βερμπαλισმის, σοσιαλισმის, κομμουνისმის, νεპოტიზმის, νομενკლაτούრა, ნოკლეიკის, პერფეჯიონისმის, სემინარიო, სოლიპისმის, სტრუკტურალისმის, სპέკულა, სούმა, ფემინისმის, ბოლონტარისმის, ვეტერმინისმის, კონსტრუკტივისმის, რეალისმის, სურეალისმის, ნატურალისმის, ამორალისმის, ოპორტუნისმის), დ) სუფიქსები (-ატოს, -ანოს, -არიოს, -არის, -ალიო, -ისიოს, -ურა, -პოლოს, -პულა, -ისიოს, -ინა, -სილი-ზე დამთავრებული), ე) სახელეები და გვარები, როგორცაა: რეგინა, მპეატა, პოლხერია, იულიოს/-ა, აგუსტოს, ლაურენტიოს, ლაურა, მპიანკა, რენატა, რობერტოს, სეზასტიანოს, ბენეტი, ბანა, ბერა, ფაუსტა, ფორტუნა, ბიკტორია, გიკლორია, სილბესტროს, ბირგინია, კარმენ, ფილიქს, კალბოს, ტჯოკონტა (Gioconda)-ც კი.

თანამედროვე ენებიდან რამდენიმე მაგალითი: ა) ტრაქტერ, ასანსერ, მარინა, ნესესერ, ლიკერ, მანიკიურ-პენტიკიურ, მპალანტერ, ევაპორე, ვეკორ, ნოკუმანტაირ-from French, ბ) რეპორტერ, ვეტექტივ, კომპიუტერ, სპონსორას, სანატორიო, სიგრიალ, რადიო, ნეტრონიო-from English, გ) ბელი, კასა, კატსაროლა, პიატო, ბიოლა, ფრაუსლა, კომპოსტა, ოპერა, ტენოროს, მპარმპას, პისინა, ტერმინა, ნელიკატოს, ფამილია-from Italian, დ) მინტია, ბინტეო, Eurovision, data, errata, campus, herbal, matrix, memorandum, moratorium, placebo, referendum, trans, vertigo, emeritus, მონიტორ, ალმპოუმ, მენტიუმ - სიტყვები ლათინურიდან, რომლებიც ონგლისურის მუშევრობით გახდა გლობალურად ცნობილი.

რა თქმა უნდა, ლათინურიდან ბერძნულ ენაზე უამრავი ყოველდღიური გამონათქვამი შევიდა შეუცვლელად: a priori, ad hoc, alibi, alter ego, ars gratia artis, carpe diem, casus belli, citius

altius fortius, cogito ergo sum, curriculum vitae, de facto, de profundis, dum spiro spero, ego, ex cathedra, homo erectus, homo faber, homo sapiens, honoris causa, id, in extremis, in memoriam, in vitro, in vivo, lapsus linguae, libido, mare nostrum, mea culpa, memorandum, modus vivendi, moratorium, mutatis mutandis, omnibus alert, passim, pater familias, pax romana, persona non grata, pro bono, quanta, rebus, sine qua non, status quo, sui generis, superego, tabula rasa, terra incognita, veni vidi vici, verba volant scripta manent, verbatim, veto, vice versa.

ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, ცხადი ხდება, რომ ბერძნებსა და რომაელებს შორის კონკურენციის სულისკვეთების მიუხედავად, მათმა ურთიერთპატივისცემამ, ურთიერთქმედებამ და ინოვაციებმა და, ძირითადად, იმ ფაქტმა, რომ ისინი ცხოვრობდნენ მსგავს კულტურულ, გეოგრაფიულ და პოლიტიკურ გარემოში, შექმნა შესაბამისი ფონი ერთიანი, ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისათვის. ეს ცივილიზაცია საუკუნეთა განმავლობაში ბატონობდა ანტიკურ სამყაროში, სანამ რენესანსისა და ბაროკოს პერიოდიდან დღემდე საბოლოოდ არ შეესისხლხორცა დასავლურ ცივილიზაციას

ბიბლიოგრაფია:

- Albrecht, M. von. 1992 (2009-4th edition). *Geschichte der römischen Literatur: von Andronicus bis Boethius*. München.
- Ando, C. 2003 (reprint 2012). *Roman Religion*. Edinburgh.
- Arias, P. E. 1941 (1943²). *La scultura romana*. Messina.
- Barker, G. and J. Lloyd. 1991. *Roman Landscapes: Archeological Survey in the Mediterranean Region*. London.
- Barrow, R. 1976. *Greek and Roman Education*. London.

- Bayley, J., Freestone, I. and C. M. Jackson. 2015. *Glass of the Roman World*. Oxford.
- Beard M., North J. A. and S. R. F. Price, 1998 (reprint 2015). *Religions of Rome*, 2 vols. Cambridge – New York.
- Belfiore, J.-C. 2003 (reprint 2011). *Dictionnaire de mythologies grecque et romaine*. Paris.
- Benevolo, L. 1993. *Die Geschichte der Stadt. Frankfurt am Main - New York*.
- Blagg, Th. 1983 (reprint 2006). “Architecture”. In *A Handbook of Roman Art: A Survey of the Visual Arts of the Roman World*, ed. by M. Henig. London-Oxford.
- Boardman, J. 1993. *The Oxford History of Classical Art*. Oxford.
- Bonner, S. F. 1977. *Education in Ancient Rome*. Berkeley.
- Borda, M. 1958. *La pittura romana*. Milano.
- Bremmer J. N. and N. M. Horsfall, 1987. *Roman Myth and Mythography*. London.
- Brown, F. E. 1961 (reprint 1990). *Roman Architecture*. New York.
- Butcher, K., Ponting, M., Evans, J. et al., 2014. *The Metallurgy of Roman Silver Coinage: from the Reform of Nero to the Reform of Trajan*. Cambridge.
- Cech, B. 2010. *Technik in der Antike*. Darmstadt.
- Charleston, R. J. 1900 (reprint 1960). *Roman Pottery*. London.
- Coarelli, F. 1970 (1988²). *Greek and Roman Jewellery*. London.
- Coenen, D. 1992. *Dictionnaire de la mythologie grecque et romaine*. Turnhout-Paris.
- Commelin, P. 1907 (reprint 2014). *Mythologie grecque et romaine*. Paris.
- Craddock, P. T. 2008. “Mining and Metallurgy”. in *The Oxford Handbook of Engineering and Technology in the Classical World*, edited by J. P. Oleson. Oxford.
- Crawford, M. H. 1974 (reprint 2008). *Roman Republican Coinage*. London-New York.

- D'Ambra, E. 2004. *Roman Art*. Cambridge-Oxford.
- De Maine, M. M. nd I. Dvoržak Schrunck. 1979. *Roman Glass*. Minneapolis.
- Donati, A. 1998. *Romana picture: la pittura romana dalle origini all'età bizantina*. Milano.
- Dumézil, G. 1966 (1974²). *La Religion Romaine Archaique, suivie d'un appendice sur la religion des Etrusques*. Paris.
- Fleming, A. 2007. *Prehistoric and Roman Landscapes*. Macclesfield.
- Fleuret, P. and D. Birt. 1986. *Roman Pottery*. Harlow.
- Francke, E. 1990. *Glass: Roman*. Oslo.
- Fürst U. and S. Grundmann, 1998. *The Architecture of Rome: an Architectural History in 402 Presentations*. Stuttgart.
- Goodman, S. E. 2011. *Roman Glass*.
- Grandazzi, A. 1997. *The Foundation of Rome: Myth and History*. Cornell.
- Greene, K. 1992. *Roman Pottery*. Berkeley.
- Grimal, P. 1951 (15th edition 2011). *Dictionnaire de la mythologie grecque et romaine*. Paris.
- Gwynn, A. 1926. *Roman Education from Cicero to Quintilian*. Oxford.
- Hayes, J. P. 1972. *Late Roman Pottery*. London.
- Hayes, J. P. 1980. *A Supplement to Late Roman Pottery*. London.
- Healy, J. F. 1978. *Mining and Metallurgy in the Greek and Roman World*. London.
- Heinitze, H. von. 1981. *Römische Kunst*. Herrschwing.
- Heinitze, H. von. 1990. *Roman Art*. New York – London.
- Henig, M. 1983 (reprint 2006). *A Handbook of Roman Art*. Ithaca-Oxford.
- Herzog, R. et al. 1989-1997. *Handbuch der lateinischen Literatur der Antike*, 5 vols. München.
- Higgins, R. 1951 (1980²). *Greek and Roman Jewellery*. London.
- Hightet, G. and H. Bloom. 1949 (reprint 2015, with a new foreword). *The Classical Tradition: Greek and Roman Influences of Western Literature*. New York.

- Howells, D. Th., Entwistle, CH. and L. James. 2015. *A Catalogue of the Late Antique Gold Glass in the British Museum*. London.
- Humbert, J. 1890 (24th edition 1933). *Mythologie grecque et romaine*. Paris.
- Jensen, E. 2009. *Roman Metalwork in the North*, PhD Diss.
- Joyal M., McDougall I. and J. Yardley. 2006. *Greek and Roman Education: A Sourcebook*. London-New York.
- Kenney, E. J. and W. V. Clausen. 1982. *The Cambridge History of Classical Literature. 2. Latin Literature*. Cambridge.
- Kleiner, D. E. E. 1992 (reprint 2006). *Roman Sculpture*. London-New Haven.
- Kleiner, F. S. A. 2007 (2010²). *A History of Roman Art*. Belmont.
- Latte, K. 1960. *Römische Religionsgeschichte*, München.
- Laurie, A. P. 1910 (reprint 2014). *Greek and Roman Methods of Painting: Some Comments on the Statements made by Pliny and Vitruvius about Wall and Panel Painting*. Cambridge.
- Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae*, 7 vols & supplementum. 1981-1999. Zürich-München-Düsseldorf.
- Ling, R. 1991 (reprint 2006). *Roman Painting*. Cambridge- New York.
- Liverani, P. and U. Santamaria. 2014. *Diversamente bianco: la policromia della scultura romana*. Roma.
- Lutraan, K. L. 2006. “Late Roman Gold-Glass: Images and Inscriptions”, MA thesis. McMaster University.
- MacDonald, W. L. 1965 (5th edition 1997). *The Architecture of the Roman Empire*. London-New Haven.
- Maiuri, A. 1953. *Roman painting*. Geneva.
- Mantzilas, D. 2016. “Les Divinités dans l’Oeuvre Poétique d’Ovide”. Tome 1. *Les Divinités de la nature* : 1-11.
- Mansueli, G. A., Lagona, S. and L. Laurenzi, 1979. *Arte romana 3. Pittura, arti minori*. Roma.

- Mantzilas, D. 2016. “Νέες προσεγγίσεις για τη διδασκαλία των Λατινικών” [New Approaches in Teaching Latin], *Φιλολογος*, 164: 236-253.
- Mantzilas, D. “Μετεξελίξεις και επιβιώσεις της Λατινικής: Νεολατινικά, ρωμανικές και διεθνείς βοηθητικές γλώσσες” [Evolution and Survival of Latin: Neo-Latin, Romanic and International Auxiliary Languages] Preprint in academia.edu.
- Mariën, M.E. 1945. *La sculpture à l'époque romaine*. Bruxelles.
- Marshall, F. H. 1911. *Catalogue of the Jewellery, Greek, Etruscan, and Roman, in the Departments of Antiquities. British Museum*. London.
- Massey, M. 1979. *Roman Religion*. Burnt Mill.
- Matt, L. von and D. Mustilli. 1958. *Scultura romana*. Genova.
- Mattingly, H., Sydenham, E. A., Sutherland, C. H. V et al., 1923 (reprint 1972). *The Roman Imperial Coinage*. London.
- Metcalf, W. E. 2012. *The Oxford Handbook of Greek and Roman Coinage*. Oxford.
- Miller, A. M. and D. Jarrett, 1991 (2009-4th edition). *Cameos, Old and New*. Woodstock.
- Morgan, T. 2001. “Assessment in Roman Education”. *Assessment in Education*, 8, 1: 11-24.
- Nardo, D. 1998. *Greek and Roman Mythology*. San Diego.
- Nicholson, F. 1965. *Greek, Etruscan, and Roman Pottery and Small Terracottas: A Brief Guide for the Small Collector*. London,.
- North, J. A. 2000 (reprint Cambridge, 2006). *Roman Religion*. Oxford.
- Olsen, M. 2006. *Roman Architecture, Orlando*.
- Oswald, F. and T. D. Pryce. 1920. *An Introduction to the Study of the Terra Sigillata, treated from a Cronological Standpoint*. London.
- Peacock, D. P. S. nd D. F. Williams. 1986. *Amphorae and the Roman Economy: An Introductory Guide*. London.
- Perry, W. C. 1881 (reprint 2013). *Greek and Roman Sulpture: A Popular Introduction to the History of Greek and Roman Sculpture*. London.

- Pesante, F. 2009. *Arte romana*. Firenze-Milano.
- Picard, G. CH. 1962. *L'art romaine*. Paris.
- Picard, G. CH. 1970. *Roman Painting*. London.
- Pollitt, J. J. 2014. *The Cambridge history of Painting in the Classical World*. New York.
- Radke, G. 1965 (1979²). *Die Götter Altitaliens*. Münster.
- Roberts, P. 2010. *Roman Cameo Glass in the British Museum*. London.
- Robertson, D. S. 1969 (1980²; reprint 2004). *Greek and Roman Architecture*. London.
- Roman, L. and M. Roman, 2010. *Encyclopedia of Greek and Roman Mythology*. New York,;
- Rose, H. J. 1936 (reprint Wauconda, 1996). *A Handbook of Latin Literature: from the Earliest Times to the Death of St Augustine*. London.
- Rozenberg, S. 1993/1994. *Enchanted Landscapes: Wall Paintings from the Roman Era*. Ramat = London.
- Rüpke, J. A 2007 (reprint 2013). *Companion to Roman Religion*. Oxford – Malden.
- Salles, C. 2003 (2013²). *La mythologie grecque et romaine*. Paris.
- Sear, F. 1982 (reprint 2014). *Roman Architecture*. London.
- Siebler M. and N. Wolf, 2007. *Roman Art*. Köln.
- Smith, W. A. 1955. *Ancient Education*. New York.
- Shelton, J.-A. 1998. *As the Romans Did: A Source Book in Roman Social History*. New York.
- Stewart, P. 2004 (reprint Cambridge 2010). *Roman Art*. Oxford.
- Strong D. E., Toynbee J. M. C. and R. Ling, 1976 (1995²). *Roman Art*. Yale.
- Strong, D. E. and D. Brown. 1976. *Roman Crafts*. London – New York.
- Strong, E. Sellers. 1907 (reprint Cambridge, 2015). *Roman Sculpture: from Augustus to Constantine*. London.
- Thibaut, R.-J. 1998. *Dictionnaire de mythologie et de symbolique romaine*. Paris.

- Thomsen, R. 1957-1961. *Early Roman Coinage: a Study of the Chronology*. København.
- Thorpe, M. 1995 (reprint with amendments 2001). *Roman Architecture*. Bristol-London.
- Too, Y. L. 2001. *Education in Greek and Roman Antiquity*. Boston.
- Torelli, M. 1982 (1992²). *Typology and Structure of Roman Historical Reliefs*. Ann Arbor.
- Toynbee, J. M. C. 1971 (reprint 1996). *Death and Burial in the Roman World*. Ithaca.
- TTS Group. 2015. *Roman Jewellery*, Sutton-in-Ashfield,;
- Turner, J. 2002. *The Dictionary of Art*. Volumes 26 and 27. Hong Kong.
- Tylecote, R. F. 1976. *A History of Metallurgy*. London.
- Vermeule, C. C. and P. Gusman. 1987. *Roman Decorative Art*. Boston.
- Walters, H. B. and A. H. Smith. 1926. *Catalogue of the Engraved Gems and Cameos, Greek, Etruscan, and Roman in the British Museum*. London.
- Ward-Perkins, J. B. 1974 (reprint Milano 2003). *Roman Architecture*. New York,;
- White, K. D. 1984 *Greek and Roman Technology*. Ithaca.
- Wickhoff, F., Anti C. and M. Anti, 1912 (1947²). *Arte romana*. Padova.
- Wiseman, T. P. 2004. *The Myths of Rome*. Exeter.
- Wissowa, G. 1902 (1912²). *Religion und Kultus der Römer*. München.
- Zanker, P. and H. Heitmann-Gordon, 2010. *Roman Art*. Los Angeles.
- Wikipedia article: “Ancient Roman Architecture”
[https://en.wikipedia.org/wiki/Ancient_Roman_architecture].
- Wikipedia article: “Ancient Roman pottery”
[https://en.wikipedia.org/wiki/Ancient_Roman_pottery].
- Wikipedia article: “Cameo (carving)”
[[https://en.wikipedia.org/wiki/Cameo_\(carving\)](https://en.wikipedia.org/wiki/Cameo_(carving))].
- Wikipedia article, “Education in Ancient Rome”
[https://en.wikipedia.org/wiki/Education_in_ancient_Rome].

Wikipedia articles: “List of Roman Deities”

[https://en.wikipedia.org/wiki/List_of_Roman_deities]; “Religion in Ancient Rome”

[https://en.wikipedia.org/wiki/Religion_in_ancient_Rome].

Wikipedia article: “Panel Painting”

[https://en.wikipedia.org/wiki/Panel_painting].

Wikipedia articles: “Pompeian styles”

[https://en.wikipedia.org/wiki/Pompeian_Styles]; “Roman wall painting (200 BC - AD 79)”

[[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_wall_painting_\(200_BC%E2%80%93AD_79\)](https://en.wikipedia.org/wiki/Roman_wall_painting_(200_BC%E2%80%93AD_79))].

Wikipedia article: “Roman art” [https://en.wikipedia.org/wiki/Roman_art].

Wikipedia article: “Roman Currency”

[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_currency].

Wikipedia articles: “Roman glass”

[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_glass].

Wikipedia article: “Roman Jewelry”

[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_jewelry].

Wikipedia article: “Roman Literature”

[https://en.wikipedia.org/wiki/Latin_literature].

Wikipedia article: “Roman Metallurgy”

[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_metallurgy].

Wikipedia article: “Roman mosaic”

[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_mosaic].

Wikipedia article: “Roman Mythology”

[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_mythology].

Wikipedia article: “Roman sculpture”

[https://en.wikipedia.org/wiki/Roman_sculpture].

Dimitrios Mantzilas

Université Paris-Sorbonne, France

Democritus University of Thrace, Greece

Interaction and Innovation between Greek and Roman Civilization

Key words: *Greek Civilization, Roman Civilization; Interaction; Innovation.*

To the Romans, the Greek civilization was a source of inspiration in every level (architecture, art, ideas, literature, mythology, religion). The influence of the Greek culture on the Romans who studied in depth and assimilated the Greek education (especially in the Roman period and because of it), and the process known as syncretism, created the Greco-Roman civilization, which in turn influenced and continues to influence catalytically the Western civilization. Moreover, Roman imitation (*imitatio*) and emulation (*aemulatio*) of Greek literature created Latin literature through which the Humanists got to know and preserve the ancient Greek texts and thus the thought and mentality of the Greeks. Both literatures continue to be studied all over the world because of their massive, globally radiating, effect. Furthermore, Greek loans on Latin language became a common phenomenon that spread later on many languages, a large part of which contains vocabulary of Greek origin. Following the opposite direction, words, phrases and expressions entered Modern Greek either unchanged from Latin either via re-borrowing, either moderated through the Romance Languages, enriching the linguistic wealth of it in different language environments.

ქეთევან ნადარეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

აკაკი წერეთლის პოემა „მედია“ არგონავტიკის მითოსის ქართულ ინტერპრეტაციაზე კონტექსტში

*საკვანძო სიტყვები: მედეა, არგონავტიკის მითოსი, ინტერ-
პრეტაცია, აკაკი წერეთელი, ანტიკური კოლხეთი.*

არგონავტების მითოსისა და მედეას სახის ინტერპრეტაცია ქართულ კულტურაში, მათ შორის ამ მითოსის აკაკი წერეთლისეული დამუშავება არაერთხელ გამხდარა ქართველ მეცნიერთა შესწავლის საგანი და მაინც, საყურადღებოდ მიგვაჩნია განვიხილოთ აკაკის პოემა „მედია“ და მედიას სახის პოეტისეული დამუშავება არგონავტების მითოსის ქართულ რეციპირებათა კონტექსტში, რათა თვალსაჩინო გავხადოთ, თუ რა როლი შეასრულა აკაკის მიერ შექმნილმა ნარატივმა ამ მითოლოგიური გმირის მიმართ ქართული კულტურის დამოკიდებულებაში. წერილის შეზღუდული ფორმატი, სამწუხაროდ, მხოლოდ ძირითადი ტენდენციების გამოკვეთის საშუალებას გვაძლევს.

თავიდანვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული მწერლობა კარგად იცნობ-

და ანტიკურ მემკვიდრეობას ბიზანტიური მწერლობიდან, არგონავტთა მითოსური ციკლის მოხსენიება ძველ ქართულ წყაროებში საკმაოდ ფრაგმენტულია. ამ ციკლის ერთ-ერთი ეპიზოდი – ბებრიკთა მეფე ამიკოსის კრივში არგონავტებთან შერკინება – გამარჯვების ადგილას სოსთენის ტაძრის დაარსების გამოისობით საკმაოდ პოპულარული გახლდათ ბიზანტიურ მწერლობაში. სწორედ ეს ეპიზოდი ჩართო ექვთიმე ათონელმა გერმანე პატრიარქის თხზულების – „თხრობაჲ სასწაულთათვის მთავარანგელოზისა მიქაელისათას“ მისეულ თარგმანში.¹

ძველი ქართული მწერლობის მეორე ძველი, რომელშიაც მოხსენიებულია კიდევ ერთი ეპიზოდი არგონავტების ციკლიდან გახლავთ ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარების – ე.წ. „ელინთა ზღაპრობანის“ ქართული თარგმანი. ეგრემ მცირესეულ ამ თარგმანის 43-ე საკითხავის კომენტარში მოხსენიებულნი არიან იასონი და კადმოსი, როგორც ურჩხულის კბილების მთესველნი. საყურადღებოა, რომ არც აქაა წარმოდგენილი მითი და ავტორი მხოლოდ ამ ინფორმაციით იფარგლება.²

ამის შემდეგ არგონავტიკის მითოსი ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში თითქმის ექვსი საუკუნის შემდეგ, XVII-XVIII სს-ში ჩნდება. კერძოდ, მის შესახებ გარკვეული ინფორმაცია დადასტურებულია ვახუშტის „გეოგრაფიაში“ და დავით ბატონიშვილის მითოლოგიურ ლექსიკონში.³ რაც შეეხება ამ ციკლის უფრო ვრცელ დამუშავებას, მას ვხვდებით გარდამავალი ხანის ორ ნაწარმოებში – იოანე ბატონიშვილის „კალმასობასა“ და თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“. გამომდინარე

¹ კეკელიძე 1945, 258 შმდგ; ურუშაძე 1964, 86.

² გამყრელიძე, ოთხმეზური 1989, 119.

³ ყაუხჩიშვილი 1949, 112-114; ასათიანი 1987.

იქიდან, რომ იოანე ბატონიშვილის თხზულება ენციკლოპედიური ხასიათისაა, არგონავტების თქმულების ინტერპრეტაცია მასში ზოგადად ბერძნული მითოლოგიის ინფორმირების კონტექსტში არის წარმოდგენილი. კერძოდ, მითოსის გადმოცემა იწყება იასონის დაბადების მოთხრობით და მთავრდება კორინთოში დატრიალებული ტრაგედიით. „კალმასობაში“ ავტორი გვამცნობს მედეას სასტიკი შურისძიების ამბავს – მედეა ხოცავს საკუთარ შვილებს და გველეშაპშებმული ეტლით კორინთოდან მიფრინავს. როგორც ვხედავთ, იოანე ბატონიშვილი მითოსის კორინთოსეული ეპიზოდის ევრიპიდესეულ დამუშავებას გვთავაზობს. ასეთია ქართულ მწიგნობრულ ტრადიციაში მედეას მითოსის პირველი მოხსენიება თუ მოკლე დამუშავება.⁴

ზემოთ ხსენებული მეორე ნაწარმოები – თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორია“ კი, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურაში არგონავტების მითოსის პირველ მხატვრულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. თეიმურაზი, იოანე ბატონიშვილისგან განსხვავებით, მედეას შვილების მკვლელად არ გვიხატავს, მედეა არც თავისი ძმის მკვლელია, არც თესევსის მოკვდინების მცდელობაშია დამნაშავე. გარდა ამისა, ავტორი ცდილობს მედეა, რაც შეიძლება დადებითად წარმოაჩინოს, ხაზი გაუსვას მის დაფასებულ სტატუსს საზოგადოებაში და ა.შ. ყოველივე ეს კი ქმნის მედეას სახის რეციპირების ახალ მიმართულებას, რომელიც, შეიძლება ითქვას, მედეას ფიგურის რეაბილიტაციას – სრულს ან ნაწილობრივს – ისახავს მიზნად.⁵

⁴ ბატონიშვილი 1990.

⁵ თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიაში“ არგონავტების მითოსის განხილვისათვის იხილეთ შარაძე 1974, 19-55; ასევე ნადარეიშვილი 2012, 303-314; ახოზაძე 1973, 119-124.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ძველი და გარდამავალი ხანის ქართული მწერლობა არ ავლენს ამ მითოსის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს. არადა, არგონავტების მითოსი ის მხატვრული ძეგლია, რომელშიც ძველი კოლხეთი შთამბეჭდავ ფერებშია წარმოჩენილი. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ციკლი შვილთამკვლელ კოლხ ქალს – მედეას წარმოგვიდგენს და ამ მითოლოგიური ფიგურის ქმედების გამოისობით უძველესი ქართველების წარუმატებლობას – მათი ქვეყნიდან ოქროს საწმისის გატაცებას – გადმოგვცემს. როგორც ჩანს, ეს ტრავმატული მოვლენები იყო კიდევ ქართულ დისკურსში ამ მითოსის მიმართ, ასე ვთქვათ, „დუმილის პოზიციის“ ძირითადი მიზეზი.⁶

XIX საუკუნის 60-იან წლებში აკაკი წერეთელი ხელს ჰკიდებს არგონავტიკის ციკლის დამუშავებას. ამ პერიოდში, ეროვნული თვითშეგნების აღორძინების წლებში, სისხლხორცეული შეიქმნა პატრიოტული გრძნობის გაღვივება, საქართველოს ისტორიის სახელოვანი ფურცლების გახსენება. როგორც ჩანს, ანტიკური მწერლების ნაწერებში აღწერილმა „ოქრომრავალი კოლხეთის“ წარმოჩენის სურვილმა სძლია ქართულ კულტურაში ამ მითოსის მიმართ ზემოთ ნახსენები „დუმილის პოზიციას“. აკაკი წერეთლის მიზანს წარმოადგენდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისტორიული სიმართლის“ ჩვენება „... და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენ, ქართველები ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია“.⁷

აკაკიმ პოემაში სახელწოდებით „მედია“ არგონავტების თქმულების განსხვავებული ინტერპრეტაცია მოგვცა, რაც ფაბულის რიგი ელემენტების ახლებურ დამუშავებაში მდგომარე-

⁶ Nadareishvili 2012, 479-497.

⁷ წერეთელი 1897, 5.

ობდა, თუმცა მისი ძირითადი ინოვაცია მაინც მედეას სახის გააზრება იყო. მედეას სახის თეიმურაზისეული დადებითი წარმოდგენის ტენდენცია აკაკი წერეთელმა კიდევ უფრო გააძლიერა. მასთან მედია (მედეას აკაკი წერეთელი მედიას უწოდებს და ამ სახელწოდების სახეცვლილების მიზეზს პოემის კომენტარებში განმარტავს) გარეგნობით იმდენად მშვენიერია, რომ თვით აფროდიტესაც კი შურს მისი. გარეგნულ იერთან ერთად მედიას სულიც მშვენიერი აქვს. მამიდის სიტყვებით, იგი მეტად ჭკვიანია. მშობლებს იმედი აქვთ, რომ მედია დაემორჩილება მათ სურვილს და მცხეთის მამასახლისის მეუღლე გახდება. თუმცა, საუბედუროდ, აიეტის ასულში ჩასახული საბედისწერო სიყვარულის გრძნობა უფრო ძლიერი აღმოჩნდება და მას ბერძენი ჭაბუკი – იასონი შეუყვარდება, რომელიც კოლხეთში ოქროს საწმისის წასაღებადაა ჩამოსული. ეს კი კოლხეთის ძლიერებას უთხრის საძირკველს. აიეტის ასულს ძალზე უჭირს სამშობლოს ღალატი. სამშობლო ქვეყნის უსაზღვრო სიყვარული იგრძნობა მედიას კოლხეთიდან გაპარვის სცენაში, რომელშიც პოეტი გმირი ქალის მძიმე სულიერ განცდებს წარმოგვიდგენს.

საყურადღებოა, თუ რა როლი ეკისრება ამ პოემაში მედიას იასონის საგმირო საქმეების აღსრულებაში. შეიძლება ითქვას, რომ მედეა აკაკი წერეთელთან საერთოდ არ გვევლინება იასონის შემწედ. აქ იასონს ორფევსი და თეთრი ძროხა ეხმარებიან. პირველმა სიმღერით მოაჯადოვა მთა და ბარი, ხოლო მეორემ ისე მოხიბლა შავი მოზვრები, რომ მათ, ვნებით დაქანცულებმა, რქენა და რჩოლა ვედარ შეძლეს. რაც შეეხება გველემპს, ის ძილის წამლით გავსებული ბურთით არის პოემაში გაუვნებელყოფილი.

აკაკი წერეთელს მედია ძმის მკვლელადაც არ გამოჰყავს. იასირი (აფსირტოსი) არგონავტებმა მსხვერპლად შესწირეს ღმერთებს, რათა მდეგრებისგან თავი დაეხსნათ. დადევნებულმა კოლხებმა შორით დაინახეს ნავში მჯდომი მტირალი მედია, რომელსაც თმა გაეშალა და ასე გლოვობდა საყვარელ ძმას.⁸

როგორც ვხედავთ, აკ. წერეთლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, ძველი კოლხეთის კონკრეტულ ისტორიულ-ეთნოგრაფიული სურათის აღდგენა, მეორე მხრივ კი მედიას სრული რეაბილიტაცია. თუმცა უნდა ითქვას, რომ აკაკისეულმა მედიას ინტერპრეტაციამ ამ სახის გაფერმკრთალება, ტრაგიკული შინაარსისგან მისი დაცლა გამოიწვია. შედეგად, ევრიპიდესეულ ტრაგიკულობას მოკლებული სახე ვერ გახდა ამ გმირი ქალის მაღალმხატვრული, წარმატებული ლიტერატურული პორტრეტი.

ბუნებრივია, ქართულ კულტურაში არგონავტიკის მითოსის ინტერპრეტაციათა ძირითად მიმართულებებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით თეატრალურ სივრცეს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული პროფესიონალური თეატრის ჩამოყალიბებისთანავე ანტიკური ტრაგედიები ერთობ პოპულარული იყო და თბილისისა და ქუთაისის თეატრების სცენებზე არაერთგზის იდგმებოდა, ევრიპიდეს „მედია“ 1963 წლამდე არც ერთხელ არ ყოფილა წარმოდგენილი. ყამირი, როგორც იქნა, 1963 წელს რეჟისორმა ა. ჩხარტიშვილმა გატეხა, როდესაც მარჯანიშვილის თეატრში ევრიპიდეს „მედია“ დადგა. სამწუხაროდ, ჩვენი სტატიის შეზღუდული ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს განვიხილოთ ამ დადგმის ერთობ საინტერესო ინოვაციები. აქ მხოლოდ ერთი შეგვიძლია აღვნიშნოთ: სპექტაკლი შეფასებულ იქნა როგორც ერთობ მაღალმხატვრული ესთეტიკური პრო-

⁸ წერეთელი 1956; ურუშაძე 1962, 43 და შმდგ.

დუქტი. ბრწყინვალე რეჟისორული ნამუშევრის გარდა, დადგმის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა დიდმა ქართველმა მსახიობმა – ვ. ანჯაფარიძემ, რომელმაც უზადოდ შეასრულა მედეას როლი.⁹

ჩხარტიშვილის მიერ დადგმული ევრიპიდეს „მედეას“ პარალელურად ქართულ თეატრალურ სივრცეში წარმოდგენილი იყო ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის – ლ. სანიკიძის დრამა „მედეა“, რომელსაც საფუძვლად ედო მისივე მოთხრობა/ნოველა „ამბავი კოლხი ასულისა“. თუ ჩხარტიშვილის მიერ დადგმული „მედეა“ ქართულ კულტურაში იოანე ბატონიშვილის მიერ შემოტანილი მედეას რეციპირების ხაზის გაგრძელებად წარმოგვიდგება, ლ. სანიკიძის დრამა „მედეა“ და მისი ზემოხსენებული მოთხრობა თეიმურაზ ბატონიშვილისა და აკაკისეული მედეას სახის ინტერპრეტაციის გაგრძელებად შეიძლება მოვიაზროთ. მართალია, ლ. სანიკიძესთან მედეას რეაბილიტაციის მცდელობა ისეთ მაღალ ნიშნულს არ აღწევს, როგორსაც აკაკისთან, მაგრამ მასთან მედეა გამართლებულია ყველაზე საშინელ დანაშაულში – მედეა შვილების მკვლელად არ არის გამოყვანილი. უნდა ითქვას, რომ ლ. სანიკიძემ – ანტიკური ისტორიის სპეციალისტმა შესანიშნავად იცოდა, რომ ევრიპიდესეული ვერსიის გარდა, ანტიკურ წყაროებში დადასტურებული იყო მითოსის ის ვერსიები (პარმენისკოსის, დიდიმოსის და ა.შ.), რომელთა მიხედვითაც მედეას შვილები კორინთელებმა მოკლეს, შემდეგ კი თავიანთი დანაშაული კოლხ ქალს გადააბრალეს. როგორც თავად მწერალი გვამცნობს შესავალში: „თითქმის ყველა ბერძენი მწერალი ტენდენციური იყო. ისინი ჩქმლავდნენ „უცხო–ბარბაროსი“ ხალხის მიღწევებს და ზომა-

⁹ Nadareishvili 2010, 331-339.

ზე მეტად განადიდებდნენ თანამემამულეთა – ელინთა საქმეებს“.¹⁰ ამიტომ ლ. სანიკიძე, მისივე თქმით, შეეცადა მიახლოებით მაინც აღედგინა ძველთაძველი საბერძნეთისა და კოლხეთის ურთიერთობის მართებული სურათი. ლ. სანიკიძის დრამა „მედია“ XX საუკუნის 60-80-იან წლებში ხშირად იდგმებოდა საქართველოს რეგიონალურ თეატრებში და პოპულარობითაც სარგებლობდა, თუმცა მას, ალბათ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებად ვერ მივიჩნევთ. რაც შეეხება საბალეტო და საოპერო სასცენო სივრცეებში ამ მითოსის რეციპირების ხაზებს, შეიძლება ითქვას, რომ აქაც სახეზე გვაქვს მედეას ფიგურისადმი ქართულ კულტურაში გამოკვეთილი ორივე ტენდენცია – კერძოდ, რ. გაბიჩვაძის ბალეტი „მედია“ (ლიბრეტოს ავტორი და ქორეოგრაფი გ. ალექსიძე) მისდევს მითოსის იოანე ბატონიშვილისეული ინტერპრეტაციის ხაზს, ხოლო ბ. კვერნაძის ოპერის „ამბავი კოლხი ასულისა“ ლიბრეტო ლ. სანიკიძის პიესას ეფუძნება.¹¹

მოგვიანებით, უკვე XXI საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 2002 წელს, რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ დადგა „მედია“ ახლად დაარსებულ თავისუფალ თეატრში. რეჟისორმა მედეას მითოსის ახლებური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა, რომელიც ევრიპიდეს და ანუის ტრაგედიათა და თავად რეჟისორის ვერსიის ერთგვარ კომპილაციას წარმოადგენს. აქაც დრამატურგმა მიზნად დაისახა მოეხდინა მედეას რეაბილიტაცია – მედეა უდანაშაულოა შვილების მკვლელობაში, ამას კი მას ევრიპიდე მიაწერს, რომლის ბრალდებებსაც ისტერიკაში ჩავარდნილი მედეა ფეხქვეშ თელავს. თავზარდაცემული ქალი სცენაზე თავის მართლებას იწყებს: „ყველაფერი, რაც აქ წერია, მთლიანად ტყუილია. უამ-

¹⁰ სანიკიძე 1963.

¹¹ ბალანჩივაძე 1979, 34-38; ბიბლიოეშილი 1997, 7-13.X.

რავი ტყუილი ითქვა ჩემზე. ო, ევრიპიდეე, რატომ არ მოუყევი ყველას ჩემი ნამდვილი ამბავი! დიახ, მე მიყვარდა მამაჩემი, ჩემი ძმა, ჩემი სამშობლო, მაგრამ ეს ისაა, რისი გაგებაც შენ არ შეგიძლია ...“.¹²

ვფიქრობთ, მედეას მითოსისადმი ქართული კულტურის დამოკიდებულების ჭრილში საინტერესოა 2010 წელს საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში დადგმული ა. მაჭავარიანის ოპერა „მედეა“, რომლის ლიბრეტო მის ვაჟს – კომპოზიტორსა და დირიჟორს ვ. მაჭავარიანს ეკუთვნის. ოპერა არგონავტების კოლხეთში ჩასვლით იწყება და კორინთოში დატრიალებული ტრაგედიით სრულდება. თუ ოპერის I ნაწილი მისდევს მითოსის ტრადიციულ ვერსიას, განსხვავებულია II ნაწილი, რომელშიც ამბები კორინთოში ვითარდება. იასონის საცოლისათვის საჩუქრები აქ თავად მედეას მიაქვს, რის შემდეგაც კრეონი და კრეუსა იღუპებიან. როცა გამწარებული იასონი ცოლთან მირბის, ქმართან პირისპირ დარჩენილი მედეა იღებს მახვილს და სიტყვებით „აი, ასე მოვკალი შვილები“, მახვილს გულში ჩაიცემს. თვითმკვლელობამდე კი ქმარს უცხადებს, რომ თუ ის არ მოკლავდა შვილებს, მაშინ ისინი მტრის ხელით დაიხოცებოდნენ. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ ჩვენ, მაყურებლები, არც სცენაზე და არც სცენის მიღმა არ ვხედავთ/ არ ვისმენთ, მედეას მიერ ჩადენილ ამ საზარელ აქტს – შვილების მკვლელობას. ამდენად ამ ამბავს მხოლოდ მედეას სიტყვებით ვიტყობთ. ლიბრეტოს ავტორი თავის ბროშურაში წერს, რომ მედეას განაცხადის მიუხედავად, თავად იგი ამ ადგილას დიდი კითხვის ნიშანს სვამს – მართლა დახოცა მედეამ შვილები, თუ

¹² გ. კაპანაძის დადგმის კრიტიკული განხილვისთვის იხილეთ ჩხარტიშვილი 2004, 15.

იგი იასონს ეუბნება, რათა ტკივილი მიაყენოს მას. ორიგინალურია ოპერის ფინალიც. მედეას თვითმკვლელობა იასონს გონებას უნათებს. იგი დასტირის მედეას, რომლის გარეშეც ხვდება, რომ სიცოცხლე აღარ შეუძლია. შემდეგ კი თავს იკლავს, რათა ამით ნაწილობრივ მაინც გამოისყიდოს დანაშაული და ახალ ცხოვრებაში შეუერთდეს ოჯახს.¹³ ამდენად, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს ლიბრეტოს ავტორის სურვილი, შეარბილოს მედეას ქმედება, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან მართლაც მოკლა შვილები, ეს წინასწარდაგეგმილი მკვლელობა კი არ იყო, არამედ ჩიხში მომწყვდეული ადამიანის სასოწარკვეთილი საქციელი. სამწუხაროდ, ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს განვიხილოთ ვ. მაჭავარიანის შეხედულებები იმის თაობაზე, თუ როგორ მოახდინა ევრიპიდემ მედეას ფიგურის დემონიზაცია, მედეასი, რომელსაც ლიბრეტოს ავტორი უნივერსალურ პიროვნებად მიიჩნევს.

დაბოლოს, მოკლედ განვიხილავთ ო. ჭილაძის რომანს „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელიც ქართულ კულტურაში არგონავტების მითოსის ინტერპრეტაციის გამოკვეთილად ახალ ტენდენციად უნდა იქნას მოაზრებული. ეს რომანი XX ს-ის 70-იან წლებში დაიბეჭდა და მაშინვე დიდი აღიარება მოიპოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. რომანი არგონავტების მითოსის მხოლოდ ერთ ეპიზოდს წარმოგვიდგენს, კერძოდ, ამბავი იწყება ფრიქსოსის კოლხეთში ჩამოსვლით და სრულდება არგონავტების მიერ ოქროს საწმისის გატაცებით. „მითოლოგიური პლანის“ პროზაული ეპოსი ისე ამუშავებს ამ ცნობილ მითოსს, რომ არ ცდილობს „ადადგინოს“ ლეგენდა.¹⁴ აქ

¹³ მაჭავარიანი 2010, 59.

¹⁴ მერკვილაძე 1977, 68.

ცნობილი მითი სიუჟეტში ჩასმული რეალური ამბის ალეგორიული გახსნის საშუალებად გვევლინება. უნდა ითქვას, რომ ო. ჭილაძე ოსტატურად ავითარებს ამ მიდგომას. მართლაც, რომანში ვერ ვხედავთ ამ მითოსის ფოლკლორისეულ ელემენტებს – ვერც ეროსის ისრით დაკოდილ მედეას, ვერც ცეცხლისმფრქვეველ ხარებს, ვერც გველეშაპს და სხვა მსგავს ზებუნებრივ არსებათ. მეორე მხრივ, რომანის რეალიზმი არ არის „წმინდა რეალიზმი“, რამეთუ აქ საქმე გვაქვს ე.წ. „მითოლოგიურ რეალობასთან“, რომელსაც არა აქვს ისტორიული დრო, სადაც ყველაფერი წრეში ბრუნავს. სწორედ ამ რეალობაში ცხოვრობენ ვანის, კოლხეთის დედაქალაქის მაცხოვრებლები. ისინი, ერთი მხრივ, ზენაციონალური, ე.წ. „მითოლოგიური ადამიანები“ არიან და, მეორე მხრივ, მათ ჩვევებში, ტრადიციებში, ხასიათის თვისებებში ნამდვილი კოლხი ხალხის თვისებები ჩანს.¹⁵ კოლხეთის მაცხოვრებელთა ჩვეული ბედნიერი ცხოვრების დასასრულის დასაწყისი პირველი უცხოელის – ფრიქსოსის გამოჩენით იწყება. ავტორი სიმბოლურად მიგვანიშნებს ამ მოვლენაზე – ფრიქსოსის გამოჩენას ზღვის ერთი ნაბიჯით უკან დახევა მოსდევს.

ო. ჭილაძის მთავარი ინოვაცია იმაში მდგომარეობს, რომ ფრიქსოსის ჩამოსვლას და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს რომანში „რეალური ამბავი“ უდევს საფუძვლად. ეს კოლხეთის დაპყრობის გეგმაა, რომელსაც კრეტის მეფე მინოსი ადგენს. იგი ფრიქსოსსა და ვერძს კოლხეთში იმიტომ აგზავნის, რომ ფრიქსოსი იქ დასახლდეს, იქ გაიჩინოს ბუდე და ჰპოვოს

¹⁵ Анненский 2000, 8-9; ჭილაძის მიერ ბერძნული წყაროებიდან ცნობილი მითოლოგიური ფიგურების ქართველ პერსონაჟებად გარდაქმნის შესახებ იხილეთ ასევე Childs 2019, ქვეთავი Medea and Others Made Georgian, 383 შმდგ. ასევე Childs 2007, 137-146.

სამარე. გეგმის მეორე ნაწილი იასონის ექსპედიციას, რომლის ნამდვილი მიზანი ოქროს საწმისის წამოღება კი არ გახლავთ, არამედ იასონის კოლხეთში, კოლხების ხელით დაღუპვა. მხოლოდ იასონის სიკვდილის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი გეგმის მესამე, ფინალური ნაწილის განხორციელება – ბერძნებს უფლება ექნებოდათ იასონზე შურისძიების საბაბით კოლხეთი დაელაშქრათ. მაგრამ მინოსის ოსტატურად დაწყობილ გეგმას მედეა ჩაშლის. როგორც მართებულად აღნიშნავს ანენსკი, არგონავტების თქმულების ჭილაძისეული გადმოცემა ინტერვენციის კლასიკურ პარადიგმად შეიძლება განვიხილოთ. მრავალი საუკუნის წინანდელი ინტერვენციის სქემა ძალზე ჩამოგავს ინტერვენციის თანამედროვე გეგმებს.¹⁶ მაგრამ ყველაზე საყურადღებო ჩვენთვის, როგორც არგონავტთა მითოსის ქართულ ინტერპრეტაციათა შემსწავლელთათვის, აქ არის ის, რომ მწერალი ახერხებს დასძლიოს ინტერვენციის ფენომენისადმი ქართული კულტურის გაუცნობიერებელი შიში, ზემოთ ნახსენები ნაციონალური ტრავმა. რომანი მოგვითხრობს, თუ როგორ დაამარცხა აიეტი მისივე სისხლმა და ხორცმა ოყოჯადომ, რომლის ოჯახიც აიეტმა ადრე კოლხეთიდან გააძევა და რომელიც კრეტას თავშეფარებული მოთმინებით ელოდა თავის დროს. ესეც ინტერვენციის კლასიკური სქემის მეორე მაგალითი გახლავთ. ამასთან ძალზე საყურადღებოა, რომ ჭილაძისეული ვერსიით, ოქროს საწმისი აღარ არის სიმბოლო იმ განძისა/ძალისა, რომელიც გქონდა და აღარა გაქვს, უფრო მეტიც, ის საერთოდ აღარაა არაფრის სიმბოლო.

როგორც ვხედავთ, ო. ჭილაძე ძირეულად ცვლის არგონავტების მითის ინტერპრეტაციის თეიმურაზ ბატონიშვილის და აკ-

¹⁶ Анненский 2000, 10.

აკი წერეთლისეულ ტენდენციას. მწერალი ამ მითს საქართველოს ისტორიის დიდებული დღეების საილუსტრაციოდ არ იყენებს. აქ აღარაა არც სხვების დადანაშაულების მცდელობა, რომ იმათ მოიტაცეს ის, რაც შენ გეკუთვნოდა. მეტიც, ცნობილი მითი აქ ფილოსოფიური და ეგზისტენციალური საკითხების მხატვრული დამუშავების იარაღად გვევლინება.

ახლა რაც შეეხება მედეას სახის ო. ჭილაძისეულ ინტერპრეტაციას. მამიდა ყამარის, გარკვეული გაგებით გრძნეულის, მიერ აღზრდილი მედეა ბავშვობიდან ბუნების საიდუმლოებებსაა ზიარებული. მას სიზმარში ისე შეუყვარდება იასონი, რომ ჯერ თვალითაც არ ჰყავს ნანახი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ იასონს არც ცეცხლისმფრქვეველი ხარების დამორჩილება და არც სიკვდილის ჭალის დათესვა არ ევალება. ოქროს საწმისს დრაკონი კი არ იცავს, არამედ ის აიეტთან ინახება. მედეა ბერძენ ჭაბუკს იმით ეხმარება, რომ მამას ხელოვნური ძილით აძინებს. ამ ძილში აიეტი ყველაფერს ხედავს და ესმის, მაგრამ არაფრის გაკეთება არ ძალუძს, იასონი კი მისი მდგომარეობით სარგებლობს, ქალად გადაცმული სასახლეში შეიპარება და ოქროს საწმისს იტაცებს. ამის შემდეგ მოვლენები არგონავტიების მითოსში გადმოცემულ ამბავთა მსგავსად ვითარდება – მედეა ეხმარება იასონს, ღალატით მოკლავს ძმას და ამით საშუალებას აძლევს არგონავტებს, თავი დააღწიონ მდევარ კოლხებს.

ამდენად, გარკვეულწილად, ო. ჭილაძისეული მედეა ჩამოჰგავს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მედეას. მთლიანობაში კი ჭილაძის მედეა ასევე შეიძლება გააზრებულ იქნას ე.წ. „დამხმარე ქალწულის“ ტიპად.¹⁷

¹⁷ Clauss 1997, 149-78.

ჩვენდა დასანანად, მწერალს იასონისა და მედეას სასიყვარულო ისტორია აღარ განუვითარებია. ამდენად, არ ვიცით, თუ როგორ წარმოგვიდგენდა ავტორი მათი ისტორიის ბოლო, ყველაზე ტრაგიკულ აკორდს. ჩვენ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია იმის თაობაზე, რომ ო. ჭილაძე საბერძნეთში მედეას მოსალოდნელ ტრაგედიას ხედავდა. რომანის I ნაწილის ფინალში აიეტი, ვფიქრობთ, ახმოვანებს მწერლის პოზიციას – ტახტიდან ჩამოგდებული კოლხეთის მეფე მწარედ დასტირის თავისი ქალიშვილის ხვედრს უცხო ქვეყანაში.

ვფიქრობთ, ქართულ კულტურაში არგონავტების მითოსის რევიპირების უმთავრესი ტენდენციების განხილვამ აჩვენა, თუ რა ადგილი უკავია აკაკი წერეთლის „მედიას“ ამ დისკურსში. აკაკი წერეთელი არა მარტო აგრძელებს ამ მითოსის ინტერპრეტირების თეიმურაზ ბატონიშვილისეულ ხაზს, არამედ მედეას რეაბილიტირების თვალსაზრისით ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს. მისი მედეას, როგორც მხატვრული სახის წარუმატებლობის მიუხედავად, არგონავტიკის მითოსის ინტერპრეტირების მისეული ხაზი ერთობ წარმატებული აღმოჩნდა, რასაც ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ლიტერატურული ნაწარმოებები და სხვადასხვა ჟანრის თეატრალური ნამუშევრები ცხადყოფს.

ბიბლიოგრაფია:

Анненский, Лев. 2000. „Дорога и обрыв“. *Чиладзе О. Шел по дороге человек*. СПб.: Азбука.

ასათიანი, ვალერი. 1987. *ანტიკურობა ძველ ქართულ მწერლობაში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ახოზაძე, ლიანა. 1973. „თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულების „ჭრიკსა და ოქროსმატყლოვანისათვის ვერძისა“ წყაროს საკითხისათვის“. *მრავალთავი*, III. თბილისი: მეცნიერება, 119-125.

ბალანჩივაძე, ელისაბედ. 1979. „რ. გაბიჩვაძის ბაღეტი „მედეა“. *საბჭოთა ხელოვნება* №3, 34-38

ბატონიშვილი, იოანე. 1990. *ხუმარსწავლა: კალმასობა*, I. თბილისი: მერანი.

ბიბლიეიშვილი, იური. 1997. „კოლხი ასულის ტრაგედია“. *სახალხო გაზეთი*. 7-13.X.

გამყრელიძე ალექსანდრე და თამარ ოთხმეზური. 1989. *ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტართა ქართული ვერსია*. თბილისი: მეცნიერება.

კეკელიძე, კორნელი. 1945. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Clauss, James. 1997. „Conquest of the Mephistophelian Nausicaa: Medea’s Role in Apollonios’ Redefinition of the Epic Hero“. *Medea, Essays on Medea in Myth, Literature and Art*. Princeton: Princeton University Press, 149-178.

მაჭავარიანი, ვახტანგ. 2010. მედეა (ბროშურა). თბილისი.

მერკვილაძე, გიორგი. 1977. „თანამედროვე რომანის მოძრაობა“. *კრიტიკა* №2.

Nadareishvili, Ketevan. 2010. “Medea on the Georgian Scene”. *Theatre and Theatre Studies in the XXI Century, Proceedings*. Athens: “Argo” Publishing, 331-339.

Nadareishvili, Ketevan 2012. “Cosmopolitanism and Nationalism in Georgian Culture in the Light of Interpreting Classical Heritage”. *Creoles, Diasporas and Cosmopolitanisms, The Creolisation of Nations, Cultural Migrations, Global Languages and Literatures*. Bethesda – Dublin – Palo Alto: Academia press, 479-497.

ნადარეიშვილი, ქეთევან. 2012. „არგონავტების მითის ინტერპრეტაცია თეიმურაზ ბატონიშვილის ივერიის ისტორიაში“. *VI საერთაშორისო სიმპოზიუმი „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“*, ნაწილი I. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 303-314.

სანიკიძე, ლევან. 1963. *ამბავი კოლხი ასულისა*. წინასიტყვაობა. თბილისი: ნაკადული.

ურუშაძე, აკაკი. 1964. *ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ურუშაძე, აკაკი. 1962. „აკაკი და მემკვიდრეობა“. *საბჭოთა ხელოვნება* №1, 39-45.

ყაუხჩიშვილი, სიმონ. 1949. *ბერძნული ლიტერატურის ისტორია*. II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შარაძე, გურამ. 1974. *თეიმურაზ ბატონიშვილი*. II. შემოქმედება. თბილისი: მეცნიერება.

Childs, Mary. E. 2007. “A Thoroughly Georgian Medea?: Classical Motif in Otar Chiladze’s A Man Went Down the Road”. *Phasis* 10 (II): 137-146.

Childs, Mary. E. 2012. „Classical Allusions and Imperial Desire: Problems of Identity in Georgian and Russian Literature“, PhD diss., University of Washington.

<https://digital.lib.washington.edu/researchworks/bitstream/handle/1773/21796/Childs-washington-0250E-10981.pdf?sequence=1&isAllowed=y>

ჩხარტიშვილი, ლაშა. 2004. „მედეას ახალი, თუმცა არამართებული სიცოცხლე“. *თეატრი და ცხოვრება* №6.

წერეთელი, აკაკი. 1897. „სიტყვა თქმული თელავში სადილზე“, *აკაკის თვითი კრებული* №3, 3-10.

წერეთელი, აკაკი. 1956. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. ტომი VI. თბილისი:საქ. სსრ. სახ. გამ-ბა.

Ketevan Nadareishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Akaki Tsereteli's *Media* in the Context of the Georgian Interpretations of the Argonaut Myth

Key words: *Medea*, *Argonauts' Myth*, *Interpretation*, *Akaki Tsereteli*, *Ancient Colchis*.

Even though old Georgian literature was familiar with the famous Argonaut cycle, the creative adaptation of this myth started in the XVIII-XIX centuries. The receptions of the Argonaut cycle presented – on one hand in Ioanne Batonishvili's *Kalmasoba* while, on the other, in Teimuraz Batonishvili's *The History of Iveria* – gave rise to two main tendencies of the interpretation of the Argonaut mythos in Georgian culture. First one, namely *Kalmasoba*, follows Apollonius Rhodius and Euripides' versions, depicting Argonaut's expedition and Medea's image. The second – Teimuraz Batonishvili's reception incepted the tendency of Medea's *rehabilitation*, according to which Medea is innocent of the murders of her brother and children.

The aim of our paper is to study Tsereteli's poem *Media* in the context of Georgian receptions of the Argonaut's cycle; and specifically to: (1) investigate the novelty of Tsereteli's interpretation of the myth; (2) analyze the artistic productions that continue Tsereteli's line of the interpretation of the Medea myth; (3) overview briefly the abovementioned second tendency of the myth's reception based on the ancient sources and consider the novel approach to the Argonauts' myth.

The study made evident, that Tsereteli not only continued Teimuraz Batonishvili's line of interpretation, but also culminated in Medea's rehabilitation. Though the poem failed to become a successful piece of literature, this version of interpreting the Argonauts' myth still occurred to be very viable for the Georgian culture. To confirm the thesis, the paper discusses those artistic productions which seem to be the continuation of Tsereteli's line of interpretation, namely L. Sanikidze's *The Story of the Colchian Maiden* and the drama *Medea*, the Operas of B. Kvernadze and A. Machavariani and the spectacle of theatre director G. Kapanadze. For these receptions two moments seem to be especially important: (1) the tendency to reflect the Argonaut myth primarily in the context of Georgia's ethnical and historical problems and to understand this myth as the symbol relating the Georgian culture to the western civilization; (2) the attempts to rehabilitate Medea from the crimes ascribed to her by the Greek sources.

The paper studies the reworking of the Argonaut's myth by O. Chiladze (the novel *Man was Going down the Road*) as the interpretation based on a new approach towards a phenomenon of a mythos that differs from the above tendencies of the reception of the Argonauts' myth in the Georgian culture. The author is interested in this myth not for it being a manifestation of Georgia's past glory, but as a means for the artistic presentation of the philosophic issues. Such an approach diminishes the issue of Medea's rehabilitation, which appeared to be the main characteristic of Tsereteli's line of the reception of this mythic figure.

ნანა ტონია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

დიოტიმას „სიმპოსიონის ფილოსოფია“ და საკფოს პოეზია

*საკვანძო სიტყვები: საკფო, დიოტიმა, სიმპოსიონი, ჰომერი-
ოსი, დემეტრიოსი*

პლატონის დიალოგი „სიმპოსიონი“ რომ არა, დიოტიმას შე-
სახებ თითქმის არაფერი გვეცოდინებოდა, მიუხედავად იმისა,
რომ რამდენიმე წყარო მოგვიანებით მის სახელს მოიხსენიებს.
„სიმპოსიონის“ კომენტატორები აღნიშნავენ, რომ დიოტიმას სა-
ხე შესაძლებელია იყოს ფიქციაც, უბრალოდ, „ბრძენი“ ქალის
სიმბოლოც, თუმცა მისი რეალური არსებობაც დასაშვებია.¹

რა ცნობებს გვაწვდიან წყაროები დიოტიმას შესახებ?

ყველაზე ადრეული პლატონის „სიმპოსიონია“. დიალოგის
მთავარი მოსაუბრის, სოკრატეს თანახმად, დიოტიმა იყო ქალაქ
მანტინეადან, „განსწავლული“ არა მხოლოდ „ეროტიკის“, არამ-
ედ სხვა საქმეებშიც. მან ჟამიანობისას, როდესაც მსხვერპლს

¹ Лосев 1970, 527.

სწირავდნენ, ათენელებს ამ სენის საფრთხე ათი წლით ააცილა თავიდან. სწორედ ამ დიოტიმამ აზიარა სოკრატე მოძღვრებას სიყვარულზე („Διοτίμα... ἐμὲ τὰ ἑρωτικά ἐδίδαξαν“ Pl. *Symp.* 201 d). სოკრატე დიოტიმას „ბრძენს“ (σφιγν, 201 d), უფრო მეტიც, „ბრძენთა ბრძენს“ (σφισθη, 208 c) და თავის მოძღვარს (διδασκάλων, 207 c) უწოდებს.²

პროკლოსი პლატონის „სახელმწიფოს“ კომენტარებში ასახელებს პითაგორელ ქალებს: თენოს, ტიმიქესა და დიოტიმას (I 248, 25-30). ელიუს არისტიდესის სქოლიასტი დიოტიმას მოიხსენიებს „მისტერიულ ფილოსოფოსად და წინასწარმეტყველად (Aelii Aristidis orationes, rec. G. Dinorfii, v. III, 468 k, p. 127, 11), არკადიაში ლიკიელი ზევსის ქურუმად (III, 468 k, p. 127, 15), უგანათლებულეს ქალად, რომელმაც ჭირიანობა ათენში ათი წლით შეაფერხა (II, 127).

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი ცნობა, რომელიც ეკუთვნის II საუკუნის ცნობილ მჭევრმეტყველს, შუა პლატონური ფილოსოფიის წარმომადგენელს, მაქსიმოს ტიროსელს: „დიოტიმას გადმოცემით, ეროსი ხარობს, როდესაც აღწევს საწადელს და კვდება, როდესაც ვერ აღწევს. ეს საპფომ გამოხატა ერთი სიტყვით γλυκύπικρον (ტკბილ-მწარე) და ἀλγεσδαιρον (ტკივილთა მომნიჭებელი). სოკრატე ეროსს „ბრძენს“ (σφισθη) უწოდ-

² ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ განსაწავლული ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელოვან ბერძენთა ცხოვრებაში. სოკრატე თავის მოძღვრად რიტორიკის ხელოვნებაში ასპასიას ასახელებს (Plat. *Men.* 235 e); პინდაროსს პოეტურ ხელოვნებაში რჩევებს აძლევდა პოეტესა კორინა (Plut. *De glor. Ath.* 4, V. II). უფრო მეტიც, პოეტურ აგონშიც კი დაუმარცხებია პინდაროსი (Paus. IX 22, 3). ანტიკური წყაროები ასახელებენ მისან ქალებს, რომლებიც უაღრესად პატივდებულნი იყვნენ საბერძნეთში. ჩვენთვის ცნობილია პოეტ და ქურუმ ქალთა ნუსხები (Pomeroy S. B., 1985).

ებს, „საპფო მაცდურ სიტყვათა მთხზველს“ (μυθοπλακίον. Maxim. Tyr. 18, 9 h)³.

თავად „დიოტიმა“ მეტყველი სახელია და იგი „ზევისიგან პატივდებულს“ ნიშნავს.

ასეთია მთელი ინფორმაცია, რაც ვიცით დიოტიმას შესახებ. უფრო მეტია ცნობილი იმ მოძღვრებაზე, რასაც სოკრატე უწოდებს „ეროტიკას“, ანუ „სიყვარულის ხელოვნებას“ და რომელშიც მოიაზრება სიყვარულის, მშვენიერების, სიკეთის ფენომენტა ერთობლიობა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სიმპოსიონში“ სოკრატეს პირით ქადაგებს თავად ავტორი, რაზეც თანხმდება პლატონის ფილოსოფიის თითქმის ყველა მკვლევარი. „სავსებით შესაძლებელია, – ვკითხულობთ ლამბის გამოცემაში – რომ მოკრძალებული მითითება მის მოძღვარზე, ბრძენ მანტინეელ ქალზე, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ჩვენ გავდივართ სოკრატეს აზროვნების საზღვრებიდან და ჭეშმარიტად ვუსმენთ პლატონს“.⁴

მაშ ასე, „სიმპოსიონში“ ჩვენ ვუსმენთ პლატონს, რომელიც გვესაუბრება სოკრატეს პირით, ხოლო სოკრატე თავის მოძღვრად ასახელებს მანტინეელ ბრძენ ქალს, დიოტიმას.

დიოტიმას იდუმალებით მოცულ სახესა და მოძღვრების შინაარსს მივყავართ იმ აზრამდე, რომ შესაძლებელია მის პროტოტიპად მოიაზრებოდეს რეალურად არსებული პიროვნება. მე ვფიქრობ, რომ ეს პიროვნება შესაძლებელია იყოს პოეტესა საპფო. შევეცდები დავასაბუთო, რომ დიოტიმას „ეროტიკის“ ფი-

³ ანტიკური ხანის წყაროები, რომლებიც მოიხსენიებენ საპფოს იხ. წიგნში: Treu 1968; საფო 1977.

⁴ Plato 2001, 76.

ლოსოფია შთაგონებულია საპფოს პოეტური სამყაროთი. ამის საილუსტრაციოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია სამი საკითხის დაზუსტება: 1. პლატონი იცნობდა საპფოს შემოქმედებას და აღიარებდა მის სიბრძნეს; 2. დიოტიმას „τέχνη ἐρωτική“ და „სიყვარულის“ საპფოსეული გაგება იდენტურია; 3. რას წარმოადგენდა დიოტიმას მოძღვრება „ღვთაებრივი მშვენიერების“ (θεῖον κάλον, 211e) შესახებ და როგორი იყო მისი მიმართება საპფოს პოეზიასთან.

I. პლატონი აღიარებდა საპფოს ბრძენ პოეტესად

ა) როგორც აღვნიშნე, „სიმპოსიონში“ სოკრატე დიოტიმას „ბრძენს“ უწოდებს (201 d; 208 c)⁵. არსებობს ელიანოსის გადმოცემაც იმის თაობაზე, რომ „პოეტესა საპფოს, სკამანდრონიმოსის ასულს, ბრძენად (σφιρήν) მოიხსენიებდა პლატონიც“ (Ael. VH 12, 19). იმას, რომ პლატონი არა თუ იცნობდა, არამედ აღფრთოვანებულად კი იყო საპფოს პოეზიით, ადასტურებს მისი ეპიგრამაც, სადაც ფილოსოფოსი მიტილენელ პოეტესას „მეთე მუზას“ უწოდებს (*Anth. Pal.* IX, 506).

თუ ამ ეპიგრამის ავთენტურობა სადავოა, სამაგიეროდ, ეჭვს არ იწვევს საპფოს მოხსენიების ფაქტი დიალოგში „ფედროსი“. ამ თხზულებას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის E. E. Pender-ის ვრცელი ნაშრომი სახელწოდებით “Sappho and Anacreon in Plato’s Phaedrus”, სადაც ავტორი ცხადყოფს, თუ როდენ დიდი იყო საპფოს გავლენა პლატონის ფილოსოფიაზე, განსაკუთრებით ეროსის ფენომენის გააზრებაში⁶.

⁵ პლატონის დიალოგი „სიმპოსიონი“ ქართულად თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ სახელწოდებით „ნადიმი“. ქართულენოვანი ამონარიდები ამ დიალოგიდან წარმოდგენილია ამ თარგმანის მიხედვით (პლატონი 2012).

⁶ Pender 2007.

საპფოზე, განსხვავებით დიოტიმასაგან, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში რომანტიკულ ლეგენდებს თხზავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მის რეალურ არსებობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. საპფოს პიროვნების მითოლოგიზაცია სავსებით ბუნებრივია. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამის საბაზს იძლეოდა მთელი მისი მოღვაწეობა და მუსიკალურ-პოეტური ნიჭი. დავარქვათ ამას გენიალობა, რადგანაც უკვე მრავალი საუკუნეა არ ცხრება თაობათა ადფრთოვანება მისი პოეზიით, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. თუმცა ამ ფრაგმენტებშიც უხვად იკითხება მისი აზრები სიყვარულის, მშვენიერების, სიკეთისა თუ მარადიული არსებობის თაობაზე, ყოველივე იმაზე, რაზეც ესაუბრებოდა დიოტიმა სოკრატეს.⁷ ამას ემატება ისიც, რომ თავად კუნძული ლესბოსი, სადაც ცხოვრობდა პოეტესა, იყო ლეგენდარული, რადგანაც სწორედ იქ გარიყეს ტალღებმა მენადების მიერ დაგლეჯილი ორფევსის თავი, რომელიც დიდხანს მღეროდა და წინასწარმეტყველებდა.⁸

ბ) ვფიქრობ, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ბერძნულად „მისანი“, „წინასწარმეტყველი“ გამოითქმის სიტყვით „μάτις“. ლეგენდა ლესბოსის მისნობის კუნძულად აღიარებდა. მისანთა ქალაქიდან იყო დიოტიმაც. როგორც ცნობილია, მანტინეა ყოფილა არკადიული ქალაქი, რომელსაც სახელი გაუთქვამს მისანთა სიმრავლით.⁹

გ) სოკრატე, რომელიც პლატონის სათქმელს ამბობს ეროტიკის (ἔρωτικα, 201 d) თაობაზე, დიოტიმას უწოდებს „მოდვარს“, „მასწავლებელს“. როგორც მათი საუბრიდან ირკვევა, სოკრატე

⁷ ტონია 1991; Treu 1968; Bowra 1964; Saake 1971 და ა.შ.

⁸ Грейвс 1992, 80-83.

⁹ Лосев 1970, 527.

არაერთგზის სწვევია დიოტიმას. ფილოსოფოსი ასე მიმართავს მას, როდესაც პასუხი არ დაეძებნება დასმულ შეკითხვაზე: „მე ხომ ახლახან ვთქვი, დიოტიმა, – შენთან იმიტომ დავდივარ, რომ მჭირდება მოძღვარი“ (Ἄλλὰ διὰ ταυτὰ τοι, ὦ Διοτίμα, ὅπερ νῦν δὴ εἶπον, παρὰ σὲ ἦκα, γυῖος ἔτι διδασκάλων δέομαι, 207 c; შდრ. 207 a). ისტორიისთვის უცნობია, სოკრატე დადიოდა თუ არა მანტინეაში განათლების მისაღებად თავის მოძღვართან, მაგრამ ის, რომ მისი მოწაფე პლატონი კარგად იცნობდა საპფოს პოეზიას, ეს ნათელია.

II. დიოტიმას და საპფოს ეროსი (Ἔρως)

მაქსიმოს ტიროსელი, რომელიც თავის ესეებსა და თეოლოგიური ხასიათის თხზულებებში ბევრს მსჯელობს ბერძნულ ლიტერატურაზე, ჩვენთვის მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის საპფოსა და სოკრატეს „სიყვარულის ხელოვნების“ თაობაზე: „ლესბოსელი პოეტესას სიყვარული... როგორ ავხსნათ ეს ან სოკრატეს სიყვარულის ხელოვნება (τέχνη ἐρωτικὴ) სხვაგვარად?“ – სვამს კითხვას მაქსიმოს ტიროსელი და თავადვე პასუხობს: – „ვფიქრობ, მსგავსი იყო ის, რაც ეხებოდა საპფოს ქალებისადმი, ხოლო სოკრატეს მამაკაცებისადმი მეგობრობას (φιλίαν). ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ ხშირად განუცდიათ სიყვარული (πιλλῶν ἐρᾶν) და ყოველთვის სილამაზით (καλῶς) იყვნენ შთაგონებულნი. რასაც წარმოადგენდნენ ალკიბიადესი, ქარმიდესი და ფედროსი სოკრატესათვის, იგივე იყვნენ ლესბოსელი ქალისთვის გირინო, ატთისი და ანაქტორია. როგორც სოკრატეს ჰყავდა მოწინააღმდეგენი – პროდიკოსი, გორგიასი, თრასიმაქოსი და პროტაგორასი, ასევე ჰყავდა საპფოსაც – გორგო და ან-

დრომდე, რომელთაც კიცხავდა, არად აგდებდა და დასცინოდა სოკრატეს მსგავსად“ (Maxim. Tyr. 19, 9, p. 230 Hobein).

მაქსიმოს ტიროსელის ამ ცნობაში განსაკუთრებულ ყურადღებას ორი რამ იპყრობს:

ა) მინიშნება საპფოსა და სოკრატეს მოძღვრებათა მსგავსებაზე; ბ) გამოთქმა – τέχνη ἑρωτική, რომელიც იყო მოძღვრება (რომელსაც სოკრატე დიოტიმასგან ისმენდა, შდრ. Pl. *Symp.* 201 d) და რომლის თემაც იყო სილამაზით შთაგონებული სიყვარული, რაც უკვდავებასთან ზიარებას გულისხმობდა.

ა) მაქსიმოს ტიროსელი გარკვევით მიანიშნებს საპფოსა და სოკრატეს ჰომოეროტიკული სიყვარულის მსგავსებაზე. ამ თემას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. ლიტერატორები ერთხმად აღიარებენ, რომ სოკრატეს მიერ გამოთქმული გენდერული მოსაზრებანი ჰომოეროტიკული სიყვარულის თაობაზე, ძირითადად, თავმოყრილია „სიმპოსიონში“ და მათი მსგავსება საპფოს ჰომოეროტიზმთან ნათელია. M. Ide სტატიაში სახელწოდებით „Gender-Based Notions of Homoerotic Love: Sappho and Plato’s Symposium“ მიმოიხილავს მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებებს ამ თემასთან დაკავშირებით და აღნიშნავს: „The poetree of Sappho, and the speeches in Plato’ Symposium both deal primarily with homoerotic love, although Sappho, one of the only female poets in Ancient Greece, speaks from the female perspective, while Plato’s work focuses on the nature of this love between men. There are several fundamental elements that are common to both perspectives, including similar ideals of youth and beauty, and the idea of desire as integral to both views on love. Despite these similarities, however, there is an important distinction, which can be understood in terms of Pausanias’s concepts of Common versus Celestial Love, where Sap-

pho's view represents Common Love, and the larger view of Symposium represents Celestial Love. While Sappo's work is very much grounded in the physical realm, Plato emphasizes that true love is centralized in the mind, and that it is an intellectual and philosophical phenomenon¹⁰. სტატიის ავტორი ადასტურებს რა საპფოსა და სოკრატეს ჰომოეროტიკული სიყვარულის მსგავსების ფაქტს, მათ შორის განსხვავებაზეც მიუთითებს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ საპფოს სიყვარულში ფიზიკური ლტოლვა მოიაზრება, ხოლო სოკრატეს სიყვარული ინტელექტუალური და ფილოსოფიური ფენომენია. ერთი შეხედვით ეს ასეც ჩანს, მაგრამ თუ უფრო მეტად ჩავუღრმავდებით საპფოს პოეზიას, მასთან პირველად ამოვიკითხავთ პოეტურ სტრიქონებს, რომელთა აზრიც პლატონთან „უმაღლესი შემეცნების დოქტრინად“ ჩამოყალიბდება და საფუძვლად დაედება შემდგომ ეპოქათა ფილოსოფიურ აზრს¹¹.

ბ) საპფოსა და სოკრატეს „τέχνη έρωτική“-ს გასაგებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიაზროთ ის, თუ როგორ წარმოგვიდგენენ ისინი „ეროსს“: ა) როგორც ღვთაებრივ ძალას თუ ღვთაებას? ბ) რა იგულისხმებოდა ცნებაში „Έρως“?

პირველი კითხვა, რომელზე პასუხიც სოკრატეს უნდა სცოდნოდა, ასეთი იყო:

როგორი ბუნების არის ეროსი?

როგორც დიალოგიდან ირკვევა, სოკრატეს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად დიოტიმას დახმარება დასჭირდა. თუ მისი აზრით, ეროსი იყო დიდი ღმერთი და სიყვარული მშვენიერებისადმი, დიოტიმამ მას დაუმტკიცა, რომ ეროსი ღმერთი კი არა,

¹⁰ Ide 2002.

¹¹ Lesky 1971.

არამედ დიდი დაიმონია (Δάμων μέγας, 202 e), რაღაც საშუალოა უკვდავსა და მოკვდავს შორის (μεταξύ ἔσται θεῶν τε καὶ θνητῶν, 202 e). დაიმონები ანუ ღვთაებრივი ძალები სამყაროში მრავლად არიან. ისინი შუამავლობენ ღმერთებსა და ადამიანებს შორის; დაიმონები ღმერთებს ამცნობენ ადამიანთა ლოცვებისა და მსხვერპლშეწირვების თაობაზე, ხოლო ადამიანებს გადმოსცემენ ღმერთების ნებასა და წყალობას. ისინი ავსებენ მთელ სივრცეს ღმერთებსა და ადამიანებს შორის. უკვდავი დაიმონების მეშვეობით უკავშირდებიან მოკვდავთ ძილშიც და ცხადშიც და ვინც ეს შეიცნო, ის ადამიანი წილნაყარია ღვთაებრიობას. მრავლად არიან მრავალგვარი დაიმონები და მათ შორის არის ეროსიც. „ის დიდი გრძნეულია, ჯადოქარი და ბრძენი. ერთსა და იმავე დროს თან ხარობს და ცოცხლობს, თუ საწადელს იოლად აღწევს, თან კვდება, რათა კვლავ აღორძინდეს...“ (203 e) – ასე მსჯელობდა სოკრატეს მოძღვარი.

მოხსენების დასაწყისში, როდესაც დავასახელებ წყაროები დიოტიმას სახელის მოხსენიებით (გვ. 97), წარმოვადგინე მაქსიმოს ტიროსელის ცნობაც იმის თაობაზე, თუ რა მსგავსებაა საკუფოსა და დიოტიმას შორის ეროსის ბუნების აღწერისას. როგორც ჩანს, ცნობილი პლატონიკოსი დიალოგის სწორედ ამ ადგილს გულისხმობდა, როდესაც პოეტესასა და ფილოსოფოს ქალს შორის მსგავსებაზე მიუთითებდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, დიოტიმას აზრით, ეროსი ღმერთი არ არის, მაგრამ არც მოკვდავია, ის ღვთაებრივი ძალაა, დაიმონია, ხოლო დაიმონები სამყაროში მრავლად არიან, როგორც შუამავლები უკვდავებსა და მოკვდავებს შორის.

ვნახოთ, რას ფიქრობდა საუკუნით ადრე მოღვაწე პოეტესა ეროსის ბუნების ამგვარ აღქმაზე:

საპფოს ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებსა და ე.წ. „სხვათა სიტყვანში“ (ანუ სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრებილ საპფოსეულ პერიფრაზებში) ეროსი ათეზის მოიხსენიება. პავსანიასის თანახმად, „ლესბოსელი საპფო ხშირად და ურთიერთსაპირისპიროდ უმღეროდა ეროსს“ (IX 27, 3); თეოკრიტოსის სქოლიონის მიხედვით, „საპფო ეროსს აფროდიტესა და ურანოსის ძედ მოიხსენიებდა“ (XIII 1/2 c); ხოლო აპოლონიოს როდოსელის სქოლიონში ვკითხულობთ: „საპფო ეროსს გეასა და ურანოსის მოდგმის დასაბამად მიიჩნევდა (γενεαλογει 1787 fr. 28).

თეოკრიტოსის სქოლიასტის ცნობა არ უნდა იყოს სარწმუნო, რადგანაც აფროდიტესა და ურანოსის დაკავშირება სრული ანაქრონიზმია. რაც შეეხება იმას, რომ საპფო ეროსს გეასა და ურანოსის მოდგმის დასაბამად მიიჩნევდა, სრულიად ეთანხმება დიოტიმას აზრს, რადგანაც ამ შემთხვევაში ის ღმერთი კი არ არის, არამედ ღვთაებრივი ძალაა, რომელმაც დასაბამი დაუდო ღმერთების მოდგმას. აღსანიშნავია, რომ ჰესიოდესთან ეროსი კოსმოგონიურ პოტენციათა ოთხეულშია დასახელებული ქაოსთან, გეასა და ტარტაროსთან ერთად (Hes. *Theog.* 116-122).

ის, რომ ეროსი საპფოსთან დაიმონია, ანუ ღვთაებრივი ძალაა და არა ღმერთი, ამაზე მიგვანიშნებს კიდევ რამდენიმე ცნობა. კერძოდ, ჰიმერიოსის თანახმად: „საპფო, ერთადერთი ქალთა შორის, მძაფრად განიცდიდა სიყვარულს ლირის თანხლებით. ამიტომაც მიუძღვნა აფროდიტესა და ეროსებს (τοις Ἐρασι) მთელი თავისი პოეზია. სიმღერათა თემად ირჩია ქალწულის სილამაზე და მომხიბლაობა“ (Or. 8, 7). ამავე წყაროში სხვა ადგილას ვკითხულობთ აფროდიტეს დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალის შესახებ. როგორც ჩანს, ამ დროს იმართებოდა მუსიკალურ-პოეტური აგონები, ქორწილები და ამ წარ-

მოდგენებში საპფო მთავარი ფიგურა იყო: „აფროდიტეს ზეიმზე ღირაზე რომ მღეროდა და საქორწინო ოთახს რთავდა, იყო ლესბოსელი საპფო. აგონების შემდეგ ადიოდა იგი საქორწინო ოთახში, ფენდა ფარდებს, ამკობდა საწოლს, მოუხმობდა ქალწულებს დედოფალთან, მოჰყავდა აგრეთვე აფროდიტე ქარიტების ეტლითა და მოთამაშე ეროსების გუნდით (χορὸν Ἐρωτᾶν) გარემოცული“ (*Or.* 9, 37 ss. p. 75 s. Colonna). ასევე მრავლობითობის გაგებას შეიცავს დემეტრიოსის ცნობაც, სადაც ვკითხულობთ: „მის ქმნილებებში [ყველაფერი] მომხიბლავია: ნიმიფათა ბაღი, საქორწინო სიმღერები, ეროსები (ἔρωτες) – საპფოს მთელი პოეზია. ეს ყველაფერი მომხიბლავია და მთელი [მისი] შემოქმედება თავისთავად ხალისიანი“ (*Demetr. Eloc.* 131; შდრ. 166).

ამგვარად, ანტიკური წყაროები ერთხმად ადასტურებენ, რომ საპფოსი და დიოტიმას აზრები ეროსის, როგორც ღვთაებრივი ძალის და არა როგორც ღვთაების თაობაზე, სრულიად იდენტურია.

ბ) „ეროსი“ ღვთაებრივი ძალაა, მაგრამ როგორ მოიაზრებენ ამ ღვთაებრივ ძალას პოეტესა და ფილოსოფოსი?

დიოტიმა ამბობს: „სიყვარული სურვილია უკვდავებისა“ (ἐπιθυμίην ... τῆς ἀθανασίας τὸν ἔρωτα εἶναι, 207 A). ადრეული ხანის ბერძნულ კულტურაში სიყვარულს მიიჩნევდნენ ვნებად, სხეულებრივ სიამოვნებად, თვისებად, რომელშიც თავად ადამიანი ნაკლებად მონაწილეობდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, პლატონისათვის ეს არ იყო საკმარისი. დიოტიმა ქადაგებდა, რომ სიყვარული ყოველი პიროვნების ზრუნვა იყო საკუთარ თავზე, რაც გულისხმობდა სწრაფვას სიკეთისაკენ. მისი აზრით, ის სიყვარული, რომელშიც მხოლოდ ვნება მოიაზრება, არ არის გზა სიკეთისაკენ, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება გონიერებას,

საკუთარი თავის შეცნობას (აქ შეიძლება გავიხსენოთ ქალღმერთი ათენა, რომელიც ზევსის თავიდან იშვა და რომლისთვისაც უცხო იყო აფროდიტესეული ვნება). და აი, ამ დროს საჭირო ხდება ახალი მითის შეთხზვა ეროსზე, რომ თითქოს იგი პოროსისა (სიუხვე) და პენიას (სიღატაკე) ვაჟია, რომელიც აფროდიტეს დაბადების დღეს ჩაისახა რა, მხოლოდ მის განუყრელ თანმხლებად და მსახურად იქცა. ეროსს მემკვიდრეობად ერგო მშობელთა თვისებები: ის შეუდრეკელია და მიუსაფარი, ის გაჭირვებულს თან სდევს, თუმცა მუდამ მშვენიერისა და კეთილის ძიებაშია.

დიოტიმასგან იცის სოკრატემ, რომ სიბრძნე ერთ-ერთი უმშვენიერესი სიკეთეა დედამიწაზე, ხოლო ეროსი სიყვარულია მშვენიერების (*Ἐρασ δ' ἔστιν ἔρας περὶ τὸ κάλον*, 204 b). „ეროსს უყვარს სიბრძნე – ამბობს დიოტიმა – და საშუალო ადგილი უჭირავს ბრძენსა და უმეცარს შორის. ამის მიზეზი მის წარმოშობაში უნდა ვეძიოთ: მამა ბრძენი და მდიდარია, დედა კი არც ბრძენია და არც მდიდარი. ასეთია, ძვირფასო სოკრატე, დაიმონის ბუნებაც“ (204 b).

დიოტიმა არ უგულვებელყოფს ჩვეულებრივ, ხორციელ სიყვარულსაც. მისი აზრით, ხორციელი სიყვარულით შეპყრობილი მამაკაცები უპირატესად ქალებისადმი ეძლევიან ვნებას მთელი არსებით „რადგან ფიქრობენ, რომ ნაშიერთა შობით ეზიარებიან უკვდავებას, მარადიულ ხსოვნასა და ბედნიერებას. ხოლო სულით ორსულნი... შობენ ისეთ ნაყოფს, რაც სულს შეჰფერის – სიბრძნესა და ყველა სხვა სათნოებას“ (*φρόνησιν τε καὶ τὴν ἄλλην ἀρετήν*, 209 a). დიოტიმას აზრით, თუ გავიხსენებთ ჰომეროსს, ჰესიოდესა და სხვა დიდ პოეტებს, აგრეთვე დიდ კანონმდებლებს – ლიკურგოსს, სოლონს და მრავალ სხვა ღირსეულ ადამი-

ანს ელინთა თუ ბარბაროსთაგან, მათ პატივს მიაგებენ აღსრულებული საქმეებისათვის, რომელთაგანაც დასაბამი დაედო ყოველგვარ სათნოებას, სიქველეს (ἀρετήν). მათ სახელზე ამ სულიერ ნაშიერთა შობისთვის ტაძრებს აგებენ, ხოლო მხოლოდ ხორციელ შვილთა შობისთვის ჯერ არავისთვის აღუმართავთ სამსხვერპლოები (209 e).

დიოტიმას მოძღვრება მრავალი თვალსაზრისით იპყრობს ყურადღებას: უპირველეს ყოვლისა, უნდა გავიაზროთ ის, თუ რა იგულისხმება ჩვეულებრივ სიყვარულში – ის არსებობს მამაკაცთა და ქალთა შორის და მისი არეალი ისეთი ბუნებრივი პროცესით განისაზღვრება, რომელსაც მხოლოდ შთამომავლობის გაგრძელების უნარი შესწევს. ეს ხორციელი სიყვარულია. მაგრამ არსებობს სხვა სიყვარული, რომლის ბუნებრივი ობიექტი მამაკაცისთვის იქნება არა ქალი, ვისდამიც შესაძლოა აღემრას ვნება, არამედ ყმაწვილი, რომელიც მშვენიერების იდეალის განსახიერება უნდა იყოს. და ამასაც თავის ახსნა დაეძებნება: ყმაწვილი თავისი ახალგაზრდობის გამო ქალივით ნატიფი და მომხიბლავია, ის ჯერ არ არის კაცივით გაუხეშებული და არ არის ქალივით დატვირთული ყოფითი პრობლემებით, ბავშვების შობითა და აღზრდით; ამასთანავე, რაც მთავარია, მისთვის იოლია ცოდნის შეძენა, მას გააჩნია მეგობრობის და მშვენიერების განცდის მძაფრი წადილი. მას შეუძლია სულის მშვენება სხეულის მშვენებაზე მაღლა დააყენოს (210 c) და ეროტიკულ მისტერიათა უმაღლეს სტადიამდე ამაღლდეს, რომლის შედეგად უნდა იყოს საკუთარი თავის შეცნობა, ზრუნვა მისი ამაღლებისთვის, შემოქმედებითი ძალისხმევა, რაც ჰომეროსის, ჰესიოდეს, სოლონისა თუ სხვა დიდებულ ადამიანთა მსგავსად

უკვდავებასთან ზიარების ტოლფასია. ეს სულიერი სიყვარულია, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ეს არის სულიერება.

ახლა ვნახოთ, რას ფიქრობდა საუკუნეზე მეტი ხნით ადრე პოეტესა საპფო სიყვარულის სულიერების თაობაზე. ბუნებრივია, მისი ლექსიკა, გამოხატვის მანერა, რაც მრავალი ფორმით ვლინდება (პოეტური სახეები, მეტაფორები და ა.შ.) განსხვავებულია ფილოსოფოსი ქალის მსჯელობისაგან, მაგრამ ისინი უმთავრეს მოვლენათა წარმოსახვაში თითქმის იდენტურნი არიან.

ის, რომ საპფოს ჩვენამდე მოღწეული სიმღერების უმეტესი ნაწილი სიყვარულის მშვენიერებისადმი მიძღვნილი ჰიმნია, მტკიცებას არ საჭიროებს. ეს ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნეში განსაზღვრეს ალექსანდრიელმა სწავლულებმა და ამის აღსანიშნავად მისი ცხრა წიგნად გამოცემული პოეზიის პირველი წიგნის პირველ სიმღერად აფროდიტესადმი მიძღვნილი ჰიმნი წარმოადგინეს. ამასვე ამტკიცებენ ძველი ავტორებიც. მათ შორის უკვე ხსენებული ჰიმერიოსი (გვ. 106) რომელიც აღნიშნავდა, რომ საპფო თავის სიმღერებს უძღვნიდა აფროდიტესა და ეროსებს, რადგანაც მძაფრად განიცდიდა სიყვარულს (ἐρασθεῖσα) ლირის ხმაზე. ყურადღებას იყპრობს დემეტრიოსის ცნობაც, სადაც ვკითხულობთ: „საპფო, რომელიც უმღეროდა სილამაზეს (κάλλισε), არის ლამაზად მოუბარი (καλλιειής) და საამო (ἡδέια). [ის უმღეროდა] ეროსებსაც (περὶ ἐρώτων), გაზაფხულსაც და ზღვის ჩიტებსაც. ყოველი ლამაზი სიტყვით არის შემკული (ἐνσφαιναί) მისი პოეზია. ზოგიერთს თავადაც თხზავდა“ (Demetr. *Eloc.* 166). მაქსიმოს ტიროსელი, რომელიც თავის თხზულებაში (Philosophumena) ერთი წინადადებით ერთდროულად მოიხსენიებს დიოტიმასაც, საპფოსაც და სოკრატესაც, წარმოადგენს სამ ეპითეტს, რომელიც ეროსს ეხება და რომე-

ლიც, სავარაუდოდ, საპფოს მიერ უნდა იყოს შეთხზული. ეს პითეტები: „ტკბილ-მწარე“ (γλυκύπικρον), „ტკივილთა მომნიჭებელი“ (ἀλγεσιδωρον) და „მაცდურ სიტყვათა მთხზველი“ (μυθόπλοκον) (Maxim. Tyr. 18, 9 h).

თუ უშუალოდ საპფოს ჩვენამდე მოღწეულ სიმღერებს თვალს გადავავლებთ, ეროსის ხსენებას სამ ფრაგმენტში დავაფიქსირებთ. ესენია ფრ. 47 L. P.:

„ Ἔρος δ' ἐτίναξε μοι
φρένας, ὡς ἄνεμος κάτ' ὄρος δρῦσιν ἐμπέ(τ)ων“¹².

„ ეროსმა ისე შეძრა ჩემი
სული, როგორც ქარი შეძრავს ხოლმე მუხას მთაზე.“

ეს ფრაგმენტი წარმოდგენილია მაქსიმოს ტიროსელთან იმის დასამტკიცებლად, რომ „სოკრატე გონგარდასულია ფედროსის სიყვარულით, ხოლო საპფოს სიყვარული ქარით შეძრულ მუხას ჰგავს“ (Maxim. Tyr. 24.9).

ამ შემთხვევაში ეროსის თვისებათა შორის შეიძლება კიდევ ერთი დავასახელოთ – „სულის შემძვრელი“, უფრო დაზუსტებით – „სულის დამთრგუნველი“. ეს ეროსის „საოცარი გრძნეულება“, მისი ძალა მხოლოდ სტიქიას შეედრება, მხოლოდ ქარიმზხალს, რომელიც მთაზე ფესვგადგმულ მუხასაც შეძრავს ხოლმე. ერთ-ერთ ფრაგმენტში (159 L.P.) საპფო ეროსს „მკურნალს“ (θεράπων Ἔρος) უწოდებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ფრ. 131 L. P.:

¹² საპფოს შემოქმედების ფრაგმენტები წარმოდგენილია წიგნიდან: Lobel E.-Page D. 1955.

„Ἔρος δῆστέ μ' ὁ λυσιμέλης δόνει
γλυκῦπικρον ἀμάχων ὄρπετον“

„ეროსი კვლავ გონებას მართმევს
ტკბილ-მწარე აუცდენელი არსება“.

თუ შევათანასწორებთ წარმოდგენილ მასალას, ვნახავთ, რომ საპფოს შემოქმედების მწირ პროდუქციაში საკმაოდ მდიდრულად არის ეროსი წარმოდგენილი. ის არის „ტკბილ-მწარე“, „ტკვილთა მომნიჭებელი“, „მაცდურ სიტყვათა მთხზველი“, „სულის შემძვრელი“, „მკურნალი“, „გონების წამრთმევი“, „აუცდენელი არსება“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საპფოს სიყვარული, მისი ეროსი მიემართებოდა იმ გოგონებს, რომელნიც მის გარშემო იკრიბებოდნენ. მათ აფროდიტეს კულტი აერთიანებდათ. ისინი წრფელი გულით უყვარდა საპფოს, რომელიც საკუთარ თავს მათ მოძღვრად, ხოლო თავის სახლს „მუზის მსახურთა სახლად“ მიიჩნევდა:

„ὁ γὰρ θέμις ἐν μοισσιότλων (δῶμαι)
θηῖνον (ἔμμεν') οὐ κ' ἄμμι πρέποι τάδε.“
„სამგლოვიარო ლექსთა მღერა წესით არ არის
მუზის მსახურთა სახლში ჩვენდა შესაფერები.“

(ფრ. 150 L. P.).

ის, რომ საპფო წინამძღვარი იყო „მუზის მსახურთა“ სახლის, ამას მრავალი რამ მოწმობს. უპირველეს ყოვლისა ის, რომ იმ პერიოდის პოეტესათაგან ჩვენამდე მოაღწიეს მხოლოდ მისმა ქმნილებებმა, რომლებშიც აშკარად იკითხება ლიდერის პიროვნება. ამას თან ერთვის ანტიკურ წყაროებში გამოჩენილი ინტე-

რესი მისი პოეზიისა და პიროვნებისადმი. ჩვენამდე მოაღწია საპფოს შვიდმა ბიოგრაფიამ, რომელთაგანც უმეტესობა ადასტურებს იმას, რომ მას ჰყავდა მოწაფეები (შდრ. Suda. s. v. Σαπφώ). პოეტის ემოციური ბუნება მძაფრად განიცდიდა იმ სიხარულსა თუ მწუხარებას, რასაც თავის მოწაფეებთან ურთიერთობა აძლევდა. იგი გარდაქმნიდა პოეზიად იმას, რასაც მისი ალტაცებაში მოყვანა შეეძლო. ეს მეტწილად ეხებოდა იმ ქალწულებს, რომლებიც აღაფრთოვანებდნენ მას თავისი ფიზიკური თუ სულიერი სილამაზით. როდესაც საპფო მათ მიმართავდა, ხმარობდა სიტყვებს ἔπιος, ἔραμαι (სიყვარული, მიყვარს). მისთვის, ვინც უყვარდა (ან რაც უყვარდა) იყო ყველაზე მშვენიერი დედამიწაზე (ფრ. 16 L.P. col. I, II). ეს იყო მისი ქალური იდეალი. საპფოს გენიას შეეძლო გასაოცარი შთამბეჭდაობით წარმოეჩინა საკუთარი სულის ვნებანი (ფრ. 31 L.P.). მან, სიყვარულით შთაგონებულმა, შექმნა პოეზიის შეუდარებელი ნიმუშები¹³.

საპფოსთვის უცხო არ იყო ხორციელი სიყვარულიც. გადმოცემათა თანახმად, მას ჰყავდა მეუღლე, ჰყავდა შვილი, ჰყავდა დედა, ძმები, რომლებზეც ზრუნავდა და რომელთაც თავის სიმღერებში იხსენიებდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მისთვის ეს სულაც არ იყო საკმარისი. მისი სული მარადისობის განცდით იყო შეპყრობილი. ლოზელ-პეიჯის კლასიკური გამოცემის ერთ-ერთ ფრაგმენტში ვკითხულობთ: „ვფიქრობ გსმენია, თუ როგორ დაუქადნია საპფოს ვიღაც ქალების წინაშე, რომელნიც თვლიდნენ, რომ მდიდრები იყვნენ, როდესაც ამბობდა: მას მუხები მიანიჭებდნენ დიდებას და შესაშურ ბედნიერებას, რადგან სიკვდილის შემდეგ არ იქნებოდა დავიწყებული“ (ფრ. 193 L. P.).

¹³ ტონია 1991.

ჩვენამდე მოაღწია საპფოს ერთობ საინტერესო ფრაგმენტმა, სადაც პოეტესა ამბობს, რომ ადამიანის სახელი უმაღლეს დავიწყებას ეძლევა, თუ იგი „პიერიის მუზათა ბაღს ვერ ეზიარა“ (ფრ. 55 L. P.). „პიერიის მუზათა ბაღი“ პოეტური ენით გამოთქმული შემოქმედებითი მოღვაწეობაა. საპფომ იცის, რომ მისი სახელი დავიწყებას არ მიეცემა (ფრ. 147 L. P.), რადგანაც იგი პიერიის მუზათა ბაღში დაიდებს ბინას. და ასეც მოხდება.

ასე რომ, ეროსის გააზრების ის ნაწილიც, სადაც დიოტიმას ლოგიკურად მიჰყავს სოკრატე იმ აზრამდე, რომ „სიყვარული სურვილია უკვდავებისა“, რომელიც შემოქმედებით ძალისხმევას გულისხმობს, საპფოს პოეზიიდან იღებს დასაბამს. სავარაუდოა, რომ საპფო ერთ-ერთი პირველი იყო ბერძნულ პოეზიაში, რომელიც პოეზიისა და პოეტის უკვდავებას აიგივებდა ერთმანეთთან. შესაძლებელია, სწორედ საპფოსთან გამოითქვა ის, რაც შემდეგდროინდელ პოეზიაში ჰორაციუსისეული „monumentum“-ით იქნა გამოხატული¹⁴.

III. მოძღვრება ღვთაებრივი მშვენიერების შესახებ (θεῖον κάλον, Pl. *Symp.* 211 e)

დიოტიმა საკმაოდ ვრცლად მსჯელობს მშვენიერების გაგებაზე, რადგანაც სოკრატესთან საუბრის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ „ეროსი მშვენიერების სიყვარულია“ (“Ἐρως δ’ ἔστιν ἔρως περὶ τὸ κάλον, 204 b), ხოლო სიყვარული სურვილია უკვდავებისა (ἐπιθυμεῖν ... τῆς ἀθανασίας τὸν ἔρῳα εἶναι, 207 a).

დიოტიმას აზრით:

a. ის, ვინც (ან რაც) უყვართ არის მშვენიერი, მომხიბლავი, სრულქმნილი და უნეტარესი (204 c), რომლის სიყვარულიც შე-

¹⁴ გორდეზიანი 2009, 226-227.

უძლია მხოლოდ მას, ვინც სულიერებას არის ზიარებული ანუ სულით ორსულია.

b. ასეთი ადამიანი დაატარებს სათნოებათა თესლს და დაეძებს მშვენიერს, რადგანაც მას მშვენიერი სხეული უფრო ხიბლავს, ვიდრე უგვანი. ხოლო როდესაც მშვენიერ სხეულში სულსაც მშვენიერსა და კეთილშობილს ჰპოვებს, ერთიანად ხარობს (209 b).

c. ეროტიულ მისტერიათა ზიარებულს მართებს სულის მშვენება სხეულის მშვენებაზე მაღლა დააყენოს და მხოლოდ მაშინ შეძლებს იგი ეზიაროს ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებას მშვენიერების თაობაზე (210 b), რადგან თუკი სიცოცხლეს რაიმე აზრი აქვს, ამ აზრს ჭეშმარიტი მშვენიერების ჭვრეტა იძლევა მხოლოდ (211 d).

შევეცდები მოკლედ გადმოვცე ჭეშმარიტი მშვენიერების („ἀπὸ τὸ καλόν - „მშვენიერება თავისთავად“) დიოტიმასეული არსი:

ა) ის, ვინც თანმიმდევრულად განჭვრეტს მშვენიერების ყველა საფეხურს (საგანი, ზნეობა, მოძღვრება), ეზიარება ჭეშმარიტ მშვენიერებას, რომელიც არის ნათელი (εἰλικρινές), წმინდა (καθαρόν), შეურყვნელი (ἄμικτον), ერთსახოვანი (μονοειδές 211 e).

ბ) მოკვდავს შეუძლია ეზიაროს ჭეშმარიტ მშვენიერებას, თუ იგი ამ მშვენიერებას ჭვრეტს ისე, როგორც მართებს, რომ ჭვრეტდეს (ὁρῶντι ἢ ὁρατὸν τὸ καλόν, 12 a). ეს არის სულიერი მზერა, რომელსაც ერთადერთს შეუძლია შვას ჭეშმარიტი სათნოება (τεκτόντι δὲ ἀρετῆν ἀληθῆ), რითაც ღმერთის სიყვარულს (θεοφιλέϊ γενέσθαι) იმსახურებს. ღმერთის სიყვარულით კი უკვდავებას (ἀθανάτω) ეზიარება (212 a).

საოცარია, მაგრამ დაინტერესებული მკითხველი მიხვდება, რომ მთელი ეს ფილოსოფია საპფოს პოეტურ ხატებად აქვს გამოთქმული თავისი სიმღერებით. ამ თვალსაზრისით, ახალი სიტყვა მან თქვა ბერძნულ პოეზიაში.¹⁵

საპფოს აზრით:

a. მშვენიერება არის არა ობიექტური რეალობა, არამედ სუბიექტური ცნება. სიმღერაში, რომლის პირობითი სახელწოდება არის „ანაქტორიასადმი“ (ფრ. 16 L.P. vol. I, II), საპფო გარკვევით აღნიშნავს, რომ უმშვენიერესი (κάλλιστον) არის ის, ვინც (ან რაც) ადამიანს უყვარს. ელენეს მითოლოგიური სახის მოშველიებით პოეტი გვარწმუნებს, რომ მშვენიერია სიყვარული, რამეთუ მისი გრძნობადი საწყისი არის ღვთაებრივი. სწორედ ამიტომ მისთვის შორეული ანაქტორია უფრო მშვენიერია, ვიდრე ლიდის ოქროს ეტლები ან აბჯარასხმული მეომრები.

b. ფილოსოფიურ დოქტრინად შევიდა მთელ ანტიკურობაში საპფოსთან პირველად დადასტურებული აზრი „მშვენიერისა“ (κάλος) და „კეთილის“ (ἀγαθός) თანხვედრით მიღებულ სრულყოფილებაზე, რომელიც შემდგომ გამოიხატა ტერმინით „καλοκάγαθία“. საპფოსთვის ნიშანდობლივი იყო ფიქრი ადამიანურ სრულყოფილებაზე, სულის მშვენიერებაზე, რამდენადაც ეს უკავშირდებოდა ამაღლებასა და ღვთაებასთან ზიარებას. გალენოსთან (*Protr.* 8) წარმოდგენილია საპფოს ერთი ფრაგმენტი, როგორც დიდებული აზრი ლესბოსელი პოეტი ქალისა:

„ὁ μὲν γὰρ κάλος, ὁ οἶσον ἴδῃν, πέλεται (κάλος),

ὁ δὲ κάγαθος αὔτικα καὶ κάλος ἔσ(σε)ται.“

¹⁵ Fränkel 1962^{II}, 251.

„ვინც ლამაზია, გარეგანი თვისი იერით გვხიბლავს
 მხოლოდ,
 ვინც კეთილია [სულით], უმაღლესი მშვენიერიც მოგვეჩვენება“.
 (ფრ. 47 L. P.).

ამ ფრაგმენტში საპფო ბერძნულ ლიტერატურაში პირველად გამოთქვამს აზრს სულის მშვენიერების შესახებ. ა. ლესკის ზუსტი შენიშვნით, ბერძნულ ლიტერატურასა და ფილოსოფიაში ესოდენ მნიშვნელოვანი დოქტრინა, რომელიც „καλικαγμα“¹⁶-ს სახელით არის ცნობილი, სწორედ საპფოს პოეზიიდან იღებს დასაბამს. „მთელი ეპოქა განაშორებს პლატონს საპფოსგან და მასთან იღებს გეზს ფილოსოფოსი უსრულყოფილესი და უმაღლესი შემეცნებისთვის, რომელსაც „სიმპოსიონში“ აღწერს – აღნიშნავს ა. ლესკი – საპფომ ორიოდ სტრიქონი შეთხზა, უცნაური სტრიქონები, რომლითაც იგი წარმოგვიდგება იმ გზაზე, რაც მის დროსა და ეპოქას უკავშირდება... κάλιც და άγμαθ – ერთმანეთს შეზავებული ეს ორი სიტყვა მოგვიანებით ხდება ძირითადი ფილოსოფიური ცნება, რომელიც καλικαγμα-თი გამოიხატება“.¹⁶

ც. როგორ ესმოდა საპფოს ჭეშმარიტი ანუ მარადიული მშვენიერება, რომლის წვდომაც უკვდავებასთან ზიარების ტოლფასი იყო? განვმეორდები და ვიტყვი, რომ საპფო პოეტისაა და მისი პოეზია დიოტემასეულ ფილოსოფიურ ლოგიკურობას მოკლებულია, თუმცა მისი პოეტური სახეები მრავლისმეტყველია.

საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ სიმღერაზე შევაჩერებ ყურადღებას, რომლის სრული ტექსტი 2004 წელს კიოლნის პაპირუსთა კოლექციაში აღმოჩნდა და რომელსაც ცნობილმა მკვლევ-

¹⁶ Lesky 1971, 176.

ვარმა მარტინ ვესტმა¹⁷ „შედევრი“ უწოდა. ლობელ-პეიჯის გამოცემაში ამ სიმღერის მხოლოდ ბოლო ორი სტრიქონი იყო სრულად წარმოდგენილი (ფრ.58):

“Ἔγω δὲ φίλημ’ ἄβρισσαν, ... τοῦτο καὶ μοι
τὸ λά[μπρον ἔρος τᾶελίω καὶ τὸ κάλ]ον λέ[λ]ογχε.”.

„მე კი წილად მხვდა უადრესობა... მე ამ
ბრწყინვალეობას და მშვენიერებას მზის სიყვარულმა
მაზიარა“

სიმღერის პირველ (ახლად აღმოჩენილ) ნაწილში საპფო გვახსენებს ღმერთჟალ ეოსის სასიყვარულო თავგადასავალს. მას შეუყვარდა მშვენიერი მოკვდავი ტითონოსი და რადგანაც სურდა მისი სიყვარული უსასრულოდ გაგრძელებულიყო, ზევსს შეევედრა, ტითონოსისთვის უკვდავება მიენიჭებინა, მაგრამ დაავიწყდა ეთხოვა მუდმივი ახალგაზრდობაც შეენარჩუნებინა მისთვის. გაიარა დრომ, ტითონოსი დაბერდა, დაუძლურდა, ეოსმა გადაიყვარა იგი და მიატოვა. ამ შემთხვევაში მითოსური სახე მხოლოდ საშუალებაა საპფოსთვის გამოხატოს თავისი დამოკიდებულება წარმავალი და მარადიული მშვენიერებისადმი. წარმავალი მშვენიერებისადმი ლტოლვა მხოლოდ დროებითი ბედნიერების მომგვრელია, მარადიული მშვენიერებისადმი კი-სამარადჟამო. როდესაც ტითონოსის ხვედრის აღწერის შემდეგ საპფო საკუთარ თავს უბრუნდება, იგი იწყებს სტრიქონს გამოთქმით “Ἔγω δὲ” („მე კი“) და ამით ერთგვარად ემიჯნება ტითონოსის ხვედრს. მისი ბედნიერება მარადიულია, რამეთუ იგი

¹⁷ West 2005, 1-9.

ისწრაფვის „უაღრესობისაკენ“ („ἀβυσσῶν“), ხოლო ეს ბრწყინვალეობა („τὸ λάμπρον“) და მშვენიერება („τὸ κάλον“) მას წილად არგუნა „მზის სიყვარულმა“ („ἔριος τῶελιά“). ამ ფრაზაში საპფოს პოეტური ხედვისთვის ნიშანდობლივი სიმბოლიზმით „მარადიული ბედნიერება“ უნდა მოიაზრებოდეს (შდრ. ფრ. 65 L.P.), ხოლო „მარადიული ბედნიერება“ რამდენიმე ფენომენის ერთობლიობას გულისხმობს. ეს ფენომენებია: სწრაფვა „უაღრესობისადმი“, „უკვდავებისადმი“, „ღვთაებრიობისადმი“, რომელთა შესახებ მსჯელობა საპფოს მთელი შემოქმედების ანალიზს მოიცავს და რაც წარმოდგენილი მაქვს მონოგრაფიაში „ანტიკური სამყაროს პოეტესები“.

ამგვარად, მე შევეცადე მეჩვენებინა, რომ „სიმპოსიონში“ წარმოდგენილი „ეროტიკის ხელოვნება“ (τέχνη ἐρωτική), რომელსაც ავითარებს სოკრატე და რომელიც აცხადებს, რომ მისი მოძღვარი იყო „ბრძენი“ დიოტიმა, საპფოს პოეტური სამყაროს ასოციაციებს იწვევს. ამის საილუსტრაციოდ შევეხე სამ უმთავრეს საკითხს: I. პლატონი არა თუ იცნობდა საპფოს შემოქმედებას, არამედ მიტილენელ პოეტესას აღიარებდა „ბრძენად“, და უფრო მეტიც, „მეათე მუზად“; II. საპფოს და დიოტიმას გაგება ეროსის ღვთაებრივი ძალის თაობაზე იდენტურია; III. „სიმპოსიონის“ მთავარი დოქტრინა – მოძღვრება ღვთაებრივი მშვენიერების შესახებ, რომელსაც ფილოსოფიური ლოგიკით ამტკიცებდა დიოტიმა (ან მისი სახე-სიმბოლო), საპფოს პოეტურ ხატებად გამოთქმული სიბრძნით იყო შთაგონებული.

ბიბლიოგრაფია:

Bowra, C.M. 1961^{II}. *Greek Lyrik Poetry*. Oxford.

გორდეზიანი, რისმაგ. 2011. *ბერძნული ლიტერატურა*. თბილისი: ლოგოსი.

Frankel, H. 1962^{II}. *Dichtung and Philosophie des fruhen Griechentums*. München.

Ide, Michael. „Gender-Based Notions of Homoerotic Love: Sappho and Plato’s Symposium”, 2002

<https://acad.carleton.edu/curricular/clas/courses/cl114/special/michael.htm>

Lesky, Albin. 1971. *Geschichte der griechischen Literatur*. Bern, München.

Lobel E. and D. Page. 1955. *Poetarum Lesbiorum Fragmenta*, Oxford.

Лосев, А.Ф. 1970. ком. к диал. Пир. *Платон. Сочинения*. Т.2, Москва.

Pender, E. E. “Sappho and Anacreon in Plato’s Phaedrus”. *Leeds International Classical Studies* 6, 4 (2007). ISSN 1477-3643 (www.leeds.ac.uk/classics/lics/).

Plato. 2001. *Lysis, Symposium, Gorgias*. With an English translation by W.R.M. Lamb. Harvard University Press.

პლატონი, ნადიმი. 2012. ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. წიგნში: სიმპოსიონი. რედაქტორი და შემდგენელი ნანა ტონია, თბილისი, ლოგოსი.

Pomeroy, S.B. 1985. *Frauenleben im klassischen Altertum*. Stuttgart.

Saake, H. 1971. *Zur Kunst Sapphos. Motiv-analitische und kompositions-technische Interpretationen*. München (Paderborn), Wien, Schöningh.

ტონია, ნანა. 1977. საფო, ლირიკა, თბილისი.

ტონია, ნანა. 1991. *საპფოს პოეტური სამყარო*, თბილისი.

ტონია, ნანა. 2008. ანტიკური სამყაროს პოეტებსები, თბილისი.

Treu, M. 1968. *Sappho*. München.

West M.L., A new Sappho poem. In.: *Zeitschrift fur Papirologie und Epigraphik*, 151, 2005, 1-9.

Nana Tonia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Diotima's "Philosophy of Love" and Sappho's Poetry

Key words: *Sappho, Diotima, Symposium, Hymenios, Demetrios*

I have tried to show that the "Theory of Eroticism" that Socrates develops in *The Symposium*, wherein he proclaims "wise" Diotima as his teacher, connects to the images from Sappho's poetic world. To illustrate this, I examined three, in my opinion, main issues and showed that: I. Plato not only was familiar with Sappho's works, but also acknowledged the Mytilenean poetess as 'wise' and, most importantly, even called her his "tenth muse"; II. Sappho's and Diotima's understanding of Eros's divine power is identical; III. The central doctrine of *The Symposium* – the doctrine of divine beauty (καλοκάγαθία), which Diotima (or her symbolic image) was proving employing her philosophical logic – was inspired by Sappho's wisdom expressed through her poetic images.

ანა ქირია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

პირველი საწყისისადმი მიდგომის სამი პარადიგმა პლოტინის შემდგომ ნეოპლატონიზმში

*საკვანძო სიტყვები: პირველი საწყისი, ნოეტური ტრიადა,
ერთი, გამოუთქმელი*

შესავალი

პირველი საწყისის პრობლემა მისი არსებობის დასაბამიდანვე ცენტრალური იყო ნეოპლატონიზმისთვის. ნეოპლატონიზმის ფუძემდებლის პლოტინის მიერ განვითარებული მეტაფიზიკური სისტემა ამოდის პლატონის „პარმენიდეს“ პირველი ჰიპოთეზის აბსოლუტურ ერთთან¹ გაიგივებული სრულიად

¹ დიალოგ „პარმენიდეს“ პირველ ჰიპოთეზაში განვითარებულმა თეორიამ ყოფნის მიღმური ერთის ნეოპლატონური გაგების და, ამით, მთლიანად ნეოპლატონური მეტაფიზიკის ჩამოყალიბება განსაზღვრა. პლოტინი „პარმენიდეს“ პირველ სამ ჰიპოთეზას თავისი მეტაფიზიკური მოდელის სამ საწყის ჰიპოსტასად განმარტავდა (Plot. V 1, 8, 25-28). „პარმენიდეს“ პირველი ჰიპოთეზის სიმრავლის გარეშე, თავისთავად აღებული ერთი პლოტინის მეტაფიზიკის უმაღლეს საწყისს – ერთს – შეესაბამება. ეს არის პირველი ერთი (τὸ πρῶτον ἓν). „პარმენიდეს“ მეორე ჰიპოთეზის მყოფთა უსასრული სიმრავლედ დიფერენცირებული მყოფი ერთი (ἓν ὄν) პლოტინ-

ტრანსცენდენტური და ჭეშმარიტად გამოუთქმელი² საწყისი-დან, რომელიც თავისთავადობაში ყოველივესგან (πάντα) სრულ-ლიად განყენებულია³ და ვერანაირი კატეგორია ვერ მიეყენება. ამავდროულად, ეს სავსებით არა-მრავალი (ὁὐ πᾶσι Plot. VI 9, 2, 18-19)⁴ საწყისი პლოტინთან ყველაფრის პირველმიზეზად და წყაროდ არის აღიარებული და მყოფთა მთელი სიმრავლის წარმოებაზე ეკისრება პასუხისმგებლობა. მიზეზიდან შედეგზე გადასვლის აუცილებლობის დასაბუთება კი, ლოგიკურია, მიზეზისა და შედეგის ერთმანეთისადმი ორმხრივ ორგანულ მიმართებებში ჩაყენებასა და შედეგის მიზეზში რაღაცნაირი ფორმით ჩართვას მოითხოვს. პლოტინი მითითებულ საჭიროებას ითვალისწინებს, როდესაც თავის უმაღლეს საწყისს – ერთს – ყველაფრის (πάντα) განურჩეველი წესით წინასწარ ფლობას მიაწ-

თან გონებად, ანუ პლატონისეულ იდეათა სამყაროდ, გაიაზრება. გონება საწყისთა იერარქიაში ერთს მოსდევს. გონების საფეხურზე, უმაღლეს ერთთან სიახლოვის გამო, ერთისა და სიმრავლის სინთეზი ჯერ კიდევ ერთიანობის დომინირებით ხორციელდება. პლოტინი გონებას, „პარმენიდეს“ მეორე ჰიპოთეზის კვალად, ἔν-πᾶσι-დ („ერთი-მრავალი“) მოიხსენიებს. პლოტინის მეტაფიზიკის მესამე საწყისი – სული – „პარმენიდეს“ მესამე ჰიპოთეზას შეესატყვისება. სული მესამე ერთს წარმოადგენს. გონებისგან განსხვავებით, დიანოეტური სული, ἔν-πᾶσι-ს ნაცვლად, ἔν καὶ πᾶσι-დ („ერთი და მრავალი“) წარმოდგება. ნეოპლატონიკოსებთან დიალოგ „პარმენიდეს“ ფუნდამენტური მნიშვნელობისთვის, პირველ რიგში, იხ. Dodds 1928, 129–142; Rist 1962, 389–401. „პარმენიდეს“ ნეოპლატონურ განმარტებასთან დაკავშირებით ფართოდ იხ. Cürsgen 2007. „პარმენიდეს“ პირველი ჰიპოთეზის დაწვრილებითი ანალიზისთვის იხ. Halfwassen 2006, 265–406. ასევე, პლოტინის მიერ „პარმენიდეს“ მეორე ნაწილის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით იხ. Vorwerk 2010, 23–33; Corrigan 2010, 35–48.

² Plot. V 3, 13, 1; ἄρητον τῆ ἀληθείᾳ. ერთის გამოუთქმელობისთვის ასევე იხ. Plot. V 3, 13, 1; V 5, 6, 24–26; V 3, 13, 1–5; V 3, 14, 1–8; V 4, 1, 8–9; V 5, 6, 11–13; II 9, 1, 5–7; VI 7, 38, 1–9; VI 8, 8, 3–8; VI 9, 4, 11–13 და ა. შ.

³ პლოტინის ერთის ყოველივესგან სრულ განყენებულობასთან დაკავშირებით იხ. Halfwassen 2006, 81–97.

⁴ შდრ. Pl. *Prm.* 137 e4–5.

ერს (Plot. V 3, 15, 18–25; V 3, 15, 27–31; V 5, 9, 35–36; V 2, 1, 1–5; V 3, 15, 23–25; VI 5, 1, 25–26; VI 7, 32, 14; VI 8, 21, 24–25; VI 8, 18, 1–3.)⁵ და უზენაესის ბუნებისა და მწარმოებელი ქმედითობის ახსნას წარმოებულთა სფეროდან აღებული ანალოგიებით ცდილობს⁶. სწორედ ამ დროს ის არღვევს პირველსაწყისის წმინდა ერთობასა და აბსოლუტურ ტრანსცენდენტობას. საბოლოო ჯამში, პლოტინის თეორია შეიძლება შეფასდეს კომპლექსური ტენდენციებისა და მიმართებების მატრიცად, რომელშიც უზენაესი საწყისი ერთდროულად წარმოდგება თავის თავში ყველაფრის სავსებით გამომრიცხავ (ექსკლუზიურ) და ყველაფრის შემცველ (ინკლუზიურ) ერთად, ყველაფრისგან აბსოლუტურად განყენებულად და ყველაფრის ერთებრივად მომცველ უმიზეზობრივს მიზეზად⁷.

პირველსაწყისისადმი ნეოპლატონიზმის დამაარსებლის არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ მომდევნო ნეოპლატონიკოსთა მიდგომების მრავალფეროვნება განაპირობა.⁸ პლოტინის მოწაფემ პორფირიოსმა უმაღლესი საწყისი თავისთავად ყოფნას გაუთანაბრა და, ამგვარად, აბსოლუტურად ტრანსცენდენტური პრინციპის იდეაზე უარი თქვა. იამბლიქოსმა პირველი საწყისი მთლიანად ინკლუზიურად ტრანსფორმირებულ, მიზეზობრივად ქმედით ერთად და რადიკალურად ტრანსცენდენტურ გამოუთქმელად გააორა. პროკლემ, პლოტინის კვალად, ერთა-

⁵ პლოტინის ერთის ყველაფრობასთან დაკავშირებით იხ. Beierwaltes 1985, 38–73.

⁶ ერთიდან მყოფთა სიმრავლის გამოსვლის (პროოდოსის) გადმოსაცემად პლოტინი მიმართავს წყაროს, მარცვლის, ფესვის, სინათლის, ცეცხლის და სხვა ანალოგიებს.

⁷ Plot. VI 8, 18, 38–39: οἷον αἰπίωτατον καὶ ἀληθέστερον αἰτία.

⁸ ზოგადად, პლოტინისა და გვიანი ნეოპლატონიკოსების მეტაფიზიკურ სწავლებათა ურთიერთშედარებისთვის იხ. Chlup 2012, 21–30.

დერთი პირველსაწყისის დონეზე სცადა აბსოლუტური ტრანსცენდენტობისა და მიზეზობრიობის ერთმანეთთან მორიგება. ათენის ნეოპლატონური სკოლის უკანასკნელი დიადოხოსი დამასკიოსი, თავის მხრივ, პროკლეს დაუპირისპირდა. დამასკიოსმა, იამბლიქოსის მსგავსად, ერთს ყველაფრის ნამდვილი პირველსაწყისისა და მიზეზის დატვირთვა შესძინა, „გამოუთქმელად“ (ἀκρητον) დასახული არასაკუთრივი პირველსაწყისი კი რადიკალური ტრანსცენდენტობის, შეუმცნებადობის (ἀγνοστον), უმიმართებობისა (ἄσχετον) და სხვა ნეგატიური მომენტების სრულყოფილ რეალიზაციად წარმოაჩინა.

პლოტინის შემდგომ ნეოპლატონიზმში პირველი საწყისისადმი მიდგომის ძირითადი პარადიგმები გარკვევით იკვეთება „უკანასკნელ ნეოპლატონიკოსად“ წოდებული დამასკიოსის მთავარი შრომის – „საწყისთა შესახებ“⁹ – I, 86, 3-10 მონაკვეთში:

„ამის შემდეგ კი ეს წამოვჩიოთ წინ განსახილველად: ხომ არ არის პირველ გონითსაწვდომ ტრიადამდე ორი პირველი საწყისი – სრულიად გამოუთქმელი და ტრიადისადმი თანუწყობელი, როგორც დიდმა იამბლიქოსმა უსრულყოფილესი „ქალდეური თეოლოგიის“¹⁰ 28-ე წიგნში მიიჩნია? თუ, როგორც მის [იამბლიქოსის] შემდეგ უმრავლესობა ამტკიცებდა, ერთი გამოუთქმელი მიზეზის შემდეგ იმყოფება გონითსაწვდომთა პირველი ტრიადა? ან [იქნებ] ამ ჰიპოთეზაზე უფრო დაბლა ჩამო-

⁹ აღნიშნული ნაშრომის ორიგინალური სახელწოდებაა – Ἀπορία καὶ λῦσις περὶ τῶν πρώτων ἀρχῶν („პირველ საწყისებთან დაკავშირებული აპორიები და მათი გადაწყვეტანი“).

¹⁰ იამბლიქოსის ეს ნაშრომი არაა შემორჩენილი.

ვალთ და პორფირიოსივით ვიტყვით, რომ ყველაფრის ერთი საწყისი გონითსაწევდომი ტრიადის მამაა.”¹¹

წარმოდგენილი მონაკვეთი იძლევა საშუალებას, დადმავალი საფეხურეობრიობით გამოიყოს პლოტინის მომდევნო ნეოპლატონიკოსთა შორის პირველი საწყისისადმი მიდგომის სამი პარადიგმა: 1. პირველი პარადიგმა პირველი ნოეტური ტრიადის მიღმა ორი პირველი საწყისის – ტრიადისადმი თანუწყობლისა და სრულიად გამოუთქმელის – აღიარებას გულისხმობს. სრულიად გამოუთქმელი (πάντη ἄρητος) პრინციპის ტრანსცენდენტობა აშკარად ყოველი თვალსაზრისით მაქსიმალურადაა აბსოლუტიზირებული ისე, რომ ეს საწყისი ერთადაც კი ვერ იქნება დასახული. ამ პარადიგმას იამბლიქოსი და თავად დამასკიოსი ახორციელებენ; 2. მეორე პარადიგმის არსი ნოეტური ტრიადის მიღმა „გამოუთქმელ მიზეზად“ (ἄρητος αἰτία) განსაზღვრული ერთადერთი საწყისის დაშვებაში მდგომარეობს. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პირველსაწყისის გამოუთქმელობისა და ტრანსცენდენტობის მასშტაბები მიზეზობრიობასთან კომბინირების გამო, გარკვეულწილად, შეზღუდულია. ეს პარადიგმა, უმთავრესად, სირიანოსითა და პროკლეით უნდა იყოს წარმოდგენილი; 3. მესამე პარადიგმა ყველაფრის ერთი საწყისის ნოეტური ტრიადის მამობამდე დაყვანას მოასწავებს. ნოეტურ ტრი-

¹¹ თარგმანი ეკუთვნის წინამდებარე სტატიის ავტორს. შდრ. Dam. Pr. I, 86, 3-10 (Ruelle): Μετὰ δὲ ταῦτα ἐκείνο προβαλλόμεθα εἰς ἐπίσκεψιν, πότερον δὺν εἶσιν αἱ πρῶται ἀρχαὶ πρὸ τῆς νοητῆς πρώτης τριάδος, ἢ τε πάντα ἄρητος καὶ ἡ ἀσύντακτος πρὸς τὴν τριάδα, καθάπερ ἐξίωσεν ὁ μέγας Ἰάμβλιχος ἐν τῷ κη' βιβλίῳ τῆς χαλδαϊκῆς τελειοτάτης θεολογίας, ἢ ὡς οἱ πλείστοι τῶν μετ' αὐτὸν ἐδοκίμασαν, μετὰ τὴν ἄρητον αἰτίαν καὶ μίαν εἶναι τὴν πρώτην τριάδα τῶν νοητῶν, ἢ καὶ ταύτην ὑποβησόμεθα τῆς ὑποθέσεως, κατὰ δὲ τὸν Πορφύριον ἐροῦμεν τὴν μίαν τῶν πάντων ἀρχὴν εἶναι τὸν πατέρα τῆς νοητῆς τριάδος. აქ და შემდგომშიც დამოწმება ხდება რუელის გამოცემის მიხედვით.

ადასთან ერთ ჰორიზონტალურ რიგში (σύνταξις) დგომის გამო, ამ საწყისის ტრანსცენდენტობის ხარისხი პირველი და მეორე პარადიგმის ტრიადისადმი თანუწყობელ პირველსაწყისთან (ἀσυντακτος πρὸς τὸν τριάδα) და, მით უმეტეს, სრულიად გამოუთქმელ საწყისთან შედარებით (ἀπαντὴ ἄρητος) აშკარად დაქვეითებულია. ტრანსცენდენტობის ასეთი დოზით დამკარგავ საწყისს დამასკიოსი საერთოდ აღარ მიაწერს გამოუთქმელობას. საინტერესოა ისიც, რომ პირველსაწყისისადმი ამგვარი მიდგომა უკანასკნელ დიადოხოსთან დამდაბლებადაა (ὑποβησόμεθα) აღქმული. ამ პარადიგმას პლოტინის მოწაფე პორფირიოსი წარმოადგენს, რომლის პირდაპირ კრიტიკასაც დამასკიოსი ზემომოყვანილი მონაკვეთის დამთავრებისთანავე იწყებს (Dam. Pr. I, 86, 12-19).

წინამდებარე სტატიის მიზანია პლოტინის შემდგომ ნეოპლატონიზმში პირველი საწყისისადმი მიდგომის სამი პარადიგმის არსებობის გამოკვეთა და ანალიზი, მათ ძირითად თავისებურებათა ახსნის კვალად, რისთვისაც დაღმავალი საფეხურეობრიობის დამასკიოსისეულ პრინციპს მივმართავთ.

პირველი პარადიგმა – იამბლიქოსი და დამასკიოსი იამბლიქოსი

დამასკიოსი აღნიშნავს, რომ იამბლიქოსი იყო ერთადერთი (დამასკიოსის წინამორბედთა შორის), რომელმაც პირველ ნოეტურ ტრიადადღე ორი პირველი საწყისი დაუშვა.¹² ამ ნოვაციის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად უმთავრესი წყარო დამასკიოსის *De Principiis*-ის რამდენიმე მოკლე მონაკვეთია, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

¹² Dam. Pr. I, 89, 7: ὁ Ἰάμβλιχος, ὅσον ἐμέ γε εἰδέναι μόνος ἀξιώσας τόγῃ τῶν πρὸ ἡμῶν ἀπάντων.

Pr. I, 86, 19–87, 9 მონაკვეთში დამასკიოსი იამბლიქოსის პოზიციას არჩევს.¹³ მისი მსჯელობა ცხადყოფს *Pr. I, 86, 3–10* მონაკვეთში ნახსენები პირველი ნოეტური ტრიადისა და ამ უკანასკნელის წინარე ორი პირველი საწყისის – ტრიადისადმი თანუწყობლისა (ή ἀσύνητακος πρὸς τὴν τριάδα) და სრულიად გამოუთქმელის (ή πάντη ἄρητος) რაობას: ა) თავდაპირველად დამასკიოსი პირველი ნოეტური ტრიადის წევრებს ალტერნატიული სახელწოდებებით წარმოადგენს, იმგვარად, როგორც იამბლიქოსს უნდა ჰქონოდა მოაზრებული. იგი, სავარაუდოდ, თავად იამბლიქოსის განზრახვის შესაბამისად, განასხვავებს პითაგორულ, პლატონურ და ქალდეურ ტრიადებს: μονάς-δυσὰς ἀριστος-τριάς (მონადა-განუსაზღვრელი ორობა-ტრიადა), πέρας-ἄπειρον-μικτόν (საზღვარი-უსაზღვრობა-ნარევი *Pl. Phlb. 23 c9–d8*) და πατήρ (/ὑπαρξίς)-δύναμις-νοῦς (მამა/არსებობა ან ეგზისტენცია-ძალა-გონება *Or. Chld. Fr. 3; 4; 22*). ტრიადულობის მიღმა აუცილებლად უნდა იყოს თანუწყობელი პრინციპი, რომელიც, პორფირიოსის შეხედულების საპირისპიროდ, ტრიადის წევრობამდე არ დაიყვანება. აღნიშნული პრინციპი ერთია.

Pr. I, 87, 8–9-ში მოკლედ განიმარტება, კონკრეტულად, რა ტიპის ერთობას ფლობს ტრიადის მიღმური ერთი. მეორე საწყი-

¹³ *Dam. Pr. I, 86, 19–87, 9: ἀλλ' ἴσως ἄμεινον κατὰ τὸν Ἰάμβλιχον λέγειν· εἶτε γὰρ μονὰς καὶ δυσὰς ἀριστος καὶ ἐπὶ ταύταις τριάς, αὕτη ἐστὶν ἡ ὅλη νοητὴ τριάς, ὡς οἱ Πυθαγόρειοι λέγουσιν, πρὸ τούτων ἂν εἴη τὸ ἔν, ὡς καὶ τοῦτο φασιν ἐκεῖνοι οἱ ἄνδρες· εἶτε πέρας καὶ ἄπειρον καὶ μικτόν, καὶ πρὸ τούτων ὑπόκειται τῶ Πλάτωνι τὸ ἔν, ὃ καὶ τῶ μικτῶ τῆς μίξεως αἴτιον εἶναι φησιν· εἶτε πατήρ ἐστὶ καὶ δύναμις καὶ νοῦς, εἴη ἂν πρὸ τούτων, ὃ εἶς πατήρ ὁ πρὸ τῆς τριάδος· παντὶ γὰρ ἐν κόσμῳ λάμπει τριάς ἢς μονὰς ἄρχει, φησὶ τὸ λόγιον. Εἰ δὲ ἐν τοῖς κόσμοις, πολλῶ μᾶλλον ἐν τῶ ὑπερκοσμῷ βυθῶ· ἦκιστα γὰρ ἐκεῖνῳ προσήκοι ἂν ἄρχεσθαι ἀπὸ πλήθους. Εἰ τοῖσιν πρὸ μὲν τοῦ τριαδικοῦ τὸ μονοειδές, πρὸ δὲ τούτου τὸ πάντη ἄρητον, ὡς ἐλέγομεν, δῆλον τὸ συμβαῖνον. ἐπὶ γὰρ εἰ τὸ ἔν πάντα δευτέρα ἀρχὴ μετὰ τὴν ἀπόρητον, αὕτη δὲ οὐδὲν μᾶλλον τόδε τι τόδε, ἀλλὰ πάντα ἐπίσης.*

სი ერთი-ყველაფერია (τὸ ἓν πάντα).¹⁴ ეს უკანასკნელი არაა უფრო მეტად „ეს“, ვიდრე „ის“, არამედ ყველაფერი თანაბრადაა (πάντα ἕπιτοῦ). აქედან ნათელია, რომ იამბლიქოსი უმაღლეს ერთს ყველაფრისგან სავსებით განყენებულად კი არ მოიაზრებდა, არამედ ყველაფრის შემცველობას მიაწერდა. შესაბამისად, მისეული ერთი იყო არა წმინდა, ექსკლუზიური (ყველაფრის გამომრიცხავი), არამედ ინკლუზიური (ყველაფრის შემცველი) ერთი.¹⁵ შემდგომ, სახელწოდება „ყველაფერი თანაბრად“ (τὸ πάντα ἕπιτοῦ) გვაფიქრებინებს, რომ იამბლიქოსისთვის ერთი-ყველაფერი ნიშნავდა ისეთ საწყისს, რომელშიც არცერთი მომენტი არაა განსაკუთრებულად წინა პლანზე წამოწეული და, ამიტომ, ეს საწყისი ყველაფერი აბსოლუტურად თანაბრად გამოდის. მის მომდევნო ტრიადაში შემავალი საწყისებისგან განსხვავებით, მას არანაირი კონკრეტული სპეციფიკა (ἰδιότης) არ გააჩნია. ცხადია, ყოვლისშემცველობის გამო, იამბლიქოსთან უზენაესი ერთის ტრანსცენდენტობა და გამოუთქმელობა მხოლოდ შეფარდებითი თუ იქნება. შესაბამისად, დასაშვებია, ერთი ყველაფრის საკუთრივ მიზეზად მიიჩნეოდეს.

დამასკიოსის მსჯელობიდანვე ირკვევა, წარმოადგენს თუ არა სრულიად გამოუთქმელი პირველსაწყისი ერთს. იამბლიქოსის პოზიციის გარჩევასა და დამასკიოსი გამოუთქმელ საწყისს არსად არ მოიხსენიებს ერთად. დამასკიოსი საუბრობს τὸ

¹⁴ შდრ. Dam. Pr. I, 98, 12-13: ὅστε καὶ εἰ τις ὑποτίθειτο μίαν μὲν εἶναι τὴν πρὸ τῆς νοητῆς τριάδος ἀρχὴν, αὐτὴν δὲ τὴν μίαν αὐτὸ εἶναι τὸ πάντα ἓν.

¹⁵ იამბლიქოსთან უზენაესი ერთის ინკლუზიურობას მხარს უჭერს „პარმენიდეზე“ პროკლეს კომენტარის VI, 1107, 9-1108, 30 და VI, 1114, 1-15 მონაკვეთებიც, რომლებშიც პროკლე, სწორედ, თვითერთის იამბლიქოსისეულ კონცეფციას უნდა ეწინააღმდეგებოდეს. პროკლეს აღნიშნულ წყაროებში იამბლიქოსის პოზიციის კრიტიკისთვის იხ. Halfwassen 1996, 52-83, უფრო ზუსტად, 67-69. 77-83.

ἄρρητον-ზე და არა ἔν ἄρρητον-ზე. ის „სრულიად გამოუთქმელს“ (τὸ πάντῃ ἄρρητον, τὸ πάνμπαυ ἄρρητον, παντελῶς ἄρρητον), „გამოუთქმელს“ (τὸ ἄρρητον/τὸ ἀπὸρρητον) ყოველთვის არსებითი სახელის ფორმით გადმოსცემს და ერთისგან დამოუკიდებლად მოიაზრებს.¹⁶ დამასკიოსის სიტყვებით, ტრიადულს ერთი, ერთს კი „სრულიად გამოუთქმელი“ ან უბრალოდ „გამოუთქმელი“ უსწრებს წინ.¹⁷

Pr. I, 103, 6-10-ში¹⁸ დამასკიოსი კიდევ ერთხელ ეხება მოკლედ იამბლიქოსის მიერ დაშვებულ ორ პირველსაწყისს: ორი საწყისის წინ არის ერთი საწყისი. ის მარტივი ერთია, რომელიც

¹⁶ აღსანიშნავია, რომ იამბლიქოსის ფილოსოფიის ავტორიტეტული მკვლევარი ჯონ დილონი სრულიად გამოუთქმელ პირველსაწყისს აბსოლუტურად ტრანსცენდენტურ ერთთან აიგივებს და, ამდენად, გამოუთქმელობას ერთისგან დამოუკიდებელ დატვირთვას არ ანიჭებს. მეცნიერის გაგებით, იამბლიქოსმა ორი ერთი დაუშვა – სრულიად გამოუთქმელი ერთი და მარტივი ერთი, ანუ ერთი-ყველაფერი. დილონი ერთსა და პირველსაწყისს ერთმანეთისგან არ მიჯნავს. ამიტომაც არის მისთვის ორი პირველსაწყისისა და ორი ერთის დაშვება იდენტური. შესაბამისად, მეცნიერი ასე იწყებს იამბლიქოსის ერთზე მსჯელობას: „*Iamblichus, alone, so far as we know, of the Neoplatonist philosophers, postulated two Ones, or first principles.*“ შდრ. Dillon 1973, 29; Idem 2010, 360. ვფიქრობთ, უფრო გამართლებული იქნება, თუ იამბლიქოსთან ორი პირველსაწყისის და არა ორი ერთის დაშვებაზე ვისაუბრებთ. ჯერ ერთი, როგორც დავრწმუნდით, დამასკიოსთან საუბარია პირველი ნოეტური ტრიადის მიღმა იამბლიქოსის მიერ არა ორი ერთის, არამედ ორი პირველსაწყისის აღიარებაზე. მეორეც, დამასკიოსის ტექსტში, რომელიც უმთავრესი წყაროა იამბლიქოსის ჰენოლოგიურ თეორიაზე წარმოდგენის შესაქმნელად, არსად, არანაირი ფორმით არ იძებნება გამოთქმა ἔν ἄρρητον. ამდენად, აშკარაა, რომ ერთის მიღმური პირველსაწყისი უბრალოდ გამოუთქმელია და არა ერთი.

¹⁷ Dam. *Pr. I, 87, 8*: πρὸ δὲ τούτου τὸ πάντῃ ἄρρητον. Ibid. I, 87, 14: τούτου προὑπάρχει τὸ ἀπὸρρητον.

¹⁸ Dam. *Pr. I, 103, 6-10*: Καὶ γὰρ ἡ μία ἀρχὴ πρὸ τῶν δυεῖν· αὕτη μὲν οὖν τὸ ἀπλῶς ἔν, ὃ μέσον ὁ Ἰάμβλιχος τίθεται τῶν δυεῖν ἀρχῶν καὶ τῆς παντάπασιν ἀπορρητου ἐκείνης, αἱ δὲ δύο πέρας φέρεται καὶ ἄπειρον, ἢ καὶ εἰ βούλεται τις, ἔν καὶ πολλά, ἄλλὰ τὸ ἀντικείμενον ἐν τοῖς πολλοῖς, οὐ τὸ πρὸ ἀμφοῖν καὶ ἀναντιθέτον.

იამბლიქოსმა ორ საწყისსა და სრულიად გამოუთქმელს შორის მოათავსა. დამასკიოსი განმარტავს, რომ ორ საწყისში საზღვარი და უსაზღვრობა, ან სხვაგვარად, ერთი და მრავალი იგულისხმება. ერთი და მრავალი ერთმანეთს უპირისპირდება, მაშინ როდესაც უშუალოდ მათ წინარე საწყისს დაპირისპირებული პრინციპი არ გააჩნია. ამ საწყისს დამასკიოსი მითითებულ პასაჟში „მარტივად ერთს“ (τὸ ἀπλῶς ἓν), ანუ „აბსოლუტურ ერთს“, უწოდებს. როგორც ჩანს, „აბსოლუტური ერთი“ იგივეა, რაც ზემოთ განხილულ მონაკვეთში ნახსენები „ერთი-ყველაფერი“ (τὸ ἓν πάντα). ერთი-ყველაფერი საკუთარ სისავსეში ითავსებს და განლევს დაპირისპირებულებს. ამიტომ არის იამბლიქოსისთვის იგი დაუპირისპირებელი (ἀναπτιμετον). აბსოლუტური ერთი, ანუ ერთი-ყველაფერი, დამასკიოსის ცნობით, იამბლიქოსმა სრულიად გამოუთქმელ საწყისზე დაბლა მოათავსა.

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, საფიქრელია, რომ იამბლიქოსმა პლოტინის პირველი საწყისისთვის ნიშნულ ისეთ შეუთავსებელ მომენტებს შორის, როგორებიცაა, ერთი მხრივ, აბსოლუტური ტრანსცენდენტობა და გამოუთქმელობა, მეორე მხრივ კი, საკუთრივი მიზეზობრიობა, ყველაფრის სრულიად გამომრიცხავი, ექსკლუზიური ერთობა და, პირიქით, ყველაფრის შემცველი, ინკლუზიური ერთობა, წინააღმდეგობა პირველი საწყისის გაორებით მოხსნა. სირიელმა ნეოპლატონიკოსმა პლოტინის მეტაფიზიკის პირველი საწყისის საწინააღმდეგო ასპექტები ერთმანეთს დააშორა და ორი პირველსაწყისის – სრულიად გამოუთქმელისა და ერთის – ფორმით წარმოადგინა.¹⁹ ამასთან, პლოტინის მეტაფიზიკურ სისტემაში ნაწი-

¹⁹ იამბლიქოსის სწავლებაზე მსჯელობისას დაახლოებით ამგვარივე აზრს გამოთქვამს ჯონ დილონი. შდრ. Dillon 2010, 360.

ლობრივ ექსკლუზიურად გაგებული ერთი იამბლიქოსთან ბოლომდე ინკლუზიურად ტრანსფორმირდა, ყველაფრის საკუთრივ პირველსაწყისად და მიზეზად განისაზღვრა და ერთ-ყველაფერს (τὸ ἐν πᾶσι) გაუთანაბრდა, პირველსაწყისის რადიკალური ტრანსცენდირების ტენდენციის სრულყოფილი ფორმით გამოვლენის შესაძლებლობა კი ერთისგან დამოუკიდებელ ახალ უმაღლეს საწყისში – გამოუთქმელში – შეიქმნა.

დამასკიოსი

„საწყისთა შესახებ“ პირველ თავში²⁰ დამასკიოსი ყველაფრის პირველსაწყისთან დაკავშირებით წამოჭრილ აპორიებს გადმოსცემს. მთავარი სირთულე იმაში მდგომარეობს, თუ რას წარმოადგენს ყველაფრის ერთი საწყისი, უფრო კონკრეტულად, როგორ უნდა განისაზღვრებოდეს მისი მიმართება ყველაფრისადმი და, პირიქით, ყველაფრის მისადმი. ყველაფრის ერთი საწყისი ან ყველაფრის მიღმურია (ἐπέκεινα τῶν πάντων) ან ყველაფრის ნაწილად (τι τῶν πάντων) ვლინდება და, ამგვარად, მისგან გამომავალთა მწვერვალს წარმოადგენს. იგივე საკითხი ყველაფრის პოზიციიდანაც ისმის: ყველაფერი ან საწყისთან ერთადაა ან საწყისის შემდეგ და საწყისიდანაა. დამასკიოსი განხილვას უკანასკნელი დაშვებიდან იწყებს. ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება რაღაც ყველაფრის გარეთ იყოს? ნამდვილად ყველაფერი იმას გულისხმობს, რასაც არაფერი აკლია. შესაბამისად, ისეთი პირველსაწყისის დაშვება, რომელიც ყველაფერში არ შედის, ყველაფრის ყველაფრობის გაუქმებას ნიშნავს. გამოვა, რომ ის, რაც საწყისის შემდეგაა, არის არა საკუთრივ ყველაფერი, არ-

²⁰ „საწყისთა შესახებ“ პირველი აპორიის ფართო ანალიზისთვის იხ. Napoli 2008, 128-199.

ამედ ყველაფერი საწყისამდე, უფრო ზუსტად, ყველაფერი საწყისის გარდა. ამასთან, დამასკიოსის მითითების თანახმად, ყველაფერი უსაზღვრო არაა. პირიქით, ყველაფერი გარკვეულ საზღვრებშია ჩაკეტილი. ამიტომაც არ ჩანს არაფერი ყველაფრის გარეთ. ყველაფრის საზღვარს (ῥοις) წარმოადგენს თავად ყველაფრობა (παντότης) და მომცველობა (περιληψις), რომელშიც საწყისი ზედა ზღვრის (πέρας ἔνα) ფუნქციას ასრულებს, საწყისიდან ყველაზე დაშორებული კი ყველაფრის ქვედა ზღვრად ვლინდება. ცხადია, ასეთ შემთხვევაში საწყისი საწყისიდან მომდინარეებს თანეწყობა. საწყისი იმათთან მიმართებით განისაზღვრება, რაც საწყისის შემდგომაა, მიზეზი – მიზეზოვნებთან, პირველი კი – პირველის მომდევნოებთან. ამდენად, ყველაფრის საწყისი, მიზეზი და პირველი ყველაფერთან ერთად ერთ საერთო წყებაშია ჩაყენებული და ყველაფრის ერთიან სისტემაშია ჩართული. პირველსაწყისის შეყვანა ყველაფრის შემადგენლობაში გამართლებულია ეპისტემოლოგიური თვალსაზრისითაც. ყველაფრად ის იწოდება, რაზეც რაღაცნაირი წარმოდგენა მაინც გვაქვს. ვინაიდან საწყისის კონცეპტი (ἔννοια) არსებობს, საწყისიც ყველაფრის ნაწილი უნდა იყოს. მაშასადამე, ყველაფრისთვის ყველაფრობა ქმნის გაგების ჰორიზონტს. ყველაფრის ფარგლებში წარმოდგენა ვერ გაჩნდება იმაზე, რაც ყველაფრის ერთიან განსაზღვრულ სისტემაში არ ზის. ყველაფრისა და ყველაფრის პირველსაწყისის ურთიერთმიმართების უკეთ გამოკვეთისთვის დამასკიოსი პარალელს ავლებს ყველაფერს, ქალაქსა და გვარს შორის. როგორც ქალაქის ხსენებისას ყოველთვის მხედველობაში გვაქვს მმართველები და მართულები, გვარზე საუბრისას კი – მშობლები და შვილები, ასევე ყველაფერი გულისხმობს საწყისსა და საწყისიდან მომდინარეებს.

წინამავალ მსჯელობაში თავიდანვე უარიყოფა ყველაფრის მიღმური საწყისის აღიარების შესაძლებლობა, ყველაფერს რაიმე რომ არ მოაკლეს და მისი ყველაფრობა არ შეილახოს. შემდეგ, ყველაფრის საზღვრები შემოიხაზება და მისი, ასე ვთქვათ, შინაგანი ბუნება ირკვევა. ყველაფრის საზღვარს ყველაფრობა ქმნის. ყველაფრის გარეთ გასვლა შეუძლებელია, რადგან ყველაფერს არაფერი აკლია და არაფერია მის გარეთ. ყოველი რამ, რაც არ უნდა წარმოვიდგინოთ და მოვიმოქმედოთ, ყოვლისმომცველ ყველაფერში უკვე იგულისხმება და, ამგვარად, ყველაფრის ფარგლებში იმყოფება. შიგნიდან ყველაფერი ყველაფრის ერთი თანწყობის (μία τῶν πάντων συνταξις) სახით ყალიბდება. ყველაფერი ერთმანეთს ეფარდება და ერთმანეთთანაა შეთანხმებული. აქედან გამომდინარე, ცხადია, ყველაფრის საწყისიც არ შეიძლება იმყოფებოდეს ყველაფრის საზღვრებს მიღმა. შესაბამისად, ისიც ჩაბმულია ყველაფრის ერთიან სისტემაში. ყველაფრის შიდა სტრუქტურას, სწორედ, ყველაფრის პირველ-საწყისისა და საწყისიდან მომდინარეების კოორდინაცია ქმნის. თუმცა, ყველაფრის ერთიან თანწყობაში შემავალი, ყველაფერთან ერთად მყოფი საწყისი მხოლოდ ყველაფრის ერთიანი სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი რიგითი რგოლია. ლოგიკურია, იგი, როგორც მთელის შემადგენელი ნაწილი, ყოველივეს მთლიან სისტემას საფუძვლად ვერ დაედება.²¹ მაშასადამე, ან უსასრულოდ უნდა განვაგრძოთ ყველაფრის ერთი საწყისის ძიება ან, კიდევ, ყველაფერი უსაწყისოდ ვაღიაროთ. დამასკოისი უკანასკნელ ვარიანტს ამჯობინებს. მისი თქმით,

²¹ ამ შემთხვევაში დამასკოისი მისდევს საერთო ნეოპლატონურ ტრადიციას. შდრ. Plot. III 8, 9, 45-54; V 2, 1, 2; Procl. *in Prm.* VI, 1107, 9-1108, 20; VI, 1114, 1-20.

თუ საწყისი ყველაფრის შემადგენლობაში შედის, მაშინ ყველაფრის საწყისი, როგორც ასეთი, არ არსებობს. ყველაფრის ერთი თანწყობა, რომელსაც ყველაფრად მოვიხსენიებთ, უსაწყისო ($\acute{\alpha}\nu\alpha\rho\chi\omicron\varsigma$) და უმიზიზოა ($\acute{\alpha}\nu\alpha\pi\omicron\varsigma$).

მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი უსაწყისოდ და უმიზიზოდ გამოაცხადა, დამასკოსი კვლავ ეხება ყველაფრის პირველსაწყისს, ოღონდ, საკითხის დასმისას ამოსავალი ამჯერად უკვე ყველაფერია. ყოველი რამ ან საწყისია ან საწყისიდან მომდინარე ($\acute{\alpha}\pi' \acute{\alpha}\rho\chi\omicron\varsigma$). შესაბამისად, ყველაფერიც ან საწყისია ან საწყისიდან გამომდინარე. თუ ყველაფერი საწყისიდან არის, მაშინ საწყისი ყველაფერთან ერთად კი არა, ყველაფრის გარეთაა. ყველაფრის გარეთ ვერაფერი იქნება. ამიტომ, ყველაფერი არ მომდინარეობს საწყისიდან, ანუ უსაწყისოა. მეორე მხრივ, თუ თვითონ ყველაფერია საწყისი, მაშინ რაღა იქნება ის, რაც ყველაფრიდან, როგორც საწყისიდან, მომდინარეობს და, როგორც მისი განსრულება, მასზე დაბლა დგას? ცხადია, ისიც ყველაფრის რიცხვში უნდა შედიოდეს, რადგან ყველაფერი გარეთ არაფერს ტოვებს. ასეთ შემთხვევაში ყველაფერი საწყისი-ყველაფრისა და ამ უკანასკნელიდან გამომავლის, რომლის რაობაც გაურკვეველია, ჯამი იქნება. გამოდის, რომ ყველაფერი = ყველაფერი + x (საწყისი-ყველაფრიდან მომდინარე რაღაც უცნობი რეალია), რაც შეუძლებელია. მაშასადამე, ყველაფერი არც საწყისს წარმოადგენს და არც საწყისიდან მომდინარეობს.

„საწყისთა შესახებ“ პირველი თავიდან გამომდინარე დასკვნები შემდეგნაირად ყალიბდება: 1. ყველაფრის პირველსაწყისი ვერ იქნება ყველაფრის მიღმა, ანუ, ყველაფერი ვერ გამოვა საწყისიდან; 2. ყველაფრის საწყისი, რომელიც ყველაფრის ნაწილია, მთელი ყველაფრის საწყისი ვერ იქნება; 3. ვერც თავად ყვე-

ლაფერი იქნება საწყისი; 4. ყველაფერი უსაწყისო და უმიზეზოა. აშკარაა, რომ მოცემულ აპორიათა გათვალისწინების შემთხვევაში ყველაფრის პირველსაწყისის დაშვება შეუძლებელი უნდა იყოს. ზემოთქმულის მიუხედავად, დამასკიოსის მეტაფიზიკაში ყველაფრის პირველსაწყისი ორივენაირი შესაძლო ფორმითაა დაშვებული და, ამგვარად, გაორებულია. „ბოლო ნეოპლატონიკოსი“, ერთი მხრივ, აღიარებს ყველაფრის მიღმურ საწყისს – გამოუთქმელს²², მეორე მხრივ კი, ყველაფერში შემავალ და ყველაფრისადმი თანწყობილ საწყისს – ერთს. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ისინი წარმოადგენენ ყველაფრის ისეთ პირველსაწყისებს, რომლებიც, „საწყისთა შესახებ“ პირველი თავიდან გამომდინარე, ყველაფრის საწყისები არ შეიძლება იყვნენ.

ყველაფრის მიღმური საწყისის დაშვებით ყველაფრის ყველაფრობას არაფერი აკლდება. ყველაფრის პირველსაწყისი ყველაფრის გარეთ რომ იყოს და ამით ყველაფერს რაიმე აკლდებოდეს, გამოვიდოდა, რომ საწყისი და ყველაფერი ერთმანეთთან მიმართებით განისაზღვრებიან და თავიანთ მდგომარეობაში ურთიერთგანპირობებულნი არიან: ყველაფერი არის ყველაფერი „არმისული“ საწყისისამდე, საწყისი კი ყველაფრიდან „ამოგლეჯილ“ ნაწილად წარმოდგება. ყველაფერთან კავშირის გამო ასეთი საწყისი ყველაფრის მიღმურად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. მეორე მხრივ, თუ ყველაფერსა და ყველაფრის საწყისს შორის არანაირი მიმართება არ არსებობს, ანუ, საწყისი აბსოლუტურად ტრანსცენდენტურია, მაშინ ყველაფრის საზღვრები სავსებით შეულახავი და დაურღვეველი იქნება. შესაბამისად,

²² დამასკიოსის სიტყვებით, სული წინასწარმეტყველურად ასკვნის, რომ საწყისი ყველაფრის მიღმური და ყველაფრისადმი თანუწყობელია. *Dam. Pr. I, 4, 6-7.*

ყოვლისმიღმური საწყისის დაშვების დროს ყველაფერი კვლავ თავისი თავით არის შეზღუდული და თავისივე ფარგლებში რჩება. იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერთან მიმართების ქონას ჩვეული აზროვნება ყველაფრის მიღმური და ყველაფრისადმი თანუწყობელი საწყისის თავისთავადობაში გამოხატვას მონდომებს, მაშინ მან ყველაფრის პოზიციიდან ხედვას თავი უნდა ანებოს, ე. ი. მასში ფესვგადგმულ კონცეპტებზე უარი თქვას, და დაასკვნას, რომ მის მიერ აღიარებული ყოვლისმიღმური პირველსაწყისი არც საწყისია, არც პირველი და არც ყველაფრის მიღმური. თუმცა, საბოლოოდ აზროვნებას ნეგაციის გზითაც კი არ ძალუძს ყოველივესგან თავის დაღწევა, ვინაიდან ყველაფრის საზღვრები ყველაფერს იტევს და ამით გადაულახავია. მაშასადამე, ყველაფრისგან სრულიად განყენებული პირველსაწყისი არის აბსოლუტურად შეუმცნებადი, ფსევდო, არასაკუთრივი, არანამდვილი საწყისი. დამასკიოსი მას გამოუთქმელს (ἀπρητον) უწოდებს. გამოუთქმელის გარშემო სრული უცოდინრობა, ზეარცოდნა²³ სუფევს. ჩვენ მას ვერც როგორც შემცნებულს და ვერც როგორც შეუმცნებელს ვერ შევიცნობთ. ის თითქოს არაფერია და როგორც არაფერი არაფერიც კი არაა (Dam. Pr. I, 13, 20-24).²⁴

გამოუთქმელს დამასკიოსთან ყველაფრის საკუთრივი პირველსაწყისი – ერთი – მოსდევს.²⁵ მაშინ, როდესაც გამოუთქმელი ყველაფერთან არანაირ მიმართებაში არ დგას და თავისთავად

²³ Dam. Pr. I, 13, 19: παντελής ἄγνοια. Ibid. I, 56, 8: ὑπεράγνοια.

²⁴ De Principiis-ში გამოუთქმელის შემცნების შეუძლებლობასთან დაკავშირებით ფართოდ იხ. Vlad 2014, 213-233; Cürsger 2007, 317-334; Гарнцев 1999, 23-30. ზოგადად, დამასკიოსის ფილოსოფიის მიმოხილვისთვის იხ. Van Riel 2010, 73-97; ალექსიძე 2019, 165-211.

²⁵ ერთზე და გამოუთქმელზე დამასკიოსის სწავლებისთვის ფართოდ იხ. ქირია 2020, 105-131.

არც ყველაფრის პირველსაწყისად არ შეიძლება განიხილებოდეს, ერთი ყველაფრობით მაქსიმალურადაა გამსჭვალული. ერთი ყველაფრისგან მოწყვეტილად არ არსებობს და ნამდვილად, ბუნებრივად უდებს ყველაფერს საფუძველს. ის განისაზღვრება პირველად, ყველაფრის უკანასკნელ გვირგვინად (ἄρχὴ καὶ τέλος πάντων), უგანუყოფელს მწვერვალად (ἀμερειατὴ κορυφή), უმაღლეს მიზნად, ყველაფრის, რაც არ უნდა იგულისხმებოდეს ამ ყველაფერში, უდიდესი მოცვად (ἡ μέγιστη περιουσία), საკუთრივ მიზეზად (τὸ κριτικὸν αἴτιον), ყველანაირი თვალსაზრისით მიზეზად (πάντα αἴτιον Dam. Pr. I, 4, 23–5, 3; I, 5, 8). ყველაფრის წარმოშობისთვის ერთი აუცილებლად რაღაცნაირი ფორმით უნდა შეიცავდეს ყველაფერს და თავადვე წარმოდგებოდეს ყველაფრად. შესაბამისად, დამასკიოსისთვის ის ყველაფრის არადიფერენცირებულად დამტევ ერთ-ყველაფერს (τὸ ἐν πάντα) უდრის. პლოტინის მეტაფიზიკაში ნაწილობრივ ექსკლუზიურად გაგებულ და ჭეშმარიტად გამოუთქმელად აღიარებული ერთი დამასკიოსთან მთლიანად ინკლუზიურადაა ტრანსფორმირებული. ერთის სიმარტივე ყველაფრისგან რადიკალურ განყენებულობასა და ყველაფრის უარყოფას კი არა, ისეთ ყოვლისშთანმთქმელობასა (πάντα καταπύον) და ყოვლისმომცველობას (περιεκτικώτατον) გულისხმობს, როდესაც ყოველივე ერთის სიმარტივით ერთად იქცევა, თავად ერთი კი ყოველივეს უზარმაზარ მასშტაბებამდე ფართოვდება.²⁶ შედეგად, უმაღლესი ერთის დონეზე ერთი აბსოლუტურად ემთხვევა ყველაფერს, სიმარტივე – ყოვლისმომცველობას, მინიმუმი კი – მაქსიმუმს. ყველაფრის წინდაწინ ფლობის გამო, ერთიდან ნამდვილად შეიძლება გამოდიოდეს ყველაფერი. ყველაფრის მაწარმოებელი მიზეზობ-

²⁶ შდრ. Dam. Pr. I, 3, 2; I, 3, 2-3; I, 4, 4; I, 273, 15-16.

რიობა თავად მის ბუნებაშია ჩადებული. დამასკიოსის სიტყვებით, ერთი ყველაფერი არადიფერენცირებული მყოფობის მიხედვით არის (πάντα κατὰ ἑαυτὴν ἄδιάκριτον) და ზესიმარტოვით წარმოადგენს ყველა იმ საგანს, რომელიც გამოსვლისას დიფერენცირებულად უნდა გამოიკვეთოს (*Dam. Pr. I, 52, 23–53, 5*). ამდენად, ყველაფრის საკუთრივი პირველსაწყისი, ერთი მხრივ, თვითონვეა ყველაფერი, მეორე მხრივ კი, მომდევნო ყველაფრობას (παντότης) თუ ყველაფრობებს აწარმოებს.

ერთი, როგორც ერთი-ყველაფერი, ყველაფრის ნამდვილი საწყისის სტატუსს ატარებს. თუმცა, რამდენადაც საკუთარ თავში ყველაფრის გამმეორებელი საწყისი ყოველივეს ერთიანი სისტემის ნაწილია, იგი მთელი ამ სისტემის საწყისი ვერ გახდება. ასეთი საწყისის ფუნქციას დამასკიოსთან აბსოლუტურად ტრანსცენდენტური გამოუთქმელი ასრულებს, რომელიც, ერთისგან განსხვავებით, საკუთრივი მნიშვნელობით აღარ შეიძლება წარმოადგენდეს ყველაფრის საწყისს, რადგან ასეთ შემთხვევაში, ერთის მსგავსად, ისიც ყველაფრის მიმართ თანწყობილი გახდებოდა.

რადიკალურად ტრანსცენდენტური გამოუთქმელის პირველსაწყისად განხილვა საკუთრივი მნიშვნელობით შეუძლებელია. თუმცა, ყველაფრის პოზიციიდან თუ შევხედავთ, ყოველივეს მთლიან სისტემას სჭირდება საწყისი, გამოუთქმელის დაშვების საფუძველი სწორედ ესაა. შესაბამისად, გამოუთქმელი რადიკალურად უნდა წარმოჩნდებოდეს ყველაფრის პირველსაწყისის პოზიტიურ როლში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დაშვება სრული აბსურდი იქნება. დამასკიოსი გამოუთქმელზე საუბარს ყველაფრის ტრანსცენდენტურ საწყისად მისი აღიარებით იწყებს, მაგრამ შემდეგ ყველაფრის „ინტერესებს“ თითქოს

საერთოდ უგულებელყოფს და, თავისთავადობაში გამოუთქმელის წვდომის სრული შეუძლებლობის დემონსტრირების კვალად, გამოუთქმელს ყველაფრისგან უფრო და უფრო „უხემად“ განაყენებს (Dam. Pr. I, 4, 7–7, 9). საკითხავია, როგორ ფასდება, ყველაფრის გადასახედიდან, გამოუთქმელის როლი. *De Principiis*-ში დასტურდება ორი ძალიან მოკლე მონაკვეთი, რომელშიც დამასკიოსს უწევს, გამოუთქმელის მხრიდან ყველაფრისთვის მოტანილ სარგებელს შეეხოს. Pr. I, 6, 26–7, 2-ის მიხედვით, ყველაზე აუცილებელი სარგებელი გამოუთქმელისგანაა.²⁷ ყველაფერი გამოუთქმელი გზით „გამოუთქმელის“ წმიდათაწმიდადან გამოდის. გამოუთქმელიდან გამოსვლა ისე არ ხდება, როგორც ერთი გამოავლენს მრავალს, ერთიანი კი დიფერენცირებულებს. გამოუთქმელი ყველაფერს გამოუთქმელად წარმოქმნის. Pr. I, 17, 23–18, 7-ში გამოუთქმელის წარმოებულთა თვალთახედვიდან, უშუალოდ წარმოებულებთან კავშირში განხილვის მასშტაბი კიდევ უფრო იზრდება. დამასკიოსის თანახმად, გამოუთქმელ საწყისთან დაკავშირებით ვერაფერს მივხვდებოდით, ჩვენში მისი კვალი რომ არ იყოს. გამოუთქმელი საწყისი ყველაფერს ანიჭებს გამოუთქმელთან ზიარების შესაძლებლობას, რის შედეგადაც ყოველ საგანში არსებობს რაღაც გამოუთქმელი. ზოგიერთი საგანი მეტად გამოუთქმელია, ზოგიც ნაკლებად. თუ ამას ვივარაუდებთ, მაშინ გამოუთქმელი მიზეზიდან პროოდოსი და გამომავალთა საიდუმლო წყობა შეიქმნება. ყოველი გამოთქმადი დაიყვანება გამოუთქმელზე, რომელიც თან ყველგანაა და თან გამოთქმადთაგან განყენებულია. საბოლოოდ მიიღება სამი მონადა და რიცხვი: არსებითი, ერთებრივი

²⁷ Dam. Pr. I, 6, 26–7, 2: εἰ δὲ χρεῖαν αὐτὸν τινα ἐπιζητοῦμεν, αὐτὴ ἐστὶν ἢ πάντων ἀναγκαιστᾶτη χρεῖα τὸ ἐκεῖθεν.

და საიდუმლო. დამასკიოსი მალევე უკუაგდებს ყოველივეს კონტექსტში გამოუთქმელის, თუნდაც მხოლოდ არასაკუთრივი გაგებით, ჩართვის შესაძლებლობებს და დუმისს ამჯობინებს. ყველაფერში გამოუთქმელის კვალის თანმიმდევრულ გატარებასა და გამოუთქმელიდან მომდინარე ყველაზე აუცილებელი სარგებლის დასაბუთებაზე უარის თქმით „ბოლო ნეოპლატონიკოსი“, წინამორბედათაგან განსხვავებით, თავისი პირველსაწყისის აბსოლუტური ტრანსცენდენტობის უკიდურესი ფორმით გამოხატვას აღწევს.

მეორე პარადიგმა – პროკლე

პირველი საწყისისადმი იამბლიქოსისა და დამასკიოსის მიდგომა ამ საწყისის გაორებით გამოხატება ერთად და გამოუთქმელად, ისე რომ ერთი სრულყოფილადაა ჩართული ყველაფრის კონტექსტში, ამდენად, საკუთრივი მნიშვნელობით იძენს პირველისა და საწყისის დატვირთვას და ყველანაირი თვალსაზრისით მიზეზად განისაზღვრება, აბსოლუტურად ტრანსცენდენტური გამოუთქმელი კი ყველაფრის წინაშე შესასრულებელ პოზიტიურ ფუნქციათაგან მაქსიმალურად თავისუფალია და, ამგვარად, მისი აბსოლუტური ტრანსცენდენტობა ყველაფერთან კავშირებით არ იზღუდება. პროკლე უკვე, პლოტინის კვალად, ერთის მიღმურ, არა-ერთ (τὸ οὐχ ἓν) საწყისს არ აღიარებს და ცდილობს თავისი უმაღლესი საწყისი – ერთი – ერთდროულად სავსებით ტრანსცენდენტურად და გამოუთქმელადაც წარმოაჩინოს და ყველაფერთან მიმართებით პოზიტიური როლებითაც დატვირთოს. ამასთან, პლოტინი ერთის მიზეზობრიობას, დიდწილად, აშკარად საკუთრივი მნიშვნელობით აღიქვამდა და ერთში ყველაფრის ჩართვას, ანუ ერთის ინკლუზიურ ტრანსფორმაციას უშვებდა, რაც, თავის მხრივ, პირ-

დაპირ წინააღმდეგობაში მოდის პირველსაწყისის აბსოლუტურ ტრანსცენდენტობასთან. იამბლიქოსთან ეს წინააღმდეგობა პირველსაწყისის გაორებით გაუქმდა. პროკლე აღნიშნულ წინააღმდეგობას პლოტინის ერთის ინკლუზიური ასპექტებისგან სავსებით განწმენდით და, შედეგად, ერთის მიზეზობრიობისთვის საკუთრივი მნიშვნელობის დაკარგვით ხსნის.²⁸

²⁸ საკუთრივი მიზეზობრივი ფუნქცია პროკლესთან საზღვარ-უსაზღვრობის საწყისთა დიადასა და ჰენადებზე მოდის. ჰენადები (ἐνάδες – ერთეული, ერთი) თვითერთის ზეარსებითი მანიფესტაციები არიან. ზიარებული ჰენადების მეშვეობით პროკლე ქმნის გარდამავალ საფეხურს უზიარებელ ერთსა და მყოფის სფეროს შორის. იმისთვის, რათა სინამდვილის ერთი დონის მეორე დონედ განვითარების თანდათანობა არ დაირღვევს, აუცილებელია, მიზეზიდან უპირველესად მსგავსი იზადებოდეს. შესაბამისად, თვითერთი ჯერ ჰენადებს წარმოაარსებს, ერთობის მიხედვით. ისინი ერთს ყველაზე მეტად ჰგვანან და თითქოს გარს ერტყმიან მას. მათი ერთობა გაურთიანებელი ერთობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოსვლისას ისინი არ ქვეითდებიან და, ამდენად, შემდეგ, უზენაეს ერთთან დაბრუნებისა და ზიარების გზით, ერთისგან, როგორც გარედან განმსაზღვრელისგან, ერთობის მინიჭებას არ საჭიროებენ. შდრ. Procl. *Theol. Plat.* III 3, 12, 24–13, 6. ზეარსებითი ერთობის გამო მყოფთათვის ისინი გამოუთქმელნი და შეუმცნებელნი რჩებიან, მაგრამ, თვითერთისგან განსხვავებით, მათი ტრანსცენდენტობა და გამოუთქმელობა უკვე რელატიურია. ისინი ყველაფრის საკუთრივი, პირველმოქმედი (πρωταρχική) მიზეზები არიან და საკუთარ თავში ზიარებას უშვებენ, მაშინ როდესაც თვითერთი უზიარებელია და, ამდენად, თავისთავად მასზე წვდომის დამყარება შეუძლებელია. ნათელი უნდა იყოს, რომ თვითსრული ჰენადების (ἀποτελείς ἐνάδες) შემოყვანა პროკლესთან თვითერთის აბსოლუტური ყოვლისმდიდშრობის გამოკვეთას ემსახურება. ვინაიდან გამორიცხულია, სრულიად ტრანსცენდენტური წმინდა ერთიდან მრავლობით ყოფნაზე გადასვლა პირდაპირ განხორციელდეს და თვითერთი მყოფებთან უშუალო კავშირში მოვიდეს, ამიტომ პროკლეს ესაჭიროება ისეთი სპეციფიკური ერთეულები, რომლებიც მყოფთა წარმოშობაზე უშუალოდ იზრუნებენ. პირველი ჰენადა თვით საზღვარია, ამ უკანასკნელის მეწყვილე უსაზღვრობა კი მეორე ჰენადად ავლენს თავს. შდრ. მაგ. Procl. *Theol. Pl.* III 9, 36, 10-15: ὁ Σακράτης ... τὸ μὲν πέρας καὶ τὸ ἄπειρον δεῖξαι φησὶ τὸν θεὸν (ἐνάδες γὰρ εἶσιν ἅπὸ τοῦ ἐνὸς ὑποστῆναι καὶ οἷον ἐκφάνσεις ἅπὸ τῆς ἀμετέκτου καὶ πρωτίστης ἐνσώσεως); *Theol. Pl.* III 14, 49, 13-14: ὡς περ οὖν τὸ ὄν τὸ νοητὸν ἢ πρωτίστη μετὰ τῆν ἐξήρησιν αὐτίαν ἐξέφηεν

„პარმენიდეზე“ კომენტარის რამდენიმე პასაჟი სპეციალურად ეძღვნება თავისთავად ერთში ყველაფრის მოაზრების მცდელობათა კრიტიკას. *in Prm.* VI, 1107, 9–1108, 30-ში პროკლე იტყობინება ვიღაც პლატონიკოსების²⁹ შესახებ, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ყველაფრის მიზეზად ყოფნის გამო ერთი თავის თავში შეუმეცნებლად (ἴμῃν ἀγνώστῳ) და უერთებრივეს წესით (τὸν ἐνικῶτατον τῶν πάντων) შეიცავდა ყველაფრის მიზეზებს. პროკლე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ მიდგომას. მისი თვალსაზრისით, ერთში ყველაფრის მიზეზთა ჩართვის შემთხვევაში ერთი მთელად იქცევა და სიწმინდეს კარგავს. *in Prm.* VI, 1114, 4-15 მონაკვეთი კიდევ უფრო მკაფიოდ ამტკიცებს, რომ პროკლესთვის უზენაესი ერთი არანაირი ფორმით, მათ შორის არც არადიფერენცირებულით (οὐκ διφορημένῳ), არ შეიცავს ყველაფერს. ერთში ყველაფრის ნებისმიერი სახით ჩართვა ერთის

ἐνὰ καὶ ἢ δευτέρα τῶν νοητῶν ἕα ἢ ... შეიძლება ითქვას, რომ საზღვარი და უსაზღვრობა მთელი მყოფის სფეროსთვის ყველაზე ფუნდამენტური, უნივერსალური მნიშვნელობის ჰენადები არიან. *ib. Procl. Theol. Pl.* III 24, 83, 20–84, 23. ამასთან, მყოფის სფეროს სხვადასხვა დონეების შესაბამისად, პროკლე უშვებს ნოეტური, ნოეტურ-ნოერული, ნოერული, ჰიპერკოსმიური, ჰიპერკოსმიურ-ენკოსმიური და ენკოსმიური ჰენადების წყობებს. ჰენადების ეს პრეონტიკურ-ერთებრივი წყობები წარმოადგენენ მყოფთა შესაბამისი წყობების მწვერვალებად და ცენტრებად წინასწარ დადგენილ სპეციფიკურ (ἰδῶτες) ერთთა ჯგუფებს, რომელთა სახითაც მყოფთა ყოველი შესაბამისი დონე უშუალოდ მისთვის განსაზღვრული მიზეზის თაოსნობით წარმოიშობა და უშუალოდ მისთვის მიჩენილ ერთობასთან ზიარებით ყალიბდება. პროკლესთან ჰენადების განხილვისთვის *ib. Procl. Elem. theol. prop.* 113-165; *in Prm.* 1048, 11-1051, 25; *Theol. Pl.* III, 1-6 თავები. ჰენადოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურიდან *ib. Dillon* 1972, 102-106; *Bechtle* 1999, 358-391; *Van Riel* 2001, 417-432; *Butler* 2005, 83-104; *Gigineishvili* 2007, 101-144; *Lankila* 2010, 53-76; *Greig* 2020, 186-201. აქვე, თვითერთის პროკლესული გაგებისთვის ფართოდ *ib. ქირია* 2019, 193-226.

²⁹ დილონის მითითებით, აქ იამბლიქოსი უნდა იგულისხმებოდეს. *Proclus* 1987, 452.

გამრავლებას ნიშნავს. პროკლეს აზრით, ფარული და განუყოფელი სიმრავლე (κρῆσιον καὶ ἀδιάκριτον πλήθισ) მეორეულთა წყობას შეესაბამება და ყველანაირი სიმრავლისგან წმინდა (παντός καθαρῆσιν πλήθισ), ანუ ექსკლუზიურ ერთში, ადგილი არ აქვს (Dam. *in Prm.* VI, 1114, 9-10). ერთი მხოლოდ და მხოლოდ ერთია და წინ უსწრებს ყოველ დაყოფადობასა და სიმრავლეს.

პროკლეს ერთის მიდმური ახალი აბსოლუტურად ტრანსცენდენტური პირველსაწყისის დაშვებისგან მისეული ერთის ექსკლუზიურობა იცავს. ექსკლუზიური, წმინდა ერთი თავისთავად ყველანაირ სიმრავლეს გამორიცხავს. ის არანაირი ფორმით არ შეიცავს ყველაფერს და, ლოგიკურია, *per se* თვითონვეა სრულიად ტრანსცენდენტური და გამოუთქმელი. ცხადია, თავისთავადობაში ის შეუძლებელია ყველაფერთან მიმართებას ამყარებდეს და ყველაფრის საკუთრივი პირველმიზეზი იყოს. თუმცა, ეს პროკლეს ხელს არ უშლის, აბსოლუტურად ტრანსცენდენტურ, თავისთავად უკიდურესად ნეგატიურ წმინდა ერთს წარმოებულებთან მიმართებაში აყენებდეს და მის პოზიტიურ მიზეზობრივ ქმედითობას *ex effectibus*, არასაკუთრივი მნიშვნელობით წარმოაჩენდეს. შესაბამისად, პროკლესთვის ყველაფრის უზენაესი საწყისი აბსოლუტურად ტრანსცენდენტური კია, მაგრამ ეს აბსოლუტური ტრანსცენდენტობა ისეთი შეუზღუდავი არ არის, ყველაფრის „ინტერესების“ უგელებელყოფას რომ იწვევდეს.

პროკლეს მიდგომა მეტად რთული და სარისკოა. ის ცდილობს, ექსკლუზიური ერთი თან ყველაფრის მიზეზად წარმოადგინოს და თან მისი აბსოლუტური სიმარტივე, ტრანსცენდენტობა და გამოუთქმელობა ხელშეუხებელი დატოვოს. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე შემთხვევას.

პროკლეს მიხედვით, თვითერთიდან, როგორც ყველაფრის უზენაესი მიზეზიდან, ყველაფერი გამოდის და ყველაფერი მასვე უბრუნდება. მეორე მხრივ, ერთის ექსკლუზიური ერთობისა და აბსოლუტური ტრანსცენდენტობის შენარჩუნების მიზნით, პროკლე *per se* ერთის მიმართ პროოდოსისა და ეპისტროფეს მიყენების შესაძლებლობას სრულიად უარყოფს. *Theol. Pl.* II 5, 39, 25-26-სა და II 6, 43, 10-11-ში, ერთიდან მიზეზოვანთა გამოსვლისა და დაბრუნების პროცესის გარჩევის პარალელურად ის საგანგებოდ მიუთითებს, რომ ერთი შემდგომებთან არანაირ კავშირსა (σχέσις) და ურთიერთობას (κοινωνία) არ უშვებს და ყოველი მშობელი გამოსვლისა და დამბრუნებელი ძალისგან სრულიად განყენებულია.³⁰

პროკლე წმინდა ერთს ყველაფრის პირველმიზეზად აღიქვამს და „ერთისა“ და „სიკეთის“ სახელებით მოიხსენიებს. „ერთის“ სახელწოდება „პირველს“ მამობრივ მიზეზად, „სიკეთე“ კი მიზნობრივ მიზეზად³¹ განსაზღვრავს. ერთი წინ უსწრებს სიმრავლეს (*Procl. Elem. theol. prop.* 5). ამიტომ, სიმრავლის წარმოქმნა მხოლოდ ერთიდან შეიძლება. შესაბამისად, სახელი „ერთი“ ყოველი სიმრავლისა და პროოდოსის მიზეზობას უნდა გამოხატავდეს.³² მეორე მხრივ, წარმოებული მხოლოდ კი არ გამოდის ერთიდან, არამედ უბრუნდება კიდევ თავის მიზეზს. ყოველი წარმოარსებულის პირველმიზეზთან დაბრუნება უკვე „სიკე-

³⁰ *Procl. Theol. Pl.* II 6, 43, 10-11: τὸ δὲ ἐν ἀπάντων ὁμοῦν τελῆως ἐξήρηται καὶ τῶν γονίμων προόδων καὶ τῶν ἐπιστρεπτικῶν δυνάμεων.

³¹ *Procl. Theol. Pl.* II 9, 58, 25-27: εἰ δέ, ὡσπερ τὸ ἀγαθὸν καὶ τὸ ἐν, οὕτω καὶ τὸ αἴτιον, καὶ τελικὸν ἢ πατρικὸν ἀπὸ τῶν πρώτων αὐτῶν μετεχόντων ἐπ’ αὐτὸ μεταφέρειν ἐπιχειροῦμεν.

³² *Procl. Theol. Pl.* II 6, 40, 12-13: τὸ ἐν ἐπ’ αὐτὸ φέροντες αἴτιον ἐκεῖνο παντὸς πλήθους καὶ προόδου πάσης ἀποφαινόμεθα.

თით³³ აღინიშნება (*Procl. Theol. Pl. II 6, 40, 16-18*). „ერთი“, როგორც პროოდოსის საწყისი, „სიკეთის“, როგორც ეპისტროფეს მიზნის, იდენტურია. ორივე მათგანის ერთიანობით თვითერთის მამობრივი და მიზნობრივი მიზეზობრიობა სრულყოფილადაა გამოხატული. მეორე მხრივ, პროკლეს მიხედვით, „ერთისა“ და „სიკეთის“ სახელების, ისევე როგორც პროოდოსისა და ეპისტროფეს პროცესთა, სახით მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის, რაც ერთის შემდგომია.³⁴ ისინი აბსოლუტურად ტრანსცენდენტური საწყისის *ex effectibus* ჭკრეტის ნიმუშს წარმოადგენენ.³⁵ თავისთავადობაში წმინდა ერთს სახელი არ აქვს და გამოუთქმელია (*Procl. Theol. Pl. II 6, 41, 1-15*). პროკლეს აზრით, რასაც არ უნდა ვამტკიცებდეთ ერთის შესახებ, თავად ერთს ვერაფრით გამოვთქვამთ. ერთის მიზეზობრიობის შესახებ მსჯელობა არ ნიშნავს ერთის გამოთქმასა და აზრით მის წვდომას.³⁶

მაშასადამე, პროკლე, ერთი მხრივ, *ex effectibus*, თავისი წმინდა, სრულიად ტრანსცენდენტური ერთის მიზეზობრიობას ამტკიცებს, ხოლო, მეორე მხრივ, *per se*, მას გამუდმებით უარყოფს. იამბლიქოსისა და დამასკიოსისგან განსხვავებით, პროკლესთვის ყველაფრის უპირველესი საწყისის აბსოლუტურ ყოვლისმიდმურობასა და გამოუთქმელობაზე კონცენტრირების

³³ ნეოპლატონიკოსთა სწავლებაში „პარმენიდეს“ პირველი ჰიპოთეზის ერთი „სახელმწიფოს“ არსის მიდმურ სიკეთის იდეასთანაა (*Pl. Resp. 509 b9*) გაიგივებული.

³⁴ *Procl. Theol. Pl. II 6, 41, 10*: τὰ μὲν γὰρ ὀνόματα κἀνταῦθα [sc. Ἐν καὶ ἀγαθόν] πρὸς τὸ μετ' αὐτὸ βλέποντες.

³⁵ *Theol. Pl. II 9, 60, 23-24*-ის თანახმად, „ერთისა“ და „სიკეთის“ სახელები „პირველის“ მიერ მეორეულთათვის ბომებული ძღვენის (δῶσις) საფუძველზეა შემუშავებული.

³⁶ *Procl. Theol. Pl. II 8, 55, 26-27*: ὃν γὰρ ἐστὶν αἰτία λέγοντες, ὃ τι ποτέ ἐστὶν εἰπεῖν ἢ διὰ νοήσεως λαβεῖν ἀδυνατοῦμεν.

გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია, ყველაფრის პოზიციიდან, ამ საწყისის მწარმოებლობისა და კეთილისმყოფელი როლის წარმოჩენა. თუმცა, აბსოლუტური ტრანსცენდენტობის გამო ყველაფერთან მისი კავშირი, მისი მიზეზობრიობა შეუძლებელია საკუთრივი მნიშვნელობის მატარებელი იყოს და ახსნას ექვემდებარებოდეს. ამიტომ მოიხსენიებს პროკლე თავის უმაღლეს საწყისს სისტემატურად „გამოუთქმელ მიზეზად“ (ἀρρητος αιτία).³⁷ ყველაფრის პირველი საწყისისადმი პროკლესეული მიდგომის სპეციფიკა სწორედ ამ საწყისის გამოუთქმელ მიზეზად წარმოდგენას გულისხმობს.

³⁷ „პლატონური თეოლოგიის“ მესამე წიგნის პირველიდა მეშვიდე თავებში, რომლებიც მთლიანად უმაღლესი ერთის ფორმულების სახით ჩამოყალიბებულ განსაზღვრებათაგან შედგება და „პირველის“ ოპტიმალურ დახასიათებას წარმოადგენს, პროკლე სისტემატურად იყენებს „მიზეზისა“ (αιτία) და „გამოუთქმელის“ (ἀρρητον) ცნებებს ერთმანეთთან კომბინაციაში. შდრ. *Theol. Pl.* III 1, 5, 17-18: τὴν ἀμέθεκτον αὐτὴν καὶ ἄρρητον καὶ ὡς ἀληθινὸν ὑπερούσιον αἰτίαν. III 7, 29, 10-16: ἀπάντων δι᾽ τῶν ὄντων καὶ αὐτῶν τῶν τὰ ὄντα παραγόντων θεῶν μία καὶ ἐξηρημένη καὶ ἀμέθεκτος αἰτία προὑφέστηκεν, ἄρρητος μὲν παντὶ λόγῳ καὶ ἄφραστος, ἄγνωστος δὲ πάσῃ γνῶσει καὶ ἄληπτος, πάντα μὲν ἀφ᾽ ἑαυτῆς ἐκφαίνουσα, πάντων δὲ ἀρρήτως προὑπάρχουσα, καὶ πάντα μὲν πρὸς ἑαυτὴν ἐπιστρέφουσα, πάντων δὲ ὄντα τέλος τὸ ἄριστον. III 7, 29, 24: τὴν ἐξηρημένην τοῦ ἐνὸς ... καὶ ἄρρητον ὑπαρξίν αἰτίαν τῶν ὄντων ὄνσαν. ასეთი მაგალითები დაიადოხოსთან სხვაგანაც არა ერთგზის გვხვდება. შდრ. *Theol. Pl.* I 7, 31, 28; II 4, 36, 22; II 6, 40, 3; II 10, 63, 6; III 19, 66, 4; III 22, 81, 1; *in Ti.* I, 385, 2 და ა. შ. *Theol. Pl.* III 14, 50, 18-ში ერთი განისაზღვრება „სრულიად შეუმეცნებელ მიზეზად (παντελῶς ἄγνωστος αἰτία). ერთის მიზეზობრიობის სრული ტრანსცენდენტობის გამოკვეთისთვის პროკლე მას ასევე უწოდებს „მიზეზის მიღმურს“ (*Theol. Pl.* III 8, 31, 17: ἐπέκεινα αἰτίας), „წინარემიზეზს“ (*Theol. Pl.* II 9, 59, 24; *in Prm.* VII, 1210, 11: προαίτιος), „ზემიზეზს“ (*in Prm.* IV, 962, 18: ὑπεραίτιον), „არამიზეზოვნად მიზეზს“ (*Theol. Pl.* II 9, 58, 24: ἀναίτιῶς αἰτίον).

მესამე პარადიგმა – პორფირიოსი

პორფირიოსი აღიარებს ყველაფრის ერთადერთ პირველ-საწყისს – ერთს. უმაღლესი ერთი პირველი გონითსაწვდომი ტრიადის მამასთანაა გაიგივებული, შედეგად, ტრიადის დანარჩენ წევრებს ჰორიზონტალურად თანეწყობა და მათთან მიმართებით ტრანსცენდენტობას კარგავს. *in Prm.* VI, 1070, 15–1071, 3-ში პროკლე მკაცრად აკრიტიკებს პირველი საწყისისადმი ასეთ მიდგომას. პროკლეს თანახმად, პირველი საწყისი ყველაფრის მიმართ ყველანაირი შეპირისპირებისა და თანწყობისგან განყენებულია,³⁸ გონითსაწვდომი ტრიადის მამა კი ტრიადის დანარჩენ წევრებს – ძალასა და გონებას – შეეწყობა და მათთან ერთად ავსებს ტრიადას. ამიტომ, ტრიადის მამა შეუძლებელია პირველსაწყისი იყოს. ამასთან, დადგენილია,³⁹ რომ პორფირიოსი იყო პირველი, ვინც „ქალდეური ორაკულების“ ტრიადა – მამა/ეგზისტენცია-ძალა-გონება⁴⁰ – პლოტინთან მოცემულ გონითსაწვდომ ტრიადას – ყოფნა-სიცოცხლე-აზროვნება⁴¹ – გაუთანაბრა.⁴² „პარმენიდეზე“ კომენტარში⁴³ დიალოგის პირველი ჰი-

³⁸ Procl. *in Prm.* VI 1071, 29-30: ἐξήρηται πάσῃ πρὸς πάντα καὶ ἀντιδιαρέσεια καὶ συστᾶξεται.

³⁹ Hadot 1968, vol. I, 260-272. 482-483.

⁴⁰ πατήρ/παραξίς-δύναμις-νοῦς. *Or. Chld.* Fr. 3, 1; 4, 1; 22. ტრიადის მამისა და ეგზისტენციის იგივეობისთვის იხ. *Or. Chld.* Fr. 1, 20; Fr. 84; *Dam. Pr.* I, 87, 10.

⁴¹ εἶνα-ζήν-νοῦς, ὄν/ὄνοσια-ζαή-νοῦς. მოცემული ტრიადა პლოტინთან მეორე ჰიპოსტასის – გონების – შიდა სტრუქტურის სამ ფუნდამენტურ მომენტს გამოხატავს. იხ. Plot. V 4, 2; V 5, 1; V 6, 6; VI 6, 15; VI 6, 18; VI 9, 2 და ა. შ.

⁴² აღსანიშნავია, რომ, პირველი საწყისისადმი პორფირიოსის მიდგომის კრიტიკისას, გონითსაწვდომი ტრიადის მამას დამასკიოსი „მყოფთა მწვერვალად“ (κορυφή τῶν ὄντων) მოიხსენიებს. *Dam. Pr.* I, 86, 9–10.

⁴³ მეცნიერთა დიდი ნაწილი „პარმენიდეზე“ ფრაგმენტულად და ანონიმურად შემორჩენილ კომენტარს პორფირიოსს მიაკუთვნებს. პორფირიოსის ავტორობის ჰიპოთეზა პიერ ადოსგან მომდინარეობს (Hadot 1961, 410-438). სხვა მკვლევართგან, რომელთაც ადოს თვალსაზრისი გაიზიარეს, გამოვეყოფთ

პოთეზის თავისთავადი ერთი, რომელსაც პორფირიოსი, თავისი მასწავლებლის კვალად, უმაღლეს საწყისად განმარტავდა, ყოფნას (εἶναι) უტოლდება. ასე რომ, საბოლოო ჯამში, პირველი საწყისი პორფირიოსთან გაიაზრება ერთად, „ქალდეური ორაკულების“ ტრიადის მამად და ყოფნად, მაშინ როდესაც პლოტინისთვის პირველსაწყისი – ერთი – ყოფნის მიღმური (Plot. III 8, 10, 31; Plot. VI 8, 8, 19-20; VI 7, 41, 35; III 9, 9, 10; VI 7, 17, 10; I 7, 1, 19-20 და ა. შ.) იყო.⁴⁴

„პარმენიდეზე“ კომენტარის მეხუთე ფრაგმენტი გარკვევით აჩვენებს, რომ პირველი საწყისი, ანუ ერთი, პორფირიოსთან ყოფნადაა დასახული. განვიხილოთ შესაბამისი პასაჟები:

1. მეხუთე ფრაგმენტის დასაწყისში (XI, 1-3) ერთმანეთისგან იმიჯნება არსთან ზიარებული (μετέχον τῆς οὐσίας) და უზიარებელი (τὸ ὄν ... οὐ μετέχον τῆς οὐσίας) მყოფი. პორფირიოსის გაგებით, აუცილებელი არაა, მყოფი არსს ეზიარებოდეს. არსთან უზიარებელი მყოფის დაშვების შემთხვევაში არსის მიღმური⁴⁵ პირველსაწყისის – თავისთავადი ერთის – მყოფად მოაზრების შესაძლებლობა იქმნება. გამოვა, რომ „პარმენიდეს“ მეორე ჰიპო-

ბაიერვალტეს (Beierwaltes 1988, 459. 469), რეალეს (Girgenti 1996, 9-15), ჯირჯენტის (Girgenti 1996, 167-192), დილონს (Dillon 2007, 51-59).

⁴⁴ ამ თვალსაზრისით, პორფირიოსსა და პლოტინს შორის არსებულ განსხვავებაზე ყურადღებას ამახვილებს არაერთი მკვლევარი. ბაიერვალტესის მითითებით, პლოტინის უზენაესი ერთი არაა ყოფნა, პორფირიოსისთვის კი ერთი ყოფნას უდრის (Beierwaltes 1972, 18. 24). ჯირჯენტის თანახმად, პორფირიოსი „სენტენციებში“ ერთგულად მისდევს თავის მასწავლებელს, „პარმენიდეზე“ კომენტარში კი პლოტინისგან პრინციპულ განსხვავებას ავლენს. პლოტინისთვის ერთი ყოფნის მიღმურია, ყოფნა ყოველთვის წარმოებულია, მაშინ როდესაც „პარმენიდეზე“ კომენტარში ერთი ყოფნას ემთხვევა (Girgenti 1996, 107). ჰალფვასენი მიიჩნევს, რომ ერთის ყოფნასთან გატოლებით პორფირიოსმა პლოტინის სწავლება გადამწყვეტ პუნქტში მიატოვა (Halfwassen 2006, 96).

⁴⁵ ἐπέκεινα οὐσίας. Pl. Resp. 509 b9.

თეზის მყოფი ერთი არსთან ზიარების შედეგად იძენს არსებობას, პირველი, თავისთავადი ერთი კი არსთან უზიარებლად მყოფობს.

2. *in Prm.* XI, 3-4-ში ნათქვამია, რომ მეორე ერთი არსს ეზიარება, რადგან შეურევნელი (ἀκραιφνής) არაა. არსთან ზიარების კვალად კი, იცვლება ყოფნის თავისებურებაც (συνηλλισίωται δὲ αὐτῷ ἢ τοῦ εἶναι ἰδιότης). როგორც ჩანს, პორფირიოსისთვის პირველი შეურევნელი ერთი მარტივ, არადიფერენცირებულ ყოფნას ფლობს, რომელიც ერთისგან განუსხვავებელია და არსთან ზიარებას არ საჭიროებს, მაშინ როდესაც მეორე, უკვე არსთან ზიარებულ, ერთში ერთსა და მყოფს შორის განსხვავება შემოდის (*Pl. Prm.* 142b–144e) და, შედეგად, პირველი ყოფნის სიწმინდე და სიმარტივე იკარგება. ამიტომ უნდა გამოიხატებოდეს პირველი, შეურევნელი ერთიდან მეორე, მყოფ ერთზე გადასვლა არა მხოლოდ ერთის, არამედ ყოფნის სპეციფიკის ცვლილებითაც.

3. *in Prm.* XII, 25-27-ის მიხედვით, ერთი მყოფის წინარე თავისთავადი ყოფნა (αὐτὸ τὸ εἶναι τὸ πρὸ ὄντος).⁴⁶ *in Prm.* IV, 8 და IV, 19- ში კი პირველსაწყისზე და უმაღლეს ღმერთზე ნათქვამია, რომ მას განუყოფლად აქვს მხოლო ყოფნა (ἀχώριστον ἔχει τὸ εἶναι μόνον) და ერთადერთი ნამდვილად მყოფია (τὸ μόνον ὄντως ὄν).

⁴⁶ ამ მონაკვეთში ბერძნული აზროვნების ისტორიაში პირველად გამოიყენება გამოთქმა αὐτὸ τὸ εἶναι (თავისთავადი ყოფნა). αὐτὸ τὸ εἶναι პორფირიოსის ტერმინოლოგიური ინოვაციაა. ადო „პარმენიდეზე“ კომენტარში αὐτὸ τὸ εἶναι-ის გამოყენების ფაქტს აფასებს, როგორც – „à peu près unique dans toute l'histoire de la philosophie antique“ (Hadot 1968, I, 141). შდრ. Leinkauf 2001, 76.

4. *in Prm.* XII, 29-32-ში⁴⁷ ერთმანეთისგან იმიჯნება ორგვარი ყოფნა – მყოფის წინარე და მყოფის მიღმური ერთის ყოფნიდან წარმოებული. პირველი ყოფნა აბსოლუტურია, მყოფის იდეად განისაზღვრება და პირველი, თავისთავადი ერთის ტოლია, მეორენაირი ყოფნა შეფარდებითია, წარმოებულია და მეორე, მყოფ ერთს უდრის.

პირველი გონითსაწვდომი ტრიადის შემადგენლობაში ჩართვისა და ყოფნასთან გაიგივების გამო, ყველაფრის ერთი საწყისის ტრანსცენდენტობა პორფირიოსთან მნიშვნელოვნად დაქვეითდა. პორფირიოსის გარდა, ჩვენს მიერ განხილული არცერთი ნეოპლატონიკოსი არ ამბობს უარს აბსოლუტურად ტრანსცენდენტური პრინციპის იდეაზე და პირველსაწყისთან მიდგომისას თვალსაწიერს ყოფნით არ იზღუდავს.⁴⁸ იამბლიქოსთან, ყველაფრის საკუთრივ პირველსაწყისად და მიზეზად გააზრებული ერთის ტრანსცენდენტობა, გამოუთქმელისგან განსხვავებით, არ არის აბსოლუტური, თუმცა ერთი პირველი ტრიადისგან და ყოფნისგან მაინც განყენებულია. პროკლეს მიერ გამოუთქმელ მიზეზად განსაზღვრული პირველი საწყისიც, ასევე,

⁴⁷ Porph. *in Prm.* XII, 29-32: ὅσπερ διπλὸν τὸ εἶναι, τὸ μὲν προὑπάρχει τοῦ ὄντος, τὸ δὲ ὁ ἐπάγεται ἐκ τοῦ ὄντος τοῦ ἐπέκεινα ἐνὸς τοῦ εἶναι ὄντος τὸ ἀπόλυτον καὶ ὡσπερ ἰδέα τοῦ ὄντος.

⁴⁸ ამ თვალსაზრისით, პორფირიოსი მისაღები აღმოჩნდა ქრისტიანი მოაზროვნეებისათვის. მაგალითად, დილონის მიხედვით, პორფირიოსის სწავლება პირველსაწყისის შესახებ უფრო ტრინიტარულია, ვიდრე ნეოპლატონური. იხ. Dillon 2007, 54. პორფირიოსის გავლენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მარიუს ვიქტორინუსისა და ავგუსტინეს ტრინიტარული თეორიების ჩამოყალიბებაში. წარმართულ ნეოპლატონიზმში, რამდენადაც ცნობილია, პორფირიოსის სწავლებას გამგრძელებელი არ გამოჩენია. ლათინური დასავლეთის ქრისტიან ავტორებზე პორფირიოსის გავლენისათვის იხ. Clark 1976, 265-274. აქვე, ნეოპლატონურ და ტრინიტარულ პირველსაწყისებს შორის სხვაობისთვის იხ. Atherton 1976, 173-185.

ტრიადის მიღმურია. დამასკიოსთან არადიფერენცირებული, მარტივი ყოფნა ყველაფრის საკუთრივ პირველსაწყისად და მიზეზად დასახული ერთის მომდევნო საწყისში – ერთიანშია – რეალიზებული.⁴⁹ ამასთან, დამასკიოსის თვალთახედვით, ერთი, მართალია, ყოველი წარმოებულის მიმართ თანწყობილია, თუმცა ეს თანწყობა ჰორიზონტალურ ხასიათს არ ატარებს. ერთი და მისი შემდგომი საწყისი – ერთიანი – ვერტიკალურად არიან კოორდინირებულები.

დასკვნა

პლოტინის შემდგომ ნეოპლატონიზმში პირველი საწყისისადმი მიდგომა სამ პარადიგმაში განხორციელდა: 1. იამბლიქოსისა და დამასკიოსის პარადიგმის ფარგლებში პირველი საწყისი გაორებულია. ერთი მხრივ, გვაქვს ყველაფრის საკუთრივ პირველსაწყისი და მიზეზი – ინკლუზიურად გააზრებული ერთი, რომელიც ყველაფრის ერთიან სისტემაშია ჩართული და ყველაფრის წარმოებაზე ნამდვილად აგებს პასუხს, მეორე მხრივ კი, აბსოლუტურად ტრანსცენდენტური გამოუთქმელი, რომელიც ყველაფრის ერთიანი სისტემის ასახსნელად არის საჭირო, თუმცა, მისი აბსოლუტური ტრანსცენდენტობის მაქსიმალურად შეუზღუდავი ფორმით გამოვლენის გამო, ყველაფრის პოზიციიდან პოზიტიურ ჭრილში მისი განხილვა თითქმის შეუძლებელია; 2. პროკლეს პარადიგმის ფარგლებში იამბლიქოსთან და დამასკიოსთან ორი პირველსაწყისის ფორმით სრულყოფილად განხორციელებული მომენტების – აბსოლუტური ტრანსცენდენტობა-გამოუთქმელობისა და მიზეზობრიობის – ერთი პირველსაწყისის დონეზე მორიგებაა ნაცადი. პროკლეს

⁴⁹ ერთიანის შესახებ იხ. *Dam. Pr. I*, 111, 5–121, 27.

უზენაესი საწყისი – ექსკლუზიურად გააზრებული ერთი – თავისთავადობაში აბსოლუტურად ტრანსცენდენტური და გამოუთქმელია, *ex effectibus* კი პოზიტიური ფუნქციებითაა დატვირთული და ყველაფრის წარმომართებელ მიზეზად ვლინდება. ამიტომ, საბოლოო ჯამში, პროკლესთან ეს ორი მომენტი კომბინირდება და, შედეგად, პირველი საწყისი „გამოუთქმელ მიზეზად“ განისაზღვრება; 3. პორფირიოსის პარადიგმაში ყველაფრის ერთი საწყისი პირველი გონითსაწვდომი ტრიადის მამობამდეა დასული და ყოფნას უიგივდება. ამრიგად, იამბლიქოსის, დამასკიოსისა და პროკლეს მიდგომებთან შედარებით, პირველი საწყისისადმი პორფირიოსისეული მიდგომა ამ საწყისის ტრანსცენდენტობის მნიშვნელოვან დაქვეითებას გულისხმობს.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები:

Damascius. 1889. *Dubitationes et Solutiones de primis principiis, in Platonis Parmenidem*, vol. 1-2. Éd. par Charles Émile Ruelle. Paris: Klincksieck [repr. Bruxelles, 1964; Amsterdam, 1966].

Damascius. 1986–1991. *Traité des Premiers Principes*, vol. 1-3. Texte établi par Leendert Gerrit Westerink et traduit par Joseph Combès. Paris: Les Belles Lettres.

Iamblichus Chalcidensis. 1973. *In Platonis Dialogos commentariorum fragmenta*. Edited with translation and commentary by John M. Dillon. Leiden: E. J. Brill.

Oracles chaldaïques. 1971. Texte établi et traduit par Édouard des Places. Paris: Budé.

Platon. 1990. *Werke in acht Bänden*. Griechisch and Deutsch. Herausgegeben von Gunther Eigler. Bearbeitet von Dietrich Kurz. Griechischer Text von Léon Robin, Auguste Diès and Joseph Souilhé. Deutsche Übersetzung von Friedrich Schleiermacher und Dietrich Kurz. Darmstadt: Wissenschaftliche Buchgesellschaft.

Plotin. 1956–1971. *Schriften*. Übersetzt von Richard Harder. Neubearbeitung mit griechischem Lesetext und Anmerkungen, fortgeführt von Rudolf Beutler und Willy Theiler, 6 Bände. Hamburg: Felix Meiner Verlag.

Porphyrius. 1968. *In Platonis Parmenidem Commentaria*. Éd. par Pierre Hadot, in *Porphyre et Victorinus*, vol. II, 61-113. Paris: Études Augustiniennes.

Proclus. 1864. *In Platonis Parmenidem commentaria*. Ed. Victor Cousin. Paris. [repr. Hildesheim: Olms, 1961].

Proclus. 1899–1901. *In Platonis rem publicam commentarii*, vol. 1-2. Ed. Wilhelm Kroll. Leipzig: Teubner.

Proclus. 1903–1906. *In Platonis Timaeum commentarii*, 3 vols. Ed. Ernst Diehl. Leipzig: Teubner.

Proclus. 1963. *The Elements of Theology*. A revised Text with Translation, Introduction and Commentary, edited by Eric R. Dodds. Oxford: Clarendon Press.

Proclus. 1968–1997. *Théologie Platonicienne*, vol. 1–6. Texte établi et traduit par Henry Dominic Saffrey et Leendert Gerrit Westerink. Paris: Budé.

თარგმანები:

Damascius. 2010. *Problems and Solutions Concerning First Principles*. Translated with Introduction and Notes by Sara Ahbel-Rappe. Oxford: Oxford University Press.

ნეოპლატონური ფილოსოფია: პლოტინი და იამბლიქოსი. 2009. თარგმანი და განმარტებები ლელა ალექსიძის. თბილისი: ლოგოსი.

Proclus. 1987. *Proclus' Commentary on Plato's Parmenides*. Translated by Glenn R. Morrow and John M. Dillon with Introduction and Notes by John M. Dillon. Oxford: Princeton University Press.

Прокл. 2001. *Платоновская теология*. Пер. с древнегреч., сост., статья, примечания, указатели, словарь Л. Ю. Лукомского. Санкт-Петербург: РХГИ, Летний сад.

Proklos. 2004. *Grundkurs über Einheit. Grundzüge der neuplatonischen Welt*. Griechischer Text der Stoicheiōsis theologiké nach Dodds (ohne kritischen Apparat) und deutsche Übersetzung, Hrsg. Erwin Sonderegger. Sankt Augustin: Academia Verl.

Прокл. 2006. *Комментарий к Пармениду Платона*. Перевод, статья и примечания Л. Ю. Лукомского. Санкт-Петербург: Мирь.

გამოკვლევები:

ალექსიძე, ლელა. 2019. *ნეოპლატონიზმი. თავისუფლებისა და სამდვილო მე-ს ძიებაში*. თბილისი: ლოგოსი.

Atherton, Patrick. 1976. "The Neoplatonic 'One' and the Trinitarian 'APXH'." In *The Significance of Neoplatonism: Ancient and Modern*, edited by R. Baine Harris, 173-185. Norfolk, Virginia: International Society for Neoplatonic Studies.

Bechtel, Gerald. 1999. "Göttliche Henaden und platonischer Parmenides: Lösung eines Mißverständnisses?" *Rheinisches Museum für Philologie* 142, no. 3/4: 358-391.

Beierwaltes, Werner. 1972. *Platonismus und Idealismus*. Frankfurt am Main: Vittorio Klostermann.

Beierwaltes, Werner. 1985. *Denken des Einen. Studien zur neoplatonischen Philosophie und ihrer Wirkungsgeschichte*. Frankfurt am Main: Vittorio Klostermann.

Beierwaltes, Werner. 1988. "Hen (ἕν)." *Reallexikon für Antike und Christentum* 14: 445-472.

Butler, Edward P. 2005. "Polytheism and Individuality in the Henadic Manifold." *Dionysius XXIII*: 83-104.

Гарнцев, Михаил. 1999. "Дамаский о невыразимом." *Логос* 6, 16: 23-30.

Chlup, Radek. 2012. *Proclus: An Introduction*. Cambridge-New York: Cambridge University Press.

Clark, Mary T. 1976. "Marius Victorinus Afer, Porphyry, and the History of Philosophy." In *The Significance of Neoplatonism*, edited by R. Baine Harris, 265-274. Norfolk, Virginia: International Society for Neoplatonic Studies.

Corrigan, Kevin. 2010. "Plotinus and the Hypotheses of the Second Part of Plato's Parmenides." In *Plato's Parmenides and Its Heritage. Reception in Patristic, Gnostic and Christian Neoplatonic Texts*, edited by

John Turner and Kevin Corrigan, vol. 2, 35-48. Atlanta: Society of Biblical Literature.

Cürsgen, Dirk. 2007. *Henologie und Ontologie. Die methaphysische Prinzipienlehre des späten Neuplatonismus*. Würzburg: Königshausen & Neumann.

Dillon, John M. 1972. "Iamblichus and the Origin of the Doctrine of Henads." *Phronesis* 17, no. 2: 102-106.

Dillon, John. 2007. "What price the Father of the Noetic Triad? Some Thoughts on Porphyry's Doctrine of the First Principle." In *Studies on Porphyry*, ed. by George Karamanolis and Anne Sheppard, 51-59. London: Institute of Classical Studies.

Dillon, John. 2010. "Iamblichus of Chalcis and his school." In *The Cambridge History of Later Greek and Early Medieval Philosophy*, Vol. I, edited by Lloyd Gerson, 358-374. Cambridge: Cambridge University Press.

Dodds, Eric Robertson. 1928. "The Parmenides of Plato and the Origin of the Neoplatonic 'One'." *The Classical Quarterly* 22, no. 3/4: 129-142.

Gigineishvili, Levan. 2007. *The Platonic Theology of Ioane Petritsi*. Piscataway/New Jersey: Gorgias Press.

Girgenti, Giuseppe. 1996. *Il pensiero forte di Porfirio: mediazione fra henologia platonica e ontologia aristotelica*. Introduzione di Giovanni Reale. Milano: Vita e Pensiero.

Greig, Jonathan. 2020. *The First Principle in Late Neoplatonism. A Study of the One's Causality in Proclus and Damascius*. Leiden/Boston: Brill.

Hadot, Pierre. 1961. "Fragments d'un commentaire de Porphyre sur le Parménide." *Revue des Études grecques* 74: 410-438.

Hadot, Pierre. 1968. *Porphyre et Victorinus*, vols. 1-2. Paris: Études Augustiniennes.

Halfwassen, Jens. 1996. “Das Eine als Einheit und Dreiheit. Zur Prinzipienlehre Jamblichs.” *Rheinisches Museum Für Philologie* 139, no. 1: 52–83.

Halfwassen, Jens. 2006. *Der Aufstieg zum Einen: Untersuchungen zu Platon und Plotin*. Leipzig: K. G. Saur München.

Lankila, Tuomo. 2010. “Henadology in the two Theologies of Proclus.” *Dionysius* 28: 53-76.

Leinkauf, Thomas. 2002. “Die Bestimmung des höchsten Prinzips als reines Sein.” In *Metaphysik und Religion. Zur Signatur des spätantiken Denkens*, Akten des internationalen Kongresses vom 13.-17. März 2001 in Würzburg, hrsg. von Theo Kobusch und Michael Erler, 63-98. München/Leipzig: K. G. Saur.

Napoli, Valerio. 2008. *Epekeina tou henos. Il principio totalmente ineffabile tra dialettica ed esegesi in Damascio*. Catania, Italy: CUECM.

ქორია, ანა. 2019. „თვითერთის პროკლესეული გაგებისათვის.“ *ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში* 5: 193-226.

ქორია, ანა. 2020. „დამასკიოსის სწავლება ერთზე და გამოუთქმელზე.“ *ლოგოსი. წელიწდეული ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში* 6: 105-131.

Rist, John M. 1962. “The Neoplatonic One and Plato’s Parmenides.” *Transactions and Proceedings of the American Philological Association* 93: 389-401.

Van Riel, Gerd. 2001. “Les hénades de Proclus sont-elles composées de limite et d’illimité?” *Revue des sciences philosophiques et théologique* 85: 417-432.

Van Riel, Gerd. 2010. “Damascius.” In *The Cambridge History of Later Greek and Early Medieval Philosophy*, Vol. II, edited by Lloyd Gerson, 667–696. Cambridge: Cambridge University Press.

Vlad, Marilena. 2014. “Discourse and Suppression of Discourse in Damascius’ *De principiis*.” *Rhizomata* 2, 2: 213-233.

Vorwerk, Matthias. 2010. “Plotinus and the Parmenides: Problems of Interpretation.” In *Plato’s Parmenides and Its Heritage. Reception in Patristic, Gnostic and Christian Neoplatonic Texts*, edited by John Turner and Kevin Corrigan, vol. 2, 23-33. Atlanta: Society of Biblical Literature.

Ana Kiria

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

The three Paradigms of Approaching to the First Principle in Post-Plotinian Neoplatonism

Key words: first principle, noetic triad, the One, the Ineffable

From the very beginning, the question about the nature of a first principle was the central problem of Neoplatonism. The problem is that the first principle must completely transcend totality of all things – yet because it causes all things, it must anticipate all things within itself. The aim of the given paper is to demonstrate the three paradigms of approaching to the first principle in post-Plotinian Neoplatonism, according to Damascius (*Dam. Pr.* I, 86, 3-10 Ruelle), known as ‘the last of the Neoplatonists’. The first paradigm makes a contrast between the completely ineffable first principle and the causally efficient One, which is the One itself or the One-all. This paradigm is represented by Iamblichus and Damascius. The second paradigm, represented mainly by Proclus, combines ineffability and causality within one single principle – the One itself uncoordinated with the noetic triad, which is conceived by Proclus as completely excluding any kind of multiplicity. In the third paradigm, the single first principle of all things coincides with the Father of the noetic triad. It seems like Porphyry abandoned the idea of an absolutely transcendent principle.

გიორგი ჩარბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

გლადიატორული ორთაბრძოლების წარმომავლობის საკითხი

საკვანძო სიტყვები: გლადიატორები, ეტრუსკები, რომი.

ძველ რომში გლადიატორების საკითხი ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს და იგი დღესაც სამეცნიერო საზოგადოების ფართო ინტერესის საგანია. ანტიკური წყაროებში გლადიატორთა ორთაბრძოლებზე არაერთი ცნობაა დაცული. ცნობებს გვაწვდიან ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ეპოქის ავტორები: ციცერონი, დიო კასიუსი, სვეტონიუსი, ლივიუსი, ტაციტუსი, და სხვ. გლადიატორთა შესახებ არაერთი გამოკვლევა თუ მონოგრაფიაა დაწერილი და შეიძლება ითქვას, რომ იგი ძველი რომის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საკითხს წარმოადგენს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია გლადიატორულ ორთაბრძოლათა წარმომავლობის საკითხი. აღნიშნული პრობლემა დღემდე დავის საგანია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში. ანტიკური წყაროები, ისევე როგორც მატერიალური ძეგ-

ლები, ზუსტ პასუხს ვერ გვაძლევენ, თუ სად წარმოიშვა გლადიატორთა შერკინებები.

საყურადღებოა, რომ გლადიატორული ორთაბრძოლები რომაულ სანახაობათა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობას წარმოადგენდა. რომაულ სანახაობებზე მსჯელობისას, რომელთაც *Ludi Romani*-ის სახელით ვიცნობთ, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ თავად სიტყვა *Ludus*-ის („თამაშობები“) ეტიმოლოგია უკავშირდება ლათინურ სიტყვა *Lydus*-ს, რომლის მნიშვნელობაა „ლიდიური“. საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში *Lydus* აღნიშნავდა არა უშუალოდ „ლიდიურს“ არამედ „ეტრუსკულს“, რადგან „ლიდიელი“ ეტრუსკთა სინონიმი იყო ანტიკური ხანის ავტორებთან. ეს თვალსაზრისი ეფუძნება ჰეროდოტეს ცნობას (*Hdt.* I, 94), რომლის მიხედვითაც, ეტრუსკები ლიდიიდან არიან გადმოსახლებულები. შესაბამისად ზოგადად „თამაშობები“ რომაელთათვის ეტრუსკულ სანახაობად იყო აღქმული.

სანამ უშუალოდ გლადიატორთა ორთაბრძოლების წარმომავლობის საკითხს განვიხილავდეთ, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ თუ როდიდან გავრცელდა რომში გლადიატორთა ორთაბრძოლები, რა ისტორია აქვს მას და რა ცვლილებებს განიცდიდა დროთა განმავლობაში. როგორც ეს წყაროებიდან არის ცნობილი, დოკუმენტურად დადასტურებულად რომში გლადიატორული თამაშები პირველად ძვ.წ 264 წელს ჩატარდა, როდესაც დეციმუს იუნიუს ბრუტუსმა და მისმა ძმამ, მარკუსმა თავიანთი გარდაცვლილი მამის, იუნიუს ბრუტუს პერას პატივსაცემად ორთაბრძოლები მოაწყეს (*Val. Max.* 2.4.7). არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ რომში თამაშები ბევრად უფრო ადრეც იმართებოდა, ეს ყველაფერი ტარკვინიუს პრისკუსის მეფობას უკავშირდებოდა. კერძოდ, ცნობილია, რომ

ტარკვინიუს პრისკუსი რომს დაახლოებით 35 წელი მართავდა (სავარაუდოდ ძვ.წ 616-578წწ) და ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი ეტრუსკული ჩვეულება დანერგა¹, რომელთა შორის იყო ეტრუსკული თამაშობებიც. სავარაუდოდ, გლადიატორთა ორთაბრძოლებს სცენურ თამაშობებში თავისი ადგილი ექნებოდა, თუმცა დაწვრილებითი ინფორმაცია რომში იმდროინდელი ორთაბრძოლების ჩატარების მასშტაბების და სიხშირის შესახებ დღესდღეობით არ მოგვეპოვება. ძვ.წ 264 წელს გამართულ წარმოდგენას, მასში გლადიატორების სულ სამი წყვილი მონაწილეობდა. აღნიშნული ციფრი გლადიატორული ორთაბრძოლების შემდეგი პოპულარობის ფონზე ძალიან მცირედ გამოიყურება და გვაფიქრებინებს, რომ იმდროინდელ საზოგადოებაში ეს პრაქტიკა უცხო და ახალი ხილი იყო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორთაბრძოლების პირვანდელ დანიშნულებასთან, კერძოდ დაკრძალვის დროს გამართულ რიტუალთან. ჩვენამდე მოღწეული არ არის ამ სარიტუალო ტრადიციის კონკრეტული დეტალები და სრულიად შესაძლებელია, რომ მასში რამდენიმე ადამიანის მონაწილეობა ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყო. ისიც საყურადღებოა, რომ შემდგომში გლადიატორული ორთაბრძოლების დიდი რაოდენობა რომში სულ სხვა დანიშნულებით და იდეოლოგიური შეფერილობით გვხვდება.

მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ძვ.წ 264 წელს დაფიქსირებული წარმოდგენა პირველი შემთხვევა რომში, ამკარაა, რომ აღნიშნული ღონისძიება მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარდაცვლილთან. მას შემდეგ, რაც ბრუტუს პერას პატივსაცემად გაიმართა თამაშები, დროთა განმავლობაში სულ უფრო ხშირად

¹ კობახიძე 2007, 128.

იმართებოდა თამაშები და იზრდებოდა მათი პოპულარობა. მაგალითისთვის ელისონ ფუტრელს თავის წიგნში მოჰყავს სტატისტიკა და აღნიშნავს მის მზარდ ხასიათს.²

რაც დრო გადიოდა, ხალხს სულ უფრო და უფრო იზიდავდა აღნიშნული წარმოდგენები, პოლიტიკოსები ამ გარემოებას თავიანთი ინტერესებისთვის კარგად იყენებდნენ და გლადიატორულმა ორთაბრძოლებმა ნელ-ნელა ახალი დანიშნულება შეიძინა, მიცვალებულისთვის პატივის მიგების რიტუალიდან, ის ხალხზე პოლიტიკური ზემოქმედების მოხდენის საშუალებად გადაიქცა. ფუტრელი შენიშნავს, რომ რესპუბლიკის ბოლო პერიოდში ხშირად წარმოდგენები გადადიებოდა ხოლმე იმ დროისთვის, როცა ამა თუ იმ პირის მიერ არჩევნებზე პოლიტიკური სარგებლის მიღება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა³. პოლიტიკური ამბიციების მქონე ადამიანები საკმაოდ ხშირად თამაშების პოპულარობას თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ და თამაშების დაფინანსებით რეპუტაციის ამაღლებას ცდილობდნენ. ამის კარგი მაგალითია იულიუს კეისარი, რომელმაც, სვეტონიუსის მიხედვით, ძვ.წ 45 წელს თავისი ქალიშვილის გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ მის პატივსაცემად მოაწყო გრანდიოზული თამაშები (*Suet. Iul. 26,2*). ღონიძიების ბრწყინვალეობა კეისრის პოლიტიკურ ინტერესებზე გვაფიქრებინებს, რადგან თამაშობების გამართვა და იმავე წელს იულიუსის დიქტატორად არჩევა მთლად შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა იყოს.

² Futrell 1997, 24. ძვ.წ 200 წელს ვალერიუს ლევიუსის პატივსაცემად გამართულ თამაშებზე მონაწილეობა მიიღო ოცდახუთმა წყვილმა, სამოცმა წყვილმა მიიღო მონაწილეობა ძვ.წ 183 წელს და სამოცდაათობმეტამ წყვილმა მიიღო მონაწილეობა 174 წელს.

³ Futrell 1997, 30.

რესპუბლიკის პერიოდის ბოლო ათწლეულებში წარმოდგენების ფუნქცია შეიცვალა და თავდაპირველი დანიშნულება დაიკარგა. თამაშების მზარდი რეიტინგის პირობებში წარმოდგენებით მანიპულირება რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო პრობლემატური ხდებოდა, ამიტომ ხელისუფალნი ცდილობდნენ კანონის საშუალებით შეეჩერებინათ თამაშების გამოყენება პირადი პოპულარობის გასაზრდელად. ციცერონის ცნობის მიხედვით (*Cic. Mur.* 67), შემოღებული იყო კანონი მათ საწინააღმდეგოდ, ვინც თამაშებს საარჩევნო მიზნებისთვის გამოიყენებდა, თუმცა იულიუს კეისრისნაირი მოხერხებული ადამიანები მაინც ახერხებდნენ კანონის დაურღვევლად მიზნის მიღწევას. გლადიატორული ორთაბრძოლების მზარდ ტენდენციას უსვამს ხაზს ძვ.წ 45 წელს იულიუს კეისრის მიერ გამართული თამაშები, რომელიც მამამისის პატივსაცემად გაიმართა და მასში მონაწილეობა 320 წყვილმა მიიღო. ამასთან ერთად, ძვ.წ 44 წელს კეისრის სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე სენატმა იულიუსის პატივსაცემად მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც იმ დროიდან რომსა და იტალიაში გამართული თამაშები ერთი დღით იულიუსისადმი იქნებოდა მიძღვნილი (*Dio Cass.* 44.6). აღსანიშნავია, რომ ძვ.წ 42 წელს გლადიატორული ორთაბრძოლები სახალხოდ დაფინანსებული თამაშების (*Ludi*) ოფიციალურ სიას შეუერთდა.⁴ რომში მუდმივად იმართებოდა სხვადასხვა წარმოდგენები, როგორც ადამიანების, ისე ცხოველების მონაწილეობით. მათ ორგანიზებას უწევდა სახელმწიფოს მიერ არჩეული კომისია, რაც, ერთის მხრივ, პასუხისმგებლობა იყო და მეორეს მხრივ, პოპულარობის მოპოვების საშუალება, რადგან კარგად ჩატარებული თამაშების შემდეგ კმაყო-

⁴ Futrell 1997, 44.

ფილი მოსახლეობის წინაშე კომისიის წევრთა ავტორიტეტი იზრდებოდა, აღნიშნულ თანამდებობაზე მყოფი ციცერონი⁵ მოგვითხრობს, თუ რამხელა პასუხისმგებლობა და პატივია მისთვის ედილად⁶ არჩევა და იმედს გამოთქვამს, რომ მოსახლეობის იმედებს გაამართლებს.

თამაშების შემდგომი რეგულირება და შეიძლება ითქვას, დახვეწა უკავშირდება ავგუსტუსის მმართველობის პერიოდს, როდესაც ავგუსტუსმა ძვ.წ 22 წელს თამაშების ორგანიზების საკითხები გადასცა პრეტორებს, რომელთაც მკაცრად ჰქონდათ გაწერილი თამაშების ჩატარების დღეების, მებრძოლების და დაფინანსების რაოდენობა. ავგუსტუსის დროს გლადიატორული თამაშები დიდი პოპულარობით სარგებლობდა იგი თავის მიღწევებში სიამაყით ჩამოთვლის თუ რა გააკეთა თავისი მოღვაწეობის პერიოდში: „სამჯერ ჩავატარე თამაშები ჩემი სახელით და ხუთჯერ ჩემი შვილების და შვილიშვილების სახელით, ამ თამაშებზე მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 10 ათასმა მებრძოლმა, ორჯერ ჩემი სახელით წარმოვადგინე სანახაობები სადაც მონაწილეობა მიიღეს ყველა მხრიდან შეკრებილმა მებრძოლებმა, ხოლო სამჯერ – ჩემი შვილიშვილების სახელით. ჩემი კონსულობის პერიოდში მე ვიყავი პირველი, ვინც მოაწყო თამაშები მარსის პატივსაცემად, რომელსაც შემდგომ წლებში სენატის დეკრეტით კონსულები ტრადიციულად ატარებდნენ. მე 26-ჯერ ჩემი და ჩემი შვილების სახელით წარვუდგინე ხალხს

⁵ Cic. Verr. 2, 5 „მე ახლა ამირჩიეს ედილად, კარგად მესმის რამხელა უფლება მიმცა რომაელმა ხალხმა. მაქვს პატივი წარმოვადგინო ყველაზე წმინდა თამაშები რომში დიდი ზრუნვით და თავყვანისცემით კერესის, ლიბერის და ლიბერასი“.

⁶ სახელმწიფო მოხელე რომში რომელიც პასუხისმგებელი იყო თამაშების და დღესასწაულების ჩატარებაზე.

აფრიკულ მხეცებზე ნადირობა ცირკსა და ამფითეატრებში, სადაც საერთო ჯამში დაახლოებით 3500 მხეცი იყო მოკლული“ (Suet. Aug. 22)⁷. აღნიშნული წყაროდან გამომდინარე, ნათელია, რომ ავგუსტუსი საკუთარ თავს ღირსებად უთვლის, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა გლადიატორული წარმოდგენების განვითარებაში. რაც შეეხება გლადიატორთა სკოლებს, სადაც მებრძოლეების დაოსტატება ხდებოდა, დონალდ კაილის მიხედვით, რესპუბლიკის დროს არსებული კერძო გლადიატორული სკოლები იმპერიაში უკვე აკრძალული იყო, იმპერატორ დომიციანეს დროს დაფუძნდა გლადიატორების ოთხი იმპერიული სკოლა(ლუდუს მაგნუსი, დაკიუსი, მატუტინუსი, გალიკუსი), სადაც ვარჯიშობდნენ და ცხოვრობდნენ მომავალი გლადიატორები⁸. შესაბამისად, იმპერიის პერიოდში თამაშები რომის ცხოვრების განუყრელ ნაწილად იქცა და ასე იყო მისი არსებობის უკანასკნელ ეტაპამდე.

გლადიატორული ორთაბრძოლების წარმოშობის საკითხზე მსჯელობისას წყაროებში, როგორც წესი, ორი ძირითადი ვერსია გამოიყოფა. პირველი არის მათი წარმოშობის ეტრუსკული ვერსია, რომლის მიხედვითაც, გლადიატორული ორთაბრძოლები ეტრუსკული დაკრძალვის ცერემონიებიდან აღმოცენდა. მეორე ვერსიით, გლადიატორთა ორთაბრძოლების წარმოშობა კამპანიურ საწყისებს უკავშირდება. ბუნებრივია, მეცნიერთა აზრებიც ორად არის გაყოფილი. საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე ლიტერატურაში არაერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული. ერთგვარი კომბინირების გზით მიდის ჯორჯ ვი-

⁷ აქ და სხვაგან ანტიკური წყაროებიდან ამონარიდების თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს.

⁸ Kyle 2007, 312.

ლი⁹, რომელიც მიიჩნევს, რომ ძვ.წ IV საუკუნის დასაწყისში გლადიატორული ორთაბრძოლები ოსკო-სამნიტებმა შეიმუშავეს, მოგვიანებით ის ეტრუსკებმა გადაიღეს, ხოლო ძვ.წ III საუკუნიდან რომში გავრცელდა. კამპანიური წარმოშობის ვერსიას ემხრობა როლანდ აგეტი¹⁰, ის თვლის, რომ თამაშები ეტრური-აში კამპანიიდან გავრცელდა. ამის საპირისპიროდ, მაიკლ გრანტის¹¹ აზრით, ეს წარმოდგენები ეტრუსკული ტრადიციაა. საინტერესო ვერსია აქვს გამოთქმული აგრეთვე დონალდ კაილის¹², რომელსაც მიაჩნია, რომ გლადიატორულ ორთაბრძოლებს და სხვა რომაულ წარმოდგენებს ეტრუსკული ფესვები აქვს, თუმცა მასზე გარკვეული გავლენა ბერძნულმა სანახაობებმა მოახდინა. როგორც ზემოთ მოყვანილ მეცნიერთა მაგალითზე ვხედავთ, საკითხზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა საინტერესოა, რომ ის მეცნიერებიც კი, რომლებიც გლადიატორული ორთაბრძოლების და ზოგადად სპორტული წარმოდგენების კამპანიურ ვერსიას ემხრობიან, არ უარყოფენ, რომ თამაშები რომში ეტრუსკების მეშვეობით გავრცელდა.

წყაროების თვალსაზრისით, ძნელია რომელიმეს გადამწყვეტი უპირატესობა მივანიჭოთ, თუმცა არსებული მასალებიდან გამომდინარე გარკვეული დასკვნების გაკეთება მაინც შესაძლებელია. კამპანიური ვერსიის დასაყრდენ წყაროს წარმოადგენს ტიტუს ლივიუსი, რომელიც რომის ისტორიის მეცხრე წიგნში გადმოგვცემს ძვ.წ 308 წელს რომაელებისა და სამნიტების ომის შესახებ. ლივიუსი მოგვითხრობს, რომ მას შემდეგ, რაც რომაელებისა და კამპანიელების გაერთიანებულმა ლაშქარმა დაამ-

⁹ Ville 1981, 8.

¹⁰ Auger 1994, 21.

¹¹ Grant 1967, 10-12.

¹² Kyle 2007, 253-256.

არცხა სამნიტები, გამარჯვებულებმა ტყვედ ჩაგდებული სამნიტების ჯარი ღმერთებს შესწირეს, „სიამაყით და სამნიტების სიძულვილით აღვსილმა კამპანიელებმა ტყვედ ჩავარდნილი სამნიტები გლადიატორებად აქციეს, ისინი ნადიმებისას გამართულ გასართობ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდნენ“ (Liv. 9.40.17). ვფიქრობთ, რომ ეს წყარო საყურადღებო ინფორმაციას წარმოადგენს, ამის მიხედვით შეგვიძლია გარკვევით დავასკვნათ, რომ შეიარაღებული ორთაბრძოლები, როგორც გართობის საშუალება, ნადიმებსა და დღესასწაულებზე ძვ.წ IV საუკუნის ბოლოს კამპანიელთა პრაქტიკაში უკვე არსებობდა, თუმცა ზემოთ დასახელებული წყაროდან გამომდინარე, მაინც არ შეგვიძლია ხელაღებით ვამტკიცოთ, რომ თამაშები აუცილებლად კამპანიელებმა შექმნეს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წყაროში კამპანიელთათვის ეს სანახაობები გართობის საშუალებად არის წარმოჩენილი, რომში კი სულ სხვა დატვირთვით გავრცელდა და ის დაკრძალვის რიტუალთან იყო დაკავშირებული, მიგვაჩნია, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რაც რომში გლადიატორული ორთაბრძოლების გავრცელების კამპანიურ ვერსიას აშკარად ასუსტებს. თავის მხრივ, კამპანიურ ვერსიას ემხრობა სილიუს იტალიკუსი პუნიკაში (Sil. Pun. 11.51). უნდა აღინიშნოს, რომ წყაროები, რომლებიც კამპანიელების მიერ გლადიატორული ორთაბრძოლებით სიამოვნების მიღებაზე მიუთითებს, ამ პრაქტიკის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი და კამპანიელებსაც, ბუნებრივია, ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენს, შესაბამისად, რთულად წარმოსადგენია, რომ რომაელებს იმ ხალხისგან, რომლებიც მათ ასე სძულდათ, რაიმე ტრადიცია გადაეღოთ. მეორეს მხრივ, საინტერესოა ეტრუსკული ვარიანტის მხარდამჭერი ანტიკური წყაროები. მა-

გალითად ათენაიოსი აღნიშნავს, რომ გლადიატორთა ბრძოლა ნამდვილად ეტრუსკული წარმომავლობისაა.¹³ ტერტულიანე ხაზს უსვამს გლადიატორული ბრძოლების წარმოშობის საკითხის ბუნდოვანებას, რადგან ის ხალხის მეხსიერებაში არ არის შემორჩენილი და ჭეშმარიტების დადგენა რთულია, თუმცა წყაროების გაანალიზების შედეგად ტერტულიანე მაინც ეტრუსკულ ვერსიას ანიჭებს უპირატესობას (*Tert. De spect.* 5).¹⁴ ნიკოლოზ დამასკელის მიხედვით, თამაშები და ორთაბრძოლები, რომლებიც რომში იმართებოდა, რომაელებს ეტრუსკებიდან ჰქონდათ გადმოღებული (*Nic. Dam.* 4.153). გლადიატორულ ბრძოლებთან დაკავშირებული ტერმინების განხილვისას საინტერესო ვერსიას გვთავაზობს ისიდორე სევილიელი (*Isid. Etym.* 10.159), რომელიც გლადიატორთა ორთაბრძოლების ეტრუსკული წარმომავლობის მამტიკიცებელ არგუმენტს გვთავაზობს. იგი ეტრუსკულიდან სიტყვა *lanista*-ს („გლადიატორთა მწვრთნელი“) ნასესხობაზე მიუთითებს, თუმცა ეს უკანასკნელი არგუმენტი სუსტად გამოიყურება.

რაც შეეხება მატერიალურ ძეგლებს და არტეფაქტებს, ისინიც ისეთივე ხასიათისაა, როგორც წერილობითი წყაროები. ეტრუსკული საფლავის მხატვრობაში შესაძლებელია დავინახოთ თამაშების ეტრუსკული საწყისები. ამის საილუსტრაციოდ ძვ.წ VI-V საუკუნეებით დათარიღებული ბიგების (*Tomba delle Bighe*) ტარკვინიული სამარხი გამოდგება, სადაც სპორტული წარმოდგენებია გამოსახული, რომელიც მოგვიანებით რომში

¹³ კობახიძე 2007, 128.

¹⁴ ტერტულიანე მოგვითხრობს, რომ ბევრი ავტორია, რომელსაც გამოცემული აქვს ტრაქტატი აღნიშნულ საკითხზე და გვამღევენ ვერსიას თამაშების წარმოშობის შესახებ და აქვე ჰეროდოტეს ზემოთ ნახსენებ ვერსიას მოგვითხრობს.

არსებულ მსგავს წარმოდგენებთან ამჟღავნებს გარკვეულ მიმართებას.



მის საპირისპიროდ, ელისონ ფუტრელი¹⁵ მიიჩნევს, რომ ნახატებში წარმოდგენილი ადამიანები უშუალოდ არ არიან ბრძოლაში ჩაბმული და თავისუფლად შეიძლება ეს გამოსახულებები აღვიქვათ, როგორც პირიული ცეკვა¹⁶ ან სხვა რაიმე მსგავსი გამოსახულება. ჩვენს ყურადღებას იქცევს აგრეთვე ტარკვინიაში არსებული აუგურების (Tomba degli Auguri) საფლავი, რომელზეც, როგორც წარწერა გვამცნობს, გამოსახულია ფერსუ.

ნახატის მიხედვით, მამაკაცს ხელით უკავია ველური ცხოველის (დიდი ალბათობით ძაღლის) საბელი. ცხოველიც უტევს სავარაუდოდ ხელკეტით შეიარაღებულ მამაკაცს, ხოლო ამ მამაკაცს თავზე ჩამოცმული აქვს ტომრის ან ქუდის მსგავსი რამ, რაც ხილვადობაში უშლის მას ხელს.

¹⁵ Futrell 1997, 16.

¹⁶ მიმიკური საომარი ცეკვა რომელიც გამოსახავს ბრძოლაში შეტევისა და დაცვის სიუჟეტებს.




ეს გამოსახულება მრავალი მნიშვნელობით არის გააზრებულ-ლი, ზოგი მას მძლეოსნობაში შეჯიბრად აღიქვამს, თუმცა ჩვენი აზრით, შედარებით უფრო სარწმუნო ელისონ ფუტრელის მოსაზრებაა¹⁷, რომელიც მას ვენაციოს ადრეულ ფორმებთან აკავშირებს. ვფიქრობთ, რომ გამოსახულებაზე აშკარად ცხოველისა და ადამიანის ორთაბრძოლაა ასახული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს არის ცხოველებთან ორთაბრძოლის ადრეული ფორმა, რომელიც ძალიან ჰგავს გვიანდელ ვენაციოს¹⁸. თავად „ფერსუ“, რომელიც მკვლევარებს ლათინური *persona*-ს ეტიმოლოგიად მიაჩნიათ, თავდაპირველად ნიშნავდა „ნიღაბს“, რაც ამ გამოსახულებაზე სახედაფარულ კაცს შეესაბამება, ეს ფაქტი თითქოს კიდევ უფრო ამყარებს ზემოთ მოყვანილ მსჯელობას, თუმცა დამატებითი არგუმენტების გარეშე ძალიან რთულია აშკარა დასკვნების გამოტანა. მსგავსად ეტრუსკული ვერსიისა, საფლავის მხატვრობაში მოიძებნებ კამპანიური ვერსიის სასარგებ-

¹⁷ Futrell 1997, 16.

¹⁸ ვენაციო იყო გართობის ერთ-ერთი სახეობა რომაულ ამფითეატრებში, რაც გულისხმობდა ადამიანისა და ველური ცხოველების ორთაბრძოლას.

ლოდ მეტყველი გამოსახულებებიც. ამის ნათელი გამოვლინებაა პესტუმში არსებული საფლავების ნახატები, სადაც აღწერილია შეიარაღებული მამაკაცების საბრძოლო სცენა, თუმცა, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც თავისუფლად შეიძლება წარმოდგენილი გამოსახულება დავაკავშიროთ ორთაბრძოლის სხვა სახეობებთან.



საინტერესოა, რომ პესტუმის საფლავები თარიღდება ძვ.წ IV საუკუნით და ემთხვევა წყაროებში მოცემულ არგუმენტებსაც, აქედან გამომდინარე, თუკი ამ ადამიანებს აუცილებლად გლადიატორებად მივიჩნევთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ გლადიატორული ორთაბრძოლები კამპანიაში ძვ.წ IV საუკუნეში იყო პოპულარული და არა ერთმნიშვნელოვნად იმას, რომ ეს შერკინება კამპანიელებმა გამოიგონეს. გარდა ამისა, თუ კი ამ ლოგიკას გავყვებით და ეტრუსკულ არტეფაქტებზე არსებულ სცენებზე გამოსახულ ადამიანებს გლადიატორებად მივიჩნევთ, ეტრუსკული ვერსიის არგუმენტები უფრო ძლიერი აღმოჩნდება, რადგან აღნიშნული არტეფაქტები ძვ.წ VII-VI საუკუნეებით თარიღდება და შესაბამისად კამპანიური საწყისების

შესახებ არგუმენტებს გააბათილებს. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მართებულად მიგვაჩნია დონალდ კაილის¹⁹ დამოკიდებულება, რომელიც ამბობს, რომ გლადიატორული ბრძოლების წარმოშობის საკითხზე პასუხის გაცემა როგორც ერთ კონკრეტულ ადგილას, ერთ კონკრეტულ კონტექსტში ძალიან რთულია და ფაქტობრივად ისტორიულად პასუხგაუცემელ შეკითხვას წარმოადგენს, რადგან ანტიკურ სამყაროში ბრძოლები, მსხვერპლშეწირვა და სისხლიანი ორთაბრძოლები ფართოდ იყო გავრცელებული. საკითხის შეჯამებისთვის, საინტერესოა ელისონ ფუტრელის მოსაზრება რომში წარმოდგენების სხვა ხალხიდან შემოსვლის შესახებ, მას მიაჩნია რომ ადამიანის შემოქმედების მრავალფეროვნების პირობებში დუელის ფენომენი, თუნდაც ცოცხლების გასართობად ან მიცვალებულთა პატივსაცემად, სულაც არ არის უცნაური რამ, იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ გლადიატორების რომაული ვერსია შესაძლოა იყო ძველი იტალიის ბინადარ ხალხებში არსებული საერთო პრაქტიკის სისტემატიზაცია და ის არ წარმოადგენდა, რომელიმე კონკრეტული ეთნოსიდან პირდაპირ გადმოღებულ ტრადიციას²⁰.

დასკვნის სახით, უნდა აღვნიშნოთ, რომ გლადიატორთა ორთაბრძოლები კაცობრიობის უძველეს წეს-ჩვეულებებში იღებს დასაბამს. ორთაბრძოლა, როგორც გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება, ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანისთვის იყო ცნობილი. ღმერთების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად ადამიანი ღვთაებებს სისხლიან მსხვერპლსაც სწირავდა.

¹⁹ Kyle 1998, 45.

²⁰ Futrell 1997, 18.

ზემოთ ხსენებული ინფორმაციებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალები გლადიატორული წარმოდგენების წარმოშობის პრობლემის სრულად გადასაწყვეტად და არსებული კითხვის ნიშნებისთვის ბოლომდე პასუხის გასაცემად საკმარისი არ არის. ისიც უნდა ითქვას, რომ დამატებითი მასალების აღმოჩენის გარეშე, იქნება ეს არქეოლოგიური აღმოჩენები, თუ ახალი წყაროები, საკითხი მუდამ ღია იქნება. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ გლადიატორული წარმოდგენების სამშობლოდ ეტრურიის ჩათვლა უფრო მისაღებია, რადგან, როგორც ცნობილია, რომში თამაშობები ეტრუსკებიდან გავრცელდა²¹, ამ მოსაზრებას თავად კამპანიური ვერსიის მხარდამჭერი მეცნიერებიც არ უარყოფენ. გარდა ამისა, ცნობილია ეტრუსკული კულტურის გავლენა რომაულ ცივილიზაციაზე, რაც კიდევ უფრო რეალურს ხდის ზემოთ ხსენებულ მსჯელობას. რომში გლადიატორული წარმოდგენების ეტრურიიდან მოხვედრის იქით საკითხი ბუნდოვანია და ჩვენ არანაირი საფუძველი არ გვაქვს ეს ტრადიცია ეტრუსკებამდე სხვა ხალხს მივაკუთვნოთ. სავარაუდოა, რომ ეტრუსკებმა იგი თავად შექმნეს. გარდა ამისა, კამპანიური ვერსიის მთავარ წყაროში ვნახეთ, რომ კამპანიელთათვის გლადიატორთა ორთაბრძოლების მსგავსი სანახაობა გართობის საშუალება იყო, რომში კი მისი გავრცელება დაკრძალვის რიტუალთან არის დაკავშირებული, შესაბამისად ძნელად წარმოსადგენია რომაელებს კამპანიელების გასართობი რიტუალი სულ სხვა დატვირთვით გადმოეღოთ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად ასუსტებს კამპანიურს და კიდევ უფრო ამყარებს ეტრუსკულ ვერსიას, რადგან გლადიატორთა ორთაბრძოლების დაკრძალვის ცე-

²¹ კობახიძე 2007, 136.

რემონიებთან ასოცირებას სწორედ ეტრუსკული ვერსიის მხარდამჭერ წყაროებში ვხვდებით. ამასთანავე კამპანიური მატერიალური ძეგლები არაფრით არ არის ეტრუსკულზე უფრო დამაჯერებელი, პირიქით თუ მათზე არსებულ სცენებს გლადიატორთა ორთაბრძოლებად აღვიქვამთ, ეტრუსკული უპირატეს პოზიციაში აღმოჩნდება, რადგან მათი არტეფაქტები უფრო ადრეული პერიოდით თარიღდება. თავის მხრივ, სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ წარმოდგენები ორივე ტერიტორიაზე არაიდენტური ფორმით ცალ-ცალკე ჩამოყალიბებულიყო, რადგან როგორც აღინიშნა, ანტიკურ სამყაროში დუელის, ორთაბრძოლების და მსხვერპლშეწირვის ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული, თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდებია. მიუხედავად იმისა, სად და რა გარემოებაში წარმოიშვა ხსენებული წარმოდგენები, ნათელია, რომ ისინი დაკრძალვის ცერემონიებთან არის დაკავშირებული, ამის თვალსაჩინო მაგალითი წყაროების მიხედვით, რომში გამართული პირველი გლადიატორთა ორთაბრძოლებია, რომლებიც ერთ-ერთი წარჩინებული მიცვალებულის პატივსაცემად ჩატარდა. ტერტულიანეს ცნობით, არსებობდა რწმენა, რომლის მიხედვითაც, მიცვალებულთა სულები ადამიანის სისხლით მშვიდდებოდნენ და შესაწირად ტყვეებს ან მონებს იყენებდნენ, რომელთაც ნაკლები ღირებულება ჰქონდათ (Tert. De spect. 12,1).

ბიბლიოგრაფია:

Auget, Roland. 1994. *Cruelty and Civilization: The Roman Games*. New York: Routledge.

Futrell, Alison. 1997. *Blood in the Arena: The Spectacle of Roman Power*. Austin: University of Texas Press.

Grant, Michael. 1967. *Gladiators*. New York: Delacorte Press.

კობახიძე, ეკატერინე. 2007. *ეტრუსკები ანტიკურ ლიტერატურაში*. თბილისი: ლოგოსი.

Kyle, Donald G. 1998. *Spectacles of Death in Ancient Rome*. New York: Routledge.

Kyle, Donald G. 2007. *Sport and Spectacle in the Ancient World*. Oxford: Blackwell Publishing.

Ville, George. 1981. *La gladiature en Occident des origines à la mort de Domitien*. Rome: École Française de Rome.

Giorgi Charbadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

The Origins of the Gladiatorial Combats

Key words: *Gladiators, Etruscans, Rome*

Gladiatorial games still remain as a well-known topic to modern society, and it still holds the interest of many people to this day. It is associated with ancient Rome, which played an important political and social role to the lives of ancient Romans. Despite its significance, the origins of Gladiatorial games and other related matters still remains unknown. The goal of this research is to explore the origins of gladiators.

There are different points of views among the scientists about the present topic. There are two major versions about the origins of the already mentioned performances: “etruscan” and “campanian”. In this article, there are analysis and comparisons of the topic related written sources, materialistic statues and the modern literature. The end result of this research suggests that available resources are not sufficient enough to fully resolve the origins of the gladiatorial performances, although Based on the comparison of the present data, “etruscan” version appears more credible. The above stated topic is practically unexamined in Georgia, for which this research should be considered as novelty.

ლელა ჩოთალიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

მიკენური პანთეონი

საკვანძო სიტყვები: მიკენური პანთეონი, B-ხაზოვანი წარწერები, ღვთაებები, რელიგიური წარმოდგენები

პირველი წერილობითი ცნობები მიკენელ ბერძენთა სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიური ცხოვრების შესახებ დაცულია B-ხაზოვან წარწერებში, რომელთა ძირითადი ნაწილი XX საუკუნის დასაწყისში აღმოჩნდა.¹ დღემდე ცნობილი B-ხაზოვანი ტექსტები ორასზე მეტი წლის განმავლობაში არის შექმნილი. როგორც წესი, თიხის ფირფიტები ყოველი სეზონის ბოლოს ნადგურდებოდა, მომდევნო წლისათვის კი იქმნებოდა ახალი ანგარიშები. ჩვენამდე მოღწეული ფირფიტები იმ ხანძრის დამსახურებაა, რომელმაც გაანადგურა კრეტასა და კონტინენტზე არსებული სასახლეები. შესაბამისად, ისინი სწორედ სასახლეთა არსებობის ბოლო წელიწადს უნდა განეკუთვნებოდეს.²

¹ B-ხაზოვანი ტექსტები ძირითადად მომდინარეობს თებედან (Sg ტექსტები – 26 ფირფიტა, Of ტექსტები – 16 ფირფიტა, 56 თიხის პლომბი, ასევე ე. წ. პელოპიდების ქუჩაზე 1993-95 წლებში აღმოჩენილი 236 ძალზე ფრაგმენტული ფირფიტა), კნოსოსიდან (დაახლ. 3000 ტექსტი), პილოსიდან (დაახლ. 1000 ტექსტი), მიკენიდან (71 ტექსტი).

² გორდეზიანი 1999, 17; Heubeck 1979, 47; Godart 1995, 40-46.

უძველესი ნიმუშები მომდინარეობს კნოსოსიდან (გმ II – 1420-1400), ხოლო უახლესი – კონტინენტიდან (გმ III B – 1220-1180). წარწერების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ტექსტებს. მათში აღწერილია სამუშაო ძალა, პერსონალები, ცხოველები, ჭურჭელი, სამუშაო იარაღი, სამეურნეო პროცესები, პროდუქტის ან ინვენტარის გაცემა, ჩაბარება, განაწილება. შესაბამისად, რთულია წარწერების მეშვეობით იმდროინდელი საბერძნეთის სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიური ცხოვრების შესახებ მსჯელობა, თუმცა B-ხაზოვან ტექსტებზე დაყრდნობით გარკვეულწილად შესაძლებელია მიკენური საბერძნეთის რელიგიური სურათის აღდგენა.

თებეს არქივი

თებეში თავდაპირველად აღმოჩენილ მცირე რაოდენობის წარწერებში ძირითადად ფიგურირებს *ma-ri-ne-we-ja-i მარინევის ქურუმი ქალები ან მარინევის ტაძარში მომუშავე ქალები* (Of 25. 1; 35. 2), *e-ra ke-o-te-ja* (Of 28. 2) და *ko-ma-we-te-ja ხვეულთმიანი* (TH Of 35. 1), რომელიც პილოსის არქივშიც დასტურდება (PY Tn 316). დასახელებული ღვთაებები ძღვენის სახით შალს იღებენ (ku LANA 1, ku LANA 3). თებეს არქივში ასევე გვხვდება *e-ma-a²*, სავარაუდოდ, *ჰერმესი*, *re-ja რეია* (Of 31) და *po-ti-ni-ja ქალბატონი* (Of 36), რომელიც ფიქსირდება შემდეგი ფორმით – *po-ti-ni-ja wo-ko-de ქალბატონის ტაძრისაკენ*.

საყურადღებოა, რომ მოგვიანებით აღმოჩენილი თებეს წარწერები (ე. წ. პელოპიდების ქუჩის ფირფიტები) შინაარსობლივად გარკვეულწილად განსხვავდება დღემდე აღმოჩენილი სხვა B-ხაზოვანი წარწერებისაგან. Av, Fq, Ft, Gf, Gp ტექსტები, როგორც ჩანს, წარმოადგენს ღვთაებების, კულტის მსახურებისა

თუ საკულტო ადგილებისადმი გაღებული ძღვენის აღწერას, რადგან ლექსიკურ ერთეულთა უმეტესობა პირდაპირ ან ირიბად საკულტო სფეროს მიემართება. მთავარ ძღვენს წარმოადგენს ქერი, ქერის ფქვილი, ხორბალი, ღვინო, ზეთი. დასახელებულ წარწერებში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვა არის *ma-ka*, რომელიც გვხვდება 14-ჯერ (Fq 126. 1; 130. 1; 131. 1; 213. 1; 214. 1; 229. 1; 254[+]255. 2; 258. 1; 263. 1; 285. 1; 304. 1; 357. 1; Gp 201. a; X 152. 1). *ma-ka*, ერთი წარწერის გარდა (254[+]255. 2), ყველა შემთხვევაში ძღვენის მიმღებთა შორის პირველ ადგილასაა. მისთვის განკუთვნილი ძღვენი ძირითადად ქერია, რომელსაც ყველაზე მეტი რაოდენობით იღებს: T 1 (Fq 126), T2 (Fq 130), T1 (Fq 214), T1 V2 Z2 (Fq 254[+]255), T1 V3 Z1 (Fq 258), T1 (Fq 285). მხოლოდ ერთ შემთხვევაში სწირავენ მას ღვინოს – V1 (Gp 201). ზოგიერთი მკვლევარი *ma-ka*-ს სინონიმად განიხილავს ლექსიკურ ფორმატივს *si-to* (Av 100. 2. 3; 101. 6b; Ft 219. 1; 220[+]248. 1), რომელიც კნოსოსისა და მიკენის არქივებშიც გვხვდება (*si-to* – KN Am 819 B; MY Au 658. 4, *si-to-po-ti-ni-ja* – MY Oi 701. 3. 1).³ თუმცა, ვფიქრობ, *si-to*-ს *ma-ka*-სთან გაიგივება საფუძველს მოკლებული უნდა იყოს, რადგან *si-to* ძღვენს იღებს არა ინდივიდუალურად, არამედ სხვა სავარაუდო ღვთაებებთან ერთად, რასაც ვერ ვიტყვით *ma-ka*-ს შესახებ. მაგ.:

ka-pa, si-to, koroqe[a-ko-da-mo V2 (Ft 219)

ka-pa / si-to OLIV T3 V4 (Ft 220[+]248)

po-te-we, si-to, ku-na-ki-si GRA 2 V2 Z2 (Av100)

³ Aravantinos, Godart and Sacconi 2001, 167, 317. *si-to*-ს მოიაზრებენ ქალღმერთ დემეტრეს ეპიკლესად (სიტო), რომელიც სიცილიაში იყო გავრცელებული (Schol. Eur. *Phoen.* 687).

ma-ka-ს ყველაზე ხშირად მოსდევს ლექსიკური ფორმატივი o-po-re-i (Fq 126, 130, 213, 214, 229, 254[+]255, 304). გარდა ამ წარწერებისა, იგი გვხვდება კიდევ სამჯერ: ლექსიკურ ფორმატივებთან ko-re (Fq 169. 2), ko-ru-we (331. 1), ma[-di-je (339. 1). o-po-re-i-ს ძღვენიც ქერია: V1 Z2 (Fq 126. 2), V2 (130. 2), V1 (214), V2 (169. 2), V1 (339. 1). ma-ka-ს ხშირად მოსდევს ko-wa (Fq 126, 130, 229, 254[+]255, 258). ko-wa ასევე გვხვდება შემდეგ ტექსტებში: Fq 239. 1; 240. 2; 241. 2; 307. 2; 309. 2. იგი ძირითადად ფიქსირდება a-ko-ro-da-mo-ს (სავარაუდოდ, ხალხის, მორწმუნეთა შემკრები), a-pu-wa-ს (სავარაუდოდ, ჰარპია) და ma-di-je-სთან ერთად. ko-wa-ც ქერის მიმღებია – Z2 (Fq 130, 240, 254[+]255, 275), Z1 (Fq 241, 307). სამივე ლექსიკური ფორმატივი ერთად გვხვდება ოთხ ტექსტში (Fq 126, 130, 229, 254), ma-ka და o-po-re-i – ხუთში (Fq 213, 214, 229, 254, 304). ko-wa და o-po-re-i – Fq 169, 257-ში, ხოლო ko-wa და ma-ka – მხოლოდ Fq 258-ში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერთა ერთი ნაწილი არ გამორიცხავს მჭიდრო კავშირს ზემოთ დასახელებულ ძღვენის მიმღებთა შორის და ეძებს მათ შესაბამისობას ელევსინურ მისტერიებთან: ma-ka – Ma (-ter) Ga, ანუ *დემეტრე*, o-po-re-i (Dat.) – (Zeus) Opores და ko-wa – kore, ანუ *პერსეფონე*.⁴ აღნიშნული მოსაზრება არ არის გაზიარებული ყველა მიკენოლოგის მიერ,⁵ რადგან თავად ma-ka-ს დაწერილობა, B-ხაზოვანის ორთოგრაფიის გათვალისწინებით, მრავალფეროვანი ინტერპრეტაციის საფუძველს იძლევა.

ზემოთ ჩამოთვლილ სავარაუდო თეონიმთა გვერდით შეიძლება განვიხილოთ di-wi-ja-ს (Gp 313. 2), რომელიც Gp 109. 1-ში წარმოდგენილია შემდეგი ფორმით – di-wi-ja-me-ro. მისი ძღვე-

⁴ Aravantinos, Godart and Sacconi 2001, 317.

⁵ Chadwick 1996/1997, 293; Killen 1999, 218; Melena 2001, 50.

ნია ფქვილი და ღვინო. di-wi-ja, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვხვდება კნოსოსისა და პილოსის არქივებშიც (KN Xd 97; PY An 607. 5; Cn 1287. 6; Tn 316 v. 4, v. 6).

ღვთაებათა შორის განიხილავენ a-pu-wa-ს (სავარაუდოდ, Ἄρπυια) – Fq 229. 3; 254[+]255. 4; 257. 2; 275. 2; 339. 2; 343. 2; 382. 2. იგი იღებს ქერს, რომელიც ყოველთვის ერთი და იმავე რაოდენობით განისაზღვრება – Z 2.

ყურადღებას იმსახურებს თებეს წარწერებში ხშირად გამოყენებული ლექსიკური ფორმატივი ka-pa (Ft 141. 2; 143. 1; 151. 1; 217. 1; 219. 1; 220[+]248. 1; 234. 1; 268. 1). მნიშვნელოვანია, რომ, ma-ka-ს მსგავსად, იგი ყოველთვის იწყებს წარწერას და Ft სერიაში ყველაზე დიდი რაოდენობის ძღვენს იღებს ზეთის სახით (Ft 141, 217 – T2 V4, Ft 268 – T3 V1). ka-pa-ს მოსდევს მხოლოდ რამდენიმე განსაზღვრული სიტყვა: a-ko-da-mo, ka-si, si-to და ko-ro. ერთ წარწერაში იგი si-to-სთან ერთად იღებს ძღვენს (OLIV T3 V4), ხოლო სხვაგან – ko-ro-სთან (ღორი) ერთად (OLIV T4 V[], რაც, ვფიქრობ, მათ შესაძლო კავშირზე უნდა მიუთითებდეს. ka-pa გვხვდება პილოსისა და კნოსოსის არქივებშიც (PY Un 138. 2, KN E 71). ერთ წარწერაში მას მოსდევს ზეთის აღმნიშვნელი იდეოგრამა OLIV 7, სხვაგან კი – მარცვლეულის აღმნიშვნელი იდეოგრამა GRA[. საინტერესოა, რომ ka-pa ფიქსირდება A-ხაზოვან წარწერებშიც: HT 6a. 1; 8b. 4; 94a. 1; 102. 1; 105. 1; 140. 5. შეიძლება ითქვას, რომ A-ხაზოვანი წარწერები, სადაც ka-pa გვხვდება, უფრო მეტად მოგვაგონებს იმ B-ხაზოვან ტექსტებს, რომლებშიც აღწერილია გადასახადები და შესაწირები (მაგ. Fg 253, Ma 120, Un 47). A-ხაზოვან წარწერებში ka-pa-ს მოსდევს კაცისა და ჯორის აღმნიშვნელი იდეოგრამები VIR/MUL, ასევე ლექსიკური ფორმატივები da-ta-ra და sa-ra², ხოლო ორგან (HT

8ხ და HT 140) – წონის ერთეული J, რაც გვაფიქრებინებს, რომ A-ხაზოვანში ka-pa არ უნდა წარმოადგენდეს თეონიმს ან ანთროპონიმს.

სავარაუდო ღვთაებებად შეიძლება განვიხილოთ ma-di / ma-di-je და ko-ru / ko-ru-we, რომლებიც ხშირად გვხვდება ღვთაებათა ჩამონათვალში. ma-di-je უმეტესად ma-ka-ს სიახლოვეს აღინიშნება (Fq 214. 2; 258. 2; 263. 2; 285. 2; 357. 2). Fq 214-ში იგი მოსდევს ma-ka-სა და o-po-re-i-ს. Fq 258-ში – ma-ka-სა და a-ko-ro-da-mo-ს. Fq 263, 285, 357-ში კი უშუალოდ მოსდევს ma-ka-ს. ma-di-je თებეს ტექსტებში დასტურდება 11-ჯერ. დასახელებული მაგალითების გარდა, იგი გვხვდება o-po-re-i-სა და a-pu-wa-ს (Fq 339), a-ko-da-mo-სა და ko-wa-ს (Fq 241, 309) გვერდით. ma-di-je-ს ძღვენი ქერია: V1[(Fq 254[+]255, 263), V2 Z1 (Fq 309), V3 Z2 (Fq 241, 258). მხოლოდ ერთხელ იღებს ხორბალს – T6 V4 (Av 101). მკვლევართა მიერ ma-di-je განხილულია, როგორც მამაკაცის სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა, რომლის სახელობითი უნდა იყოს ma-di.⁶ ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს, როგორც ჩანს, მათ აძლევთ ის ფაქტი, რომ ma-di კნოსოსის წარწერებში (KN As 603. 2; Db 1168) ანთროპონიმის ფუნქციით გვხვდება (მოსდევს იდეოგრამა VIR 1), თუმცა ჩვენთვის არაერთი ფაქტია ცნობილი მიკენური წარწერებიდან, როდესაც ღმერთის სახელი ამა თუ იმ ფორმით ანთროპონიმის ფუნქციით გვხვდება: a-pa-i-ti-jo – Haphastios (KN L 588), a-re-jo – Areios (KN Vc 208), di-wo – Diwon (KN Dv 1503, PY An 172). თუკი ma-di-je არ წარმოადგენს თეონიმს, მაშინ იერარქიის მაღალ საფეხურზე მდგარი კულტის მსახური მაინც უნდა იყოს, რადგან ma-ka-სა და de-qo-no-ს (*დეესასწაულების მომწყობი*) შემდეგ ma-di-je ყველაზე დიდი

⁶ Aravantinos, Godart and Sacconi 2001, 393.

რაოდენობის ძღვენს იღებს – V3 Z2; T6 V4 (Av 101. 5). საყურადღებოდ მიმაჩნია, რომ ma-di მიეკუთვნება იმ ლექსიკურ ფორმატივთა მცირე რიცხვს, რომლებიც, B-ხაზოვანის პარალელურად, A-ხაზოვან წარწერებშიც გვხვდება (HT] 3. 1. 7;] 69. 2; 85b. 5; 97a. 4; 118. 1; PH (?) 31a. 2). მას მოსდევს ციფრები 1, 2, 4, 5. ასევე ცხვრის აღმნიშვნელი იდეოგრამა OVIS^m და OVIS^f.

ko-ru-we (Dat.) გვხვდება 9-ჯერ. ერთი წარწერის გარდა (Fq 284. 2), ყველა შემთხვევაში იგი სავარაუდო ღვთაებათა გვერდით დგას: ma-di-je, a-ko-da-mo (Av 101. 5), a-ko-da-mo (Fq 117. 2), ma-ka, o-po-re-i, ko-wa (Fq 126. [3]), o-po-re-i, ko-wa (Fq 169. [3]), ma-ka, o-po-re-i, ma-di-je (Fq 214. 3), a-ko-da-mo, ma-di-je, kowa (Fq 241. [3], 309. [3]), o-po-re-i (Fq 331. 2). ko-ru-we ძღვენის სახით იღებს ხორბალს – T2 და ქერს – Z2, Z1, V1. ko-ru-we-ს სახელობითი ბრუნვის ფორმა, სავარაუდოდ, უნდა იყოს ko-ru (Fq 126. 3; 254[+]255. 4), რომელიც მოსდევს შემდეგ თეონიმებს: ma-ka, o-po-re-i, ko-wa და ma-ka, o-po-re-i, ma-di-je, ko-wa, a-pu-wa. მას სწირავენ Z2 რაოდენობის ქერს. ko-ru-we-ს გრაფიკულ ვარიანტად მიჩნეულია *56-ru-we (გვხვდება Gp სერიაში – Fq 205. 4; Gp 110. [2]; 112. 2; 114. [1]; 119. [2]; 166. 1; 158. 2; 164. 2; 170. 2; 176. a; 184. 2; 186. [2]; 188. b; 345).⁷ ეს სამი ლექსიკური ფორმატივი ძირითადად ერთსა და იმავე ძღვენის მიმღებთა გვერდით აღინიშნება, მაგ.:

ko-ru-we (ko-ru) + a-ko-da-mo (Av 101; Fq 117; 241; 254[+]255)

*56-ru-we + a-ko-da-mo (Gp 164)

ko-ru + ke-re-na-i (Fq 126)

*56-ru-we + ke-re-na-i (Gp 176)

⁷ *56 სილაბოგრამას ანიჭებენ ko₂ მნიშვნელობას. Aravantinos, Godart and Sacconi 2001, 207-208

ko-ru + mo-ne-we (Fq 254[+]255)

*56-ru-we + mo-ne-we (Gp 110)

ko-ru-we + to-pa-po-ro-i (Av 101)

*56-ru-we + to-pa-po-ro-i (Gp 184)

თუმცა, საყურადღებოა, რომ ko-ru და ko-ru-we დასტურდება Fq სერიაში, ესე იგი, ძღვენს იღებენ ქერის სახით, ხოლო *56-ru-we Gp სერიაში გვხვდება და ღვინოსა და ფქვილს იღებს, რაც ამ ტერმინთა იდენტიფიკაციისათვის გარკვეული ეჭვის საფუძველს ქმნის.

საყურადღებოა, რომ, როგორც თებეს Ug და Of ტექსტებში, ასევე “პელოპიდების ქუჩის” ფირფიტებზე ვერ ვხვდებით ოლიმპიელი ღმერთების ნაცნობ სახელებს, რომლებიც მეტ-ნაკლები სიხშირით ფიგურირებს პილოსის, მიკენისა თუ კნოსოსის არქივებში: di-we, e-ra, po-se-da-o. თებეს ტექსტებში ღვთაებებად გვევლინებიან ანტიკური ტრადიციისათვის უცნობი ფიგურები: ma-ri-ne-wi-ja, ko-ma-we-te-ja, ma-ka, ko-wa, ko-ru-we, რაც საშუალებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ ეს ღვთაებები წინაბერძნული (არაბერძნული) წარმოშობის უნდა იყოს.

“პელოპიდების ქუჩის” წარწერებში ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ძღვენის ზოომორფული მიმღებნი. საუბარია ღვთაებრივ თუ წმინდა ცხოველებზე, რომლებიც, სხვა მიკენურ წარწერებში მოხსენიებული ცხოველებისაგან განსხვავებით, თავად კი არ წარმოადგენენ მსხვერპლს, არამედ, ღვთაებათა მსგავსად, იღებენ მას ღვინის, ზეთის, ქერისა თუ ქერის ფქვილის სახით. ძღვენის მიმღები ცხოველები არიან: e-mi-jo-no-i (ἦμισιον) – ჯორი, e-pe-to-i (ἐπετοις) – გველი, ko-ro (χοιρῶ) – ღორი, ke-re-na-i – წერო,⁸ ku-ne (κύνας), ku-no (κυνῶν), ku-si (κυσί) – ძაღლი,

⁸ Del Freo 1999, 299-304.

o-ni-si (ὄρνισι) – ჩიტი, ka-no (καὼν), ka-si (κασι) – ბატი. მოცემულ შემთხვევაში ძღვენის ზოომორფული მიმღებნი, სავარაუდოდ, წმინდა ცხოველები უნდა იყვნენ. დაისმის კითხვა, რა კავშირი შეიძლება ჰქონდეთ მათ ღვთაებებთან? წარწერებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ცხოველთაგან არცერთი არ გვხვდება გამორჩეულად და სისტემატურად რომელიმე სავარაუდო ღვთაების გვერდით. შესაბამისად, მათ ამა თუ იმ ღვთაების ატრიბუტად ვერ განვიხილავთ.

ზოგადად, ღმერთის წარმოსახვა ცხოველის, ფრინველისა თუ ქვეწარმავლის ფორმით არ არის უცხო ბერძნული ტრადიციისათვის, მაგრამ მოცემულ წარწერებში ცხოველების სახელები მრავლობითი რიცხვის ფორმით არის წარმოდგენილი: e-peto-i (Dat. pl.), ku-ne (Nom. pl.), ku-no (Gen. pl.), ku-si (Dat. pl.), ke-re-na-i (Dat. pl.), o-ni-si (Dat. pl.).⁹ ეს ერთგვარ დაბრკოლებას უქმნის მოსაზრებას, რომ შეიძლება მსხვერპლის მიმღები ცხოველები ღმერთების ზოომორფულ სიმბოლოებს წარმოადგენდნენ, თუმცა შტ. ჰილერი, მიკენური ორთოგრაფიისა და მიკენური დიალექტის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ ფაქტს არ მიიჩნევს სერიოზულ წინააღმდეგობად არსებული მოსაზრებისათვის.¹⁰

“პელოპიდების ქუჩის” წარწერებში წარმოდგენილი ძღვენის მიმღები ცხოველების განხილვისას არ უნდა დავივიწყოთ თავად მინოსური ტრადიცია – როგორც ცნობილია, მინოსურ რელიგიურ წარმოდგენებში უპირატესობა ქალურ საწყისს ენიჭება და წამყვან როლს დიდი დედის კულტი ასრულებს. B-ხაზოვანის არქივებშიც გვხვდება მთელი რიგი ქალღმერთებისა, რომ-

⁹ Aravantinos, Godart and Sacconi 2001, 321.

¹⁰ Hiller 2003, 229-238, 235.

ლებიც მოიხსენიებიან ტიტულით po-ti-ni-ja. ეს მოვლენა უნდა მიუთითებდეს მდედრობითი სქესის ღვთაების ჯერ კიდევ განსაკუთრებულ როლზე მიკენურ სამყაროში, რაც ასახულია ჩვენამდე მოღწეულ ფრესკებზეც.¹¹ ხშირ შემთხვევაში B-ხაზოვან წარწერებში *ქალბატონები* დამატებითი აღნიშვნით არიან ინდივიდუალიზირებულნი: კნოსოსში – a-ta-na-po-ti-ni-ja *ათენა* (KN V 52), da-puz-ri-to-jo po-ti-ni-ja *ლაბირინთის ქალბატონი* (KN Gg 702, Oa 745), პილოსში – po-ti-ni-ja i-qe-ja *ცხენების ქალბატონი* (PY An 1281), u-po-jo-po-ti-ni-ja (PY Fn 187, Fr 1225, 1236), te-i-ja ma-te-re *ღმერთების დედა* (PY Fr 1202), po-ti-ni-ja a-si-wi-ja (PY Fr 1206), e-re-wi-jo-po-ti-ni-ja (PY Vn 48), მიკენში – si-to-po-ti-ni-ja *პურის ქალბატონი* (MY Oi 701, 704). *ქალბატონები* ერთმანეთისგან განსხვავდებიან მათი მოქმედების სფეროთი და საქმიანობით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, თებეს ფირფიტებზე დადასტურებული მსხვერპლის მიმღები ცხოველები გარკვეულწილად ღვთაებათა ფუნქციას ასრულებდნენ და “პელოპიდების ქუჩის” წარწერებში ე. წ. დედის, ქალბატონის კულტის სხვადასხვა ფორმის გამოვლინებასთან გვეკონდეს საქმე. სავარაუდოდ, ცხოველებისათვის გაცემული ქერი, ღვინო თუ ზეთი სწორედ გველების, ბატების, ჩიტების, ჯორების, ძაღლების, წეროების ქალღმერთისათვის განკუთვნილ ძღვენზე უნდა მიგვანიშნებდეს. თავად სიტყვა ქალღმერთი, ქალბატონი (po-ti-ni-ja) თებეს არქივში არ დასტურდება, მაგალითად ლექსიკური ფორმატივი si-to, რომელიც მიკენის არქივში si-to-po-ti-ni-ja-ს ფორმით არის წარმოდგენილი, “პელოპიდების ქუჩის” წარწერებში დამოუკიდებლად გვხვდება.

¹¹ Burkert 1977, 84.

მიკენური ორთოგრაფიის თავისებურებებიდან გამომდინარე, ეს ფაქტი არ უნდა წარმოადგენდეს სერიოზულ წინააღმდეგობას არსებული მოსაზრებისათვის – როგორც ვიცით, ჩვენამდე მოღწეული ტექსტები ძირითადად სასახლეში მიმდინარე სამეურნეო პროცესის ერთგვარი სტენოგრაფიული ჩანაწერებია, რომლებიც ყოველი წლის ბოლოს ნადგურდებოდა და არ წარმოდგენდა ხანგრძლივად შესანახ ღირებულ ინფორმაციას. აქედან გამომდინარე, სავსებით დასაშვებია, ზოგიერთი მონაცემი თუ სიტყვა წარწერათა შემდგენელს შემოკლებით, თავისთვის გასაგებად ჩაეწერა.

პილოსის არქივი

პილოსში აღმოჩენილ ფირფიტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პილოსის პანთეონში მთავარი ადგილი უკავია პოსეიდონს (po-se-da-o-ne, po-se-da-o-no, po-se-da-o-ni). მისთვის განკუთვნილი ძვენი ყველაზე ხშირად არის ხორბალი: GRA 4, GRA 2, 1 T5, 1, T7, 2 T3, T 9 T8, T 7, T6, T 5, T4, T3, T2, T1, V3, (Es 644, 645, 646, 647, 649, 651, 653, 652 [+]) 1453, 703, 725, 727, 728, 729, Fq 36 [+]) 887, Un 718, 853 [+]) 869). პოსეიდონის ძვენს წარმოადგენს ასევე ტახი (SUS + KA 1, SUS + KA 2) – Un 6, 853 [+]) 869, ღორი (SUS^f 2, SUS^f 4) – Un 6, ღვინო, ხარი, tu-ro² (?), ცხვარი, თაფლი, ფქვილი, შალი, ბეწვი, ნაჭერი, ნელსაცხებელი ღვთაების ტანსაცმლისათვის (VYN 2, VYN 3, VYN 5, VYN s 1, VYN s 2, BOS m 1, TURO 2 10, 5 ko-wo, *153 1, me-ri-to v 3, OVIS m 1, OVIS m 2, OVIS f 1, FAR T 1, FAR T 6, Lana 2 m2, TELA + PA 1?, AREPA v 2 *153 1, AREPA v 4) – Un 718, 853 [+]) 869. სფაგიანეში ზეიმის თვეს პოსეიდონს სწირავენ განსაწმენდ საღბისა და ერთისის ზეთებს

(OLE + A v 2, OLE + PA z 2),¹² ხოლო wa-na-so-i-სთან ერთად იღებს ზეთისხილის ზეთს (OLE + A v 2) – Fr 1219. აღსანიშნავია, რომ წარწერებში პოსეიდონი უმეტესად პირველ ადგილასაა, ხოლო მისთვის განკუთვნილი ძვენი ყოველთვის აღემატება სხვათა შესაწირს (იხ. Es სერია). მხოლოდ Un 6 წარწერაში პოსეიდონს და სავარაუდო ქალღმერთ pe-re-*82-ს თანაბარი რაოდენობით ცხვარს, ხარსა და ღორს სწირავენ.

საინტერესოა, რომ პილოსის არქივში გვხვდება მდედრობითი სქესის პოსეიდონიც – po-si-da-e-ja (Tn 316), რომლის ძვენიცაა ოქროს ლარნაკი და ჯორი (AUR *213 vas 1, MUL 1). მის ტაძარში (po-si-da-i-jo) სფაგიანეში მიაქვთ იგივე ძვენი (AUR *215 vas 1, MUL 2) – Tn 316, ასევე ქერი და ლეღვი (HORD [] NI T 1) – Fn 18. po-si-da-e-ja-ს სწირავენ po-re-na-ს (Tn 316), რომელიც, წარწერის მიხედვით, ადამიანია. შესაძლებელია, po-re-na ყოფილიყო პირდაპირი მნიშვნელობით შესაწირი მსხვერპლი ადამიანის სახით, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ იგი წარმოადგენდა მონას, რომელსაც ღვთაების პატივსაცემად მის ტაძარს სწირავდნენ. po-si-da-e-ja-ს ტაძრის მსახურები (po-si-da-i-je-u-si) იღებენ ქერს (HORD T 1 V 3) – Fn 18. ქალღმერთთა ტაძრებიდან (ko-ma-we-te-i-jo, pe-re-*82-jo, i-pe-me-de-ja, di-u-ja-jo) უპირველესად ძვენს ოქროს ლარნაკისა და ჯორის სახით po-si-da-e-ja-ს ტაძარი იღებს (po-si-da-i-jo) – Tn 316. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოსეიდონის მდედრობითი სქესის ჰიპოსტასი ტექსტებში არ ფიქსირდება მამრობითი სქესის პოსეიდონის გვერდით.

¹² ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ პილოსის არქივში ღმერთთა უმეტესობა დაკავშირებულია სფაგიანესთან, სადაც დიდი საკულტო ცენტრი მოიაზრება მიკენური პერიოდისათვის.

პოსეიდონის შემდეგ ყველაზე ხშირად გვხვდება po-ti-ni-ja ქალბატონი. Tn 316 წარწერაში, სადაც ჩამოთვლილია სხვადასხვა ქალღმერთისადმი (po-si-da-e-ja, ma-na-sa, do-po-ta) შეწირული ძღვენი, პირველ ადგილას სწორედ po-ti-ni-ja დგას, რაც მის პრივილეგირებულობაზე უნდა მიუთითებდეს. იგი ძღვენის სახით იღებს ცხვარს, ღორს, კაცს, სალბის ზეთს, ოქროს ლარნაკს, ჯორს (AUR *215 vas1 MUL 1, OVIS m 100, SUS 190, VIR 1 – Tn 316, Fr 1231, 1235, Cc 665, An 1281). ტიტულით po-ti-ni-ja ერთობლივად მოაზრებული ქალღმერთები, სავარაუდოდ, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მოქმედების სფეროთი და საქმიანობით: u-po-jo-po-ti-ni-ja (PY Fn 187, Fr 1225, 1236) ძღვენის სახით იღებს ლერწამს, ზეთისხილის ზეთს ტანსაცმლისათვის, ქერსა და ლევს (OLE + PA s 1 v 1, OLE + A s 1, HORD t 5, NI t 4), po-ti-ni-ja i-qe-ja-ს, *ცხენების ქალბატონს* (PY An 1281) სწირავენ კაცს (VIR 2). e-re-wi-jo-po-ti-ni-ja PY Vn 48 ტექსტში მოიხსენიება დასახლებული პუნქტებისა და კულტის მსახურთა გვერდით. po-ti-ni-ja a-si-wi-ja-სათვის სავალდებულო ძღვენია სალბის ზეთი (OLE + PA 5 V4 – PY Fr 1206).

სავარაუდოდ ქალღმერთს წარმოადგენს *დიფსია*. წარწერების მიხედვით, მას პირადად არაფერს სწირავენ. ძირითადად ნახსენებია *დიფსიას ქურუმი ქალები* (di-pi-si-jo-i), რომლებიც თავად სწირავენ სალბის ზეთს (OLE + PA s 1 – Fr 1220, 1231 1232, 1338, 1240). მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მოხსენიებული *დიფსიას ტადარი* (di-pi-si-je-wi-jo), რომლის ძღვენია ზეთისხილის ზეთი (OLE + A s 1 – Fr 1218).

საინტერესოა, რომ პილოსის წარწერებში უშუალოდ ზევსს (di-we – Dat. sing.)¹³ მხოლოდ ერთხელ სწირავენ ძღვენს ოქროს ლარნაკისა და კაცის სახით (AUR *213 vas 1 VIR 1 – Tn 316). ძირითადად გვხვდება მისგან ნაწარმოები სავარაუდო საკუთარი სახელები და ტოპონიმები (di-wi-jo – Mb 1366, di-wi-ja-wo – Na 406, di-wi-ja-ta – Nn 228, di-wi-je-we...). სფაგიანეში, ზევსის ტაძარში (di-u-jo – Tn 316) კი მიაქვთ ძღვენი და პორენები. მოცემულ შემთხვევაში ზევსთან ერთად მოხსენიებულნი არიან: ჰერა (e-ra), რომელიც იღებს AUR *213 vas 1 MUL 1, ზევსის ვაჟი – di-ri-mi-jo di-wo i-je-we ან ზევსის ქურუმი – di-ri-mi-jo di-wo i-je-*{re}*-we – იღებს AUR *213 vas 1 [

პილოსის არქივში გვხვდება ასევე სავარაუდო ღვთაება di-u-ja. თეონიმი Διψα დასტურდება პამფილიაში¹⁴ და განიხილება, როგორც ზევსის di-we (Dat.), diwo (Gen.) მდედრობითი სქესის ჰიპოსტასი. po-si-da-e-ja-ს მსგავსად, di-u-ja ზევსისგან დამოუკიდებლად გვხვდება (ზევის გვერდით უმეტესად ჰერას მოიხსენიებენ). მისი ძღვენია AUR *213vas 1 MUL 1. დასტურდება ასევე di-u-ja-ს ტაძარი di-u-ja-jo (Tn 316) და მისი მსახური di-u-ja do-e-ro (Cn 1287).

შესაძლო ქალღმერთებად მოიაზრებიან ასევე i-pi-me-de-ja, do-po-ta, ma-na-sa, pe-re-*82, ke-re-ta. i-pi-me-de-ja, do-po-ta, ma-na-sa მხოლოდ Tn 316 წარწერაში გვხვდება. ისინი ძღვენის სახით იღებენ ოქროს ლარნაკებსა და ჯორს (AUR *215vas 1, AUR *213vas 1, AUR *213vas 1 MUL 1). Cn 1287 წარწერაში მოხსენიებულია ke-re-ta-ო-ს მსახური a²-ra-ka-wo. Tn 316 წარწერაში

¹³ როგორც ცნობილია, სახელი ზევსი უკავშირდება საერთოინდოევროპული ცის, სინათლის ღმერთის სახელს *Dyēus.

¹⁴ Ventris and Chadwick 1956, Dosc 2, p. 540 ; *DMic* I, 375; II, 211 sqq.

გვხვდება ასევე pe-re-*82 (*პერსეფონე?*), აქვე ნახსენება მისი ტადარი pe-re-*82-jo. pe-re-*82 იღებს ოქროს ლარნაკსა და ჯორს (AUR *213vas 1 MUL 1). Un 6 წარწერაში მას პოსეიდონის შემდეგ სწირავენ ხარს, ღორსა და ცხვარს (BOS^f 1 OVIS^f 1 SUS + KA 1 SUS^f 2). მკვლევარები pe-re-*82-ს სახესხვაობად მიიჩნევენ An 129 წარწერაში დადასტურებულ ლექსიკურ ფორმატივს pe-re-wa-ta, რომელსაც კაცს სწირავენ (VIR 1). pe-re-*82-ta აღნიშნება კნოსოსის არქივშიც (KN As 602), თუმცა, კონტექსტიდან გამომდინარე, საეჭვოა, იგი ღვთაებას წარმოადგენდეს.

პილოსის არქივში, სავარაუდოდ, ნახსენები უნდა იყვნენ ქალღმერთები *დემეტრა* (da-ma-te) და *არტემისი* (a-ti-mi-te). En 609 წარწერის მიხედვით, სფაგიანეში დემეტრას აქვს DA 40 (მიწის ნაკვეთის აღნიშვნა). Es 650-ში კი გვხვდება არტემისის მსახური (do-e-ro), რომელსაც აქვს to-so-de pe-mo GRA 1.

ერთხელ არის მოხსენიებული ma-te-re te-i-ja *ღმერთების დედა* (PY Fr 1202). მას თაფლის თვის დასაწყისში (შესაძლოა, მასში) სწირავენ სალბის ყვავილების არომატულ ზეთს. თავად სიტყვა *ღმერთი* იშვიათად გვხვდება. ძირითადად დასტურდება შემდეგ კონტექსტში: te-o-jo do-e-ro, te-o-jo do-e-ra *ღმერთის მსახური კაცი* და *ღმერთის მსახური ქალი*. Fr 1226 ფირფიტაზე ნახსენებია *ღმერთების მინდორი* a-ko-ro te-o-i (Dat. pl.), რომელსაც სწირავენ სალბის ზეთს. სხვა შემთხვევაში კი ღმერთებისთვის (te-o-i) განკუთვნილია ზეთი ღვთაებათა ტანსაცმლისათვის (Fr 1355). te-o გვხვდება ორ წარწერაში (Eb 297, Ep 704), სადაც ქურუმი ქალი e-ri-ta იფიცებს, რომ მას აქვს ღვთაების e-to-ni-jo (e-to-ni-jo e-ke-e te-o).

ორჯერ გვხვდება *ჰერმესი* e-ma-a² (Xn 1357, Un 219) და ერთხელ – *ჰერმეს არესი* e-ma-a², a-re-ja (Tn 316), რომელიც იღებს

ოქროს ლარნაკსა და კაცს (AUR *216 vas 1 VIR 1). ორ ფრაგმენტულ ტექსტში გვხვდება დიონისეს სახელიც – di-wo-nu-so-jo (Xa 102), di-wo-nu-so [(Xa 1419).

საინტერესოა Tn 316 და Fr 1204 ტექსტებში მოხსენიებული სავარაუდო ღვთაება ti-ri-se-ro-e *სამგზის გმირი*, რომელიც ერთგან იღებს ოქროს ლარნაკს (AUR *216 vas 1), სხვაგან კი – ვარდის არომატულ ზეთს (wo-do-we OLE z 1).¹⁵

წარწერათა შინაარსიდან გამომდინარე, სავარაუდო ღვთაებებად შეიძლება მივიჩნიოთ: a-ta-wo-ne-jo, po-ne-to-qe-so (Fq 36), wo-no-wa-ti-si (Xa 1419, Vn 48), tu-ni-jo (Cn 4, Xa 1419) და pa-de-we (Dat.) (Un 219), რომელიც შეიძლება დავაკავშიროთ კნოსოსის არქივში მოხსენიებულ სავარაუდო ღვთაებასთან pa-de.

მიკენის არქივი

მიკენის არქივი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. ჩვენამდე მოღწეულ წარწერებში ძირითადად ფიგურირებს po-ti-ni-ja *ქალბატონი* და si-to-po-ti-ni-ja *პურის, მარცვლეულის ქალბატონი*, რომლებიც სხვადასხვა რაოდენობის ძღვენს (*190) იღებენ (Oi 701, 702, 704). ერთ წარწერაში ძღვენის მიმღებად გვევლინება ძალი კუ-ნე (შესაძლოა, *ძაღვების ქალბატონი*), რომელსაც სწირავენ ქერის ფქვილს (FAR z 2) – Fu 711. ასევე ერთხელ გვხვდება] ma-ri-ne [, სავარაუდოდ, *მარინევის* (X 508).

კნოსოსის არქივი

თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღვთაებათა რაოდენობის მიხედვით ყველაზე მდიდარი კნოსოსის არქივია. აქ ჩვენ შევხვდებით როგორც ტრადიციული ბერძნული პანთეონის

¹⁵ Ventris and Chadwick 1956, Dosc 2, p. 540

წარმომადგენლებს, ასევე გაურკვეველი წარმომავლობის (შესაძლოა, წინაბერძულ) ღმერთებს.

ყველაზე ხშირად კნოსოსის წარწერებში ძღვენის მიმღებად გვევლინება pa-si-te-o-i, ანუ *ყველა ღმერთი* (Ga 953+955, Gg 702, 705, 717, Fp 1+31, 6, 13, 14, 15, 16, 48). იგი wo-de-wi-jo-სა და ka-ra-e-ri-jo-ს თვეს (me-no) იღებს ზეთს – OLE 1, S 1, S 2. მას ასევე სწირავენ თაფლს – ME+RI *209 VAS 1. რამდენადაც pa-si-te-o-i უმეტესად *ამნისოსის* (a-mi-ni-so, a-mi-ni-so-de) გვერდით გვხვდება (Fp1+31, 14, 48, Ga 953+955, Gg 705), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი სალოცავი ამნისოსში მდებარეობდა. მით უმეტეს, რომ ზოგიერთ წარწერაში pa-si-te-o-i ორჯერ იღებს ძღვენს: ერთხელ ჩვეულებრივ, სხვა ღმერთების მსგავსად, ხოლო მეორეჯერ – ამნისოსთან კონტექსტში, მაგ. Fp 48.

pa-de , S 1 qe-ra-si-ja S 1 pa-si-te-o-i S 1

a-mi-ni-so-de, / pa-si-te-o-i OLE S 10

მსხვერპლშეწირვის სახეობა, რომლის დროსაც ყველა ღმერთი მოიხსენიება, ანტიკურ ტრადიციაციისთვისაც ცნობილია. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სტესიქოროსის მონათხრობი ელენეს მამის, ტინდარევის შესახებ:¹⁶

οὐνεκα Τυνδαρείος

ῥέζων ποικὰ πᾶσι θεοῖς μόνος λάθεται ἠπιόδωρον

Κύπριδος· κείνα δὲ Τυνδαρέου κόριας

¹⁶ Noussia-fantuzzi 2015, 433.

χολωσαμένα διγάμους τε καὶ τριγάμους ἐτίθει
καὶ λιπεσάνορας.¹⁷
(Stesich. *PMGF*. 223.)

ორ წარწერაში გვხვდება მხოლოდ te-o და te-o-i. te-o იღებს შალს LANA S m 2 (M 683), ხოლო te-o-i – ზეთს OLIV 24 T 4 (E 842).

კნოსოსის არქივში ხშირად დასტურდება სავარაუდო ქალღმერთი qe-ra-si-ja, რომელიც წარწერათა უმეტესობაში pa-si-te-o-i-ს გვერდით ფიქსირდება (Fh 5475, Fp 1+31, Fp 5, 6, 13, 14, 16, 48). qe-ra-si-ja ზეთის მიმღებია (OLE S 1, S 2).

როგორც ჩანს, კნოსოსშიც საკმაოდ პოპულარული იყო *ქალბატონი* – po-ti-ni-ja. ჩვენ გვხვდება მისი სხვადასხვა ვარიანტი: საკუთრივ po-ti-ni-ja (X 444, M 729, Oa 7374),¹⁸ da-pu²-ri-to-jo po-ti-ni-ja *ლაბირინთის ქალბატონი* (Xd 140, Gg 702), a-ta-na-po-ti-ni-ja *ათენა* (V 52). დასახელებული ქალღმერთები ძირითადად იღებენ თავლს (me-ri *209vas 1, ri *166+ME 22) და სხვა ღვთაებათა გვერდით მოიხსენიებიან (e-nu-wa-ri-jo, pa-ja-wo-ne, po-se-da-o-ne, pa-si-te-o-i). Am 819 წარწერაში ძღვენის მიმღებად გვევლინება si-to (LUNA 1 HORD 9 T 7 V 3), რომელიც შეგვიძლია დავუკავშიროთ მიკენის არქივში არსებულ si-to-po-ti-ni-ja-ს. კნოსოსის არქივში, პილოსის მსგავსად, აღინიშნება po-ti-ni-ja-

¹⁷ რადგან ერთხელ მეფე ტინდარევსს, როდესაც ყველა ღმერთს ძღვენს სწირავდა, დაავიწყდა სინაზის მიმცემი კიპრისი, განრისხებულმა დაწყევლა ტინდარევსის ქალიშვილები ორჯერ და სამჯერ, გათხოვილიყვნენ და მეუღლე მიეტოვებინათ.

¹⁸ თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში იგი სრული სახით არ არის შემორჩენილი და მის წინ ან შემდეგ სხვა ნიშნებიც ივარაუდება.

საგან ნაწარმოები სავარაუდო ზედსართავები – po-ti-ni-ja-we-jo, po-ti-ni-ja-we-ja (Dl 946+fr., Dp 997+7206, 7742, G 820), რომელთა ზუსტი მნიშვნელობა რთული დასადგენია. ისინი შეიძლება იყოს როგორც ეთნიკური წარმომავლობის, ასევე კუთვნილების აღმნიშვნელი სახელები ან ტოპონიმები.

პილოსის, მიკენისა თუ თებეს წარწერებისაგან განსხვავებით, კნოსოსის არქივში ძღვენის მიმღებთა შორის შედარებით ხშირად გვხვდება *ზეესი* – di-we, di-wo (E 842, F 51) და სავარაუდო დიკტეის *ზეესი* – di-ka-ta-jo / di-we (Fp 1+31),¹⁹ di-ka-ta-de დიკტეის *ზეესის ტაძარში* (Fp 7, F 866, G 7509+7779). *ზეესს* სწირავენ ზეთს, ქერსა და ლედვს (OLE S 1, HORD T 1 HORD T 4 Z 1, NI 10). გვხვდება ასევე ტერმინი di-wi-jo-jo me-no *ზეესის თვეს*. *ზეესის თვეს* ზეთის სახით ძღვენს იღებენ qe-ra-si-ja და pa-si-te-o-i (Fp 5). აღინიშნება ამ ფუძიდან ნაწარმოები სავარაუდო საკუთარი სახელები და ტოპონიმებიც: di-wi-ja-wo, di-wa-jo, di-wi-je-ja, di-wo-pu-ka-ta (Fp 363, Vc 293, V 1523, Xd 97). Fh 352 წარწერაში წარმოდგენილი ზეთის მიმღები de-u-jo-i, ფუძიდან გამომდინარე, ასევე ზევსთან უნდა იყოს კავშირში.

მართალია, კნოსოსის წარწერებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ლექსიკური ფორმატივი e-ra, მაგრამ, კონტექსტიდან და წარწერათა ტიპიდან გამომდინარე, იგი სავარაუდო ტოპონიმს წარმოადგენს და არ გვევლინება ძღვენის მიმღებად (KN Da 1323, 1333, Db 1159, 5680, Dc 1298, 1364, Dd 1144, De 7203, Dl 940, 944, Dq 45, 440, Dv 1330, 1332, 1370, 1466, 7140, D 7334, Pp 498, Xd 149, X 722).

¹⁹ ზევსის თაყვანისცემა დიკტეის მღვიმეში შემორჩენილია ძვ. წ. I ათასწლეულშიც. გადმოცემის მიხედვით, ამ მღვიმეში რვა ძალაჲდა ზევსს კრონოსისაგან, რომელმაც ყველა თავისი შვილი შეჭამა.

pa-de (Fp 1+31, 48, Fs 8, Ga 456, 953[+] 955) წარწერებში უმეტესად სხვა ღვთაებათა გვერდით მოიხსენიება და ძღვენის სახით იღებს ზეთს, ქერის ფქვილს, კამას, ლერწამსა და ქინძს (OLE S 1, FAR V 2, MA 2 KO T 1, PYC T []).

მიკენის არქივის მსგავსად, კნოსოსის წარწერებშიც გვხვდება ღვთაება *მარინეისი* (ma-ri-ne-we) – Ga 674, რომლის ძღვენს წარმოადგენს ქინძის თესლი (ko-ri-ja-do-no AROM 10), ასევე მონაქალი (do-e-ra) და თაფლიანი ჭურჭელი (ME + RI *209vas + A) – Gg 713+994. მოხსენიებულია *მარინეისის სალოცავი* [.]ri-ne-wo wo-i-ko-de (As 1519+fr.), სადაც სწირავენ კაცებს (VIR 10).

საყურადღებოა ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული სავარაუდო ღმერთები o-mi-ri-jo-i *წვიმის ღმერთები ან ქურუმები*. მათ Fh 356 წარწერაში სწირავენ ზეთს (OLE 1) და a-ne-mo-i-je-re-ja *ქარის ქალღმერთი ან ქურუმი*, რომელიც სხვა ღვთაებებთან ერთად ძღვენის სახით იღებს ზეთს (OLE V 4, S 1 V 3 – Fp 1+31, Fp 13).

საინტერესოა Fp 1+31, Fs 32 და X 723 წარწერებში წარმოდგენილი ლექსიკური ფორმატივი da-da-re-jo-de (სწირავენ ზეთს OLE S 2), რომელიც შეიძლება გავიაზროთ, როგორც *დედალოსის სალოცავი, დედალოსის მიერ აშენებული ტაძარი*.

არესი (a-re) Fp 14 წარწერაში სხვა ღმერთების გვერდით (qerasija, pasiteoi) იღებს ძღვენს, ხოლო Mc 4462-ში დამოუკიდებლად გვხვდება და სწირავენ *150 1 *142 M 26 CORN 52 [. კნოსოს წარწერებში დასტურდება მისგან ნაწარმოები საკუთარი სახელებიც: pa-na-re-jo (As 1516), pa-na-re-ja (U 4478), a-re-i-jo (Le 641+fr.)

სავარაუდო ღვთაება შეიძლება იყოს si-ja-ma-to, რომელიც Fp 48 წარწერაში pade, qerasaja და pasiteois გვერდით ვარდის თვეს

(wo-de-wi-jo me-no) ძღვენის სახით იღებს ზეთს (OLE s 2). გარდა ამისა, იგი გვხვდება კიდევ ორ წარწერაში (U 4478, X 451) და იღებს E *177 2-ს.

ერინია (e-ri-nu – Fp 1, Fh 390, e-ri-nu-we – V 52) წარწერებში სხვა ღვთაებათა ჩამონათვალში გვხვდება. მას ზეთს სწირავენ. *ელიფია* e-re-u-ti-ja (Gg 705, Od 714) კი თავლს იღებს (ME+RI *209 vas 1), შდრ. Od. XIX 188.

F 51 წარწერაში წარმოდგენილი ლექსიკური ფორმატივი ma-ge, რომელიც ძღვენის სახით იღებს ქერს (HORD V 6), მოგვაგონებს თებეს “პელოპიდების ქუჩის” უმთავრეს ღვთაებას ma-ka, რომელსაც ხშირად სწორედ ქერს უძღვნიან.

D 411 წარწერაში *კერმეს* e-ma-a²-o (Gen.) სწირავენ ცხვარს (OVIS f 60 WE 30).

კნოსოსის არქივში ნახსენებია *პოსეიდონიც* (po-se-da[-o-ne), თუმცა, როგორც ჩანს, პილოსის რელიგიური ცხოვრებისაგან განსხვავებით, აქ წამყვანი ფუნქცია არ უნდა ჰქონოდა. იგი გვხვდება რამდენჯერმე (V 52, X 5560, Gg 717) და სწირავენ თავლს.

საინტერესოდ მეჩვენება ლექსიკური ფორმატივი me-na (E 842, Fs 3, Gg 717), რომელიც გარკვეულწილად კავშირში უნდა იყოს me-no-სთან (თვე), თუმცა, როდესაც წარწერებში ნახსენებია me-no (თვე), უმეტესად მიუთითებენ, რომელ თვეზეა ლაპარაკი (ra-pa-to, ka-ra-e-ri-jo, wo-de-wi-jo, di-wi-jo-jo, de-u-kti-jo-jo...), რასაც ვერ ვიტყვით me-na-ზე – იგი ყველგან დამოუკიდებლად გვხვდება, ხოლო E 842 წარწერაში ძღვენის მიმღებად გვევლინება. მას სწირავენ ხორბალს (GRA 2 T 4[]). აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ me-na მდებდრობითი სქესის ღვთაებას

წარმოადგენს, რომელსაც გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს მთვარესთან.

წარწერების შინაარსიდან და ძღვენის სახეობიდან გამომდინარე, ღვთაებებად შეიძლება განვიხილოთ ის ლექსიკური ფორმატივებიც, რომლებიც ძირითადად რელიგიური შინაარსის წარწერებშია მოხსენიებული და სხვა ღმერთთა მსგავსად იღებენ ამა თუ იმ ძღვენს: pi-pi-tu-na (Fp 13), ma-ki-ro-ne ME+RI *209vas A 6E (Gg 995+7370), e-ne-si-da-o-ne (Εννοσιδάο) (M 719), e-nu-wa-ri-jo, pa-ja-wo-ne – Dat. sg. Paiāwōnei. შდრ. Παῖῶν, ღვთაება, რომელიც მოგვიანებით შეერწყა აპოლონს (V 52), pa-ze (Xd 140, V 114), pa-sa-ja (Ga 953, X 451), da-nwa (Gg 701), *56-i-ti (Fh 1057, Fp 15), a-u-ri-mo-de (Fp 13), a-65-ma-na-ke (Fs 3, 20), po-ro-de-qo-no (F 51), a-ro-do-ro-o, wa-ke-ta (Fs 4),]qe-sa-ma-qa, ta-mi-te-mo (Fs 11), a-*65-na (Od 714), su-ja-to, ke-re-na, re-ne (M 719), ki-da-ro (E 842).

B-ხაზოვან ტექსტებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური თვალსაზრისით თებეს, პილოსის, მიკენისა და კნოსოსის არქივები განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს. რადგან მიკენური წარწერების ძირითადი ნაწილი ადმინისტრაციულ ტექსტებს წარმოადგენს, ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით ღვთაებათა სავარაუდო ფუნქციის დადგენა შეუძლებელია. გაღებული ძღვენის რაოდენობისა და სიხშირის მიხედვით, მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, თუ რომელ ღვთაებას აკისრია წამყვანი ფუნქცია.

თებეს არქივი

თებეს ძველ ტექსტებში ძირითადად ფიგურირებს ma-ri-ne-we-ja, ხოლო პელოპიდების ქუჩის წარწერებში წამყვანი ფუნქცია აკისრია სავარაუდო ღვთაებას ma-ka, რომელიც ყველაზე

ხშირად გვხვდება და ყველაზე დიდი რაოდენობის ძღვენსაც იღებს.

პილოსის არქივი

პილოსის პანთეონში მთავარი ადგილი უკავია პოსეიდონს (po-se-da-o-ne, po-se-da-o-no, po-se-da-o-ni) და po-ti-ni-ja-ს (po-ti-ni-ja, u-po-jo-po-ti-ni-ja, po-ti-ni-ja i-qe-ja, e-re-wi-jo-po-ti-ni-ja, po-ti-ni-ja a-si-wi-ja).

მიკენის არქივი

მიკენში ძირითადად ფიგურირებს po-ti-ni-ja და si-to po-ti-ni-ja.

კნოსოსის არქივი

ყველაზე ხშირად კნოსოსის წარწერებში ძღვენის მიმღებად გვევლინება pa-si-te-o-i, ანუ *ყველა ღმერთი*. როგორც ჩანს, კნოსოსშიც საკმაოდ პოპულარული იყო po-ti-ni-ja. ჩვენ გვხვდება მისი სხვადასხვა ვარიანტი: საკუთრივ po-ti-ni-ja, da-pu²-ri-to-jo / po-ti-ni-ja, a-ta-na-po-ti-ni-ja, si-to.

არქივებში ძირითადად მეორდება ღვთაებათა შემდეგი სახელები:

po-se-da-o-ne – პილოსში, კნოსოსში;

di-we – პილოსში, კნოსოსში;

di-wi-ja – კნოსოსში, თებეში, პილოსში;

si-to (si-to po-ti-ni-ja) – თებეში, მიკენში, კნოსოსში;

e-ma-a² – თებეში, პილოსში, კნოსოსში;

ma-ri-ne-we – თებეში, მიკენში, კნოსოსში.

შეიძლება ითქვას, რომ B-ხაზოვან ტექსტებში გამორჩეული ადგილი უკავია *პოსეიდონს*. ელინთა უზენაესი ღვთაება *ზეუსი* (di-we / di-wo) მიკენურ წარწერებში საკმაოდ უფერულად გამოიყურება. di-we / di-wo იშვიათად გვხვდება მხოლოდ პილოსისა

და კნოსოსის წარწერებში. ძირითადად დასტურდება მისგან ნაწარმოები სავარაუდო საკუთარი სახელები და ტოპონიმები: di-wi-ja-wo, di-wa-jo, di-wi-je-ja, di-wo-pu-ka-ta, di-wi-jo, di-wi-ja-wo, di-wi-ja-ta, di-wi-je-we... უშუალოდ ზევსს (di-we – Dat. sing.) მხოლოდ ერთხელ სწირავენ ოქროს ლარნაკსა და კაცს (AUR *213 vas 1 VIR 1 – Tn 316). მოხსენიებულია ასევე ზევსის ტაძარი სფაგიანეში – di-u-jo (Tn 316), სადაც მიაქვთ ძღვენი და პორენეზი. ამავე წარწერაში გვხვდება ზევსის ვაჟი – di-ri-mi-jo di-wo i-je-we ან ზევსის ქურუმი – di-ri-mi-jo di-wo i-je-[-re]-we. პილოსის, მიკენისა თუ თებეს წარწერებისაგან განსხვავებით, კნოსოსის არქივში შეწირულობის მიმღებთა შორის გვხვდება როგორც ზეზი – di-we, di-wo (E 842, F 51), ასევე სავარაუდო დიკტეის ზეზი – di-ka-ta-jo / di-we (Fp 1+31), di-ka-ta-de დიკტეის ზევსის ტაძარში (Fp 7, F 866, G 7509+7779). აღსანიშნავია ტერმინი di-wi-jo-jo me-no ზევსის თვეს. ყურადღებას იპყრობს Fh 352 წარწერაში წარმოდგენილი ზეთის მიმღები de-u-jo-i, რომელიც, ფუძიდან გამომდინარე, ასევე ზევსთან უნდა იყოს კავშირში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ B-ხაზოვანი წარწერების ყველა არქივში არათუ მეორდება, არამედ გამორჩეულ ძღვენის მიმღებად გვევლინება ქალბატონი po-ti-ni-ja: საკუთრივ po-ti-ni-ja (X 444, M 729, Oa 7374), da-pu²-ri-to-jo / po-ti-ni-ja (Xd 140, Gg 702), a-ta-na-po-ti-ni-ja (V 52), si-to-po-ti-ni-ja, u-po-jo-po-ti-ni-ja, po-ti-ni-ja i-qe-ja, e-re-wi-jo-po-ti-ni-ja, po-ti-ni-ja a-si-wi-ja. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს B-ხაზოვან წარწერებში მდებარეობითი სქესის სავარაუდო ღვთაებების სიმრავლე: ma-ka, e-ra, re-ja, di-wi-ja, ko-wa, a-pu-wa, po-si-da-e-ja, qo-wi-ja, ko-ma-we-te-ja, pe-re-*82, qe-ra-si-ja... ეს მოვლენა, ვფიქრობ, უნდა მიუთითებდეს მდებარეობითი სქესის ღვთაების, დიდი დედის კულტის

ჯერ კიდევ განსაკუთრებულ როლზე მიკენურ კულტურასა თუ რელიგიაში.

როგორც ვხედავთ, B-ხაზოვან ტექსტებზე დაყრდნობით აღდგენილი ბრინჯაოს ხანის მიკენური პანთეონი დიდად განსხვავდება მოგვიანებით ჰომეროსისა და ჰესიოდეს მიერ დახატული რელიგიური სურათისაგან. B-ხაზოვან არქივებში, გარდა ჩვენთვის ცნობილი ოლიმპიელი ღმერთების სახელებისა, გვხვდება ანტიკური ტრადიციისათვის უცნობი ღვთაებებიც, რომლებიც წინაბერძნული წარმომავლობის უნდა იყოს. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნებს უკვე მიკენურ ეპოქაში ჰქონდათ ღმერთთა იერარქიის გარკვეული სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ შორს იყო მკაცრად მოწესრიგებულობისაგან. მიკენელი ბერძნების წარმოდგენებს სამყაროს შექმნაზე, ღმერთებსა და მათ წარმომავლობაზე უმთავრესი გავლენა უნდა მოეხდინა ბერძნული თეოგონიური ტრადიციის სისტემატიზაციაზე, თუმცა, როგორც ჩანს, არსებული რელიგიური წარმოდგენები ეგეიდის წინაბერძნული მოსახლეობის ტრადიციამდე უნდა ადიოდეს, რომელიც, თავის მხრივ, მედიტერანულ გავლენას განიცდის.

ბიბლიოგრაფია:

Aravantinos, Vassilis. Godart, Louis and Sacconi Anna, eds. 2001. *Thèbes. Fouilles de la Cadmée I. Les tablettes en Linéaire B de la Odos Pelopidou*. Pisa/Rom: Instituti Editoriali e Poligrafici Internazionali.

Burkert, Walter. 1977. *Griechische Religion der archaischen und klassischen Epoche*. Stuttgart, Berlin, Köln, Mainz: Kohlhammer.

Chadwick, John. 1996/1997. “Three Temporal Clauses”. *Minos. Revista de Filología egea* 31/32: 293-301.

Del Freo, Maurizio. 1999. “Mic. Ke-re-na-i nei nuovi testi in lineare B di Tebe.” *Ἐπὶ πόντον πλαζόμενοι. Simposio italiano di Studi Egei*: 299-304.

Diccionario Micénico (DMic). I (1985). II (1993). Redactado por F. Aura Jorro. Madrid: CSIC.

Godart, Louis. 1995. *Der Diskus von Phaistos (Das Rästel einer Schrift Ägäis)*. Iraklion: Itanos Verlag.

გორდუზიანი, ლევან. 1999. *ბ-ხაზოვანი ტექსტების DO-E-RO ძველი სამყაროს ისტორიის კონტექსტში*. თბილისი: ლოგოსი.

Heubeck, Alfred. 1979. *Schrift*. Gottingen: Vandenhoeck & Ruprecht.

Hiller, Stefan. 2003. Rez. zu: „Thèbes. Fouilles de la Cadmée. 1. Les tablettes en Linéaire B de la Odos Pelopidou. Edition et commentaire.“ *Anzeiger für die Altertumswissenschaft* 56: 229-238.

Казанскене В.П., Казанский Н.Н. 1986. *Предметно-понятийный словарь греческого языка (крито-микенский период)*. Ленинград: Наука.

Killen J. T., 1999. “Some observations on the new Thebes Tablets”. *BICS* 43: 217-219.

Melena, José. L. 2001. *Textos Griegos Micénicos comentados*. Victoria-Gasteiz: Parlamento Vasco.

Noussia-fantuzzi, Maria. “The Epic Cycle, Stesichorus, and Ibycus”. *The Greek Epic Cycle and its Ancient Reception*: 430-449 [book on- line]. Cambridge: Cambridge University Press, 2015.

[http://dx.doi.org/10.1017/CBO9780511998409.025 index.html](http://dx.doi.org/10.1017/CBO9780511998409.025_index.html); Internet.

Ventris, *Michael* and Chadwick, John. 1956 . *Documents in Mycenaean Greek*. Cambridge: Cambridge University Press.

Lela Chotalishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Mycenaean pantheon

Key words: *Mycenaean pantheon, Linear B inscriptions, deities, religious beliefs*

The Mycenaean pantheon of Bronze Age which is restored from Linear B texts greatly differs from the later hierarchy of gods that is present in the works of Homer and Hesiod. Besides the names of Olympian gods known to us, deities which are considered to be of Pre-Greek origin and are not familiar to the Ancient tradition can be found in the archives of Thebes, Mycenae, Pylos, and Knossos. Consequently, it can be thought that already in the Mycenaean period the Greeks had established a particular system of hierarchy of gods, which however was yet far away from strict systemization. Beliefs of Mycenaean Greeks about the creation of the universe, gods and their origins must have had a crucial influence on the development of tradition of Greek theogony. However, it seems that these beliefs can be traced back to pre-Greek Aegean tradition, which supposedly was under Mediterranean influence.

ლელა ციხელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სა-
ქართველო

ბრამატიკული ცვლილებების ერთი ტიპი *ბარუქის წიგნის* ქართულ ვერსიებში

საკვანძო სიტყვები: ბარუქი, სეპტუაგინტა, ბენეფაქტივი, საობიექტო ვერსია

ბიბლიურ წიგნთა ქართული ვერსიების მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული სამწერლობო ენის ისტორიის შესასწავლად, რადგან, უპირველესად, სწორედ ამ წიგნთა თარგმანებით ეყრება საფუძველი ორიგინალურ მწერლობასა და ქართულ მწიგნობრულ ენას. რადგან ქრისტიანული ლიტერატურა ნათარგმნია, მნიშვნელოვანწილად, ბერძნულიდან, ამიტომ სწორედ ამ ენამ იქონია უდიდესი გავლენა ქართული მწიგნობრული ენის ფორმირებაზე.

ჩვენ საშუალება გვაქვს თვალი მივადევნოთ ქართული მწიგნობრული ენის ფორმირებისა და განვითარების პროცესს უძველესი, ხანმეტი თარგმანებიდან (V-VI სს.) დაწყებული, დღემდე. ქართველ მთარგმნელებს უხდებოდათ ძველი აღთქმის წიგნების თარგმნა არა ორიგინალის ენიდან, ებრაულიდან, არამედ

თარგმანის ენიდან, ბიბლიის ბერძნულიდან, რომელიც, ორიგინალური ლიტერატურის ბერძნულისგან განსხვავებით, ებრაიზმებით დატვირთულ ებრაულისა და ბერძნულის გრამატიკული კონსტრუქციების ერთგვარ ნაზავს წარმოადგენდა. ამ სირთულის დაძლევა უწევდა ყველა ქართველ მთარგმნელს, მაგრამ **წინარეათონური** პერიოდის (X საუკუნემდე) ძველი მთარგმნელები გაცილებით დიდი გამოწვევის წინაშე იდგნენ. ერთი მხრივ, ისინი ცდილობდნენ „ღმრთის სიტყვის“ ზუსტად თარგმნას და განსაკუთრებული მოკრძალებით ეკიდებოდნენ ამ საქმეს, მეორე მხრივ კი, ცდილობდნენ გაეთვალისწინებინათ ქართული ენის ბუნება და სტილი. გარდა იმისა, რომ მათ უწევდათ გზის გაკვალვა ამ სფეროში, ბერძნული ტექსტის შინაარსის გააზრება და მისი ზუსტად გადმოცემა ქართულისთვის უფრო ბუნებრივი გრამატიკული კონსტრუქციებით, ჩვენი აზრით, უფრო რთულად დასაძლევია უნდა ყოფილიყო, ვიდრე ბერძნულიდან სიტყვასიტყვითი თარგმანის შესრულება. **ათონური** პერიოდის თარგმანების მიზანდასახულობა კარგად ჩანს ეფთვიმე ათონელის მოღვაწეობაში – რთული საღვთისმეტყველო ლიტერატურა მარტივი, ადაპტირებული ენით მიეწოდებინა მრევლისთვის. ათონური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის, გიორგი მთაწმიდლის, მიერ ძველი თარგმანების ბერძნულ წყაროსთან დაახლოების პროცესი გრძელდება ანტიოქიის მახლობლად, **შავ მთაზე**, სადაც XI საუკუნიდან ეფრემ მცირისა და მისი თანამოღვაწეების მიერ საფუძველი ეყრება თარგმანის ახალ კონცეფციას – „ელინოფილურ“ მიმართულებას (ქართული თარგმანის ისტორიაში – მესამე პერიოდს), რომელიც გულისხმობს ბერძნულიდან ზუსტად, ადეკვატურად თარგმნა-კომენტირებას. ეს პროცესი გრძელდება და უფრო გამოკვეთილ,

ე.წ. „ულტრაელინოფილურ“ სახეს იღებს **გელათის** საღვთის-მეტყველო-ფილოლოგიურ სკოლაში, სადაც დიდძალი ლიტერატურა იქმნება გელათის სკოლის მთარგმნელობითი მეთოდითა და ენობრივ-ლიტერატურული სტილით.¹

ყოველ ეტაპზე ბიბლიურ წიგნთა ქართული თარგმანების ბერძნულ დედანთან შეჯერება-რედაქტირების მიზანს წარმოადგენდა „ქართული ტექსტის მაქსიმალური დაახლოება ბერძნულ წყაროსთან და ენობრივი გაახლება-მოდერნიზაცია“.² ამი-ტომ, ქართული მწიგნობრული ენის ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესოა, რა ტიპის ცვლილებებს განიცდიდა ერთი და იგივე ლიტერატურული ძეგლი სხვადასხვა პერიოდისა თუ ლიტერატურული სკოლის თარგმანსა თუ რეცენზიაში, რა რით იცვლებოდა და რატომ. ზოგადად, ქართულ ვერსიებს შორის არსებული სხვაობა შეიძლება განპირობებული იყოს: 1. სხვადასხვა ტრადიციის მატარებელი ბერძნული დედნის არსებობით; 2. მთარგმნელთა განსხვავებული სტილითა და ტექნიკით (ამ შემთხვევაში თუნდაც ერთი და იმავე ტრადიციის დედნიდან მომდინარე სხვადასხვა სტილით შესრულებული თარგმანები//რეცენზიები სხვაობას ავლენდნენ სათარგმნი ტექსტისადმი განსხვავებული დამოკიდებულების გამო); 3. გადამწერის მიერ შეტანილი ცვლილებებით.³ ამჯერად შევეცდებით *ბარუქის წიგნის* ქართული ვერსიების ანალიზის საფუძველზე გავცეთ ზემოაღნიშნულ კითხვებს პასუხი.

¹ კეკელიძე 1980, 42-79, 250-268, 273-305; დანელია 1998, 3-6; ხარანაული 2006, 2-4; მელიქიშვილი 2019, 7-52.

² დანელია 1998, 4.

³ ვრცლად იხ. ხარანაული 2006.

წიგნი ბარუქისი ბიბლიის აპოკრიფული ნაწილია.⁴ მიჩნეულია, რომ მისი ავტორი არ არის ბარუქი.⁵ შინაარსობრივ, ამ წიგნს ხუთ ნაწილად ყოფენ: 1. შესავალი (1:1-14); 2. აღსარება (1:15-2:5); 3. გადასახლებული საზოგადოების ლოცვები (2:6-3:8); 4. სიბრძნის ქება (3:9-4:4) და 5. გალობა (4:5-5:9).⁶ წიგნი ბარუქისი, ისევე როგორც ბიბლიის სხვა არაკანონიკური წიგნები, ებრაულ ენაზე არ ჩანს. მიუხედავად ამისა, ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ ამ წიგნის პირველი ნაწილი (1:1-3:8) უნდა დაწერილიყო ებრაულად. კამათის საგანია ბარუქის მეორე ნაწილის (3:9-5:9) ორიგინალის ენა. ის შეიძლება დაწერილიყო როგორც ებრაულად, ისე ბერძნულად.⁷ გარკვეულია, რომ ქართველი მთარგმნელისთვის დედანს ბერძნული წარმოადგენდა.⁸

⁴ ბარუქ წინასწარმეტყველი იერემია წინასწარმეტყველის მოწაფე, მეგობარი და მისი წინასწარმეტყველების ჩამწერი იყო. იგი დაადანაშაულეს, რომ ბაბილონის მომხრე იყო და იერემიასა და სხვა გადარჩენილ ებრაელებთან ერთად გადასახლეს ეგვიპტეში (იერ. 43:1-7). ბიბლიაში არაფერია ნათქვამი ბარუქის გარდაცვალების დროისა და ადგილის შესახებ.

⁵ Moore 1978. ვიმოწმებთ ც. გულედანის სამაგისტრო ნაშრომის მიხედვით (გულედანი 2014).

⁶ Moore 1978.

⁷ Moore 1978.

⁸ ბარუქის წიგნის ბერძნულ ტექსტს შეიცავენ მაიუსკულური (codex Alexandrius (V ს.), codex Vaticanus (IV ს.), codex Marchalianus (VI ს.), codex Venetus (VIII ს.)) და უფრო გვიანდელი მინუსკულური ხელნაწერები. ეს ხელნაწერები და თარგმანები ქმნიან სამ რეცენზიულ ჯგუფს: ჰექსაპლური რეცენზია (O), ლუკიანეს რეცენზია (L) და კატენური ჯგუფი (C). თავის დროზე ც. ქურციკიძემ ბარუქის ქართული თარგმანის სომხურ-ბერძნულთან შედარების საფუძველზე დაასკვნა, რომ „ქართული თარგმანი, მართალია, სომხურთან ერთად სეპტანტის ალექსანდრიული ვარიანტის ტრადიციისაა, მაგრამ სომხურიდან არ მომდინარეობს. სავარაუდოა, რომ ქართული და სომხური თარგმანები მომდინარეობენ ალექსანდრიული ვარიანტის ორი სხვადასხვა ხელნაწერიდან, რომელთა მიკვლევა ჯერჯერობით არ ხერხდება“ (ქურციკიძე 1973, 237-238). ც. გულედანმა სამაგისტრო ნაშრომის

საერთო აზრი არ არსებობს *ბარუქის წიგნის* შედგენის თარიღის შესახებაც – ის მერყეობს ძვ.წ. II-I საუკუნეებში, კერძოდ, ქრისტემდე I საუკუნის მიწურულს უნდა დამატებოდა მას გალობის 5:5-9 ნაწილი.⁹

ბარუქის ტექსტი, ყველა ხელნაწერის მიხედვით, სამ რედაქციად გამოსცა ც. ქურციკიძემ გამოკვლევასთან ერთად.¹⁰ პირველი რედაქცია (ა) წარმოადგენს *ბარუქის წიგნის ძველ თარგმანს*, რომელიც დაცულია **ოშკისა** (ათონის ივერიის მონასტრის Ath1 ხელნაწერი 978-979 წლებისა, დღეისათვის ძველი აღთქმის წიგნების უძველესი, ასე თუ ისე, სრული კრებული (308v – 315r)) და **იერუსალიმის** (იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკის Jer7/11 ხელნაწერი XI საუკუნისა (43v – 48r)) ბიბლიების ნუსხებში. მეორე (ბ) რედაქციას წარმოადგენს **პარიზის ლექციონარში** (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის #3 ხელნაწერი, X-XI სს.) „იერემია წინასწარმეტყველის საკითხავების“ სახელწოდებით¹¹ შესული ბარუქის ტექსტის ორ მესამედზე მეტი.¹² იგი **დამოუკიდებელი თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს**, ამიტომ ც. ქურციკიძემ ცალკე რედაქციად გამოყო. ბარუქის წიგნის მესამე (გ)

ფარგლებში გაარკვია, რომ *ბარუქის წიგნის* ქართული თარგმანი სეპტანტის ლუკიანური რეცენზიიდან უნდა მომდინარეობდეს (გულუდანი 2014).

⁹ Moore 1978.

¹⁰ ქურციკიძე 1970; 1973.

¹¹ როგორც ჩანს, ძველად მიიჩნევდნენ, რომ ბარუქი იერემიას წინასწარმეტყველებების ჩამწერი იყო და, შესაბამისად, ბარუქის წიგნიც იერემიას გამონათქვამებს შეიცავდა. ამავე მიზეზით IV საუკუნეში, როდესაც არაკანონიკური წიგნები კანონიკურთაგან პირველად გამოიჯნეს, *ბარუქი* გამონაკლისი იყო: იგი, „გოდებასა“ და „ეპისტოლესთან“ ერთად, იერემიას წინასწარმეტყველების შემადგენელ ნაწილად, მის დანართად მიიჩნიეს (ქურციკიძე 1973, 239).

¹² ქურციკიძე 1973, 228.

რედაქციად მიჩნეულია **გელათის**¹³ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A1108 ხელნაწერი XII-XIII საუკუნეებისა (246r – 249v)), **მცხეთურ** (A51 ხელნაწერი, XVII-XVIII სს., იგივე საბას ბიბლია, ბიბლიის სრული კრებული (502r – 504v)) და **ბაქარის** (ქართული ბიბლიის 1743 წლის მოსკოვური გამოცემა (გვ. 546-650)) ბიბლიებში დაცული ტექსტები.¹⁴

¹³ **გელათის კატენებიანი ბიბლია**, ზოგადად, ელინოფილური, კონკრეტულად კი, გელათის სალიტერატურო სკოლისთვის დამახასიათებელი თარგმანის სტილით შესრულებული ძველი აღთქმის კომენტარებიანი კრებულია და ეგზეგეტიკური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს. გელათის კატენებიანი ბიბლია ჩვენამდე მოღწეულია ორი ხელნაწერით: A 1108 (XII-XIII სს.), რომელიც მთარგმნელი რედაქტორის მიერაა შესრულებული და ავტოგრაფულ ნუსხას წარმოადგენს (ამიტომ მასში კარგად ჩანს თარგმანის პროცესში შეტანილი ჩასწორებების კვალი), და Q1152 (XII-XIII სს.), რომელიც კალიგრაფის ლამაზი ხელითაა გადაწერილი წინა ნუსხიდან. ორივე ხელნაწერი თავბოლონაკლულია: დაკარგულია *დაბადებისა* და *გამოსლვათა* წიგნები. Q1152 მხოლოდ რვაწიგნეულს აერთიანებს, A1108-ში კი რვაწიგნეულს განსხვავებული ხელით შესრულებული წინასწარმეტყველების წიგნები გვიან უნდა დამატებოდა და შეკრულიყო ერთად. თუ რვაწიგნეული დატვირთულია კომენტარებით, მეორე ნაწილში სურათი იცვლება: დიდ წინასწარმეტყველთა წიგნებს კანტიკუნტად ახლავს კომენტარები, მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებს კი საერთოდ არ ახლავს ისინი (გიგინეიშვილი 1989, 580-592; მელიქიშვილი 2019, 44-45, 164-166). გელათის კრებულში შემავალი წიგნები ენობრივად, მეტ-ნაკლებად, სხვაობს ერთმანეთისგან, რაც დ. მელიქიშვილს აფიქრებინებს, რომ ტექსტის თარგმანზე მუშაობდა ჯგუფი ერთი მთარგმნელ-რედაქტორის ხელმძღვანელობით, რომელიც, იმავედროულად, გარკვეული ნაწილის მთარგმნელადაც გვევლინება. ასეთ მთარგმნელ-რედაქტორს კი, ავტორის აზრით, შესაძლოა, არსენ იყალთოელი წარმოადგენდეს (მელიქიშვილი 2019, 212 და შმდგ.).

¹⁴ ქურციკიძე 1973, 229. არსებობს *ბარუქის წიგნის* შემცველი სხვა ბეჭდური (Blake and Briere 1961; დოჩანაშვილი 1985; დანელია 1997; აბულაძე, გოგუაძე, კველია და ქურციკიძე 2017) თუ ელექტრონული გამოცემებიც: <http://titus.fkidl.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/oskijer/oskij.htm?oskij001.htm#VT>; http://titus.fkidl.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/at/mcat/mcat.htm?mcat856.htm#VT_Bar_1_1; <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>

ც. ქურციკიძემ დამაჯერებლად აჩვენა, რომ *ბარუქის წიგნის* გელათური ვერსია **წარმოადგენს არა ახალ, დამოუკიდებელ თარგმანს**,¹⁵ არამედ ძველი თარგმანის (ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიების ხელნაწერებში დაცული რედაქციის) **ბერძნული სეპტანტის ტექსტთან შეჯერების შედეგად მიღებულ რედაქციას**.¹⁶ თუ ძველი და გელათური ვერსიები ერთი ტრადიციის დედნიდან მომდინარეობს, პარიზის ლექციონარს სულ სხვა ტრადიციის მატარებელი დედანი უდევს საფუძვლად.¹⁷

ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს *ბარუქის წიგნში* იმ მორფოსინტაქსური ცვლილებების ერთ ტიპზე დაკვირვება, რომლებიც გელათური ვერსიის მთარგმნელ-რედაქტორმა შეიტანა ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში წარმოდგენილ ძველ თარგმანში ბერძნული დედნის ზუსტად, ადეკვატურად გადმოღების მიზნით და რომლებიც ბუნებრივი არ ჩანს საკუთრივ ქართულისთვის.¹⁸ გათვალისწინებული იქნება პარიზულ ლექციონარში საკითხავების სახით შესული ბარუქის ტექსტის ვითარებაც. რაც შეეხება საბასა და ბაქარის ბიბლიებს, ამ შემთხვევაში ისინი ნაკლებსაყურადღებოა, რადგან ორივე

¹⁵ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობდა მოსაზრება, რომლის თანახმად, ბიბლიის გელათური ვერსია წარმოადგენდა ბერძნული სეპტანტიდან შესრულებულ ახალ, დამოუკიდებელ თარგმანს (Блейк 1921, 23; ინგოროყვა 1939, 124).

¹⁶ ქურციკიძე 1973, 249- 253.

¹⁷ ც. ქურციკიძის აზრით, „მას აღმოაჩნდა ვატიკანური კოდექსის ტექსტისთვის დამახასიათებელი წაკითხვები“ (ქურციკიძე 1973, 245; 250).

¹⁸ ამჯერად არ შევხებით იმ ტიპის სხვაობებს, რომლებიც დროთა განმავლობაში თავად ქართულ ენაში მიმდინარე პროცესების ამსახველია და მწიგნობრულ ენაში გარკვეულ ქრონოლოგიურ საფეხურზე იჩენს თავს. გელათის ბიბლიას, როგორც ენობრივად მე-12 საუკუნის ტექსტს, ცხადია, ახასიათებს ევოლუციის შედეგად მიღებული ახალი გრამატიკული ფორმები, რომლებიც მონაცვლეობენ ძველთან (მელიქიშვილი 2019, 182).

მთლიანად A 1108 ხელნაწერს ეყრდნობა და, შესაბამისად, გელათური ვერსიის იდენტურია.¹⁹

ცნობილია, რომ ქართული ენის ზმნა თავისი მორფოლოგიური სტრუქტურითა თუ სინტაქსური კონსტრუქციით განსხვავდება იმ ენების ზმნისგან, რომლებთანაც მას ისტორიულად ჰქონია ურთიერთობა (ბერძნული, სომხური, ებრაული, სირიული, არაბული...). მონოპერსონალური ტიპის ენებისგან განსხვავებით, ქართულში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებული სუბიექტურ-ობიექტური აქტანტებიდან ზმნურ ფორმაში ნიშანს აჩენს არა მარტო სუბიექტი, არამედ ობიექტიც. მართალია, ქართულში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ ამ ტიპის აქტანტთა მაქსიმალური რაოდენობა, როგორც წესი, სამია,²⁰ მაგრამ მორფოლოგიურ დონეზე, ზმნის სტრუქტურაში, ამ აქტანტთა მიერ ზმნაში გამოვლენილ პირის ნიშანთა რაოდენობა არ აღემატება ორს (მაგ., ს-წერ-ს ის მას მას). აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ზმნა ხასიათდება, როგორც პოლიპერსონალური, უკეთ, **ბიპერსონალური**.²¹

¹⁹ უმნიშვნელო სხვაობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში. გელათის ბიბლიაში ბარუქის ტექსტს აკლია მე-4 თავის მე-18 მუხლიდან ბოლომდე. იგი ტექსტის გამომცემელმა, ც. ქურციკიძემ, შეავსო მცხეთური ბიბლიით, რომელშიც ბეჭდური სახით შეტანილი *წიგნი ბარუქისი*, წინასწარმეტყველთა სხვა წიგნებთან ერთად, ჩაუკინძავთ წინასწარმეტყველთა წიგნების 1710-1711 წლების თბილისური გამოცემიდან, რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად A1108 ხელნაწერს ეყრდნობა, იქიდანაა გადმობეჭდილი (ინგოროყვა 1939, 125). *ბარუქის წიგნი* იმავე 1710-1711 წლების გამოცემიდან არის გადაბეჭდილი ბაქარის ბიბლიაშიც.

²⁰ როგორც თ. გამყრელიძე შენიშნავს, ქართულში ზმნასთან სინტაქსურად დაკავშირებულ აქტანტთა მაქსიმალური რაოდენობა ოთხია. შესაბამისად, ქართული ზმნა შეიძლება იყოს 0-, 1-, 2-, 3- ან იშვიათად 4-ვალენტური (გამყრელიძე 1979, 37). არსებობს განსხვავებული პოზიციაც, რომლის თანახმად, „ქართულში ზმნა ოთხ აქტანტს არ შეიწყობს“ (ნებეირიძე 1991, 156-157).

²¹ გამყრელიძე 1979, 42.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა, რა პრობლემებს უქმნიდა ძველ ქართველ მთარგმნელ-რეცენზენტებს მონოპერსონალური ტიპის ენებიდან თარგმნა. კ. დანელიამ საგანგებო გამოკვლევა უძღვნა იმ შემთხვევებს, რომლებიც დასტურდება ძველ ნათარგმნ ლიტერატურაში (იშვიათად – ორიგინალურშიც) რელატიური აგებულების ქართული ზმნისა და უცხო ენათა აბსოლუტური აგებულების ზმნის სინტაქსური კონსტრუქციის შერევის შედეგად. ავტორმა ამ მოვლენას უწოდა **სინტაქსური კონტამინაცია** და გამოყო მისი სამი სახე: 1. თანდებულიანი (*განმეშორებით ჩემგან* [მ. 7:23]); 2. გენეტიური (*დაგბანე ფერწნი თქუენნი* [ი. 13:14]) და 3. პლეონასტური (*რადთა აღმეხუნენ ჩუნ თუალნი ჩუენნი* [მ. 20:33 C]).²² ამგვარად, სინტაქსური კონტამინაცია მოკლედ ასე შეიძლება დახასიათდეს: ქართული ზმნის სტრუქტურა + უცხოური სინტაქსური კონსტრუქცია.

სტატიაში შევეცდებით ვაჩვენოთ: ა) როგორ, რა ხერხებით ცდილობს გელათელი მთარგმნელ-რედაქტორი ბერძნულ წყაროსთან ზედმიწევნით დაახლოების მიზნით, ერთი მხრივ, ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციის ადეკვატურად გადმოტანას (პირმიმართი ირიბი დამატების შეცვლას პირმიუმართავი დამატების თანდებულიანი კონსტრუქციით) და, მეორე მხრივ, ქართული ზმნის მორგებას მისთვის უცხო კონსტრუქციისთვის, რაც სინტაქსური კონტამინაციის დამლევის საფუძველი ხდება; ბ) რა სხვაობაა ძველ და გელათური ტიპის თარგმანებს//რეცენზიებს შორის ერთი და იმავე გრამატიკული ფუნქციის (საობიექტო ვერსია) გამოხატვის თვალსაზრისით. ამ ფუნქციის გამო-

²² დანელია 1998, 9.

ხატვის ორი საშუალებიდან (სინთეზური და ანალიზური)²³ თითოეული მათგანი რომელს ანიჭებს უპირატესობას: ქართულისთვის უფრო ბუნებრივ სინთეზურ წარმოებას, თუ – ანალიზურს.²⁴

ვნახოთ, რა მასალას იძლევა ამ მხრივ *ბარუქის წიგნის* ქართული ვერსიები:

1:3-4 და *ადმოუკითხნა ბარუქ სიტყუანი ესე ამის წიგნისანი ყურთა იექონიასთა, ძისა იოაკიმისთა, მეფისა იუდაასთა, და ყურთა ყოვლისა ერისათა, რომელნი მოვიდეს მის წიგნისა, და ყურთა ძლიერთასა და ძეთა მეფისათა, და ყურთა მოხუცებულთასა და ყოვლისა ერისათა კნინითგან მიდიდადმდე... OJ*²⁵

და *წარიკი[თხ]ნა ბარუხმან სიტყუანი წიგნისანი ყურთა მიმართ იექონიად[სთა], ძისა იოაკიმისთა, მეფისა იუდაასთა, და ყურთა [მიმართ ყოვლისა ერისათა, რომელნი მოვიდოდეს მის წიგნისა, და ყურთა] ძლიერთა და ძეთა მეფეთაასა, და ყურთა მიმართ მ[ოხუცე]ბულთაასა და ყურთა მიმართ ყოვლისა ერისათა კნინითგან [v] ვიდრე დიდადმდე... GaSB*²⁶

²³ ქართულს ორივე ახასიათებს და შეუძლია კუთვნილება-დანიშნულებითი, ანუ პოსესიურ-ბენეფაქტიური, მიმართების გამოხატვა როგორც სინთეზურად (აუშენა მშობლებს სახლი, დაუწერა მეგობარს სიმღერა), ისე – ანალიზურად (ააშენა მშობლების სახლი, დაწერა მეგობრისთვის სიმღერა).

²⁴ გელათის ბიბლიის შემთხვევაში მხედველობაში გვექნება კიმენური ტექსტი.
²⁵ იოაკიმისთა O. მოვიდეს J. მოვიდოდეს J. ძლიერთა O. და 2^o- O. მუხუცებულთასა O. და+ყურთა J. მიდიდადმდე J ვიდრე დიდადმდე J. ვარიანტულ წაკითხვებს წარმოვადგენთ ძველი აღთქმის ქართული ვერსიების კრიტიკულად დადგენილი ტექსტის ელექტრონული გამოცემიდან: <http://www.bible.ge /Manuscript/2win.htm>

²⁶ დიდადმდე SB. პარიზის ლექციონარის საკითხავები ამ მუხლებს არ შეიცავს. ქვემოთაც ლექციონარის ვითარებას გავითვალისწინებთ მხოლოდ იმ

³καὶ ἀνέγνω Βαρουχ τοὺς λόγους τοῦ βιβλίου τούτου ἐν ὧσιν Ἰεχοίου σὶοῦ Ἰωακὶμ βασιλέως Ἰουδα καὶ ἐν ὧσιν²⁷ παντὸς τοῦ λαοῦ τῶν ἐρχομένων πρὸς τὴν βίβλον ⁴ καὶ ἐν ὧσιν τῶν δυνατῶν καὶ σὶῶν τῶν βασιλέων καὶ ἐν ὧσιν τῶν πρεσβυτέρων καὶ ἐν ὧσιν παντὸς τοῦ λαοῦ ἀπὸ μικροῦ ἕως μεγάλου... LXX²⁸

თუკი ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიებში წარმოდგენილი ბარუქის წიგნის ძველი ქართული თარგმანი ცდილობს, მეტნაკლებად დაიცვას, ორიგინალური მწერლობის მიხედვით, ქართულისთვის ბუნებრივი სტილი²⁹ და სათანადო შინაარსი გამოხატოს სინთეზურად, საობიექტო ვერსიის ზმნით, გელათური ვერსია ადეკვატურ სტრუქტურულ თარგმანს ანიჭებს უპირატესობას (საობიექტო ვერსიის შინაარსს გამოხატავს ანალიზურად), ამიტომ პირმომართ ირიბ დამატებას (*ყურთა*), ბერძნულის კვალობაზე, პირმიუმართავი თანდებულიანი³⁰ დამატებით ცვლის (*ყურთა მიმართ*). შედეგად, იცვლება ზმნის სინტაქსური ვალენტობა: ზმნა, სამი პირმომართი აქტანტის ნაცვლად, იწყობს ორს. სინტაქსურ კონსტრუქციაში მომხდარი

შემთხვევაში, თუ ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთები წარმოდგენილი იქნება პარიზულ ნუსხაში.

²⁷ ἔν2⁹ ÷86.

²⁸ ბერძნულთან შესადარებლად გამოვიყენეთ ციგლერის მიერ კრიტიკულად დადგენილი ბერძნული ტექსტი და მისი აპარატი (Ziegler 1976). ამავე გამოცემაში შეტანილ ვარიანტულ წაკითხვებს სქოლიოში წარმოვადგენთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უშუალო კავშირშია ჩვენს საკითხთან. სექტუაგანტის ტექსტის მორფოლოგიური ანოტირებისთვის გამოვიყენეთ კომპიუტერული პროგრამა „Bible Works – Version 10.0.4.216.”

²⁹ თუმცა თავს ვერ არიდებს სომატური სიტყვით (*ყური*) შედგენილ ებრაულ იდიომატურ გამოთქმას.

³⁰ *ἐν* წინდებულებიანი სახელი ბერძნულში დატივში დგას. ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ქართულ თარგმანებში ბერძნული წინდებულების ეკვივალენტებზე მსჯელობა.

ცვლილებების გამო გელათური ვერსიის ავტორს ცვლილება შეაქვს ზმნის სტრუქტურაშიც: **საობიექტო ვერსიის ფორმას სასუბიექტოთი ცვლის** (*აღმო-უ-კითხნა > წარ-ი-კითხნა*),³¹ რის საფუძველზეც ზმნის სტრუქტურა შესაბამისობაში მოდის მასთან დაკავშირებულ სინტაქსურ კონსტრუქციასთან.³²

ზმნის ვალენტობის კლებისას შესაძლებელია მისი ჩანაცვლება სხვა ორვალენტიანი ზმნითაც (თუ ეს უკანასკნელი ბერძნულის უფრო ზუსტ სემანტიკურ ეკვივალენტს წარმოადგენს ან მოცემული 3-ვალენტიანი ზმნიდან ჭირს ვერსიის საოპოზიციო ფორმის წარმოება...).

1:7 *და მიუძღუნეს იერუსალემს იოაკიმს, ძესა ქელკიასსა, ძისა სალომისა, მღდელსა, და სხუათა მათ მღდელთა და ყოვლისა მიმართ ერისა, რომელნი იპოვნეს მათ თანა იერუსალემს შინა.* OJ³³

და წარგზავნეს იერუსალემდ იოაკიმის მიმართ, ძისა ქელკისსა, ძისა სალომისა, მღდელისა, და მღდელთა მიმართ და ყოვლისა ერისა მიმართ, პოვნილთა³⁴ მათ თანა იერუსალემს შინა. GaSB³⁵

³¹ ზმნისწინის შეცვლას აქ მნიშვნელობა არ ენიჭება. ამ შემთხვევაში სასუბიექტო ვერსიის ფორმა (*წარ-ი-კითხნა*) ფუნქციით ნეიტრალურისაა, რადგან, თუ ზმნას მოეპოვება ოდენ საობიექტო და სასუბიექტო ვერსიის ფორმები, საობიექტო თავისი ფუნქციით გამოიყენება, ხოლო სასუბიექტო – ნეიტრალური ვერსიის ფუნქციით. ამ ზმნის ბენეფაქტივი არის არა სუბიექტი, როგორც ეს ხდება სასუბიექტო ვერსიის შემთხვევაში, არამედ – პირმიუმართავი დამატება (*ყურთა მიმართ*).

³² ამ გზით ხდება მოსალოდნელი სინტაქსური კონტამინაციის (**აღმოუკითხნა ... ყურთა მიმართ...*) დაძლევა.

³³ ი' წმს] იერემიას O. იოაკიმის O. ქელკიანისსა O. ქელკიასსა J. ძისა სალომისა]- O. მღდელისასა O. მათ]- J. მღდელთა] მღელმღელთა O. მღდელსა J.

³⁴ ძველი თარგმანის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას გელათურში ელინოფილური თარგმანისთვის დამახასიათებელი მიმდებარე კონ-

*καὶ ἀπέστειλαν εἰς Ἱερουσαλημ πρὸς Ἰωακὶμ υἱὸν Χελκίου
υἱοῦ Σαλαμ τὸν ἱερέα καὶ πρὸς τοὺς ἱερεῖς καὶ πρὸς πάντα
τὸν λαὸν τοὺς ἐβρεθέντας μετ' αὐτοῦ ἐν Ἱερουσαλημ. LXX³⁶*

თუ ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში **πρὸς** წინდებულისანი აკუზატივის ფორმები ორ შემთხვევაში მიცემითში მდგარი ირიბი დამატებითაა გადმოღებული, მესამე შემთხვევაში იგი მსაზღვრელდართული თანდებულისანი უბრალო დამატებითაა თარგმნილი, ისევე, როგორც გელათურ ვერსიაში სამივე შემთხვევისთვის. ძველი თარგმანის „*მიუძღუნეს*³⁷ ... *ყოვლისა მიმართ ერისა*“ თანდებულისანი სინტაქსურ კონტამინაციას წარმოადგენს და ქართულისთვის არაბუნებრივია (ამ შემთხვევაში ზმნა ანგარიშს უწევს მასთან ახლოს მყოფ პირმიმართ დამატებებს). ცხადია, არც „*წარგზავნეს ... იოაკიმის მიმართ*“ არის ბუნებრივი ქართული, მაგრამ ზმნის ცვლილება მეტ-ნაკლებად ასატანს ხდის მას.

ძველი თარგმანის საობიექტო ვერსიის გამოხატვის სინთეზურ საშუალებას, ბერძნულის მიხედვით, ანალიზური ანაცვლებს შემდეგ მაგალითებშიც:

4:15 *რამეთუ მოუვლინა მათ ნათესავი შორით...* OJ

*რამეთუ მოაწია მათ ზედა*³⁸ *ნათესავი შორით...* L^pGaSB³⁹

სტრუქციაც ცვლის (*რომელნი იპოვნეს ... > პოვნითა...*), რომელიც განკერძოებულ განსაზღვრებად გვევლინება.

³⁵ ი ზღმად B.

³⁶ om. πρὸς³ 46.

³⁷ ზმნის სანწარევ ფორმაში ამჯერად წარმოდგენილი არაა O₃^{ind}. პირის ნიშანი, რომელიც ფონეტიკურ ნიადაგზეა დაკარგული უ ხმოვნის წინ (თუმცა, თავისთავად, უ- პრეფიქსი ზმნის კონსტრუქციაში მესამე ირიბობიექტური პირის სასიგნალო ნიშანს წარმოადგენს და ამ თვალსაზრისით იგი O₃^{ind}. პირის ნიშნის ერთ-ერთ ალომორფადაც განიხილება).

³⁸ *ἐπ* წინდებულისანი პირის ნაცვალსახელის აკუზატივის ფორმა გელათელ მთარგმნელ-რედაქტორს **ზედა** თანდებულისანი უბრალო დამატებით გად-

ἐπήγαγε ν γάρ ἐπ’ αὐτοὺς ἕθνος μακρόθεν... LXX

1:10 და თქუეს: აჰა ესერა, მიგიძღუანეთ თქუენ ვეცხლი... OJ

და თქუეს: აჰა წარმოგზავნეთ თქუენ და ვეცხლი ...

GaSB⁴⁰

καὶ εἶπεν Ἰδὸς ἀπεστείλαμεν πρὸς ὑμᾶς ἀγγύριον... LXX⁴¹

1:14 და წარიკითხოთ წიგნი ესე, რომელ მიგიძღუანე თქუენ
აღსაარებად სახლსა შინა... OJ⁴²

და წარ[იკითხეთ] წიგნი ესე, რომელი წარმოგზავნეთ
თქუენ და აღსა[არებად] სახლსა შინა... GaSB⁴³

*καὶ ἀναγνώσασθε τὸ βιβλίον τοῦτο, ὃ ἀπεστείλαμεν πρὸς
ὑμᾶς ἕξει γορεῖσθαι ἐν οἴκῳ... LXX*

ძველი თარგმანის ირიბი დამატების ცვლილების მიზეზი შე-
იძლება იყოს დედნის არა მარტო ზუსტი ფორმოზრივი ეკვივა-
ლენტის ძიება, არამედ ბერძნულის ბრუნვის ფუნქციის ადეკვა-
ტურად გადმოტანა, ზუსტი ფუნქციური ეკვივალენტის მოძებ-
ნა. ვფიქრობთ, მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე A 1108 ნუს-
ხიდან მომდინარე საბასა და ბაქარის ბიბლიებში:⁴⁴

მოაქვს, ანალოგიური ვითარებაა პარიზის ლექციონარშიც, მაშინ როდესაც
ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში მის შესატყვისად უთანდებულო ირიბი
დამატებაა. ძველი თარგმანისთვის გასათვალისწინებელია, აგრეთვე, სეპ-
ტანტის აპარატის მიხედვით, ἐπ’ წინდებულის გამოტოვებაც (om. ἐπ’ 311–62
26 239).

³⁹ ნათესავი] > LP.

⁴⁰ წარმოგზავნეთ B.

⁴¹ om. პრტვ 88.

⁴² რომელი O. მიგიძღუანეთ J. სახლსა შინა] სახელსა O.

⁴³ წარმოგზავნეთ B.

⁴⁴ გელათის ბიბლია ამ შემთხვევაში ნაკლებია, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე
აღვნიშნეთ, ამავე ვითარების ამსახველია.

4:29 რამეთუ რომელმან მოგივლინა თქუენ ძკრი, მანვე მოგივლინოს თქუენ საუკუნოდ სიხარული განრინებისა თქუენისა. OJ⁴⁵

რამეთუ რომელმან-იგი მოგკადა თქუენ ზედა ძკრი, მოავლინოს თქუენ ზედა საუკუნოდ სიხარული ცხორებასა თქუენსა. LP

რამეთუ ზედამომხუმელმან თქუენდა ძკრთამან მოაწიოს თქუენდა შუებად საუკუნოდ მაცხოვარებისა თანა თქუენისა. SB

ὁ γὰρ ἐπαγών ὑμῶν τὰ κακὰ ἐπάξει ὑμῶν τῆν ἀλάσιον ἐσφοισύην μετὰ τῆς σωτηρίας ὑμῶν. LXX

ბერძნულში დატივში მდგარი მეორე პირის ნაცვალსახელე-ბის შესატყვისად A 1108 ნუსხაში არსებული თქუენდა ფორმები ამ ბრუნვის ფუნქციურ (Dativus commodi და incommodi)⁴⁶ ეკვივალენტს უნდა წარმოადგენდეს (ἐπάξει ὑμῶν τῆν ἀλάσιον ἐσφοισύην (Dativus commodi // ბენეფაქტივი) – მოაწიოს თქუენდა შუებად საუკუნოდ). კონსტრუქციის პირველი ზმნა, ბერძნულის მიხედვით, სასუბიექტო მიმღეობითაა ჩანაცვლებული, რომელიც იწყობს უბრალო დამატებას (ბერძნულში მიმღეობა, პირიან ზმნასავით, დამატებას დატივში იწყობს: ἐπαγών ὑμῶν τὰ κακὰ (Dativus incommodi // მალეფაქტივი) – ზედამომხუმელმან თქუენდა ძკრთამან). დამატების თანდებულიან კონსტრუქციას

⁴⁵ მან J. საუკუნე J. თანა]- O. თქუენისა O.

⁴⁶ ცნობილია, რომ ამ ფუნქციით ბერძნული დატივი ქართულად -თვის თანდებულიანი სახელით ითარგმნება (ურუშაძე 1987, 305). თქუენდა ნაცვალსახელის ნაგენეტივარი ვითარებითის ფორმა (სხვაგვარად, დანიშნულებითი ბრუნვა) სწორედ ამ ფუნქციის მატარებელია: „თქვენთვის“. სეპტანტის აპარატი არ გვიჩვენებს ნაცვალსახელის თანდებულიან ფორმას.

გვიჩვენებს ლექციონარიც. ამგვარად, თუ რეციპიენტის (თქუნ) სასარგებლოდ/საზიანოდ შესრულებული მოქმედება ძველ თარგმანში გამოხატულია სინთეზურად, საობიექტო ვერსიის ფორმებით, რომლებიც იწყობენ დატივში მდგარ პირმომართ ირიბ დამატებას (კონტექსტიდან გამომდინარე, ბენეფაქტივსა და მალეფაქტივს),⁴⁷ ბერძნული დატივის იგივე შინაარსი გელათური ტიპის თარგმანში ანალიზურადაა გამოხატული: მიმღეობითა და ნეიტრალური ვერსიის ზმნითა და უბრალო დამატებით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბერძნულის ზუსტ არა ფორმოზივ, არამედ ფუნქციურ ეკვივალენტს.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ გელათურ ვერსიაში (ასევე, ლექციონარშიც) ირიბი დამატების თანდებულებიან დამატებით ჩანაცვლებისა და, ამის კვალობაზე, შიდა ქართული გრამატიკული ცვლილების – ზმნის საობიექტო ვერსიის ფორმის ნეიტრალური (//სასუბიექტო) ვერსიითა თუ სხვა ზმნით ჩანაცვლების მიზეზს დედნის ფორმალური თუ შინაარსობრივი სტრუქტურის ზედმიწევნით ზუსტად გადმოტანა წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გელათელი მთარგმნელ-რედაქტორი, ზოგადად, გაურბის 3-ვალენტიანი ზმნის გამოყენებას და ირიბ დამატებას ყოველთვის თანდებულებიან დამატებით ცვლის. ბერძნულ ენაში დატივი, უპირატესად, ირიბი დამატების გამოსახატავად გამოიყენება, ამიტომ ის ამ ფუნქციით, ჩვეულებრივ, პირმომართ ირიბ დამატებად

⁴⁷ ტიპოლოგიურად ზოგიერთი ენა ფორმალურად განასხვავებს ბენეფაქტივსა და მალეფაქტივს (მაგ., სხვადასხვა ბრუნვით გამოხატავს), ხოლო ზოგიერთი – არა და კონტექსტით ხდება მათი გამოიჯვნა (Zúñiga and Kittilä 2010, 7). ქართულშიც საობიექტო ვერსიის ზმნის დატივში მდგარი ირიბი დამატება, კონტექსტის მიხედვით, შესაძლოა, ბენეფაქტიურობის გამომხატველიც იყოს და მალეფაქტიურობისაც (სპეციფიკური ბენეფაქტივის).

ითარგმნება როგორც ძველ, ისე მომდევნო პერიოდის ტექსტებში (როგორც 3-, ისე 2-ვალენტურიან ზმნებთან):

1:15-16 და *სთქუათ უფალსა, ღმერთსა ჩუენსა, სიმართლჳ, ხოლო პირთა ჩუენტა - სირცხული ... და მეფეთა ჩუენტა და მთავართა ჩუენტა და მღდელთა ჩუენტა და წინაწარმეტყუელთა ჩუენტა და მამათა ჩუენტა.* OJ⁴⁸

და *სთქუთ უფალსა, ღმერთსა ჩუენსა, სიმართლჳ, ხოლო ჩუენდა - სირცხული პირთა ჩუენტადა ... და მეფეთა და მღდელთა ჩუენტა და წინადაწარმეტყუელთა ჩუენტა და მამათა ჩუენტა.* L^P

და *ჰრქუათ უფალსა, ღმერთსა ჩუენსა სიმართ[248]ლე, ხოლო ჩუენ - სირცხული პირთადა ... და მეფეთა ჩუენტა და მთავართა ჩუენტა და მღდელთა ჩუენტა და წინაწარმეტყუელთა ჩუენტა და მამათა ჩუენტა.* GaSB

καὶ ἐρεῖτε τῷ κυρίῳ θεῷ ἡμῶν ἡ δικαιοσύνη, ἡμῖν δὲ ἀίσχυνη τῶν προσώπων ... ¹⁶ καὶ τοῖς βασιλεῦσιν ἡμῶν καὶ τοῖς ἄρχουσιν ἡμῶν καὶ τοῖς ἱερεῦσιν ἡμῶν καὶ τοῖς προφήταις ἡμῶν καὶ τοῖς πατέρας ἡμῶν. LXX

1:13 *...რამეთუ შევსცოდეთ უფალსა, ღმერთსა ჩუენსა⁴⁹...*

OJLPGaSB

... ὅτι ἡμάρτομεν τῷ κυρίῳ θεῷ ἡμῶν... LXX

ბერძნული დედნის ზუსტი ფორმალური თარგმანი დამატების თანდებულის კონსტრუქციებით ძველ ნუსხეებშიც დას-

⁴⁸ ვთქუათ O. სიმართლე J. პირთა ჩუენტა სირცხული] ჩუენ სირცხული პირთა ჩუენითა O. დღჳს O. და მღდელთა ჩუენტა]- O.

⁴⁹ „ღმერთსა ჩუენსა“ ამ შემთხვევაში დანართს წარმოადგენს.

ტურდება, თუმცა, გელათური ტიპის თარგმანთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად:

2:1 და აღასრულა უფალმან სიტყუად ესე, რომელ თქუა ჩუენ ზედა და მსაჯულთა ჩუენტა ზედა, რომელნი შჯიდეს ისრაელსა, და მეფეთა ზედა ჩუენტა და მთავართა ზედა [v] ჩუენტა და კაცთა ზედა ისრაელისათა და იუდაძსთა. OJ⁵⁰

და დაამტკიცა უფალმან სიტყუად მისი, რომელი თქუა ჩუენდამო და მსაჯულთა ზედა ჩუენტა, მშჯელთა ისრაელისათა, და მეფეთა ზედა ჩუენტა და მთავართა ჩუენტა ზედა და კაცსა ზედა ისრაელისსა და იუდაძსსა. GaSB⁵¹

καὶ ἔστησε κύριος τὸν λόγον αὐτοῦ, ὅν ἐλάλησεν ἐφ’ ἡμᾶς καὶ ἐπὶ τοὺς δικαστὰς ἡμῶν τοὺς δικάσαντας τὸν Ἰσραὴλ καὶ ἐπὶ τοὺς βασιλεῖς ἡμῶν καὶ ἐπὶ τοὺς ἄρχοντας ἡμῶν καὶ ἐπὶ ἄνθρωπον Ἰσραὴλ καὶ Ἰουδα. LXX⁵²

ბერძნულის *ἐπί* წინდებულიანი აკუზატივის ფორმები ქართულად თარგმნილია დამატების თანდებულიანი კონსტრუქციებით. ქართული ზმნის პოლიპერსონალური ბუნება ძველ მთარგმნელს ამ შინაარსის 3-ვალენტიანი ზმნის უთანდებულო სინტაქსური კონსტრუქციით გადმოტანის საშუალებას აძლევდა (რასაც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ცხადყოფს), მაგრამ ამ შემთხვევაში მისთვის დამაბრკოლებელი შეიძლება გამხდარიყო პირველი პირისა და მესამე პირთან გათანაბრებული არსებითი სახელით გამოხატული დამატებების მიერ ზმნის სხვა-

⁵⁰ ესე]მისი O. ზედა]- O. ~ ჩუენტა ზედა O.

⁵¹ მსჯელთა SB. ისრაილისათა S. ისრაისათა B. ~ ზედა ჩუენტა SB.

⁵² ἐφ’] προς 534; ἐπί ult.] ἐπ L⁻³¹¹-613.

დასხვა პირში მართვა (**მ/გუ-რქუა ჩუენ*, შდრ.: *ჰ-რქუა მსაჯულთა, მეფეთა...*). თქუა ზმნა ამ თვალსაზრისით ნეიტრალურია (პირმიუმართავი დამატებები მას პირში ვერ მართავენ). შესაძლოა, თანდებულიანი კონსტრუქციის არსებობას ძველ თარგმანში სხვა ახსნაც ეძებნებოდეს ან, უბრალოდ, მისი არსებობა დედანთან სტრუქტურული სიახლოვით იყოს გამოწვეული:

2:7 ძკრი, რომელ თქუა უფალმან ჩუენთჳს, მოიწია ყოველი ჩუენ ზედა. OJ⁵³

რომელსა იტყოდა უფალი ჩუენი ჩუენდა მომართ ყოველსა მას ბოროტსა, რომელი მოიწია ჩუენ ზედა. L^P

मित, რამეთუ, რომელნი თქუნა უფალმან ჩუენ ზედა, [v] ყოველნი ესე ძკრნი მოიწინეს ჩუენ ზედა. GaSB

ἀ ἐλάλησε κύριος ἐφ' ἡμᾶς, πάντα τὰ κακὰ ταῦτα ἤθεν ἐφ' ἡμᾶς. LXX⁵⁴

აბსოლუტური აგებულების ზმნასთან უბრალო დამატების თანდებულიანი კონსტრუქცია (მოიწია ყოველი ჩუენ ზედა) ქართულისთვის სავსებით ბუნებრივია⁵⁵ და ბერძნიზმად ვერ ჩაითვლება ვერც ამ და ვერც სხვა შეთხვევებში. საინტერესოა, რომ ოშკის ბიბლიაში *ჩუენ* ნაცვალსახელთან, *-თჳს* თანდებულის ნაცვლად, *ზედა* თანდებული დასტურდება (იხ. სქოლიო) და ამით ტექსტში (O GaSB), ბერძნულის მსგავსად, პარალელური პერიოდი იქმნება (*ჩუენ ზედა ... ჩუენ ზედა*). შესაძლოა, ესეც გამხდარიყო ძველ თარგმანში თანდებულიანი კონსტრუქციის არსებობის მიზეზი. პარიზის ლექციონარი, რომელიც სხვა ტრა-

⁵³ ძკრი]- O. ჩუენთჳს] ჩუენ ზედა და ყოველი ძკრი ესე რომელ O. მოაწია O. ყოველი]- O.

⁵⁴ om. ἐφ' ἡμᾶς La^C Bo.

⁵⁵ დანელია 1998, 8.

დიციის მატარებელი დედნიდან მომდინარეობს, სხვაობას გვიჩვენებს, თუმცა არა დამატების თანდებულიანი კონსტრუქციების არსებობის თვალსაზრისით.

შესაძლოა, გელათურ ვერსიაში, პირიქით, ძველი თარგმანის თანდებულიანი დამატება, ბერძნულის კვალობაზე, პირმიმართი დამატებით შეიცვალოს:

3:4 ... და მოიწია ჩუენ ზედა ძჳრი. OJ
და მეყო ჩუენ ბოროტი ესე. LP
... და აღგუეწებნეს ჩუენ ძჳრნი. GSB⁵⁶
... και ἐκολληθη ἡμῖν τὰ κακά. LXX⁵⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციის ფორმალური სიზუსტით გადმოტანისას მთარგმნელ-რედაქტორი ყოველთვის ვერ ახერხებს ქართული ზმნის მორგებას ამ კონსტრუქციაზე, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სინტაქსური კონტამინაციის მიზეზი ხდება:

3:21 ... შვილნი მათნი გზისა მათისაგან განეშორნეს. OJ⁵⁸
...ძენი მათნი გზისაგან მათისა განეშორნეს. LP
... ძენი მათნი გზისა მისისაგან შორს იქმნეს. SB
... οἱ υἱοὶ αὐτῶν ἀπὸ τῆς ὁδοῦ αὐτῶν πῶρρα ἐγενήθησαν. LXX⁵⁹

ომკურ-იერუსალიმურ ნუსხებსა და ლექციონარში დადასტურებული *განეშორნეს* რელატიური აგებულების ზმნა, წესით, პირმიმართ ირიბ დამატებას იწყობს („...და განეშორა მას...“

⁵⁶ ამ შემთხვევაში გელათური ვერსია ბერძნულის უფრო ზუსტ ფორმალურ თარგმანს წარმოადგენს, ზმნა კი – უფრო ზუსტ სემანტიკურ ეკვივალენტს, მაშინ როდესაც ძველ თარგმანში დატივის ფუნქცია (Dativus incommodi) დამატების თანდებულიანი კონსტრუქციითაა გადმოტანილი.

⁵⁷ ἐκολληθη = 1:20] προσεκ. A-106' 233.

⁵⁸ მათისაგან] მისისაგან J.

⁵⁹ ἐγενήθησαν]-თი 106 La^V; εγενοντο L'.

[ლ. 4:13]), თუმცა ძველ ქართულში თარგმანის გავლენით დამატების თანდებულის კონსტრუქციასაც ქმნის (შდრ.: „... და თავადი განეშორა მათგან...“ [ლ. 22:41]). როგორც კ. დანელია შენიშნავს, „ძველ ქართულში ყველაზე ხშირია ამ ზმნის შემცველ წინადადებასთან კონტამინაციის შემთხვევები“.⁶⁰ გელათურ ვერსიაში, რომელსაც ეყრდნობა საბასა და ბაქარის ბიბლიები, ბერძნულიდან სიტყვასიტყვითი თარგმანის წყალობით (*πάρρησις ἐν ἑσθίῃ* – შორს იქმნეს) იგივე სემანტიკა აღწერილია გამოხატული, აბსოლუტური აგებულების ზმნა შესაბამისობაში თანდებულის კონსტრუქციასთან და ამ გზით დაძლეულია თანდებულის სინტაქსური კონტამინაცია.

1:12 და რადთა გუცეს ჩუენ უფალმან ძალი და განგჳნათლნეს თუალნი ჩუენნი... OJ⁶¹

და გუცეს უფალმან ძალი ჩუენ და განგჳნათლნეს თუალნი ჩუენნი... GaSB

καὶ δάσει κύριος ἰσχύς ἡμῶν καὶ φανίσει τοὺς ἄρθρα ἡμῶν... LXX

ამ შემთხვევაშიც წინადადების მეორე ნაწილში ყველა ნუსხაში გენეტიური სინტაქსური კონტამინაციაა,⁶² პირველ ნაწილში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, აკუზატივში მდგარი სახელი (*ἰσχύς*) პირდაპირ დამატებადაა გადმოღებული, ხოლო დატივ-

⁶⁰ დანელია 1998, 10.

⁶¹ და]- J. გუცეს] ქუცეს J.

⁶² ზმნაში წარმოდგენილია O₁^{ind}. პირის ნიშანი გუ- (*გან-გუ-ინათლნეს*), მაგრამ კონსტრუქციაში, ამ პირის ნიშნის ფარდი მიცემითი დასმული აქტანტის (*ჩუენ) ნაცვლად, დასტურდება ამავე ნაცვალსახელისგან ნაწარმოები კუთვნილებითი ნაცვალსახელი *ჩუენნი*, რომელიც ბერძნული *ἡμῶν*-ის ეკვივალენტია.

ში მდგარი (*ἡμῶν*) – ირიბ დამატებად, ოღონდ გელათურ ვერსიაში, ბერძნულის მიხედვით, შეცვლილია სიტყვათა რიგი.⁶³

გაანალიზებული ემპირიული მასალა გვიჩვენებს, რომ, თუ ძველ მთარგმნელს შეუძლია ბერძნულის წინდებულისანი დატვივი ან აკუზატივი ქართულში უთანდებულოდ, პირმომართი დამატებით თარგმნოს (*მიუძღუნეს ... იოაკიმს* [1:7 O]), *მოუვლინა მათ* [4:15 O]...) და ამით, მეტ-ნაკლებად, შეინარჩუნოს თარგმანის ენის ბუნებრივი სტილი, გელათელი მთარგმნელ-რედაქტორი მის ადეკვატურად, პირმიუმართავი თანდებულისანი უბრალო დამატებით თარგმნას ანიჭებს უპირატესობას (*წარგზავნეს ... იოაკიმის მიმართ* [1:7 GaSB], *მოაწია მათ ზედა* [4:15 L^PGaSB]...), რაც, თავისთავად, განაპირობებს შიდა ქართულ გრამატიკულ ცვლილებას – ქართული ზმნის მორგებას თარგმანის გზით მიღებული სინტაქსური კონსტრუქციისთვის – საობიექტო ვერსიის შეცვლას ნეიტრალური (/სასუბიექტო) ვერსიით ან სხვა ზმნით ჩანაცვლებას (*აღმოუკითხნა ... ყურთა* [1:3-4O]) > *წარიკითხნა ... ყურთა მიმართ* GaSB; *მიუძღუნეს ... იოაკიმს* [1:7 O]) > *წარგზავნეს ... იოაკიმის მიმართ* GaSB).

⁶³ გელათური ტიპის თარგმანში ძველი თარგმანის ირიბი ობიექტის ჩანაცვლება თანდებულისანი უბრალო დამატებით შეიძლება სხვა მიზეზითაც იყოს გამოწვეული, მაგ., კონსტრუქციის ზმნის პირიანი ფორმის მიმღეობით შეცვლით (*მოვივლინა თქუნ* [4:18 O]) > *მომწვევებთან თქუნ ზედა* SB; *მოვიკადა თქუნ* [4:25 O]) > *მოსრულსა თქუნ ზედა* SB...); ამავე მიზეზით ირიბი დამატება შეიძლება ატრიბუტულ შეთანხმებულ მსაზღვრელადაც იქცეს (*სახელი დაგდა შენ* [4:30 O]) > *სახელდებელთან შენმან* SB) ... გელათურ ვერსიაში, ბერძნულის მიხედვით, ცვლილება შეიძლება შეეხოს არა მარტო ირიბ, არამედ პირდაპირ დამატებასაც (*ილოცეთ ცხორება* [1:11 O]) > *ილოცეთ ცხორებისათჳს* GaSB; *არა ვისმინეთ ჳმამ* [1:18 O]) > *არა ვისმინეთ ჳმისა* GaSB; *დაივიწყეთ ღმერთი* [4:8 O]) > *დაივიწყეთ ... ღმრთისა* GaSB) და სხვ. ამ საკითხებზე ცალკე გვექნება მსჯელობა.

ბარუქის წიგნში უფრო ხშირად ძველი ქართული თარგმანის იმ ირიბი ობიექტის ტრანსფორმაცია ხდება უბრალო დამატებად, რომელიც ფუნქციურად საობიექტო ვერსიის ზმნის ბენეფაქტივს წარმოადგენს.⁶⁴ ქართულს, როგორც ვერსიის გრამატიკული კატეგორიის მქონე ენას, შეუძლია კუთვნილება-დანიშნულებითი, ანუ პოსესიურ-ბენეფაქტიური მიმართების სინთეზურად გამოხატვა, მაშინ როდესაც ბერძნული ამას მოკლებულია და საობიექტო ვერსიის სემანტიკის გამოხატვა სხვაგვარად ძალუძს: ა) ანალიზურად, ამ კატეგორიის უქონელი ენების მსგავსად, და ბ) დატივით, რომელიც, გარდა ირიბი ობიექტის გამოხატვისა და სხვა ფუნქციებისა, ითავსებს ბენეფაქტივისა⁶⁵ (ასევე, მალეფაქტივის – *Dativus commodi / incommodi*) და პოსესივის (*Dativus possessivus*) ფუნქციებსაც. ამასთანავე, ბერძნული მედიუმისთვისაა ნიშანდობლივი უკუქცევითობის სემანტიკა.⁶⁶ ქართულად ასეთი მედიალური ზმნები, ძირითადად, სასუბიექტო ვერსიის ფორმებით⁶⁷ ითარგმნება, თუმცა „ბერძნული საშუ-

⁶⁴ წიგნი ბარუქისი არ არის დიდი მოცულობის ტექსტი, სულ 5 თავს შეიცავს, ამიტომ საანალიზო მასალაც მწირია.

⁶⁵ ტიპოლოგიურად სხვადასხვა ენაში, უმეტესად, დატივი გამოხატავს ბენეფაქტივის ფუნქციას. ზოგიერთ ენას (მაგ., ბასკურს) ცალკე აქვს ბენეფაქტიური ბრუნვა (Coler 2014). ენათა გარკვეული ნაწილი ამ მიზნით სხვა ბრუნვებს იყენებს, რომლებიც, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, ბენეფაქტივსაც გამოხატავენ (Zúñiga and Kittilä 2010, 7).

⁶⁶ უკუქცევით ფორმებს იყენებენ პასივებიც, რადგან ისინი, აორისტისა და ფუტურუმის გარდა, ყველა დანარჩენ ფორმას მედიუმისგან სესხულობენ. „ბერძნული ე.წ. საშუალი გვარის ფორმით გადმოიცემა მოქმედება, რომელიც სუბიექტიდან მომდინარეობს და სუბიექტსავე ეხება, სუბიექტიდან მომდინარეობს და მისთვისვე სრულდება, აქვს უკუქცევითობის გაგება და ა.შ.“ (გიორგობიანი 1998, 30).

⁶⁷ ქართულში სასუბიექტო ვერსია ავტობენეფაქტიური სემანტიკის გამომხატველია, რადგან აგენსი და ბენეფაქტივი ერთი და იგივე აქტანტია.

ალი გვარი თავისი მნიშვნელობით უფრო ფართოა, ვიდრე ქართული სასუბიექტო ქცევა“.⁶⁸

ვფიქრობთ, სტატიაში განხილული მასალა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ, მართალია, ძველი მთარგმნელი ცდილობს ზუსტი თარგმანის შესრულებას, მაგრამ, გელათური ტიპის თარგმანისგან განსხვავებით, მას უფრო მეტი საშუალება აქვს ანგარიში გაუწიოს ქართული ენის ბუნებას, სტილს და ყოველთვის არ დაიცვას დედანთან ფორმალური ეკვივალენტურობის პრინციპი. ის ერთგვარ სინთეზურ თარგმანს წარმოადგენს, რომელსაც შუალედური ადგილი უჭირავს ფორმალურ და დინამიკურ თარგმანებს შორის.⁶⁹ მისგან განსხვავებით, გელათური ტიპის თარგმანი უფრო სათარგმნი ენის სტილისტიკაზე ორიენტირებული თარგმანია და მაქსიმალურად ცდილობს, დაიცვას ბერძნულთან ფორმალურ-სტრუქტურული თუ შინაარსობრივი ეკვივალენტურობა (თუნდაც ქართულში სტილისა თუ გრამატიკული კონსტრუქციის არაბუნებრიობის ხარჯზე).

ბარუქის წიგნის ძველ და გელათურ ვერსიებს შორის სხვაობას განაპირობებს არა განსხვავებული ტრადიციის დედნის არსებობა, არამედ სხვაობა თავად მთარგმნელის სტილსა და ტექნიკაში, დედნის ქართული ეკვივალენტების შერჩევის განსხვავებულ პრინციპში.

⁶⁸ გიორგობიანი 1972, 165.

⁶⁹ დანელია 1998 ა, 471.

ბიბლიოგრაფია

აბულაძე, ილია, ნარგიზა გოგუაძე, ვლადიმერ კეკელია და ცი-
ალა ქურციკიძე. 2017. *ბიბლია. ძველი აღთქმა*. II. თბილისი: ბიბ-
ლიის სახლი.

Blake, Robert and Canon Maurice Briere. *The Old Georgian Version of the prophets critical edition with a Latin translation*. Patrologia Orientalis XXIX (2). Paris: Brepols Publishers.

Блейк, Роберт П. 1921. “О древнегрузинских версиях Ветхого завета.” *Известия Кавказского Отделения Московского Археологического Общества* VI: 1-41. Тифлис: Типография К.П. Козловского.

Coler, Matthew. 2014. *A Grammar of Muylaq' Aymara: Aymara as spoken in Southern Peru*. Brill's Studies in the Indigenous Languages of the Americas. Leiden: Brill.

გამყრელიძე, თამაზ. 1979. „ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“.
საენათმეცნიერო კრებული. 33-51. თბილისი: მეცნიერება.

გივინეიშვილი, ზაქარ. 1989. *წიგნნი ძუელისა აღთქმისანი, შე-
საქმისად, გამოსლვათად*. თბილისი: მეცნიერება.

გიორგობიანი, თინა. 1972. „გვარის კატეგორიისათვის ძველ
ბერძნულში“. *მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია*. 3: 157-165.

გიორგობიანი, თინათინ. 1998. *ზმნის ძირითადი კატეგორიები-
სათვის ბერძნულში*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომ-
ცემლობა.

გულედანი, ციციხო. 2014. *ბარუქის წიგნის ქართული ვერსიების
წარმომავლობა*. ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგის-
ტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. სამეცნ. ხელმძღვანე-
ლი: ასოც. პროფ. ანა ხარანაული. თბილისი: ხელნაწერი.

დანელია, კორნელი. 1997. *ქართული ლექციონარის პარიზული
ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები)*. ტ. I. ნაწილი
II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დანელია, კორნელი. 1998. „სინტაქსური კონტამინაცია ძველ ქართულში“. *ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*. ტომი I. 7-18. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დანელია, კორნელი. 1998ა. „მხატვრული ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ზიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის მიხედვით“. *ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან*. ტომი I. 443-471. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დოჩანაშვილი, ელენე. 1985. *მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი)*. თბილისი: მეცნიერება.

ინგოროყვა, პავლე, 1939. „ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვა“. *მნათობი*. 4: 94-138. თბილისი: სახელგამი.

კეკელიძე, კორნელი. 1980. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. ტომი I. თბილისი: მეცნიერება.

მელიქიშვილი, დამანა. 2019. *გელათის აკადემია – „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი – სასწავლებელი ყრმათათჳს“, გელათის საღვთისმეტყველო-ფილოლოგიური სკოლა – შუა საუკუნეების საგანმანათლებლო კერა*. თბილისი: ლოგოსი.

Moore, Carey A. 1978. “Daniel, Esther and Jeremiah: The additions. A New Translation with Introduction and Commentary”. *Biblica* 59 (4): 581-584. New York: Peerets Publishers.

ნებიერიძე, გივი. 1991. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: განათლება.

ურუშაძე, აკაკი. 1987. *ძველი ბერძნული ენა*. თბილისი: განათლება.

ქურციკიძე, ციალა. 1970. *ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით)*. წიგნი I. თბილისი: მეცნიერება.

ქურციკიძე, ციალა. 1973. *ძველი აღთქმის აპოკრიფული (არაკანონიკური) წიგნების ქართული ვერსიები*. წიგნი II. თბილისი: მეცნიერება.

Ziegler, Joseph, ed. 1976. *Jeremias – Baruch – Threni – Epistula Jeremiae*. Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

Zúñiga, Fernando and Seppo Kittilä, eds. 2010. *Benefactives and Malefactives: Typological Perspectives and Case Studies*. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company.

ხარანაული, ანა. 2006. სალექციო კურსი *ძველი ქართული თარგმანის თეორია და პრაქტიკა*. თბილისი: თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალი. <https://e-learning.tsu.ge/enrol/index.php?id=1868>

ელექტრონული რესურსები

ძველი აღთქმის ქართული ვერსიების კრიტიკულად დადგენილი ტექსტი <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>

კომპიუტერული პროგრამა „**Bible Works** – Version 10.0.4.216.” <https://www.bibleworks.com/>

პირობითი აღნიშვნები

O – Ath 1, ოშკის ბიბლია (978-979 წწ.)

J – Jer 7/11, იერუსალიმის ბიბლია (XI ს.)

LP – პარიზის ლექციონარი (X-XI სს.)

G – A 1108, გელათის ბიბლია (XII-XIII სს.)

S – A 51, მცხეთური, ანუ საბას ბიბლია (XVII-XVIII სს.)

B – ბაქარის, ანუ მოსკოვური ბეჰდური ბიბლია (1743 წ.)

LXX – სეპტუაგინტა (გოტინგენის გამოცემის კრიტიკული ტექსტი)

La – ლათინური თარგმანი

L – ლუკიანური რეცენზია

L' – ლუკიანური რეცენზიის ქვეჯგუფები

Lela Tsikhelashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

One Type of Grammatical Change in the Georgian Versions of the Book of *Baruch*

Key words: *Baruch*, *Septuagint*, *benefactive*, *objective version*

The paper focuses on one type of morphosyntactic change conditioned by the Greek influence, discovered as a result of comparison of the Old Georgian translations of the Book of *Baruch* (Bibles of Oshki (O, 978 s.) and Jerusalem (J, XI s.)) and the texts of Gelati version (Bibles of Gelati (G, XII-XIII ss.), Saba (S, XVII-XVIII ss.) and Bakar (B, 1743). Both versions are aimed at precise, adequate translation from Greek. However, old translators take into account the nature and style of the Georgian language, whereas the translation of Gelati is formally and structurally closer to the original. Therefore, the syntactic construction with an indirect object, found in the old translation, is more natural for the Georgian language. This construction was replaced by the postpositional object construction in Gelati version (*ἀπέστειλαν ... πρὸς Ἰωακίμ* (Baruch 1:7 LXX), *მიუძღვანეს ... იოაკიმს* OJ, *წარგზავნეს ... იოაკიმის მიმართ* GaSB). The translator and editor of the Gelati version also tries to adjust the verb to the new construction in order to avoid syntactic contamination.

In general, in old Georgian translation, the indirect object transformed into a simple postpositional object was the one that functionally represented the addressee of the objective version, benefactive. Georgian, as a language that distinguishes the grammatical category of version, is capable of synthetic expression of this function, whereas Greek is incapable of this and can express the semantics of the objective version only analytically.

სალომე ჭოგლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

ესქილეს “სპარსელების” ინტერპრეტაციის ძირითადი
თანდენციები თანამედროვე სცენაზე

საკვანძო სიტყვები: ესქილე, “სპარსელები”, ინსცენირება

თეატრი ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე ცოცხალ დარგს წარმოადგენს, ამ შემთხვევაში ვგულისხმობ, რომ სპექტაკლს ცოცხლად თამაშობენ მაყურებლის წინაშე და მისი არსი სწორედ მსახიობებისა და მაყურებლის თანადროული არსებობით განისაზღვრება ერთ სივრცეში. თუკი თეატრის დაბადების ეპოქას დავუბრუნდებით, ეს ცნება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს კლასიკური ეპოქის ბერძნულ თეატრში, სადაც დრამატული ტექსტი მხოლოდ ერთხელ იდგმებოდა და ეს მახასიათებელი გაცილებით მკაფიოდ გამოხატავს თეატრალური წარმოდგენის თანამედროვეობის მნიშვნელობას. ტრაგედია (ასევე კომედია და სატირული დრამაც) მხოლოდ ერთი დღისთვის იწერებოდა, კონკრეტულ ეპოქაში, კონკრეტულ სოციო-პოლიტიკურ ვითარებაში. იგი მოვალე იყო თანამედროვეობის მოთხოვნებისთვის ეპასუხა და საზოგადოების მაჯისცემა გაეთვალისწინებინა. მიუხედავად ასეთი მოცემულობისა, ცნობი-

ლია, რომ ბერძნულმა ტრაგედიებმა ათასწლეულების შემდეგაც არ დაკარგეს აქტუალობა. სხვადასხვა ეპოქის თეატრი გარკვეული პერიოდულობით უბრუნდება ამა თუ იმ ანტიკურ დრამატულ ტექსტს და თანამედროვე რეჟისორები კვლავ პოულობენ საერთო სათქმელს ძველ ბერძენ ავტორებთან. ეს ტენდენცია შეინიშნება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც თეატრის მიმართ არსებობს ინტერესი.

ესქილეს ამაღლებული სტილი და კლასიკური განზოგადება განაპირობებდა იმას, რომ კლასიკური ეპოქის შემდგომ პერიოდში აუდიტორიისთვის მეტად მისაღები გახდა ცხოვრებასთან უფრო დაახლოებული ევრიპიდეს შემოქმედება. რაც შეეხება თანამედროვე ეპოქას, ესქილეს დრამატურგია სულ უფრო ხშირად ხდება თანამედროვე რეჟისორებისა და რეცეპირების ავტორთა შთაგონების წყარო. ამის დასტურად 2018 წელს გამოცემული წიგნიც გამოდგება ესქილეს რეცეფციების შესახებ. ამ წიგნში თავმოყრილი სტატიები ასახავს ესქილეს ტრაგედიათა მიმართ ინტერესის ზრდას არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში¹

რა კანონზომიერებით უბრუნდებიან უძველეს ტექსტებს რეჟისორები და არის თუ არა შესაძლებელი მიმართებათა გარკვეული რიგითობისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დაფიქსირება ანტიკურ ტრაგედიებსა და იმ თანამედროვეობას შორის, რომელშიც გადაწყვეტს რომელიმე თეატრი მათ დადგმას? ამ თვალსაზრისით განვიხილავ ესქილეს ტრაგედიას “სპარსელები” და მისი დადგმის რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს. ეს ტრაგედია ჩვენამდე მოღწეულ ანტიკურ დრამატულ ტექსტთა შორის ერთადერთია, რომელიც ისტორიული მოვლენის შესა-

¹ Kennedy 2018.

ხებ მოგვითხრობს. თემატიკის ასეთმა უნიკალურობამ მიბიძგა იმ სოციო-პოლიტიკურ გარემოზე დაკვირვებისაკენ, რომელშიც XX-XXI საუკუნის რეჟისორები კვლავ ირჩევენ ამ ტექსტს ინსცენირებისთვის.

ესქილეს “სპარსელები”, როგორც ტრილოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ტრაგედია, დიდ დიონისიებზე დაიდგა ძვ.წ. 472 წელს და პირველი ადგილი დაიკავა. მასში მოთხრობილია ისტორიული მოვლენის შესახებ, თუ როგორ გაიმარჯვეს ბერძნებმა სალამისთან სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. სხვა ჩვენამდე მოღწეული ბერძნული ტრაგედიებისგან განსხვავებით ეს ტრაგედია მითოლოგიურ სიუჟეტს კი არ ეფუძნება, არამედ – ისტორიულ მოვლენას და შეგვიძლია განვიხილოთ ისტორიული დრამის დასაწყისად, პირველ ნაბიჯად ამ მიმართულებით, თუმცა ცნობილია, რომ ისტორიული თემატიკა ესქილემდეც არ იყო უცხო ათენელი მაცურებლისთვის. ესქილეს “სპარსელებამდე” 20 წლით ადრე, ძვ.წ. 492 წელს დაიდგა ტრაგედია “მილეტოსის აღება”. ფრინიქოსის ეს პიესა შეეხებოდა სპასელების მიერ იონიური ქალაქის აღებას. ქალაქის დაცემიდან მხოლოდ ორი წელი იყო გასული, როცა ფრინიქოსმა იგი სცენაზე წარმოადგინა. ამ მოვლენიდან რამდენიმე ათეული წლის გავლის შემდეგ წარმოდგენის შესახებ ცნობებს გვაწვდის ჰეროდოტოსი. იგი წერს, რომ სპექტაკლის მსვლელობის დროს მაცურებელი ცრემლად დაიღვარა, რადგან მას შეახსენეს ახლახანს მომხდარი უბედურება (VI, 21). შედეგად ფრინიქოსი 1000 დრაქმით დაჯარიმდა და აიკრძალა პიესის კვლავ წარმოდგენა. რადგან ფრინიქოსის ვერც ამ და ვერც სხვა რომელიმე ტრაგე-

დიამ ჩვენამდე ვერ მოაღწია², გაგვიჭირდება მის მხატვრულ ღირსებაზე მსჯელობა, თუმცა შევეცადოთ, მასზე, როგორც მოვლენაზე ისე ვიმსჯელოთ.

ჩვენთვის ცნობილია, რომ პიესის წარმოდგენის წელს თემისტოკლესი იყო არქონტი ეპონიმი, რომლის მოვალეობა იყო დიონისისთვის პიესების შერჩევა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თემისტოკლესი – შემდგომში სალამისის ბრძოლის გმირი, ამ გზით შეეცადა გაეფრთხილებინა თანამოქალაქეები, თავიდან აეცილებინათ მილეტოსის მსგავსი დიდი უბედურება, თუმცა უშედეგოდ. იყო თუ არა “მილეტოსის აღება” თემისტოკლესისგან ათენელთათვის საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად მოხმობილი არგუმენტი? გამოიყენა თუ არა მან ამისთვის ფრინიქოსი და ზოგადად თეატრის სცენა? ეს საკითხი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც გამოკვეთს თეატრალური ხელოვნების კავშირის ხარისხსა და ინტენსივობას მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებთან. რამდენად პოლიტიზებული იყო იმდროინდელი ათენური თეატრი და შეიძლება თუ არა თემისტოკლესისთვის ბრალად უფლებამოსილების გადაჭარბება დაედოთ? სამწუხაროდ, ვერ ვიმსჯელებთ ფრინიქოსის ამ ჩვენამდე არმოღწეული ტრაგედიის მხატვრულ ღირსებაზე, მაგრამ თუ ხელოვნების ნიმუშს ადამიანებზე ზემოქმედების კუთხით შევაფასებთ და ამ მაჩვენებლით განვსაზღვრავთ მის ღირებულებას, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ შთაბეჭდილების მოხდენის ძალას მოკლებული არ უნდა ყოფილიყო ტრაგედია “მილეტოსის აღება”. მართალია, თავად ტექსტმა ვერ მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ მოაღწია ამბავმა იმის შესახებ, თუ რა მძაფრი

² დეტალურად იხ. Storey and Allan 2005, 91-92 იხ. აგრეთვე Blumenthal 1941, 914-917; Freimuth 1955, 51-69.

და ძლიერი ემოციები გამოიწვია მან მაყურებელში. “მილეტოსის აღების” ასე ვრცლად განხილვის მიზეზს კი ესქილეს “სპარსელების” მასთან კავშირი წარაუდგენს. აღსანიშნავია, პოლიტიკური დაპირისპირება თემისტოკლესსა და მის მოწინააღმდეგეს, კიმონს შორის, ე.წ. ინფორმაციული ომი კი ამ დაპირისპირების იარაღად იქცა. ანტიკურ პერიოდში თეატრალური სცენა ინფორმაციის გადაცემის უმნიშვნელოვანეს პლათფორმას წარმოადგენდა, არა მხოლოდ შინაარსობრივ, არამედ ემოციურ დონეზეც. “სპარსელების” ამ შეტაკების იარაღად განხილვა, ვფიქრობ, შესაძლებელია, მაგრამ რომელ მხარეს უნდა მოვიაზროთ იგი? ერთი მხრივ, ტრაგედიაში მოთხრობილი სალამისის გამარჯვება, შეიძლება თემისტოკლესის მხარდაჭერად აღვიქვათ, მაშინ, როდესაც თემისტოკლესი განდევნის საფრთხის წინაშე იყო, მაგრამ ეს თუ ასეა, მაშინ ესქილემ მიზანს ვერ მოაღწია, რადგან თემისტოკლესი განდევნეს ათენიდან ძვ.წ. 471 წელს. მეორე მხრივ, კი ესქილე ამბავს სპარსელთა პერსპექტივიდან გვიამბობს და თემისტოკლესი საერთოდ არ არის ნახსენები ტექსტში. “სპარსელების” ქორეგოსი პერიკლესი იყო, რომელიც, შესაძლოა, კიმონის პოლიტიკას უჭერდა მხარს. ეს ნიუანსები საინტერესოს ხდის საკითხს, თუმცა ამ მიმართულებით უტყუარი დასკვნების გამოტანა, ცხადია, შეუძლებელია. ერთადერთ უტყუარ დასკვნად შეიძლება ის მივიღოთ, რომ თეატრი სათავეებთან მეტად პოლიტიკური იყო, უფრო სწორად მეტად აშკარა იყო მისი პოლიტიკურობა, რომელიც დღემდე არ დაუკარგავს, თუმცა შემდგომში უკვე ანტიკურმა ბერძნულმა ტრაგედია ამ ისწავლა სათქმელის შენიღბვა, ამისთვის დრამატურგებმა დიდი წარმატებით გამოიყენეს მითოლოგიური საბურველი.

აღსანიშნავია, რომ ფრინიქოსმა კიდევ ერთ პიესაში ასახა ის ტრაგედია, რაც ძლევამოსილმა სპარსეთის იმპერიამ თავისი ზვიადობით არა მარტო მოწინააღმდეგეს, არამედ საკუთარ თავსაც მოუტანა. ისევე როგორც “სპარსელებში” “ფინიკიელ ქალებში” წარმოდგენილი იყო, თუ როგორ შეიძლება, უკონტროლო ყოველგვარ ზღვარსგადასულმა ჰიბრისმა – ზვიადობამ აგრესორი ჩააყენოს დამარცხებულის ტრაგიკულ როლში.³

“სპარსელების” უნიკალურობა: ისტორიული თემატიკა, ყველა პესონაჟი უცხოელია, მოქმედება სუსაში ვითარდება, სპარსელთა სალამისთან დამარცხების შემდეგ, დროის მოკლე მონაკვეთში. შეიძლება ითქვას, რომ ტრაგედია თითქმის დაცლილია მოქმედებისგან, რაც სრულიად ეწინააღმდეგება დრამატურგიის მთავარ პრინციპს. მთავარი მოვლენა უკვე მომხდარია, რომლის შესახებაც დადასტურებულად მაცნისგან ვიგებთ, ხოლო მთელი ტრაგედია ამ მოვლენის შესახებ გლოვას წარმოადგენს. მიუხედავად სტატიური, არაქმედითი სიუჟეტისა, ცხადია, ტრაგედიას ძლიერი მხარეებიც აქვს – პოეზია, რომლის საშუალებითაც მოქმედება გარედან შიგნით – პერსონაჟთა გონებასა და სულში ინაცვლებს. განვითარების ხაზში მისტიურისა და იდუმალი ელემენტების შემოტანაში სრულად ჩანს ავტორის ოსტატობა⁴. ტრაგედიაში საქმე გვაქვს ერთი ისტორიული მოვლენის რამდენჯერმე დამუშავებასთან, ვგულისხმობ, რომ სპარსელების დამარცხების ამბავი თავდაპირველად, სიზმრის სახით ჩნდება, როგორც საშინელი წინათგრძნობა, შემდეგ, მაცნე ადასტურებს საზარელ მოლოდინს, მეფის ჩრდილი “განიხი-

³ შდრ. Latacz 1994, 83-85.

⁴ ამ თვალსაზრისით შეიძლება, აღინიშნოს ატოსას სიზმარი და დარიოსის სულის მოხმობა. მიმოხილვისთვის იხ. გორდუხიანი 2019.

ლავს”, ქსერქსესი ბრუნდება იგივე ამბით და საბოლოოდ, საერთო გლოვაში კვლავ ამ დამარცხებაზე მოთქვამენ. ახალ-ახალი ძალითა და სიღრმით აღიქმება ერთი და იგივე ინფორმაცია და შედეგად მკითხველს/მაცურებელს გამოუვალი უბედურების ხვეულების ისეთ სიღრმეში ითრევს, საიდანაც მზის შუქის დახახვა შეუძლებელია. ძლიერი სტრესის შემთხვევაში ადამიანი ცდილობს გაუმკლავდეს მომხდარს, ირთვება თავდაცვის მექანიზმები. ფსიქიური ჯანმრთელობის სპეციალისტები ასევე გამოყოფენ გარკვეული ფაზებს, რომლებსაც გაივლის პიროვნება ტრაგედიის გადატანის შემდეგ. ხდება ნეგატიური ინფორმაციის გადამუშავება და მიღება. სავარაუდოდ, სწორხაზოვანი, უიმედო, გამოუვალი უბედურების გაცნობიერებისას ისადაგურებს გარკვეული სახის სიმშვიდე.

არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ესქილეს “სპარსელები” ეძღვნება არა ბერძენთა გამარჯვების პათოსს, არამედ სპარსელთა დამარცხების ჩვენებას სრული ტრაგიკულობით. მართლაც, ტექსტში არ გვხვდება ბერძენთა სიმამაცისა და ტრიუმფალური გამარჯვების შემამკობელი ეპიზოდები, სამაგიეროდ ძალზე მკაფიოდ არის აღწერილი სპარსელთა დამარცხების გამომწვევი მიზეზები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დარიოსის სიტყვები, რომელშიც თითქმის ანალიტიკურად არის განხილული სპარსელთა საბედისწერო შეცდომათა ჯაჭვი:

“რა სწრაფად ახდა წინასწარმეტყველების საქმე! ჩემს შვილს (740) დაატეხა ზევსმა მათი ძალა. მე კი მეგონა, რომ დიდი დრო გამოხდებოდა, სანამ ღმერთები მათ აღასრულებდნენ; მაგრამ როცა კაცი თავად ჩქარობს, ღმერთიც შეუერთდება. ახლა, მგონი, ყველა ჩემი საყვარელი ადამიანისთვის ამოხეთქა უბედურების წყარომ; ხოლო ჩემმა ვაჟმა საფრთხე ვერ შენიშნა და ყმაწ-

ვილკაცური დაუდევრობით მასში გადაეშვა. მას იმედი ჰქონდა, რომ წმინდა ჰელესპონტს მონასავით ბორკილებს დაადებდა, ბოსფორის ღვთაებრივ დინებას და დააჭედებდა რა უროსებრ ხუნდებს, ახალი ყაიდის ფართო გზას გაუკვალავდა თავის აურაცხელ ლაშქარს; მოკვდავი კაცი უკვდავებს გაუთამამდა და გონებადაკარგული პოსეიდონს გაეჯიბრა. ნეტავ, რამე სენმა გონება ხომ არ დაუბნელა ჩემს ვაჟს? მეშინია, რომ ჩემი გარჯის ნაყოფი, ჩვენი უზარმაზარი სიმდიდრე სხვისი ნადავლი არ გახდეს” (739-752).

ყმაწვილკაცი დაუდევრობა, სიფიცხე, გამოუცდელობა, სიხარბე და ზვიადობა ის საბედისწერო ნაზავია, რომელსაც დაღუპვისკენ მიჰყავს ნებისმიერი წამოწყება, მეფის აჩრდილი სიგიჟესაც კი ადარებს ამ მდგომარეობას და დარდობს ვაჟის სულიერ ჯანმრთელობაზე. დიდი სევდა იკითხება შეცდომათა ამ გაცნობიერებაში, ამდენად “სპარსელებში” ესქილემ გარკვეული თვალსაზრისით თანაუგრძნო მტერს, რომელმაც ტრაგიკული შეცდომები დაუშვა და ამით გააფრთხილა თანამომხმეებიც, თუ რა შეიძლება მოჰყვეს სულსწრაფი ადამიანების გაუაზრებელ ნაბიჯებს.

შევეცადოთ, განვიხილოთ, თუ რა მნიშვნელოვანი შეხების წერტილები იპოვეს თანამედროვე რეჟისორებმა ესქილეს პათოსთან. “სპარსელების” თანამედროვე ინსცენირებებზე მსჯელობას დავიწყებ ესქილეს “სპარსელების” ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული დადგმით. 1966 წელს კაროლოს კუნმა საბერძნეთში დადგა ეს ტრაგედია და შემდეგ მრავალრიცხოვანი გასტროლით სპექტაკლმა ბევრი ქვეყანა მოიარა. რეჟისორი კაროლოს კუნი ქალაქ ბურსაში დაიბადა 1908 წელს, ჰყავდა მართმადიდებელი ბერძენი დედა და ნახევრად პოლო-

ნელი ებრაელი მამა. დაამთავრა სორბონას უნივერსიტეტი და მხოლოდ ამის შემდეგ დასახლდა ათენში. თავიდან ინგლისურის მასწავლებლად მუშაობდა, შემდეგ თავის სტუდენტებთან ერთად დადგა რამდენიმე სპექტაკლი და ეტაპობრივად გადაინაცვლა პროფესიულ თეატრში. თანამშრომლობდა ბერძნულ ნაციონალურ თეატრთან და საბოლოოდ დაარსა საკუთარი “ხელოვნების თეატრი”. კუნი ნელ-ნელა უბრუნდებოდა და შეიმეცნებდა თავის ბერძნულ ფესვებს ძველი ბერძნული დრამატურგიის სცენაზე გაცოცხლების გზით. მისთვის მნიშვნელოვანი იყო ანტიკურ ტრადიციასთან მიახლოება, დგამდა წარმოდგენებს ეპიდავროსის თეატრშიც. კუნის სახელი მსოფლიო თეატრის ისტორიაში ნოვატორობასა და ძლიერ გამომსახველობით უნართან ასოცირდება. ოლივერ ტაპლინი მის მიერ დადგმულ “სპარსელებს” ასე ახასიათებს: “წარმოდგენაში განსაკუთრებული ადგილი ცეკვასა და ქოროს ეჭირა. მოსამზადებლად უამრავი რეპეტიცია ჩატარდა, ისევე როგორც ანტიკურ საბერძნეთში” (O.Taplin).

ბრიტანეთის ონლაინ ღია უნივერსიტეტის მიერ გადაღებულ სალექციო კურსში ესქილეს “სპარსელების” შესახებ ოლივერ ტაპლინი და ედით ჰოლი აღნიშნავენ, რომ ეს ტრაგედია ხშირად არ იდგმება და რომ მისი დადგმა ყოველთვის დაკავშირებულია ძლიერ სოციო-პოლიტიკურ მოვლენასთან. კაროლოს კუნმა “სპარსელები” საბერძნეთში 7 წლიანი დიქტატურის დაწყებამდე ერთი წლით ადრე დადგა 1966 წელს. შეუძლებელია ქვეყანაში არ ყოფილიყო მოახლოებული დიქტატურის საშინელების ნიშნები. შეუძლებელია, რომ კუნს, რომელიც გამოირჩეოდა გარემოს მიმართ მგრძობიარე დამოკიდებულებით, არ ამოეცნო მოსალოდნელი საფრთხე. რადიკალურად მემარ-

ჯვენე იდეების, ავტორიტარული და მილიტარისტული განწყობის სახელმწიფოდან გზავნილად იქცა კუნის ეს სპექტაკლი მსოფლიოსთვის. რეჟისორმა, თითქოს მოასწრო მისი სასცენო განხორციელება, რათა ხმა მიეწვდინა დანარჩენი სამყაროსთვის. კუნის ჩანაფიქრმა, შეიძლება ვთქვათ, რომ მიზანს მიაღწია, რადგან, როგორც ედით ჰოლი აღნიშნავს: “სპარსელებმა” სიცოცხლე ადამიანთა მეხსიერებაში განაგრძო და გასცდა კონკრეტული წარმოდგენის მნიშვნელობას” (E. Hall).

კუნის სარეჟისორო გადაწყვეტაში, სადაც მრავალრიცხოვანი ქორო ანსამბლურად მოქმედებს, გარდა იმისა, რომ ანტიკურ ტრადიციასთან დაბრუნების ტენდენციას ვხედავთ. თვალსაჩინოდ იკითხება საზოგადოების ერთიანობის იდეა. ქორო, როგორც ხალხი, საზოგადოება მსგავსია გარეგნულადაც და ქმედებითაც, უბედურებაც საერთო აქვთ, ხოლო მეფე, ქსერქსესი მათგან განსხვავებული ერთი ფიგურა ამოვარდნილია საერთო სურათიდან. ქოროს ერთიანობა წინ სწევს მეფის შეცდომის მნიშვნელობას. მოსალოდნელია, რომ მეფე თავის ქვეყნის სახეს უნდა წარმოადგენდეს, როგორც უმთავრესი ნაწილი მთელს, მაგრამ სპექტაკლში იგი აღქმულია, როგორც უბედურების მთავარი მიზეზი, რომლის დანაშაული განსაკუთრებით მძიმე იმითაც არის, რომ მას პირველ რიგში ევალებოდა ამ უბედურების თავიდან აცილება. გარეშე მტერი უფრო იოლი მოსაგერიებელია, ვიდრე ქვეყნის შიგნით ძალაუფლებით აღჭურვილი მავნებელი – ასეთი დასკვნა შეგვიძლია, გამოვიტანოთ კაროლოს კუნის სპექტაკლიდან.⁵

⁵ იხ. ღია უნივერსიტეტის ვილში **Modern Productions of Persians**
<https://www.youtube.com/watch?v=vugB9semEA8>

ომისა და გლოვის თემატიკა, ვფიქრობ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო გერმანული საზოგადოებისათვის I და II მსოფლიო ომების შემდეგ, აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ “სპარსელებთან” მიმართებაში გერმანიასა და ანტიკურ საბერძნეთს შორის რადიკალურ განსხვავებას ქმნის თვალთახედვის წერტილი, რადგან ბერძნები გამარჯვებულის პოზიციაში იყვნენ და შეეძლოთ, თანაგრძნობით აღსავსე მზერა მიეპყროთ დამარცხებული სპარსელებისაკენ, ხოლო მოკლე დროში ორგზის დამარცხებული გერმანელები თავიანთ უბედურებას გლოვობდნენ. ქვეყნის შიგნიდან მომავალი საფრთხის კუთხით შეგვიძლია, პარალელი გავავლოთ კუნის პროდუქციასთანაც, მან საბერძნეთში დიქტატურის დამყარების წინასწარ განჭვრეტა შეძლო, ხოლო გერმანელებმა თავიანთი ქვეყნის უახლოეს წარსულში ამოიცნეს დიქტატორი, რომლის მიზეზითაც ისინი დამნაშავეებად და მსხვერპლად ერთდროულად იქცნენ. ორივე შემთხვევაში მთავარი მტერი ქვეყნის შიგნით ამოიცნობა. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეცდომათა პირველწყაროს ძიება და თვითკრიტიკული დამოკიდებულება გერმანელთათვის თვალსაჩინოდ ახლოსაა ამ ქვეყნის ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ რომელი მხრიდანაც არ უნდა შეხედოთ, ომის საშინელება შემადრწუნებელი და დამანგრეველია.

“სპარსელების” გერმანულ თეატრში ინსცენირებებზე მსჯელობისას, ძირითადად, ვყვრდნობი გერმანელი მეცნიერის ჰ. ფლასჰარის წიგნს “ანტიკურობის ინსცენირება, ბერძნული დრამა სცენაზე”. ავტორი აღნიშნავს: “სპარსელების” გამოკვეთილად პოლიტიკური ხასიათი გერმანიაში დამდგმელ რეჟისორთა გან-

საკუთრებულ ინტერესს იწვევს და მისი წარმოდგენის სიხშირე, აშკარად, თვალსაჩინოა”.⁶

1991 წლის 30 ნოემბერს ბონის დრამატულ თეატრში ხრისტოფ შროთმა წარმოადგინა “სპარსელები” და გამოიყენა დრამატურგისა და რომანების ავტორის გერჰარდ კელინგის მიერ გადაამუშავებული ტექსტი. დასაწყისში სცენაზე დაშვებულია ფარდა, რომელიც წარმოადგენს საბერძნეთიდან სპარსეთამდე გადაჭიმულ ფიზიკურ რუკას. განათების ეფექტებით ნაჩვენებია, თუ რა გზა გაიარეს სპარსელებმა სპარსეთის დედაქალაქ სუსადან ეგეიდისკენ. პოლიტიკური თუ ფიზიკური რუკის ამ მასშტაბით ჩვენებამ არ შეიძლება, ასოციაციურად არ გაგვახსენოს 1979 წელს რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუას მიერ დადგმული უილიამ შექსპირის “რიჩარდ III”, სადაც ფინალურ სცენაში ადამიანური ჰიბრისის შედეგად სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნის ბედი, სწორედ დიდი რუკით შემოსილ დაპირისპირებულ მხარეთა ორთაბრძოლით გამოიხატება. თუმცა შროთისეულ დადგმაში, როგორც ჩანს, ასეთი დრამატული მნიშვნელობა და ქმედითი დატვირთვა ვერ მიუღია და რუკა მხოლოდ დეკორაციის უმოქმედო ნაწილად გვევლინება. გუნდს შავ ტანსაცმელში, ჰალსტუხებსა და ქუდეებში გამოწყობილი ცხრა მამაკაცი წარმოადგენდა, რომლებსაც ოქროსფერი ნიღბები მუცლებამდე სწვდებოდათ. ძალზე ბევრი ყვირილის, ხმაურისა და საგანგაშო მუსიკის თანხლებით გამოდის ატოსა ამაყი, თეთრი ბეწვითა და გვირგვინით. ქსერქსესი ტყავებით არის შემოსილი. ორიგინალური ფაბულისგან განსხვავებით, ბოლოს დარიოსის საფლავიდან აღებული მოსასხამით გუნდი ახრჩობს ქსერქსესს. ვვიქრობ, ფინალის საკმაოდ რადიკალური

⁶ Flashar. 2010, 78.

ცვლილება მნიშვნელოვან საკითხზე მიგვანიშნებს და ითხოვს მაყურებლის ყურადღების გამახვილებას. როგორც უკვე აღვნიშნე, ბერძნებსა და გერმანელებს ამ ტექსტთან თვალთახედვის სხვადასხვა წერტილი აკავშირებთ, თუ ბერძნებს შეეძლოთ, განყენებულად ემსჯელათ სპარსელების უბედურებაზე, შესაბამისად, გამოეჩინათ მეტი შემწყნარებლობა და მოთმინება ქსერქსესის, სპარსელების დამღუპველი წინამძღოლის მიმართ, გერმანელები, თავად ამ უბედურების მონაწილენი და მსხვერპლნი, აღნიშნულ სიმშვიდესა და მოთმინებას ვერ იჩენენ. შეიძლება, სწორედ ამით აიხსნება შროთისეული ინსცენირების განსხვავებული ფინალი.

2003 წელს რეჟისორმა მარტინ ვუტკემ (Martin Wuttke) მიზნად დაისხა სპექტაკლი საერთოდ გაეტანა თეატრიდან. მან ამისთვის რომელიმე ფაბრიკის მსგავსი ნაგებობის ნაცვლად Neulandyberg – ის მიდამოებში არსებული აეროდრომი აირჩია. ეს ადგილი ბერლინიდან 70 კმ – ით არის დაშორებული. აქ მიმდინარეობდა 1945 წელს II მსოფლიო ომის ფინალური ბრძოლები. უდიდესი დანაკარგით ორივე მხარისთვის. 1934 წელს აგებული აეროდრომი ემსახურებოდა ჯერ ვერმახტს, შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. სპექტაკლის დადგმის პერიოდში არსებითად გავრანებულ ადგილად იყო ქცეული და გამქრალი დიდების სრულ შთაბეჭდილებას ქმნიდა. 2003 წლის 21 აგვისტოს კი აქ მაყურებელი გადაიყვანეს ავტობუსებით, რათა თვალ-ყური ედევნებინათ ტრაგედიის განვითარებისთვის. მოქმედება ვითარდებოდა მიმდებარე ტერიტორიაზეც, მაგალითად, იქვე პატარა ტყეშიც და მაყურებელი სრულად ვერ შეძლებდა მის აღქმას. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად დამონტაჟდა მონიტორები, რომლებზე გაშვებული კადრებიც

ასახავდა ისეთ ადგილებში განვითარებულ მოქმედებასაც, რასაც ვერ სწვდებოდა მაყურებლის თვალი. ამერიკულ უნიფორმაში გამოწყობილი ქსერქსესი თხრის ორმოს და ათვალიერებს იქიდან ამოღებული იარაღის ნარჩენებს, თუ დაღუპულებს. ატოსა ასაფრენ ბილიკზე გადაადგილდება ძველი მოპედით, ხოლო შემდეგ ქსერქსესთან ერთად ჯდება ასფალტის დამხაზავ სპეციალურ მანქანაში. გუნდი სამი კაცისგან შედგება, რომლებიც მოაგორებენ ფულით სავსე ჩემოდნებს, სხდებიან პატარა ფარდაზე და იწყებენ ბანქოს თამაშს. უკანასკნელ სცენაში ყველა მონაწილე ნეონით განათებულ სასაუზმეში იყრის თავს. ისინი ინტენსიური სმით ცდილობენ, მოიშუშონ დამარცხებით გამოწვეული ტკივილი. ბოლოს ჩნდება მანქანა წარწერით – დასასრული.

შესაძლოა გაშლილ სივრცეში მიმოფანტული მოქმედებითა და თანამედროვე ელემენტების (მოპედი, ნეონის განათება, ჩემოდნები და ა.შ.) შემოტანით რეჟისორს სურდა პრობლემის აქტუალურობასა და გლობალურობაზე გაეკეთებინა მინიშნება. ისიც აღსანიშნავია, რომ თრობითა და თავდავიწყებით სპექტაკლის დასრულება არ აღძრავს მაყურებელში უკეთესი მომავლის იმედს. შეიძლება თუ არა დანაშაულის გააზრება და კატასტროფის სრულად გაცნობიერება, მომავალში მსგავსი საფრთხის თავიდან აცილების პრევენციად იქცეს, ამას ისტორია გვიჩვენებს, მაგრამ ხელოვანი ყოველთვის ცდილობს რეაგირება მოახდინოს მის გარშემო შექმნილ რეალობაზე.

აქვე მოვიყვან გერმანულ სცენაზე “სპარსელების” დადგმის ზოგად სტატისტიკას ფლასჰარის მიერ აღწერილ სპექტაკლებზე დაყრდნობით. როგორც ჩანს, 1991 წლიდან 2007 წლამდე პროფესიულ სცენაზე გერმანიაში ესქილეს ამ ტრაგედიის 10 ინსცე-

ნირება განხორციელდა, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი მაჩვენებელია. ტექსტის ტრანსფორმაციის კუთხით ამ დადგმებში გვაქვს სრული მრავალფეროვნება, დეკონსტრუქციიდან კლასიკურობის შენარჩუნებამდე. გვხვდება არაორდინალური და ტრადიციული სარეჟისორო გადაწყვეტები, მაგრამ საგულისხმოა, რომ თითოეულ მათგანში გატარებულია ანტიმილიტარისტური იდეები და ჩანს ომის საშინელებისგან მიყენებული შეუვსებელი დანაკარგის გამო გულწრფელი სინანული. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მსგავსი აქტიური ინტერესი ამ ტექსტის მიმართ გერმანიაში, ქვეყანაში, რომელიც ორ მსოფლიო ომში დამარცხდა, სავსებით ლოგიკურია.

იმ შინაარსზე სასაუბროდ, რომელიც ესქილეს “სპარსელებმა” შეიძინა ოკეანის გადაღმა, ამერიკელი რეჟისორის პეტერ სელერსის დადგმის მაგალითით ვიმსჯელებ. ამერიკელი რეჟისორი 1957 წელს დაიბადა პიტსბურგში ტრანსილვანიის შტატში. საუნივერსიტეტო განათლება ჰარვარდში მიიღო და ბევრი იმოგზაურა ინდოეთში, ჩინეთსა და იაპონიაში, სადაც ეცნობოდა თეატრის უძველეს პრინციპებს. დგამდა საოპერო და დრამატულ სპექტაკლებს. მის გარშემო განვითარებული რეალობა ყოველთვის მნიშვნელოვან მუხტს წარმოადგენდა რეჟისორის შემოქმედებაში, მაგალითად შექსპირის “ოტელოში” ბარაკ ობამას შესახებ საუბრობდა. ეს ჩრდოლო-ამერიკელი რადიკალი რეჟისორი, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა, როგორც “სპარსელების” ერთ-ერთი საერთაშორისოდ აღიარებული ინსცენირების ავტორი.

პეტერ სელერსმა 1990-1991 წლების სპარსეთის ყურის ომის თემატიკაზე ყურადღების გასამახვილებლად გამოიყენა ესქილეს “სპარსელები” 1993 წელს. მან პროტესტი გამოხატა სადამ

ჰუსეინის დროს საკუთარი მთავრობის მიერ ბაღდადის დაბომბვის მიმართ. დადგმაში რჟისორმა უხვად გამოიყენა მელოდიური მუსიკა, ასევე აღსანიშნავია მოქმედების სიმწირე სპექტაკლში, უმეტეს დროს მხოლოდ ერთი-ორი ადამიანი გადაადგილდებოდა ცარიელ სცენაზე, ხოლო ქორო ერთი მოცეკვავე მსახიობით იყო წარმოდგენილი. ასეთი გადაწყვეტა გვახსენებს თეატრის აღმოსავლეთ ევროპის ბერტოლდ ბრეხტისეულ ტრადიციას.

“სპარსელებში” სელერსი იყენებდა მინიმალურ დეკორაციას, თუ ამას საერთოდ შეიძლება, დეკორაცია ეწოდოს. სპექტაკლს არ ჰყავდა სცენოგრაფი. სცენაზე იყო 4 ქვა, რომლებიც დარიოსის საფლავს აღნიშნავდნენ და ერთი სპარსული ხალიჩა კუთხეში, რომელზეც ორკაციანი ქოროს ერთი წევრი იჯდა. სელერსი მაქსიმალურად ცდილობდა მაყურებელი გამოეყვანა გარეშე დამკვირვებლის პოზიციიდან და ჩაერთო სცენაზე განვითარებულ მოვლენებში. გაამერიკელებული ატოსა და დარიოსი უბიძგებდნენ მათ ამერიკული საზოგადოების მანკიერებებზე ყურადღების გამახვილებისაკენ. ატოსა იყო ქალი, რომელიც თვალს ხუჭავდა თავისი ქმრის დანაშაულებებზე, რადგან მის მთავარ საზრუნავს კეთილდღეობა წარმოადგენდა, ხოლო დარიოსი – ტირანი, რომლის შეცდომების გამო იტანჯებოდა საზოგადოება. მკვეთრი ზღვარი ჩანდა მმართველებსა და ხალხს შორის. საინტერესოა, ქსერქსესის პერსონაჟის სელერსისეული ხედვა, რადგან, მართალია, ახალგაზრდა მეფე დამნაშავეა, მაგრამ იგი ამავე დროს მსხვერპლია მამის სიბოროტისა და დედის ინდეფერენტულობის, ანუ – ფუნქციადარღვეული ოჯახის შვილი.⁷

⁷ იხ. ღია უნივერსიტეტის ფილმი **Modern Productions of Persians**

სელერსს უნდოდა ეჩვენებინა ის საშინელება, რაც ერაცში დატრიალდა ომის დროს, საშინელება, რომელიც შეუმჩნეველი დარჩა ამერიკელთა უმეტესობისთვის. იგი იყენებდა ძალადობის ამსახველ ხმაურებს. განათება ქვედა წერტილებში იყო დამონტაჟებული ისე, რომ მსახიობს სახეზე ეცემოდა მიკროფონის ჩრდილი, ან მაყურებელს მკვეთრი შუქისგან თავდასაცავად პროგრამით უწევდა სახის დაფარვა. იგი საგანგებოდ ცდილობდა, დისკომფორტი შეექმნა აუდიტორიისთვის, გამოეწვია იგი და ეგრძნობინებინა, თუ როგორი იქნებოდა ბაღდადში ყოფნა საჰაერო დაბომბვის შემდეგ. ასევე დამატებული იყო ტექსტი, სადაც აღწერდა ამერიკული იარაღისა და ბომბების ტიპს და იმას თუ როგორი ზიანის მიყენება შეუძლიათ მათ.

სელერსმა დარიოსის როლზე მოიწვია Howie Seago – ყრუმუნჯი მსახიობი რომელიც ცოცხლებთან კომუნიკაციას სიმღერით ამყარებდა, ხოლო ქოროს ერთ-ერთი წევრი კითხულობდა მის მონოლოგს. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხმა ექოდ ბრუნდებოდა მრავალი ადგილიდან.

რეჟისორი ყოველი ხერხით ცდილობდა მაყურებლამდე თავისი პროტესტის მიტანას. იგი აშკარად ხედავდა, რომ ამერიკის სახელმწიფო აყალბებდა რეალობას მედიის დახმარებით და მის მთავარ მიზანს, თეატრის საშუალებით ინფორმაციის ალტერნატიული წყაროს შექმნა წარმოადგენდა.

ესქილეს “სპარსელებს” არა მხოლოდ მემამბოხე ხელოვანთა ხელში ვხედავთ იარაღის სახით, არამედ – სახელმწიფოს ხელშიც, რადგან ამ ტექსტის წაკითხვა ორი რადიკალურად დაშორებული კუთხიდან არის შესაძლებელი. ედით ჰოლი აღნიშნავს, რომ “I მსოფლიო ომის დაწყებისას ჯილბერტ მარის თარ-

გმნილი “სპარსელები” ბრიტანეთში რადიოთი გადაიციმოდა, ხალხში საბრძოლო განწყობის შესაქმნელად. XIX ს-ის ბოლო წლებში კი ბერძენთა მეფის ქორწილში ითამაშეს ეს ტრაგედია ათენში. ასე რომ – ასკვნის ჰოლი – ეს არის პიესა, რომელსაც შეუძლია ემსახუროს ხმამაღალ ვითომ პატრიოტულ გრძნობებსაც, განსხვავებით 1960-იანი წლების იდეებისგან”.⁸

ამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ინსცენირების განხილვა ცხადჰყოფს, რომ ესქილეს “სპარსელები” წარმოადგენს ტექსტს, რომლის აქტივაციაც ხდება მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური ფონის შექმნის პირობებში, მაშინ, როცა ხელოვანს, არტისტს, რომელსაც აქვს რეაქცია გარემოში მიმდინარე პროცესებზე და გააჩნია მკვეთრად გამოსახული პოზიცია, უჩნდება პროტესტი ჩიხში შესული საზოგადოებრივი განვითარების გამო. აღნიშნულ მაგალითებში გვხვდებოდა კონკრეტული ქვეყნების პრობლემები, მათი იმპერიალისტური მისწრაფებების დაგმობა, ან წარსული ცოდვების მონანიება. ახლა კი მინდა შევხებო ამ ტრაგედიის უახლეს ინსცენირებას და საბერძნეთიდან დაწყებული ინსცენირებათა მოკლე ისტორია კვლავ საბერძნელის მაგალითით დავასრულო.

ცნობილია, რომ 2020 წელს მსოფლიო პანდემიამ მოიცვა და ამ მოვლენამ სრულად შეცვალა აქამდე მიღებული ცხოვრების წესი. კრიზისი შეეხო ყველაფერს, რადიკალური ცვლილებები მოხდა განათლების სისტემაში, მომსახურებისა და წარმოების სფეროში და ა.შ. ასევე უაღრესად დაზარალდა საშემსრულებლო ხელოვნება, რადგან შეიზღუდა ადამიანთა თავყრილობა, რამაც თეატრი დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. მაყურებლის გარეშე დარჩენილი თეატრი ეძებს გზებს გადასარჩენად. ამ

⁸ Hall 2011.

რთული წლის განმავლობაში მომსწრე გავხდით სხვადასხვა გადაწყვეტისა, მსოფლიოს თეატრები ცდილობენ არსებობის გაგრძელებას და ამისთვის აქტიურად იყენებენ მედია საშუალებებს. ინტერნეტისა და სოციალური ქსელების საშუალებით ვრცელდებოდა სპექტაკლები. ზევრმა თეატრმა გახსნა თავისი არქივები და ფართო საზოგადოებას უსასყიდლოდ წარუდგინა ლეგენდარული სპექტაკლების ვიდეო ჩანაწერები. ყოველივე ზემოთ თქმული ჰგავს ავადმყოფის გაბრძოლებას, რაც სინამდვილეში ვერ გადაარჩენს მას. სტატიის დასაწყისში აღვნიშნე, რომ თეატრის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს მისი სიცოცხლე, წარმოდგენის რეალურ დროში რეალური მაყურებლის წინაშე შესრულება წარმოადგენს. სწორედ ეს უნიკალურობა დადგა საფრთხის ქვეშ, რადგან ჩანაწერში შეუძლებელია ამ ფენომენის შენარჩუნება.

“ჩვენ გვიყვარს თეატრი, რადგან ის ცოცხალია – ცოცხალი (live) ჩართვა ეპიდავროსიდან”⁹, ასე იწყებოდა სარეკლამო რგოლი, რომელიც მთელს მსოფლიოში გავრცელდა და იუწყებოდა, რომ 2020 წლის 23 ივლისს, შაბათს, ეპიდავროსის ანტიკურ ამფითეატრში გაიმართებოდა პრემიერა, რომელიც პარალელურად განთავსდებოდა ინტერნეტ სივრცეში და ნებისმიერ მაყურებელს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სრულიად უსასყიდლოდ მიეცემოდა წარმოდგენის ხილვის შესაძლებლობა.

“პირველად უყურე სპექტაკლს ცოცხლად მისი დაბადების ადგილიდან.” 2020 წელს ეს მოვლენა, ვფიქრობ, გახდა ყველაზე ხმამაღალი განაცხადი, რომელიც თეატრმა გააკეთა, რადგან ყველაზე ახლოს არის ერთიანობისა და თანაგანცდის იდეასთან, რომელსაც საბოლოოდ კათარზისამდე მივყავართ. ცხადია, ამ

⁹ <https://www.youtube.com/watch?v=iAF0sxmetPQ>

მასშტაბის თეატრალური წარმოდგენის შემთხვევაში უმთავრესი ყურადღება უნდა გავამახვილოთ მასალის შერჩევაზე. საბერძნეთის ეროვნულმა თეატრმა და რეჟისორმა დიმიტრის ლინგა-დისმა ესქილეს “სპარსელები” შეარჩია. ეს არჩევანი კი განსაკუთრებით ნიშანდობლივია წინამდებარე სტატიაში გახილული საკითხისთვის.

“ბერძნული ნაციონალური თეატრი უშვებს ქარიშხლისებერ ხმებსა და მძვინვარებას, კულმინაცია მზის წნულში გირტყამს და სუნთქვა გეკვრება, რისი ძალაც ოდნავ თუ იკლებს ონლაინ ყურებისას”.¹⁰ – ასეთ შთამბეჭდავ ფრაზას ვხვდებით The New York Times – ის რეცენზიაში სპექტაკლის შესახებ. ასევე მომხიბლავია პერსონაჟთა კოსტიუმები, ხოლო განსაკუთრებულ დეკორაციას, ცხადია, არ საჭიროებს ეპიდავროსის თეატრი. კოსტიუმების მხატვარი ევა ნათენა (Eva Nathana) როგორც ჩანს, კონცეპტუალური მიდგომით გამოირჩევა, იგი ქმნის ე.წ. მეტყველ კოსტიუმებს და ასევე ითვალისწინებს სივრცის განუმეორებელ სპეციფიკასა და მასშტაბს. ატოსას აცვია უშველელელი შავი კაბა, თითქოს სამოსი ატარებს პერსონაჟს, იგი ერთდროულად დიდებულიც არის და სუსტიც. ქსერქსესის პერანგის გულზე წითელი ძაფით გავლებული უსწორმასწორო ზოლები კი, სავარაუდოდ, მის საბრძოლო ჭრილობებზე მიგვანიშნებს.

რეცენზიის ავტორი აღნიშნავს, რომ თეატრებში ანტიკური ტრაგედია ხშირად იდგმება გამარტივებული ტექსტით, უფრო ნატურალისტური კითხვით, რომ მაყურებლისთვის უფრო იოლად აღსაქმელი გახადონ უძველესი დრამატურგია. ლინგა-დისი და მისი დასი ამ გზას არ ირჩევენ. ისინი მაქსიმალურად იყენებენ დეკლამაციის ხელოვნებას და მაქსიმალურად სრუ-

¹⁰ Vincentelli 2020.

ლად ინარჩუნებენ ტრაგედიის აგებულებას.¹¹ თანამედროვე მაყურებელს, ვფიქრობ, შეიძლება მსგავსი გადაწყვეტა ცოტა ნაძაღვად მოეჩვენოს, მაგრამ ასეთი მიდგომა ხაზს უსვამს ტექსტის რიტმულობის ძალას. ტექსტში ასახული ძლიერი რიტმი და მუსიკალურობა საგრძნობლად მოქმედებს აუდიტორიაზე და თითქოს აღწევს მაგიურ ძალას. უმნიშვნელოვანესია ადგილი, სადაც გაიმართა წარმოდგენა. ეპიდავროსის ამფითეატრი ასკლეპიონის, გამაჯანსაღებელი ცენტრის ნაწილს წარმოადგენს. ბერძნებისთვის, როგორც ცნობილია, სულისა და სხეულის სიჯანსაღის ბალანსი მთავარი იყო ფიზიკური ჯანმრთელობისთვის. ასეთი ძლიერი ენერგეტიკის მქონე დგილას გამართული წარმოდგენა უნდა ქვეუღიყო ერთგვარ რიტუალად, შეუცნობელისკენ აღვლენილ ლოცვად მსოფლიოს ჯანმრთელობისთვის. კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ თემატიკას, ამ მიმართულებითაც ვიწრო სახელმწიფოებრივ პრობლემებს გამცდარი ტექსტი, კონტექსტის სრულად გათვალისწინებით, იძენს უნივერსალურ მნიშვნელობას და ემპათიისა და ადამიანურობის იდეა აჰყავს უმაღლეს საფეხურზე. ამ მასშტაბის აქციისთვის, ვფიქრობ, ესქილეს “სპარსელები” ზუსტ მასალას წარმოადგენს.

როგორც ზემოთ წარმოდგენილმა მცირე მიმოხილვამ ცხადჰყო, “სპარსელების” თანამედროვე ინსცენირებები საკმაოდ თანმიმდევრულ და საინტერესო ტენდენციებს ავლენს. თუკი თავდაპირველად თანამედროვე რეჟისორების ყურადღებას იპყრობდა “სპარსელების” პათოსის რეგიონალურ პრობლემებთან და კონფლიქტებთან დაკავშირება, 2020 წლის პანდემიის პირობებში, ისევ და ისევ საბერძნეთში დაინახეს ესქილეს ტრაგედიის კაცობრიობის საერთო განსაცდელთან დაკავშირების

¹¹ Vincentelli 2020.

შესაძლებლობა და ამ ტექსტმა მიიღო სრულიად განსხვავებული ჟღერადობა და დიაპაზონი. საერთო უბედურების წინაშე აღმოჩენილი კაცობრიობა ერთიანობაზე, თანაგრძნობასა და სოლიდარობაზე ესქილეს სიტყვებით ალაპარაკდა. “სტაგნაციიდან გამოდევნა 2400 წლის წინ გარდაცვლილ დრამატურებს მიანდეთ”,¹² (), წერდა ჰელენ ფოლი 1998 წლის 4 დეკემბრის New York Times – ის რეცენზიაში.

ბიბლიოგრაფია:

Aeschylus. 1963. vol 1. *Suppliant Maidens, Persians, Prometheus, Seven Against Thebes*. London, Cambridge, Massachusetts: Harvard University Press.

Blumenthal A. R. 1941. „Phrynichos“. *RE*, XX,1, 914-917.

ესქილე. 2019 . *სპარსელები*. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო ლევან ბერძენიშვილმა, არილი, #4.

Flashar, Hellmut. 2010. *Inszenierung der Antike: Das griechische Drama auf der Bühne*. C. H. Beck,

Foley P. Helene. 1999. *Modern Performance and Adaptation of Greek Tragedy*. Barnard College, Columbia University.

Freimuth, Günther. 1995. „Zur ΜΙΛΗΤΟΥ ΑΛΩΣΙΣ des Phrynichus“. *Philologus*, 99, 51-69.

გორდუზიანი, რისმაგ. 2019. *ბერძნული ლიტერატურა, ელინური ეპოქის პოეზია და პროზა*. თბილისი: ლოგოსი.

Ярхо В. 1978. *Драматургия Эсхила и некоторые проблемы Древнегреческой трагедии*. Моеква: Издательство «Художественная литература».

Kennedy, Rebecca Futo, ed. 2018. *Brill's Companion to the Reception of Aeschylus*. Boston.

¹² Foley 1999, 1

Lataz I. 1994. *Einführung in die griechische Tragödie*. Göttingen.

Modern Productions of Persians, Greek Theatre (4-4) OpenLearn from Open University, Oliver Taplin, Edith Hall 2011, 26 July <https://www.youtube.com/watch?v=vugB9semEA8>

მძიმე სტრესზე პიროვნების რეაქციის და ადაპტაციის დარღვევების დიაგნოსტიკა და მკურნალობა, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), 2008

Storey C, Ian and Allan Arlene. 2005. *Guide to Ancient Drama*. Blackwell Publishing.

Vincentelli, Elisabeth. 2020. The Persians Review: Aeschylus's Ancient Portraiat of Defeat, The New York Times, 26, July.

Zimmermann B. Phrynichos, DNP, Bd 9, Metzler, Stuttgart 2000. 970 შმდ.

Salome Joglidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

The main tendencies of Aeschylus's "Persians" on the modern stage

Key words: *Aeschylus, Persians, theatrical adaptation*

In this paper I tried to analyze five performances of Aeschylus's “The Persians” of XX and XXI centuries (Karolos Koun, Greece-1966, Kristof Shrot, Germany-1991, Martin Wuttke, Germany-2003, Peter Sellers, America-1957, Dimitris Lignadis, Greece-2020) accordance with their historical context. The comparison of these examples shows the consecutive and interesting tendencies of staging “The Persians” during XX and XXI centuries. As we can see, political problems, anti-militarism and self-criticism were the main issues for the directors to recall the oldest preserved ancient drama. Back to Greece and recent history, the ancient text gets the new and extensive global meaning of unity, solidarity and empathy for the world during the pandemic period.



რეცენზიები

რისმაგ ბორდეზიანი, „ბერძნული ცივილიზაცია“ III

დაახლოებით ერთი წლის წინ ფართო საზოგადოებას წარუდგინეთ რისმაგ გორდეზიანის ძალიან ცნობილი და პოპულარული წიგნის, „ბერძნული ცივილიზაციის“ პირველი და მეორე ტომის განახლებული გამოცემა: „გმირთა ეპოქიდან არქაიკამდე“ და „კლასიკური ეპოქა“. სულ რაღაც ერთ წელიწადში და თანაც გამორჩეულ, პანდემიურ და კრიზისულ დროს საზოგადოებას კვლავ წარუდგენთ ბატონი რისმაგის მორიგ ნაშრომს, „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომს – „ელინისტური ეპოქიდან გვიანანტიკურობამდე“.

„ბერძნული ცივილიზაციის“ პირველი და მეორე ტომის წარდგენისას გამოვიყენე 10 სიტყვა, რომლითაც, ჩემი აზრით, შეიძლება და მათი დახასიათება. ესენი გახლდათ: საუკეთესო, მნიშვნელოვანი, ინფორმატიული, თანამედროვე, სახელმძღვანელო, გზამკვლევი, ელინოფილური, პოპულარული, კლასიკური და ლეგენდარული...

გადავწყვიტე, მესამე ტომიც ამავე პრინციპით წარმოგიდგინოთ, ოღონდ არსებითად განსხვავებული ტერმინებით. ჩემი მოკრძალებული აზრით, „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომის დახასიათება შემდეგი 10 სიტყვით შეიძლება: ნანატრი, სახელმძღვანელო, ინტერდისციპლინური, მეცნიერული, აქტუალური, ორიგინალური, შთამბეჭდავი, შემაჯამებელი, უნიკალური, და ბოლოს... 4D განზომილების.

რატომ არის „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი **ნანატრი**? ან ნაშრომის პირველ ორ ტომზე გავიზარდეთ და მოგ-

ვიანებთ თავად გავზარდეთ თაობები 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, მაგრამ ანტიკური სამყაროს შესახებ ცოდნას მაინც შედარებით არასრულყოფილად გადავცემდით იმ სტუდენტებს, რომლებიც მხოლოდ ქართულ ენას ფლობდნენ, რადგან არ არსებოდა არც ერთი ქართულენოვანი ნაშრომი, რომელიც ელინისტური პერიოდისა და გვიანანტიკური სამყაროს შესახებ მოგვაწვდიდა მრავალმხრივ, მრავალასპექტურ ინფორმაციას მოკლედ, ამომწურავად და თან ანალიტიკურად. სტუდენტებისთვის გვიწევდა რამდენიმე წყაროს დასახელება, თუმცა მათი ერთობლიობითაც კი ვერ ხერხდებოდა ამ დანაკლისის შევსება. სწორედ ამიტომ ვნატრობდით „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომს და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ის უკვე ხელთ გვაქვს.

როგორც უკვე აღვნიშნე, „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი არის **სახელმძღვანელო** ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ეს არის წიგნი, რომლითაც აუდიტორიებში და დღეს უკვე ონლაინ პლატფორმებზე შევასწავლით ანტიკური სამყაროს დამაგვირგვინებელ, უაღრესად მნიშვნელოვან და წინააღმდეგობრივ პერიოდს სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს: ფილოლოგებს, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ხელოვნებათმცოდნეებს, თეატრმცოდნეებს და სხვ. სხვათა შორის, პირველ და მეორე ტომთან შედარებით, გაფართოვდა პოტენციური სტუდენტების არეალი და მათ განათლების სპეციალისტებიც შემოემატნენ, რადგან წიგნის საგანგებო თავი ეთმობა „აღზრდა-განათლების ელინურ ტრადიციას ახალ კონტექსტში“. და აქვე უნდა ითქვას, რომ პირდაპირი მნიშვნელობით, სტუდენტებისთვის სწავლების გარდა, ეს ნაშრომი გვასწავლის და გვხელმძღვანელობს ყველას,

ვისაც გვინტერესებს და გვიყვარს ელინური სამყარო მისი მრავალფეროვანი გამოვლინებებით.

„ბერძნული ცივილიზაციის“ პირველ ორ ტომთან შედარებით, მესამე ტომი შეეხება მეტ თემასა და მეტ დარგს, ანუ არის უფრო **ინტერდისციპლინური**, რაც თავად ამ პერიოდის მასშტაბურობითა და სინკრეტულობით არის განპირობებული. ნაშრომი მოიცავს ისტორიასა და ხელოვნებას, პედაგოგიკას, ფილოლოგიის მეცნიერებად ფორმირების საწყისებს, მეცნიერებას – როგორც კულტურის ერთ-ერთ სფეროს, ფილოსოფიას, ისტორიოგრაფიასა და ორატორულ ხელოვნებას. რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ლიტერატურას: დრამას, ეპიკურ-ნარატიულ პოეზიას, ფიგურულ ლექსსა და სხვ. ინტერდისციპლინურობის გარდა, აღსანიშნავია დესკრიფციისა და ანალიტიკის ჰარმონიული თანაარსებობა. აქ არ არის მხოლოდ ამბების გადმოცემა, თუ რა და როგორ ხდებოდა ელინისტურ ხანაში. აქ არის პასუხები სხვადასხვა მიმართულებით დასმულ საკვანძო კითხვაზე: „რატომ“?

მიუხედავად იმისა, რომ „ბერძნული ცივილიზაცია“ არის ნამდვილად პოპულარული, საზოგადოების ფართო ფენებისთვის განკუთვნილი წიგნი, რომელიც გვაცნობს და გვაყვარებს ანტიკურ სამყაროს, იმავდროულად ეს არის რისმაგ გორდეზიანის ორიგინალური **მეცნიერული** ნაშრომიც. ერთი მხრივ, მასში თავმოყრილია მსოფლიო მეცნიერების აღმოჩენები და მიღწევები, ანტიკური ცივილიზაციის ძირითადი თავისებურებები და კანონზომიერებები, სიძველეთმცოდნეობის ევოლუციის ანალიტიკური ხაზი, ხოლო, მეორე მხრივ, ის წარმოგვიდგენს ქართველი მეცნიერის პირად წვლილს კლასიკური ფილოლოგიის განვითარების პროცესში. პირველ ტომში მო-

ცემულია რისმაგ გორდეზიანის საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერული მიდგომები და აღმოჩენები წინაბერძნულისა და ქართველურის ურთიერთმიმართების, ჰომეროსის ეპოსის შესახებ. სიმართლე გითხრათ, მესამე ტომში არ ველოდი ბატონი რისმაგის ორიგინალურ, ანუ პირად სამეცნიერო ნააზრევს, თუმცა შევცდი. ორ ქვეთავში – „ლიტერატურული ტექსტით თამაშის ექსპერიმენტები“ და „ფიგურული ლექსები“ – აისახა რისმაგ გორდეზიანის ერთ-ერთი ბოლო სამეცნიერო ნაშრომი „ინოვაცია, ფორმალიზმი, ავანგარდი ანტიკურ ლიტერატურაში“, სადაც მკვლევარმა ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად შემოგვთავაზა ანტიკური ლიტერატურის ამ მნიშვნელოვანი ასპექტების ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი. და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე თავში – „გვიანანტიკურობა როგორც კულტურის ისტორიის პერიოდი“ – რისმაგ გორდეზიანმა წარმოგვიდგინა საკუთარი ხედვა გვიანანტიკურობის გააზრებასა და პერიოდიზაციასთან დაკავშირებით. ასევე ყურადსაღებია მოსაზრებები ორატორული ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესახებ, რასაც ვხვდებით თავში „აქტიურიდან სასკოლო მჭევრმეტყველებამდე“. სწორედ მსოფლიო მეცნიერების მიღწევების შერწყმა საკუთარ მეცნიერულ მიგნებებთან არის ის, რაც „ბერძნულ ცივილიზაციას“ ამ ტიპის ბევრი საერთაშორისო ანალოგისგან გამოარჩევს, საქართველოში კი მას ანალოგი უბრალოდ არ აქვს.

საყოველთაოდ არის აღიარებული ანტიკურობის თანამედროვეობა და აქტუალობა, თუმცა ანტიკური სამყაროს შესახებ დაწერილი წიგნი შეიძლება ყოველთვის აქტუალური არ იყოს. „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი ამ მხრივაც გა-

მორჩეულია. მხოლოდ ორ კონკრეტულ მაგალითს დავასახელებ. იგი **აქტუალურია**, რადგან წარმოგვიდგენს ანტიკური ლიტერატურისა და აღმზრდელობითი თეორიების მნიშვნელობას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი და პედაგოგიური პრობლემატიკის კონტექსტში. ჩემი ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ორ ფრაგმენტს: „ბერძნების მიერ შემუშავებული აღზრდის პრინციპები გარკვეული სახესხვაობებით ჯერ რომის იმპერიაში, შემდეგ ბიზანტიაში, რენესანსულ და პოსტრენესანსულ, გარკვეულწილად კი თანამედროვე ევროპაშიც აგრძელებს არსებობას“ („ბერძნული ცივილიზაცია“, მესამე ტომი, გვ. 86). „ფიგურული ლექსების შექმნის ტრადიცია არ შეწყვეტილა არც შუა საუკუნეებში, რენესანსისა და პოსტრენესანსულ ევროპაში. ახალი სიცოცხლე ფიგურულმა ლექსებმა აპოლინერის კალიგრამებში შეიძინა, ხოლო ე.წ. კონკრეტულ პოეზიაში ტექსტის ფორმით ფიგურულ მანიპულაციებს უკვე ახალი დროის ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი მიმართულების ხასიათი მიეცა“ (იქვე, გვ. 221). რისმაც გორდეზიანის „ბერძნული ცივილიზაცია“ წარმოგვიდგენს ანტიკური სამყაროს მნიშვნელობას და აქტუალობას სხვადასხვა დარგის სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის პროცესში.

უკვე ვახსენე ტერმინი „ორიგინალური“ როგორც მეცნიერის ინდივიდუალური, პირადი მიგნებისა თუ აღმოჩენის მახასიათებელი. კვლავ მინდა ამ ეპითეტის გამოყენება, ოღონდ მისი სხვა მნიშვნელობით. „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი არის **ორიგინალური**, ანუ განსხვავებული და თვითმყოფი, გამორჩეული, მაგალითად, მისი შემადგენელი თავებისა და ქვეთავების ძალიან ოსტატურად შერჩეული სათაურებით. თითოეული თავის სახელწოდება არის არა მშრალი ფრაზა,

არამედ შესაბამისი თავისა თუ ქვეთავის რეზიუმე. ანუ სათაური თავად არის მეტყველი და სხარტად, ერთ წინადადებაში გადმოგცემს ელინისტური პერიოდის შესაბამისი სფეროს არსს. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებ: „მოქანდაკეების პერსონაჟები მიწაზე ეშვებიან“, „მომრავლებული ფილოსოფიური მიმართულებები“, „ახალი ქალაქები და ძველის ახალი სიცოცხლე“, „აქტიურიდან სასკოლო მქვერმეტყველებამდე“ და სხვ.

კიდევ ერთი მახასიათებელი, რაზეც მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო, გახლავთ ის ეფექტი, რომელსაც „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი ახდენს. ეს არის ძალიან **შთამბეჭდავი** გამოცემა, როგორც შინაარსით, თემატიკისა და პრობლემატიკის მასშტაბით, ისე ვიზუალურად – მასში შესულია ძალიან მაღალი ხარისხის 190-მდე ილუსტრაცია, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის არა მხოლოდ ავტორს, არამედ სულაკაურის გამომცემლობასაც.

„ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი არის ერთგვარად **„შემაჯამებელი“** გამოცემა, რომელიც აგვირგვინებს, აჯამებს ბერძნული სამყაროს, ბერძნული კულტურის მიერ მრავალი საუკუნის მანძილზე განვლილ გზას და იმავდროულად ქმნის საფუძველს შემდგომი პერიოდის არა მხოლოდ ანტიკური, არამედ დასავლური და აღმოსავლური სამყაროების სიღრმისეულად და ანალიტიკურად გასააზრებლად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოვყოფდი ბოლო თავს, „გვიანანტიკურობა როგორც კულტურის ისტორიის პერიოდი“, როგორც ათვლის წერტილს ისეთ თემებზე სამსჯელოდ, როგორიცაა ევროპა/აზია, ინტეგრაცია/დეზინტეგრაცია და სხვ., რომელთა

აქტუალობაც არა თუ იკლებს, არამედ სულ უფრო და უფრო იზრდება.

ზემოთქმულიდან აშკარაა „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომის გამორჩეულობა, თუმცა აუცილებელია შეჯამების სახითაც ითქვას რატომ არის ეს წიგნი **უნიკალური**: ეს არის ერთადერთი ნაშრომი, რომელიც სრულყოფილად, როგორც დესკრიფციულად, ისე ანალიტიკურად, იმავდროულად ინტერდისციპლინურად წარმოგვიდგენს ელინისტურ პერიოდს და ეფუძნება არა მხოლოდ სხვა მეცნიერთა ნააზრევს, არამედ თავად ავტორის ორიგინალურ სამეცნიერო ნაშრომებს.

დაბოლოს, რატომ არის „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი **4D განზომილების?** სამივე ტომს პირობითად აერთიანებს შემდეგი სამი განზომილება: განათლება, მეცნიერება, ანტიკური და, კერძოდ, ბერძნული სამყაროს პოპულარიზაცია... რა შეიძლება იყოს მეოთხე განზომილება? ჩემი აზრით, ეს გახლავთ პოზიტიური ფსიქოლოგია (თუ ფსიქოთერაპია) და ე.წ. ქოუჩინგი, რაც ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული და საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია. შევეცდები განვმარტო ჩემი მოსაზრება. პოზიტიური ფსიქოლოგია ცდილობს გახსნას ადამიანის ბუნებრივი შესაძლებლობები და დაეხმაროს მას სრულყოფილი ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვებაში, სამყაროს პოზიტიური ასპექტების გააზრებაში, ხოლო ქოუჩინგი ეხმარება ადამიანებს მოტივაციის ამღლებებაში, საკუთარი პოტენციალის გამოყენებასა და, რაც მთავარია, გამოწვევების დაძლევაში. „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომი დაიწერა ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გადალახვის შემდეგ, პანდემიისა და ლოქდაუნის პირობებში, ანუ მაშინ, როცა სამყარო თითქოს შეფერხდა და მისი განვი-

თარება დროებით შეჩერდა. „ბერძნული ცივილიზაციის“ მესამე ტომმა შეასრულა პოზიტიური ფსიქოლოგიის/ფსიქოთერაპიისა და ქოუჩინგის როლი. მან მოგვცა სტიმული, მოტივაცია და კონკრეტული მაგალითი, როგორ არ უნდა შევეუშინდეთ დაბრკოლებებს, რომ ემერიტუსობა შემოქმედებითი და მეცნიერული წარმატებების მხოლოდ დასაწყისია და პანდემია არის კრიზისი, რომელიც შეიძლება შესაძლებლობად იქცეს.

„ბერძნული ცივილიზაციის“ პირველი და მეორე ტომები ჩემი თაობისთვის ემოციურად ძალიან ძვირფასი იყო, რადგან გვახსენებდა 90-იანებს, ჩვენი ცხოვრების რთულ, მაგრამ ძვირფას წლებს. მესამე ტომთანაც ემოციური ბმა გვექნება, რადგან ყოველთვის პანდემიასა და ლოქდაუნს გაგვახსენებს და თან ყოველთვის შეგვახსენებს, რომ ნებისმიერი კრიზისი რეალური საქმეებით დაიძლევა.

ირინე დარჩია,

თსუ, ასოცირებული პროფესორი
ევროკომისიის უმაღლესი განათლების ექსპერტი



თანამშენები

ნიკოს კაზანძაკისი

ღვთის გლახა

ვფიცავ, სიმართლე ვთქვა. შეეწიე, უფალო, ჩემს მეხსიერებას, გამინათე, უფალო, გონება, ზედმეტი სიტყვის თქმა არ დამანებო. წამოდექით, უმბრიის მთებო და ველებო, დამემოწმენით! ქვებო, რომლებსაც მისი მოწამებრივი სისხლი გესხურათ; იტალიის მტვრიანო, ტალახიანო გზებო; ბნელო გამოქვაბულებო, თოვლით დაფარულო მწვერვალებო; ხომალდო, რომელმაც იგი ველურ აღმოსავლეთში წაიყვანე; კეთროვანებო, მგლებო და ყაჩაღებო; თქვენც, ჩიტებო, რომლებსაც მისი ქადაგება მოგისმენიათ, წამოიშალეთ. ძმა ლეონეს თქვენი შემწეობა სჭირდება, მოდით, მხარში ამომიდექით, სიმართლის თქმაში დამეხმარეთ, სრული სიმართლისა, ჩემი სულის ხსნა ამაზე ჰკიდია.

ვკანკალებ, რადგან ხშირად სიმართლე ტყუილისგან ვერ გამირჩევია. წყალივით მიედინება ჩემს გონებაში ფრანცისკე, სახეს იცვლის, ვერ ვახერხებ მის გამყარებას: ტანმორჩილი იყო თუ ახოვანი, არ შემძლია გულზე ხელი დავიდო და დანამდვილებით ვთქვა. ბევრჯერ მომეჩვენა დაჩამიჩებული, უსახური, გაძვალტყავებული, გაქუცულ წაბლისფერწვერიანი, სქელ ჩამოფლამულლაშებიანი, კურდღელივით დიდ, ბანჯგვლიან აცქვეტილყურებიანი, რომელიც ხილულსა და უხილავ სამყაროს აყურადებდა. თუმცა ხელები დახვეწილი

ჰქონდა, თითები – ჩამოქნილი, თითქოს დიდი ჯიშიდან მოჰყვებოდა. მაგრამ როცა ლაპარაკობდა, ლოცულობდა ან ეგონა, რომ მარტო იყო, მისი სხეული ზეციურ ცეცხლს აფრქვევდა, წითელფრთიან მთავარანგელოზად გარდაისახებოდა და ჰაერში ფრთებს შეაფრთხილებდა. ღამე თუ იყო, შეშინებული გვერდზე გავბტებოდი ხოლმე, რომ არ დავეფრფლილიყავი.

– ძმაო ფრანცისკე, – ვეძახდი, – ცეცხლი ჩააქრე, თორემ სამყაროს გადაბუგავ!

თავს თუ ავწევდი, ვხდავდი მშვიდი, მღიმარი როგორ მიახლოვდებოდა. მის სახეს კვლავ ადამიანური სიტკბო, სიმწარე და უბრალოება დაბრუნებოდა.

ერთხელ, მახსოვს, ვკითხე:

– ძმაო ფრანცისკე, როგორ გეცხადება ღმერთი სიბნელეში მარტო დარჩენილს?

მან კი მიპასუხა:

– ერთ ჭიქა ცივ წყლად, ბერო ლეონე, ჭიქა უკვდავების წყლად. როცა მწყურია, მას ვსვამ და მარადიულ წყურვილს ვიკვავ.

– ღმერთი ერთი ჭიქა ცივი წყალივითაა? – განცვიფრებულმა შევძახე.

– აბა, რა გგონია, ბერო ლეონე, რატომ გიკვირს? ღმერთზე მარტივი, გრილი და კაცის ბაგისათვის უფრო შესაფერისი რამ არ არსებობს.

რამდენიმე წლის შემდეგ კი სულამორთმეული ფრანცისკე, – ერთი ბლუჯა თმა და ძვლებიდა რომ დარჩენილიყო, ხორცი კი საერთოდ აღარ შერჩენოდა, – დაიხარა და ძმებისგან ფარულად, აკანკალებულმა მითხრა:

– ხანძარია ღმერთი, ბერო ლეონე, და წვავს. ჩვენც მასთან ერთად ვიფერფლებით.

ჩემი მოკლე ჭკუით დანამდვილებით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: ფეხზე მდგომიც კი მიწიდან თავამდე დაბალი იყო, თავიდან და ზემოთ – თვალშეუდგამი.

ორი რამ კარგად დამამახსოვრდა მისი სხეულიდან: ფეხები და თვალები. მათხოვარი ვიყავი, მთელი ცხოვრება უპოვართა შორის გავატარე, ათასობით ფეხი მინახავს, რომლებიც მთელი თავიანთი ცხოვრება შიშველი დადიოდნენ ქვებზე, მტვერში, ტალახში და თოვლზე, მაგრამ ასე გატანჯული, ნაიარევი, სუსტი, გზისგან შეჭმული, იარებით სავსე, შიგადაშიგ სისხლმდინარი ფეხები არასოდეს მინახავს. ხანდახან, როცა მამა ფრანცისკეს ეძინა, მალულად ვიხრებოდი და ვუკოცნიდი, თითქოს ადამიანის მთელს ტკივილს ვემთხვეოდი.

ახლა მისი თვალები! როგორ შეეძლო ადამიანს ისინი ერთხელ მაინც დაენახა და დაევიწყებინა? დიდი, შავი, ნუშივით თვალები ჰქონდა. იტყოდ: ამაზე თვინიერი, თბილი თვალები არასოდეს მინახავსო, თქმასაც ვერ მოასწრებდი, ეს თვალები ორ ღია სარკმლად გადაიქცეოდა და აღმოდებულ შიგანს – გულს, თირკმლებს, ფილტვებს – დაუნახავდი. ხშირად გიყურებდა და ვერ გხედავდა. რას უყურებდა? არც შენს კანსა და სხეულს, არც შენს თავსა და თავის ქალას. ერთ დღეს სახეზე ხელისგული მომითათუნა, თვალები ღმობიერებითა და სიტკბოთი ჰქონდა სავსე.

– მომწონხარ, ბერო ლეონე, რადგან მატლებს ნებას აძლევ, შენს ტუჩებზე, შენს ყურებზე იარონ და არ იფერთხავ.

– ვერ ვხედავ, ძმაო ფრანცისკე! რა მატლები?

– ნამდვილად ხედავ, როცა ლოცულობ ან მძინარეს სამოთხე გესიზმრება. მათ ხედავ, მაგრამ არ ყრი, რადგან კარგად იცი, ბერო ლეონე, რომ ისინი ღვთის, დიდი მეუფის, გამოგზავნილები არიან. ღმერთი ზეცაში ქორწილს იხდის და მათ ჩვენს დასაპატიჟებლად გზავნის: „დიდი მოკითხვაო, გვითვლის, დიდი მეუფისგან. მობრძანდით, გელითო!“

როცა ადამიანებთან იყო, იცინოდა, უკრავდა, მოულოდნელად ზეზე წამოვარდებოდა ხოლმე და ცეკვას იწყებდა. ორჯოხს იღებდა, ვითომ ვიოლინოს უკრავდა და ღმერთზე თავის შეთხზულ სიმღერებს ასრულებდა. ამას ნამდვილად ადამიანების გასამხნეველად აკეთებდა. კარგად უწყოდა, რომ სული იტანჯება, რომ სხეულს შია, რომ ადამიანი ვერ უძლებს... მაგრამ მარტოდმარტო დარჩენილი ტირილს იწყებდა, გულში მჯიღს იცემდა, ჭინჭრებსა და ეკლებზე გორავდა, ზეცისკენ ხელაპყრობილი ყვიროდა: „მთელი დღე სასოწარკვეთილი გემიებ, მთელი ღამე, მძინარეც, გემიებ; როდის შევხვდებით ერთმანეთს განთიადზე, ღმერთო ჩემო!“

ერთხელ გავიგონე, თვალებით ზეცას მიშტერებული როგორ გაჰყვიროდა:

– სიცოცხლე აღარ მინდა, განმმარცვე, უფალო, სხეულისგან გამათავისუფლე, წამიყვანე!

დილით, ალიონზე, როცა ფრინველები გალობას ისევ იწყებდნენ ან როცა შუადღისას ტყის გრილ ჩრდილში ეშვებოდნენ, ანდა ღამით, ვარსკვლავებისა თუ მთვარის შუქზე, გამოუთქმელი ნეტარებისგან ჟრუანტელი უვლიდა და თვალცრემლიანი შემომცქეროდა.

– ბერო ლეონე, – მეუბნებოდა, – ეს რა სასწაულია? ვინ იყო ის, ვინც ასეთი სილამაზე შექმნა? რა უნდა ვუწოდოთ მას?

– ღმერთი, ძმაო ფრანცისკე, – მივუბე.

– ღმერთი არა, ღმერთი არა, – წამოიყვირა, – არა, მძიმეა ეს სახელი, ძვლებს ამტვრევს. ღმერთი არა, მამა!

ერთ ღამეს, როცა ბადრი მთვარე ზენიტში ასულიყო და მთელი მიწა ჰაერში მსუბუქად ლივლივებდა, ფრანცისკე ასიზის ქუჩებში დაბორიალობდა, თვალებს აცეცებდა, მაგრამ ვერავის ხედავდა სახლების ზღურბლზე მდგომს, რომ მისთვის დიდი სასწაული ეხარებინა. წამოვარდა, ეკლესიის სამრეკლოზე აბობლდა და განგაშის ზარი დაარისხა. მძინარე ადამიანები თავზარდაცემულები წამოცვივიდნენ, ხანძარი ეგონათ და ნახევრად შიშვლები წმინდა რუფინუსის ტაძრის ეზოში მოცვივდნენ, ხელში კი ფრანცისკე შერჩათ, რომელიც ზარებს გადარეული რეკდა.

– რატომ რეკ ზარებს, – დაუყვირეს მას, – რა მოხდა?

– აიხედეთ, ჩემო ქრისტიანებო, – სამრეკლოდან ჩამოსძახა მათ ფრანცისკემ, – მთვარეს შეხედეთ!

ასეთი იყო, მომეჩვენა, რომ ასეთი იყო ნეტარი ფრანცისკე. ამას ვწერ, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ. საიდან უნდა ვიცოდე, როგორი იყო? ვინ იყო? ან თავად კი უწყოდა, განა? მახსოვს, ზამთრის ერთ დღეს პორციუნკოლას ზღურბლზე იდგა და მზეს ეფიცებოდა. ერთი ახალგაზრდა მიადგა და წინ აეტუზა.

– სად არის ფრანცისკე, ბერნარდონეს ვაჟი, – იკითხა აქომინებულმა, – სად არის ახალი წმინდანი, რომ ფეხებში ჩავუვარდე? უკვე თვეებია, გზათა უკან დავწანწალებ და ვეძებ. ქრისტეს სიყვარულით, ძმაო ჩემო, მითხარი, სად არის?!

– სად არის ფრანცისკე, ბერნარდონეს ვაჟი? – მიუგო მან თავის ქნევით. – სად არის ფრანცისკე, ბერნარდონეს ვაჟი? რა

არის ფრანცისკე? ვინ არის ფრანცისკე? მეც ვეძებ მას, ძმაო ჩემო, უკვე წლებია, ვეძებ. ხელი მომეცი, წავიდეთ, მოვძებნოთ!

წამოდგა, ახალგაზრდას ხელი ჩასჭიდა და გზას გაუდგინა.

საიდან უნდა მცოდნოდა იმ ღამეს, როცა მას პირველად შევხვდი ასიზიში, ეს ჭაბუკი მომავალში რა დადგებოდა. მაშინ თავის ქალბატონს უმღეროდა, ქუდში კი გრძელი მეწამული ფრთა ჰქონდა გარჭობილი! მტკიცედ ჩამჭიდა ხელი, სწრაფად გავეშურეთ ქალაქისკენ, ბერნარდონეს სასახლეს მივადექით.

სუნთქვაშეკრულები შევედით, რომ ურჩხულს ჩვენი ხმა არ გაეგონა. სუფრა გამიწყო და შევჭამე, ლოგინი გამიშალა და დავიძინე. დილაუთენია გავიღვიძე, ჭიშკარი ნელა გამოვადე და გარეთ გავსრიალდი. კვირა დღე იყო, წმინდა რუფინუსის ეკლესიაში დიდი ღვთისმსახურება იმართებოდა, სამათხოვროდ წავედი.

ქვის ლომს მოვაჯექი, ეკლესიის შესასვლელშივე, მარჯვნივ რომ დგას. ველოდი, რომ ბევრი ქრისტიანი მოვიდოდა. კვირა დღის სული გამეფებულები, გონებაში ჯოჯობეთი და სამოთხე უტრიალებდათ და შეშინებულები, იმედიანები თავიანთ ქისებს უპოვართ უხსნიდნენ.

ქუდი მოვიხადე, შიგადაშიგ მონეტები წკარუნით ცვიოდა შიგ. ერთი გამოჩურჩუტებული დიდებული დედაბერი დაიხარა და მკითხა, ვინ ვიყავი, საიდან მოვდიოდი და მისი ვაჟი ხომ არ მენახა, რომელიც სიენის მხედრებს, იმ წყეულებს, ომში წაეყვანათ.

მაგრამ იმ წამს, პასუხის გაცემა რომ დავაპირე, აგერ, ბატონი ბერნარდონე, ფრანცისკეს მამაც, გამოჩნდა. მას კარგა ხანია

ვიცნობდი, მოწყალება ჩემთვის არასოდეს მოუცია: „ხელ-ფეხი გაქვს, – შემომყვირებდა, იმუშავე“.

– ღმერთს ვთხოვ, – მივუგე ერთ დღესაც.

– ვაი, შენს პატრონს! – გაისმა მისი მჭექაჟე ხმა და მისი მსახურები სიცილისგან გადაბჟირდნენ.

თავის ცოლთან, ქალბატონ პიკასთან ერთად გამოჩნდა. ნე-ლი ნაბიჯით, ბატონკაცურად მოდიოდა ეკლესიაში წირვაზე დასასწრებად. ღმერთო, ეს რა ჯურის ნადირი იყო! აბრეშუმის გრძელი, მუქი ალუბლისფერი ვერცხლისფერყაითანმოვლებული მოსასხამი ეცვა, შავი ხავერდის ქუდი ეხურა, ჭვინტიანი შავი ფეხსაცმელი ეცვა, მარცხენა ხელი აეწია და ოქროს ჯაჭვით გულზე ჩამოკიდებულ ჯვარს ათამაშებდა. ჯმუხი, ძვალმსხვილი, ახმახი იყო, ფართო ნიკაპი, ორმაგი ღაბაბი, ფართო, კეხიანი ცხვირი, ნაცრისფერი, ცივი, ქორივით თვალები ჰქონდა.

მის დანახვაზე მოვიბუზე, გორგალს დავემსგავსე, რომ, ემანდ, თვალი არ მოეკრა ჩემთვის. ძვირფასი საქონლით – აბრეშუმით, ხავერდით, ოქროს ყაითნებითა და საოცარი ნაქარგობით – უზომოდ დატვირთული ხუთი ჯორი მოსდევდა უკან. ხუთი შეიარაღებული გამცილებელი მიუძღოდა წინ, რადგან ქუჩები ავაზაკებით იყო სავსე. ასე, თავისი საქონლით მოდიოდა ბერნარდონე ეკლესიაში, რათა ისინიც დასწრებოდნენ წირვას, წმინდანს ისინი ხატიდან დაენახა და, საფრთხეში თუ ჩაცვივდებოდნენ, ეცნო. ბერნარდონეც მის წინ მუხლს მოიყრიდა, როგორც ყოველი მგზავრობის წინ სჩვეოდა, და წმინდანს შეევაჭრებოდა: – მომეცი, რათა მოგცე, დაიცავი ჩემი საქონელი და ფლორენციიდან ვერცხლის კანდელს ჩამოგიტან,

მძიმეს, მოჩუქურთმებულს, რომ სხვა წმინდანებს შენი შემურდეთ, წინ რომ შუშის კანდელები უკიდიათ...

მის გვერდით, მუცელზე ხელებდაკრეფილი, ამაყად მოსიარულე, მხერადახრილი, ზღვისფერი აბრეშუმის პირბადეჩამოფარებული, მისი ცოლი, ფრანგი ქალბატონი პიკა, მოდიოდა. ლამაზი, სიცოცხლით სავსე, ტკბილი ადამიანი იყო. სახეზე ეწერა, რომ მოწყალებას გასცემდა. ხელი გაუწოდებდა, მაგრამ არ დავუნახავვარ. ან ვერ დამინახა, ან თავის გვერდით მდგომი გველემაპის შიშით ჩემთვის მოწყალების მოცემა ვერ გაბედა. ორივემ ზღურბლს გადააბიჯა, ეკლესიაში კარიბჭიდან შევიდნენ და გაუჩინარდნენ.

წლების შემდეგ, ერთ დილას, როცა სიყვარულის საქადაგებლად სოფელ-სოფელ ჩამოვიარეთ, ფრანცისკეს თავისი მშობლები გაახსენდა და ამოიოხრა:

– ეჰ, ჯერაც ვერ შევძელი მათი შერიგება... – ჩაიჩურჩულა.

– ვისი? ვისზე ლაპარაკობ, ძმაო ფრანცისკე?

– მამაჩემსა და დედაჩემზე, ბერო ლეონე. რაც თავი მახსოვს, ისინი გამუდმებით იბრძვიან ჩემში. იცოდე, ეს ბრძოლაა, შეიძლება განსხვავებული სახელები მოირგონ – ღმერთი და ეშმაკი, სული და ხორცი, კარგი და ავი, ნათელი და ბნელი – მაგრამ მაინც დედაჩემი და მამაჩემი არიან. მამაჩემი ყვირის ჩემში: „მოიგე, გამდიდრდი, ოქრო გადაიხადე, საგვარეულო გერბი შეიძინე, ბატონი გახდი, მხოლოდ მდიდრები და ბატონები არიან ამ სამყაროში ცხოვრების ღირსნი. კეთილი ნუ იქნები, თორემ დაიღუპები. კბილი თუ ჩაგიმტვრიეს, ყბა გაუტეხე, სხვებს შენდამი სიყვარული კი არა, შიში მოსთხოვე. არ აპატიო, დაარტყი!“ დედაჩემის ხმა კი კანკალებს ჩემში, შემკრთალი ჩამჩურჩულეებს, რომ მამაჩემმა არ გაუგონოს: „კეთი-

ლი იყავი, ჩემო ფრანცისკე, დამილოცნიხარ. ღარიბები, მდაბიოები, უსამართლოდ დაჩაგრულები გიყვარდეს. რამე დაგიშავეს? აპატიე!“ დედაჩემი და მამაჩემი იბრძვიან ჩემში, მთელი ცხოვრება ვცდილობ მათ შერიგებას. არ რიგდებიან, ბერო ლეონე, და ამის გამო ვიტანჯები.

მართლაც, სენიორ ბერნარდონე და ქალბატონი პიკა ფრანცისკეს მკერდში შეერთებულიყვნენ და აწამებდნენ მას. ვაჟის მკერდის გარეთ კი ცალ-ცაკლე სხეულები ჰქონდათ და ამ კვირა დღეს ეკლესიაში წირვაზე დასასწრებად გვერდიგვერდ მოაბიჯებდნენ.

თვალები დავხუჭე, ეკლესიიდან ბავშვების ხალასი ხმები მესმოდა, გალობდნენ. ჰარმონია იღვრებოდა მაგალობელთა კუთხიდან და ჰაერში ლივლივებდა. „ეს არის ხმა ღვთისა, – ვფიქრობდი, – ეს არის ხმა ერისა, მკაცრი და ყოვლისშემძლე...“ თვალდახუჭული ვუსმენდი, ბედნიერი ვიყავი და ასე, მარმარილოს ლომზე გადამჯდარს, მომეჩვენა, რომ ამხედრებული შევდიოდი სამოთხეში. ტკბილი გალობა, გუნდრუკი, თოფრაში კი – პური, ზეთისხილი და ღვინო, სხვა რა გგონიათ სამოთხე? ღმერთმა მომიტევეს, მაგრამ ის, რასაც ბრძენი ღვთისმეტყველები ფრთებზე, სულიწმიდაზე და სხეულისგან განმარცვულ სულებზე ყვებიან, არ მესმის. ძირს ერთი ნამცეციც რომ დაეცეს, ვიხრები, ვაგროვებ და ვემთხვევი, რადგან, დანამდვილებით ვიცი, ეს ნამცეცი სამოთხის ნაწილია... მაგრამ ამის გაგება მხოლოდ მათხოვარს შეუძლია და მეც მათხოვრებს ველაპარაკები.

მაშინ, მარმარილოს ლომზე ამხედრებული სამოთხეში რომ დავსერიწობდი, ჩრდილი დამეცა. თვალები გავახილე, ჩემ წინ ფრანცისკე იდგა. ღვთისმსახურება დასრულებულიყო, ჩამძი-

ნებოდა, ძვირფასი საქონლით დატვირთული ჯორები ეკლესიის ეზოდან გამქრალიყვნენ.

ჩემ წინ ფერმკრთალი, თავზარდაცემული ფრანცისკე იდგა. ტუჩები უთრთოდა, თვალები ხილვებით ჰქონდა სავსე. მისი ხრინწიანი ხმა გაისმა:

– წამოდი, მჭირდები.

წინ გამიძღვა, სადაფისტარიან ხელჯოხს ეყრდნობოდა, შიგადაშიგ კედელს ეყუდებოდა, მუხლი ეკვეთებოდა. მომიბრუნდა.

– ავად ვარ, – მითხრა, – ამიყვანე, შინ წავიდე, დაწოლა მინდა. ჩემთან დარჩი, რაღაც უნდა გკითხო.

აკრობატებს მოედანზე ბოძები უკვე ჩაერჭოთ და ბაგირები გაეჭიმათ. ჭრელაჭრულა ტანსაცმელში გამოწყობილებს წითელი წოპწოპინა ზანზალაკიანი ქუდები ეხურათ. კვირა დღე იყო, თავიანთი ხელოვნების ჩვენებასა და გასამრჯელოს თხოვნას აპირებდნენ. ქალებსა და ბერიკაცებს მიწაზე მოერთხათ ფეხი, კალთაში კალათები ჩაეწყოთ და წიწილებს, კვერცხს, ყველს, ავადმყოფთათვის სამკურნალო მცენარეებს, ჭრილობებისთვის მალამოებსა და ავი თვალისგან დასაცავად ავგაროზებს ყიდდნენ. ერთ ეშმაკ ბერიკაცს თეთრი თავვი ჰყავდა გალიაში და ბედზე მკითხაობდა.

– სენიორ ფრანცისკე, – ვუთხარი, – მოიცადე, ბედზე იმკითხავე. გაგონილი მაქვს, ეს თავგები სამოთხიდან მოდიანო. იცოდე, იქაც არიან თავგები, ამიტომ არიან თეთრები და უამრავი საიდუმლოც ამიტომ იციან.

ფრანცისკეს ხელი ჩაეჭიდა ერთი ბოძისთვის, ძლივს სუნთქავდა. ხელი მოვხვიე, სენიორ ბერნარდონეს თავადურ სახლს მივადექით.

ღმერთო ჩემო, როგორ შეუძლიათ, მდიდრებს სიკვდილი! რა მარმარილოს კიბე იყო, რა ოქროსკამარიანი ოთახები, რა სელისა და აბრეშუმის ზეწრები! ფრანცისკე მივიყვანე, ლოგინში ჩავაწვინე. ქანცგამოლეულმა თვალები მაშინვე დახუჭა.

ვხედავდი მის ფერმკრთალ სახეზე ჩრდილებისა და ელვის მოძრაობას. ქუთუთოები უთრთოდა, თითქოს ძლიერი შუქი ტკივილს აყენებსო. გუმანით მის თავზე უხილავ, შიშისმომგვრელ არსებას ვგრძნობდი.

ბოლოს წამოიყვირა, თვალები დააჭყიტა და თავზარდაცემული ლოგინში წამოჯდა. მივირბინე, ზურგსუკან ბუმბულის ბალიში ჩავუდე, რომ მიყრდნობოდა. პირი გავაღე, მინდოდა მეკითხა, რა სჭირდა, ვისი შეეშინდა, მაგრამ ხელი გამოიწოდა და პირზე ამაფარა.

– გაჩუმდი! – ჩაიჩურჩულა.

ბუმბულის ბალიშში ჩაეფლო, კანკალებდა, მიბნედილი თვალები გადაატრიალა. შეშინებული ჩაჰყურებდა თავის შიგანს და ნიკაპი უცახცახებდა.

მაშინვე მივხვდი.

– ღმერთი დაინახე, – შევეყვირე, – ის დაინახე!

მკლავში მტაცა ხელი:

– საიდან იცი? – მკითხა გულამოვარდნილმა. – ვინ გითხრა ეს?

– არავინ, მაგრამ ვხედავ, როგორ კანკალებ და მივხვდი. ასე მხოლოდ ის კანკალებს, ვინც მოულოდნელად ლომს ან ღმერთს გადაწყდება.

თავი ბალიშიდან წამოსწია:

– არა, არ მინახავს, – ჩაიბურღლუნა, – მისი ხმა გავიგონე.

დამფრთხალმა ირგვლივ მიმოიხედა.

– დაჯექი, – მითხრა, – ხელი გასწიე, ნუ შემეხები!

– არ გეხები, შენთან შეხების მეშინია. იმ დროს რომ შეგხე-
ბოდი, ჩემი ხელი ფერფლად იქცეოდა.

თავი გაიქნია, გაიღიმა, თვალეზში ნაპერწკლები აუციმციმ-
და.

– რაღაც მინდა გკითხო, – მითხრა, – დედაჩემი წირვიდან
დაბრუნდა?

– ალბათ, ჯერ ისევ თავის მეგობრებს ესაუბრება.

– ჯობს, კარი დაკეტო.

დადუმდა და ცოტა ხანში:

– რაღაც მინდა გკითხო, – გამიმეორა.

– შენს განკარგულებაში ვარ, თავადიშვილო, მკითხე.

– შენ მითხარი, რომ მთელი ცხოვრება ღმერთს ეძიებდი.
როგორ ეძიებდი მას? უხმობდი, ტიროდი, მღეროდი, მარხუ-
ლობდი? თითოეულ ადამიანს ღმერთამდე მისასვლელი საკუ-
თარი გზა ექნება. შენი გზა რომელი იყო? ამას გეკითხები.

ჩაფიქრებულმა თავი დავხარე. ვუთხრა თუ არ ვუთხრა?
ვიცოდი, რომელი იყო ჩემი გზა. ამაზე ბევრჯერ მიფიქრია,
მაგრამ აღიარების მრცხვენოდა. იმ დროს, იცი, ადამიანების
მერიდებოდა, რადგან ღვთისა არ მრცხვენოდა.

– რატომ არ მპასუხობ? – მკითხა ფრანცისკემ ნაღვლიანად,
– რთული დრო მიდგას, დახმარებას გთხოვ, დახმარებას!

შემებრალა, გული ამიფორიაქდა. გადავწყვიტე, მისთვის
ყველაფერი მეამბნა.

– ჩემი გზა, სენიორ ფრანცისკე, უცნაურად კი ნუ მოგეჩვენ-
ება და, ჩემი ღვთისკენ სავალი გზა სიზარმაცე იყო. დიახ,
დიახ, სიზარმაცე. ზარმაცი რომ არ ვყოფილიყავი, მეც ისე გა-
ვატარებდი ცხოვრებას, როგორც ყველა რიგიანი ადამიანი,

მეც რაიმე ხელობას შევისწავლიდი, სახელოსნოს გავხსნიდი, დურგლობას შევუდგებოდი, მთელი დღე ვიმუშავებდი, ვიქორწინებდი და ღვთის სამიებლად დრო აღარ დამრჩებოდა. ეს თივაში ნემსის ძებნაა-მეთქი, ვიტყვოდი. გონება და ფიქრი იქითკენ მექნებოდა მიმართული, პურის ფული როგორ მეშოვა, ბავშვები როგორ გამომეკვება, ცოლთან როგორ მეუფროსა. დიდი საფიქრალია, წყეულიმც იყოს! სადღაა დრო, სადღაა გუნება, სად არის სპეტაკი გული, ღმერთზე რომ იფიქრო?!

მაგრამ ღვთის მადლით, ზარმაცი დავიბადე. მუშაობა მეზარებოდა, ქორწინება, შვილების ყოლა და ტანჯვა-წამების უღელში შებმა მეზარებოდა. ზამთარში მზეზე ვიჯექი, ზაფხულში – ჩრდილში, ღამით კი ჩემი სახლის ბანზე გულადმა გაშხლართული მთვარესა და ვარსკვლავებს შევყურებდი. მთვარისა და ვარსკვლავების ყურებისას კი, როგორ გინდა, რომ გონება ღვთისკენ არ გაგექცეს? ვეღარ ვიძინებდი, ვინ და რატომ შექმნა ეს ყველაფერი, ვფიქრობდი. ვინ და რატომ შემქმნა მე, სად არის ღმერთი, რომ წავიდე, მოვძებნი იგი და ვკითხო? ღვთისმოსაობას, თუ გინდა, ნუ დამიჯერებ, უსაქმურობა სჭირდება, უნდა გეცალოს. დღიურ გასამრჯელოზე მომუშავე მუშა სადამოს ილაჯგაწყვეტილი ბრუნდება შინ. შია, საჭმელს ეცემა, ჭამს, გამალებული ჭამს, ცოლს ეჩხუბება, ბავშვებს სრულიად უმიზეზოდ ურტყამს, რადგან დადლილია და გაღიზიანებული, შემდეგ მუშტებშეკრული იძინებს... წამით შეფხიზლდება, გვერდით ცოლს მოიხელთებს, ეხვევა, კვლავ მუშტებშეკრული იძინებს... ჰოდა, ღვთისთვის დრო სადღა დარჩა? ვისაც სამუშაო არ გააჩნია და ცოლ-შვილი არა ჰყავს, ღმერთზე ფიქრობს, თავდაპირველად ცნობისმოყვარე-

ობის გამო, შემდეგ კი გატაცებით. თავს ნუ აქნევ, სენიორ ფრანცისკე! შენ მკითხე, მე გიპასუხე, უნდა მაპატიო.

– კიდეც ილაპარაკე, ილაპარაკე, ბერო ლეონე, ნუ ჩერდები. მაშ, ეშმაკიც ღმერთს ემსახურება? მაშ, სიზარმაცეც ღმერთს ემსახურება? სიმხნევს მმატებ, ბერო ლეონე, კიდეც ილაპარაკე.

– რა გითხრა, სენიორ ფრანცისკე? დანარჩენი იცი. მშობლებმა მცირე ქონება დამიტოვეს, გავანიავე. აბგა ავიღე, გზას დავადექი და კარდაკარ, მონასტერ-მონასტერ, სოფელ-სოფელ ღვთის საძიებლად დავიძარი. სად არის? ვინ ნახა იგი? სად შემიძლია მისი პოვნა? თითქოს რომელიღაც საშიშ მხეცზე სანადიროდ ვყოფილიყავი გამოსული. ზოგი დამცინოდა, ზოგი ქვებს მესროდა, ზოგი ძირს დამაგდებდა და უმოწყალოდ მირტყამდა, მაგრამ მე კვლავ ზეზე ვდგებოდი, ღვთის ძიებაში კვლავ ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი.

– მერე, იპოვე იგი? – თავზე ფრანცისკეს ქოშინი ვიგრძენი, – იპოვე იგი?

– როგორ უნდა მეპოვა, თავადიშვილო! ყველა ჯურის ადამიანს ვკითხე, ბრძენებს, წმინდანებს, გიჟებს, მეუფეებს, ტრუბადურებს, ასი წლის ბერიკაცებს. თითოეული თითო რჩევას მაძლევდა, თავის ბილიკზე მიმითითებდა: ამას გაუყევო, მეუბნებოდნენ, და იპოვი! თითოეული სხვადასხვა ბილიკს მაჩვენებდა, რომელი უნდა ამერჩია? თავგზა ამებნა. „გზა, რომელიც ღმერთამდე მიდის, – მითხრა ერთმა ბოლონიელმა ბრძენმა, – ცოლ-შვილია, იქორწინე.“ მეორემ, გიჟმა, გუპიოელმა წმინდანმა: „ღმერთი არ ეძებო, მისი პოვნა თუ გინდა; თვალეები დახუჭე, მისი დანახვა თუ გინდა; ყურები დაიხშე, მისი მოსმენა თუ გინდა. მე ასე ვიქცევი“ დამარიგა,

თვალეები დახუჭა, ყურებზე ხელეები აიფარა, მერე გულხელი დაიკრიფა და ატირდა. ერთი ქალი, რომელიც განდევილად ცხოვრობდა ტყეში, ფიჭვების ძირას დედისობილა დარბოდა და ყვიროდა: „სიყვარული! სიყვარული! სიყვარული!“ – მკერდში მჯიღს იცემდა და სხვა პასუხს არ მამლევდა.

ერთ დღეს გამოქვაბულში ერთ წმინდანს მივაგენი, ბევრი ტირილისგან თვალის ჩინი დაშრეტოდა, დაუბანლობისგან კანი მთლიანად ქერცლით დაჰფარვოდა. მან ყველაზე სწორი სიტყვა მითხრა, ყველაზე თავზარდამცემი. რომ მაგონდება, თმა ყალყზე მიდგება.

– რომელი სიტყვა? მისი მოსმენა მინდა! – მითხრა ფრანცისკემ და აკანკალებულმა მტაცა ხელი.

– დავიხარე, მეტანია შევასრულე და ვკითხე: „წმინდაო ასკეტო, ღვთის საძებნელად წამოვედი, გზა მიჩვენე. – გზა არ არსებობს, მიპასუხა, თან ხელჯოხს მიწას ურტყამდა, გზა არ არსებობს! – მაშ, რა ვქნა?! – შევძახე შეშინებულმა. – უფსკრული არსებობს, გადახტი! – უფსკრული?! ეს არის გზა? – შევყვირე. – ეს არის, ყველა გზა მიწაზე დაგვატარებს, ნახტომს – ღმერთამდე ავყავართ. გადახტი! – არ შემოძლია, მამაო! – მაშინ ცოლი შეირთე და დაშვიდდი!“ მომიგო, გამვალტყავებული ხელი გამომიქანა და მკრა. მისი მოთქმა შორიდანაც მესმოდა.

– ყველა ტიროდა? – ჩაიჩურჩულა თავზარდაცემულმა ფრანცისკემ, – ყველა? ვინც ღმერთი იპოვა და ვინც ვერ იპოვა?

– ყველა.

– რატომ, ბერო ლეონე?

– არ ვიცი, ყველა!

დავდუმდით. ფრანცისკეს ახლა სახე ბალიშში ჩაერგო და ქოშინებდა. მეც სანუგეშებლად ვუთხარა:

– მომისმინე, სენიორ ფრანცისკე, ასე მგონია, ოდესღაც მისი ნაკვალევი დავინახე. ერთხელ ძლიერ მთვრალი ვიყავი. იგი წამით დავინახე ზურგიდან, ტავერნის კარი გააღო, სადაც ჩემს მეგობრებთან ერთად ვქეიფობდი, და წავიდა. მეორედ წვიმდა, ელავდა, ტყეში მივდიოდი. მოვასწარი და თვალი მისი სამოსის კიდეს მოვკარი, მაგრამ ელვა ჩაქრა, ტანსაცმელი გაუჩინარდა. ეგება და ელვა იყო მისი სამოსი? ერთხელაც, შარშან ზამთარს, ერთ მაღალ მთაზე, თოვლზე მისი ფეხის ნაკვალევს წავაწყდი. ერთმა მწყემსმა გაიარა: „შეხედე, – ვეუბნები, – ღვთის ნაფეხურები!“ მწყემსს გაეცინა: „გონება დაგიკარგავს, ბეჩავო, – მითხრა, – ეს მგლის ნაკვალევია, აქ მგელს გაუვლია.“ არაფერი მითქვამს, რა უნდა მეპასუხა მწყემსისთვის? გონება შეზღუდული აქვს, ცხვრებითა და მგლებით სავსე, ამის მეტს რას მიხვდებოდა! დარწმუნებული ვიყავი, რომ თოვლს ღვთის ნაფეხურები აჩნდა... სენიორ ფრანცისკე, მაპატიე, თორმეტი წელია მას მივდევი, სხვა ვერაფერს მივაგენი.

ფრანცისკემ თავი დახარა, ფიქრებში ჩაიძირა.

ცოტა ხანში კი:

– ვინ იცის, – ჩაიბურღლუნა, – ნუ ოხრავ, ბერო ლეონე, ვინ იცის, ეგებ სწორედ ღვთის ძიებაა ღმერთი!

ამ სიტყვის გაგონებამ თავზარი დამცა, მასაც შეეშინდა და ორივე ხელი სახეზე აიფარა.

– რომელი ეშმაკი ლაპარაკობს ჩემში? – დაიღრინა სასოწარკვეთილმა.

კრინტი არ დამიძრავს, ვკანკალებდი. ღვთის ძიებაა ღმერთი? ვაი, მაშინ!

ორივენი დავდუმდით, ფრანცისკეს თვალები ისევ უკან გადატრიალებოდა, ამოთეთრებული თვალების მეტს ვერაფერს

ვხედავდი: ლოყები ალეწოდა და კბილს კბილზე აცემინებდა. სქელი მატყლის საბანი დავახურე, მაგრამ განზე მოისროლა.

– მინდა, რომ შემცივდეს, შემეშვი! ნუ მიყურებ, თვალი მომარიდე!

წასასვლელად წამოვდექი, მაგრამ სახეზე მრისხანება აღებეჭდა.

– დაჯექი, – მითხრა, – სად მიდიხარ? ასე მარტო მტოვებ განსაცდელში? შენ ილაპარაკე და გულზე მოგეშვა, მეც მინდა ლაპარაკი, რომ შვება მეც ვიგრძნო. რაზე ფიქრობ? გშია? ჭამე, საკუჭნაო გახსენი და ჭამე, ღვინო დალიე, ჩემს მოსასმენად ძალა მოიკრიბე. მძიმე რამეს გეტყვი, გაძლება უნდა!

– არც ჭამა მინდა, არც სმა, – ვუპასუხე ნაწყენმა, – გგონია, რომ მარტო მუცელი ვარ? მე, რომ იცოდე, მოსმენისთვის დავიბადე. ჰოდა, ილაპარაკე. რაც უნდა მითხრა, გავუძლებ.

– ჭიქა წყალი მომიტანე, მწყურია.

დალია, ბალიშს მიეყრდნო, პირდაღებულმა და ყურებდაცქვეტილმა მიაყურადა. ცარიელ სახლში სიწყნარე გამეფებულყო, ეზოში მამლაცინწამ დაიყვილა.

– ბერო ლეონე, ასე მგონია, ჩვენ ორნილა დავრჩით სამყაროში. სახლში ვინმეს ხმა გესმის? გარეთ? სამყარო დაცარიელდა, ჩვენ ორნილა დავრჩით.

დადუმდა და ცოტა ხანში:

– დიდება შენდა, ღმერთო! – აღმოხდა.

პირჯვარი გადაიწერა და შემომხედა. ვიგრძენი, მისმა მზერამ ჩემი სული როგორ გამსჭვალა.

კვლავ დადუმდა, ხელი გამოიწოდა და მუხლებზე დამადო:

– დამლოცე, მამაო ლეონე, – მითხრა, – ჩემი მოძღვარი ხარ, აღსარებას გაბარებ.

ყოყმანი რომ შემატყო:

– ხელი თავზე დამადე, – ბრძანების კილოთი მითხრა, – ხელი თავზე დამადე, მამაო ლეონე, თქვი: „ღვთის სახელით, აღსარება თქვი, ცოდვილო ფრანცისკე, ბერნარდონეს ძეო. გული ცოდვებით გაქვს სავსე, ამოიფერთხე, რათა შვება იგრძნო!“

ვდუმდი.

– გააკეთე, რასაც გეუბნები! – გამიწყრა.

თავზე ხელი დავადე. ღაღარივით იყო, იწვოდა.

– ღვთის სახელით, – ჩავილულლულე, – აღსარება თქვი, ცოდვილო ფრანცისკე, ბერნარდონეს ძეო, გული ცოდვებით გაქვს სავსე, ამოიფერთხე, რათა შვება იგრძნო!

მაშინ, ჯერ წყნარად, შემდეგ კი ღელავითა და ქოშინით დაიწყო ფრანცისკემ თავისი აღსარება.

– საჭმელი, ღვინოები, ბარბითები, აბრეშუმის ტანისამოსი და წითელი ფრთები იყო ჩემი ცხოვრება აქამდე. მთელი დღე ვვაჭრობდი, არშინით ვზომავდი, ადამიანებს ვატყუებდი, ოქროს ვაგროვებდი, ორივე ხელით ვანიავებდი. ამიტომაც შემარქვეს ხელსაცერა, ღამით კი ვლოთობდი და ვმღეროდი. ასეთი იყო ჩემი ცხოვრება.

მაგრამ გუშინ, შუალამისას, როცა შინ დავბრუნდით და შენ დაწექი და დაიძინე, თავზე რაღაც ჩრდილი დამეცა, სახლი ვეღარ მიტევდა, ვიგულებოდი. კიბეზე ფეხაკრეფით ჩამოვედი, ეზო გადავირბინე, ჭიშკარი ქურდულად გავადე, ქუჩაში გავვარდი. მთვარე გაფერმკრთალებულიყო, ჩასასვლელად გადაწვერილიყო, სიჩუმე გამეფებულიყო. სინათლეები ჩაექროთ, ქალაქს ღვთის უბეში ჩაკრულს ეძინა.

ხელები გავშალე, ღრმად ჩავისუნთქე, ოდნავ გულზე მომეშვა და აღმართს ავუყევი. ვიარე, ვიარე, წმინდა რუფინუსის ეკლესიას ჩავუარე. დაღლილი მარმარილოს ლომს მოვაჯექი, რომელიც ეკლესიის შესასვლელს იცავს. ზუსტად იქ, სადაც დღეს დილით შენ შეგეყარე მათხოვრობისას. ლომს ხელი ფრთხილად გადავუსვი და ხახაში პატარა ადამიანი დავუნახე, რომელსაც ჭამდა და შევძრწუნდი.

რას ნიშნავს ეს ლომი? გავიფიქრე. რატომ დადგეს აქ ეკლესიის კარიბჭის დასაცავად? ვინ უნდა იყოს? ღმერთი? ეშმაკი? ადამიანებს ჭამს. როგორ უნდა გავარჩიო? ვის შეუძლია, მითხრას? ღმერთს? ეშმაკს? მოულოდნელად მარჯვნივაც უფსკრული ვიგრძენი და მარცხნივაც, მე კი შუაში, ორმაგი ქაოსის შუაგულში, ერთი ციდა მიწაზე, ვიდექი და რეტი მესხმოდა. ჩემ ირგვლივ სამყარო ტრიალებდა, ჩემი ცხოვრება ტრიალებდა, დავიყვირე: არავინაა, რომ მომისმინოს? მარტოდმარტო ვარ სამყაროში? ღმერთი სად არის? არ ესმის, ხელი არ აქვს, რომ შემამველოს? თავბრუ მესხმის, ვიქცევი!

ფრანცისკე ლაპარაკისას მკლავებს შლიდა, იგუდებოდა, სუნთქვა უჭირდა. თვალები ზემოთ აღეპყრო და ფანჯრიდან ზეცას შეჰყურებდა. მისთვის ხელის მოკიდება მინდოდა, რომ დამემშვიდებინა, მაგრამ აღელვებული უკან გადახტა.

– შემეშვი, – დაიღრინა, – შემეშვი, ნუ მამშვიდებ.

საწოლის კიდეში მიიკუნტა, ხმა ჩახლეჩოდა, ხრიალებდა:

– მაშინ ხან ღმერთს ვუხმობდი, ხან ეშმაკს. ამ ორთაგან ვინც გინდა ყოფილიყო, ოღონდ გამოჩენილიყო და მარტოობა არ მეგრძნო. ასე მოულოდნელად მარტოობის შიში რატომ დამეუფლა? იმ წამს მზად ვიყავი, ჩემი სული ღვთისთვის ან ეშმაკისთვის ჩამებარებინა, არ მენაღვლებოდა. საკმარისი იყო,

ვინმე გვერდით მყოლოდა და მარტო არ ვყოფილიყავი. სწორედ მაშინ, როცა სასოწარკვეთილი ზეცაში ვიყურებოდი და ველოდი, ხმა გავიგონე...

შეჩერდა, სუნთქვა შეეკრა.

– ხმა მომესმა... – გაიმეორა და ოფლი მსხვილ წვეთებად დასდინდა სახიდან.

– ხმა? – ვკითხე, – რა ხმა, ჩემო ფრანცისკე? რა თქვი?

– სიტყვები ვერ გავარჩიე. არა, ხმა არ იყო, მხეცის ბრდღვინვა იყო, ლომის. ეგება და მარმარილოს ლომი იყო, რომელზეც ვიჯექი და რომელიც ადამიანებს ჭამდა?

ზეზე წამოვვარდი. ირიჟრაჟა. ჩემში ხმა ჯერ კიდევ გაისმოდა, გულიდან თირკმლებამდე ქუხილივით ისმოდა, ჩემი შიგანის ერთი მღვიმიდან მეორეში გადადიოდა. ცისკრის ზარების რეკა დაიწყეს. გზას გავუდექი, მაღლა ციხესიმაგრისკენ გავეწიე, მივრბოდი, მივრბოდი და უცებ ცივმა ოფლმა დამასხა. ვიღაც მომძახოდა:

– სად გარბიხარ, ფრანცისკე? სად გარბიხარ, ფრანცისკე? ვერ გადამირჩები!

შევბრუნდი, არავინ იყო. კვლავ განვაგრძე სირბილი და ცოტა ხანში ხმა კვლავ გაისმა:

– ფრანცისკე, ფრანცისკე, მაშ, იმისთვის დაიბადე, რომ იქე-იფო, იმღერო და გოგონები მოხიბლო?

ახლა აღარ მივბრუნებულვარ, თავზარი დამეცა. ისევ გავიქეცი, რომ ხმისთვის თავი დამეღწია და მაშინ ჩემ წინ აყვირდა ქვა:

– ფრანცისკე, ფრანცისკე, მაშ, იმისთვის დაიბადე, რომ იქე-იფო, იმღერო და გოგონები მოხიბლო?

თმა ყალყზე დამიდგა. გავრბოდი, მაგრამ ხმაც თან მომდევედა. მაშინ ნათლად ვიგრძენი: ხმა გარედან არ მოდიოდა. რაც უნდა მერბინა, მას თავს ვერ ვაღწევდი. ხმა ჩემში იყო, ვილაც ყვიროდა ჩემ შიგნით. მე კი არა, მე კი არა, ბერნარდონეს გარყვნილი ვაჟი, არამედ ვილაც სხვა. ჩემში იყო, ჩემზე უკეთესი, მაგრამ ვინ, არ ვიცი. საიდან უნდა მცოდნოდა? ვილაც სხვა იყო.

ციხესიმაგრეს აქოშინებული მივადექი, მზე სწორედ იმ წამს ამოიწვერა მთიდან, დაცხა. სამყარო განათდა, ისიც გათბა. ჩემში ვილაცა კვლავ ალაპარაკდა, ოღონდ ახლა ძალიან ხმადაბლა, ჩურჩულით, თითქოს რაღაც საიდუმლოს მიმხელდა. თავი ჩავქინდრე, მივაყურადე. გეფიცები, მამაო ლეონე, სრულ სიმართლეს გეუბნები, გავიგონე: „ფრანცისკე, ფრანცისკე, შენი სული მტრედია, ხოლო ქორი, რომელიც მოგდევს – ეშმაკი. ჩემს უბეს შეეფარე.“ ეს იყო სიტყვები, რომლებიც თავად ავუწყე ბარბითის ხმას და ყოველ ღამით ფანჯარასთან ვმღეროდი... მაგრამ ახლა, ბერო ლეონე, პირველად მივხვდი, რატომ ავაწყე ეს სიტყვები და რა ფარულ აზრს შეიცავდნენ ისინი...

დადუმდა, ჩაილიმა, თავი დახარა, კვლავ მონუსხულივით აჩურჩულდა:

– „ფრანცისკე, ფრანცისკე, შენი სული მტრედია, ხოლო ქორი, რომელიც მოგდევს – ეშმაკი. ჩემს უბეს შეეფარე...“

შემდეგ დადუმდა, დამშვიდებულიყო. ვიგრძენი, უკვე შემეძლო მას ისე შევხებოდი, რომ აღარ დავმწვარიყავი. დავიხარე, ხელი მოვკიდე, ვემთხვიე.

– ძმაო ფრანცისკე, – ვუთხარი, – თითოეული ადამიანი, ყველაზე უღვთოც, ხორცსა და ქონში გახვეული, თავის შიგ-

ნით, ღრმად გულში, ღმერთს დაატარებს. ღმერთი იყო ის, ვინც შენში ხორცი და ქონი მისწი-მოსწია და დაიყვირა.

ფრანცისკემ თვალეები მილულა, მთელი ღამის უძინარს ეძინებოდა.

– დაიძინე, ფრანცისკე, – ჩავჩურჩულე, სიზმარიც ღვთის ანგელოზია, ენდე.

უცებ წამოხტა, თვალეები გადმოკარკლა.

– ახლა რა გავაკეთო? – მკითხა მოგუდული ხმით. – რამე მირჩიე.

შემებრალა, მეც ხომ, წლებია, დავეხეტებოდი და რჩევას ვითხოვდი.

– თავი შენი მკერდისკენ დახარე, – ვუპასუხე, – და ყური უგდე. ის სხვა, რომელიც შენშია, კვლავ ალაპარაკდება, და მაშინ ის გააკეთე, რასაც გეტყვის.

ჭიმვარი მსუბუქად გაიღო, ეზოში მოკლე-მოკლე აჩქარებული ნაბიჯების ხმა მომესმა. ქალბატონი პიკა წირვიდან დაბრუნდა. მარტო იყო, ამოვისუნთქე, ცხენზე ამხედრებული სენიორ ბერნარდონე უკვე ფლორენციის გზაზე იქნებოდა.

– დედაშენი მოვიდა, ფრანცისკე, – ვუთხარი, – დაიძინე, მივდივარ.

– ნუ წახვალ, მამაჩემი შინ არ არის, აქ დაიძინე. მარტო ნუ დამტოვებ-მეთქი, გეუბნები!

ხელში მწვდა.

– განსაცდელში მარტო ნუ მიმატოვებ! – დაიყვირა.

– მარტო აღარ ხარ, ფრანცისკე, იცი შენ ეს! დიდი მეგობარი სახლობს შენში, ყური მის ხმას მიაჰყარი. რისი გეშინია?

– სწორედაც მისი მეშინია, ბერო ლეონე, ვერ ხვდები? ნუ წახვალ.

ხელი შუბლზე მივადე, იწვოდა. მოდიმარი დედამისი შიგნით შემოვიდა.

– შვილო, ღვთისმშობლის ხატისგან, შენი შემწისგან, სალამი მომაქვს! – უთხრა და ხელში რეჰანის ტოტი ჩაუდო.

ახალი ბერძნულიდან თარგმნა მაია კაკაშვილმა

კონსტანტინოს კავაფისი

ლექსები

ნიხორი

მგზავრო კეთილო, თუ გადააწყდი უცნაურ სოფელს,
რომ შეგაგებებს ბუნება ღიმილს, სიმშვიდის ნუგეშს,
მოფარებული ხეს, გოგონაც ვარდით, სხივს მოგფენს,
ჩამოსულხარ ნიხორში უკვე.

უცხოვ, სადამოს თუ სასეირნოდ გახვედი გარეთ,
ცამდე აზიდულ ვეება კაკლებს ახედე მალლა.
ნულარ განაგრძობ გზების ძებნას, მიხვდები მალე,
ნიხორზე კარგს ვერაფერს ნახავ.

მაცოცხლებელი წყაროები სხვა წყლებს კი არ ჰგავს,
სხვაგან არც მთებს აქვთ სიადიადე, რაც აქ აქვთ გორებს,

მიწის სურნელი, აქაური, ათრობს და ბანგავს
 მას, ვინც ნიხორს მალე არ ტოვებს...

და ნურც იმედი გექნება ფუჭი, რომ მსგავს სიმწვანეს,
 სხვა მხარეშიაც გადააწყდები. დე, გერქვას მდგმური,
 მთებიდან ველებს თუ გადმოხედავ, უცხოც იწამებ,
 რომ შეიყვარო ნიხორი გულით.

ან ნაყოფიერ მიწას რა დალევს, სხვაც ვიცით ბევრი,
 გაზვიადებად თუ არ ჩამითვლი, ყველგან რომც გეველო,
 გამორჩეული გახლავს მაინც, თავადაც ხვდები,
 ნიხორული ფერი და გემო.

წმინდა „კუმარიოტისასთანაც“ მივალთ ერთხელაც,
 ამ ძველ ტაძარში, მსურს, ღრმადმორწმუნემ შემინდოს
 მოსვლა,
 პარაკლისებსაც რომ სხვა ძალა აქვთ, იგრძნობ ეკვდერთან,
 სხვა მაღლი აქვს ნიხორში ლოცვას.

და თუკი მაინც, არ შეგიძლია დარჩენა ჩვენთან,
 თუ გრიგოლისის ნავმისადომის აჰყვები კიბეს,
 მშვიდობასა და ყრმობის სიხარულს შეიგრძნობ ერთად,
 ნიხორის ფასს მიხვდები კიდეც.

გემები

ფანტაზიიდან ქაღალდისკენ. რთულია გასასვლელი და სახიფათოა ზღვა. ერთი შეხედვით, პატარა მანძილი, რაც ჩანს. არადა, რამდენადაც შორეულია მოგზაურობა, იმდენადვე დამღუპველია გემებისთვის, რომლებიც ამ გზას დაადგებიან.

პირველი ზარალი ძალიან მყიფე ბუნების საქონელზე მოდის, გემებს რომ გადააქვთ. ფანტაზიის ბაზრებში საუკეთესო ნივთებია შექმნილი და წარმოებული თხელი მინისა და გამჭვირვალე ფაიფურისგან. ბევრი გზაშივე იმსხვრევა, ბევრიც – როცა ხმელეთზე გადმოტვირთავენ ძალიან ფრთხილად. ეს ზარალი აუნაზღაურებელი რჩება ყოველთვის, რადგან ლოგიკისთვის შეუძლებელია, გემი უკან დააბრუნოს და ხელახლა მიიღოს იგივე ნივთი. არ არსებობს შესაძლებლობა, რომ მოიძებნოს ზუტად იგივე მაღაზია, მათ რომ გაყიდის. ფანტაზიის ბაზრებს აქვს დიდი და მდიდრული სალონები, მაგრამ არა ხანგრძლივი გამძლეობისა. მათი ვაჭრობა ხანმოკლეა, თავიანთ საქონელს იძულებით სწრაფად ჰყიდიან, და მაშინვე აცარიელებენ დახლებს. ძალიან იშვიათია, დაბრუნებული გემისათვის მოიძებნოს თავდაპირველის ასლები.

სხვა ზარალი ტევადობისგან მომდინარეობს. გამოდიან მდიდრული კონტინენტების ნავსადგურებიდან ჩატვირთულები და შემდეგ, როცა ღია ზღვაში აღმოჩნდებიან, შეუსაბამო წყალწყვის გამო, იძულებულები ხდებიან, ტვირთის ერთი ნაწილი გადაყარონ, მეორის გადასარჩენად. ვერცერთი გემი ვერ ახერხებს, ხელუხლებლას ჩამოიტანოს განძი ნაპირზე. რაც ჩაიბარა, იმავე სახით. გადაყრილი, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოა, მაგრამ ხანდახან, მეზღვაურები, სისწრაფის გამო, შეც-

დომებსაც ჩადიან და უნებურად, ზღვაში ძვირფას ნივთებსაც ყრიან.

ახალ მსხვერპლს ითხოვს თეთრი ქალაქის ნავსადგურში გემების ჩასვლა. მოდიან საბაჟოს მოხელეები, შეისწავლიან საქონელს და დიდხან ფიქრობენ, უნდა დართონ თუ არა ნება განბაჟებაზე. უარს აცხადებენ სხვა საქონლის გადმოტვირთვაზე. და ამგვარად, საქონლიდან მხოლოდ მცირე ნაწილს იღებენ. ამ ადგილს თავისი კანონები აქვს. ყველა პროდუქტს არ გააჩნია თავისუფლად შესვლის უფლება. ძალიან მკაცრად იკრძალება აქ „კონტრაბანდა“. ფერხდება ღვინის შემოტანა, მიზეზით, რომ, კონტინენტები, საიდანაც გემები მოდის, ღვინოსა და სპირტს იმ ყურძნისგან ამზადებენ, რომელიც ხარობს და მწიფდება ტემპერატურის ზედმეტად მაღალ მაჩვენებელზე. რაში სჭირდებათ ეს სასმელი მოხელეებს. ის ძალიან მათრობელაა. ყველა ვერც უძლებს, ნებისმიერს არც უნდა მისცე. თანაც არსებობს ერთი ფირმა, ადგილობრივი და აქვს ღვინის მონოპოლია. აწარმოებს იმგვარ სითხეებს, ღვინის ფერი და წყლის გემო რომ აქვთ, და შეგიღძლია, სვა მთელი დღის განმავლობაში ისე, რომ რეტსაც არ დაგასხამს. ეს ძველისძველი კომპანიაა. მოპოვებული აქვს დიდი ავტორიტეტი და მისი აქციები ყოველთვის ზედმეტადმომგებიანი და დაფასებულია. მაგრამ მაინც, დაე, ვიყოთ კმაყოფილები, როცა გემები შემოდინან ხოლმე პორტებში, თუნდაც დიდი მსხვერპლის გაღებით. რაც უნდა იყოს, სიფხიზლითა და დიდი ზრუნვით შემოიფარგლება მგზავრობისას დამსხვრეული ან გაბზარული ჭურჭლის ოდენობა. ასევე, ადგილობრივი კანონები და საბაჟოს წესები, მართალია დიქტატორულიც არის მაგრამ, არა ყველაფრის ამკრძალავი, დიდი ნაწილი ტვირთისა მაინც გადმო-

იტვირთება, როგორც წესია. საბაჟოს მოხელეები არ არიან შეუმცდარნი, და სხვადასხვა აკრძალულ ნივთს იღებენ ცრუ ყუთებით, რომლებსაც ზემოდან ერთი აწერია, შიგ მეორე დევს, და შემოაქვთ ზოგჯერ ასე საუკეთესო ღვინოც რჩეული ნადიმებისთვის.

სამწუხარო, სამწუხარო არის სულ სხვა რამ. მაშინ, როცა ჩაივლიან უზარმაზარი ხომალდები, მარჯნის მოსართავეებით და აბანოზის ხის ანძებით, გაშლილი დიდი თეთრი და წითელი ალმებით, სავსე საგანძურით, ნავსადგურს არც კი უახლოვდებიან, ან იმიტომ, რომ მთელი ტვირთი კონტრაბანდაა, ან იმიტომ, რომ ნავსადგურს არ აქვს მათ მისაღებად საკმარისი სიღრმე. და განაგრძობენ თავიანთ გზას. ზურგის ქარი უბერავს იმათ აბრეშუმის აფრებს, მზე აბრჭყვიალებს გემის ოქროს ცხვირს, და შორდებიან მშვიდად და დიდებულად, სამუდამოდ მიდიან ჩვენგან და ჩვენი უსიღრმო ნავსადგურიდან. საბედნიერი, იშვიათია ამგვარი გემები. ორ-სამჯერ თუ გადავაწყდებით ასეთ გემებს ჩვენს ცხოვრებაში. მათ მალევე ვივიწყებთ ხოლმე. და რაც უფრო ნათელია ხილვადობა, მით უფრო სწრაფად გვავიწყდებიან. და როცა წლები ჩაივლიან, ან დღეები – მიუხედავად იმისა, რომ უმოქმედოდ ვსხედვართ და სინათლეს მივჩერებივართ ან სიჩუმეს ვაყურადებთ – საბედისწეროდ შემოდის ჩვენს წარმოდგენაში და მაშინდა ჩაგვესმის უცნაურად აღმაფრთოვანებელი სტროფები, რომლებსაც უმაღვე ამოვიცნობთ, მეხსიერებას ვძაბავთ, რათა გავიხსენოთ, სად მოვკარით ამ სიტყვებს ყური. დიდი წვალების მერე იღვიძებენ მოგონებები და ვიხსენებთ, რომ ეს სტროფები არის "ქებიდან", მეზღვაურები რომ მღეროდნენ, "ილიადას" გმირე-

ბივით მშვენიერები, როცა ჩაივლიდნენ უზარმაზარი გემები
და მიცურავდნენ – ვინ იცის, საით...

შვიდი წმინდა ბავშვი

სვინაქსარი ლამაზად ჰყვება:

„ოდეს ხელმწიფე, ეპოსკოპოსნი და დიდებულნი
საუბრობდნენ მათთან, უეცრად
ყრმა წმინდანები მოიცვა ძილმა“
და ღმერთს მიუძღვნეს ისევ სულები.

წარმართთაგან დევნილებმა, ეფესოელმა შვიდმა პატარამ,
გამოქვაბულს შეაფარა თავი და იქვე
დაეძინათ. მეორე დღეს გამოიღვიძეს.
მათთვის იყო ეს მეორე დღე.
არადა, ორი საუკუნე გასულიყო, ამასობაში.

მათგან ერთ-ერთი, იამბლიქოსი,
გარეთ გამოძვრა და გაეშურა პურის საყიდლად,
სულ სხვა ეფესო გადაეშალა თურმე ბიჭს თვალწინ –
განწმენდილი ჯვრებითა და ეკლესიებით.

გაიხარა შვიდმა პატარამ,
მათ პატივი მიაგეს და თაყვანი სცეს ქრისტიანებმა.
მეფეც ეახლა კონსტანტინოპოლიდან ბავშვებს,
თეოდოსიოს, ვაჟი დიდი არკადიოსის.
ღვთისმოშიშმა წესისამებრ სცა მათ თაყვანი.

და ხარობდა შვიდი წმინდა ყრმა
 ამ მშვენიერ ქვეყანაში – ქრისტიანულში,
 განწმენდილში ჯვრებითა და ეკლესიებით.

მაგრამ ისეთი სხვანაირი იყო გარემო,
 იმდენი რამ უნდა გაეგოთ და მოეყოლათ
 (ეგებ ძლიერი სიხარულიც ძლიერად ქანცავს),
 რომ დაიღალა მალე შვიდივე,
 მთელი ორი საუკუნის წინ მოსულები უცხო ქვეყნიდან,
 დაამთქნარეს ბავშვურად შუა საუბრისას და
 მშვიდად მილულეს წმინდა თვალები ...

პატრიარქი

კადნიერი და უმადური იოანე
 საკუთარ პატრიარქობას უმადლოდა
 სიკეთეს, რომელიც მას ბატონმა კანტაკუზელმა მიუბოძა
 (ჩვენი მოდგმის ღირსეულმა ადამიანმა, იმ დროისათვის:
 ბრძენი, ლმობიერი, სამშობლოს მოყვარული, მამაცი,
 უნარიანი).

ჭკვიანადაც მოჰქონდა თავი უნამუსო
 პატრიარქს, და თქვა, რომ იზრუნებს
 რათა აღარ განმეორდეს უსამართლობა
 იოანე ლასკარისისა (განა კი გრძნობდა
 ფუქსავატი, შეურაცხყოფას რომ აყენებდა
 პალეოლოგოსთ მისი სიტყვები).

რალა თქმა უნდა, მშვენივრადაც უწყოდა, საფრთხეს,

ღირსეული, ფიცის ერთგული, უანგარო
 ბატონი იოანე კანტაკუზელისგან
 ჯერ არ ჩაევლო ბატონი ანდრონიკოსის ვაჟისადმი.
 ეს იცოდა უბედურმა, სულით მდაბალმა, მაგრამ
 ცდილობდა,
 ყოველ ნაბიჯზე სისულელე ემტკიცებინა.

დანაშაული

ფული სტავროსმა გაგვინაწილა,
 გამორჩეულმა სამეგობროში -
 ჭკვიანიც იყო, ღონიერიც, წარმოუდგენლად ლამაზი ბიჭი
 და ყველაზე მოხერხებული.
 ჩემს გარდა (ოცის ვიყავი მაშინ),
 ის ყველაზე უმცროსი იყო, მგონი ზუსტად ოცდასამისა.

ნაქურდალი სამასი ლირა შუაზე გაყო,
 ნახევარი დაიტოვა, სამართლიანად.

და ახლა ღამის თერთმეტ საათზე
 შევთავაზეთ გაქცევაში დახმარება ხვალ დილისათვის,
 სანამ რაიმეს შეიტყობდა პოლიცია დანაშაულზე,
 წვრილმან საქმედაც ვერ ჩათვლიდი – დამამაძიმებელ
 გარემოებებს ბევრს შეიცავდა.

მიწისქვეშ ერთად ვიმყოფებოდით,
 დაცულ სარდაფში.

რადგან მისი წასვლა გადაწყდა, დანარჩენებმა, სამნი რომ
 იყვნენ,
 მე სტავროსთან მარტო დამტოვეს,
 პირობით, რომ ხუთ საათზე დაბრუნდებოდნენ.

მიწაზე ერთი დაგლეჯილი ლოგინი ეგდო.
 გადაღლილები, ერთად დავწყექით. ვშფოთავდით და
 ვფორიაქობდით, დაქანცულები იმაზე ფიქრით,
 რომ ხვალ უნდა გაქცეულიყო
 მერელა მივხვდი: ვერ ვიგუზმანე რატომღაც ზუსტად
 უკანასკნელი ეს დაწოლა რომ იყო მასთან.

ეს ნაწერიც ვიღაც პოეტის ქალაქებში აღმოაჩინეს.
 თარიღიც ესვა, თუმცა ძნელად იკითხებოდა:
 „ერთი“ ბაცად ჩანს, მერე „ცხრა“, შემდეგ კი „ერთი“,
 მეოთხე ციფრიც „ცხრიანს“ მიაგავს.

ტიგრანოკერტი

მშვენიერების მოვალე ვარ, გულს გადავუშლი
 ჩემს თანამომძმეს და ნათესავს
 (სავარაუდო მამაჩემის და უნდა იყოს) –
 ბებერ მაჭანკალ კერკოს, რომელმაც მთხოვა, ჩამოსვლა -
 ახალ ქალაქ ტიგრანოკერტში,
 მდიდარსა და აყვავებულში.

თეატრი აქაც საშუალება არის გაცნობის,
 კარგად ვერთობი მსახიობის კვალობაზე. არ არის
 აქ ალექსანდრია, არც ათენია.
 არაუშავს ვითამაშე სოფოკლეში ემონასი და
 ვაი-ვაგლახად – ევრიპიდეს ჰიპოლიტოსი.
 მაყურებლებმაც აღნიშნეს, რომ იმათ ქალაქში
 ჩემზე მეტად სიმპათიური ახალგაზრდა მსახიობი არცკი
 უნახავთ.

ერთმა მდიდარმა მოქალაქემ, თანაც, საოცრად
 ხელგაშლილმა,
 გამორჩეული ყურადღებაც კი მომაქცია.
 კერკო ზრუნავს ყოველივეზე
 (სამაჰანკლოს ნახევარი უკვე აიღო ამ ნაძირალამ).
 დროებითი ადგილია ტიგრანოკერტი!
 ვნახოთ, როდემდე იარსებებს. უეჭველია,
 ბოლოს და ბოლოს მოსრავენ ქალაქს რომაელები.
 სიზმრებს ხედავს მეფე ტიგრანი.
 მე რა მანაღვლებს, ყველაზე ბევრი,
 აქ ორი თვით დავრჩე და წავალ.

მამინ ხომ სულაც არ ვინაღვლებ, თუკი მოსკობენ
 რომაელები
 ტიგრანოკერტსაც და ზედ კერკოსაც მიაყოლებენ.

მიტოვება

ერთობ გონიერს გემოვნებაც ასეთი ჰქონდა,
ძალიან კარგ წრეს ეკუთვნოდა ეს ახალგაზრდა.

ხუმრობაში გაატარა

ტრაგიკულად მიტოვებაც კი.

ადრე, როცა მეგობარმა უთხრა „გჯეროდეს, მარადიული
იქნება ჩვენი სიყვარული“ – ამის მთქმელიც
და გამგონეც კარგად ხვდებოდნენ, რომ ეს იყო

პირობითობა.

კინო-თეატრის შემდეგ, და მერეც, ის ათიოდე
წუთიც, რომელიც ბარში ჩამოსხდნენ, ღამემ აანთო
მათ თვალებსა და სისხლში სურვილი
და ერთადყოფნით შეამოწმეს „მარადიული“.

ცუდად თუ კარგად, „მარადიულმა“ სამი სრული წელი
გასტანა.

უმეტესად, უფრო მცირე ხანს გრძელდება ხოლმე.

გონიერი და დახვეწილი

საიმისოდაც, რომ ტრაგედიად არ მიელო არც ეს ამბავი.

და ძალიან ლამაზიც იყო – სახით, სხეულით -

ისე ლამაზი, რომ ხორციელი თავკერძობა სრულიადაც არ
შელახვოდა.

აგელაოსი

ნავპაქტოსის თავყრილობაზე აგელაოსმა
 სიმართლე თქვა – ნუღარ ებრძვიტო
 ბერძნები ბერძნებს! ჩვენთან ახლოს ბრძოლა არის
 გაჩაღებული და გვემუქრება. კართაგენი
 გაიმარჯვებს თუ დიდი რომი, გამარჯვებული მაინც
 ჩვენვე მოგვიბრუნდება. მეფე
 ფილიპე, ყველა ბერძენი შენად ჩათვალე.
 თუ ომს ისურვებ, მოემზადე რომ
 იტალიის გამარჯვებულს წინ შენ აღუდგე!
 ერთმანეთთან ბრძოლის დრო არ გვაქვს.
 მეფე ფილიპე, საბერძნეთი გადაარჩინე!

ბრძნული სიტყვები! თუმც არავის არ წარმოუთქვამს.
 კეფალონის, მაგნესიის, პინდას,
 საზარელ და წყეულ დღეებში.
 ბევრი ბერძენი გაიხსენებდა
 ამ ბრძნულ სიტყვებს, არავის რომ არ წარმოუთქვამს.

ახალი ბერძნულიდან თარგმნა მარიამ წიკლაურმა,
 სიტყვასიტყვითი თარგმანი მაია კაკაშვილისა

იოანე იტალოსის ერთი ტრაქტატი (68)

იოანე იტალოსი (Ἰωάννης ὁ Ἰταλός) იტალიური წარმომავლობის მე-11 საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსია, მიქაელ ფსელოსის მოწაფე და მისი შემცვლელი საიმპერიო უმაღლესი ფილოსოფიური სკოლის ხელმძღვანელის პოსტზე. წარმართული ნააზრევისადმი ერთგვარი ნოვატორული მიდგომის გამო მას პერიოდულად საკუთარი რწმენის შესახებ განმარტებების კეთება უხდებოდა. საბოლოოდ, 1082 წელს სინოდი გამოხსნა იტალოსის სწავლებებს როგორც ერეტიკულთ, იძულებულს ხდის მას, საჯაროდ უარყოს თავისი შეხედულებები და უკრძალავს პედაგოგიურ საქმიანობას.

იოანე იტალოსის ნაწერები უმთავრესად ანალიტიკური კომენტარები და ექსპოზიებია სხვადასხვა საკითხზე: რიტორიკისა და დიალექტიკის, ლოგიკის როგორც ორგანონისა და უნივერსალიების შესახებ, სათნოებათა შესახებ, სამყაროს საწყისისა და ჰიპოკატასთა, ადამიანის სულის უკვდავებისა და კოსმოსის ხრწნადობის შესახებ და სხვ. ტრაქტატების უმრავლესობა დაწერილია მისთვის დასმული შეკითხვის პასუხად. აღსანიშნავია, რომ მის ადრესატთა შორის ვინმე „აბაზგ გრამატიკოსსაც“ ვხვდებით. იტალოსის შემოქმედება განსაკუთრებით საინტერესოა იმ მხრივ, რომ ფილოსოფოსის სააზროვნო პროცესს გვიჩვენებს: იგი სხვადასხვა ასპექტით განიხილავს

საკითხს, ფიქრობს, აანალიზებს, გამოავლენს აპორიებს და ცდილობს მათ ახსნას. ამის გამოა, რომ სხვადასხვა ტრაქტატში მისი პოზიცია შეიძლება წინააღმდეგობრივად აღმოჩნდეს.

ფსელოსისა და იტალოსის სკოლას დიდი გავლენა ჰქონდა ბიზანტიური ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე, რაშიც ჩვენ ქართველი ფილოსოფოსის – იოანე პეტრიწის შემოქმედების მიხედვითაც შეგვიძლია დავრწმუნდეთ. ფილოსოფოსთა შორის მსგავსება, გარდა სამეცნიერო–პედაგოგიური მეთოდებისა, მათ მიერ ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის მიმართების გააზრებაში შეიძლება დავინახოთ: მიუხედავად იმისა, რომ ისინი შესანიშნავად აცნობიერებენ განსხვავებას ორ მსოფლმხედველობას შორის, ერთი მხრივ, ნეოპლატონიზმის მათი გაგება არის განპირობებული ქრისტიანული მსოფლმხედველობის გავლენით, მეორე მხრივ კი ნეოპლატონიზმი ახდენს გავლენას ქრისტიანული დოგმის მათეულ ინტერპრეტაციაზე.¹

იოანე იტალოსის ენა, მისი მასწავლებლის – ფსელოსისაგან განსხვავებით, არ გამოირჩევა სტილისტური დახვეწილობით, რასაც მისი თანამედროვენიც აღნიშნავდნენ. მისი ნაწერები არ არის იოლი გასაგები და, მით უფრო, სა-

¹ ქრისტიანულ დოგმატიკასთან დაკავშირებული ფსელოსისა და იტალოსის, ასევე პეტრიწისეული ინტერპრეტაციები განხილული გვაქვს არაერთ სტატიაში. მაგ., იხ.: „მიქაელ ფსელოსის და იოანე იტალოსის კომენტარები გრიგოლ ღვთისმეტყველის გამონათქვამზე: *ამიტომ მონადა, დასაწყისიდან დიადისაკენ დაძრული, ტრიადამდე დადგა*“, ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, 203-222; „*ვითარ მთებად ღმრთისად და მთებად საუკუნოდ*“ – იოანე პეტრიწი დავით წინასწარმეტყველთან პლატონის თანხმობის შესახებ, ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, 3 (2012), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 168–186.

თარგმნი. ამას ემატება ისიც, რომ ზოგიერთი სიტყვა და ფრაზა ჩვენამდე მოღწეულ მის ტექსტებში გადამწერების მიერ უნდა იყოს შეტანილი (სავარაუდოდ, მარგინალური მინაწერებიდან). ჩვენი თარგმანი შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვითია, ორიგინალის ტექსტს დამატებული სიტყვები კი, რაც ქართულ ენაზე აზრის გასაგებად გადმოცემამ მოითხოვა, კვადრატული ფრჩხილებშია მოქცეული. აპარატში ვუთითებთ ბერძნულ ტერმინებსაც, რაც, ჩვენი აზრით, მკითხველს ტექსტის უკეთ გაგებაში დაეხმარება.

ტრაქტატების თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემების მიხედვით: P. Joannou (ed.), *Ioannes Italos, Quaestiones quodlibetales*, in *Studia Patristica and Byzantina*, 4, Buch-Kunstverlag, Ettal, 1956, გვ. 109–117; ნ. კეჭაღმაძე, გ. წერეთელი (გმც.), *იოანე იტალოსის თხზულებები*. თბილისი 1966, გვ. 180–188. გამომცემელთა შენიშვნები ჩვენი თარგმანის სქოლიოებში მითითებულია აბრევიატურით „გმც“.

მესამე ჰიპოსტასის შესახებ²

ელინთა შორის განსაკუთრებით გამორჩეული ღვთისმეტყველნი³ მიიჩნევენ, რომ არის მესამე უმთავრესი ჰიპოსტა-

² სათაური დამატებულია პ. იოანუს მიერ.

³ οἱ τῶν Ἑλλήνων θεολογῶνται. ‘ღვთისმეტყველი’ აქ აღმატებითი ხარისხის ფორმით არის და, ამდენად, ზედსართავ სახელად გაიგება. მსგავს გამოთქმას – οἱ θεολογικώτεροι τῶν Ἑλλήνων („ელინთაგან უფრო თეოლოგიურნი“) არაერთხელ ვხვდებით ფსელოსთანაც, რომელსაც იგი, როგორც ჩანს, გრიგოლ ნაზიანზელისაგან აქვს აღებული. გრიგოლი ამგვარად იხსენიებს იმ ძველ მოაზროვნეებს, რომელთა შეხედულებები მას ქრისტიანობასთან ყველაზე ახლოს მიაჩნია (შდრ. Gr. Naz., Or. 31 (De spiritu sancto), 5: გვ. 224 in J. Barbel (ed.), Gregor von Nazianz. Die fünf

სიც გონითწვდომად [არსთა] შორის.⁴ ამ ჰიპოსტასთაგან პირველს ისინი ‘არსებულს’ უწოდებენ, მეორეს – ‘გონებას’, ხოლო იმას, რომელიც ამათ შემდეგაა – ‘სულს’. ამათზე უწინ კი, მათი თქმით, სხვა რამაა, მათ მიერ ‘მოდმურად’ სახელდებული, რომელიც იმთავითვე ერთიც არის და სიკეთეც.⁵ ამ ჰიპოსტასებზე ისინი შემთხვევით ან უმეცრად მოაზრების შედეგად⁶ როდი ლაპარაკობენ, არამედ, როგორც თავად ამტკიცებენ, [მათ] წარმოაჩენ-ასაბუთებენ⁷. კერძოდ, მათი თქმით, არსებულთა უპირველესი საწყისი არის ის⁸, რასაც მარტივად არსებულნი ეზიარებიან; და არც არაფერი არსებობს, რაც მას არ ეზიარება – [თუნდაც ეს იყოს] ერთბამად არსებული და არარსებული, [ანუ არსებული] არა მარტივად, არამედ რაღაც სხვა

theologischen Reden, Düsseldorf 1963, pp. 218-276). ‘თეოლოგს’ როგორც ეპითეტს ქრისტიანისათვის დადებითი კონოტაცია აქვს. იოანე პეტრიწი, ფსელოსისა და მისი სკოლის ანალოგიურად, „ღვთისმეტყველს“ და „ღვთისმეტყველებას“ (დმერთზე საუბრის, მსჯელობის, მეცნიერების გაგებით) პლატონიკოსთა მიმართ იყენებს, ხოლო მათი კრიტიკოსი ნიკოლოზ მეთონელი პროკლეს ნააზრევის ‘თეოლოგიად’ განსაზღვრავს ეწინააღმდეგება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ‘თეოლოგისა’ და ‘ფილოსოფოსის’ აღმატებითი ხარისხის ფორმებს (განსაკუთრებით, მიმართვისას: „უთეოლოგესო“, „უფილოსოფოსესო“) ირონიული, ანუ კნინობითი გაგება აქვს წმ. გრიგოლთანაც და ფსელოსთანაც.

⁴ Procl., *El. th.* 161: გვ. 140, 15 (Proclus, *The Elements of Theology*, 2nd edition, ed. E. R. Dodds, Oxford 1963); 164: გვ. 142, 17. (გმც.)

⁵ Procl., *El. th.* 8: გვ. 8, 32. (გმც.)

⁶ ἔξ ἔπινοίας ἀτέχου. ტერმინი ἔπινοια აღნიშნავს გონებით მოაზრებულს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს რეალობასთან კავშირი, შეიძლება – არა (მაგალითად, თეთრი სხეულის მიხედვით ‘სითეთრის’ მოაზრება რეალობას ემყარება, ‘ცხენ-ირემისა’ კი წმინდა გამონაგონია).

⁷ ἀποδεικνύστας. ‘ჩვენების’ აღმნიშვნელ ამ და სხვა სიტყვებს, რომელთა ფუძეში δεიკნაჲ ზმნაა, ბერძნულ სამეცნიერო ენაში აქვს დამტკიცების, დასაბუთების გაგება.

⁸ Procl. *El. th.* 1: გვ. 1 (გმც). cf. Dam. *Exp. fid.* I, 14: გვ. 43, 24–27 (Johannes von Damaskos, *Expositio fidei*, ed. P.B. Cotter, Berlin-New York 1973) (გმც.).

რამ, [არსებულად] წოდებული⁹. ცხადია, არ არის ადვილი სა-
პოვნელი ის, რასაც ყველაფერი ეზიარება,¹⁰ მაგრამ მაინც
ვიტყვი: ეს ზიარებული, რა თქმა უნდა, სული არ არის, რად-
გან [ამ შემთხვევაში] ყველაფერი სულიერი იქნებოდა და არ-
სებულთაგან არაფერი იქნებოდა სულს არნაზიარები. პირვე-
ლი მიზეზიდან რაღაც აუცილებლად უნდა აღწევდეს მათთან,
რომლებიც მისგან [მომდინარენია], თუკი, რა თქმა უნდა, ის
ასეთთა საწყისია ბუნებით¹¹ და არა მხოლოდ განზრახულო-
ბით. უმწვერვალესი სიკეთის თვისებაა, რომ იმას, რაც მისია
პირველად, გადასცემს მისგან დაბადებულებს. ხოლო, რაკი
ყველაფერი არ ეზიარება სულს, მაშ, არსებულთა საწყისი არ
არის სული; არც ის, რაც სულს მიღმაა და რასაც გონს უწოდებ-
ენ, რადგან არსებობს ისეთი რამეც, რაც არ ეზიარება არც მას
და ასევე – არც არსებულს: ნაკლულებანი¹² არარსებულნია,
მაგრამ ეზიარებიან ერთს. და, რაკი ყველაფერი არ ეზიარება
სულს, არც გონს, არც არსებულს, ხოლო ისეთი რამ, ერთს რომ
არ ეზიარებოდეს, ან სიკეთეს რომ არ ესწრაფოდეს, არ არსე-
ბობს (რადგან ამას ესწრაფვის და ეზიარება ყოველივე შეძლე-
ბისდაგვარად), ამკარაა, რომ საწყისი და მიზეზი არსებულთა
არის ერთი და სიკეთე. მას ეზიარება ყოველი, რაც კი ერ-
თქმნის კვალად მის მიერ კეთილიქმნა და არის არსი, ერთი და
კეთილი, რადგან მისაწვდომია [ის საწყისი] თი-
თოეულისათვის საკუთარი ძალის შესაბამისად.

⁹ Cf. Plat. Tim. 27d-28a.

¹⁰ იტალოსი აქ პლატონის მსჯელობის სტილს ჰბამავს, რომელიც კოსმოსის
გენესისთან დაკავშირებით ამბობს: ამ სამყაროს შემოქმედისა და მამის
პოვნა დიდი საქმეაო (შდრ. Plat. Tim 28c.)

¹¹ Cf. Plat. Tim. 29.b.

¹² στερήσει. Cf. Dam. Dial. 35, 100: გვ. 122 (Johannes von Damaskos, Institutio
elementaris Capita philosophica (Dialectica), ed. P.B. Cotter, Berlin, 1969).

რაკი საწყისი არსებულთა, როგორც დასაბუთდა¹³, ეს არის, ცხადია, თუკი მის შემდეგაც სხვა რამე [საწყისი] იქნება, ის მარტივად კი არ იქნება საწყისი, არამედ საწყისისა და მიზეზის გაგება ექნება იმათთან მიმართებით, რომლებიც მის შემდეგ და მისგან არიან, ხოლო მარტივად საწყისთან მიმართებაში კი აღარ [ექნება ეს გაგება]. ის მიიქცევა იმისკენ [რაც მარტივად საწყისია], მისი წადილი აქვს, მუდამ [მასზეა] დამოკიდებული და, როგორც ჩანს, [მუდამ] სრულქმნაშია, როგორც მოქენე¹⁴, რომელიც [მისგან] ნათებას საჭიროებს. მაშ, ჰზამავს [ახლაც] და [მომავალშიც] მიჰზამავს თავის საწყისს, საიდანაც წარმოვლო. ის მასშია და არ გამოეყოფა, და თუ მაინც გამოეყოფა, [გამოეყოფა] როგორც მზეს – სხივი, რადგან არ შეიძლება, „ღვთისაგან წამოსული“ გაგებულ იქნას იმგვარად, რომ [თითქოს] შესაძლებელია, ასეთნი ერთხელ და სამუდამოდ გამოეყონ და კვლავაც იარსებონ. და, აი, [სულიც] ასევე იწოდა მესამე ღმერთად, არა იმიტომ, რომ ღმერთია – ეს [უკვე] ნაჩვენებია, რომ არ არის, – არამედ იმიტომ, რომ განღმრთობილია და ამით აქვს მოპოვებული უკვდავება და სამარადისო არსობა. მის შესახებ სხვა რამის თქმაც შეიძლება, რაც წარმოაჩენდასაბუთებს, რომ არ არის სული ღმერთი. მის შესახებ ამბობენ, რომ თვითმოდრავია, საკუთარი თავის მიმართ მოქმედებს და საკუთარი თავის მიზეზია. მაგრამ ყოველი მოძრაობა დროითია, თუნდაც რამე უფრო სწრაფად, ან უფრო ნელა მოძრაობდეს. ეს ნაჩვენებია ბევრი [საბუთით], ასევე ისიც, რომ

¹³ δένεικται. იხ. შენ. 6.

¹⁴ ἔνθεν-ს 'მოქენე' შეესაბამება ბევრ ძველ ქართულ თარგმანში (მათ შორის, იოანე პეტრიწთანაც). ტერმინი აღნიშნავს ნაკლებობას და, იმავდროულად, საჭიროებას. ἔνθεν ითქმის მასზე, რომელსაც ისეთი რამე აკლია, რასაც ის აუცილებლად საჭიროებს.

ყოველი, რაც მოძრაობს, ნაწილებად დაყოფადია.¹⁵ მაშ, დაყოფადია სულის მოქმედებაც, რომელიც საჭიროებს მოძრაობისა და დროის რიცხვს. ყოველი ამგვარი კი მოკვდავია და სხეულებთან ახლომყოფი, თუნდაც იგი ძალმოსილებით აღმატებული იყოს. და, რაკი [სული] მოკვდავი მოქმედების მქონეა, [ამით] ნაჩვენებია, რომ არ არის ღმერთი, არამედ ღვთაებრივი რამაა. მაგრამ გონებაც, რომელიც სულზე უზესთაესია, არ არის ღმერთი. და, თუკი სულში გარჩეულია იდეა-ფორმები და იგივეობაც არის [მასში] და სხვაობაც, [ეს არის] არა ყოველ სულში, არამედ უფრო მეორეა [ანუ სხვაობა] და უკვე საზღვარიც არის და უსაზღვრობაც; და ვერც ყოველს აღწევს და არც ყველაფერს გაივლის გონებიდან წარგზავნილი, არც ყოველი მიიქცევა მისკენ. რაც კი სულს, გონსა და არსებულს ეზიარება, აუცილებელია, რომ ესენი ერთსა და სიკეთესაც ეზიარებოდნენ; და ეს წესი არ შებრუნებულა, რათა, თუ რამე ერთსა და სიკეთეს ეზიარება, ის მყის არსებულს, გონსა და სულსაც ეზიარებოდეს.

მაშ, მესამე ღმერთი რომ არის სული კოსმოსისა, წარმოჩენილ-დასაბუთებულია ბრძენთა მიერ,¹⁶ რომლებიც არსებულით იწყებენ [ამ სათვალავს]. და ეს არის განდმრთობით, როგორც ითქვა, და არა იმიტომ, რომ ის მარტივად ღმერთია. ისინი ამბობენ, რომ მამა სულისა და დემიურგი კოსმოსისა არის გონება, რომელიც მუდამ მიქცეულია უმთავრესი [საწყისებისაკენ], – უკვე არსებულს ვგულისხმობ და ერთს –, იქიდან იღებს იდეა-ფორმებს და [მათ] მკაფიოდ განარჩევს (რადგან

¹⁵ Arst. Phys. VIII 5, 257a 33.

¹⁶ Procl. El. th. 182: გვ. 160, 5 (გმც).

აზროვნება გარჩევის¹⁷ იგივეობრივია იმ ბუნებაში), ჩამოაქვს ისინი მატერიაში და არ ანებებს ამ უკანასკნელს, არსებულთა გარეშე იყოს, [ანუ] იყოს და იწოდებოდეს არარსად. და ამის გამო არ ვამბობთ, რომ დემიურგია არსი ან ერთი, თუმცა დემიურგებია ესენიც, მაგრამ სხვაგვარად და არა ისე, როგორც გონებაა დემიურგი.¹⁸ გონება [არის] როგორც ხელოსანი, ხოლო არსებული – როგორც ხუროთმოძღვრობის მცოდნე, რომელიც უკვე დაუწესებს გონებას დაფარულად, შეასრულოს ის, რაც გასაკეთებელია, რადგან მასში არსებულთა იდეა-ფორმები გამოვლენილია არამკაფიოდ, არა [იმგვარად], როგორც გონებაში ვთქვით. მასშია კოსმოსის ნიმუში, როგორც პლატონი ამბობს.¹⁹ [ამ] ნათქვამით კი ადასტურებს, რომ არ არის გონება ღმერთი, კერძოდ, ღმერთი პირველადვე. და, თუ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ, აშკარაა, რომ [გონება] სხვებისაგან იღებს იდეა-ფორმებს.

რაც შეეხება ერთს – ესეც დემიურგია, ოღონდ ზეარსებით და ზეშემცნებით, და როგორც უკვე მეფე ყოველთა, რომელსაც ექვემდებარება ხელოსანიც და მასთან ერთად – ხუროთმოძღვარიც, და რომლისგანაც აქვთ მიღებული ასეთებს ყოველთვის ის, რაზეც კი ამბობენ, რომ მათი შექმნილია, ან ქმნიან. მაშ, არა მხოლოდ გონებაზე, არამედ არსებულსა და ერთზეც ამბობენ, რომ დემიურგია: გონებაზე – უდარესობით, რომელიც ახლოდან ხელოსნობს, ერთზე კი – უმჯობესობით, [როგორც] შორს მყოფზე, რადგან რამდენადაც [უფრო] განყენებულია მატერიისაგან, სხვებზე იმდენად უფრო მეტად არის

¹⁷ διακρίνειν, იგულისხმება: დაყოფა, გამოიჯვნა, გარჩევა ერთმანეთისაგან. Cf. Dam. *Exp. fid.* 36, II, 22, 39: გვ. 89. (გმც).

¹⁸ Procl. *El. th.* 157: გვ. 138, 6. (გმც.)

¹⁹ Pl. *Tim.* 29 A (გმც).

მიზეზი და საწყისი. მასში იდეა-ფორმები ერთქმნილია და, უნდა ვიფიქროთ, რომ იგივეობაა მასში და არ არის არავითარი სხვაობა, რომ უსაზღვრო ძალისაა და ყველაფერს გაივლის, რომ ერთი და იგივე ყველგანაც არის და არც არსადაა: ყველგან მყოფია ძალით, არსად მყოფი კი – არსებით. მაშ, უმრავია ესეც, რადგან არ არსებობს ადგილი, სადაც ის არ არის, რომ მისკენ მიემართებოდეს; არც ის [ადგილი] არსებობს, საიდანაც მოძრაობა უნდა წარმოიქმნას და ის კი ამ ადგილს დაშორებულია, არამედ ყველგან არის და არც არის, როგორც ითქვა.

არსებულზე კი, რომელიც შუაშია დაწესებული (რაკი უმჯობესია გონებაზე და უდარესი – მის მიღმურზე), შესაძლებელია, ითქვას, რომ დემიურგია არა ხელოსნობის გამო (რაკი უმჯობესია მატერიაზე და მას ძალიან დაშორებული), არც როგორც ყოველთა ზედა მეუფე, როგორც სიკეთეს შეუძლია იყოს და რომელიც, ვთქვით, რომ არის ასევე ერთი²⁰, არამედ როგორც ამ ერთისაგან ფორმების გადამტანი გონებისაკენ, რომელიც, თავის მხრივ, იღებს [მათ] და დემიურგობს ახლოდან²¹. სულის საშუალებით, რომელიც უშუალოდ მისგან წარმოსდგა, გონებაზეც ვამბობთ, რომ დემიურგია, როგორც უკვე განვაცხადეთ მის შესახებ სწორედ ამ მიზეზების გამო.

კოსმოსზე კი ამბობს [პლატონი], რომ სრულყოფილია, დასრულებული მთლიანობა²² და ყოვლობაა²³ ყველა თესლისა და სხეულისაგან [შედგენილი]²⁴. ასე რომ, ჯერ უნდა განვიხი-

²⁰ Procl. El. th. 13: გვ. 14, 24. (გმც)

²¹ Procl. El. th. 129: გვ. 114, 24 (გმც).

²² ἄλὸν ἀπεργασάμενον. Cf. Pl. Tim. 30 B.

²³ πᾶν

²⁴ Pl. Tim. 33 A (გმც).

ლოთ, რას ნიშნავს ‘სრულყოფილი’²⁵ და ‘მთელი’²⁶, რადგან სრულყოფილი თუ არის რამე, არ არის მთელიც [აუცილებლად]. უნდა ითქვას, თუკი დაყოფას მივმართავთ, რომ არსებულთაგან ერთნი მთლიანად მთლიანებია, მეორენი – მთლიანად ნაწილები, სხვანი მთელნია ნაწილობრივ და [ასევე არის] ნაწილებიც ნაწილობრივად. მაგრამ ნებისმიერი რამ მთელი მატერიისაგან არ წარმომდგარა. ალბათ, არ იქნება უაზრო, ‘სრული’ ვუწოდოთ თითოეულს მისივე საკუთარი ბუნების მიხედვით, მაგრამ ‘მთელს’ კი ვერანაირად [ვერ ვუწოდებთ], რადგან მთლიანობა მთელი მატერიისაგან შედგება, ეს კი კოსმოსია. მის გარეთ არ არსებობს რამე უფორმო და დაუსრულებელი²⁷, თითქოს არსებობდეს ასეთი მატერია ფორმის გარეშე. არამედ იმდენი მატერია წარმოაარსა წინდაწინ სიკეთემ, რამდენიც [მის მიერ] საკუთარი თავიდან [გაგზავნილ] ფორმას არსებისა და გონის გავლით მთლიანად უნდა მოეცვა. რადგან ის, რაც უფორმო და ყველაფერზე უდარესია, არის მიმღები არსებულთა და არა – არსებული. თუკი ვიტყვით, რომ არსებობს მატერია ფორმის გარეშე, უდიდეს უაზრობას შევემთხვევით: რომ დემიურგმა არ იცოდა, [რა] მატერია იყო კოსმოსის ფორმისათვის შესაფერისი, და არ შეემლო მატერია გაფორმებული შეექმნა, ან რომ სამომავლო [კოსმოსი] მიატოვა, რომ მატერია [თავად] მოწესრიგებულიყო, თვითონ კი აუცილებლობის²⁸ მიერ არის დაბრკოლებული. მაშ, მთლიანია კოსმოსი, რაკი ვამბობთ, რომ სხვა მეორე არ არსებობს; ყოვლობაც არის, რაკი მთელი მატერიისაგან შედგა; სრულყოფილებაცაა

²⁵ τέλειον

²⁶ ὅλον

²⁷ Ar. Phys. III 4, 203 a 7 (გმც); Dam. *Exp. fid.* 20, II, 6: გვ. 50. (გმც)

²⁸ ἀνάγκη .

და ეს არის ფორმისმიერი, რადგან მთლიანობა და ყოვლობა, კონკრეტულ [არსთა არსებობის] დამამტკიცებელია, ესენი კი მატერიის შედეგებია. ხოლო სრულყოფილად იწოდება ყოველივე ფორმის მიხედვით.

მაგრამ ფიგურა რაღაც იდეა-ფორმაა და [კოსმოსს] ის სფერული [აქვს]²⁹, ამიტომ უფრო სრულყოფილია სხვა ფიგურებზე. რადგან სხეულთა შორის სრულყოფილს ფიგურებს შორის სრულყოფილი შეეფერება. ეს დამატებასა და მოკლებას არ იღებს. მან, რაც სრულად მიიჩნევა, არ უნდა მიიღოს დამატებები, რადგან [მაშინ] არ იქნება ის, რაც, ამბობენ, რომ არის. რაც სხვისი მიმღებია, შესაძლებლობით არის ასეთი, ხოლო ის, რაც შესაძლებლობით არის, უსრულია. მაშ, რაც სხვას იღებს, არ არის სრული. მაგრამ [სრულს] არც მოკლების მიღება შეუძლია და ეს იმასთან ერთად დამტკიცდა, რომ ასეთი დამატებებს არ იღებს: ის, რაც დამატებას არ იღებს, ცხადია, არც მოკლებას [იღებს] ძალის სიჭარბის წყალობით. ასეთია სხვა ფიგურებს შორის ის, რაც სფერულია. სფეროს სფეროც რომ მიემატოს, მაინც არასოდეს შექმნის სფეროს და არც მაშინ შეძლებს სფერო იყოს, თუ რამე მოაკლდება. რა გაგებაც აქვს მონადას რიცხვთან მიმართებაში და წერტილს – სივრცესთან, ან, საშუალო ტერმინის არმქონე პროტასისს – პოსტულატებსა და ჰიპოთეზებთან მიმართებაში და სხვ., ასევე მივიჩნევთ სფეროს სხვა ფიგურებთან მიმართებაში.

ამის გამო ვთქვით, რომ კოსმოსი სრულყოფილია. სხვა რამესაც ვიტყვით: რაკი მათ [ანუ ელინთა] მიხედვით არაფერია ცის გარეთ – არც სხეული, არც უსხეულო [რამ], არც სივრცე ან დრო, არც ცარიელი [რამ], არც სავსე – ყოველივე მასში ყოფი-

²⁹ Pl. Tim. 33 b; Dam. *Exp. fid.* 20, II, 6: გვ. 51 (გმც).

ლა და, ცხადია, რომ სრული იქნება და არა უსრული. კოსმოსის გარეთ სხეული რომ არ არის, ცხადია აქედან: თუ არის, [ის] ან უსაზღვრო იქნება, ან შემოსაზღვრული. თუკი შემოსაზღვრულია, მოძრაობა ექნება და ბუნება – საწყისად მოძრაობისა. ყოველი ბუნების შესაბამისად მოძრავი, ან ცენტრისკენ [მიემართება], ან ცენტრიდან [მოდის]. ეს კი ამ ორიდან არც ერთი სახით არ იქნება, თუკი [ეს სხეული] კოსმოსის გარეთ არის და არანაირი ბუნება თავის თავში არ მიუღია. თუ არ იმოდრავებს, არასოდეს იმოქმედებს და არ იქნება არსებული ამის შესაბამისად. ის, რაც არ მოქმედებს, მოკლებულია ფორმას, ხოლო რაც ფორმა არ არის, ის მატერიაა და არა არსებული. მაგრამ ნაჩვენებია, რომ [მატერიის გაუფორმებელი არსებობა] შეუძლებელია. თუ უსაზღვროა, არაფერი იქნება მის გარდა, არც იმაში [იქნება], რაშიც სივრცე არ არის, რადგან უსაზღვრობით ყველაფერია მოცული. თუ ასეა, არც გადაადგილება იქნება არსებულთა, არც ცვლილება. სად იმოდრავებენ, თუკი უსაზღვრობას აქვს მოცული ყველაფერი? მაგრამ არსებობს მოძრაობები და, მაშ, არ არსებობს უსაზღვრო სხეული. ის, რომ დრო არ არის [ცის] გარეთ, აქედანაც ცხადია: რომ იყოს, იქნება მოძრაობაც, რადგან ყოველი დრო მოძრაობის რიცხვია. თუკი მოძრაობა იქნება, იქნება ისიც, რაც მოძრაობს, რადგან ყოველი მოძრაობა ენტელექტიაა მოძრავისა,³⁰ რამდენადაც არ [არის ხოლმე იგი] მოძრაობაში.³¹ ეს კი სხეულია. მაგრამ ნაჩვენებია, რომ არ არსებობს [სხეული ცის გარეთ]. მაშ, არც მოძრაობაა, არც დრო, არც სხვა რამ იმათგან, რაც ამათ მოსდევს.

³⁰ Arst. Phys. III 2, 202a 7-8; 257b 9; Cf. Phys. III 2, 201b; Metaph. 1048b 8-36.

³¹ Arst. Phys. III 2, 202a 2-5.

მაშ, ნაჩვენებია, რომ ყველაფერი წარმოარსდა თავად სხეულში და სხეულის გარემოში. ამის გამო, სწორი იქნება, კოსმოსის ფიგურა სფერული მივიჩნიოთ, რადგან მათ შორის, რომელთაც ერთი და იგივე გარშემოწერილობა³² აქვთ, ანუ ტოლ ფიგურებს შორის – ვგულისხმობ, წრეებს, სამკუთხედებსა და სხვა დანარჩენებს – წრე ყველაზე მეტი ფართობის მომცველია; მაგრამ იმიტომაც, რომ თანაბარია მისი მოძრაობა, ერთია და უწყვეტი. მამოძრავებელი ერთი და უძრავი წრე უნდა იყოს, რათა არსებობდეს მოძრავი წრე, რომელიც ყველა მხრიდან აწვევა³³ და აღანთებს ყველაფერს გონიერი მოძრაობით. რადგან უძრავად მამოძრავებელს, რომელიც არსებულია და მარადიული, ასეთივე უნდა ჰყავდეს მისგან ამოძრავებული, რაკი [იგი] შემთხვევითობით არ ამოძრავებულა ან იმოძრავებს, როგორც ის იხილება, რაც ჩვენთან იბადება. და როგორ არის სხვებზე უფრო დიდი ფართობის მომცველი, წრის შესახებ სხვაგან იქნება ნათქვამი, რადგან ამას ცოცხალი ხმა³⁴ ესაჭიროება და არა ნაწერი.

და აი, რაკი სამყაროს სული, გარეშე ბრძენთა მიხედვით, მასზე უწინ არსებულთა ბაძვით მოქმედებს (ეს კი არის მკრეხელობა, კოსმოსი სულიერიად, მაგრამ განმარტებას მაინც არაფერი უშლის ხელს), ცხადია, რომ აუცილებელია, კერძო სულები მათზე უწინ არსებულ სულს ჰბაძავდნენ.³⁵ რა გაგებაც

³² პერიმეტრის ერთი გაგება გულისხმობს წრიულად შემოხაზვას.

³³ Dam. Dam. Exp. fid. 20, II, 6: გვ. 51, 31–32 (გმც). ჩვენი აზრით, იოანე დამასკელი გრიგოლ ნოსელს ეყრდნობა, რომელსაც შესაქმის სახედ მეთუნის დაზვის სახე მოაქვს: ბორბალი ცის მოძრაობას შეესაბამება, რომლის ტრიალი უძრავ მიწას ცენტრისკენ მიმართავს (Gr. Nyss. Hom. opif. 1, in PG 44:128 CD).

³⁴ იგულისხმება, პირისპირ საუბარი.

³⁵ Procl. El. th. 21: გვ. 24, 25.

აქვს მთლიან სულს მათთან მიმართებით, რომლებიც მასზე უწინ არსებობენ, იგივე გაგება აქვთ კერძო სულებს მის მიმართ და, როგორც ჩანს, ჰბაძავენ [მას] და იქიდან ნათდებიან. რადგან მსგავსთა გავლით ხდება გამოსვლანი და გამოსხივბანი. მეორე მხრივ, რა გაგებაც აქვს იმ სულს სამყაროს სხეულის მიმართ, იგივე გაგება აქვთ დანარჩენ სულებსაც თითოეული სხეულის მიმართ. და, როგორც მთლიანი სული მთლიან სხეულს განაგებს და ერთბამად ამოდრავებს, იმგვარადვე დანარჩენი სულები – დანარჩენ სხეულებს. და, როგორც სულთა სიმრავლეა ერთი სულიდან (როგორც ელინები ფიქრობენ, რადგან ჩვენ ამას არ ვიზიარებთ), ისევე ერთი კოსმოსიდან გამოვიდნენ კოსმოსები, ანალოგიურად სულებისა, და ერთი გასულიერებული სფეროდან – სიმრავლე გასულიერებულ სფეროთა, და ყველა კოსმოსთა ყველაფერი – მზეებიც, მთვარეებიც და ვარსკვლავთა გუნდიც. და რაც კი ყოვლობაშია, უნდა ვიფიქროთ, რომ ის არის ნაწილებშიც³⁶.

და აი, უნდა ითქვას ასევე, როგორ არის სულები კერძო, რის გამოც ისინი შეიძლება განუკვეთელადაც მივიჩნიოთ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი კერძოობითი რამ განუკვეთელიც არის, როგორადაც განუკვეთელიც [არ არის აუცილებლად] კერძოობითი, არამედ მიღებულია, რომ კერძოობითი³⁷ [აუცილებლად] ასეთი არ არის. რაც განუკვეთელია, ყოველივე მატერიაშია, ბუნებაში კი – ის, რაც ყველაზე უფრო სახეობრივ-ფორმისეულია. სოკრატეს კი არ ქმნის ბუნება, არამედ ადამიანს, სოკრატე კი დაბადებულია მატერიის წყალობით, მიღებული აქვს

³⁶ აქ ადამიანი იგულისხმება როგორც მიკროკოსმოსი. როგორ არის ადამიანიში მზე და სხვა პლანეტები, ამის შესახებ იხ. ტრაქტატის ბოლო აბზაცი.

³⁷ μερικόν

ნაკვთები და ფერი, ხოლო სულში და სხვებში [ანუ გონებაში, არსებულში] არის ის, რაც ამათი მიღმურია. მაშ, სულეები, სხეულთაგან განშორებულნი, არ არიან მატერიის იგივეობრივად, [არამედ არიან] როგორც მრავალი სხივი ერთი სინათლისა, როგორც წარმოსახვაშია იდეა-ფორმები და სულში – მეცნიერებათა სიმრავლე. ხოლო როდესაც სხეულში არიან ჩამოცვენილნი³⁸ და მისი საქმეებით დაკავებულნი, სულეები უკვე რაღაც მატერიალურ [არსად] იწოდებიან, [მაგრამ] არა მარტივად მატერიალურად, ისევე, როგორც სითეთრე და სიშავე და სხვა თვისებები [არ არის მატერიალური],³⁹ არამედ როგორღაც მატერიისაკენ გადახრილებად, რომელთაც მათთან კავშირის ქონის უნარი აქვთ. და რაღაც სახით განუკვეთლებად იქცნენ და დაცემის გამო გახდნენ ის, რაც არ იყვნენ. როგორც მზის სინათლე, რომელიც ასევე ერთია, მაგრამ რაკი ბევრი ეზიარება, თუმც არ იყოფა, ყოველმხრივ დაყოფილია, ამგვარადვე არიან სულეები მრავალნი სხეულთა სიმრავლის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ხმაც ერთია, მრავალია სმენითი აღქმებით. რაკი ყოველი სიმრავლე ეზიარება როგორღაც ერთს და ყველა ასეთ სიმრავლეზე უწინ უნდა არსებობდეს ერთი, რადგან [სიმრავლე] არც კი წარმოარსდებოდა, ერთი რომ არ ყოფილიყო, ცხადია, რომ რაკი მრავალია სული, მათზე უწინ ერთი სული უნდა იყოს, მრავალ გონებაზე წინ [უნდა იყოს] ერთი გონება და არსებულებზე [უწინ] – არსებული. და კვლავ, თუმცა ერთია სული, მიღებულა, რომ მრავალია, ვინაიდან ერთიდან ეძლევა ყველა [არსს] შობითობა. ის, რაც უშვია, უძლურია და უსარგებლო. ამიტომ, ერთი სულიც წარმოსდგა სამყაროში და მრავალიც, როგორც

³⁸ Pl. Phaidr. 248 B (გმც).

³⁹ Dam. Dial. 35, 78: გვ. 121 (გმც).

ისინი ამბობენ, [და პირველი არის] მონადისა⁴⁰ და საწყისის გაგების მქონე სხვა სულებთან მიმართებაში. ასევე სხეული ერთიც არის და მრავალიც ამ გაგებით. სფეროც ერთია და მრავალი. ასევე არის ერთი ბუნება და ბუნებათა სიმრავლეც, და სხვა დანარჩენი, რაც სამყაროაშია, ასევეა.

„არის ჩვენში მენე⁴¹, ზევსი, არესი, პაფიე⁴², კრონოსი, ჰელიოსი, ჰერმესი.

და ზევსი დასაბამია დაბადებისა, რომლისგანაც ბუნება აღმოცენდა.

რატომაც დავნაწილდით ეთერის⁴³ პნევმიდან შესასუნთქად: ცრემლისა, სიცილისა, ნაღველისა, გენეზისისა, ლოგოსისა, მილისა, წადილისა.

ცრემლი კრონოსია, ზევსი – გენეზისი, ლოგოსი – ჰერმესი, რისხვა – არესი, მენე – ჰიპნოსი, კითერია – წადილი, ჰელიოსი კი – სიცილი. ამის გამო იცინის სწორედ ყველა მოკვდავი გონებაც და უსაზღვრო კოსმოსიც.“⁴⁴

და ეს ნათქვამია ლოგიკურად, ან, უფრო სწორად რომ ვთქვა, დიალექტიკურად, ხოლო აპოდიქტიკურად კი ამის მერე [გეტყვი], როდესაც ამათ შესახებ შენ ჩემგან და ცოცხალი ხმით დაგელაპარაკები.

ბერძნულიდან თარგმნა
მაგდა მჭედლიძემ

⁴⁰ Pocl. El. th. 21: გვ. 24, 25 (გმც).

⁴¹ მთვარე.

⁴² აფროდიტე.

⁴³ ეთერი ცის ყველაზე ზემოთა ჰაერია, და ასევე ნიშნავს ზევსას.

⁴⁴ Hermet., Fr. 29 (Corpus Hermeticum, ed. A.D.Nock and A.-J. Festugière, vol. 4 (Fragmenta), 1954) (გმც). ციტირებული ასტროლოგიური ფრაგმენტი (დაახლ. მე-4 საუკუნით დათარიღებული) იხ. ასევე: Carmen astrologicum, Fragmentum, ed. E. Heitsch, Die griechischen Dichterfragmente der römischen Kaiserzeit, vol. 2, Göttingen: Vandenhoeck&Ruprecht, 1964: 43-44.

ვუძღვნე ჩემს სტუდენტებს – კესოს, ნინაკოს, ლუკას და ნიას

დემოსთენეს სასამართლო ორატორია და მისი სიტყვა "ევპულიდესის წინააღმდეგ"

დემოსთენე ბერძნული ორატორული სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ციცერონი მას ყველა ბერძენ ორატორზე მაღლა აყენებდა და „სრულყოფილ ორატორს“ უწოდებდა. უკვე ანტიკურობაში დაწვრილებით შეისწავლიდნენ მის ნაწერებს და დეტალურ კომენტარებს ურთავდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ახ.წ. IV ს-ის ორატორ ლიბანიოსის ე.წ. „ჰიპოთესისები“, რომელშიც დემოსთენეს ბიოგრაფია და მისი სიტყვების ერთგვარი შესავლება წარმოდგენილი.

დემოსთენეს სახელით 63 ნაწარმოებია მოღწეული, თუმცა მათგან ყველა მის კალამს არ ეკუთვნის. ორატორის სიტყვებს სათათბირო ანუ პოლიტიკურ და სასამართლო სიტყვებად ყოფენ¹. მართალია, დემოსთენეს დიდება უმთავრესად მისმა პოლიტიკურმა სიტყვებმა მოუტანა და თავისი ეპოქის ღირსშესანიშნავ ფიგურად ამ სიტყვებმა აქცია, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი სასამართლო სიტყვები, რომლებმაც დიდი როლი

¹ დღესდღეობით დემოსთენეს კორპუსში შეტანილია ეპიდეიქტური სიტყვებიც - „სამგლოვიარო სიტყვა“ (LX) და „ეროტიკოსი“ (LXI), მიუხედავად იმისა, რომ ანტიკურობიდან მოყოლებული ისინი დემოსთენეს ორიგინალურ ნაწერებად არ მიიჩნევა.

ითამაშა ორატორიის ამ დარგის განვითარებაში. დემოსთენემ თავისი მოღვაწეობა, როგორც ორატორმა, სწორედ სასამართლო სიტყვებით დაიწყო. მის პირველივე სიტყვებში იკვეთება არგუმენტაციის კონკრეტულობა და სიზუსტე, ე.წ. ბუნებრივი მტკიცებულებების – ფაქტების, ციფრების, ჩვენებების საფუძვლიანი წინასწარი შესწავლა, ყოფითი დეტალების ფართოდ წარმოდგენა.

დემოსთენეს სასამართლო სიტყვები შედგება შესავლის, მთავარი ნაწილისა და დასკვნისგან. მთავარი ნაწილი, თავის მხრივ, თხრობად, მტკიცებით ნაწილად და უარყოფად იყოფა. დემოსთენეს ძლიერი მხარე ყველაზე მეტად მტკიცებითი ნაწილია. მისი მტკიცებები აგებულია სამხილებზე, ვარაუდებსა და განზრახვებზე, რომელთათვისაც მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრულობაა დამახასიათებელი. ორატორთან ხშირადაა წარმოდგენილი მოწინააღმდეგის არგუმენტთა უარყოფა – მაშინაც, როცა გამომსვლელს უკვე მოსმენილი აქვს ამ უკანასკნელის მტკიცებულებანი და მაშინაც, როცა ის ბრალმდებლად გვევლინება და, შესაბამისად, წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული მოწინააღმდეგის სავარაუდო არგუმენტები. სიტყვის შესავალში დემოსთენე, როგორც წესი, ამზადებს მსმენელს – წარმოუდგენს განსახილველი საკითხების წინასწარ მონახაზს, დასკვნაში კი აჯამებს მონათხრობს, მოყვანილ მტკიცებებს და მიმართავს მოსამართლეებს².

წინამდებარე სიტყვა „ევბულიდესის წინააღმდეგ“ (LVII) დემოსთენეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სასამართლო სიტყვად არის მიჩნეული. საყურადღებოა ის, ერთი მხრივ,

² Радциг С. И., „Демосфен – Оратор и Политический деятель“ в кн.: *Демосфен, Речи*, т. III, Москва, 1996, 405-467.

როგორც თავისი დროის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუციების ფუნქციონირების კულტურული დოკუმენტი და, მეორე მხრივ, როგორც ორატორული ხელოვნების ერთობ საყურადღებო ნიმუში. ასე მაგალითად, სასამართლო სიტყვის მთავარი ნაწილი – თხრობა აქ უმაღლესი მხატვრული ოსტატობითაა წარმოდგენილი და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ჩვენ თვალწინ ცოცხლდება ძვ.წ. IV ს-ის ატიკურ დემოსში მიმდინარე უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესი – პიროვნების მოქალაქეობის უფლებამოსილების დასადგენად წარმართული კენჭისყრა, მასთან დაკავშირებული კორუფციული გარეგებები და პირადი მტრობით მოტივირებული ქმედებები, ხმებით სავარაუდო მანიპულაცია, ყველაფერი ის, რაც ამდენი საუკუნის შემდეგ კვლავაც ესოდენ აქტუალურია.

სიტყვას წარმოთქვამს ვინმე ევქსითეოსი (მის სახელს ლიბანიოსი გვამცნობს), რომლისთვისაც დემოსში მოქალაქეთა სიების გადამოწმებისას მოქალაქეობა ჩამოურთმევიათ. ევქსითეოსი მიიჩნევს, რომ მას უკანონოდ ჩამოართვეს მოქალაქეობა, ამიტომ სააპელაციო სასამართლოს მიმართავს. აპელაციის განხილვისას პროცესზე ბრალმდებლად გამოდის ევბულიდესი – სწორედ მის წინააღმდეგ შეიტანა ევქსითეოსმა სარჩელი კენჭისყრის გაყალბების ბრალდებით. პროცედურის მიხედვით, ევბულიდესს პირველს წარმოუთქვამს სიტყვა. მის შემდეგ კი დაცვითი სიტყვით ჩვენი ორატორი გამოდის. ევქსითეოსისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პროცესის მოგება, რადგან დამარცხების შემთხვევაში მას, როგორც აპელაციის შემტანს, მძიმე სასჯელი ელის.

რატომ ჩაატარეს ევქსითეოსის დემოსში კენჭისყრა მოქალაქეობის უფლების შესამოწმებლად? ვინ არ შეიძლება ყოფი-

ლიყო ათენის მოქალაქე? ძვ.წ. 451 წ-ის შემდეგ, როცა ათენის სახალხო კრებამ პერიკლეს მოქალაქეობის კანონი მიიღო, ათენის მოქალაქე მხოლოდ ის პიროვნება შეიძლება ყოფილიყო, რომლის ორივე მშობელი მოქალაქე იყო. პელოპონესის ომის დროს ეს კანონი სრულყოფილად ვერ ფუნქციონირებდა, ამიტომ ძვ.წ. 403 წ-ის ის აღადგინეს. ძვ.წ. IV ს-ში ათენის მოქალაქეთა რიცხვი იზრდება, ამის ერთ-ერთ მიზეზად კი უცხოელების მიერ დემოსის რიგებში უკანონოდ შეღწევა სახელდება. იმის გასარკვევად, თუ რამდენად კანონიერად ჰქონდა ამა თუ იმ პირს მიღებული მოქალაქეობა, პერიოდულად ცალკეულ დემოსებში დაიწყეს მოქალაქეთა სიების კენჭისყრით გადამოწმება. ამ პროცედურის დროს, რომელსაც დემარქოსი მეთაურობდა, დემოსის წევრები ერთმანეთის მოქალაქეობას უყრიდნენ კენჭს. წინამდებარე სიტყვაში საქმე გვაქვს არა რიგით, არამედ ექსტრაორდინარულ შემოწმებასთან, რომელიც, ძვ.წ. 346/45 წ-ს დემოფილოსის დეკრეტის თანახმად, ატიკის ყველა დემოსში ჩატარდა.

სიტყვაში ევქსითეოსი ბრალს სდებს ევბულიდესს, რომელმაც პირადი მოტივებით იმოქმედა და მისი მოქალაქეობის საკითხზე კენჭისყრა გააყალბა. შესაბამისად, ევქსითეოსმა უნდა დაამტკიცოს, რომ აქვს მოქალაქეობის უფლება. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, მსაჯულებს უნდა უჩვენოს, რომ მისი ორივე მშობელი მოქალაქეა. ევქსითეოსი წარმატებით პასუხობს ევბულიდესის ბრალდებას, თითქოს მისი მამა უცხოელი იყო იმიტომ, რომ უცხოური აქცენტით ლაპარაკობდა. ასევე უკუაგდება ამ უკანასკნელის ბრალდებას დედამისის უცხოელობის თაობაზეც – მოწინააღმდეგე აცხადებს, რომ ევქსითეოსის დედა ძიძად მსახურობდა და ამასთან აგორაზე ვაჭრობდა, შე-

საბამისად, ათენის მოქალაქე არ იყო. ამ ბრალდებათა გასაბათილებლად მას მოწმედ მოჰყავს დედისა და მამის არაერთი ნათესავი, ფრატრიისა და გენოსის წევრები, რომლებიც არიან რა მოქალაქენი, ფიცით ადასტურებენ ევქსითეოსის მშობლებთან თავიანთ ნათესაობას. ორატორს მოჰყავს მოწმეები, რომ მამამისმა გარდაცვლილი შვილები საგვარეულო სამარხში დაკრძალა და ა.შ. მშობლების მოქალაქეობის ჩვენების შემდეგ იგი უკვე თავისი მოქალაქეობის უფლებას ასაბუთებს. ევქსითეოსი მსაჯულლებს ამცნობს ამის დამამტკიცებელ ფაქტებს, რომლებსაც მოწმეები ფიცით ადასტურებენ. კერძოდ, რომ იგი დასახელებული იყო ჰერაკლეს ქურუმის თანამდებობაზე, რომ ადასრულებდა მოქალაქისთვის სავალდებულო რელიგიურ მსახურებათ, რომ რამდენჯერმე გაიარა თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი შემოწმება.

ეს სიტყვა კიდევ არაერთი სოციალური ინსტიტუციის ფუნქციონირებისა და სოციალური პრაქტიკისა თუ უბრალოდ, ათენელების ყოფითი ცხოვრების, მათი წარმოდგენების, ინტერესების, საზრუნავის, იდეალების შესახებ გვაწვდის ფასდაუდებელ ცნობებს. ვფიქრობთ, ის საინტერესო უნდა იყოს როგორც კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისთვის, მით უფრო, რომ დემოსთენეს სასამართლო სიტყვები ქართულ ენაზე ნათარგმნი არ ყოფილა³.

„ევბულიდესის წინააღმდეგ“ თარგმნისას გამოვიყენეთ დემოსთენეს ტექსტის შემდეგი გამოცემა: Demosthenes, *Private*

³ ქართულად დემოსთენეს სიტყვებიდან მისი „ვილიპიკებია“ თარგმნილი. დემოსთენე, *ვილიპიკები*, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო გ. სარიშვილმა, თბილისი, 1984.

Orations in four volumes, vol. III, translated by Murray A. T., Harvard University Press, 1939.

ამ სიტყვის, უპირატესად როგორც კულტურული დოკუმენტის, განხილვას, არაერთ სტატიაში ვხვდებით. მას ეძღვნება სადისერტაციო ნაშრომი: Phelan Kerry Louise, *A Social and Historical Commentary on Demosthenes' Against Euboulides*, PHD thesis, National University of Ireland, Maynooth, 2016 <http://mural.maynoothuniversity.ie/10414/1/K.%20L.%20PHELAN%20C%20PHD%20THESIS%20%27A%20SOCIAL%20AND%20HISTORICAL%20COMMENTARY%20ON%20DEM.%2057%27.pdf>

Πρὸς Εὐβουλίδην
ევბულიდესის წინააღმდეგ
LVII

§1. რადგან ევბულიდესმა მრავალი ცრუ ბრალდება წამოგვიყენა და, ამასთან, ჩვენ მიმართ შეუფერებელი და დაუსაბუთებელი ცილისმწამებლური განცხადებები გააკეთა, მე, პატივცემულო მსაჯულნო⁴, შევეცდები, სამართლიანი და უტყუარი მტკიცებულებების მოშველიებით გაჩვენოთ, რომ მაქვს მოქალაქეობის უფლება და ეს კაცი უმართებულოდ მომექცა.

გთხოვთ თითოეულს, პატივცემულო მსაჯულნო, გვედრებით და გაფიცებთ, გაითვალისწინოთ ამ სასამართლო პროცესის უდიდესი მნიშვნელობა, ის სირცხვილი, რომელიც წი-

⁴ ორიგინალში „დიკასტესი“. ამ ტერმინს თანამედროვე ენებში ხან მსაჯულად (juror) და ხან მოსამართლედ (judge) ვთარგმნი, თუმცა არცერთი მათგანი ბერძნული ტერმინის ზუსტი შესატყვისი არაა.

ლად ხვდება მსჯავრის დადებით დაღუპულ ადამიანს და მეც დუმილით მომისმინოთ, და, თუ შესაძლებელია, უფრო მეტი კეთილგანწყობით, ვიდრე მას უსმენდით (საფრთხეში მყოფთა მიმართ უფრო მეტი კეთილგანწყობა შეგვეფერის), ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ იქნებ, ისეთივე კეთილგანწყობა მაინც გამოავლინოთ. §2. ყოველივე ის, რაც მე შემემთხვა, პატივცემულო მსაჯულნო, და ასევე მოქალაქეობაზე ჩემი უფლება, მიმტკიცებს რწმენას და მაიმედებს, რომ სასამართლოზე წარმატებას მივაღწევ, თუმცაღა მაშინებს შექმნილი მდგომარეობა, მაშინებს ისიც, როგორ აქეზებენ ქალაქს მოქალაქეობის ჩამორთმევისკენ; ვინაიდან ბევრს ყველა დემოსში⁵ მართლაც სამართლიანად ჩამოართვეს მოქალაქეობა, ჩვენ, რომლებიც შეთქმულების მსხვერპლნი გავხდით⁶, გავიზიარეთ მათი შელახული სახელი და ამდენად იძულებული შევიქმენით, ვიბრძოლოთ მათდამი წაყენებული ბრალდების წინააღმდეგ ნაცვლად იმისა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ საქმეს მიხედოს. ასე რომ, შეუძლებელია, ერთობ შეშფოთებულნი არ ვიყოთ. §3. და მაინც, ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, მე,

⁵ დემოსი – ტერიტორიულ პრინციპზე დაფუძნებული წვრილი პოლიტიკური დანაყოფი. მოსახლეობის რეორგანიზაციის კლისთენესეული რეფორმის შემდეგ დემოსები ახალი სისტემის ქვაკუთხედებად იქცა. თითოეული დემოსი თვითმმართველობის ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც თავისი მიწები, ფინანსები და რელიგიური მსახურებები ჰქონდა. დემარქოსის – დემოსის უმაღლესი მოხელის მეთაურობით დემოსში ადგენდნენ მოქალაქეთა სიას – γράμματαιον-ს, რომელსაც თანამედროვე ენებში რეესტრი/რეგისტრი ეწოდება.

⁶ ამ შემთხვევაში მრავლობით რიცხვში ლაპარაკისას გამომსვლელი – ევქსითეოსი თავის თავთან ერთად გულისხმობს სხვა პირებსაც, რომლებსაც მოქალაქეობა ჩამოერთვათ პირადი მტრების ცრუ ბრალდების საფუძველზე იმ მოტივით, რომ მათ უკანონოდ ჰქონდათ მითვისებული მოქალაქეობის უფლება. პირადი მტრების ამგვარ ქმედებას ევქსითეოსი შეთქმულებად განიხილავს და ამას არაერთგზის უსვამს ხაზს თავის სიტყვაში.

უპირველეს ყოვლისა, ვილაპარაკებ იმაზე, რაც ამ ამბებთან დაკავშირებით სამართლიანად მიმაჩნია. ვფიქრობ, სისასტიკე გმართებთ იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა უცხოელობაც გამოაშკარავდა და რომლებიც საიდუმლოდ და ძალის გამოყენებით ისე გახდნენ მონაწილენი თქვენი წმინდა მსახურებისა და სამოქალაქო პრივილეგიებისა⁷, რომ არც დაურწმუნებიათ ხართ ამაში და არც თქვენი თანხმობა უთხოვიათ. ამასთან, უნდა დაეხმაროთ და გადაარჩინოთ ისინი, ვისაც თავს დაატყდა უბედურება და ვისაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ მოქალაქეობის უფლება აქვს. თქვენ უნდა გაიაზროთ, რამდენად მეტად საბრალობელი იქნება ჩვენი, უსამართლოდ დაჩაგრულთა, ხვედრი, თუკი მაშინ, როცა თქვენთან ერთად მართებულად უნდა ვიყოთ სასჯელის დამწესებელთა რიგებში, ჩვენ აღმოვჩნდებით იმათთან, ვინც სასჯელს იხდის და მათ მსგავსად ვიქნებით დაძრახულნი. §4. მიმაჩნდა, პატივცემულო მსაჯულნო, რომ ევბულიდესს და საერთოდ, მოქალაქეობის ჩამორთმევის საქმეებში ყველა სხვა ბრალმდებელს მართებდა, ელაპარაკა ის, რაც დანამდვილებით იცოდა და ამ განხილვებისას არ წარმოედგინა ის, რასაც ყური მოჰკრა. უკვე დიდი ხანია, რაც ასეთი ჩვენებები იმდენად არადაამაჯერებლად არის მიჩნეული, რომ კანონით აკრძალულია ყურმოკრულის დამოწმება ყველაზე უმნიშვნელო ბრალდების დროსაც კი, და ეს სავსებით სწორია. მაშინ, როდესაც ადამიანები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ იცოდნენ, რასაც ჰყვებოდნენ, შემდეგ

⁷ κοινῶν – „სამოქალაქო პრივილეგიები“ გულისხმობს მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს, როგორებიცაა მონაწილეობა სახალხო კრებაში, თანამდებობის დაკავება და მსაჯულად მსახურების უფლებები. ტერმინი ἱερῶν „წმინდა მსახურება“ მოიცავს სახელმწიფოსა და სოციალური ჯგუფების სხვადასხვა კულტმსახურებას და ასევე ქურუმის თანამდებობას.

მატყუარები აღმოჩნდნენ, იქნება კი მართებული, ერწმუნო მას, ვინც იმ საქმეებზე ლაპარაკობს, რომელთა შესახებაც არაფერი იცის?

§5. და როცა არავის არ აქვს უფლება, ზიანი მიაყენოს მეორე ადამიანს იმით, რაც, მისივე განცხადებით, მხოლოდ ყურმოკვრით იცის – ამის უფლება არ აქვს იმ ადამიანსაც კი, რომელსაც თავის ნათქვამზე აკისრია პასუხისმგებლობა⁸ – მაშინ როგორღა შეგფერით თქვენ, ერწმუნოთ პირს, რომელიც საერთოდ არ არის ანგარიშვალდებული საკუთარ განცხადებებზე?⁹

მაგრამ რამდენადაც ამ კაცმა, რომელმაც იცის კანონები და მშვენივრად იცის ისინი, თავისი ბრალდება სამართლიანობის გვერდის ავლით და საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ წარმოადგინა, მე აუცილებლად ვთვლი, თავდაპირველად მოგიყვით იმ შეურაცხყოფის შესახებ, რომელიც მათ დემოსის წევრთა წინაშე მომაცენეს. §6. ათენის მოქალაქენო, გემუდარებით, დემოსის წევრების მიერ მოქალაქეობიდან ჩემს ამორიცხვას ჯერ ნუ მიიჩნევთ იმის მტკიცებულებად, რომ მოქალაქეობის უფლება არ გამაჩნია. თქვენ რომ ფიქრობდით, რომ მათ შეუძლიათ სამართლიანად გადაწყვიტონ ყველა საქმე, მაშინ ხომ არ დართავდით ნებას ადამიანებს აპელაციისათვის თქვენთან მოსულიყვნენ? მაგრამ თქვენ იცით, რომ რაღაც ამდაგვარი შეიძლება მოხდეს მეტოქეობის, შურის, მტრობის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო და ამიტომ საკუთარი თავი უსამარ-

⁸ იგულისხმება მოწმის პასუხისმგებლობა სწორი ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით.

⁹ ორატორი აქ ლაპარაკობს ევბულიდესზე, რომელიც ამ პროცესში გაמודის ბრალმდებლად და, მოწმისგან განსხვავებით, მისი პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლებოდა.

თლოდ დაჩაგრულთა თავშესაფრად აქციეთ; და ამის მქმნელნი, ათენის მოქალაქენო, დიახაც, სწორად მოიქეცით, თქვენ იხსენით ყველა, ვინც უსამართლობა იწვნია. §7. ახლა კი, თავდაპირველად მოგიყვებით, თუ როგორ წარიმართა სინამდვილეში კენჭისყრა დემოსის შეკრებაზე; რამეთუ ვთვლი, რომ ამავე საქმეზე ყველა მხრიდან ლაპარაკი წარმოაჩენს, თუ რამდენი დაითმინა უსამართლოდ შეთქმულების მსხვერპლმა თქვენ მიერ მიღებული დეკრეტის სულისკვეთების საპირისპიროდ.

§8. როგორც ეს უმეტესი თქვენგანისათვის, ათენის მოქალაქენო, ცნობილია, ამ კაცმა, ევბულიდესმა, ლაკედემონიოსის და მკრეხელობაში დაადანაშაულა, მაგრამ ხმების მეხუთედიდ კი ვერ მიიღო. და რადგანაც ამ პროცესზე მივეცი ჩვენება, რომელიც სიმართლე იყო, მაგრამ მისი მტკიცებულების საპირისპირო გახლდათ, ის მტრად მომეკიდა. და როგორ იქცევა, პატივცემულო მსაჯულნო, ევბულიდესი, ბულევეტი, რომელსაც დემოსის წევრების ფიცის მიღება და დემოსის სიის საფუძველზე შეკრებაზე მათი მოხმობა ევალებოდა?¹⁰ §9. დასაწყისში, როდესაც დემოსის წევრები შეიკრიბნენ, მან მთელი დღე სიტყვების წარმოთქმასა და დეკრეტების შეთავაზებაში დაკარგა. ასე შემთხვევით კი არ იქცეოდა, არამედ ჩემ წინააღმდეგ ბოროტი განზრახვით მოქმედებდა, რათა ჩემს საკითხზე კენჭისყრა რაც შეიძლება გვიან გამართულიყო. და ეს მართლაც მოახერხა. დემოსის ის წევრები, რომლებმაც ფიცი დავდეთ, სამოცდაცამეტნი ვიყავით, კენჭისყრა გვიან საღამოს დავიწყეთ. ისე მოხდა, რომ უკვე ბნელოდა, როდესაც ჩემი სახე-

¹⁰ ბულევეტი - სახელმწიფოს უმაღლესი სათათბირო ორგანოს - ბულეს წევრი.

ლი დაიძახეს. §10. დაახლოებით მესამოცე ვიყავი და იმ დღეს მოხმობილი წევრებიდან ბოლო გამომიძახეს. ამ დროს დემოსის უხუცესი წევრები უკვე სოფელში იყვნენ წასულნი. ჩვენი დემოსი, პატივცემულო მსაჯულნო, ქალაქიდან ოცდათხუთმეტი სტადიონითაა¹¹ დაშორებული და რადგან უმეტესობა იქ ცხოვრობს, ამ დროისთვის ბევრმა დატოვა კრება. ადგილზე ოცდაათიოდე კაცი თუ დარჩა. თუმცა მათ რიცხვში იყო ყველა, ვინც ევბულიდესმა მოისყიდა. §11. როგორც კი გამომიძახეს, ის კაცი წამოხტა და მაშინვე ჩემი ცილისწამება დაიწყო, ლაპარაკობდა ბევრს, ჩქარ-ჩქარა და ხმამაღლა, როგორც ახლა. არც დემოსის წევრთაგან და არც სხვა მოქალაქეთაგან ევბულიდესს არავინ გამოუყვანია მოწმედ ჩემ წინააღმდეგ¹², თუმცა დემოსის წევრებისგან მოითხოვდა, ხმა მიეცათ ჩემთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის სასარგებლოდ. §12. ვითხოვდი, რომ კენჭისყრა ჩემს საკითხზე შემდეგი დღისთვის გადადებულიყო, რადგან იყო გვიან, რადგან იქ არავინ იყო, ვინც ჩემ სასარგებლოდ გამოვიდოდა და რადგან ეს ამბავი მოულოდნელად დამატყდა თავს. მას გადადების შემთხვევაშიც ექნებოდა შესაძლებლობა, დავედანაშაულებინე, რაშიც მოისურვებდა და მოეყვანა მოწმეები, თუკი ასეთნი ეყოლებოდა. მეორე დღეს კენჭისყრის ჩატარება კი მე მომცემდა საშუალებას, დემოსის თითოეული წევრის წინაშე დამეცვა თავი და მოწმეებად ნათესავები წარმომედგინა. ამასთან, თანხმობა განვაცხადე,

¹¹ დაახლოებით 6½ კილომეტრი.

¹² ევქსითეოსის ამ განცხადებიდან (და ასევე ორატორის შემდგომი განცხადებებიდან, რომ მას კენჭისყრის დროს გვერდით მხარდამჭერი არ ჰყავდა), ფელანი ვარაუდობს, რომ როგორც დემოსის მოხელეთათვის, ისე კენჭისყრის სუბიექტებისთვის შესაძლებელი უნდა ყოფილიყო წინასწარი მომზადება მოწმეთა მოსაყვანად. Phelan, 2016, 220.

დავმორჩილებოდი დემოსის ნებისმიერ გადაწყვეტილებას. §13. ამ ადამიანმა ყური არ ათხოვა ჩემს წინადადებას, მისვე დაიწყო ადგილზე მყოფი წევრებისთვის კენჭების დარიგება. ამასთან, არც მე დამრთო ნება, დასაცავი სიტყვა წარმომეთქვა და არც თავად მოუყვანია რამე დამაჯერებელი მტკიცებულება ჩემ წინააღმდეგ. ისინი, ვინც მასთან შეკრული იყო, ადგილებიდან წამოხტნენ და კენჭისყრას შეუდგნენ. ბნელოდა. თითოეული ორ-სამ კენჭს იღებდა და ურნაში ყრიდა. აი, საბუთიც: კენჭისყრაში მონაწილეთა რიცხვი ოცდაათს არ აღემატებოდა, კენჭები კი როდესაც დაითვალეს, სამოცზე მეტი აღმოჩნდა; ასე რომ, ყველანი გაოცებული დავრჩით. §14. ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად, კერძოდ კი იმისა, რომ დემოსის ყველა წევრს არ მიეცა კენჭი საყრელად და რომ ჩაყრილი კენჭების რიცხვი უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ხმის მიმცემნი იყვნენ, წარმოგიდგინებ მოწმეებს. ისე მოხდა, რომ არც მეგობართაგან და არც სხვა ვინმე ათენელთაგან არავინ მყოლია, ვინც ჩემ სასარგებლოდ ამ ამბების მოწმე იქნებოდა. ერთი, რომ გვიანი იყო და მეორე – არავინ მომიხმია დასასწრებად. ასე რომ, იძულებული ვარ, მოწმეებად ის ადამიანები წარმოგიდგინოთ, რომლებიც უსამართლოდ მომექცნენ. აი, ფაქტები, რომლებიც მათთვის ჩაწერილი მაქვს და რომელთა უარყოფასაც ვერ შეძლებენ. წაიკითხეთ.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა

§15. ახლა კი [ვთქვათ], პატივცემულო მსაჯულნო, ჰალიმუსიელებს იმ დღეს დემოსის ყველა წევრისთვის რომ ეყარათ კენჭი, გონივრული იქნებოდა კენჭისყრის გვიანობამდე გაგრძელება, რათა თქვენი დეკრეტის ვალდებულებანი სახლში

წასვლამდე აღსრულებული ჰქონოდათ. მაგრამ თუ კიდევ რჩებოდა ოცზე მეტი წევრი, რომელთათვისაც მომდევნო დღეს უნდა ეყარათ კენჭი და ყველა შემთხვევაში ხელახალი შეკრება იყო საჭირო, მაშინ რა სირთულეს წარმოადგენდა ევბულიდესისთვის კენჭისყრის მეორე დღისთვის გადადება და დემოსის წევრების წინაშე პირველი ჩემი საკითხის დაყენება? §16. ამისი მიზეზი, პატივცემულო მსაჯულნო, გახლდათ ის, რომ ევბულიდესმა მშვენივრად იცოდა: იმ შემთხვევაში, თუ მე გამოსვლის საშუალება მომეცემოდა, თუ დემოსის ყველა წევრი იქნებოდა წარმოდგენილი ჩემ გვერდით და თუ კენჭისყრა სამართლიანად ჩატარდებოდა, მაშინ მასთან შეკრულთ არაფერი გამოუვიდოდათ. იმას კი, თუ რატომ მოაწყვეს ამ ადამიანებმა შეთქმულება ჩემ წინააღმდეგ, თუ მოისურვებთ, მოგვიანებით მოგახსენებთ, მას შემდეგ, რაც ჩემს წარმომავლობას გაგაცნობთ. §17. მაშ, რა მიმაჩნია სამართლიანად და რისთვის ვარ მზად, პატივცემულო მსაჯულნო? მზად ვარ, დაგიმტკიცოთ, რომ ათენელი ვარ მამითაც და დედითაც, მზად ვარ, წარმოგიდგინოთ მოწმენი, რომლებიც, დამეთანხმებით, პატიოსანი ადამიანები არიან, ასევე მზად ვარ, უკუვადგო ბრალდებები და თავდასხმანი. ხოლო მას შემდეგ, რაც ყველაფერ ამას მოისმენთ, თუ აღიარებთ ჩემს მოქალაქეობას და იმას, რომ შეთქმულების მსხვერპლი შევიქმენი, მაშინ მიხსენით, მაგრამ თუ ამას არ აღიარებთ, ამ შემთხვევაში იმოქმედეთ ისე, როგორც ამას, თქვენი აზრით, ღვთისმოსაობა მოითხოვს¹³. აქედან დავიწყებ.

¹³ გამომსვლელი სთხოვს მსაჯულებს, დაიცვან წმინდა ფიცი, რომელსაც ისინი წლის დასაწყისში მსაჯულთა კოლეგიაში გაწევრიანებამდე წარმოთქვამდნენ.

§18. ისინი ცილს სწამებდნენ მამაჩემს იმის გამო, რომ უცხოური აქცენტით ლაპარაკობდა. თუმც იმას, რომ მამა დეკლეურ ომში¹⁴ ტყვედ ჩავარდა და ლევკასში¹⁵ მონად გაყიდეს და რომ მხოლოდ მსახიობ კლენდროსთან შემთხვევითი შეხვედრის წყალობით შეძლო კარგა ხნის შემდეგ მშვიდობიანად დაბრუნებულიყო აქ, თავის ნათესავებთან, საერთოდ არ ახსენებენ. და თითქოს სწორი იყოს, რომ მამის უბედურებათა გამო ჩვენ ვიყოთ განადგურებულნი, ახლა ეს ცილისმწამებლები მას აქცენტით ლაპარაკს უყენებენ ბრალად. §19. თუმცა, ვფიქრობ, სწორედ ეს გარემოებები ყველაზე მეტად დამეხმარება, გაჩვენოთ, რომ მე ათენელი ვარ. წარმოგიდგენთ მოწმეებს, რომლებიც, პირველ რიგში, დაადასტურებენ, რომ მამა იყო ტყვედ აყვანილი, მოგვიანებით კი გათავისუფლებული, შემდეგ – რომ დაბრუნებულმა ბიძებისგან მემკვიდრეობის თავისი წილი მიიღო, დაბოლოს დაამოწმებენ, რომ არც დემოსში, არც ფრატრიაში¹⁶ და არც სადმე სხვაგან არავის დაუდანაშაულებია მამა, რომ უცხოელი იყო, თავისი აქცენტის მიუხედავად. გამომართვით ჩვენებები.

¹⁴ დეკლეური ომი – ძვ.წ. 413-404 წწ. სახელწოდება ათენთან ახლოს მდებარე ქალაქ დეკლეადან მომდინარეობს, რომელიც სპარტელებმა ძვ.წ 413 წ-ს დაიკავეს. შემდეგ მათ ქალაქი სამხედრო გარნიზონად გადააქციეს და წლების განმავლობაში იქიდან ესხმოდნენ თავს ატიკურ დასახლებებს.

¹⁵ კუნძული იონიის ზღვაში.

¹⁶ ფრატრია – ბერძნულ ქალაქებში არსებული ნათესაური გაერთიანებები, „სამშობოები“. ფრატრია გარკვეული სტრუქტურის მქონე კორპორაცია გახლდათ, ირჩევდა ერთი წლის განმავლობაში მომსახურე მოხელეებს, ფრატრიარქოსსა და ქურუმს.

ჩ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი

§20. ამდენად, თქვენ შეიტყვეთ მამაჩემის ტყვეობისა და დახსნის შესახებ, ასევე მოისმენთ, თუ როგორ მოხერხდა მისი აქ დაბრუნება. ახლა კი იმის დასამტკიცებლად, რომ მამა თქვენი თანამოქალაქე იყო, პატივცემულო მსაჯულნო (რამეთუ ეს სრული სიმართლეა), მოწმეებად მოვიხმობ მამის მხრიდან ჩემს ნათესავებს, რომლებიც ცოცხლები არიან. გამოიძახეთ თავდაპირველად თუკრიტიდესი და ქარისიადესი: მათი მამა – ქარისიოსი ბაბუაჩემის – თუკრიტიდესისა და ბებიაჩემის – ლისარეტეს ძმა (ბაბუაჩემს თავისი მამით ერთი და ჰყავდა ცოლად)¹⁷ და მამაჩემის ბიძა გახლდათ. შემდეგ უხმეთ ნიკიადესს. §21. ამ კაცის მამა – ლისანასიც ხომ ასევე იყო თუკრიტიდესისა და ლისარეტეს ძმა და მამაჩემის ბიძა. შემდეგ მოიწვიეთ ნიკოსტრატოსი: მამამისი – ნიკიადესი ბაბუაჩემისა და ბებიაჩემის ძმისშვილი და მამაჩემის ბიძაშვილი იყო. დაუძახეთ ყველას. შენ კი გააჩერე წყლის საათი¹⁸.

მ ო წ მ ე ე ბ ი

§22. ასე რომ, ათენის მოქალაქენო, თქვენ მოუსმინეთ მამის მხრიდან მამაჩემის ნათესავებს, რომლებიც ფიცით ადასტურებენ, რომ მამა ათენის მოქალაქე და მათი ნათესავი იყო. ცხადია, არცერთი მათგანი არ მისცემდა ცრუ ფიცს იმ ადამიანთა თანდასწრებით, რომლებსაც ასევე ეცოდინებოდათ, რომ ის

¹⁷ მამით ერთი დისა და ძმის ქორწინება დასაშვები იყო, ხოლო დედით ერთი ძმისა და დის – დაუშვებელი.

¹⁸ ორიგინალში „წყალი“. სასამართლო განხილვაზე გამომსვლელთა სიტყვები წყლის საათით იზომებოდა, რომელსაც კლუფსიდრა ეწოდებოდა. კანონების კითხვისა და მოწმეთა ჩვენებების მიცემისას შესაბამისი მოხელე წყლის მდინარებას წყვეტდა, ე.ი. საათს აჩერებდა.

ცრუ ჩვენებებს იძლევა¹⁹ და ამით წყევლა-კრულვას არ დაიტყუებდა თავს. ახლა კი წარმოადგინეთ დედის ხაზით მამის ნათესავების ჩვენებები.

ჩ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი

§23. ამგვარად, მამის ნათესავებმა როგორც მამის, ისე დედის ხაზით, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, დაამოწმეს, რომ მამა იყო ათენელი მამითაც და დედითაც და კანონიერად ჰქონდა მოქალაქეობის უფლება. ახლა გამოიძახეთ ჯერ ფრატრიის, შემდეგ კი გენოსის წევრები²⁰.

მ ო წ მ ე ბ ი

გამომართვით ასევე დემოსის წევრთა და ჩემი ნათესავების ჩვენებები იმის შესახებ, რომ ფრატრიის წევრებმა ფრატრიარქოსად ამირჩიეს²¹.

ჩ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი

§24. ამგვარად, თქვენ მოისმინეთ ჩვენებები ჩემი ნათესავების, ასევე ჩემი ფრატრიის, გენოსისა და დემოსის წევრებისა, რომლებიც მოწმეებად შესაფერისი პიროვნებები არიან. მათი ჩვენებებიდან ნათელი უნდა იყოს თქვენთვის, მოქალაქეა თუ

¹⁹ ცრუმოწმეობის ბრალდებით სამართლებრივი დევნა აღიძვრებოდა იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც მოწმედ გამოსული სასამართლო განხილვისას ცრუ ჩვენებას მისცემდა.

²⁰ გენოსი – გვარი, იმ პირთა ჯგუფი, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მამრობითი ხაზით ერთი წინაპრისგან მომდინარეობდნენ. გვარებსაც ჰქონდათ თავიანთი მოწყობა და ჰყავდათ არჩეული წინაპრები. კლისთენესის რეფორმის შემდეგ გენოსებს პოლიტიკური უფლებები აღარ ჰქონია.

²¹ ფრატრიარქოსი – ფრატრიის უმაღლესი მოხელე.

უცხოელი ადამიანი, რომელსაც ამგვარი ხალხი არტყია გარს. ჩვენ რომ დახმარებისთვის ერთი ან ორი კაცისთვის მიგვემართა, გამორიცხული არაა, გასჩენოდათ ეჭვი, რომ ისინი დავამუშავეთ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მამაჩემმა თავის სიცოცხლეში და მე ახლა, ორივემ გავიარეთ შემოწმება ყველა იმ ჯგუფის წინაშე, რომლებსაც თითოეული თქვენგანი მიეკუთვნება (ვგულისხმობ ფრატრიის, დემოსის, გენოსის წევრებსა და ნათესავებს), როგორღა უნდა ვივარაუდოთ ანდა ჩავთვალოთ დასაშვებად, რომ ყველანი მოგვესყიდა, ვითომცდა ჩემი ნათესავები იყვნენ? §25. ნაჩვენები რომ ყოფილიყო, რომ მამაჩემი იყო მდიდარი, რომ მან ფული გადაუხადა ამ ადამიანებს, რათა განეცხადებინათ, რომ მას ენათესავებოდნენ, ამ შემთხვევაში მისი მოქალაქეობის თაობაზე ერთგვარი ეჭვის მიტანა ლოგიკურად მოჩანს. მაგრამ თუ მამამ, რომელიც ღარიბი იყო, წარადგინა გარკვეული პიროვნებები თავის ნათესავებად და ამასთან დაამტკიცა, რომ ამავე ადამიანებმა უწილადეს მას თავიანთი ქონება, მაშინ ცხადზე უცხადესი არაა, რომ ისინი ნამდვილად იყვნენ მისი ნათესავები? რასაკვირველია, მამაჩემი მათი ნათესავი რომ არ ყოფილიყო, ეს ხალხი მას არც თავის გენოსში შეიყვანდა და არც ქონებას მისცემდა. მაგრამ ის ნამდვილად იყო მათი ნათესავი – ეს დაადასტურა ფაქტებმაც და თქვენთვის წარმოდგენილმა მოწმეთა ჩვენებებმაც.

და კიდევ, მამა კენჭისყრით იყო არჩეული სხვადასხვა თანამდებობაზე და დოკიმასიის²² გავლის შემდეგ აღასრულებდა მსახურებას. გამომართვით ეს ჩვენება.

²² თანამდებობის დაკავებას ათენში წინ კანდიდატა შემოწმება უძღოდა. უმეტესწილად ეს თესმოთეტესთა (იხ. ქვემოთ) წინაშე ხდებოდა. კანდიდატებს თესმოთეტესების გარკვეულ შეკითხვებზე უნდა ეპასუხათ.

ჩ ვ ე ნ ბ ა

§26. ნუთუ რომელიმე თქვენგანი ფიქრობს, რომ დემოსის წევრები ნებას დართავდნენ უცხოელს და მოქალაქეობის არმქონე ადამიანს, თანამდებობა დაეკავებინა და არ აღძრავდნენ საქმეს მის წინააღმდეგ? თუმცა მამაჩემის წინააღმდეგ არც არავის აღუძრავს საქმე და არც რამეში დაუდანაშაულებია. მეტიც, როცა ევბულიდესის მამის – ანტიფილოსის დემარქოსობისას დემოსის სია დაიკარგა, იძულებული გახდნენ, კენჭი ეყარათ თითოეულის წევრობის შესახებ – ამას წინ უძღოდა დაფიცება სამსხვერპლო ცხოველებზე – და მათ რამდენიმე პირი მოქალაქეობიდან გარიცხეს, მაგრამ მაშინ არავის არც არაფერი უთქვამს მამაჩემზე და არც რამე მსგავსში დაუდანაშაულებია ის. §27. თუმცა ყველა ადამიანის სიცოცხლე სიკვდილით სრულდება და რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო იგი სიცოცხლეში დადანაშაულებული, სწორია, რომ მისი შვილები ყოველთვის იყვნენ პასუხისმგებელნი მამის საქციელზე²³. მაგრამ იმ საქმეთა გამო, რომლებშიც მამას არავინ ადანაშაულებდა, ვიდრე ცოცხალი იყო, განა აღმაშფოთებელი არ არის, რომ ახლა ნებისმიერმა მსურველმა მისი შვილები სასამართლოს გადასცეს? თუმცა, თუ ამ საქმეებზე არავის უმსჯელია, შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ საკითხი მხედველობიდან გამორჩათ. მაგრამ მოკვლევა წარიმართა, დემოსის წევრებმა ჩაატარეს კენჭისყრა და არავის მის მიმართ არანაირი ბრალდება არ წარმოუდგენია. ამ შემთხვევაში ნუთუ სამართლიანი არ არის,

²³ აქ ევქსიეთოსი ბერძნული მსოფლხედვის ფუნდამენტურ თვალსაზრისს გამოხატავს, რომლის მიხედვითაც, გვარი მთლიანი ოდენობაა, რომელშიც თაობიდან თაობაზე გადადის როგორც წყალობა, ისე წყევლა. „საგვარეულო წყევლა“, „მემკვიდრეობითი დანაშაული“ უკვე ჰომეროსთან და ჰესიოდესთან ვლინდება.

რომ მე, შვილი კაცისა, რომელიც მანამდე გარდაიცვალა, ვიდრე მისი ათენური წარმომავლობა საკამათო გახდებოდა, ათენის მოქალაქე ვიყო? რათა დავამტკიცო, რომ სიმართლეს ვლპარაკობ, უხმეთ ამ საქმეთა მოწმეებს.

მ ო წ მ ე ნ ი

§28. დავსძენ, მამაჩემს დედაჩემისგან კიდევ ოთხი შვილი ჰყავდა. როდესაც ისინი გარდაიცვალნენ, მამამ ბავშვები საგვარეულო სამარხში დაკრძალა, რომელიც საზიარო გახლდათ გენოსის წევრებისთვის და ეს ამბავი ამათგან არავის არც გაუპროტესტებია, არც ხელი შეუშლია ამისთვის და არც საქმე აღუძრავს. თუმცა ვინ მისცემდა მას ნებას, რომ საგვარეულო სასაფლაოზე დაემარხა ისინი, ვინც მათი საგვარეულოდან არ იყო? ჩემი სიტყვების ჭეშმარიტების დასადასტურებლად გამომართვით ეს ჩვენება.

ჩ ვ ე ნ ე ბ ა

§29. ასე რომ, იმასთან დაკავშირებით, რომ მამაჩემი იყო ათენელი, ჩემი სათქმელი ეს გახლავთ: მე წარმოვადგინე მოწმეები და მათ, თავად ჩემმა მოწინააღმდეგეებმა, ხმა მისცეს, რომ არიან მოქალაქენი. ამ ადამიანებმა, თავის მხრივ, დაამოწმეს, რომ მამა მათი ბიძაშვილი იყო. ნაჩვენები იქნა, რომ მამაჩემი, რომელიც ამდენი და ამდენი წლის განმავლობაში აქ ცხოვრობდა, არავის არასოდეს ჩაუთვლია უცხოელად. პირიქით, იგი დახმარებისთვის მიმართავდა ამ ადამიანებს, როგორც თავის ნათესავებს. მათ მიიღეს კიდევ ის და მისცეს კიდევ თავიანთი საკუთრების წილი, როგორც ერთ-ერთ თავისიანს. §30. დაბოლოს, განცხადებულ იქნა, რომ მამა იმ პერი-

ოდში იყო დაბადებული, როდესაც ის მაშინაც კი ჩაითვლებოდა ათენელად, ერთი მშობელიც რომ ჰყოლოდა მოქალაქე. ის ხომ ჯერ კიდევ ევკლიდესის არქონობამდე გაჩნდა²⁴.

ახლა კი ვილაპარაკებ დედაჩემის შესახებ (რამეთუ ისინი დედის გამოც მწამებენ ცილს) და ნათქვამის სისწორის დასამტკიცებლად მოწმეებსაც მოვიყვან. ამასთან, ათენის მოქალაქენო, ვიტყვი, რომ აგორაზე საქმიანობის გამო ევბულიდესის მიერ ჩვენი გაკიცხვა ეწინააღმდეგება არა მხოლოდ დეკრეტს, არამედ – კანონებსაც, რომლებიც პასუხიმგებლობას აკისრებს ნებისმიერს, ვინც აგორაზე საქმიანობის გამო მოქალაქე ქალს, გინდა კაცს შეურაცხყოფას მიაყენებს²⁵. §31. ვალიარებთ, ჩვენ ვყიდით ლენტებს და ისე არ ვცხოვრობთ, როგორც გვსურს, რომ გვეცხოვრა. და თუ ეს, ევბულიდეს, შენთვის იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ათენელები არა ვართ, მაშინ მე დაგიმტკიცებ, რომ ეს სწორედ საპირისპიროს ადასტურებს – უცხოელს ხომ აგორაზე საქმიანობა საერთოდ ეკრძალება.

აიღე და, პირველ რიგში, სოლონის კანონი წაიკითხე²⁶.

²⁴ ძვ.წ. 403 წ-ს ევკლიდესის არქონობის პერიოდში აღდგენილ იქნა ძვ.წ. 451 წ-ს მიღებული პერიკლეს მოქალაქეობის კანონი. წინადადება არისტოფონმა შემოიტანა.

²⁵ ევქსითეოსის განაცხადით, ევბულიდესი არღვევს კანონს შეურაცხყოფის - κατωφρια-ს შესახებ. ცნობილია სხვადასხვა კანონი სხვადასხვა ტიპის შეურაცხყოფის წინააღმდეგ. შეურაცხყოფად მიჩნეული იყო მკვდრების ხსოვნის უპატივცემულობა, არ შეიძლებოდა საჯარო მოხელის მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთება გარკვეულ ადგილებში და ა.შ. სავარაუდოდ, არაკანონიერი უნდა ყოფილიყო აგორაზე საქმიანობის გამო მოქალაქის გაკიცხვა. ამ შემთხვევაში კონკრეტულ კანონს ევქსითეოსი არ იმოწმებს.

²⁶ ევქსითეოსი ციტირებს ძველ კანონს, რომელსაც მიაწერს სოლონს და რომლის მიხედვითაც, მხოლოდ მოქალაქეებს ჰქონდათ აგორაზე წვრილმანი ვაჭრობის უფლება.

კ ა ნ ო ნ ი

§32. ახლა არისტოფონის კანონიც გამომართვი²⁷. სოლონის კანონი ხომ იმდენად მშვენივრად და დემოკრატიულად იყო აღიარებული, რომ თქვენ, ათენის მოქალაქენო, მის აღდგენას მიეცით ხმა.

კ ა ნ ო ნ ი

ამდენად, კანონების აღსრულების პროცესში გმართებთ, არ ჩათვალოთ უცხოელებად მშრომელი ადამიანები, ისინი კი, ვინც სიკოფანტობას მისდევს²⁸, აი, სწორედ ისინი მიგაჩნდეთ ნაძირლებად. რამეთუ, ევბულიდეს, არსებობს კიდევ სხვა კანონი უსაქმურობის შესახებ²⁹, რომელიც შენ, სწორედ შენ, ჩვენნი, მშრომელი ადამიანების, გამკიცხავს, გაკისრებს პასუხისმგებლობას. §33. თუმცა ახლა ისეთ უბედურ მდგომარეობაში

²⁷ გამომსვლელი აქ ეხება არისტოფონის კანონს, რომელიც სოლონის ზემოთ დასახელებული კანონის თავიდან ამოქმედებას გულისხმობდა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მოგვიანებით ევქსითეოსი ახსენებს აგორაზე საქმიანობისთვის უცხოელისთვის დაწესებულ გადასახადს (ξενικά §34), ფელანი ვარაუდობს, რომ არისტოფონის მიერ თავიდან ამოქმედებულ კანონში, შესაძლოა, ეს გადასახადიც იყო შეტანილი. Phelan, 2016, 176.

²⁸ რადგან ათენში საჯარო ბრალმდებლად გამოსვლა ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო, ზოგიერთ პიროვნებათ ჩვევად ექცათ სამართლებრივი დევნის აღძვრა, რათა ფულადი გასამრჯელო მიეღოთ. ხშირად ეს პიროვნებები ამანტაჟებდნენ მოქალაქეებს, ემუქრებოდნენ რა საქმის აღძვრით და ფულს სძალავდნენ. ასეთ პიროვნებებს სიკოფანტები ეწოდებოდათ. სიკოფანტობა ასევე იყო დანაშაული, რომელიც სამართლებრივ დევნას ექვემდებარებოდა.

²⁹ სოლონმა უსაქმურობისთვის შემოიღო კანონი, რომელიც უსაქმურად მიჩნეულ პირს პირველ ჯერზე აკისრებდა ფულად ჯარიმას. მესამე ჯერზე მას ატიმია - სამოქალაქო უფლებების სრული ან ნაწილობრივი დაკარგვა ემუქრებოდა.

ვართ, რომ ამ ადამიანს შეუძლია დაგვწამოს ისეთი რამ, რაც საერთოდ არაა კავშირში საქმესთან და ყველაფერი გააკეთოს, რომ სამართალი ვერ ვპოვო. მე კი, შესაძლოა, გამკიცხოთ კიდევ, თუ ვიტყვი, რა საქმიანობას ეწევა ეს ადამიანი ქალაქში ხეტიალისას. და მართალიც იქნებით: რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რაც ისედაც მშვენივრად იცით? ახლა ესეც გაითვალისწინეთ: ჩემი აზრით, აგორაზე ჩვენი საქმიანობა საუკეთესო მტკიცებულებაა იმ ბრალდებათა სიყალბისა, რომლებიც ამ ადამიანს ჩვენ წინააღმდეგ მოჰყავს. §34. თუ დედაჩემი, როგორც ის აცხადებს, ყველას თვალწინ ყიდდა ლენტებს, მაშინ ბევრი ადამიანი უნდა ყოფილიყო, რომლებიც ამ ქალის ვინაობის შესახებ ჩვენებებს მისცემდნენ თავიანთი ცოდნიდან გამომდინარე და არა ყურმოკრულით. თუ დედა უცხოელი იყო, ამ შემთხვევაში შეეძლოთ, აგორას გადასახადთა ჩანაწერებით გაერკვიათ, იხდიდა თუ არა ის უცხოელისთვის დაწესებულ გადასახადს და ენახათ, საიდან იყო ჩამოსული. ხოლო თუ დედა მონა იყო, ცხადია, მის წინააღმდეგ ჩვენების მისაცემად მისი მყიდველი უნდა გამოცხადებულიყო. თუ მყიდველი ვერ მოვიდოდა, მაშინ – მისი გამყიდველი. თუ ვერცერთი ვერ მოახერხებდა მოსვლას, ამ შემთხვევაში სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო სხვა ვინმე, ვინც დაადასტურებდა, ცხოვრობდა იგი როგორც მონა, თუ იყო გათავისუფლებული. თუმცა ევბულიდესს ამ მოწმეთაგან აქამდე არცერთი არ ჰყოლია წარმოდგენილი, მან მხოლოდ გვლანძღა და, ვგონებ, აღარც კი დარჩა რამე სიბილწე, რომლითაც მას ჩვენ მიმართ არ მოუშარათავს. სწორედ ასეთია სიკოფანტი – ადამიანი, რომელიც ყველაფერს გაბრალებს, მაგრამ ვერაფერს ამტკიცებს.

§35. ეგზულიდესმა დედაჩემზე ისიც განაცხადა, რომ დედა ძიძად მსახურობდა. ჩვენ ამას არც უარვყოფთ. მაშინ ქალაქში უბედურება ტრიალებდა და ყველას საშინელი დღე ედგა. თუ როგორ და რის გამო გახდა დედა ძიძა, ამას გასაგებად გეტყვით. ნურც ერთი თქვენგანი, ათენის მოქალაქენო, ამ ამბავს წინასწარშექმნილი ცუდი განწყობით ნუ მიუდგება. დღესაც ძიძად მომუშავე არაერთ ათენელ მოქალაქე ქალს ნახავთ – თუ მოისურვებთ, მათი დასახელებაც შემიძლია. მდიდრები რომ ვყოფილიყავით, ჩვენც არც ლენტებს გავყიდდით და არც არაფერი გაგვიჭირდებოდა. თუმცა, განა ამას რამე კავშირი აქვს ჩვენს წარმომავლობასთან? ვფიქრობ, არავითარი. §36. ნურასდროს, პატივცემულო მსაჯულნო, ნუ დაამცირებთ უპოვართ (მათთვის სიღარიბე უკვე საკმარისი უბედურებაა), ნურც იმათ, ვინც შრომა და პატიოსნად ცხოვრება აირჩია. მისმინეთ, იმ შემთხვევაში, თუ გიჩვენებთ, რომ დედაჩემის ნათესავები არიან იმგვარი ადამიანები, როგორებიც თავისუფალი პიროვნებები უნდა იყვნენ, თუ ისინი ფიცით უარყოფენ ამ კაცის მიერ დედაჩემისადმი წარდგენილ ბრალდებებს, მისცემენ ჩვენებას, რომ მათთვის ცნობილია დედაჩემის მოქალაქეობა და ამას გააკეთებენ სწორედ ის ადამიანები, რომლებიც თქვენს ნდობას გამოიწვევენ, მაშინ ხმა მიეცით ჩვენდა სასარგებლოდ, როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს.

§37. ბაბუაჩემი, დედაჩემის მამა, ათენის მოქალაქენო, იყო დამოსტრატოსი მელიტედან³⁰. მას ოთხი შვილი ჰყავდა: პირველი ცოლისგან ქალიშვილი და ვაჟიშვილი, სახელად ამითეონი, მეორე ცოლისგან – ქერესტრატესგან კი დედაჩემი და ტი-

³⁰ ქალაქური ტიპის დემოსი კეკროპისის ფილემი აკროპოლისის აღმოსავლეთით.

მოკრატესი; მათ შეეძინათ შვილები: ამითეონს – დამოსტრატოსი, ბაბუის პატივსაცემად სახელდებული, კალისტრატოსი და დექსითეოსი. ამითეონი, დედაჩემის ძმა, მონაწილეობას იღებდა სიცილიის ლაშქრობაში³¹. იქ დაიღუპა და დაკრძალეს საზოგადო სასაფლაოზე³². ყოველივე ეს მოწმის ჩვენებით იქნება დადასტურებული. §38. ამითეონის და ცოლად გაჰყვა დიოდოროსს ჰალედან³³ და ეყოლა ვაჟიშვილი კტესიბიოსი. ის მოკლეს აბიდოსში, როდესაც თრასიბულოსთან ერთად იბრძოდა³⁴. ამ ადამიანთაგან დღეს ცოცხალია დამოსტრატოსი, ამითეონის შვილი, დედაჩემის ძმისშვილი. ბებიაჩემის – ქერესტრატეს და ითხოვა აპოლოდოროსმა პლოთეას დემოსიდან³⁵. მათ ეყოლათ ვაჟიშვილი ოლიმპიხოსი, ოლიმპიხოსს კი გაუჩნდა ასევე ვაჟიშვილი, სახელად აპოლოდოროსი. ეს კაცი ცოცხალია. უხმეთ ამ მოწმეებსაც.

³¹ პელოპონესის ომის მიმდინარეობისას ათენელების წარუმატებელი ლაშქრობა სიცილიაზე ძვ.წ. 415-13 წწ-ში.

³² საზოგადო სასაფლაო ათენში მდებარეობდა. სხვა ბერძნული ქალაქებისგან განსხვავებით, ათენელები ბრძოლაში დაღუპულ თანამოქალაქეებს ათენში გადმოსვენებდნენ და სახელმწიფოს ხარჯზე საზოგადო სასაფლაოზე კრძალავდნენ.

³³ ჰალეს სახელით ორი დემოსია ცნობილი. ერთი ეგეისის ფილეს, მეორე კი კეკროპისის ფილეს მიეკუთვნებოდა. რომელი მათგანი იყო დიოდოროსის დემოსი, დღესდღეობით დაზუსტებით თქმა ძნელია.

³⁴ თრასიბულოსი წარმოშობით კოლიტოსის დემოსიდან. ძვ.წ. 387 წ-ს რვა ხომალდით გაემართა თრაკიიდან და აბიდოსში, ჰელესპონტოსის აზიურ სანაპიროზე, შეუერთდა ათენის ფლოტს, რომელიც ლაკედემონელთა ფლოტს უპირისპირდებოდა. ბრძოლაში ათენელები დამარცხდნენ.

³⁵ დემოსი ეგეისის ფილესში.

მ ო წ მ ე ე ბ ი

§39. ამდენად, თქვენ მოისმინეთ ამ ადამიანთა ჩვენებებიც და მათი ფიციც. ასევე მოვიწვევ მოწმეს, რომელიც ორივე მხრიდან გვენათესავება და მის ვაჟიშვილებს. ტიმოკრატესს, დედითაც და მამითაც დედაჩემის ძმას, ჰყავდა ვაჟიშვილი ევქსითეოსი, ევქსითეოსს, თავის მხრივ, სამი ვაჟიშვილი შეეძინა. ამჟამად ისინი ყველანი ცოცხლები არიან. უხმეთ მათ, ვინც ქალაქში იმყოფება.

მ ო წ მ ე ე ბ ი

§40. ახლა კი გამომართვით იმათი ჩვენებები, რომლებიც დედაჩემის ნათესავთა ფრატრიისა და დემოსის წევრები არიან და ასევე იმათი, რომელთაც საერთო სასაფლაო აქვთ.

ჩ ვ ე ნ ე ბ ე ბ ი

ამდენად, რაც შეეხება დედაჩემის წარმომავლობას, მე გიჩვენებთ თქვენ, რომ დედა არის მოქალაქე როგორც მამის, ისე დედის ხაზით. დედაჩემი, პატივცემულო მსაჯულნო, მისმა დედითა და მამით ერთმა ძმამ – ტიმოკრატესმა თავდაპირველად პროტომაქოსს მიათხოვა, რომელთანაც მას ქალიშვილი შეეძინა. მოგვიანებით, მეორე ქმრისგან, მამაჩემისგან კი მე გამაჩინა. თქვენ აუცილებლად უნდა შეიტყოთ, რა ვითარებაში გაჰყვა დედა მამაჩემს ცოლად. დეტალურად წარმოგიდგენთ ასევე ყოველივე იმას, რასაც კლინიასისა და მასთან მიძიდ მსახურების გამო დედაჩემს ბრალად უყენებენ. §41. პროტომაქო-

სი ღარიბი იყო. მას წილად ერგო მდიდარ ეპიკლეროსზე³⁶ დაქორწინება. მაშინ პროტომაქოსმა, რომელსაც უნდოდა მისი ცოლი – დედაჩემი ხელახლა გათხოვილიყო, დაარწმუნა თავისი ნაცნობი თუკრიტოსი – ჩემი მამა, რომ დედაჩემი ცოლად ეთხოვა. დედაჩემის ძმამ – ტიმოკრატესმა მელიტეს დემოსიდან დედაჩემი მამაჩემზე დანიშნა³⁷. ნიშნობას მამის ორი ბიძა და სხვა მოწმეები ესწრებოდნენ³⁸. ამას დაგიდასტურებენ ამათგან ისინი, ვინც დღეს ცოცხალია. §42. გარკვეული დროის შემდეგ, როცა დედაჩემს უკვე ორი შვილი ჰყავდა, მამა კი თრასიბულოსთან³⁹ ერთად ლაშქრობდა და სახლში არ იმყოფებოდა, დედას ძალიან გაუჭირდა და იძულებული გახდა,

³⁶ ეპიკლეროსი „ἐπίκληρος“ სიტყვასიტყვით „საკუთრებასთან მიერთებული“. ქალიშვილის სტატუსი იმ ოჯახში, რომელსაც მამრობითი სქესის მემკვიდრე არ ჰყავდა და რომელსაც ოჯახის ხაზი უნდა გაეგრძელებინა. ეპიკლეროსი უშუალოდ არ ხდებოდა მამისეული ქონების მემკვიდრე, მემკვიდრეობას მხოლოდ მისი ვაჟიშვილები იღებდნენ. ეპიკლეროსის ქორწინების წესები მკაცრად იყო განსაზღვრული. საქმროს ვრცელი კომლის შიგნით დადგენილი რიგით არჩევდნენ. თუ მამაკაცი, რომელსაც რიგის მიხედვით ეპიკლეროსზე თხოვნა ეკუთვნოდა, უკვე დაქორწინებული იყო, იგი ცოლს უნდა გაჰყროდა ანდა ეპიკლეროსის თხოვნის პრეტენზიაზე უარი უნდა განეცხადებინა. ეპიკლეროსის ქმრობის ამგვარი დაქორწინებული კანდიდატია პროტომაქოსი, რომელიც მდიდარი ეპიკლეროსის ცოლად მოსაყვანად იძულებულია, ცოლს გასცილდეს.

³⁷ ქალს მისი მეურვე ათხოვებდა. ქალის მეურვე გათხოვებამდე იყო უახლოესი მამაკაცი ნათესავი - მამა, ძმა, ბაბუა. გათხოვების შემდეგ იგი ქმრის მეურვეობის ქვეშ გადადიოდა, თუმცა ყოფილი მეურვე მასზე გარკვეულ უფლებებს კვლავ ინარჩუნებდა.

³⁸ ქალის გათხოვებას წინ უძღოდა ნიშნობა. დანიშვნა გულისხმობდა ქალის მეურვესა და სასიძოს შორის სიტყვიერი შეთანხმების დადებას. ნიშნობას ოფიციალური ხასიათი ჰქონდა და ორივე მხრიდან მოწმეები უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი.

³⁹ მეცნიერებაში არ არის ერთი აზრი, თუ რომელი თრასიბულოსი იგულისხმება აქ, ზემოთ ნახსენები თრასიბულოსი კოლიტოსის დემოსიდან თუ თრასიბულოსი სტირიას დემოსიდან.

კლიდიკოსის შვილის – კლინიასის ძიძა გამხდარიყო. ზევსს ვფიცავ, მისი ეს საქმიანობა არ გამოდგა სარგებლის მომტანი იმ საშიშროების გათვალისწინებით, რომელიც თავს დამატყდა (ჩვენ მიმართ ყველა ცილისწამება ხომ იმის გამო წამოვიდა, რომ დედა ძიძად მსახურობდა). თუმცა იმ გაჭირვებიდან გამომდინარე, რომელშიც ის აღმოჩნდა, დედაჩემი სიტუაციის შესაბამისად მოიქცა. §43. ამდენად, ათენის მოქალაქენო, ახლა ნათელია, რომ მამაჩემი არ იყო პირველი, ვისაც დედაჩემი გაჰყვა ცოლად, პირველი პროტომაქოსი გახლდათ. მათ ეყოლათ შვილები⁴⁰, მათგან ქალიშვილი პროტომაქოსმა გაათხოვა. თუმცა პროტომაქოსი ცოცხალი აღარაა, მისი ქმედებები მოწმობს, რომ დედა იყო ათენელი და მოქალაქე⁴¹. ჩემი სიტყვების სიმართლის დასამტკიცებლად, უხმეთ პროტომაქოსის ვაჟიშვილებს⁴², შემდეგ დედაჩემისა და მამაჩემის ნიშნობის მოწმეებს და ფრატრიის წევრებიდან იმ ნათესავებს, რომელთათვისაც მამამ დედაჩემის პატივსაცემად საქორწინო

⁴⁰ ლაპარაკია ევქსითეოსის დედისა და პროტომაქოსის შვილებზე. რამდენადაც გამომსვლელი წყვილის მხოლოდ ერთ შვილს, თავის დედიტერთ დას ახსენებს (§40), სხვა შვილები, როგორც ჩანს, შემდგომ გარდაიცვალნენ.

⁴¹ ბერძნულად – ἀσπίς τῆς πόλεως καὶ πολίτις εἶναι. საყურადღებო პასაჟი ქალის მოქალაქეობის ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, გამომდინარე იქიდან, რომ აქ ტერმინები - ἀσπίς და πολίτις (ქალის მოქალაქეობის აღმნიშვნელი ტერმინები) ერთდროულადაა მოყვანილი. ἀσπίς აქ ერთობის ადგილობრივი მკვიდრის აღსანიშნავადაა გამოყენებული ξένος-ს, „უცხოელის“ საპირისპიროდ. ხოლო ტერმინი πολίτις (πολίτης მდებდრ. ფორმა) ძვ.წ. V ს-ის ბოლოდან შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო პოლი-ის ცხოვრებაში ქალის შინაგან მონაწილეობაზე ხაზის გასასმელად. Patterson C., „Athenian Citizenship Law”, in: *The Cambridge Companion to Ancient Greek Law*, Gagarin M. and D. Cohen (eds.), New York, 2005, 267-289, 269.

⁴² აქ იგულისხმება პროტომაქოსისა და ეპიკლეოსის ქორწინების შედეგად გაჩენილი ვაჟიშვილები.

წვეულება⁴³ გამართა, ბოლოს დაუმახეთ ევნიკოსს ხოლარგოსიდან⁴⁴, რომელსაც პროტომაქოსმა ჩემი და მიათხოვა, შემდეგ კი მის ვაჟიშვილს. გამოიძახეთ ისინი.

მ ო წ მ ე ბ ი

§44. განა ჩემი ხვედრი, ათენის მოქალაქენო, ყველა ადამიანის ხვედრზე უფრო საბრალო არ იქნებოდა, თუ თქვენ ჩემს უცხოელობას ხმას მაშინაც კი მისცემდით, როცა ამდენი ადამიანი ჩემთან ნათესაობას ფიცით ადასტურებს და ამასთან არცერთი მათგანის მოქალაქეობა კითხვის ქვეშ არავის დაუყენებია? გამომართვით ასევე კლინიასისა და მისი ნათესავების ჩვენებები; ხომ ცხადია, რომ მათ მშვენივრად იციან, ვინ იყო დედაჩემი, როცა დედა მის ძიძად მსახურობდა. ამ ხალხმა ფიცისადმი ერთგულების ნიშნად ჩვენი დღევანდელი განაცხადი კი არ უნდა დაამოწმოს, არამედ ის გარემოება, რომელიც მათთვის დიდი ხანია ცნობილია იმ ქალის შესახებ, რომელიც დედაჩემად და კლინიასის ძიძად ითვლება. §45. თუ ძიძად სამსახური მდაბიური საქმიანობაა, ამ შემთხვევაშიც კი არ გავურბივართ სიმართლეს. ჩვენ ხომ გვადანაშაულებენ არა იმაში, რომ ღარიბები ვართ, არამედ იმაში, თითქოს მოქალაქეები არ ვიყოთ; მიმდინარე სასამართლო პროცესი ჩვენს ხვედრსა და ქონებას კი არა, ჩვენს წარმომავლობას ეხება. სიღარიბე თავისუფალ ადამიანს მრავალ მონურ საქმეს აიძულებს და ამ-

⁴³ საქორწინო წვეულების გამართვა ასევე ადასტურებდა, რომ ქორწინება ოფიციალურად ჩატარდა, თუმცა ეს ქორწინების აღიარებისთვის ლეგალური მოთხოვნა არ იყო. წვეულებაზე ფრატრიის წევრები იყვნენ მიპატივებულნი.

⁴⁴ დემოსი აკამანტისის ფილემი ათენის ჩრდილოეთით.

იტომ, ათენის მოქალაქენო, უფრო სწორი იქნებოდა, უპოვარ-ნი გვებრალებოდნენ, ვიდრე მათ დასალუპად ვწირავდეთ. როგორც მსმენია, ქალაქისთვის იმ საშინელი უბედურების ჟამს⁴⁵, არაერთი მოქალაქე ქალი გახდა იძულებული, რომ მი-ძად, მქსოველად თუ ყურძნის მკრეფავად ემუშავა. ბევრი, იმ დროს ღარიბი, ამჟამად მდიდარი გახდა, თუმცა ამის თაობაზე მოგვიანებით ვილაპარაკებ. ახლა კი უხმეთ მოწმეებს.

მ ო წ მ ე ე ბ ი

§46. ასე რომ, უკვე ყველასთვის გახდა ცნობილი, რომ მოქა-ლაქე ვარ როგორც დედის, ისე მამის მხრიდან: დედასთან და-კავშირებით ჩვენებებს ახლა გაეცანით, მამის შესახებ კი უფრო ადრე მოისმინეთ. მხოლოდ საკუთარ თავზე დამრჩა სათქმე-ლი, რაც, ვფიქრობ, ყველაზე მარტივი და გასაგებია, კერძოდ, ის, რომ ჩემი ორივე მშობელი მოქალაქეა, რომ მათგან მემ-კვიდრეობით მერგო ქონება და გვარი, შესაბამისად, ვარ მოქა-ლაქე. და მაინც, მოვიყვან მოწმეებს, რათა წარმოვაჩინო ყოვე-ლივე ის, რაც მოქალაქისთვისაა შესაფერისი, ანუ, რომ წარ-დგენილი ვიყავი ფრატრიის წევრთა წინაშე, ჩაწერილი ვიყავი დემოსის წევრთა სიაში⁴⁶, რომ სწორედ დემოსის წევრებმა და-მასახელეს წარჩინებული წარმომავლობის პირთა შორის, რა-თა კენჭი მეყარა ჰერაკლეს ქურუმის თანამდებობის დასაკა-

⁴⁵ ევექსითეოსის დედის დაქირავებულ მოსამსახურედ მუშაობის პერიოდი დეკლეური ომის - ძვ.წ. 413-404 წწ-ს უკავშირდება, რომელიც განსა-კუთრებით მძიმე იყო ათენის მოსახლეობისთვის.

⁴⁶ დემოსის რეესტრში შეყვანა ჩვეულებრივ 18 წლის ასაკში ხდებოდა.

ვებლად⁴⁷, დაბოლოს, რომ დოკიმასიის გავლის შემდეგ აღვასრულებდი მსახურებათ. მოიხმეთ მოწმეები.

მ ო წ მ ე ე ბ ი

§47. პატივცემულო მსაჯულნო, ნუთუ აღმაშფოთებელი არ არის ის, რომ წარდგინების შემდეგ ქურუმად არჩევის შემთხვევაში, თავად მე მომიწევდა ამ ხალხის სახელით ჩამეტარებინა მსხვერპლშეწირვა, ეს კაცი ვალდებული იქნებოდა, ჩემთან ერთად მიეღო მონაწილეობა მსხვერპლშეწირვაში, ახლა კი იგივე ადამიანები იმის ნებასაც კი არ მრთავენ, რომ მათთან ერთად შევწირო მსხვერპლი? §48. ცხადია, ევბულიდესი არასოდეს დაუშვებდა, რომ უცხოელს და მეტოიკოსს⁴⁸, როგორც ახლა მიწოდებს, დაეკავებინა თანამდებობანი ანდა წინასწარი დასახელების შემდეგ მასთან ერთად ეყარა კენჭი, რათა ქურუმი გამხდარიყო; რამეთუ ისიც ხომ ამ თანამდებობის მისაღებად დასახელებულთა და კენჭისყრაში მონაწილეთა შორის იყო. არამც და არამც, ათენის მოქალაქენო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევბულიდესს ჩემთან ხანგრძლივი მტრობა აკავშირებს, როგორ ფიქრობთ, ჩემ შესახებ მას რაიმე ამდაგვარი რომ სცოდნოდა, განა ის დაელოდებოდა ამ ხელსაყრელ მომენტს, მომენტს, რომელიც არავინ იცოდა წი-

⁴⁷ ქურუმის თანამდებობაზე წარჩინებული გვარიშვილობის მოქალაქეებს ირჩევდნენ. რამდენადაც ევქსითეოსი არისტოკრატიული ოჯახიდან არ იყო, „წარჩინებული წარმომავლობის პირთა“ შორის მისი დასახელება, როგორც ჩანს, ეფუძნებოდა არა დაბადებით კეთილშობილებას, არამედ ხანგრძლივი გენეალოგიის ქონას როგორც დედის, ისე მამის ხაზით.

⁴⁸ რეზიდენტი უცხოელი გარკვეული სტატუსით. მას უნდა ჰყოლოდა მფარველად ათენელი მოქალაქე, უნდა ყოფილიყო რეგისტრირებული იმ დემოსში, რომელშიც ცხოვრობდა და გადაეხადა ყოველწლიური გადასახადი - მეტოიკონი.

ნასწარ, საერთოდ დადგებოდა თუ არა⁴⁹. §49. მაგრამ მსგავსი არაფერი მან არ იცოდა. სწორედ ამიტომ ევბულიდესი, კაცი, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემი დემოსის წევრი იყო და ჩემთან ერთად აძლევდა ხმას, არაფერს ამდაგვარს არ განიხილავდა. და მხოლოდ მაშინ, როცა განრისხებული ქალაქი აღდგა მათ წინააღმდეგ, ვინც უსირცხვილოდ შეაღწია დემოსის რიგებში, აი, სწორედ მაშინ და არა მანამდე, დაიწყო მან ჩემ წინააღმდეგ ხრიკების დაგება. ადრინდელი დრო შესაფერისი იყო იმისთვის, ვინც დარწმუნებული გახლდათ თავის სიმართლეში, ახლანდელი კი მტრისა და სიკოფანტობის მსურველისთვისაა ხელსაყრელი. §50. რაც შემეხება მე, პატივცემულო მსაჯულნო (ზევსსა და ღმერთებს გაფიცვით, ნურავინ გამოხატავს უთანხმოებას შემახილებით და გაღიზიანდება იმაზე, რის თქმასაც ახლა ვაპირებ), ათენელად ვთვლი თავს ისევე, როგორც თითოეული თქვენგანი, თავიდანვე მივიჩნევი დედად იმ ქალს, რომელიც, როგორც ასეთი, თქვენ წარმოგიდგინეთ და არ მივიწერ თავს მის შვილად, სინამდვილეში სხვა დედის მყოლი. მამაჩემის შესახებაც, პატივცემულო მსაჯულნო, იგივე შემიძლია ვთქვა. §51. და კვლავ, თუ იმ პირთა შემთხვევაში, რომლებიც წარმომავლობის დამალვაში იქნენ გამოვლენილნი და თავი სხვა პიროვნებებად გაასაღეს, ამგვარ ქმედებას სავსებით სამართლიანად მიიჩნევთ მათი უცხოელობის მტკიცებულებად, მაშინ ჩემ შემთხვევაში საპირისპირო ფაქტები, სწორედაც რომ, იმას ამტკიცებს, რომ მე მოქალაქე გახლავართ. ჩემს მშობლებად უცხოელი ქალი და უცხოელი მამაკაცი რომ მყოლოდა ჩაწერილი, საკუთარ თავს

⁴⁹ იგულისხმება ძვ.წ. 346/5 წ-ს მიღებული დემოფილოსის დეკრეტი, რომელიც მოქალაქეთა სიის ექსტრარდინარულ შემოწმებას მოითხოვდა.

არ მივიჩნევდი მოქალაქეობის უფლების მქონედ. მაგრამ რამე ამდაგვარი რომ მცოდნოდა [ჩემი წარმომავლობის შესახებ], მოვძებნიდი ადამიანებს, რომლებიც შემეძლებოდა ჩემს მშობლებად გამომეცხადებინა. თუმცა მსგავსი არაფერი არ ვიცოდი და ამიტომ ვრჩები რა მათთან, ვინც ჭეშმარიტად არიან ჩემი მშობლები, მე ათენის მოქალაქედ ვრაცხ თავს.

§52. და კიდევ ერთი. მე უმამოდ დავრჩი. თუმცა, მათი გაცხადებით, მდიდარი გახლავართ და რამდენიმე მოწმე მოვისყიდე, რომ ჩემთან ნათესაობა დაემოწმებინათ. ერთი მხრივ, ისინი ჩემზე ამბობენ, რომ სიღარიბის გამო ღირსება მაქვს შელახული და წარმომავლობის გამო მკიცხავენ, ამასთან, იქვე აცხადებენ, რომ მდიდარი ვარ და ყველაფრის ყიდვა შემიძლია. §53. ასე რომ, ამ ორიდან რომელს უნდა ერწმუნოს ადამიანი? მე რომ ნაბიჭვარი⁵⁰ ან უცხოელი ვყოფილიყავი, ჩემს ნათესავეებს, ცხადია, შეეძლებოდათ, ჩემი ქონების მემკვიდრენი გამხდარიყვნენ. ნუთუ ამ ადამიანებს ურჩევნიათ, აიღონ მცირედი და ფიცის გატეხვისა და ცრუმოწმეობის გამო პასუხისგების რისკის წინაშე დადგნენ, ნაცვლად იმისა, რომ მიიღონ ყველაფერი, თანაც უსაფრთხოდ და ისე, რომ თავიანთ თავს სრული განადგურება არ დაატეხონ? მაგრამ საქმე ამაში არ არის, არა; ვფიქრობ, რომ, როგორც ჩემი ნათესავეები, ისინი სავსებით სწორად იქცევიან, როცა მე, ერთ-ერთ თავისიანს, დახმარების ხელს მიწვდიან. §54. ყოველივე ამას ახლა იმიტომ კი არ აკეთებენ, რომ ჩემი გავლენის ქვეშ მოექცნენ, არამედ იმიტომ, რომ, როცა ბავშვი ვიყავი, მაშინვე წარმადგინეს

⁵⁰ უკანონო ბავშვი. ძვ.წ. 403/2 წწ-ში პერიკლეს მოქალაქეობის კანონის აღდგენის შემდეგ ის, ვინც არ იყო გაჩენილი მოქალაქე ქალის მიერ, უკანონოდ ითვლებოდა და ვერც მოქალაქეობისა და ვერც მემკვიდრეობის უფლებას ვერ მიიღებდა.

ფრატრიის წევრების წინაშე⁵¹, წამიყვანეს მამაპაპისეულ აპოლონის ტაძარსა და სხვა წმინდა ადგილებში. თავისთავად ცხადია, ბავშვობაში მათ მოსყიდვით არ ვარწმუნებდი, ასე მოქცეულიყვნენ. სხვათა შორის, თავად მამაჩემმა სიცოცხლეში ფრატრიის წევრთა წინაშე წესისამებრ ფიცით წარმადგინა, რადგან იცოდა, რომ ვიყავი მოქალაქე, გამაჩინა რა მოქალაქე ქალმა, რომელიც კანონის შესაბამისად იყო მასზე დანიშნული⁵². ეს ყველაფერი მოწმეებმა ჩვენებებით დაადასტურეს. §55. და ამის შემდეგ მაინც ვარ უცხოელი? სად ვიხდი მეტოქოსისთვის დაწესებულ გადასახადს? ანდა ვინმე ჩემიანი ოდესმე იხდიდა მას? მივსულვარ კი როდესმე სხვა დემოსში და როცა ისინი თავიანთ რიგებში შეყვანაში ვერ დამირწმუნებია, მაშინ ამ სიაში ჩამიწერია თავი? სად გამიკეთებია რამე იმგვარი, რასაც, როგორც ცნობილია, ჩადიან ისინი, ვინც ჭეშმარიტი მოქალაქე არ არის? არსად – არაფერი. მე ბუნებრივად ვარ იმ დემოსის წევრი, რომელსაც მამაჩემის ბაბუა, ჩემი ბაბუა და მამაჩემი მიეკუთვნებოდნენ. ასე რომ, შეძლებდა კი ვინმე უფრო ნათლად ეჩვენებინა თქვენთვის, რომ აქვს უფლება, იყოს მოქალაქე? §56. დაე, თითოეულმა თქვენგანმა, ათენის მოქალაქენო, განსაჯოს სხვა რა გზით შეძლებდა, დაემტკიცებინა, რომ ადამიანები მისი ნათესავები არიან, თუ არა ისე, როგორც მე

⁵¹ ორატორი ნათესავებს ფრატრიის წევრების წინაშე მაშინ წარუდგენიათ, როცა მამამისი ათენში არ იმყოფებოდა. ფრატრიის წევრობა არ ახდენდა პირდაპირ გავლენას პიროვნების იურიდიულ სტატუსზე, თუმცა თუ პირის მოქალაქეობა სადავო გახდებოდა, ეს შეიძლება გამოყენებულიყო, როგორც მისი ლეგიტიმაციის მოწმობა.

⁵² გამომდინარე იქიდან, რომ მოქალაქეობის უფლება ჰქონდა კანონიერად დაქორწინებული ათენელი მოქალაქეების შვილს, ევქსითეოსი ხაზს უსვამს მშობლების წესისამებრ დაქორწინებას, რომელშიც იგულისხმება დანიშვნა.

გავაკეთე – ფიცით მივაცემინე ჩვენება და წარმოვაჩენინე, რომ სულ თავიდანვე იყვნენ ჩემი ნათესავები.

აი, ამ მიზეზთა გამოა, რომ დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში და დახმარებისთვის მოგმართავთ. რამეთუ ვხედავ, ათენის მოქალაქენო, რომ სასამართლოებს უფრო დიდი ძალა აქვს არა მხოლოდ იმ ჰალიმუსიელებზე, რომლებმაც მოქალაქეობის უფლება წამართვეს, არამედ თავად ბულესა და სახალხო კრებაზეც კი და, სწორადაც აქვს. თქვენი გადაწყვეტილებები ხომ, ყველა თვალსაზრისით, ყველაზე სამართლიანია. §57. ყველა თქვენგანმა, რომლებიც მოზრდილ დემოსებს მიეკუთვნებით, ახლა გაითვალისწინეთ ისიც, რომ თქვენ არავისთვის წაგირთმევიათ არც დადანაშაულებისა და არც თავის მართლების უფლება. დაე, მრავალი სიკეთე ჰქონოდეს ყველა თქვენგანს, რომლებიც სამართლიანად მისდევდით ამგვარ საქმეს, რამეთუ გადადების მთხოვნელთ თქვენ არ უსპობდით შესაძლებლობას, მომზადებულიყვნენ. ასეთი საქციელით თქვენ ასევე ამხელდით სიკოფანტებსაც და იმ პირებსაც, რომლებიც პირადი მტრობის გამო სხვებს უგებდნენ მახეს⁵³. §58. ამის გამო ქებას იმსახურებთ, ათენის მოქალაქენო. ისინი კი, ვინც საქმის მსვლელობის ეს მშვენიერი და სამართლიანი წესები არასწორად გამოიყენა, გაკიცხვის ღირსნი არიან. ვერცერთ დემოსში თქვენ ვერ მოიძიებთ ჩვენთან მომხდარზე უფრო აღმაშფოთებელ შემთხვევებს. ამ ადამიანებმა მამითა და დედით ერთი ძმებიდან ერთ ნაწილს ჩამოართვეს მოქალაქეობა, მეორეს – არა; უსახსრო, ხანდაზმული ხალხი სიიდან ამორიცხეს, მათი ვაჟიშვილები კი დატოვეს. სურვილის შემ-

⁵³ ორატორი კვლავ ლაპარაკობს სასამართლო საქმეებზე (§6, §49), რომლებიც პირადი მტრობის გამო არის აღძრული.

თხვევაში ამ ფაქტების მოწმეებსაც წარმოგიდგენთ. §59. მაგრამ [თქვენ უნდა მოისმინოთ] ყველაზე აღმაშფოთებელი რამ, რაც ამ შეთქმულებმა მოიმოქმედეს (ზევსისა და ღმერთების სახელით გემუდარებით, ნურავინ გაღიზიანდება ჩემზე, თუ გაჩვენებთ, რომ ჩემთვის ზიანის მომყენებელნი უღირსი პიროვნებები არიან. ვთვლი, რომ მათი სიბილწის წარმოჩენისას იმავე ამბავზე ვლაპარაკობ, რომელიც მე შემემთხვა)⁵⁴. ამ ადამიანებმა, ათენის მოქალაქენო, უცხოტომელი ანაქსიმენესი და ნიკოსტრატოსი, რომელთაც მოქალაქეობის მიღება სურდათ, ფულის სანაცვლოდ დემოსში შეიყვანეს. შემდეგ აღებული თანხა ერთმანეთში გაიყვეს ისე, რომ თითოეულმა ხუთი დრაქმა მიიღო. ვერც ევბულიდესი და ვერც მისი თანამზრახველნი ვერ დაიფიცებენ, რომ ამის შესახებ არ იცოდნენ. მიუხედავად ამისა, ბოლო შემოწმებისას ამ უკანასკნელთათვის სამოქალაქო უფლებები არ ჩამოურთმევიათ. როგორ ფიქრობთ, არსებობს კი რამე ისეთი, რაზედაც ისინი პირად საქმეში არ წავიდოდნენ, ადამიანები, რომლებმაც ამგვარი რამ საჯაროდ გაბედეს? §60. ევბულიდესთან შეკრულმა დემოსის წევრებმა ფულის გამო, პატივცემულო მსაჯულნო, მრავალი ადამიანი დაღუპეს და იხსნეს კიდევ. ჯერ კიდევ ძველ დროში (ახლა რაზეც ვილაპარაკებ, ათენის მოქალაქენო, უშუალო კავშირშია განსახილველ საქმესთან), როდესაც ევბულიდესის მამა – ანტიფილოსი დემარქოსი იყო, როგორც გითხარით, მან, ფულის აღების სურვილით შეპყრობილმა, თაღლითობას მიმართა: ანტიფილოსმა განაცხადა, რომ დემოსის რეესტრი დაიკარგა და

⁵⁴ სასამართლოზე მოდავე მხარეებს ეკისრებოდათ ვალდებულება, ელაპარაკათ მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდა განსახილველ საქმეს.

ამგვარად დაარწმუნა ჰალიმუსიელები, დემოსის წევრთა სია კენჭისყრით გადაემოწმებინათ. შემოწმების დროს მან ბრალი დასდო ათ წევრს და ისინი მოქალაქეობიდან ამოარიცხვინა⁵⁵. მათგან ყველას, ერთის გამოკლებით, შემდგომში დიკასტერიონმა⁵⁶ მოქალაქეობის უფლება აღუდგინა. ეს ამბავი დემოსის ყველა უზუცესმა იცის. §61. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ ხალხმა სიაში დატოვა რომელიმე უცხოტომელი მაშინ, როდესაც პირი შეკრეს, ისინიც კი გაერიცხათ, ვინც ნამდვილად იყვნენ მოქალაქენი. ეს ადამიანები, როგორც მოგახსენეთ, შემდგომ სასამართლომ თავიანთ უფლებებში აღადგინა. ამასთან, ანტიფილოსმა, რომელიც იმ დროს მამაჩემს ემტერებოდა, არათუ ბრალი არ წაუყენა მას, არამედ ხმაც არ მიუცია იმისთვის, რომ მამა ათენელი არ იყო. რითი მტკიცდება ეს? იმიტო, რომ მამაჩემი დემოსის წევრად ერთსულოვნად იყო აღიარებული. თუმცა საჭიროა კი ახლა ჩვენს მამებზე ლაპარაკი? თავად ამ ევბულიდესმა ხომ მაშინ, როდესაც დემოსის რეესტრში ჩამწერეს და ყველა წევრმა ფიცის დადების შემდეგ კენჭი მიყარა, როგორც ეს კანონითაა გაწერილი, არც ბრალი დამდო და არც ჩემ წინააღმდეგ მისცა ხმა. ამ შემთხვევაშიც ისევ ყველა მათგანმა კენჭი უყარა იმას, რომ მათი დემოსის წევრი ვიყავი. და თუ ისინი იტყვიან, რომ მე ვიტყუები, დაე, ნებისმიერმა მსურველმა საპირისპირო ფაქტის შესახებ მისცეს ჩვენება ჩემთვის განკუთვნილი დროის ხარჯზე. §62. და მაინც, ათენის

⁵⁵ ორატორი ამ შემთხვევას წარმოგვიდგენს, როგორც დემოსის წევრთა ნაწილის შეტევას მეორე ნაწილის მიმართ, რაც კორუფციული გარიგებიდან გამომდინარეობდა. კორუფციულ გარიგებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სასამართლომ მათ მიერ მოქალაქეობიდან გარიცხულ დემოსის ცხრა წევრს მოქალაქეობის უფლება აღუდგინა.

⁵⁶ დიკასტერიონი - ბერძნული ტერმინი სასამართლოს აღსანიშნავად.

მოქალაქენო, თუკი ჩემი მოწინააღმდეგენი თავიანთ უმთავრეს არგუმენტად განიხილავენ იმას, რომ აი, ახლა დემოსის წევრებმა მოქალაქეობიდან ამომრიცხეს, მაშინ მე ამის საპირწონედ შემიძლია გიჩვენოთ, რომ მანამდე ოთხ შემთხვევაში, როდესაც ისინი ყოველგვარი შეთქმულების გარეშე, პატიოსნად ატარებდნენ კენჭისყრას, მათ ორივენი, მეც და მამაჩემიც, თავიანთი დემოსის წევრებად გვადიარეს; პირველად მაშინ, როდესაც დოკიმასია გაიარა მამამ, მეორედ, როდესაც გავიარე მე; მესამედ, წინა კენჭისყრისას, როცა ამ ადამიანებმა გააქრეს რეესტრი, დაბოლოს, როდესაც დემოსის წევრებმა დამასახელეს ყველაზე წარჩინებული წარმომავლობის პირთა შორის, რომლებსაც ჰერაკლეს ქურუმის თანამდებობაზე უნდა ეყარათ კენჭი. ყოველივე ამას მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს.

§63. თუ საჭიროა ჩემს დემარქოსობაზე ლაპარაკი, რის გამოც ზოგიერთნი გაბრაზებულნი არიან ჩემზე და მტრად მომეკიდნენ – მე ხომ ბევრი მათგანისგან ვითხოვდი, გადაეხადათ სატაძრო მიწების იჯარა⁵⁷, რომელიც მართებდათ და დაებრუნებინათ საზოგადო სახსრებიდან მითვისებული სხვა თანხები – ფრიად მოხარული ვიქნებოდი, ამის შესახებ ჩემგან მოგესმინათ, თუმცა, შესაძლოა, ჩათვალოთ, რომ ყოველივე ეს მიმდინარე საქმესთან არაა კავშირში. ამ შემთხვევაში მათი შეთქმულების დასასაბუთებლად მე კიდევ მაქვს ერთი მტკიცებულება. ამ ადამიანებმა ხომ ფიცის ტექსტიდან ამოიღეს ვალდებულება, ხმა მისცენ თავიანთი ყველაზე სამართლიანი განსჯის შესაბამისად და არა კეთილგანწყობისა თუ მტრობი-

⁵⁷ სატაძრო მიწები ღმერთისადმი მიძღვნილად ითვლებოდა. ისინი დემოსის წევრებს იჯარით გადაეცემოდათ. იჯარის თანხის ამოღება დემარქოსს ევალებოდა.

დან გამომდინარე. §64. ეს ამბავი ცნობილი გახდა. გამომჟღავნდა ისიც, რომ დემოსის იმ წევრებმა, რომლებისგანაც საზოგადო თანხები ამოვიღე, პირი შეკრეს ჩემ წინააღმდეგ და მკრეხელურად მოიპარეს იარაღი, რომელიც ათენას შევწირე (სათქმელი უნდა ითქვას)⁵⁸, გარდა ამისა, გადაფხიკეს ქვის დეკრეტი, რომელსაც დემოსის წევრებმა ჩემს პატივსაცემად უყარეს კენჭი. ამ ადამიანებმა თავიანთ უსირცხვილობაში ისე შორს შეტოპეს, რომ ხმა გაავრცელეს, თითქოს ყოველივე ეს მე თავად მოვიმოქმედე დაცვითი სიტყვის გაძლიერების მიზნით. თუმც, რომელი თქვენგანი, პატივცემულო მსაჯულნო, ჩამთვლის იმდენად შეშლილად, რომ ჩემი საქმისთვის ესოდენ მნიშვნელოვან მტკიცებულებათა გამო ჩამედინა სიკვდილით დასჯადი ქმედება, შემდეგ კი გამენადგურებინა წარწერა, რომელმაც პატივი მომიტანა? §65. თუმც რაც შეეხება მათ ყველაზე აღმაშფოთებელ საქციელს, ცხადია, ამაზე უკვე ვეღარ იტყვიან, რომ თავად მე ჩავიდინე. როგორც კი ეს უბედურება დამატყდა თავს, მაშინვე, თითქოს უკვე განდევნილი⁵⁹ და გა-

⁵⁸ ღვთაებას მტრისთვის ბრძოლაში წართმეულ იარაღს სწირავდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ ორატორი თავის სამხედრო საქმიანობას არ ახსენებს, გამოთქმულია ვარაუდი, რომ მან ალბათ იყიდა იარაღი, რათა შემდგომ ღვთაებისთვის შეეწირა. Phelan, 2016, 248.

⁵⁹ თუმცა გამომსვლელი პირდაპირ არსად არ ახსენებს სავარაუდო სასჯელს, ამ კონტექსტში განდევნის შესახებ ლაპარაკი გულისხმობს, რომ მას საქმის წაგების შემთხვევაში განდევნა ემუქრება. საზოგადოდ, ექსპითეოსის სავარაუდო სასჯელი კამათის საგანია. ანტიკური ავტორები ლიბანიოსი (Hypotheses, 27) და დიონისიოს ჰალიკარნასოსელი (Isaeus, 16) თვლიდნენ, რომ პროცესის წაგების შემთხვევაში სარჩელის შემომტანს მონად გაყიდვა ელოდა. თანამედროვე მეცნიერთა ნაწილი მათ თვალსაზრისს არ იზიარებს. ფელანის აზრით, გადაჭრით ვერ ვიტყვით, ემუქრებოდა თუ არა მონობა წაგებულ მომჩივანს. სავარაუდოდ, ალტერნატიულ გზად ამ პიროვნების გადასახლებაში ნებაყოფლობით წასვლა განიხილებოდა. Phelan, 2016, 43 შმდგ.

ნადგურებული ვყოფილიყავი, ამ პირთა ნაწილი ღამით ჩემი სოფლის სახლში შეიპარა და შეეცადა, წაეღო, რაც იქ იყო. აი, ამდენად დიდი უპატივცემულობა გამოავლინეს ამ ადამიანებმა თქვენი კანონებისა და თქვენ მიმართ. თუ მოისურვებთ, მოვუხმობთ ამ ამბის მცოდნეთ.

§66. სხვა კიდევ ბევრი მაქვს თქვენთვის წარმოსაჩენი, საქმენი, რომლებიც მათ ჩაიდინეს და სიცრუე, რომელიც თქვეს, სიამოვნებით ვილაპარაკებდი ამათზე, თუმცა, რადგან მიგაჩნიათ, რომ ეს ამბები მოცემულ საქმეს არ უკავშირდება, მათზე აღარ შევჩერდები. თუმცა გაიხსენეთ ის, რაც ადრე მოგახსენეთ და გაითვალისწინეთ, რაოდენ მრავალრიცხოვანი და დამაჯერებელი მტკიცებულებით მოგმართეთ. ახლა კი თქვენი თანდასწრებით საკუთარ თავს ზუსტად იმ კითხვებს დავუსვამ, რომელი კითხვებითაც თქვენ თესმთეთეტესებს⁶⁰ მიმართავთ. §67. „ადამიანო, ვინ იყო მამაშენი?“ – „მამაჩემი? თუკრიტოსი.“ – „არიან ისეთი ნათესავები, რომლებიც მის სასარგებლოდ მისცემენ ჩვენებას?“ – „რასაკვირველია. პირველ რიგში, ოთხი ბიძაშვილი, შემდეგ – ბიძაშვილის ვაჟიშვილი, შემდგომ მისი ქალი ბიძაშვილის ქმრები, შემდეგ ფრატრიის წევრები, ამათ შემდეგ გენოსის წევრები, რომლებიც მამაპაპისეულ აპოლონსა⁶¹ და კერიის მფარველ ზევსს სცემენ თაყვანს, მერე ის-

⁶⁰ თესმთეთეტესები - ყოველწიურად არჩეული ცხრა არქონთაგან ექვსი. მათ უმთავრესად სასამართლო მოვალეობათა აღსრულება ეკისრებოდათ. ისინი სხვადასხვა ტიპის პროცესუალურ საქმეებს განიხილავდნენ, უმეტესწილად საჯარო ბრალდებებს, ევალეობდათ დოკიმასიის წარმართვა. ამ შემთხვევაში ევქსითეოსის კითხვები დოკიმასიის პროცედურას აღწერს.

⁶¹ აპოლონი იონიელთა გვარის დამაარსებლად ითვლება, რომელსაც ათენელები მიეკუთვნებოდნენ. აქედან მოდის ზედწოდება - Πατριος - „მამა-

ინი, ვისაც მასთან საზიარო სამარხი აქვს; დაბოლოს, დემოსის წევრები, რომლებიც ამოწმებენ, რომ მას არაერთხელ გაუვლია დოკიმასია და სჭერია თანამდებობები და თავად ეს წევრები წარმოჩენილ იქნენ, რომ მის სასარგებლოდ მისცეს ხმა.“ ამდენად, იყო კი შესაძლებელი, რომ მამაჩემთან დაკავშირებით უფრო დასაბუთებულად და გასაგებად ყოფილიყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, ვიდრე ეს მე მოვიყვანე? თქვენი სურვილის შემთხვევაში, ნათესავებს მოვუხმობ. §68. ახლა კი დედაჩემთან დაკავშირებით მომისმინეთ. „დედაჩემი არის ნიკარეტე, ქალიშვილი დამოსტრატოსისა, მელიტეს დემოსიდან.“ – „ვინ მისცემს ჩვენებას ნათესავთაგან?“ – „უპირველეს ყოვლისა, მისი ძმისშვილი, შემდგომ – მეორე ძმისშვილის ორი ვაჟი; შემდეგ – დედაჩემის ყოფილი ქმრის, პროტომაქოსის ვაჟიშვილები; შემდეგ ხოლარგოსის დემოსიდან – ევნიკოსი, რომელმაც ითხოვა ჩემი და, პროტომაქოსის ქალიშვილი, დაბოლოს – ჩემი დის ვაჟიშვილი. §69. გარდა ამისა, ეს დედაჩემის ნათესავების ფრატრიისა და დემოსის წევრებმაც დაამოწმეს.“ არის კიდევ რამე, რაც, შესაძლოა, დაგჭირდეთ? მოწმეთა ჩვენებებმა ხომ ისიც დაამოწმა, რომ მამაჩემი დედაჩემზე კანონების შესაბამისად დაქორწინდა და ფრატრიის წევრებისთვის საქორწინო ლხინი გამართა. მეტიც, გაჩვენეთ ისიც, რომ პირადად მე წილი მქონდა ყველაფერში, რაც კი ეკუთვნის თავისუფალ ადამიანს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თქვენ ფიცის ერთგულნი იქნებით, თუ ჩვენ სასარგებლოდ მისცემთ ხმას, როგორც ამას სამართლიანობა მოითხოვს. §70. არის კიდევ ერთი რამ, პატივცემულო მსაჯულნო. როდესაც ცხრა არ-

პაპისეული“. დოკიმასიის დროს კანდიდატს ეკითხებოდნენ, სცემდა თუ არა ის თავყვანს ოჯახის ღვთაებებს.

ქონს უსვამთ კითხვებს, თქვენ მათ ეკითხებით, ეპყრობიან თუ არა ისინი კარგად თავიანთ მშობლებს? რაც შემეხება მე, მამამ ობლად დამტოვა; დედაჩემთან დაკავშირებით კი გვედრებით და გაფიცვით – ამ საქმეზე თქვენი გადაწყვეტილებით დამიბრუნოთ უფლება, დავკრძალო ის ჩვენს საგვარეულო სამარხში. ნუ დამიშლით ამას, ნუ წამართმევთ სამშობლოს, ნურც მომკვეთთ ნათესავეებს, რომლებიც ამდენნი არიან, და ბოლომდე ნუ გამანადგურებთ. და თუ შეუძლებელი იქნება მათი დახმარებით გადარჩენა, მათთან განშორებამდე მე უმალ თვითმკვლელობით დავასრულებდი სიცოცხლეს, რათა მათი ხელით მშობლიურ მიწაში მაინც დავიმარხო.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები
დაურთო ქეთევან ნადარეიშვილმა

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

ძველი რომაელი ავტორი სწავლების თანამედროვე ხედვით

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი (ახ.წ.35-96) არის ავტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა პლინიუსის წერილებზე, ტაციტუსის დიალოგებზე და გარკვეულწილად, სვეტონიუსზე. იერომე, რუფინუსი და კასიოდორუსი ახსენებენ კვინტილიანუსს. მისმა ე.წ. უნივერსალური ცოდნის იდეამ, ადაფრთოვანა მარციანუს კაპელა და ავგუსტინე. მე-11-10 საუკუნეებში გერმანიაში უკვე მოიპოვებოდა კვინტილიანუსის შრომების ასლები. სრული ტექსტი აღადგინა პოჯიომ 1415-1416 წლებში.

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა ზეგავლენა მოახდინა ლიტერატურის კრიტიკოსებზე და მასწავლებლებზე მე-15-მე-17 სს.-ში. პეტრარკამ (1374წ.) წერილი მიუძღვნა კვინტილიანუსს; ლორენცო ვალამ (1457წ.) იგი ციცერონზე მაღლა დააყენა; ფილელფომ (1482წ.) შეაქო მისი ლათინური. ერაზმუსმა საფუძვლიანად შეისწავლა კვინტილიანუსი; ლუთერმა მას უპირატესობა მიანიჭა ყველა ავტორთან შედარებით; მელანხტონმა რეკომენდაცია გაუწია, ესწავლებინათ სკოლებში.

თანამედროვე ევროპისთვის კვინტილიანუსი იყო დამოუკიდებელი, თავისუფალი აზროვნების გიდი¹. ბაროკოს ეპ-

¹ Fantham 2011:47-51.

ოქაში კვინტილიანუსი ხელახლა აღმოაჩინეს. მისი ზეგავლენით გერმანიაში პირველად დაიწერა სერიოზული ნაშრომი ორატორულ ხელოვნებაზე (მეიფარტი); კვინტილიანუსის აღზრდის მეთოდებით ხელმძღვანელობდნენ სკოლებში მე-18 საუკუნემდე. ი. ბახმა, რომელიც კარგად ფლობდა ლათინურ ენას, ყურადღება დაუთმო კვინტილიანუსს თავის მუსიკალურ ესეებში; გოეთე სტუდენტობისას დაინტერესდა რომაელი ავტორით (1770-1771წწ.); მომსენი “მჭევრმეტყველების სწავლებას” თვლიდა ანტიკურობის ყველაზე გავლენიან წიგნად; მე-20 საუკუნეში ლუჩიანო ალბინი (პაპი ჯონ პაულ პირველი) კვინტილიანუსს მიუძღვნა ეპისტოლე, რომელშიც გამოთქვა სურვილი, მისი მეთოდები და აზრები არ დაკარგულიყო.

კვინტილიანუსი არის ლიტერატურის ისტორიის პირველი ისტორიკოსი. კვინტილიანუსმა პირველმა გამოიყენა შედარებისა და ანალოგის მეთოდი². მისი „მჭევრმეტყველების სწავლება“ 12 წიგნისგან შემდგარი თხზულებაა, რომელშიც 115 თემაა დამუშავებული³. მეორე წიგნში ავტორი ეხება ისეთ საკითხებს, რომლებიც დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას, როგორცაა: როგორი უნდა იყოს მასწავლებელი, როგორ თვისებებს და ღირსებებს უნდა ატარებდეს იგი; აუცილებელია თუ არა სწავლის დასაწყისშივე უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის შერჩევა; როგორ განუვითაროთ მოსწავლეებს მჭევრმეტყველების პირველი უნარ-ჩვევები; წავაკითხოთ თუ არა ისტორიკოსების და რიტორების თხზულებები; რომელი და როგორი მწერლებით ჯობია დავიწყოთ; რა თემები შევარჩი-

² Laing 1920: 515-534.

³ Galand 2010.

ოთ თხზულების დასაწერად; ვაიძულოთ თუ არა ახალგაზრდები, ზეპირად დაისწავლონ ცნობილი ნაწარმოებებიდან მნიშვნელოვანი ნაწყვეტები; უნდა გავითვალისწინოთ თუ არა სწავლისას ბავშვის ინტერესები და შესაძლებლობები; საჭიროა თუ არა გარკვეული წესების დადგენა მჭევრმეტყველებაში; რატომ ტოვებენ ზოგჯერ უსწავლელები ჭკვიანის შთაბეჭდილებას; რა არის მჭევრმეტყველება და ვინ შეიძლება იყოს კარგი ორატორი; რა სარგებლობა აქვს რიტორიკას; შეიძლება თუ არა რიტორიკა ხელოვნების დარგად ჩაითვალოს; მჭევრმეტყველებას სწავლა უფრო უწყობს ხელს, თუ ნიჭი და ბუნება; რომელი ტიპის მეცნიერებებს განეკუთვნება რიტორიკა; რა არის რიტორიკის საგანი; შეუძლია თუ არა მას კეთილი საქმეების გაკეთება და სხვა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი არის ძველი რომაელი ავტორი ყველაზე თანამედროვე იდეებით სწავლების შესახებ, რაშიც, თავად დარწმუნდებით, როცა წარმოდგენილ თარგმანს გაეცნობით.

რადგანაც კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველის სწავლება“ ქართულ ენაზე არ არსებობს, ბატონმა რისმაგ გორდეზიანმა მირჩია, შევჭიდებოდი ამ ურთულეს საქმეს, რომელზეც უკვე რამდენიმე წელია ვმუშაობ. ამჟამად, თქვენს სამსჯავროზე წარმოვადგენ ნაშრომის მეორე წიგნის თარგმანს, მცირეოდენი შემოკლებით. ქართულად იბეჭდება პირველად.

გამოყენებული ლიტერატურა:

Fantham, Elaine. *Roman Readings: Roman Response to Greek Literature from Plautus to Statius and Quintilian*. Beiträge zur Altertumskunde, 277. Berlin; New York: De Gruyter, 2011.

Galand, P., F. Hallyn, C. Lévy, W. Verbaal, *Quintilien ancien et moderne*. Etudes réunies, Turnhout 2010, Brepols Publishers, ISBN 978-2-503-52865-6

Laing, Gordon J. *Quintilian, the Schoolmaster*. The Classical Journal 15.9 (1920).

Quintilianus, Marcus Fabius. *Institutio Oratoria*, translated by H.E. Butler. Loeb Classical Library. Cambridge: Harvard University press, 1920.

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

„მწვერმეტყველების სწავლება“

წიგნი მეორე

ჩვევად შემოვიდა (და ეს ჩვევა უფრო და უფრო იკიდებს ფეხს) – ბავშვებს მქვერმეტყველების სწავლა, უმეტესად, რომაელ, ხოლო ზოგჯერ, ბერძენ მასწავლებლებთან დააწყებინონ გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე მიზანშეწონილია. ამისთვის ორი მიზეზი არსებობს: ორატორებმა, განსაკუთრებით ჩვენებმა, თავიანთი შანსი ხელიდან გაუშვეს, ხოლო გრამატიკოსებმა სხვისი ვალდებულება მიითვისეს.

რიტორები ფიქრობენ, რომ მათი საქმე მხოლოდ დეკლამირება, მისი ხელოვნების და მასში დაოსტატების სწავლებაა; ასევე, სათათბირო და სასამართლო საკითხების და მხოლოდ ამისათვის საჭირო წესების სწავლებით შემოიფარგლებიან, ხოლო ყველაფერი დანარჩენი, როგორც მათი მოწოდებისთვის შეუფერებელი, ეზარებათ. მაშინ, როცა გრამატიკოსები, უკმაყოფილონი იმით, რაც დარჩათ (რისთვისაც მათ მადლობა უნდა ვუთხრათ), ხელს ჰკიდებენ მქვერმეტყველებაში ისეთ ურთულეს საკითხებს, როგორიცაა *prosopopeiae* და *suasorias*, რომლებშიც მქვერმეტყველების უდიდესი ძალაც კი უკუგდებულობია.

შედეგად, ერთი ხელოვნების უმთავრესი საქმე სხვა ხელოვნებაში მეორეხარისხოვნად იქცა. ბავშვები, რომლებიც ას-

აკის შესაფერისად სწავლების უმაღლეს საფეხურზე უნდა გადასულიყვნენ, რჩებიან ყველაზე უფრო დაბალი საფეხურის სკოლაში და რიტორიკას გრამატიკოსებთან სწავლობენ. ამგვარად, რაც ძალიან სასაცილოა, ყმაწვილი მხოლოდ მაშინ მიდის განსასწავლად რიტორთან, როცა რიტორიკა უკვე იცის.

ჩვენ ყველა საგანს თავის საზღვარს დავეუდგენთ და გრამატიკასაც, რომელიც ლათინურად ნიშნავს ასოების, ან ბგერების ცოდნას, უნდა ჰქონდეს თავისი მკაცრად განსაზღვრული არეალი, განსაკუთრებით, იმ თავმდაბლობის გამო, რისთვისაც ძველმა გრამატიკოსებმა უწოდეს საკუთარ თავს ეს სახელი. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად იგი პატარა წყარო იყო, თანდათან გაძლიერდა პოეტებისა და ისტორიკოსების წყალობით და ახლა მოედინება, როგორც ძლიერ არხი. და მაინც, გარდა ოსტატურად საუბრის ხელოვნებისა, რომელიც სხვაგვარად შორს იქნებოდა ღრმა და ყოველმხრივი ხელოვნებისაგან, მან შემოიერთა სწავლების მთელი რიგი სხვა საკითხები. რიტორიკაც, რომელსაც ასე იმიტომ დაერქვა, რომ ასწავლის მჭევრმეტყველურად და მწყობრად ლაპარაკს, არ უნდა გაუუცხოვდეს თავის ვალდებულებებს, არ უნდა ითმენდეს, რომ ის, რაც მისი კუთვნილებაა, სხვაგან განთავსდეს. სწორედ ამის გამო დაკარგა მან თავისი საკუთრების დიდი ნაწილი.

სულაც არ ვდავობ იმის შესახებ, რომ გრამატიკოსთა შორის იქნებიან შემძლენი, ასწავლონ რიტორიკა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მასწავლებელი შეასრულებდა რიტორის და არა საკუთარ (გრამატიკოსის) ფუნქციას.

ახლა გავარკვიოთ, როდის უნდა ვასწავლოთ ყმაწვილს მჭევრმეტყველება? მოკლედ ვიტყვი: მაშინ, როცა მასში ამის-

ათვის საჭირო უნარები ჩნდება და სულაც არ არის ეს დაკავშირებული ასაკთან. ეს დაკავშირებულია მისი სწავლის შედეგებთან. ანუ, შეკითხვაზე – როდის უნდა მივიდეს ბავშვი რიტორიკის მასწავლებელთან? – პასუხი არის: როცა იგი ამისთვის მზად იქნება.

მაგრამ ეს საკითხი, თავის მხრივ, დაკავშირებულია ჩემს წინა მსჯელობასთან, რადგან თუ მას ასწავლის გრამატიკოსი და იგი შემოიფარგლება მხოლოდ ე. წ. სათათბირო სიტყვებით, მაშინ რიტორი მოგვიანებით გახდება საჭირო; ხოლო თუ რიტორი თავს არ არიდებს ადრეულ საფეხურზე ბავშვის გაწრთვნას და სურს, ზუსტად შეასრულოს ყველა თავისი მოვალეობა, მაშინ მისი ყურადღება საჭიროა თავიდანვე, როცა მოსწავლე იწყებს ნარაციას, თხრობას და ასრულებს პატარა სავარჯიშოებს ქებასა და კიცხვაში.

განა არ ვიცით, რომ ძველებიც, თუ სურდათ წარმატებისთვის მიედწიათ მჭევრმეტყველებაში, ამუშავებდნენ თავიანთ მოსწავლეებს თეზისებზე, ჩვეულებრივ, ზოგად ადგილებზე და სხვადასხვა საკითხებზე (კონკრეტული გარემოებების თუ პირების ჩართულობის გარეშე), რომლებზეც დამოკიდებულია საქმეები, ნამდვილი თუ გამოგონილი? აქედან, ცხადი ხდება, რომ სირცხვილია დავთმობთ მჭევრმეტყველების ის ნაწილი, რომელიც მათთან უპირველესი და ერთადერთი იყო.

და განა ყველაფერი ის, რაზეც მე ვისაუბრე, არ შედის ორატორის მოვალეობებში და ყველაფერი არ განეკუთვნება სასამართლო მჭევრმეტყველებას? განა არ განეკუთვნება მას ფორუმზე წარმოთქმული სიტყვა? და არ შეადგენს განა იგი რიტორიკის ყველაზე მთავარ ნაწილს?

განა სახოტბო სიტყვები (პანეგირიკები) და ლანძღვა-გინე-ბა ხშირად არ ახლავს იმ დისპუტებს? ასევე, ზოგადი ადგილები, ან ნაკლისკენ მიმართული სიტყვები, როგორსაც ვხვდებით ციცერონთან, ან უბრალოდ კითხვის გამომხატველი, როგორც, მაგალითად, კვინტუს ჰორტენსიუსთან, ვთქვათ, ასეთი – უნდა ვენდოთ თუ არა სუსტ მტკიცებულებებს მოწმის წინააღმდეგ, ან მის სასარგებლოდ? განა ერთად არ არის ეს ყველაფერი თავმოყრილი საქმის იდუმალ, ღრმა არსთან?

ეს ისეთი იარაღია, ყოველთვის მზად რომ უნდა გქონდეს ყოველი შემთხვევისთვის. ვინც თვლის, რომ ეს ყველაფერი არ უნდა მივაკუთვნოთ ორატორს, ფიქრობს, რომ ქანდაკება არ არის დაწყებული, როცა მისი ნაწილები (დეტალები) დაყალიბებულია (ჩამოსხმულია). ეს არ ნიშნავს, რომ გრამატიკოსს ძალიან ადრე ვართმევთ აღსაზრდელს, თითქოს იმ მიზეზით, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადავცეთ იგი რიტორს.

ამ ყველაფერს შეიძლება დაემატოს შიში იმის თაობაზე, რომ ბავშვი გადაიღლება ორი მასწავლებლის გაკვეთილებისგან. მე მის შრომას კი არ ვზრდი, არამედ ის, რაც ერთი მასწავლებლის ხელში იყო თავმოყრილი, განაწილდება. ასე თითოეული ტუტორის მუშაობა უფრო ეფექტური იქნება თავის სფეროში. ეს მეთოდი, რომელსაც ბერძნები ახლაც იყენებენ, რომაელმა რიტორებმა უკუაგდეს, ამიტომ მათი მოვალეობები სხვებმა მიისაკუთრეს.

როგორც კი ყმაწვილში იჩენს თავს იმდენი შესაძლებლობა, რომ შეითვისოს ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული პირველი რჩევები მჭევრმეტყველებაში, მაშინვე უნდა ჩავაბაროთ იგი ორატორებს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ უკანასკნელთა ზნე-ჩვეულებებს. მე ამით ვიწყებ ჩემს მითითებებს არა იმიტომ, რომ სხვა მასწავლებლების მსჯელობებშიც ამოვიკითხე მსგავსი რამ – პირველ წიგნში ამაზე საკმაოდ ვისაუბრე; თავად აღსაზრდელთა ასაკი მაიძულებს უკვე ნათქვამი გავიმეორო.

ამ მასწავლებლებთან უკვე საკმაოდ მოზრდილი ბავშვები მიდიან და მათთან, ზოგჯერ, მოწიფულობამდეც კი რჩებიან. საჭიროა, ახალგაზრდობის ფერადოვნება მასწავლებლის გონიერებით იყოს დაცული, რათა, როცა გაიზრდება, უგუნურებაზე უარის თქმა შეძლოს.

მასწავლებელი არა მხოლოდ თვითონ უნდა იყოს პატიოსანი ადამიანი, არამედ თავისი მოსწავლეების ზნეობის მკაცრი ზედამხედველობაც უნდა შეეძლოს. დაე, უპირველესად, მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინოს ბავშვების მიმართ და თავი იმათ ადგილზე წარმოიდგინოს, ვინც მას ბავშვების აღზრდა ანდო.

ნურც თავად ექნება ნაკლი, ნურც სხვის ნაკლს მოითმენს. მის დიდებულებას არ უნდა ახლდეს უხეშობა, ალერსს – სისუსტე, რათა ერთით არ გამოიწვიოს ზიზღი, ხოლო მეორით – სიძულვილი. უმეტესად, უნდა ისაუბროს კეთილშობილებაზე. რაც მეტს მოვიქცევით ასე, მით უფრო ნაკლებად საჭირო იქნება დასჯა. ნუ იქნება ბრაზიანი მაშინ, როცა სიმკაცრეა საჭირო. მეცადინეობისას უბრალო, მომთმენი, უფრო კეთილგანწყობილი უნდა იყოს, ვიდრე ქედმაღალი.

ვინც აქტიურია, მონდომებით უპასუხოს მის შეკითხვებს, ვინც პასიურობს – მას თავად დაუსვას შეკითხვები წასახალისებლად. ნუ იქნება ქებაში ძუნწი, ნურც ზედმეტი მოუვა. პირველი სურვილს უკარგავს, მეორე – უდარდელობას უნერგავს

ახალგაზრდას. გამოსწორება, როცა საჭიროა, სიმკაცრის გარეშე უნდა მოხდეს. ბევრს ეკარგება სწავლის სურვილი, როცა მასწავლებლის ლანძღვა ზიზლის ზღვარზე გადის და სიძულვილს ემსგავსება.

ვეცადოთ, ყოველდღე ვუთხრათ ბავშვებს რაიმე ისეთი, მთელი ცხოვრება რომ დაამახსოვრდებათ. მისაბამი მაგალითები წიგნებშიც ბევრია, მაგრამ გაცილებით მეტ ზემოქმედებას ახდენს თავად იმ მასწავლებლის მიერ მოყოლილი, რომელსაც ბავშვი პატივს სცემს და რომელიც უყვარს. შეიძლება, მასწავლებელმა წარმოაჩინოს ის, ვისაც სურს ბავშვებმა მიბადონ და რომელთანაც სულიერად ახლოს არიან.

არ უნდა მისცეს ბავშვებს ერთმანეთის ქების უფლება, რაც ხშირად ხდება ხოლმე. უფროსებისთვისაც კი უხერხულია ღიად ილაპარაკოს იმაზე, რაც მეგობრისაგან გაიგონა. საჭიროა, მოსწავლეს ჰქონდეს მასწავლებლის სამართლიანობის იმედი და მხოლოდ იმას ლაპარაკობდეს, რაც მასწავლებლისგან მხარდაჭერილი იქნება.

ისეთი ცუდი ჩვევა, როგორცაა ერთმანეთის ქება, რომელიც შელამაზებულია თავაზიანობის სახელით, სწავლის ძალიან საშიში მტერია და განდევნილი უნდა იქნას კეთილშობილი სასწავლებლებიდან, როგორც არამდგრადი და ზედმეტად თეატრალური. შრომა და მონდომება ზედმეტად ჩაითვლება იქ, სადაც ყველა საქებად არის განწყობილი. მოსწავლეებმა თვალეზში უნდა უყურონ მასწავლებელს – იმათაც, ვინც მას უსმენს და მასაც, ვინც მათ წინაშე საუბრობს. ასე მიეჩვევიან კარგისა და ცუდის გარჩევას: ერთი თხზულების წერას ისწავლის, სხვები – მის სწორად განსჯას დაეუფლებიან.

ახლა კი, არა მხოლოდ ხტებიან ყოველი პერიოდის შემდეგ ადგილებიდან, არამედ კისრისტეხით გარბიან გარეთ, ყვირიან და ორმხრივი ქებით გადაწყდება თხზულების სიავეარგე. აქედან მოდის ქედმალლობა და უსაფუძვლო თვითდაჯერებულობა, მოსწავლეები ცუდად იწყებენ ფიქრს მასწავლებელზე, თუ ის მათ ნაკლებად შეაქებს.

თავად მასწავლებლებიც უნდა განსაკუთრებული სიფრთხილით და თავმდაბლობით მოეკიდონ ქებას. მოსწავლეები უნდა იღებდნენ ქებას მასწავლებლისგან და არა პირიქით – მასწავლებელი მოსწავლეებისგან. თუ ეს შესაძლებელია, მასწავლებელი უნდა დააკვირდეს, რომელი მოსწავლე რატომ და როგორ აქებს მას. უფრო მათთვის გაუხარდეს და არა საკუთარი თავისთვის, თუ აღმოაჩენს, რომ ეს შექება დამსახურებულია.

არ მინდა, რომ მცირეწლოვნები უფროსი ასაკის ახალგაზრდებთან ერთად იყვნენ. კარგ მასწავლებელს, რომ მან შეძლოს წესრიგის დამყარება და ყველასთვის თავისი ადგილის მიჩენა, არანაირი ნაკლი არ უნდა ჰქონდეს. მასწავლებელიც და მოსწავლეებიც რომ ყველანაირი უზნეობისგან თავისუფალი უნდა იყვნენ, ამაზე საუბარიც კი ზედმეტად მეჩვენება. ვინც საკუთარი შვილის მასწავლებლის არჩევისას, არ მიაქცევს ყურადღებას აღმზრდელის უნაირო თვისებებს, დაე, მან იცოდეს, რომ ყველა სხვა სიკეთე, რაზეც აქ ვილაპარაკეთ, წყალში ჩაიყრება.

არ მსურს გავჩუმდე იმათ გაფრთხილებაზე, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბავშვი კი მივა იმ კონდიციამდე, შეძლოს მქვერმეტყველება ისწავლოს, მაგრამ თავიდანვე არ არის საჭირო ყველაზე ოსტატ რიტორთან მივიყვანოთ. ცოტა ხნით

ჯობია იგი შედარებით ნაკლები გამოცდილების მქონე მასწავლებელს ჩავაბაროთ. ასეთი მასწავლებელი ბავშვისთვის იქნება უფრო მისაღები, ადვილად აღსაქმელი და გასაგები; თავად მასწავლებელიც ნაკლები მოწყენილობით შეუდგება პატარასთვის მჭევრმეტყველების ანაბანას გადაცემას.

არ გამიჭირდება იმის მტკიცება, რომ თავიდანვე უმჯობესია სწორი და მყარი საფუძვლის ჩაყრა, რადგან სწავლის დასაწყისში მიღებული ნაკლის გამოსწორება შემდეგში ძალიან გაჭირდება და მომავალი მასწავლებლის ოსტატობაზე იქნება დამოკიდებული ამის გამოსწორება. მან ჯერ უნდა ნაკლი აღმოფხვრას, შემდეგ კი, ასწავლოს. პირველი გაცილებით მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული. ამიტომაც იყო, რომ, როგორც ამბობენ, ტიმოთეოსი, ცნობილი ფლეიტაზე დამკვრელი, ორჯერ მეტ თანხას იღებდა იმ შემთხვევაში, როცა მასთან სასწავლად სხვა მასწავლებლებისაგან მიდიოდნენ. ამგვარად, შეცდომას უშვებენ, როცა თვლიან, რომ სუსტი მასწავლებელიც შეძლებს ბავშვის სწავლებას დასაწყისში იმის იმედით, რომ კუჭი ყველაფერს მოინელებს. ასეთი რამის მიტევა კიდევ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ცუდი მასწავლებლები ასწავლიდნენ ცოტას, მაგრამ არა – ცუდს. მეორე შეცდომა, კიდევ უფრო ხშირად დაშვებული, არის იმის ფიქრი, რომ საუკეთესო მასწავლებელი უარს იტყვის ასწავლოს ელემენტარული, მარტივი, შეეზარება და არად დაგიდევთ, ან არც შეეძლება მათთვის თავის შეწუხება, მაგრამ ვინც ასე მოიქცევა, იმას მე აღმზრდელად არ ვთვლი, ხოლო ვისაც სურს ამ ყველაფრის გაკეთება, მას ეს ხელეწიფება კიდევ. მთავარია, კარგი მონაცემები ჰქონდეს. ასე იმიტომ ვფიქრობ, პირველ რიგში, რომ ვინც ამ პროფესიაში სხვაზე აღმატებულია, იმან ისიც იცის, რა

საშუალებებით მიიღწევა ეს „აღმატება“; მეორე რიგში კი, იცის ისიც, რომ წარმატება დიდად არის დამოკიდებული სწავლების მეთოდებზე. ვინც სხვაზე მეტად განსწავლული და დაოსტატებულია ამა თუ იმ საქმეში, მას უფრო მეტად გამოუვა სხვისი განსწავლა და დაოსტატება.

არც იმის დაშვება შეიძლება, რომ თუ უფრო მეტი იცის, უფრო ნაკლების სწავლებას ვერ შეძლებს. ეს იქნებოდა იგივე, ვინმეს რომ ეთქვა, ფიდიასმა იუპიტერის გასაოცარი ქანდაკება კი შექმნა, მაგრამ ვინმე სხვა უკეთეს სამკაულებს დაამზადებდა ამ ქანდაკებისთვის; ან რომ ორატორმა არ იცის ლაპარაკი; ან რომ საუკეთესო ექიმი უბრალო დაავადებებს ვერ განკურნავს.

მეტყვიან, მჭევრმეტყველებაში არაფერი ისეთი რთული არ არის, ბავშვის გონებამ რომ ვერ დაძლიოსო. ამას არც მე ვამტკიცებ, მაგრამ უკეთეს მასწავლებელს სწავლების მეთოდებიც უკეთესი ექნება; მან ალლო უნდა აულოს ბავშვის შესაძლებლობებს, როგორც მოზრდილი ადამიანი, გზაზე პატარასთან ერთად მიმავალი, ანელებს ხოლმე სვლას და ბავშვს ხელს ჩასჭიდებს, უწყობს ნაბიჯებს, რომ არ გაასწროს თავის სუსტ თანამგზავს.

ჩვენთვის ხომ უფრო ადვილად აღსაქმელია ჭკვიანი, საქმის მცოდნე ადამიანის გაგება? ეს იმიტომ ხდება, რომ მჭევრმეტყველების მთავარი ღირსება სიცხადეა. ადამიანს რაც უფრო ცოტა ჭკუა აქვს, მისი აზროვნება მით უფრო ვიწროა – როგორც პატარები ფეხის წვერებზე დგებიან, ხოლო ნაკლებად განვითარებული ადამიანის თვისება მუქარაა. ზედმეტი ქედმაღლობა, ხმაური და ყვირილი დიდ ნიჭზე კი არა, ნაკლებ შესაძლებლობებზე მიუთითებს, როგორც სხეულის

სიმსუქნე არის ავადმყოფობის, და არა ჯანმრთელობის ნიშანი; როცა მთავარ გზას ასცდები, რა თქმა უნდა, მალე დაიბნევი. ასევე, რაც უფრო ნაკლები იცის მასწავლებელმა, მოსწავლესთვის ეს მით უფრო დამაბნეველია. არ დამვიწყებია, პირველ წიგნში როცა ვამბობდი – ბავშვი, უმჯობესია, სასწავლებელში მივაბაროთ და არა სახლში ვამეცადინოთ. იმაზეც ვთქვი, რომ პატარები სწავლის დასაწყისში უფრო მონდობილები არიან და მეტს ასწრებენ თავიანთი თანატოლების მიბადებით. ზოგი იფიქრებს, რომ მე აქ საკუთარ თავს ვეწინააღმდეგები.

პირიქით, ესეც კიდევ ერთი და მთავარი მიზეზია იმისთვის, რომ ბავშვი საუკეთესო მასწავლებელთან მივიყვანოთ. მისი მოსწავლეები, რომლებსაც იგი მხოლოდ საუკეთესოს ასწავლის, ან არ დაუშვებენ უხემ შეცდომებს, ან თუ დაუშვებენ, კარგი მასწავლებელი მათ იქვე მიუთითებს და გამოასწორებინებს. ნაკლებად მცოდნე მასწავლებელი კი ამას ყურადღებას არ მიაქცევს.

მაშ, დაე, იყოს მასწავლებელი საქმითაც, ცოდნითა და მორალითაც საუკეთესო, როგორც, მაგალითად, ჰომეროსის ფენიქსია, აქილევსის მასწავლებელი, საკუთარი საქმითაც რომ სამაგალითო იყო თავისი გმირი მოსწავლისთვის და სიტყვითაც.

ახლა შევეცდები ვაჩვენო, დასაწყისში რა უნდა ასწავლოს რიტორმა თავის აღსაზრდელს, ხოლო შემდეგ იქამდეც მივალთ, რასაც ნამდვილი რიტორიკა, ჩვეულებრივ ენაზე, მჭევრმეტყველების ხელოვნება ჰქვია. ვფიქრობ, ჯობია დავიწყოთ იმის მსგავსი სავარჯიშოებით, რომლებსაც უფრო გრამატიკონები ასწავლიან.

თხრობა (გარდა იმისა, რასაც ჩვენ ვიყენებთ სასამართლო პროცესებზე), შეიძლება იყოს სამი სახის: იგავი, რომელსაც იყენებენ ტრაგედიებსა და პოემებში და რომელიც ჭეშმარიტება კი არა, ჭეშმარიტების მსგავსია; argumentum, სიცრუე, მაგრამ სიმართლის მსგავსი, რომელსაც ვხვდებით კომედიებში; და ისტორია, რომელიც ფაქტებით მოგვითხრობს. რადგან პოეტური თხრობა გრამატიკოსებს დავუთმეთ, დაე, ისტორია სასწავლებლად რიტორებს დავუტოვოთ. ეს თხრობის ის სახეობაა, რომელშიც უფრო მეტი სიმართლე და შესაბამისად, მეტად ღირებულიცაა.

რომელს ვთვლი თხრობის უკეთეს მეთოდად მაშინ გაჩვენებთ, როცა სასამართლოს წინაშე გამოსვლაზე ვისაუბრებ. აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ის არ უნდა იყოს მშრალი, მწირი, მოსაწყენი და ზედმეტად უბრალო (მაშინ რატომ უნდა ვიწვავლოთ სწავლაზე, თუ შეგვიძლია საგნები წარმოვადგინოთ შიშვლად, ყოველგვარი შელამაზების გარეშე?). არც მერყევი უნდა იყოს, დაურწმუნებელი და ახირებულად, არაბუნებრივად მორთული ისეთი სამკაულებით, რომლებითაც ბევრი მოსაუბრე გატაცებულია პოეზიაში. თხრობის ეს ორივე სახეობა მცდარია, თუმცა აზრის სიძუნწე გაცილებით უფრო ცუდია, ვიდრე სიუხვე. ბავშვებისგან, რა თქმა უნდა, არ უნდა ველოდოთ სრულფასოვან სიტყვას, მაგრამ მე მირჩევნია მდიდარი, თუნდაც ხშირად ზომიერების ზღვარს გადასული თხრობა.

არასდროს არ მანაღვლებს ადრეულ ასაკში ასეთი ზედმეტობა. სასურველიც კია, ძიძის მსგავსად, ჯერ კიდევ ნორჩ გონებას რძესავით ნაზი საკვები შევთავაზოთ და ნება დავრთოთ, სწავლის ტკბილი ძირით დატკბეს. ამასობაში, გონებაც, სხეულის მსგავსად, ივსება და ნელ-ნელ ვითარდება. სიმლიერის

იმედიც ჩნდება. ბავშვს, მთელი ძალით დროზე ადრე რომ ცდილობს მოქმედებას, ხშირად სისუსტე ემუქრება. ნუ შეგვეშინდება ბავშვის უუნარობის. დაე, გამოიგონოს, თავადვე დატკბეს თავისი გამოგონებებით, თუნდაც არცთუ სწორი იყოს და არასაკმარისის ფარგლებში. უხვი ნაყოფიერება ადვილად შეიძლება ზომიერი გავხადოთ, ხოლო სიმშრალეს ვერაფრით ვუშველით.

ბევრს არაფერს ველოდები იმ ბავშვისგან, რომლის გონება დროზე ადრე იწყებს განვითარებას. ჩემთვის უფრო სასიამოვნოა, მასში დავინახო აზრის სიუხვე, თუნდაც ზედმეტი, რადგან ბევრი რამ წლებს გაჰყვება, ბევრი – მომწიფებისას შემცირდება, ოღონდ იყოს რამე მოსამატებელი და შესამცირებელი. ლითონის თხელი ფირფიტა საპოხის, ან ჩაქუჩის ოდნავ შეხების დროსაც კი ტყდება.

ვისაც ციცერონი წაუკითხავს, შენიშნავს, რომ მე მის შეხედულებას სრულად ვიზიარებ. იგი აღნიშნავს: „მე მსურს, რომ გონების ნაყოფიერება ახალგაზრდა ადამიანში ზოგჯერ ფარგლებს გარეთ გადიოდეს“. ბავშვებისთვის ისევე არ ვარგა მშრალ წეს-კანონებზე აწყობილი მასწავლებელი, როგორც ნორჩი ნერგებისთვის – უწყლო, მაგარი მიწა.

აქედან მომდინარეობს მათი მოუხეშაობა: ისინი ვერ ბედავენ ჩვეულებრივი სიტყვის ფარგლებს გასცდნენ. ეს მათი სიმშრალეა და არა ჯანმრთელობა; არა გემოვნება და სიცხადე, არამედ სისუსტე. და როცა ფიქრობენ, რომ მათში არ არის ნაკლები, სწორედ ამ დროს უშვებენ შეცდომას – არ ცდილობენ, სრულფასოვნებას მიაღწიონ. ამ მიზეზითვე არ მომწონს თუნდაც ძალიან მომწიფებული და განვითარებული გონება, როგორც ღვინის ნაადრევი ჩასხმა ჭურჭელში. დროული ჩასხმის

შემთხვევაში იგი აღარ ფუჭდება და წლებთან ერთად უკეთესი ხდება.

არც იმის აღნიშვნა მეჩვენება ზედმეტად, რომ ბავშვის განვითარებას ვნებს მასწავლებლის უზომო ძიებები. აქედან მოდის უხერხულობა, მოწყენილობა, საბოლოოდ კი, სწავლაზე გულის აცრუება და რაც კიდევ უფრო ცუდია, ყველა მისი წამოწყება მარცხისათვის არის განწირული. ცნობილია, რომ გლეხიც არ ეხება ცელით უხეშად ნაზ ნათესებს. ჰგონია, რომ ნათესებს ეშინია რკინის და ვერ გაუძლებს მის შეხებას.

ასეთივე შემწყნარებლური უნდა იყოს მასწავლებელი. დარიგებებს უნდა ახლდეს მოფერება, დაყვავება, ზოგჯერ შეაქოს, რაღაცაზე ყურადღება არ გაამახვილოს, ან შეცვალოს და ამის მიზეზებიც ახსნას, ზოგჯერ რაიმე თავის მხრივ მოუმატოს. არც ის იქნება ურიგო, ხანდახან მოსწავლის დავალება თავისი აზრებით და თქმებით შეავსოს, სამაგალითოდ, რომ იცოდნენ, რას მიბადონ. თვითონ კი ამით დატკბეს, როგორც საკუთარი შემოქმედებით.

თუ მოსწავლის თბრობა ისეთი უვარგისია, რომ გასწორებას არ ექვემდებარება, მაშინ კიდევ ერთხელ აუხსნას, აჩვენოს, როგორ უნდა გააკეთოს, აიძულოს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს, გაამხნევოს მოსწავლე, შეაგულიანოს, რომ მეორედ უკეთ გამოუვა. ამ მეთოდის სიკეთე საკუთარ თავზე გამოვცადე. წარმატების იმედით იბადება სწავლის სურვილი და ჟინი, მაგრამ ყველასთან ერთნაირ ზომებს ვერ მიმართავ. გააჩნია ბავშვს, მის ასაკს და შესაძლებლობებს. ჩემს მოსწავლეებს ვეუბნებოდი, როცა ზოგჯერ ვინმე უფრო თამამი გამოჩნდებოდა და თბრობასაც უფრო თამამად გაშლიდა, რომ ახლა ამას შევაქებდი, მაგრამ დადგებოდა დრო, როცა მსგავს რამეს აღარ

დავუშვებდი. ასე მათ ახარებდათ თავიანი გონებრივი მიღწევები, თან გემოვნებაც უყალიბდებოდათ.

დავუბრუნდეთ ჩვენს წინა საკითხს. თხზულების შედგენას დიდი ოსტატობა სჭირდება. ზოგჯერ ჯობია, აზრის უკეთ განმარტებისთვის, ბავშვებს აიძულო, გაიმეორონ, რაც მოსმინეს და გადმოსცენ შებრუნებულად, ხან ერთი ადგილი აიღონ ტექსტიდან, ხან – მეორე, მაგრამ ეს ხერხი მხოლოდ ჭრის პატარებთან, რომელთაც სხვა არაფერი შეუძლიათ და ახლახანს დაიწყეს საკითხების სიტყვებთან დაკავშირება. თუ მალე დადგება დრო, ვაჩვენოთ მათ, როგორ შეეკმნათ სწორი, სერიოზული სიტყვა, მაშინ იმ ყველაფრის, რაც თავში მოუვათ, სწრაფი და გაუაზრებელი ლაყბობა, უნდა ჩავთვალოთ სიბრიყვის ნიშნად და დაცინვის საგნად ვაქციოთ.

ზოგჯერ მშობლებს გაუაზრებლად უხარიათ შვილის პატარ-პატარა წარმატებები, ხოლო ბავშვებში თავს იჩენს უსირცხვილობა, ყველანაირი სისულელის ლაპარაკის, უსაგნო რადაცეების კეთების უაზრო ჩვევა, საკუთარ თავზე ზედმეტი წარმოდგენა ექმნებათ. ასეთ დროს დიდი წარმატება კრახისთვის არის განწირული.

ყველაფერს თავისი დრო აქვს. მე ამაზე თავის ადგილზე უფრო ვრცლად ვისაუბრებ. საკმარისია, თუ ყმაწვილი მთელი თავისი შესაძლებლობების გამოყენებით და მონდომებით დაწერს რამე რიგიანს. დაე, ამაში ივარჯიშოს, ამას მიეჩვიოს. ვინც კარგად გააზრებულ ლაპარაკს უფრო ადრე ისწავლის, ვიდრე დაუყონებლივ, დაუფიქრებელ ლაპარაკს, ის გახდება ისეთი, როგორც გვსურს, ან ახლოს იქნება ამ იდეალთან.

თხრობას ემატება არც თუ უსარგებლო დავალება იმის დამტკიცებასა თუ უარყოფაზე, რასაც ემახიან αἰσθεῖν-ს და

κατασκευη-ს. ეს შეიძლება გავაკეთოთ არა მხოლოდ მითიურ სიუჟეტებთან (ამგვარი რამ პოეზიასთანაც არის დაკავშირებული), არამედ ჩვენს საკუთარ დროში შექმნილ ჩანაწერებთან მიმართებაშიც. წარმოვიდგინოთ, რომ გამოსაკვლევია, უნდა დავიჯეროთ თუ არა, რომ ბრძოლისას ყვავი დაჯდა ვალერიუსის თავზე და ცდილობდა, თავისი ნისკარტით და ფრთებით ამოეჩიქუნა ამ გალელი მტრის თვალები, დაეკაწრა სახე. აქ ორივე მხარის სასარგებლოდ შეიძლება ბევრი რაიმეს თქმა.

იგივე შეეხება გველს, რომლისგანაც, როგორც ამბობენ, სკიპიონი დაიბადა; რომულუსის მგელს, ნუმას ეგეროსს. ბერძნების ისტორიაში გვხვდება პოეტებისთვის დამახასიათებელი სილაღე. ხშირად ხდება საჭირო საქმის შემოშველება მოქმედების დროსა და ადგილზე, ზოგჯერ, თავად მოქმედ პირზეც. მაგალითად, ტიტუს ლივიუსს ეჭვი შეაქვს მსგავს მოვლენებში. სხვა ისტორიკოსებიც, არცთუ იშვიათად, ნიჰილისტურად არიან განწყობილი მსგავსი ამბებისადმი და ერთს მეორისგან განასხვავებენ.

ამის მერე იწყებს ყმაწვილი, ნელ-ნელა გამოსცადოს საკუთარი შესაძლებლობები მნიშვნელოვანი თხზულებების შექმნაში; აქებს ცნობილ გმირებს, ამაგებს – ამორალურებს; ამ ორივე საქმიანობას ორმაგი სარგებლობა მოაქვს. ამ დროს საგნების სიუხვით და მრავალფეროვნებით არა მხოლოდ ფართოვდება გონება, არამედ კეთილსა და ბოროტზე ფიქრით იხვეწება ზნე-ჩვეულება და შემეცნების ფორმირებაც ხდება. ამავე დროს, მოსწავლე უხვად იღებს მაგალითებს, რომლებიც ყოველთვის ძალიან დიდ სამსახურს უწევს ცხოვრებაში. აქედან მომდინარეობს კიდევ ახალი სავარჯიშო: ბავშვი შეადარებს იმ პირებს ერთმანეთს, რომლებმაც სახელი გაითქვეს კეთილი, ან

ბოროტი საქმეების კეთებით და მისდა უნებურად, ვრცელ მინდორში აღმოჩნდება. მაშინ აღარ იქნება საკმარისი ისაუბროს მხოლოდ კარგ, ან ცუდ თვისებებზე, არამედ მოუწევს, კარგად გაერკვეს თითოეულის არსში, აწონოს თითოეული მათგანი; ხოლო საკითხზე, როგორ ვაქოთ ან ვლანძლოთ, რომელიც რიტორიკის მესამე ნაწილს შეადგენს და მასთან დაკავშირებულ წესებზე, მოგვიანებით ვისაუბრებთ.

რაც შეეხება ე. წ. ზოგად ადგილებს, რომლებშიც მე ვგულისხმობ იმას, როცა არ სახელდება პირები და საკუთარ ნაკლზე ისევე ვლადადებთ, როგორც, მაგალითად, მეძავეებზე, მოთამაშეებზე, თავაშვებულებზე. ვფიქრობ, ისინი განეკუთვნება გამოსაცდელ სიტყვათა სახეობას. თუ ბრალის დადების ნაწილსაც დავამატებთ, მაშინ ეს იქნება საბრალდებულო ოქმი. თუმცა, თუ დავუშვებთ, მაგალითად, რომ მეძავეა დაკარგა თვალის ჩინი, მოთამაშე – გაკოტრდა, ხოლო თავაშვებული – დაბერდა, ამ ტიპის სიტყვები დაკარგავენ ზოგად მნიშვნელობას და რაღაც კონკრეტულ, სპეციფიკურ ხასიათს შეიძენენ. მათ, ზოგჯერ, დაცვის დროსაც იყენებენ. ჩვენ ხომ ვსაუბრობთ ხოლმე სიმდიდრის, ან გარყვნილების სასარგებლოდ. შესაბამისად, არცთუ იშვიათად, უნებურად ვდგებით მაჭანკლების და მუქთახორების მხარეზე, მაგრამ ისე, რომ ვიცავთ არა პიროვნებას, არამედ ნაკლს.

მჭევრმეტყველებაში წარმატებას დიდად განაპირობებს ასევე დავალებები (theses), რომლებიც დაკავშირებულია შედარებასთან, როგორიცაა, მაგალითად: სოფლის ცხოვრება სჯობია, თუ ქალაქის? კანონმდებლები უფრო პოპულარულნი არიან, თუ სამხედროები? ამ ტიპის დავალებებისგან მოდის უდიდესი დახმარება. ამის მიზეზებს კარგად ხსნის ციცერო-

ნი: ისეთი დავალებებიც, როგორცაა – უნდა დავეკორწინდეთ? უნდა შევაწუხოთ თუ არა ხელისუფლება? – ასევე განეკუთვნება სათათბირო ტიპს, რადგან თუ აქ კონკრეტულ პირებს ჩავსვამთ, მაშინ ისინი იქნება შეგონებითი, რჩევა-დარიგებითი.

ჩემი მასწავლებლები სხვა ტიპის დავალებებსაც გვაძლევდნენ – ე. წ. სავარაუდო მიზეზებს, რომლებიც ჩვენთვის ერთდროულად სასარგებლოც იყო და სასიამოვნოც: ისინი ჩვენ გვამზადებდნენ, გარკვეულწილად, მარჩიელობის (casus coniecturales), ან მიხვედრილობით აღსაქმელი შემთხვევებისთვის, გვიბრძანებდნენ გაგვერკვია, რატომ წარმოადგენდნენ ლაკედემონელები ვენერას შეიარაღებულად? რატომ გამოსახავდნენ კუპიდონს პატარა ბიჭად ფრთებით, ისრებით და ჩირაღდნით? და ამის მსგავსი, სადაც ჩვენ მთელი მონდომებით ვცდილობდით გაგვერკვია, რა იყო მათი განზრახვა, ან ობიექტი, რომლებიც ხშირად ხდება დავის საგანი.

რაც შეეხება სხვა ტიპის საკითხებს, როგორცაა, მაგალითად, მოწმეების შესახებ, ყოველთვის უნდა ვენდოთ თუ არა მათ? და მოწმობებზე – მივიღოთ თუ არა ისინი, მიუხედავად მათი ნაკლები მნიშვნელობისა? ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ისინი განეკუთვნებიან სასამართლოს ტიპისას. ზოგიერთი საკმაოდ ცნობილი ორატორი მათ სახლში წინასწარ ამზადებდა, ზეპირად სწავლობდა, რათა, როცა კი დასჭირდებოდა, გამოეყენებინა სიტყვის გასალამაზებლად. მაგრამ მეჩვენება (არ შემიძლია ჩემი მოსაზრება არ გამოვხატო ამასთან დაკავშირებით), რომ ისინი საკუთარ თავზე არ იყვნენ დამოკიდებული. სად იპოვის ორატორი ისეთ სიტყვას, რომელიც ყოველთვის, ყველა შემთხვევაში გამოდგება და სხვადასხვანაირად იქლე-

რებს? როგორ უპასუხებს მოწინააღმდეგე მხარის წინადადებებს? როგორ ასახავს უარყოფას, დაკითხავს მოწმეს, თუ მას არ შეუძლია ყველაზე ზოგად, ყველა სასამართლო საქმეში რომ გვხვდება, ისეთ გარემოებებს მომზადების გარეშე შეხვდეს?

ასეთი ორატორი სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავეს იმეორებს და ან ისეთ ზოილს იწვევს, რომელიც ჩნდება ძველი, გაცხელებული, უკვე მობეზრებული საკვების მიმართ, ან საკუთარ თავს არცხვენს ისეთი სამკაულების გამოძეურებით, რომლებიც ღარიბ ადამიანს ყველა ტიპის შემთხვევისათვის აქვს. ამას გარდა, არა ყველა და არა ყოველთვის შეიძლება ზოგადი ადგილები იყოს შესაფერისი ჩვენი საქმისთვის, თუ იგი როგორმე არ იქნება დაკავშირებული მთავარ საგანთან. სხვაგვარად, იგი მოგვეჩვენება უხეშად და არასწორად მიტმანნილ ორნამენტად. იგი განსხვავებული იქნება მთელი არსისაგან, და იქნება არა საჭირო, არამედ მხოლოდ ეფექტზე გათვლილი. ასევე, ერთი კარგი აზრის ჩასამატებლად ზოგი იყენებს უხვ სიტყვიან ზოგად ადგილებს გრძნობის გამოსაწვევად, ავიწყლებათ რა, რომ აზრი არ იბადება იმ ზოგადი ადგილებიდან. ამგვარად, ლამაზი და სასარგებლო არის მხოლოდ ის, რაც თავად საქმისაგან გამომდინარეობს. რაც არ უნდა კარგი სიტყვა იყოს, თუ ზუსტ მიზანს არ ემსახურება, ზედმეტია და ზოგჯერ საქმესაც ვნებს. თუმცა, ამასობაში საკმაოდ გადავუხვიეთ ჩვენს მთავარ საგანს.

კანონების ქება უფრო აწონილ-დაწონილ, კარგად მოფიქრებულ ძალას ითხოვს, ყველაზე მაღალ ძალისხმევას, რაც კი შესაძლებელია. ამ სავარჯიშოს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს სათათბირო, ან საპაექრო მჭევრმეტყველებისთვის. შესაბა-

მისად, ეს არის ის ათვლის წერტილი, რომელიც ვარირებს კონკრეტული ერის ჩვეულებების და უფლებების შესაბამისად. ბერძნებთან წინადადების შემთავაზებელი კანონები მოსამართლეებს შუამდგომლობით მიმართვას; რომაელებთან ამას ემახდნენ რეკომენდაციის გაწევას, ან ადამიანის ღირსების შელახვას სახალხო კრების წინაშე. ნებისმიერ შემთხვევაში, რამდენიმე არგუმენტი უკვე მიღებულია. არსებობს სამი კანონი, რომლებიც ეხება საღმრთო, საჯარო თუ კერძო უფლებებს. ეს დაყოფა მიიჩნევა უმთავრესად კანონის ქებისას. მოსაუბრე მას განადიდებს იმიტომ, რომ ის არის კანონი, არის სახალხო და იმიტომ, რომ ის შეიქმნა ღმერთების სათაყვანებლად.

თვალსაზრისი, რომელთან დაკავშირებითაც, ჩვეულებრივ, კითხვები ჩნდება, ყველა კანონისათვის საერთოა. შეიძლება იყოს გარკვეული ეჭვი იმის მიმართ, ვისაც იგი შემოაქვს და ვინც წინადადებას აყენებს (მაგალითად, ეს ეხება პუბლიუს კლოდიუსს, რომელსაც ადანაშაულებდნენ ტრიბუნის არასწორად შექმნაში), ან თავად წინადადების კანონიერებაზე (საფუძვლიანობაზე); ეჭვი შეიძლება ეხებოდეს სრულიად სხვადასხვა საქმეებს, როგორცაა, მაგალითად, რომ კანონი გამოცხადდა სამ სავაჭრო დღეში, ან კანონი გამოცხადდა შეუფერებელ დღეს, ან კიდევ, პროტესტის თუ მფარველობის მიუხედავად, ან რაიმე სხვა ფორმით, რომელიმე ლეგიტიმურ წინაპირობასთან შეუსაბამობაში, ან თუ იგი მნიშვნელოვნად წინააღმდეგობაში მოდის არსებულ კანონთან, მაგრამ ამგვარი განხილვები არ შედის ადრეულ სავარჯიშოებში, რომლებიც არის ყოველგვარი ალუზიების, ნართაული ქარაგმების და პიროვნებების, დროის ან მოვლენების დაკონკრეტების გარეშე. ყვე-

ლა სხვა შეხედულება, რომელიც ეხება რეალურ, თუ ფიქტიურ კამათს, იგივეა, რადგან კანონის ნაკლი მდგომარეობს ან სიტყვებში, ან საქმეში.

რაც შეეხება სიტყვებს, ისმის კითხვა – არის თუ არა ისინი საკმარისად გამომსახველობითი? ან ხომ არ არის მათში ორაზროვნება და ორჭოფობა? არის თუ არა კანონი თავსებადი საკუთარ თავთან და თანმიმდევრული? ის წარსულს უნდა მიემართებოდეს, თუ ინდივიდებს? მაგრამ ყველაზე მთავარი შეკითხვა მაინც შემდეგია: არის თუ არა იგი სათანადო და მართებული? ვიცი, რომ ამ მრავალფეროვან დაყოფას უმრავლესობა ემხრობა, თუმცა მე სიტყვებში „სათანადო, მართებული“ ვგულისხმობ სამართალთან, ღვთისმომიშობასთან, რელიგიასთან და სხვა მსგავს ღირსებებთან შესაბამისობას. სამართლის დადგენა, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს ერთზე მეტი მოსაზრების დამოწმებით (მოხმობით). საქმე შეიძლება აღიძრას ან კანონის საგანზე (არსზე), როგორც, მაგალითად, ასეთი: პირი იმსახურებს დასჯას, თუ შეწყალებას; ან სასჯელის/შეწყალების ზომაზე, რომელიც შეიძლება იყოს ძალიან გადამეტებული, ან ძალიან მცირე. კანონის მიზანშეწონილობა ხან მისი ბუნებით განისაზღვრება, ხან – დროის გარემოებებით. ზოგიერთ კანონთან დაკავშირებით, ისმის შეკითხვა: შეიძლება თუ არა ისინი გატარებული იქნას ცხოვრებაში? მოსწავლეებს უნდა ახსოვდეთ, რომ ზოგჯერ კანონები მთლიანად დაგმობილია, ზოგჯერ – ნაწილობრივ, როგორც ამას ბრწყინვალე ორატორები გვაუწყებენ.

არსებობს ისეთი კანონებიც, რომლებიც არა მუდმივი არსებობისთვის, არამედ დროებითი ფუნქციონირებისთვის იქმნება. ეს დამოკიდებულია იმ კონკრეტული საქმის სპეციფი-

კაზე, რომელზეც დისკუსია მიმდინარეობს და არა ზოგად განხილვებზე. ამ მეთოდებით ცდილობდნენ ძველები მჭევრმეტყველების სწავლას, თან მტკიცებულებებს დიალექტიკოსებიდან სესხულობდნენ. გამოგონილ საგნებზე სიტყვის წარმოთქმა, იმ სიტყვების მიბადვა, რომლებსაც ამბობდნენ სასამართლოებზე და სახალხო შეკრებებზე, ბერძნებთან დაახლოებით დიმიტრიოს ფალერიოსის დროიდან დამკვიდრდა, მაგრამ ნამდვილად მან გამოიგონა თუ არა ამ ტიპის სავარჯიშოები, ვერ დავადგინე. ისინიც, ვინც ამას გაიძახიან, არ ფლობენ რაიმენაირ ჭეშმარიტ მტკიცებულებას ამასთან დაკავშირებით. ციცერონს მიაჩნია, რომ რომში მჭევრმეტყველები გამოჩნდნენ ლუკიუს კრასიუსის დროიდან. მათ შორის ყველაზე წარმატებული პლოტინი იყო.

ამ ტიპის სიტყვის შექმნაზე მალე ვისაუბრებ. რიტორიკის უპირველეს წესებზე საუბრისას, ვფიქრობ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, როგორ შეუძლია რიტორს დააჩქაროს მოსწავლეების წარმატება, თუ, ისევე როგორც გრამატიკოსები მათთვის ცდილობენ პოეზიის განმარტებას, შეეცდება აუხსნას თავის მოსწავლეებს, როგორ იკითხონ ისტორია და განსაკუთრებით, რიტორიკა: მე ეს უკვე ვცადე იმათთან, ვისი ასაკიც ამის საშუალებას მამლევედა და მშობლები ძალიან კმაყოფილნი დარჩნენ. მაშინაც ვგრძნობდი, ამისგან დიდი სარგებლობა რომ იქნებოდა, მაგრამ ორ წინააღმდეგობას წავაწყდი: ერთი, ხანგრძლივად სწავლის ჩვევა კანონმა დააკისრა, მეორეც – წარმატებული ახალგაზრდები, რომელთაც ასეთი შრომა არ სჭირდებოდათ, არ მბაძავდნენ. მე კი არ შემრცხვებოდა საზოგადოებისთვის შემეტყობინებინა, თუ ამის მერე რაიმე ახალს მოვიფიქრებდი. ვიცი, რომ რიტორები ახლაც ასე მოქმედებენ, ყო-

ველ შემთხვევაში, თავიანთი დამხმარეების საშუალებით. სხვაგვარად, ცალკეულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად სამუშაოდ მასწავლებელს დრო არ ეყოფოდა.

ბავშვთან ერთად გამუდმებით ჯდომა და კითხვა მხოლოდ იმ მიზნით, რომ სწორად გაიგოს და თვალი მიადევნოს ნაწერს, და თუნდაც იმისთვის, რომ ახსნას ნებისმიერი იშვიათად გამოყენებული სიტყვის ძალა, რიტორის მოვალეობებში არ შედის, მაგრამ სიტყვის სილამაზის, ძალის, ან მათი გამოყენებისას ხარვეზების ჩვენება, პირდაპირ იმაზე მიუთითებს, ვინ არის მჭევრმეტყველებაში მასწავლებელი. მე არ ვგულისხმობ, რომ იგი ვალდებულია ყველა წიგნი, რასაც კი მოისურვებს, იკითხოს მოსწავლესთან ერთად. ვფიქრობ, უფრო მოსახერხებელი და სასარგებლო იქნება, ყველა გააჩუმოს მასწავლებელმა და ერთს სთხოვოს, ხმამაღლა, ყველას გასაგონად იკითხოს და თან, სწორ წარმოთქმასაც მიეჩვიოს. ამ დროს მასწავლებელი ახსნის წასაკითხი მასალის არსს და არაფერს დატოვებს უყურადღებოდ; შენიშვნებს მისცემს გამომგონებლობაზე და პრეზენტაციაზე; აჩვენებს, როგორ მცირდება შეტევის დროს სასამართლოს კეთილგანწყობა, როგორ ვლინდება თხრობის დროს სიცხადე, არსი და მიზანი; როგორი რიგი და თანმიმდევრობა არის დაყოფაში; როგორი ზუსტი და მოცულობითია მტკიცებულებები; რა ძალით ზემოქმედებს ორატორი, როგორი ოსტატობით რჩება ხარვეზები შეუმჩნეველი, ან რამდენად სწორ აქცენტებს აკეთებს; რა არის მისი საყვედურის, ან ხუმრობის მიზანი; და ბოლოს, როგორ აღვივებს ორატორი ვნებათაღელვას, ატყვევებს გულებს და განაწყობს მოსამართლეებს თავის სასარგებლოდ.

მასწავლებელი ბავშვს თხრობისას მიანიშნებს, რომელი სიტყვა ჟღერს ლამაზად და კეთილშობილურად, როდის არის განვრცობა საჭირო, რაში მდგომარეობს მოწინააღმდეგის ღირსება; რომელი მეტაფორები და ფიგურები გამოიყენება მეტყველებაში; რა არის ერთდროულად, მდორედ მომდინარე, და ამავე დროს, მამაცური და ძლიერი თხრობა. საკმაოდ სასარგებლოა, ზოგჯერ, ბავშვებთან ერთად ვიკითხოთ ხარვეზიანი, მაგრამ ისეთი ტექსტი, რომელიც ბევრს მოსწონს საკუთარი ცუდი გემოვნების გამო. ვაჩვენოთ მათში არასწორი, ბნელი, გაბერილი, სუსტი, დაბალი, საშუალო, უხამსი აზრები თუ გამოთქმები, რომელთაც ყველა იღებს სწორედ იმიტომ, რომ სულელური აზრებია, რადგანაც მათი აზრით, სწორ, ბუნებრივ, გულწრფელ სიტყვაში არ არის დიდი გონიერება. ხოლო იმას, რაც ჯანსაღი განსჯისგან შორს დგას, იღებენ, როგორც დახვეწილ მშვენიერებას. ისე, როგორც მახინჯი და უაზრო სხეულით ზოგჯერ უფრო იხიბლებიან, ვიდრე იმათგან, ბუნებამ რომ უნაკლოდ შეამკო, იმათ მსგავსად, რომლებიც, დაკავებული არიან რა საკუთარი გარეგნობით, ლოყებზე ყველა თმას იპუტავენ, თავს ათასნაირი ვარცხნილობებით იმოსავენ, სახეს ხელოვნურ სითეთრეს აძლევენ, მასში მეტ სიკეთეს ხედავენ, ვიდრე იმაში, რაც მათ ბუნებამ უბოძა. თითქოს სხეულის სილამაზე მორალის გადაგვარებით იმატებს.

მასწავლებელმა ყოველთვის თავად არ უნდა გააკეთოს ამაღავარი შენიშვნები. ზოგჯერ, აზრის გამოთქმა მოსწავლეებსაც უნდა სთხოვოს. ამით იგი მოსწავლეების ყურადღებასაც მიიპყრობს და არც მისი ნათქვამი დარჩება ხმად მლალადებლისა. ისინი ერთად ისწავლიან შექმნან და სწორად გამოხატონ სათქმელი. აბა, იმისთვის ხომ არ ვწვალობთ, რომ ეს მა-

თი სწავლა საუკუნოდ გაგრძელდეს? თამამად შემოიძლია განვაცხადო, რომ ამგვარი მეცადინეობა მათ არანაკლებ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე ყველა წესის დაზუთხვა, რომელთა ცოდნაც ასევე ძალიან საჭიროა, მაგრამ ვის შეუძლია თითქმის ყოველდღიურად ცვალებადი ცოდნის სრულად ფლობა?

მართალია, საომარ ხელოვნებაზე უამრავი წესი არსებობს, მაგრამ უფრო დაგვეხმარება იმის ცოდნა, თუ ვინ, როდის, სად, რომელი მხედართმთავარი როგორ მოიქცა, რადგან გამოცდილება ყველა წესზე მალა დგას.

მასწავლებელი მოსწავლეებთან წარმოსთქვამს ხოლმე საკუთარ სიტყვასაც. როგორ გგონიათ, ციცერონის და დემოსთენესის კითხვა ნაკლებ სარგებლობას მოგვიტანდა? მასწავლებელმა მოსწავლის თხზულებაში ყველას თანდასწრებით უნდა გააკეთოს შენიშვნები. ნუთუ, რომელიმე ორატორის სიტყვის გარჩევა საჯაროდ მათთვის უსარგებლო იქნება? არა. ამასთან, უფრო სასიამოვნოც, რადგან ყველას ურჩევნია სხვის შეცდომებზე ილაპარაკოს, ვიდრე საკუთარზე. მე კიდევ შემოიძლია ბევრი რამ ვთქვა ამ საკითხზე, მაგრამ მისი სარგებლობა, მგონი, ცხადია. ვისურვებდი მხოლოდ, რომ იგი ისეთივე მონდომებით შესრულდეს, როგორც ცხადიც მისი სარგებლობაა.

არ არის ძნელი განვსაზღვროთ, დამწყებმა თავდაპირველად რომელი ავტორები უნდა წაიკითხოს. ზოგს ჰგონია, რომ ჯერ შედარებით დაბალი რანგის მწერლებით, როგორც აღსაქმელად ადვილით, უნდა დაიწყოს კითხვა; ზოგი თვლის, რომ უფრო მჭევრმეტყველნი უნდა ავირჩიოთ, რადგანაც ისინი ყველაზე მეტად მოსწონთ ახალგაზრდებს.

ჩემი აზრით, თავიდანვე და საერთოდ, ყოველთვის უნდა შევარჩიოთ საუკეთესოები, რომლებიც უფრო ნათლად და სუფთად წერდნენ. სწორედ ამიტომ, ლივიუსი მირჩევნია სალუსტიუსს, რადგან ლივიუსმა, მართალია, შექმნა საუკეთესო ისტორია, მაგრამ მის აღსაქმელად დიდი ცოდნაა საჭირო. ასევე, სასიამოვნოდ და საკმაოდ მარტივად მიმაჩნია ციცერონი. მას არა მარტო სარგებლობა მოაქვს, არამედ ახალგაზრდებს თავსაც აყვარებს. ხოლო თუ ციცერონს შეიყვარებ, შეიძლება მას მიბამო კიდევ.

აქ მასწავლებელმა თავიდან უნდა აიცილოს ორი უკიდურესობა: პირველი – სიძველის სიყვარულით, ზედმეტად არ აიძულოს ბავშვები, იკითხონ გრაკუსები, და სხვა მათი მსგავსი მწერლები; ამით ისინი ზედმეტად მიეჩვევიან მშრალ და ბარბაროსულ თხრობას და გაგებითაც სრულად ვერ გაიგებენ; მათ აგრეთვე გაიტაცებს გამოთქმები, რომლებიც ძველ დროს ძალიან პოპულარული იყო, მაგრამ ახლა უცნაურად ჟღერს; მათ შეიძლება წარმოიდგინონ, რომ თავადაც დიდებული მამაკაცები არიან; მეორეც – ასეთივე სიფრთხილით უნდა დავიცვათ ისინი არაფრის მთქმელი თანამედროვე ავტორებისგან, რომ არ შეიყვარონ ის ზედმეტად გადაპრანჭული მწერლები, რომლებიც ყმაწვილობის ასაკში ისევე სასიამოვნოა, როგორც მაღალ ეფექტურია მათი მოუწიფებლობა. ხოლო მაშინ, როცა მათ გონიერება მოემატებათ და ამ მხრივ საშიშროება აღარ იქნება, გირჩევთ, ერთნაირი წარმატებით აკითხოთ ძველიც და ახალი ავტორებიც. პირველების მამაცი და მტკიცე სიტყვა, თუ მათ ჩამოვაშორებთ უხეში ეპოქის მტვერს, მისცემს ჩვენს აზროვნებას უფრო მეტ ელეგანტურობას; ასევე, ბევრ სიკეთეს ვიპოვით მეორე შემთხვევაშიც. ბუნებამ ჩვენც

არანაკლები შესაძლებლობებით დაგვაჯილდოვა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი გემოვნება შევცვალეთ და ძალიან მოვექცეთ ტყვეობაში. ძველები ბრწყინვალეა არა იმდენად გონების სიდიადით, რამდენადაც აზრის სიღრმით და საფუძვლიანობით. ამგვარად, ავტორები უნდა ვიკითხოთ შერჩევით და დავაკვირდეთ, რომ რომელიმე ცუდი ზეგავლენა არ მოახდინოს ახალგაზრდაზე.

ვთვლი, უფრო მეტიც, თამამად ვამტკიცებ, რომ ჩვენს დროშიც არსებობენ მისაბამი მწერლები, მაგრამ ყველას არა აქვს უფლება, განსაზღვროს, რომელია ასეთი. ნაკლებ სახიფათოა შეცდომის დაშვება მაშინ, როცა ძველებზე ვსაუბრობთ. ამიტომაც, უახლესი მწერლების კითხვას დროებით გადავდებ, რათა მათი შეფასება-გადაფასება დროზე ადრე არ მოხდეს.

მასწავლებლები ყოველთვის სხვადასხვაგვარად იქცევიან: ზოგს არ მოსწონს ნაწილებად დაყოფა, მაგრამ კიდევ თითოეულ ნაწილს აქუცმაცებენ, ავსებენ მტკიცებულებებით და ფიგურებით; სხვები, აძლევდნენ რა მათ ყველაზე უფრო მოკლე, „შიშველ“ თემებს, აიძულებდნენ შეექმნათ დეკლამაციები, და ყველას, ვინც რამეს გამოტოვებს, თავისას უმატებდნენ და ზოგ ადგილს ისე ამუშავებდნენ, თითქოს თავად უნდა წარმდგარიყვნენ საზოგადოების წინაშე.

ერთიც და მეორეც სასარგებლოა. ერთს მეორესგან არ გამოვყოფ. თუ მანცდამანც ამ მეთოდებისგან რომელიმე ერთის გამოყენებაა აუცილებელი, დასაწყისში უკეთესად მიმაჩნია, ბავშვებს ვაჩვენოთ პირდაპირი გზა, ვიდრე ამ გზაზე მაშინ გამოვიყვანოთ, როცა მას ასცდებიან, რადგან მათ ეხებათ მხოლოდ სმენის შესწორება, ხოლო წინადადების სწორი და-

ყოფა ეხება აზრსაც და სტილსაც. ბავშვები მასწავლებლისგან უფრო ინტერესით ისმენენ დარიგებებს, ვიდრე – შეცდომებზე შენიშვნებს. განსაკუთრებით მგრძნობიარენი, მით უმეტეს, ახლანდელი აღზრდის პირობებში, ამგვარი შესწორებებით თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ და შინაგანად უარყოფენ მათ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეცდომებს საერთოდ უყურადღებოდ დავტოვებთ. ეს თუნდაც სხვა მოსწავლეებისთვისაც უნდა გავაკეთოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ჩათვლიან, რომ რასაც მასწავლებელი არ გაასწორებს, კარგია და მისაღები.

ორივე მეთოდი უნდა გამოვიყენოთ გარემოებების მიხედვით. დამწყებთ მიცვტე წინადადება მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. როცა სწორად წერას ისწავლიან, დავტოვოთ მარტო მითითებულ გზაზე, რათა დახმარების გარეშე, საკუთარი ძალებით შესძლონ გზის გაგრძელება. ზოგჯერ საჭიროა, რომ ისინი მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იყვნენ. თუ ყველაფრის კეთებას სხვების დახმარებით მიეჩვევიან, მასწავლებლის შრომა თითქმის დაგვირგვინებულია, ხოლო თუ კიდევ რამეს დააშავებენ, მასწავლებელი ვალდებულია გაუსწოროს. ამდაგვარ რამეს შეიძლება დავაკვირდეთ ჩიტებზე, რომლებიც თავიანთ ბარტყებს პირში საკვებს უნაწილებენ. როცა უკვე თავს მოერევიან, დედა ჩიტი მათ ნელ-ნელა ასწავლის ბუდიდან გამოფრენას, მის ახლოს ფრენას, ხოლო თუ მათ შესაძლებლობებში დარწმუნდება, დატოვებს, რათა ყველგან თავისუფლად იფრინონ.

ჩემი აზრით, უნდა დავივიწყოთ ბავშვებისთვის საკუთარი თხზულებების დაზუთხვის და მათი ცნობილ დღეებში წაკითხვის მანია, მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს ეს წესი ძალიან მოსწონთ. ისინი ფიქრობენ, რომ ამით მათი ბავშვები

უკეთეს წარმატებას მიაღწევენ. წარმატება მართლაც არის დამოკიდებული შრომისმოყვარეობაზე. თანახმა ვარ, ბავშვებმა დიდხანს იმუშაონ თხზულებაზე. თუმცა, ჩემი აზრით, ვფიქრობ, ჯობია კარგი მწერლების, ორატორების, ისტორიკოსების საუკეთესო ადგილები ვაკითხოთ.

მახსოვრობა ვითარდება, როცა სხვის შემოქმედებას ვსწავლობთ. მერე კი, საკუთარის დამახსოვრებაც გაადვილდება. გარდა ამისა, კარგი მაგალითები გონებაში ყოველი შემთხვევისთვის რჩება და ბავშვები ძალაუნებურად ისწავლიან საგულდაგულოდ ნასწავლი საუკეთესო სიტყვის მიბაძვას. საუკეთესო სიტყვები, გამოთქმები და ფიგურები თავისთავად შეგვხვდება: შორს წასვლა მათ სამებრად არ მოგვიწევს. მახსოვრობა სარეზერვო საგანძურს ჰგავს – საჭირო დროს შემოგაშველებს საჭირო ციტატას. ამავე დროს, საკმაო სიამოვნებით მოვიშველიებთ ხოლმე სხვის აზრებს სიტყვაში, მით უმეტეს, მართლმსაჯულების წინაშე გამოსვლის დროს. ზოგჯერ მათი ციტირება უფრო ეფექტურია, ვიდრე მტკიცებულებები და უფრო მეტ ღირსებას გვმატებენ, ვიდრე საკუთარი აზრები.

ხანდახან შეიძლება ბავშვებს ნება დავართოთ, საკუთარი თხზულება წაიკითხონ. არ მოვაკლოთ ქება, რომელსაც ელოდებიან გაწეული შრომისთვის, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ უნდა გავაკეთოთ, როცა რაღაც განსაკუთრებულს შექმნიან, რათა იცოდნენ, რომ ეს უფლება მათ მიეცათ, როგორც ჯილდო საკუთარი ძალისხმევისთვის. იცოდნენ, რომ მათ ეს დაიმსახურეს.

მასწავლებელს ღირსებად ეთვლება, თუ იგი ცდილობს თავის მოსწავლეებში განვითარების დონეების და გონებრივი შესაძლებლობების დეფინიცია მოახდინოს და გაიგოს, ბუნებამ

ვის მეტი ნიჭიერება მიჰმადლა და პირიქით, ვინ ნაკლებ შესაძლებლობას ფლობს. უდავოდ, განსხვავება გონებრივ განვითარებაში, ისე როგორც ფიზიკურ მომზადებაში, არსებობს. ამისათვის თვალყურის მიდევნება შესაძლებელია ორატორებზე დაკვირვების დროსაც. მათი თხრობის მანერა ისე განსხვავებულია, რომ არცერთი ერთმანეთს არ ჰგავს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მათგანი სწორედ დიდ ორატორებს ჰბაძავდა.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ უმჯობესია, ყველა მოსწავლის ინდივიდუალურ მონაცემებს დავყვრდნოთ და განვავითაროთ მათი გონება იქითკენ, საითაც თავად მიილტვიან. როგორც სხეულის წვრთნის დროს, ოსტატი ითვალისწინებს ცალკეული მოსწავლის მონაცემებს და თითოეულისთვის განსაზღვრავს გმირობის თავისებურებებს, მქვერმეტყველების მასწავლებელიც ასევე უნდა მოიქცეს. იგი დაჟინებით აკვირდება, აღსაზრდელთაგან ვინ უფრო უკეთ წერს მოკლედ და შეუფერხებლად, მკვეთრად, მნიშვნელოვანად, სასიამოვნოდ, მკაცრად, თავაზიანად, ან სუფთად და ასე არეგულირებს ყველას შესაძლებლობებს, რათა შესაბამისი უნარის მიხედვით განავითაროს აღსაზრდელი.

ბუნება უფრო ძლიერია ჩვენი დახმარების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგს ვერ მივიღებთ და იმის განვითარებასაც საფრთხის ქვეშ დავაყენებთ, რისი ნიჭითაც ბუნებამ ბავშვი დააჯილდოვა. ამ მეთოდის საფუძვლიანობაში თითქმის ყველა დარწმუნებულია, მაგრამ მე ვიტყვი ღიად, რომ ამგვარი წესი მხოლოდ ნაწილობრივ სწორად მიმაჩნია. გონების შესაძლებლობები უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ, ამავე დროს, ვერავინ უარყოფს გონების ვარჯიშს. ზოგს ისტორია უფრო ეხერხება, ზოგს – ლექსების წერა, ზოგს – სამართალ-

მცოდნეობა, ისეთებიც მოიძებნებიან, რომელთაც, ჯობია, საერთოდ არ ვასწავლოთ არაფერი. დაე, რიტორმა ეს ყველაფერი გაითვალისწინოს, სხეულის წრთვნის ოსტატის მსგავსად, რომელიც ზოგს სირბილში განაწესებს, სხვას – ბრძოლაში, ან მკლავჭიდში, ან წმინდა თამაშების კიდევ რომელიმე სხვა სახეობაში, მაგრამ ვისაც ორატორობა სურს, რომელიმე ერთი ნაწილის დაუფლება არ არის საკმარისი. ყველაფერი უნდა იცოდეს, რაც კი ამ პროფესიაში დასაოსტატებლად აუცილებელია. ეს ყველაფერი არც ისე ცოტაა, მაგრამ შრომად ნამდვილად ღირს. მხოლოდ ბუნებრივი მონაცემები რომ საკმარისი იყოს, სწავლა ფასს დაკარგავდა.

თუ აღსაზრდელში ნიჭის ნაკლებობას შევნიშნავთ, ასევე დავტოვებთ? ნუთუ მშვიერს და მწყურვალს არ დავაპურებთ და შიშველს არ ჩავაცმევთ? თუ ხანდახან უნდა მოვაკლოთ, რატომღა არ უნდა მივამატოთ? მე ბუნების წინააღმდეგ არ მივდივარ. არ ვამტკიცებ, რომ მის მიერ ბოძებული კარგი თვისებები უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ. პირიქით, ისიც კი, რაც აკლია, უნდა განვაკრძოთ და გავაღრმავოთ. ცნობილი ისოკრატესი, რომლის ღირსებებზეც იმდენი დაწერილა, რამდენსაც მისი საუკეთესო მოსწავლეები – ევფორიონი და თეომომპესი ნათელყოფენ, ამბობდა, რომ ზოგს ღვედი სჭირდება და ზოგს აღვირი. ხომ არ გულისხმობდა იგი, რომ კეთილგონიერი მასწავლებელი სინელეს გააღვივებს, ხოლო სისწრაფეს – შეაკავებს, მერე კი ორივე ამ თვისებას გააერთიანებს. ამასთან, ძალიან შეზღუდულებს უნდა მივცეთ თავისუფლება, იქითკენ განვითარდნენ, რისკენაც ბუნება უბიძგებს: იმაში ექნებათ უფრო მეტი წარმატება, რაც მათ შესაძლებლობებს არ აღემატება.

ფიზიკური მომზადების მასწავლებელი, სრულყოფილი მებრძოლი რომ აღზარდოს, არა მხოლოდ იმას აჩვენებს, როგორ იქნის ხელ-ფეხი, ან მოიგერიოს მოწინააღმდეგის ხელის ჩავლება, არამედ სპორტის ამ სახეობისთვის მნიშვნელოვანი სხვა ხერხების გამოყენებასაც აიძულებს. ამასობაში გამოჩნდება, რისკენ უფრო მიდრეკილია მოსწავლე და დაე, სწორედ იმ მიმართულებით განვითარდეს.

თავიდან უნდა ავიცილოთ ორი უხერხულობა: პირველი – შეუძლებლის გაკეთება არ უნდა ვაიძულოთ; მეორე – არ მოვწყვიტოთ იმას, რაშიც შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და არ ვაიძულოთ აკეთოს ის, რაც არ შეუძლია. თუ აღსაზრდელი ნიკოსტრატუსს, რომელსაც ჩვენ ახალგაზრდობაში უკვე მოხუცად ვთვლიდით, ჰგავს და არაფრით ჩამოუვარდება, მაშინ დახელოვნებული მასწავლებელი ყველაფერს გააკეთებს, რომ მისგან მეორე ნიკოსტრატუსი შექმნას – ბრძოლაში და მკლავჭიდში დაუმარცხებელი და რომელმაც ორივე სახეობაში გამარჯვების გამო, ერთსა და იმავე დღეს დაიდგა დაფნის გვირგვინები.

მომავალი ორატორის აღმზრდელს კიდევ უფრო მეტი წინდახედულება და სიფრთხილე სჭირდება. არ არის საკმარისი, მისმა აღსაზრდელმა მხოლოდ მოკლედ, ან მრავალმნიშვნელოვნად, ან ძლიერად გამოსვლა ისწავლოს. ისე, როგორც არ არის საკმარისი, მუსიკოსი ძლიერი იყოს მხოლოდ ნაზი, ან მხოლოდ საშუალო, ან ძლიერი ბგერების ადებისას; ორატორის სიტყვა უნდა ჰგავდეს ლირას, რომელზე დაკვრაც მხოლოდ მაშინ იქნება სრულფასოვანი, როცა ყველა ბგერა – დაბალიდან უმაღლესამდე, ყველა სიმი, ურთიერთ თანხვედრაში აჟღერდება.

მასწავლებლის მოვალეობაზე მოგახსენეთ. ყმაწვილებს კი მხოლოდ იმას ვეტყვი, რომ სწავლაზე ნაკლებ არ უყვარდეთ თავიანთი მასწავლებლები; ჩათვალონ ისინი თავიანთ მშობლებად, არა სხეულის და სისხლის, არამედ გონების მიხედვით. ამგვარ მამაშვილურ ურთიერთმიმართებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული. მაშინ ბავშვები მასწავლებელს უფრო ყურადღებით უსმენენ, მის სიტყვებს უფრო ენდობიან, ცდილობენ, ყველაფრით მას დაემსგავსონ, უფრო მონდომებით იწყებენ მეცადინეობას. მათი შენიშვნები არ სწყინთ, როცა აქებენ, უხარიათ; მათი სიყვარულის მოპოვება შრომისმოყვარეობით შეიძლება. როგორც მასწავლებლის მოვალეობაა ასწავლოს, ისე მოსწავლის მოვალეობაა, იყოს დამჯერე. სხვაგვარად შეუძლებელია. როგორც ადამიანი სიცოცხლეს თანაბრად იღებს დედისა და მამისაგან, როგორც მარცვალი ისე არ ღვივდება, თუ კარგად დამუშავებულ მიწაში არ ჩავდება, ასევე, მჭევრმეტყველებაში წარმატება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთ პატივისცემისა და სიყვარულის გარეშე არ მოდის.

ეს პირველი სავარჯიშოები, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მათ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მეცადინეობისკენ მივყავართ. მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ამას კარგად დაეუფლება, უნდა შეუდგეს საკონსულტაციო და სასამართლო საქმიანობას. სანამ იმაზე ვიტყოდე, ასეთ დროს რითი ვიხელმძღვანელოთ, საჭიროდ ვთვლი, ვისაუბრო დეკლამაციის შექმნის ხერხებზე, რომლებიც ყველა დანარჩენზე უფრო სასარგებლოა. რაზეც უკვე მოგახსენეთ, თითქმის ყველაფერს მოიცავს დეკლამაცია და სასამართლო გამოსვლებთანაც ახლოს დგას. ამიტომ თვლიან დღემდე დეკლამაციას ორატორის სრულქმნილებისთვის აუცილებელ სახეობად. მარ-

თლაც, იგი მოიცავს სასამართლო მჭევრმეტყველების ყველა ნიუანსს. სამწუხაროდ, ეს მეთოდი, ზოგჯერ, მონაწილეთა მიერ ისე არის დამახინჯებული, რომ მთავარ მიზეზებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ მჭევრმეტყველების დამახინჯებას, დეკლამატორების თავისუფლება და არა თავაზიანობა, სამართლიანად არის დიდ პატივში, მაგრამ რაც თავისი არსით კარგია, იმისგან ყოველთვის შეიძლება რაიმე კარგი გამოვადნოთ. თავად აზრები ნაკლებად უნდა დაშორდეს ჭეშმარიტებას და მაშინ, დეკლამაციაშიც შეიძლება მივბადმოთ თხზულების იმ სახეობას, რომლისთვის მოსამზადებლადაც არის ის განსაზღვრული.

არც მაგთა ოსტატობა, არც საყოველთაო ინფექციები, არც ორაკულის პასუხები, არც ბერძნული ტრაგედიის უსასტიკესი დედინაცვლები და სხვა იგავური საგნები, ამიერიდან არ განეკუთვნება სასამართლო მჭევრმეტყველების სახეობას. მაშინ, არ უნდა დავრთოთ ნება ახალგაზრდებს, ისაუბრონ წარმოუდგენელ რაღაცეებზე, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეზიის საგნებზე? არ უნდა მოიშველიონ ფანტაზია და ამით არ უნდა გააღამაზონ თავიანთი სიტყვა? რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, არ მიგვეცა მათთვის ამის ნება, ან, მიგვემართა ისინი დიდებული და არა უცნაური საგნებისკენ, რომლებიც არ მოეწონებათ ჭკვიან, გემოვნებიან ადამიანებს. თუ ეს უნდა დავუშვათ, მაშინ, დაე, დეკლამატორმა, რითიც მოისურვებს, იმითი შეავსოს თავისი სიტყვა. ოღონდ, იცოდეს, რომ ოთხფეხა ცხოველებსაც, ახალგაზრდა ბალახის უზომოდ ჭამისაგან გასუქებულიებს, სისხლის გამოშვებით მკურნალობენ და შემდეგ ჯანსაღ საკვებზე გადაეწიან. ასევე, ისიც უნდა გათავისუფლდეს ზედმეტი სიმსუქნისაგან და გაფუჭებული წვენიდან, თუ

სურს, ჯანმრთელი და ძლიერი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ხელოვნური გაბერილობა საქმის პირველი შემთხვევისთანავე იჩენს თავს. მათ კი, ვინც დეკლამაციას სასამართლო გამოსვლებისგან სრულიად განასხვავებს, არ იციან, რა მიზნით გამოიყენება იგი. თუ არ მოემზადებიან ამგვარი მჭევრმეტყველებისათვის, მათი გამოსვლა დაემსგავსება თეატრალურ აჟიოტაჟს და ყვირილს.

და მართლაც, რა საჭიროა, ჩვენს სასარგებლოდ განვაწყობთ მოსამართლე იქ, სადაც სასამართლო არ არის? რატომ ვილაპარაკოთ იმ გარემოებებზე, რომლებზეც ყველამ იცის? რატომ მოვიყვანოთ მტკიცებულებები იმგვარი საქმის, რომელზეც ვერავისგან გადაწყვეტილებას ვერ მივიღებთ? ეს მხოლოდ ფუჭი შრომა იქნებოდა; მაგრამ რისხვის, თანადგომის და სხვა ემოციების გამოწვევა დაცინვას ხომ არ იმსახურებს, რადგან ომის ამდაგვარად წარმოსახვით მებრძოლებს არ ვამზადებთ ნამდვილი საშიშროებისა და ბრძოლისათვის?

ასე რომ, იტყვიან, ნუთუ არანაირი განსხვავება არ არსებობს სასამართლო გამოსვლებსა და დეკლამაციას შორის? არანაირი, თუ ჩვენი მიზანი წარმატებაა. ცუდი არ იქნება, ამასთან ერთად, თუ დავამკვიდრებთ პირთა დასახელებას, შემთხვევათა დასახელებას, რომლებიც აბრკოლებენ სამართალწარმოებას, უფრო მეტიც, გამოვიყენებთ სიტყვებს, რომლებიც განეკუთვნება სამართალწარმოებას და შევურევთ სასაცილო გამონათქვამებს. ეს ყველაფერი ჩვენთვის უჩვეულო და ახალი იქნება, როცა შევაბიჯებთ უფრო ფართო ველზე, თუნდაც იმისგან განსხვავებულზე, რაც სასწავლებელში გვასწავლეს.

თუ დეკლამაცია საჩვენებლად იქმნება, მსმენელის სიამოვნებაც არ უნდა დაგვავიწყდეს. დეკლამაცია, როგორც სასამარ-

თლო პროცესებისა და შეხვედრების სახე, არ უნდა გასცდეს სანდოობის ფარგლებს, იმის გათვალისწინებით, რომ მოიცავს გარკვეულ მაღალფარდოვნებას და ითხოვს მცირე დოზით ბრწყინვალეობას. ამის მაგალითი არიან კომედიანტები. ისინი არც მთლად ისე წარმოსთქვამენ, როგორც ჩვენ ვსაუბრობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ ხელოვნება არ იქნებოდა; თუმცა, ბუნებრივ მეტყველებას არც ისე შორდებიან. მაშინ გაქრებოდა მიბაძვა: ისინი ჩვეულებრივ ლაპარაკს გარკვეულ თეატრალურ გაფორმებაში ახვევენ.

ახლა შევუდგები რიტორიკის იმ ნაწილზე საუბარს, რითაც, ჩვეულებრივ, ისინი იწყებენ, რომლებიც წინა ნაწილებს იგნორირებას უკეთებენ. ვჭკრეტ, რომ ზოგი გამაჩერებს დასაწყისშივე და მეტყვის, რომ მქვერმეტყველებისთვის ამდენი წესის ცოდნა საჭირო სულაც არ არის და გაეცინებათ კიდევ ჩემს ზედმეტ მზრუნველობაზე. მათთვის ბუნებრივი ნიჭიერებაც საკმარისია, სამართალწარმოებაში – ზოგადი კანონების ცოდნა და მცირეოდენი წრთვნა – სასწავლებელში. ასე ფიქრობდა ბევრი კარგი ორატორი, რომელთაგანაც ერთმა, როცა ჰკითხეს, რა იყო ფიგურა და რა იყო აზრი, უპასუხა: არ ვიცი, მაგრამ მათ აუცილებლად იპოვით ჩემს დეკლამაციაში, როცა საჭირო იქნება. მეორემ შეკითხვაზე: თეოდორელია თუ აპოლოდორელი, მხოლოდ ეს თქვა: მე მეხერხება ფარის გაკეთება. ამაზე უფრო ოხუნჯურად შეუძლებელია აღიარო შენი უცოდინრობა. სხვათა შორის, მათ, ვინც მხოლოდ საკუთარი ნიჭიერებით დასამახსოვრებელი გამოსვლებით გაითქვეს სახელი, საკმაოდ ბევრი მსგავსი ჰყავთ დაუდევრობაში და ცოტა – შესაძლებლობებში.

ისინი თავს იქებენ, როცა ამბობენ, რომ მათ ეხმარება ზე-ბუნებრივი ძალები და ამიტომ არად დაგიდევენ არც მტკიცე-ბულებებს, არც კეთილგანწყობებს, რომლებიც გამოგონილ საგნებშია საჭიროა: მხოლოდ მაღალ აზრებზე ცდილობენ, რომლებიც რაც უფრო ძლიერია, მით უფრო დახვეწილი გგონია. ამით კი მათი მსმენელების რიცხვი იზრდება. ფიქრშიც კი არ ხელმძღვანელობენ რაიმენაირი წესრიგით: ან, იხედებიან რა ზემოთ, ხშირად მთელი დღე ელოდებიან, თავში თავისთავად მოუვიდეთ დიდებული აზრები; ან გაურკვეველი ბუტბუტით, თითქოს საყვირის ხმით ალტკინებულნი, სხეულით სხვადასხვაგვარ მოძრაობებს ასრულებენ. მათი მთელი ძალისხმევა მიმართულია არა სიტყვების წარმოთქმაზე, არამედ მათ ძიებაზე. სხვები, სანამ მთელი გამოსვლის შინაარსს მოიფიქრებენ, იღებენ რომელიმე საწყის წინადადებას, რომელზეც შესაძლებელია სხვა მჭევრმეტყველური წინადადებების მიზმა, მაგრამ როცა ხედავენ, რომ ერთმანეთთან დაკავშირება ჭირს, პირველს მიატოვებენ და თავიდან იწყებენ წვალებას სხვაზე, არანაკლებ ცნობილსა და ჩვეულებრივზე.

ისინიც, რომლებიც თითქოს მისდევენ საუკეთესო წესრიგს, თავად საქმის განმარტებისთვის კი არა, საერთო ადგილების გადმოცემაზე მიმართავენ თავიანთ შრომას. მათთვის მთავარი არა მთლიანი გამოსვლა, არამედ ცალკეული ნაწყვეტებია, რომლებიც კი ხელში ჩაუვარდებათ. ამის გამო ასეთი გამოსვლა, რომელიც ცალკეული ნაგლეჯებისგან აიგება, არ შეიძლება იყოს ერთიანი. იგი იმ ჩანაწერებს ჰგავს, რომლებშიც ბავშვები იმას ჩაურთავენ, რაც სხვის თხზულებებში მოეწონებათ. ასეთ დეკლამატორებსაც, როგორც თავად იქებენ თავს, ხშირად ეხადებათ დიდებული აზრები: უხეში ადამიანების-

გან, ან მონებისგანაც კი, ზოგჯერ კარგი რამ გვესმის. და თუ ეს საკმარისია, მაშინ მართლა არ ყოფილა მჭევრმეტყველების სწავლა საჭირო.

ბევრს ჰგონია, რომ სწავლულებს მეტად შეუძლიათ თავის გამოხატვა. ასეთი არასწორი მსჯელობა იქიდან მომდინარეობს, რომ თვლიან, სადაც ნაკლები ხელოვნებაა, იქ მეტი ძალაა. მაგალითად, კარის გაღება ადვილია, გატეხვა – ძნელი; დაქუცმაცება უფრო ძნელია, ვიდრე გაერთიანება; წათრევა უფრო ძნელია, ვიდრე წაღება. აქ პირველი მოქმედებები ძალას ითხოვენ და არა ხელოვნებას. ხმლით მორკინალი, რომელიც ოსტატურად ფლობს იარაღს, დაუყონებლივ ჩაებმება ბრძოლაში. მეზრძოლი, რომელიც მთელი სხეულით იმაზეა დამოკიდებული, რაც შემთხვევით ხელში მოხვდა, ყველაზე მამაცად ითვლება მათ შორის. ამ დროს, ვერ ამჩნევენ, რომ ისიც ხშირად საკუთარი ძალისხმევით ეცემა მიწაზე; და იგი საკუთარი მისწრაფებით მარცხდება, როგორც კი გაწვრთნილი მოწინააღმდეგე გამოჩნდება. მაგრამ აქ არის გარკვეული გარეგნული ზედაპირულობა, რითაც უბრალო ხალხი შეიძლება ადვილად მოტყუვდეს. მთელი სიტყვის ნაწილებად დაყოფა, რაც ძალიან საჭიროც არის, ამცირებს მათ წინაშე მტკიცებულებათა ძალას. უხეში და ყოველგვარი წესრიგის გარეშე გაბნეული გამოთქმები მათ უფრო მნიშვნელოვანი და უხვი ჰგონიან, ვიდრე დამუშავებული და წესრიგში მოყვანილი გამოსვლა.

გარდა ამისა, სრულყოფილებასა და ნაკლს შორის არის გარკვეული დაახლოება, რის გამოც ავსიტყვა კაცი, ზოგჯერ, თავისუფალი გეჩვენება, მკაცრი – მამაცი, ენაჭარტალა – უხვ სიტყვიანი.

ნაკლებ გაცნობიერებული ადამიანი იშვიათად იცავს ზომიერებას. ცუდი ადვოკატი, რომელიც სასამართლოს წინაშე ბევრს და გაუფრთხილებლად ლაპარაკობს, საფრთხის ქვეშ აყენებს არა მხოლოდ მოსარჩელეს, არამედ საკუთარ საქმესაც. ზოგჯერ იგებს კიდევ იმავეთი. რადგან ადამიანები სიამოვნებით უსმენენ იმას, რის თქმასაც თავადვე არ ისურვებდნენ. იგი ასევე წინდაუხედავია გამოთქმებში. ყველაფერზე წამსვლელია. ვერაფერი შეაკავებს. გამუდმებით უბრალოს მიებაში ზოგჯერ ამალღებულსაც „გადაეყრება“. თუმცა, ეს იშვიათად ხდება და სხვა ნაკლს ვერ გადაფარავს.

კიდევ იმიტომ ჩანს უცოდინრების სიტყვა ზოგჯერ უფრო ძლიერი, რომ მათ რაც თავში აქვთ, ენაზეც იგივე აკერიანთ. ნასწავლი ადამიანები კი არჩევენ, რა თქვან და როგორ. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ ისინი ცოტას ფიქრობენ თავიანთი საგნის მიზანზე. ცდილობენ, გაექცნენ იმ ცოდნას და არგუმენტებს, რომლებიც მოყვარულებს ცივად ეჩვენებათ და სურთ, ფუჭი საუბრით მხოლოდ დაატკბონ მსმენელის ყური. მკვეთრი გამონათქვამები, რომელთაც ისინი დასდევენ, მათ გამოსვლებში ბრწყინვალედ გვეჩვენება, თან მით მეტად, რაც უფრო სუსტია სხვა ადგილები, ციცერონის აზრით, ისე, როგორც სინათლე სრულ სიბნელეში უფრო კამკაშებს, ვიდრე ჩრდილში. მაშინ, დაე, უწოდონ მათ მახვილგონიერნი, მაგრამ ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რომ ნამდვილი ორატორისთვის ასეთი ქება შეურაცხყოფელი იქნებოდა.

უნდა ვაღიარო, რომ მეცნიერება სიტყვების მოცულობას რამდენადმე ამცირებს, მაგალითად, რაღაცას ამოაკლებს, როცა რაიმე არასწორი და ზედმეტი იქნება, მაგრამ მხოლოდ უვარგისს ამცირებს. ზედმეტობისაგან გათავისუფლებული გა-

მოსვლა სრულფასოვანი ხდება. არასრულფასოვანი ხელებს იქნევენ, ფეხებს აბაკუნებენ, მჯიღს ირტყამენ გულში, თემო-ებზე, შუბლში. ეს კი, უბრალო ხალხს ძალიან მოსწონს. ნამდვილმა ორატორმა უნდა იცოდეს ზომიერება, კეთილგანწყობის მოპოვება, ღირსება და წესიერება. და კიდევ, უნდა იყოს და უნდა ტოვებდეს მოკრძალებულის შთაბეჭდილებას.

ამგვარად, ისინი ძალას უწოდებენ იმას, რაც სინამდვილეში, გაუწონასწორებლობაა. ამასთან, არა მხოლოდ დეკლამატორები არიან ასეთები, არამედ, რაც კიდევ უფრო სამარცხვინოა, თავად მასწავლებლებიც, რომლებიც ხშირად იმაზე მეტად წარმოიდგენენ საკუთარ შესაძლებლობებს, ვიდრე ეს რეალურად არის. ისინი არად დაგიდევენ წესებს და გატაცებულნი არიან ასეთი საზიანო იმპულსებით. იმათ კი, ვინც სწავლას სათანადოდ აქცევენ ყურადღებას, უგერგილოებს ეძახიან, მშრალებს, მშიშრებს, გონებასუსტებს და სხვა ყველანაირი დამამცირებელი სახელებით მოიხსენიებენ, რაც კი თავში მოუვათ.

მივულოცოთ ასეთებს, რომლებიც ცოდნის, შრომისა და სწავლის გარეშე გახდნენ მქვერმეტყველნი. ჩვენ კი, დავტოვებთ რა საზოგადოების ჭკუის დამრიგებლის თანამდებობა და შევწყვიტეთ სასამართლო საქმეებზე ზრუნვა (რადგან ჩავთვალეთ, რომ ამ ყველაფერზე უარის თქმა უფრო ღირსეული საქციელი იქნებოდა, სანამ ვინმესთვის თავი არ მოგვიბეზრებია), ჩვენს თავისუფალ დროს გამოვიყენებთ თავყრილობებზე და იმ წესებზე საუბარში, რომელთაც საჭიროდ ჩავთვლით ჭკვიანი ყმაწვილებისთვის და რომლებიც ჩვენ თავად მოგვანიჭებენ ნამდვილ სიამოვნებას.

ჩემგან არავინ ითხოვს ისეთ წესებს, რომლებზეც ბევრი მწერალი საუბრობს. მე მათ ამიერიდან არ შემოგთავაზებთ, როგორც მჭევრმეტყველების შემსწავლელთათვის შეუცვლელ კანონებს. მჭევრმეტყველება იქნებოდა ძალიან მსუბუქი და ნაკლებ მნიშვნელოვანი მეცნიერება, ამგვარი წესების ასე ცოტა რაოდენობისგან რომ შედგებოდეს. ამ წესებში ბევრი რამ იცვლება საქმის არსის, დროის, შემთხვევის და საჭიროების მიხედვით. ორატორში ყველაზე მთავარია ჯანსაღი აზრი, მიუხედავად სიტუაციისა. რა მოხდებოდა, მხედართმთავრისთვის ვინმეს რომ გაეწერა, როგორ განელაგებინა ჯარი საბრძოლო მდგომარეობაში – ჯერ ავანგარდი გამოეყვანა, ორივე მხრიდან ფრთები გაეშალა, ცხენოსნები ფრთებქვეშ განეთავსებინა? ეს იქნებოდა ყველაზე საუკეთესო განლაგება, როცა კი ამის საშუალებას გარემოებები მისცემდა, მაგრამ თუ ადგილმდებარეობის განლაგება შეიცვლება, შეგვხვდება მთები, მდინარე, ქედები, ტყე, ამ განლაგებას ხელს შეუშლიდა. მაშინ, მოწინააღმდეგის ძალის და მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, იგი იძულებული იქნებოდა, ეს ყველაფერი შეეცვალა და ებრძოლა ან პირდაპირი, ან ირიბი წყობით, ან სარეზერვო რაზმით, ან მთელი ჯარით, ან ზურგი ეჩვენებინა მტრისთვის მოჩვენებით გაქცევით.

ასევე, უნდა იცოდე გამოსვლის დროს, საჭიროა თუ ზედმეტია შესავალი, და თუ საჭიროა – მოკლე უნდა იყოს იგი, თუ ვრცელი; მთელი გამოსვლა მოსამართლისკენ უნდა მიმართო თუ რომელიმე სხვა პირისკენ, გამოიყენებ რა თან რომელიმე ფიგურას; დასაცავი საქმისთვის რომელი იქნება უფრო წარმატებული – მოკლე თუ გრძელი თხრობა, უწყვეტი თუ ნაწილებად დაყოფილი, ჩვეულებრივი თუ შებრუნებული წყობით.

ასევე ძიებისას. ხშირად ერთსა და იმავე საქმეში ჩვენთვის უმჯობესია დაიწყო ერთი სტატიით, ხოლო მოწინააღმდეგისთვის – მეორეთი, რადგან წესები არ არის შეუცვლელი კანონები. ისინი სარგებლობამ გამოიგონა. ამავე დროს, არ ვდავობ იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა წესებს მივყვეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მე მათზე არ დავწერდი, მაგრამ თუ აუცილებლობა მათგან გადახვევას მოითხოვს, უმჯობესია ასეც მოვიქცეთ.

ყველაფერთან ერთად, არ მომბეზრდება დაჟინებით მოვითხოვო, რომ ორატორს აუცილებლად ახსოვდეს ორი რამ: თავაზიანობა და სარგებლობა. ხშირად ხდება ისე, რომ სასარგებლოა ჩვეულებისგან გადახვევა, ზოგჯერ კი მისაღებია, როგორც ამას ვხვდებით სტატიებში და სურათებში. სახეც, ტანსაცმელიც და მდგომარეობაც სხვადასხვაა. პირდაპირ და უმოდრაო სხეულში სილამაზის ნატამალიც არ არის. სკულპტურული, არაფრისმთქმელი, ზედმეტად „სწორად“ დახატული თავი, დაშვებული ხელები და მჭიდროდ მიბჯენილი ფეხები გამოსახულებას ხელოვნურ და არასასიამოვნო ელფერს აძლევს, ხოლო მოძრაობა მას სიცოცხლეს და სიცინცხლეს ანიჭებს. ხელები და სახე ათას ფერს და სახეს იღებს – ზოგი მორბენალს ემსგავსება, რადაცისკენ რომ მიისწრაფვის, ზოგი ზის, ან დახრილია, ან ჩაცმულნი არიან, ან შიშველი, ან ყველაფერი ერთად. რა უნდა იყოს უფრო მახინჯი და რთული სანახავი, ვიდრე მირონის „ბადროს მსტყორცნელია“? მაგრამ ვინმეს რომ მისი გაკიცხვა მოენდომებინა, ხომ გაამჟღავნებდა საკუთარ უვიცობას ხელოვნების ცოდნაში? ამ ნამუშევარში ხომ სწორედ სიახლე და სირთულე იწვევს გაოცებას?

ასეთივე სილამაზეს და ხიბლს მატებს სიტყვას ფიგურები აზრებსა და გამონათქვამებში. ისინი ცვლიან „სისწორეს“ და ამით ხდებიან უფრო გასაგები და მისაღები, როცა ჩვეულებრივი სასაუბრო სტილისგან განსხვავდება. ფერწერაში მთელი სახეა გამოსახული, მაგრამ აპელესმა დახატა ირიბი ანტიგონე პროფილში, რათა სიმხინჯე დაეფარა. ასევე ბევრის დაფარვაა საჭირო, როცა ყველაფრის თქმა არ შეიძლება, ხოლო მისი ღირსეულად გამოხატვა შეუძლებელია. ასე მოიქცა ტიმანტეს კითნიელი, როცა დახატა სურათი, რომელმაც დაჩრდილა სახელგანთქმული ფერწერის ტილო. დაჭრილი იფიგენიას მსხვერპლშეწირვის დროს მან კალქასი დანადვლიანებული დახატა, ოდისევსი – კიდევ უფრო დადარდიანებული, მენელაოსს საშინლად დამწუხრებული სახე მისცა, როგორც კი შეიძლება მაღალი მხატვრობით გამოიხატოს. როცა მთელი თავისი ხელოვნება ამოწურა და ვერ იპოვა საშუალება, რომ მშობლის მწუხარების შესაფერისი სახე ღირსეულად გამოეხატა, თავი დაუფარა და მაცურებელს მისცა საშუალება, მთელი მისი ემოცია თავადვე წარმოესახა. იგივე გააკეთა სალუსტიუსმა. მან თქვა: ვფიქრობ, კართაგენზე სჯობს არაფერი გითხრათ, ვიდრე მხოლოდ სხვათა შორის მოვიხსენიო“. ამ მიზეზის გამო, მე ყველაზე ნაკლებად დავექვემდებარე იმ წესებს, რომლებსაც უწოდებენ საყოველთაოს, ან მუდმივს. იშვიათად მოიძებნება თხზულების ისეთი სახეობა, რომელში არ იქნება შესაძლებელი ცოტა მაინც ამ წესებს გადავუხვიოთ. ამაზე უფრო ვრცლად თავის ადგილზე ვიტყვი.

არ მსურს, რომ ყმაწვილებმა ძალიან წარმატებულად მიიჩნიონ თავი, ისეთებად, რომელთაც არ ჭირდებათ შემდგომი ჭკუა-დარიგებები მას შემდეგ, რაც ისწავლიან მხოლოდ მოკ-

ლე, ახლა მოდაში რომ არის, შესავალს და წესებს. მკვერმეტყველება მოითხოვს დიდ შრომას, მუდმივ სწავლას, გამოცდილებას, კეთილგონიერებას და სწორ განსჯას. ამ წესებითაც არ უნდა გადავიტვირთოთ. ისინი მხოლოდ სწორ გზაზე გვაყენებენ და მხოლოდ ერთ ვიწრო გზას არ გვაჩვენებენ. ვინც ფიქრობს, რომ მისგან გადახვევა არ შეიძლება, ძალაუნებურად გახდება ნელი, როგორც თოვზე მოსიარულე. ასე რომ, ჩვენ აქ ხშირად დავადგებით ფართო გზას, ზოგჯერ კი, ავირჩევთ უმოკლესს, ისე, როგორც წყალდიდობის დროს მორღვეულ ხიდებს უნდა ავუაროთ გვერდი, როგორც ხანძრის დროს ხანდახან კარებით კი არა, ფანჯრით უნდა გადავირჩინოთ თავი.

ჩვენ ვიღებთ ძალზე მოცულობით შრომას, მრავალფეროვანს და თითქმის ყველა ნაბიჯზე ახალს. ყველაფერს სიტყვებით ვერ მოვიცავთ. შევეცდები, იმაზეც ვთქვა, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით სხვებთანაც ამომიკითხავს. მათგან საუკეთესოს შევარჩევ, ხოლო თუ საჭირო იქნება, რამეს მივამატებ, ან გამოვაკლებ.

ვინც *ῥητορικη* ბერძნულიდან ლათინურად თარგმნა, მის შემოქმედებას უწოდებენ *oratoria*-ს და *oratrix*-ს. მე არ დავიწყებ ამ ავტორების ქებას მათი ხელოვნების გამო, მათ თავიანთი საქმე უზადოდ შეასრულეს, მაგრამ ყველა ბერძნული სიტყვის ზუსტი ლათინური შესატყვისი არ მოიძებნება, ისე როგორც ლათინური ვერ გამოხატავს ყოველთვის შესაფერისი სიტყვებით ბერძნულ აზრს. ეს თარგმანი არ არის ნაკლებ უხეში, ვიდრე, მაგალითად, ფლავიუსის *essentia* და *entia*. ბერძნული *οὐσία* ყოველთვის არ არის ზუსტი, რადგან *oratoria* გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, როგორც *elocutoria*, *oratrix*, როგორც *elocutrix*, მაგრამ სიტყვა რიტორიკა რომელზეც ჩვენ

ახლა ვსაუბრობთ, იგივეა, რაც მჭევრმეტყველება და იგი ბერძნებთან ორი მნიშვნელობით გამოიყენება.

ერთ შემთხვევაში იგი ზედსართავია – *ars rhetorica*, როგორც *navis piratica*, სხვაგან, არსებითი სახელი, როგორც: *philosophia* ან *amicitia*. ჩვენ ახლა ვისურვებდით, რომ მას ჰქონდეს არსებითი სახელის ნიშანი, ისე როგორც *γραφικατικη* ნასესხებია სიტყვისგან *literatura* და არა სიტყვისგან *literatrix*, რომელიც იქნება *oratrix*-ის მსგავსი, და არა *literatoria*-თი, რომელიც იქნება მსგავსი *oratoria*-სი, მაგრამ სიტყვა *rhetorice*-სთვის არ იძებნება ზუსტი შესატყვისი ლათინური სიტყვა.

მოდით, მის გამოყენებაზე კი არ ვიზრუნოთ, რადგან ბევრი სხვა ბერძნული სიტყვა შეიძლება მივუსადაგოთ. თუ შემიძლია გამოვიყენო *physicus*, *musicus*, *geometres*, მე შემიძლია შემოგთავაზოთ ბევრი ძალადობრივი სიტყვა, თუ შევეცდები მათ ლათინურ ყაიდაზე გადაწყობას. თუ თავად ციცერონი იყენებს ბერძნულ სიტყვებს საკუთარი წიგნების სათაურად, რომლებიც მან პირველად დაწერა ხელოვნებაზე, ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, ვენდოთ ორატორთაგან უდიდესს.

ჩემი აზრით, რიტორიკა უნდა დაიყოს 3 ნაწილად: პირველში ვისაუბრებთ ხელოვნებაზე, მეორეში – ხელოვანზე, ხოლო მესამეში – თავად ნაწარმოებზე. ხელოვნება ის იქნება, რაც წესის მიხედვით უნდა ისწავლო. მათი ერთობლიობა შეადგენს მეცნიერებას, რომელსაც ჰქვია მჭევრმეტყველება – კარგად საუბრის ხელოვნება. ხელოვანი ის ადამიანია, რომელმაც ამ ხელოვნებას მიაღწია, მაგალითად, ორატორი, რომლის მიზანი კარგად საუბარია. ნაწარმოები კი ის არის, რასაც ჰქმნის ხელოვანი, ანუ ეს არის კარგი სიტყვა, კარგი გამოსვლა. ყველაფერი ეს, თავის მხრივ, კიდევ იყოფა ნაწილებად, რომლებ-

ზეც თავის-თავის ადგილზე მოგახსენებთ. დავიწყებ პირველი ნაწილით.

უპირველესად, უნდა ვიცოდეთ, რა არის რიტორიკა. შეიძლება სხვადასხვა განმარტება. არსებობს ორი შეკითხვა. პირველი თავად საგნის ხარისხს ეხება, მეორე – იმ სიტყვებს, რომლითაც იგი უნდა განისაზღვროს. აი, რაში მდგომარეობს აზრთა სხვადასხვაობა! ზოგი ფიქრობს, რომ ცუდი ადამიანიც შეიძლება იყოს კარგი ორატორი. სხვები მიიჩნევენ და მეც მათ ვემხრობი, რომ სახელწოდება და ის ხელოვნება, რომელზეც ჩვენ ახლა ვმსჯელობთ, მხოლოდ კეთილ და პატიოსან ადამიანს მიეწერება.

ბევრი ორატორის მოვალეობად თვლის დარწმუნებას, ანუ იმ სიტყვას, რომელმაც მსმენელი უნდა დაარწმუნოს. ამის გაკეთება მაშინაც შეიძლება, თუ ცუდი ადამიანი ხარ. ხშირად ამტკიცებენ, რომ რიტორიკა მდგომარეობს დარწმუნების ხელოვნებაში. ასეთი აზრი მომდინარეობს ისოკრატესისგან, რომელიც თვლის, რომ მხოლოდ ის თხზულება ეკუთვნის მას, რომელიც მისი სახელით გამოდის. მას, რა თქმა უნდა, არ სურდა ორატორის პოზიციის დაკნინება, მაგრამ მაინც გაუფრთხილებელი განსაზღვრება გააკეთა, როცა ორატორს უწოდა დარწმუნების შემოქმედი, ანუ *πειθιστικὸς*.

პლატონთან გორგიასი წიგნში, რომელსაც მისი სახელი ჰქვია, თითქმის იმავეს ამტკიცებს. პლატონი ამ მოსაზრებას გორგიასს მიაწერს. ციცერონი ბევრგან აღნიშნავს, რომ ორატორის მოვალეობაა სიტყვით დარწმუნება. ამას იგი მთელი თავის შემოქმედებით გვიჩვენებს. ამავე დროს, აღნიშნავს, რომ მოსაუბრის სიმდიდრეც, ნდობაც და ძალაუფლებაც არის ღირსება. მაგრამ სიტყვის გარეშე ერთ მიმიკას, ერთ ჟესტს,

ერთ ლამაზ მოძრაობასაც შეუძლია მსმენელზე ზემოქმედება. თავის წიგნებში რიტორიკის შესახებ, რომლებითაც ის აშკარად არ იყო კმაყოფილი, მჭევრმეტყველების ბოლოს უწოდებს persuasion-ს (დარწმუნებას), მაგრამ დარწმუნების ძალა აქვს ფულსაც. და მოსაუბრის ავტორიტეტი და ღირსება, თუნდაც, მისი გამომეტყველება, რომელსაც არ ახლავს ენა, როცა რომელიმე ინდივიდის დამსახურების გახსენებისას, ან ან შესაბრალის გარეგნობა, ან პიროვნული სილამაზე, ქმნის აზრს. ანტონიუსმა, როგორც ამბობენ, როცა აკვილიუს მანიუსს იცავდა, გადაიღელა ტანსაცმელი და გამოაჩინა ჭრილობა, რომელიც ბრალდებულმა სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში მიიღო. მას არ ჰქონდა საკუთარი სიტყვის იმედი, მაგრამ როცა რომაელების თვალი საჭირო მხარეს მიმართა, მათ შეიწყალეს დამნაშავე. სერვიუს გალბუსმა კანონის სიმკაცრე თავიდან იმით აიცილა, რომ მაყურებელში თანაგრძნობა გამოიწვია. მან კრებაზე არა მხოლოდ საკუთარი მცირეწლოვანი შვილები მოიყვანა, არამედ გალუს სულპიციუსის ვაჟიშვილიც, ხელში ატატებული. ასე ჰყვებიან ისტორიკოსები და კატოს სიტყვაც ამაზე მეტყველებს.

გვარწმუნებენ, რომ ფრინა არა იპერიდესის მჭევრმეტყველებამ, არამედ საკუთარმა სილამაზემ იხსნა. საკმარისი იყო მხოლოდ, რომ გაეხადა სასამართლოს წინაშე. თუ ყველა ასეთი შემთხვევა შეიძლება წარმატებით დამთავრდეს, გამოდის, რომ რიტორიკის ზემოთ წარმოდგენილი განსაზღვრება არასაკმარისია. ამიტომ უფრო მართალი ჰგონია თავი მათ, ვინც თვლის, რომ რიტორიკის ძალა სიტყვით დარწმუნებაშია. ასეთივე განსაზღვრებას აძლევს მას გორგიასი ზემოთ ნახსენებ წიგნში, სოკრატესით მოხიბლული. ამასვე ეთანხმება

თეოდექტესი, მისი სახელით ცნობილ ერთ რიტორიკის თხზულებაში, რომელსაც ბევრი არისტოტელეს ნამუშევრად მიიჩნევს. იქ ნათქვამია, რომ რიტორიკის მიზანია, სიტყვით მსმენელი იქით გადახაროს, საითკენაც ორატორი მოისურვებს. მაგრამ ესეც არასაკმარისია. სიტყვით არწმუნებენ ასევე სხვებიც, მაგალითად, ლამაზმანები, მომფერებლები, ალვირახსნილები. ორატორი კი, პირიქით, ზოგჯერ ვერ არწმუნებს. ასე რომ, ეს მიზანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მისი, არამედ საერთო კიდევ ბევრ სხვა ადამიანთან, რომლებიც სულაც არ არიან ორატორები.

აპოლოდოროსი მიიჩნევს, რომ ორატორის უპირველესი მოვალეობა მოსამართლის დარწმუნებაა, ხოლო თუ იგი ამას ვერ ახერხებს, ორატორის სახელიც არ უნდა ერქვას. სხვები კიდევ, როგორც, მაგალითად, არისტოტელე, თვლის: რიტორიკა არის შესაძლებლობა ან ძალა, გამოიყენოს ყველაფერი, რაც კი გამოსვლის დროს ადამიანების დარწმუნებაში დაეხმარება. ამ განსაზღვრებას იგივე ნაკლი აქვს, რაც ზემოთ აღვნიშნე. ამასთან, იგი არ გულისხმობს არაფერს სხვას, გარდა გამოგონებისა, რომელიც თხრობის გარეშე, არ შეიძლება სიტყვას შეადგენდეს. ჰერმაგორასს, რომლის აზრით, ორატორის დანიშნულება დარწმუნებაა, და სხვებსაც, რომლებიც თვლიან, რომ ორატორმა უნდა ილაპარაკოს ისე, რომ დარწმუნებას მიაღწიოს, ჩვენ საფუძვლიანი პასუხი გავეცით და ვაჩვენეთ, რომ მხოლოდ დარწმუნება არ არის ორატორის მოვალეობა.

რამდენიმე სხვა მოსაზრებაც დაემატა ამას, რადგან ზოგი ფიქრობს, რომ ორატორის საქმეა ყველაფერზე ლაპარაკი, სხვები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკაზე უნდა ისაუბროს მხო-

ლოდ. რომელი მათგანი უფრო სწორია, ამაზე მოგვიანებით შესაბამის ადგილზე ვიტყვი.

არისტოტელემ, მგონი, რიტორიკას ყოვლისშემძლე ძალა მიანიჭა, როცა თქვა, რომ მისი საქმეა ილაპარაკოს ყველაფერზე, ყველანაირი ხერხით, ოღონდ მიაღწიოს დარწმუნებას. ამის მაგალითია პატროკლესი, რომელიც ამტკიცებს, რომ ორატორის ძალა დარწმუნების ხელოვნებაშია. თეოდორესს სურდა, აღმოეფხვრა ეს ნაკლი და ამბობდა, რომ რიტორიკა არის აღმოჩენის, გამოხატვის, სანდოობის ძალა ნებისმიერ საკითხზე, მაგრამ სანამ ვინმე, ვინც არ არის ორატორი, აღმოაჩენს, რა არის სანდო და დამაჯერებელი, და თან დააყოლებს, ყველა საკითხზე, უფრო მეტად დამაჯერებელი იქნება, ვიდრე ამ საკითხზე მოკამათე წინამორბედები და მას უფლება მიეცემა, ორატორის სახელი მიანიჭოს მასაც კი, ვისაც შეეძლება დარწმუნება, თუნდაც ყაჩაღობაში მონაწილეობის მიზნით. გორგიასი პლატონთან საკუთარ თავს უწოდებს დარწმუნების ოსტატს სასამართლოზე და სხვა შეკრებებზე და აღნიშნავს, რომ ის ეხება სამართლიანსაც და უსამართლოსაც. სოკრატესი მას ნებას რთავს, დაარწმუნოს ვინმე, მაგრამ არ აძლევს საშუალებას, ვინმეს ასწავლოს.

ისინი, ვინც ორატორს ყველა საკითხზე მსჯელობის მოვალედ არ მიიჩნევენ, განსხვავებულად გამოხატავენ თავიანთ მოსაზრებას, რადგან ისინი უფრო მოვალე იყვნენ თავიანთი ემოციების და უხვ სიტყვაობის გამო. ერთ-ერთი მათგანია არისტონი, კრიტოლაუსის მოწაფე, პერიპატეტიკოსი, რომლის აზრი რიტორიკის შესახებ ასეთია, რომ ეს არის აღმოჩენის და გამოხატვის მეცნიერება ყველაფერ იმაზე, რაც პოლიტიკის საქმეა, იმ ენაზე, რომლითაც ადამიანების დაყოლიებას შეე-

ლებს. იგი რიტორიკას მეცნიერებად თვლის, რადგან პერიპატეტიკოსია და არა virtue, სტოიკოსების მსგავსად. მაგრამ განცხადებით – ხალხი უნდა დაარწმუნოს, ის ლაფს ესვრის რიტორიკას, თუ ფიქრობს, რომ ხალხი კი არა, სწავლულები უნდა დაარწმუნოს. ცდება ყველა, ვინც ფიქრობს, რომ ორატორმა პოლიტიკურ საქმეებზე უნდა იკამათოს მხოლოდ. თამამად შემოდგია ვთქვა, რომ ამის გვერდით კიდევ ბევრი რამ შეიძლება დავაყენოთ, მაგალითად, ქების რიტორიკა, რომელიც მჭევრმეტყველების მესამე ნაწილია. თეოდორას გადარელი, რომელიც სხვებთან ერთად თვლის, რომ მჭევრმეტყველება ხელოვნებაა, უფრო ფრთხილობს განსაზღვრებისას, როცა ამბობს, რომ (იმათ სიტყვებს მოვიტან, ვინც მისი გამონათქვამი ბერძნულიდან თარგმნეს): რიტორიკა არის ხელოვნება, რომელიც აღმოაჩენს, განსჯის, აცხადებს შესაფერისი მჭევრმეტყველებით, იმ დოზით, რაც დარწმუნებისთვის საკმარისია, ყველა საქმეში, რაც კი პოლიტიკასთან არის დაკავშირებული.

კორნელიუს კელსუსი, ამავე სტილში ამბობს, რომ რიტორიკა არის ხელოვნება, ილაპარაკო დამაჯერებლად საეჭვო და პოლიტიკურ საქმეებზე. არსებობს სხვა მოსაზრებაც, ამათგან არცთუ განსხვავებული: რიტორიკა არის განსჯის და დისკურსის ძალა სახელმწიფო საკითხებზე, გარკვეული დარწმუნებით, სხეულის გარკვეული ქმედებით და იმ განწყობით, რომელიც გამოხატავს ამ საკითხების არსს.

არის კიდევ სხვა განსაზღვრებები, მაგრამ ისინი უკვე აღნიშნულის მსგავსია, ან მცირედით თუ განსხვავდება მათგან. ამაზე მაშინ ვიტყვით, როცა რიტორიკის საგანს შევეხებით. ზოგს მიაჩნია, რომ იგი არც ძალაა, არც მეცნიერება და არც ხელოვნება. კრიტოლაოსი მას უწოდებს საუბრის ხელოვნებას

(რადგან ასეთია მნიშვნელობა სიტყვისა τριζῆ). ათენეოსის-თვის იგი მოტყუილების ხელოვნებაა.

მწერალთა უმრავლესობა კმაყოფილდება პლატონის გორგiasის უხერხული ციტირებით. ისინი არ ითვალისწინებენ არც სხვა ადგილებს ამ დიალოგიდან და არც პლატონის სხვა ნაწარმოებებს და დიდ შეცდომას უშვებენ, როცა ამტკიცებენ, რომ ფილოსოფოსი არ თვლიდა რიტორიკას ხელოვნებად, არამედ მხოლოდ სასიამოვნო და მამებელ უნარ-ჩვევად. ან, როგორც იგი სხვაგან წერს, ერთი ნაწილი პოლიტიკისა და მეოთხედი ნაწილი ქება-დიდებისა. იგი სხეულისთვის გამოყოფს პოლიტიკის ორ ნაწილს – მედიცინას და ვარჯიშს და ორს – გონებისთვის – კანონს და სამართალს. შემდეგ უწოდებს მზარეულთა ხელოვნებას მედიცინის სიმულაციას, ან ხოტბა-დიდებას და მოვაჭრეთა ხელოვნებას მოქმედებათა ეფექტურობას, რადგან ისინი ქმნიან ტყუილ სახეს მხატვრობით და სიმლიერის ეფექტს აროიდული ცხიმით. იურიდიულ მეცნიერებებს ის უწოდებს სოფისტიკას, ხოლო სამართლიანობისას – რიტორიკას.

ეს ყველაფერი ნამდვილად არის გამოხატული იმ დიალოგში. მას აჟღერებს პლატონი სოკრატესის პირით. სხვა ნაწილი თითქოს იმისთვის დაიწერა, რომ მეორე მხარეზე მყოფებს შეწინააღმდეგებოდა და ეწოდებინა მათთვის ελεγκτικοი, სხვები სასწავლებლად დაიწერა და მათ ეწოდა δειγματικοი, მაგრამ სოკრატესი, ან პლატონი საუბრობს იმ ტიპის ორატორზე, რომელიც ლაპარაკობს, რომელიც შემდეგ პრაქტიკას გაივლის, რომ ყოფილიყო დოგმატიკური პიროვნება, რადგან ის ამაზე ისე ლაპარაკობს, თითქოს იყოს κατά τούτων τον τροπον ου υμεις πολιτευεσθε (იმ სტილის შესაბამისად, რომლითაც შენ აგ-

ვარებ სახალხო საქმეებს) და გებულობს ორატორის გულწრფელ და ღირსეულ ბუნებას. „გორგიასში“ კამათი დაახლოებით ასე ჟღერს: „ორატორი აუცილებელია იყოს მართალი და ღირსეული ადამიანი, ხოლო მართალი და ღირსეული ადამიანი გააკეთებს მართალ და ღირსეულ საქმეებს“. გორგიასისგან ჩანს, რომ პლატონი არ ლანძღავდა რიტორიკას, მხოლოდ მიანიშნებდა, რომ იგი უნდა ეფუძნებოდეს წესიერებას და სამართლიანობას. „ფედრაში“ ის კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს, რომ ეს მეცნიერება არ შეიძლება არსებობდეს სრულფასოვნად, თუ სამართლიანობის სადარაჯოზე არ დადგება. ჩვენც ამავე აზრზე ვართ. ამის გარეშე როგორ დაიცავდა იგი სოკრატესს და შეაქებდა მოქალაქეებს, რომლებმაც თავი დასაღეს სამშობლოსთვის? ის მხოლოდ იმ ორატორებს ჰკილავდა, რომლებიც მჭევრმეტყველების ნიჭს ბოროტების სასარგებლოდ იყენებდნენ. თავად სოკრატეც თვლიდა, რომ მის დასაცავად ლისიასის მიერ მომზადებული სიტყვა იყო უღირსი, რადგან, მაშინ ჩვევად ჰქონდათ, რომ ორატორები წერდნენ სიტყვებს ბრალდებულებისთვის, ეს უკანასკნელნი კი მას, როგორც საკუთარს, ისე წარმოსთქვამდნენ და ამით არღვევდნენ კანონს, რომელიც კრძალავდა სხვის მაგივრად ლაპარაკს.

პლატონი, ამავე დროს, ჰკიცხავს იმ მასწავლებლებს, რომლებიც რიტორიკას სამართლიანობისგან ჰყოფენ და სიმართლის მაგვარს ჭეშმარიტებას ამჯობინებენ. ამასაც „ფედრაში“ ვკითხულობთ. ვფიქრობ, კორნელიუს კელსუსიც ამავე აზრს ემხრობა, რადგან მისი სიტყვებია: „ორატორი მხოლოდ სიმართლის მსგავსს უმიზნებს“ და ცოტა მოგვიანებით უმატებს: „სინდისის სიწმინდეზე კი არ ზრუნავს, არამედ კლიენტის გა-

მარჯვებაზე, ეს არის სწორედ ადვოკატის ჯილდო“. ვფიქრობ, ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ წახალისებს უნამოსო საქციელს.

რადგან ჩემთვის სრულყოფილი ორატორი მხოლოდ კარგი ადამიანი შეიძლება იყოს, დავუბრუნდეთ იმათ მოსაზრებას, რომლებსაც რიტორიკაზე უკეთესი წარმოდგენა აქვთ. ზოგმა ჩათვალა, რომ რიტორიკა სახელმწიფო პოლიტიკის იდენტურია. ციცერონს მიაჩნია, რომ მისი ცოდნა სხვა არაფერია, თუ არა სიბრძნე. ზოგი მას ფილოსოფიის ნაწილად თვლის. მათ შორის არის ისოკრატესი. ამ განსაზღვრებას კარგად ეთანხმება შემდეგი, რომ რიტორიკა კარგად საუბრის ხელოვნებაა და რომ ორატორი ვერ ისაუბრებს კარგად, თუ ის არ არის კარგი ადამიანი. ამასვე ამტკიცებს კრისიპუსი, კლევანთესზე დაყრდნობით, რომ ეს არის სწორად ლაპარაკის მეცნიერება. თუ ამას დავუმატებთ დარწმუნების მეცნიერებას, მაშინ გამოდის, რომ იგი მხოლოდ შედეგზეა ორიენტირებული.

არეუსი ამბობს თითქმის იმავეს, რომ რიტორიკა არის საუკეთესო გამოსვლა (სიტყვა). ვინც თვლის, რომ რიტორიკა სახელმწიფო ვალდებულებების და საქმეების ცოდნაა, ისიც გამოორიცხავს, რო ორატორი შეიძლება იყოს ცუდი ადამიანი, მაგრან ისინი ავიწროებენ რიტორიკის არეალს, დაჰყავთ რა იგი პოლიტიკამდე მხოლოდ. ალბუტიუსი თვლის, რო ორატორმა უნდა იფიქროს სწორად და განსაჯოს სამართლიანად.

აი, რიტორიკის ყველაზე უფრო ცნობილი განმარტებები, რომლებზეც ხშირად მიმდინარეობს დავა. ყველაფერზე დაწვრილებით ვერ მოვყვები და არც არის აქ ამის ადგილი. სასწავლო სახელმძღვანელოების ავტორები, ჩემი აზრით, არცთუ სწორად, ცდილობენ გაექცნენ იმ სიტყვებს, რომლებსაც რი-

ტორიკის განსაზღვრების დროს იყენებდნენ მათი წინამორბედნი. მე შორსა ვარ ამგვარი თავმოყვარეობისგან.

შემოგთავაზებთ არა ჩემს საკუთარ გამოგონებებს, არამედ იმათ, რომლებსაც სხვებთანაც შევხვდებით, როგორც, მაგალითად, ეს: რიტორიკა არის კარგად საუბრის მეცნიერება. ვინც კიდევ სხვა განმარტებას ეძებს, მხოლოდ უფრო ცუდს აწყდება. თუ ასეთ განსაზღვრებას ვაღიარებთ, რიტორიკის მიზანსაც სწორად დავინახავთ. თუ ის არის კარგად საუბრის მეცნიერება, მისი მიზანიც სწორედ ეს ყოფილა.

ამას მოჰყვება შეკითხვა – სასარგებლოა თუ არა რიტორიკა? არიან ადამიანები, რომლებიც მის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებენ. რაც ყველაზე უფრო ცუდია, მჭევრმეტყველების ძალას მიმართავენ მჭევრმეტყველების წინააღმდეგ. ამბობენ, რომ რიტორიკა, თავისი მომხიბვლელობის წყალობით, ხშირად ათავისუფლებს დამნაშავეებს სასჯელისგან, ხოლო უდანაშაულოებს – სჯის; რომ მისი ცუდი რჩევები კეთილს გადაფარავენ, რომ რიტორიკა ხალხის აჯანყებებს და შეუქცევად ბრძოლებს აქეზებს, რომ იგი უმეტესად იქ გამოიყენება, სადაც ტყუილი სიმართლეზე იმარჯვებს.

კომედიოგრაფოსები (არისტოფანე „ღრუბლებში“) სოკრატეს აბრალებენ, თითქოს ის ასწავლიდა, როგორ გაასაღონ უსამართლობა სამართლიანობად. ტისიასი და გორგიასი პლატონის მიხედვით, სწორედ ამით იყვნენ სახელგანთქმულნი. ამასვე ამტკიცებენ საბერძნეთისა და რომის ისტორიიდან აღებული მაგალითებით. ითვლიან იმ ორატორებს, რომლებმაც თავიანთი დამლუპველი მჭევრმეტყველებით ზიანი მიაყენეს არა მხოლოდ კერძო, არამედ სახელმწიფო საქმეებსაც, აღაშფოთებდნენ, ზოგჯერ კი ამბობდნენ მთელ ქვეყნებს. სწორედ

ამ მიზეზის გამო, სპარტიდან განდევნეს მჭევრმეტყველება. საბერძნეთში, სადაც ორატორს ასევე შეემლო დიდი ვნებათაღელვის გამოწვევა, მას საკმაო შეზღუდვები დაუწესეს.

თუ ეს დამოკიდებულება სწორია, მაშინ არც მხედართმთავრები ყოფილან საჭირო, აღარც ქალაქის გამგებლები; არც სამედიცინო მეცნიერება და ფილოსოფია ყოფილა უვნებელი. ერთხელ მხედართმთავარმა ფლამინიუსმაც წააგო ომი; ქალაქის თავები – გრაკუსები, სატურნინები, გლავკუსი რომს აღაშფოთებდნენ; წამალში საწამლავიც შედის და ფილოსოფოსის მაღალი სახელის მატარებელთა შორისაც ბევრ ავის მქმნელს არცთუ იშვიათად შევხვდებით. აღარ მივიღოთ საჭმელი იმის გამო, რომ ზოგჯერ ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს? სახლში აღარ შევიდეთ იმის გამო, რომ ხანდახან იგი მცხოვრებლებს თავზე ექცევა? აღარ მივცეთ მახვილი მეომარს იმის გამო, რომ მას ყაჩაღებიც იყენებენ? ვინ არ იცის, რომ ცეცხლი, წყალი, რომელთა გარეშეც ცხოვრება შეუძლებელია და სამყაროს მთავარი მანათობლები – მზე და მთვარე, ზოგჯერ ზიანს აყენებენ ადამიანს?

განა ბრმა აპიუსმა თავისი მჭევრმეტყველებით არ ააცილა სენატს სამარცხვინო ზავის დადება პირუსთან? მ. ტულიუსის ზღაპრულმა მჭევრმეტყველებამ არ გააცამტვერა საშინელი კანონი მინდვრების დაყოფის შესახებ? მანვე არ გაანადგურა კატილინას სიუხეშე? მანვე არ მოუტანა იმგვარი ღირსება მშვიდობიან მოქალაქეს, რომელიც მხოლოდ გამარჯვებულ მხედართმთავრებს ერგება?

განა ორატორი ხშირად შეშინებულ ჯარისკაცებს არ უბრუნებს ძველებურ სიმამაცეს? სწორედ ის არ უნერგავს მათ იმ აზრს, რომ სახელი და დიდება სიცოცხლეზე მეტია? მე არ ვუ-

ყურებ სპარტელებს და ათენელებს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი არის მაგალითი რომელი ხალხისა, რომელიც ორატორებს ყოველთვის დიდ პატივს მიაგებდა.

ვფიქრობ, ქალაქის დამაარსებლებიც ამავე გზით აღწევდნენ მიზანს. დაბნეული ხალხის ერთი იდეით გაერთიანება და შეკვრა ძლიერი, დამარწმუნებელი სიტყვის გარეშე შეუძლებელია. ვერც კანონმდებლები დაუმორჩილებდნენ ადამიანებს მკაცრ სამოქალაქო წესებს. საერთო ცხოვრების წესები, მართალია, თავად ბუნებამ შთაგვაგონა, მაგრამ უფრო მეტად მაშინ ექვემდებარება ჩვევების გამოსწორებას, როცა საგანთა სილამაზეს თან ახლავს სიტყვის სიცხადე.

ამგვარად, მართალია, მჭევრმეტყველება სხვადასხვა მიზნით შეიძლება იქნას გამოყენებული, მაგრამ არ იქნება სამართლიანი, თუ ბოროტებად იმას მივიჩნევთ, რაც შეიძლება სიკეთედაც გამოვიყენოთ. დაე, ასე იმათ იფიქრონ, ვინც რიტორიკის მთელ ძალას მხოლოდ დარწმუნების ხელოვნებაში ხედავენ, ხოლო თუ მისი არსი კარგად საუბარია (რასაც ჩვენ ვაღიარებთ), და თუ შევთანხმდით, რომ ორატორი მხოლოდ კარგი ადამიანი უნდა იყოს, მაშინ არ შეიძლება მისი სარგებლობა არ ვაღიაროთ.

მართლაც, სამყაროს შემქმნელმაც ხომ ყველაზე მეტად ადამიანი სხვა ცხოველებისგან სწორედ სიტყვის ნიჭით განასხვავა. ჩვენ ვხედავთ, რომ უტყვენი ჩვენ აღგვემატებიან სხეულის სიდიდით, ძალით, მოთმინებით, სისწრაფით და კიდევ, მათ ნაკლებად სჭირდებათ სხვისი დახმარება. ისინი თავად, სხვისი დახმარების გარეშე, ბუნებისგან სწავლობენ სიარულს, საკვების მოპოვებას, წყლების გადაცურვას.

მათი დიდი უმრავლესობა საკუთარ სხეულში პოულობს დაცვას გაცივებისგან, მტრებისგან დასაცავად ბუნებრივი იარაღი აქვთ, საკვებსაც თითქმის ყველგან ნახულობენ. ადამიანს კი ეს ყველაფერი ძალიან დიდი შრომად უჯდება. სამაგიეროდ, ჩვენ მოგვეცა გონება და მისი საშუალებით შემომქმედმა მოინდომა, ჩვენ უკვდავებთან დავეკავშირებინეთ, მაგრამ გონება ბევრს ვერაფერს გაგვიკეთებს და მთელი სრულყოფილებით ვერ გამოჩნდებოდა, სიტყვებით რომ არ შეგვეძლოს იმის გამოხატვა, რასაც აზრით ვწვდებით. სწორედ ეს აკლია ყველაზე მეტად ცხოველებს და არა აზრი და გონება. გამოქვაბულის, ან ბუდის აშენება, ბარტყების დაფრთიანება, ზამთრისთვის საკვებით მომარაგება და რაღაც ჩვენთვის არ მისაწვდომის, მაგალითად, თაფლის, ცვილის შექმნა, გარკვეული ხელოვნების საქმეა, მაგრამ ყველა მათგანს უწოდებენ უტყვ, უგონო არსებებს, რადგან მათ არ აქვთ მეტყველების უნარი.

განა მუნჯს დიდად ეხმარება გონება, ეს ღმერთის საჩუქარი? თუ ღმერთისგან ბომბული უკეთესი საჩუქარი არ არსებობს, ვიდრე სიტყვაა, რა უნდა იყოს უფრო მეტი ზრუნვის და შრომის საგანი ჩვენთვის? რითი უნდა აჯობო სხვა ადამიანს, თუ არა იმით, რითაც ადამიანები სხვა ცხოველებს აღემატებიან? მით უმეტეს, რომ არანაირ შრომას ასეთი დიდი ნაყოფი არ მოაქვს. ჩვენ ამაში სრულიად დავრწმუნდებით, თუ წარმოვიდგენთ, სრულყოფილების როგორ და რომელ საფეხურზეა ახლა ატანილი მჭევრმეტყველება და როგორზე შეიძლება კიდევ ავიდეს. აღარაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რომ მეგობრის დაცვა, სენატის, ხალხის და ჯარის დაკვალიანება, სწორი რჩევის მიცემა, პატიოსანი ადამიანისთვის არის დამახასიათებელი; არ არის საკმარისი, რომ ყველასთვის დამახასიათებელი

ფიქრის უნარით მოიპოვო იმდენი უპირატესობა და სახელი, რომ ორატორის სიტყვა, ისე, როგორც პერიკლესის მიერ ნათქვამი, გამოჩნდეს არა სიტყვებად, არამედ ჭეჭა-ქუხილად?

დასასრული არასდროს გამოჩნდება, თუ თვითკმაყოფილებით კიდევ ამ საკითხზე გავაგრძელებ საუბარს. გადავიდეთ შემდგომ საკითხზე: რიტორიკა ხელოვნებაა? არავინ, ვინც კი ამ საკითხს ეხმიანებოდა, არასდროს დაეჭვებულა ამაში. თავად წიგნების სათაურებიდანაც ძალიან კარგად ჩანს, რას გულისხმობდნენ „ორატორულ ხელოვნებაში“. ციცერონიც რიტორიკას უწოდებს დაოსტატებულ მჭევრმეტყველებას. ეს მხოლოდ ორატორებს არ მოუგონიათ იმისთვის, რომ თავიანთი საქმიანობისთვის ფასი აეწიათ. მათ ეთანხმებიან ასევე ფილოსოფოსები, სტოიკოსები და პერიპატეტიკოსები.

უნდა ვადიარო, რომ დიდხანს ვყოყმანობდი, დამეწყო თუ არა ამ საკითხზე მსჯელობა. შეიძლება ვიპოვოთ ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ სახლის აშენება, ქსოვილის შექმნა და მიწისგან გემების აგება, მეცნიერების და ცოდნის გარეშე, შეუძლებელია, ხოლო მჭევრმეტყველების (რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ყველაზე ადმატებული და მშვენიერი საქმეა), შესახებ იფიქრებდა, რომ მან მიაღწია უმაღლეს მწვერვალს ყოველგვარი მეცნიერების გარეშე.

უფრო დავიჯერებ, რომ მოწინააღმდეგენი პირდაპირ ასე არასდროს იფიქრებდნენ. მათ, უბრალოდ, უნდოდათ ეჩვენებინათ ჭკუის მახვილგონიერება ასეთი რთული საქმის გადმოცემისას. როგორც პოლიკრატესი აქებდა კლიტემნესტრას; ისევე, როგორც მან, ასეთივე განზრახვით, ძველების გადმოცემით, დაწერა სიტყვა სოკრატესის წინააღმდეგ.

ზოგიერთი თვლის, რომ რიტორიკა არის ბუნების მიერ ბოძებული ნიჭი, მაგრამ არც იმას უარყოფენ, რომ ამ ნიჭს აუცილებლად უნდა დაეხმაროს მეცადინეობა. ციცერონთან, ორატორის შესახებ წიგნში, ანტონიუსი მჭევრმეტყველებას უწოდებს ზოგიერთ დაკვირვებას და არა მეცნიერებას. ციცერონი ამას, მგონი, არ ემხრობოდა. მას მხოლოდ სურდა, თავის თხზულებებში შეენარჩუნებინა ანტონიუსის სახე, რომელმაც იცოდა ხელოვნების დაფარვა. ლისიუსი, ვფიქრობ, იმავე აზრზე იყო. იგი იმას ეფუძნებოდა, რომ უბრალო და უსწავლელი ადამიანები, იცავენ რა თავიანთ ინტერესებს, აპელირებას აკეთებენ თავდასხმაზე, ნარატივზე, მტკიცებულებაზე, უარყოფაზე და ამ ყველაფერს ამთავრებენ თხოვნით, რაც დასკვნის ფუნქციას ასრულებს. სხვები ამ აზრს ამტკიცებენ ისეთი უმნიშვნელო დეტალებით, როგორც არის: „რა აზრი აქვს მეცნიერებას. ადრე არ იყო მეცნიერება, მაგრამ ადამიანები ყოველთვის ლაპარაკობდნენ თავიანთი თავის სასარგებლოდ და სხვების საწინააღმდეგოდ. მჭევრმეტყველების მასწავლებლები შემდეგ გაჩნდნენ, დაახლოებით, ტისიუსისა და კორაქსეს დროს, ე. ი. მჭევრმეტყველება უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე მეცნიერება, ამიტომ, რიტორიკა არ არის მეცნიერება“.

ჩვენ არ შევუდგებით იმის ძებნას, კონკრეტულად როდის დაიწყო ადამიანებმა რიტორიკის სწავლა, მაგრამ ფაქტია, რომ ჰომეროსთან არის ფენიქსიც, სიტყვისა და საქმის მასწავლებელი, ბევრი ორატორი, სიტყვის ყველა სახეობა სამი ბელადის გამოსვლაში, რომლებიც ელჩებად გააგზავნეს, ჯილდოს მომლოდინე ახალგაზრდების შეჯიბრებაც მჭევრმეტყველებაში. უფრო მეტიც, სხვა რამეებთან ერთად, აქილევის

ფარზე გამოსახული არიან ბრალდებულები და მათი ადვოკატები.

საკმარისი იქნება, თუ ამ ბრალდებაზე ვიტყვი, რომ ყველაფერი, რაც მეცნიერებით იხვეწება, სათავეს თავად ბუნებისგან იღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეცნიერების ჩამონათვალიდან უნდა ამოგვეღო მედიცინა, რადგან ის განვითარდა ადამიანის ორგანიზმზე სასარგებლო და მავნე გარემოებებზე დაკვირვებით და როგორც ბევრი თვლის, გამოცდილებისგან შედგება. ჭრილობებს ადრეც უშუშებდნენ, სანამ ეს მეცნიერება დაიბადებოდა. ციებ-ცხელებასაც შველოდნენ, იმიტომ კი არა, რომ ამაში გონება იყო ჩართული, არამედ იმიტომ, რომ ამას თავად ავადმყოფობა აიძულებდა. არც არქიტექტურა იქნებოდა ხელოვნება, რადგან პირველი ადამიანები მის გარეშეც დგამდნენ ქოხებს. არც მუსიკა ყოფილა ხელოვნება, რადგან ყველა ხალხს ჰქონდა თავისი ცეკვები და სიმღერები. ასე რომ, თუ მკვერმეტყველებას ყველანაირ საუბარს დავარქმევთ, მაშინ უკან დავიხევ და ვიტყვი, რომ იგი მეცნიერებაზე ადრე განვითარებულა. ხოლო თუ ყველა, ვინც ლაპარაკობს, არ არის ორატორი, მაშინ გამოდის, ხელოვნებამ შექმნა ორატორი, ე. ი. იგი მასზე ადრე არსებობდა. ასევე, შეიძლება უარყოფით შემდეგი წინააღმდეგობაც: ის არ არის დამოკიდებული ხელოვნებაზე, რაც თავისთავად, სწავლის გარეშე ხდება. ადამიანები კი ლაპარაკს სწავლის გარეშეც ეუფლებიან.

ამას დედამისის, ნიჩბოსნის, და ესქინესის, კომედიანტის, მაგალითზე ამტკიცებენ, მაგრამ ისინი ცდებიან. უსწავლელად ორატორი ვერ გახდება, ხოლო ვინც მაგალითად მოჰყავთ, მათზე უნდა ითქვას, რომ გვიან დაიწყეს სწავლა, საერთოდ უსწავლელნი კი არ ყოფილან. ესქინესი პატარაობიდანვე იც-

ნობდა მეცნიერებებს, რომელთაც თავად მამა ასწავლიდა. ხოლო დემადესზე ზუსტად არ არის ცნობილი, საერთოდ არ სწავლობდა, თუ მხოლოდ თეატრალურ წარმოდგენებზე გამუდმებული ვარჯიშით გახდა ორატორი. ესეც სწავლის გარკვეული საშუალება არის, მაგრამ შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ მეცადინეობით იგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა. მან ვერ გახდა თავისი სიტყვების დღის სინათლეზე გამოტანა, მიუხედავად იმისა, რა სიძლიერის იყო ისინი, მისი პირით წარმოთქმული.

მეორე წინააღმდეგობა ცილისწამებას ჰგავს: „არც ერთი მეცნიერება არ დაუშვებს ცრუ აზრებს, ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს იგი იმ წესების გარეშე, რომლებიც ყოველთვის უნდა იყოს ჭეშმარიტი. რიტორიკა კი უშვებს ცრუს, შესაბამისად, იგი არ შეიძლება იყოს ხელოვნება“.

უნდა ვაღიარო, რომ რიტორიკა ზოგჯერ უშვებს ყალბს ჭეშმარიტების ნაცვლად, მაგრამ აზრი არ შეჰყავს შეცდომაში. დიდი განსხვავებაა, როგორ წარმოგვიდგენია საქმე ჩვენ თვითონ და როგორ წარმოუდგენია იგი სხვას. ზოგჯერ მხედართმთავრებიც იყენებენ ეშმაკობებს და სხვადასხვა ხრიკებს. კანიალმა, როცა ფაიუსმა ჩაკეტა, უბრძანა, ხარის რქებზე მშრალი ტოტები შემოეხვიათ, ცეცხლი წაეკიდებიათ და ასე ცხოველები იმ ტერიტორიებიდან მოპირდაპირე მთებისკენ გაერეკათ. ამით თითქოს აჩვენა, რომ კართაგენის ჯარი გარბოდა, მაგრამ ამით მან ფაბიუსი მოატყუილა, თავად კი საქმის ნამდვილი არსი იცოდა. ლაკედემონიელი თეოპომპსი, რომელმაც ტანსაცმელი ცოლს გაუცვალა, გამოვიდა სამალავიდან საკუთარი ცოლის სახით და დარაჯები შეცდომაში შეიყვანა. ასევე, ორატორმა, როდესაც ტყუილს ჭეშმარიტებად ასაღებს,

კარგად იცის, რასაც აკეთებს, შესაბამისად, თვითონ არ ტყუილდება, სხვას კი ატყუილებს.

ციცერონი თავს იწონებდა, რომ როცა კლენკიუსს იცავდა, მოსამართლეები სიბნელეში გაახვია. ნუთუ, თვითონ ვერაფერს ხედავდა? ფერმწერმა, რომელმაც თავისი ხელოვნების საშუალებით აჩვენა, რომ ზოგიერთი საგანი სურათზე ამოზნექილია, ზოგი – ჩაწეული, თვითონ არ იცოდა, რომ მთლიანად სურათი ერთ სიბრტყეზეა? ჩვენ კიდევ იმას გვედავებიან, რომ „ყველანაირ მეცნიერებას აქვს რაიმე მიზანი, ხოლო რიტორიკას ან საერთოდ არ აქვს მიზანი, ან მას ვერ აღწევს“. ცდებიან. ჩვენ უკვე მიზანზე ბევრი ვისაუბრეთ.

ორატორი ყოველთვის მიაღწევს მიზანს, როცა კარგად ისაუბრებს. წინა განცხადებას, როგორც ჩანს, ისინი ემხრობიან, ვისაც ჰგონია, რომ რიტორიკის მიზანი დარწმუნებაა. ჩვენი ორატორი და მეცნიერება არ არის წარმატებაზე დამოკიდებული. მოსამართლეების წინაშე საუბრისას, მართალია, ვცდილობთ საქმე მოვიგოთ, მაგრამ თუ კარგად ვლაპარაკობთ, სასურველი წარმატებასაც რომ ვერ მივალწიოთ, ყველაფერს ვასრულებთ, რაც მეცნიერების მიერ არის გაწერილი. კაპიტანს სურს ხომალდი მშვიდობიანად მიიყვანოს თავშესაფარში. მართალია, ამოვარდნილი ქარიშხალი ამას ეწინააღმდეგება, მაგრამ ის კაპიტნად დარჩება და იტყვის: *Dum clavum rectum teneam*. ექიმი ცდილობს, ავადმყოფს დაეხმაროს. შეიძლება, მან დახმარება ვერ შეძლოს ავადმყოფობის სიმძიმის, ან ავადმყოფის დაუმორჩილებლობის, ან კიდევ სხვა რაიმე მიზეზის გამო, მაგრამ თუ ყველა საშუალება გამოიყენა, რასაც მედიცინის მეცნიერება ავალდებულებდა, არ შეიძლება მივიჩნიოთ მიზნისგან დაშორებულად. ასევეა ორატორიც. ერთადერთი

მისი მიზანია კარგად ლაპარაკი. ეს ხელოვნება მდგომარეობს მოქმედებაში და არა შედეგში, რასაც მალე ვაჩვენებ. არასწორად თვლიან, რომ თითქოს ბევრმა მეცნიერებამ იცის, როდის მიაღწიოს მიზანს, მჭევრმეტყველებამ კი არ იცის. ორატორმა იცის, რომ კარგად ლაპარაკობს. კიდევ ორატორს იმაში ადანაშაულებენ, რომ ნაკლსაც კი თავის სასარგებლოდ იყენებს. ამას არცერთი სხვა მეცნიერება არ აკეთებს; რომ ის ტყუილსაც ამტკიცებს და ვნებათა ღელვასაც იწვევს.

არცერთი არ ვნებს, თუ განზრახვა ბოროტული არ არის. შესაბამისად, არც ნაკლია. ტყუილის ლაპარაკი ზოგჯერ ბრძენსაც ეპატიება. ვნების გამოსაწვევად, ორატორიც იძულებულია იგი გამოიყენოს, თუ მოსამართლეს სამართლიანობისთვის სხვაგვარად ვერ განაწყობს. ხშირად მოსამართლეები უბრალო ადამიანები არიან, არცთუ განსწავლულნი; არცთუ იშვიათად საჭიროა მათი მოტყუილება, რომ შეცდნენ, არ დაიბნენ. სასამართლო რომ ყოველთვის შედგებოდეს ჭკვიანი მოსამართლეებისგან, რომლებსაც ვერ გადაარწმუნებდი ვერც სიძულვილით, ვერც სიყვარულით, ვერც ცრუ მოწმებით, ვერც შიშით, ვერც იმედით, მაშინ მჭევრმეტყველებისთვის ცოტა ადგილია დარჩებოდა. მისი ფუნქცია მხოლოდ მსმენელის ყურის დატკობა იქნებოდა, მაგრამ რადგან საქმე გვაქვს მანკიერ ადამიანებთან, თუ სიმართლეს დიდი წინააღმდეგობები ხვდება, საჭიროა, ვიბრძოლოთ ეშმაკობით, ტყუილით და ყველაფრით, რაც კი შეიძლება მივმართოთ ჯანსაღი აზრისკენ. ვინც სწორ გზას ასცდა, სხვაგვარად ამ გზაზე ისევ გამოყვანა შეუძლებელია, გარეუბნების გარეშე.

გარკვეული სარკაზმი ახლავს იმათ მსჯელობას, ვინც ამტკიცებს, რომ ორატორები ხშირად ორივე მხარის სასარგებლოდ

ლაპარაკობენ, რომ „ხელოვნება კი არ ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, არამედ ორატორი ეწინააღმდეგება თავის თავს“; რომ „ხელოვნება კი არ ანგრევს თავისივე შექმნილს, არამედ ორატორი“; რომ „ის ასწავლის ან რა უნდა ვთქვათ, ან რა არ უნდა ვთქვათ“, ამიტომ, ერთის მხრივ, ის არ შეიძლება იყოს ხელოვნება, რადგან ის ასწავლის, რა არ უნდა ითქვას, ხოლო, მეორეს მხრივ, ვერ იქნება ხელოვნება, რადგან როცა ის ასწავლის, რა უნდა თქვა, პირდაპირ ასწავლის, რა არის ამის საწინააღმდეგო.

ყველა ეს მსჯელობა მხოლოდ იმ ორატორისთვის არის განკუთვნილი, რომელიც კარგი ადამიანია. როცა არასამართლიან შემთხვევასთან გვაქვს საქმე, იქ კარგი ორატორის ადგილი არ არის, იმ ექსტრაორდინალური შემთხვევის გარდა, როცა ჭეშმარიტი ორატორი, რომელიც კარგია ადამიანია, ორივე მხარის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

და მაინც, რადგან ეს შეიძლება მოხდეს, და თუ ორი ჭკვიანი ადამიანი ერთმანეთს რაღაცას უმტკიცებს სხვადასხვა მხარეს (სტოიკოსები თვლიან, რომ ჭკვიან ადამიანებს შეუძლიათ ერთმანეთს დაუმტკიცონ რაღაცეები), მე ვიტყვოდი, რომ იგი უსაფუძვლო აღმოჩნდება და მიმართული იქნება მხოლოდ ცუდი ხასიათის ადამიანის ორატორად ყოფნის შემთხვევაში.

რადგან რიტორიკა არ ეწინააღმდეგება თავის თავს, ერთი მიზეზი დაუპირისპირდა მეორეს, მაგრამ არა მჭევრმეტყველება საკუთარი თავის წინააღმდეგ. თუ ორი მამაკაცი ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ისე წარსდგა, რომ მათ ასწავლეს კამათის ხელოვნება, ამ შემთხვევაში ეს არ იქნება ხელოვნება, რადგან ამ შემთხვევაში ერთი და იმავეს მიერ გაწვრთნილი გლადიატორები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს; არც გემის პი-

ლოტირებაში იქნება ხელოვნება, რადგან საზღვაო გადაზიდვების დროს კაპიტანი ხშირად უპირისპირდება კაპიტანს; არც მხედართმთავრობაში, რადგან მხედართმთავარი მხედართმთავარს უპირისპირდება.

რიტორიკა არ ანგრევს გაკეთებულს. ორატორი არ ისვრის მის მიერ შერჩეულ არგუმენტებს. არც რიტორიკა ისვრის მათ, რადგან ვინც ამბობს, რომ რიტორიკის შედეგი დარწმუნებაა, ისე როგორც ორი ჭკვიანი ადამიანის ურთიერთდაპირისპირება გარკვეული შანსია მათთვის, ეს არის საშუალება, ალბათობა, რომელსაც ეძებენ. თუ ორ დაპირისპირებულ საგანში ერთი სიგრძეში სავარაუდოდ უფრო გრძელია, ვიდრე მეორე, არ ნიშნავს, რომ უფრო გრძელი ის არის, რომელიც წინასწარ ჩანს გრძელი. ისე, როგორც მეტად თეთრი არ არის ნაკლებად თეთრის საპირისპირო, ან უფრო – ტკბილი ნაკლებად ტკბილის საპირისპირო. შესაბამისად, არც ის, რომელიც მეტად სავარაუდოა, იმის საწინააღმდეგოა, რომელიც ნაკლებ სავარაუდოა.

რიტორიკა არ ასწავლის იმას, რა უნდა ვთქვათ და არც მის საწინააღმდეგოს, არამედ ასწავლის იმას, რაც უნდა ვთქვათ, როდის უნდა გამოვიყენოთ, რა შემთხვევაში. სიმართლე, ზოგადად, ყოველთვის არ არის დაცული. ზოგჯერ, საზოგადოებრივი კეთილდღეობა მოითხოვს, რომ ტყუილს დაუჭირონ მხარი. ციცერონის „ორატორის შესახებ“ მეორე წიგნში აღნიშნულია შემდეგი: „ხელოვნება იმ საგნებშია, რომლებიც ცნობილია. ორატორის ემოციური მიმართვა დამოკიდებულია აზრზე და არა ცოდნაზე, მაგრამ ის მაინც ორივეს მიმართავს იმათკენ, ვინც არ იცის და ზოგჯერ ამბობს იმას, რაც თვითონ არ იცის“.

რიტორიკა კარგად საუბრის ხელოვნებაა და ორატორმა იცის, როგორ ილაპარაკოს კარგად, მაგრამ ამბობენ, რომ მან არ იცის, ტყუილს ამბობს თუ მართალს. არც ფილოსოფოსებმა იციან, რომ ცეცხლი, წყალი, ან ოთხი ელემენტი, უმცირესი ნაწილაკები – ატომები ის ძირითადი ელემენტებია, რომლისგანაც ყველაფერი წარმოიშვა, მართალია თუ ტყუილი. არც იმათ იციან ზუსტად, რომლებიც ითვლიან, რა მანძილია ვარსკვლავებამდე, როგორია მზისა და დედამიწის მაგნიტუდა, მაგრამ მაინც ყველა თავის სისტემას ხელოვნებას უწოდებს. თუ მათ მსჯელობას ვუჯერებთ და არ ვფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მათ წარმოსახვაში და იმის ძალაშია, აჩვენონ, რაც იციან, იმავე აზრს იგივე ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ორატორის შემთხვევაშიც.

მეტყვიან, რომ ორატორმა ყოველთვის არ იცის, რომელ მხარეზეა სიმართლე, მაგრამ განა ექიმმა ზუსტად იცის, რომ როცა პაციენტი თავის ტკივილის ჩივილებით მივა მასთან, ეს ნამდვილად თავის ტკივილია და არა სხვა რამით გამოწვეული ტკივილის შეგრძნება? ორატორი ყოველთვის არ გეგმავს სიმართლის თქმას, მაგრამ ყოველთვის უმიზნებს იმას, რაც ჰგავს სიმართლეს? მაგრამ ორატორმა უნდა აუცილებლად იცოდეს, რასაც ამბობს, ჰგავს თუ არა სიმართლეს.

აი, მთავარი წინააღმდეგობა რიტორიკის: ყველა დანარჩენი სუსტია და იმავე წყაროსგან წარმოიშვება, ხოლო ის რომ რიტორიკა ხელოვნებაა, ამას მოკლედ გაჩვენებთ. როგორც კლეანტუსი ამბობს, თუ ყველა მეცნიერება არის გზის მაჩვენებელი და წესრიგის დამმყარებელი, ვინ არ სცნობს რიტორიკას მჭევრმეტყველების მთავარ, ერთგულ ხელმძღვანელად? ხოლო თუ მეცნიერება შედგება წესებისგან, რომლებსაც მივყა-

ვართ სწორი მიზნისკენ (ამაზე არავინ არ დავობს), ეს რიტორიკაში ნამდვილად არსებობს. ამასთანავე, ის, ისე როგორც სხვა მეცნიერებები, არ ეყრდნობა განსჯას და მოქმედებას? თუ დიალექტიკა არის მეცნიერება, რაღა ვუწოდოთ რიტორიკას, რომელიც მისგან უფრო გარეგნულად განსხვავდება, ვიდრე სახეობით წარმოშობით? ამიტომ, არა მხოლოდ ნასწავლი უსწავლელს, არამედ ნასწავლსაც ჯობია მჭევრმეტყველებაში განსწავლული. სხვანაირად ვერ აიხსნება, უამრავი წესი და ამდენი ცნობილი მასწავლებელი რომ გვყავს. ეს ყველამ უნდა აღიაროს. ჩვენ ამაში განსაკუთრებით დარწმუნებული ვართ, რადგან მჭევრმეტყველებას ვერ დავაშორებთ პატიოსნებას და სათნოებას.

სხვები მეცნიერებისგან მხოლოდ დაკვირვებას ითხოვენ, ანუ საგანთა შემეცნებას და განხილვას, როგორც, მაგალითად, ასტროლოგიაში, რომელიც ყოველგვარი მოქმედების გარეშე, შემოიფარგლება შესასწავლი საგნის შემეცნებით და მას ეწოდება ფიქრიანი. ზოგიერთი მეცნიერება მხოლოდ მოქმედებისგან შედგება და მისი მიზანი თავად მოქმედებით განისაზღვრება. მათ ეწოდებათ ქმედითი. როგორც, მაგალითად, ცეკვა. ზოგი ქმნის პროდუქტს და მათ წარმოებითი ჰქვია. როგორც არის, მაგალითად, ფერწერა. რიტორიკა შეიძლება იმ ტიპის მეცნიერებას მივაკუთვნოთ, რომელიც მოქმედებაში მდგომარეობს, რადგან იგი მიზანს მოქმედებით აღწევს. ყველა მასწავლებელს ასე მიაჩნია, მაგრამ მგონია, რომ იგი ორი დანარჩენი ტიპის მეცნიერებისგანაც ბევრს სესხულობს, რადგან, ზოგჯერ, შეიძლება უბრალო დაკვირვებითაც დაკმაყოფილდეს. რიტორიკა მდუმარე ორატორშიც არსებობს და თუ იგი, ნებისით თუ უნებლიედ, სასამართლოზე შეწყვეტს საუბარს,

მაინც ორატორი იქნება; ისე, როგორც ექიმი, რომელმაც შეწყვიტა პაციენტის მკურნალობა, მაინც ექიმად რჩება. არ ვიცი, უფრო მეტ შედეგს სწავლისგან მაშინ ხომ არ ვიღებთ, როცა მივატოვებთ საქმეებს და საკუთარ თავში ჩაღრმავებით, საკუთარი მოსაზრებებით ვტკბებით?

და ბოლოს, რიტორიკა შეიძლება იყოს წარმოებითიც, რადგან მისი პროდუქტია ის სიტყვები და ისტორიები, რომლებსაც იგი ქმნის და საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს. ესეც ორატორის მოვალეობაში შედის. ოღონდ, თუ მაინც უნდა გადავწყვიტოთ, ამ სამი სახეობიდან რომელს უფრო განეკუთვნება რიტორიკა, რამდენადაც მისი გამოყენება უფრო ხშირად ქმედებაში ხდება, თანახმა ვარ, დავარქვათ მას მოქმედებითი, ან წარმოებითი, რაც, ფაქტობრივად, ერთი და იგივეა.

კითხულობენ – ბუნებრივი ნიჭი უფრო ეხმარება მჭევრმეტყველებაში დაოსტატებას, თუ სწავლა? მიმაჩნია, რომ ორივე მათგანი აუცილებელია. უბრალოდ ავხსნი, როგორ უნდა იქნეს ამ შემთხვევაში გაგებული ან ერთი, ან მეორე. თუ ორივეს ერთმანეთისგან საერთოდ გამოვყოფთ, ბუნებას შეუძლია სწავლის გარეშეც ბევრი რამის გაკეთება, ხოლო მხოლოდ სწავლით, ბუნების გარეშე, ბევრს ვერაფერს მიაღწევ. უნაყოფო მიწას საუკეთესო მიწათმოქმედიც ვერაფერს შველის, ნაყოფიერი მიწისგან დამუშავების გარეშეც რაიმე სასარგებლო შეიძლება გაიზარდოს, ხოლო ნაყოფიერ მიწაზე კარგი მიწათმოქმედი გაცილებით მეტ სარგებელს მოიპოვებს. თუ პრაქსიკული წისქვილის ქვიდან მოინდომებდა ქანდაკების გაკეთებას, მე ძვირფას მარმარილოს ვამჯობინებდი. თუ იგივე მხატვარი მას საქმეში გამოიყენებდა, მაშინ მეტი ფასი მხატვრის

ხელში დაედებოდა, ვიდრე თავად ამ ნივთს ჰქონდა. ერთი სიტყვით, ბუნება არის ნივთიერება, ხოლო მეცნიერება – მხატვარი. ერთი იძლევა სახეს, ხოლო მეორე – იღებს. მხატვრობა ნივთიერების გარეშე არაფერია, ნივთიერებას მხატვრობის გარეშეც აქვს თავისი ფასი, მაგრამ საუკეთესო დამუშავება ყველაზე ძვირფას ნივთიერებაზე უფრო ღირებულია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეკითხვა: რიტორიკა მიეკუთვნება თუ არა იმ მეცნიერებებს, რომლებიც თავისთავად არც საქებია და არც საზიანო, მაგრამ სასარგებლოა, თუ არის ისეთი ღირსეული მოსამართლეები, რომლებიც მას ასე იყენებენ? ვფიქრობ, იმათგან, ვინც თავის თავზე იღებს, გამოსაწოროს ორატორის მოვალეობა, ზოგიერთი საერთოდ მოკლებულია მეცნიერებას (რას ჰქვია ἀτεχνία, მათ არ აქვთ არც ჯანსაღი აზრი, არც შეძენილი/მიღებული ინფორმაცია. მისდევენ უსირცხვილობის და შიმშილის მოტივაციას, ფლობენ ავთვისებიან მეცნიერებას (κακοτεχνία); ან იყენენ და დღესაც არიან ბევრნი ისეთნი, რომლებიც სიტყვის ძალას მიმართავენ სხვების დაღუპვისკენ. ზოგში ვხედავ მხოლოდ მეცნიერების უსარგებლო მიზანძვას (ματαιοτεχνία), რომელიც თავისთავად არც ცუდია და არც კარგი, უბრალოდ, ფუჭი შრომაა. მაგალითად, ერთი ადამიანი შორიდან ცერცვს ისროდა და ყოველთვის ნემსის ყუნწში ახვედრებდა. როცა ეს ალექსანდრემ დაინახა, მას მისცა უამრავი ცერცვი, რაც, ყველაზე დიდი ჯილდო იყო ამ საქმიანობისთვის.

ასეთებად იმათ ვთვლი, რომლებიც მთელი ცხოვრება დეკლამაციებს ქმნიან და მათში არაფერს სიმართლის მსგავსს არ წერენ. ის მჭევრმეტყველება, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რომლის წესების დადგენასაც აქ ვცდილობთ, რომელიც დამა-

ხასიათებელია წესიერი ადამიანისთვის და რომელიც ჭეშმარიტ მქვერმეტყველებას წარმოადგენს, ყოველთვის ღირსეული იქნება. ფილოსოფოსებს ამის საჩვენებლად ბევრი გონებაამახვილური არგუმენტი მოჰყავთ, მაგრამ მე ჩემი საკუთარი არგუმენტები უფრო მარტივი და ნათელი მგონია. თუ კეთილგონიერება, როგორც ისინი ამბობენ, იმის ცოდნაშია, რა უნდა გააკეთო და რა არ უნდა გააკეთო, ასეთივე კეთილგონიერება არის ისიც, რომ იცოდე, რა თქვა და რა არ უნდა თქვა. და კიდევ. თუ არის ისეთი სათნოებები, რომელთა მარცვალი, სანამ დარიგებებს მივიღებდეთ, ბუნებისგან მანამდე არის ჩვენში ჩათესილი, ჩვენც ვიზადებით იმ განწყობით, რომ სხვები დავიცვათ, მაგრამ ასე არ ხდება სხვა მეცნიერებების შემთხვევაში, რომლებიც კეთილ ქმედებასთან არანაირ კავშირში არ არიან. არსებობს ორი სახის სიტყვა: ჩვენ სათქმელს ვამბობთ ან უწყვეტად და ამას ჰქვია რიტორიკა, ან მოკლედ, ინტერვალებით და ამას ვეძახით დიალექტიკას. ზენონი მათ ერთმანეთისგან ისე მცირედით განასხვავებდა, რომ დიალექტიკას მომუშტულ ხელს ამსგავსებდა, ხოლო რიტორიკას – გაშლილს. თუ ფილოსოფოსების აზრით, მეცნიერება, რომელიც დაკავებულია შიშველი და მშრალი შეჯიბრებებით, არის ღირსება, მაშინ ეს ღირსება უნდა მივანიჭოთ რიტორიკას, რომელიც ყველაზე უფრო ღიაა და ხილული ყველა ქმედებით, მაგრამ ქმედებებისგან აღებული მტკიცებულებები უფრო ნათელი იქნება.

როგორ საქებარ სიტყვას უნდა ველოდოთ ორატორისგან, თუ მას მორალზე წარმოდგენა არ აქვს? როგორ რჩევას მისცემს იგი, თუ უგულვებლყოფს ყველა გარემოებას, რითაც შეიძლება სწორი რჩევა მისცეს? როგორ დაიცავს ბრალდებულს,

თუ არ ეცოდინება მართლმსაჯულება და კანონები? როცა ხალხის ყიჟინში ლაპარაკობ, როცა ძლიერებს, შეიარაღებულ ჯარისკაცებს ესაუბრები და გიწევს მათი შეურაცხყოფა (ეს კი ყოველთვის საშიშია), ხომ არის საჭირო სულის სიმტკიცე? შესაბამისად, გამოსვლაც არ იქნება სრულყოფილი, თუ მჭევრმეტყველება არ არის ღირსეული საქმე.

თუ ყველა ცხოველში არის რაიმე თვისება, რომლითაც სხვას აღემატება, როგორც, მაგალითად, ლომი სიმამაცით, ცხენი – სისწრაფით და თუ ადამიანი ყველას გონებით აღემატება, არ გვჯეროდეს ადამიანისთვის დამახასიათებელი ღირსების? კრასუსი ციცერონთან პირდაპირ ამბობს, რომ მჭევრმეტყველება არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსება. თავად ციცერონი, ბრუტუსისადმი მიწერილ წერილებში და სხვა თხზულებებში, მას კეთილგონიერს უწოდებს; მაგრამ მეტყვიან, ბოროტ ადამიანსაც შეუძლია თავისი გამოსვლით განგაწყოს და წარმოადგინოს საუკეთესოდ თხრობაც, არგუმენტებიც, მიზეზებიც. მე კი ვუპასუხებ მათ: ყაჩაღსაც კი შეუძლია მამაცურად იბრძოლოს, მაგრამ სიმამაცე ვერ მოწყდება სიქველეს; ბოროტი მონაც გადაიტანს წამებას კვნესის გარეშე, მაგრამ სულის სიმტკიცე არ დაკარგავს ქებას. ბევრი იმავეს აკეთებს, მაგრამ სხვადასხვა მიზნით. მაშ, საკმარისია ვამტკიცოთ, რომ მჭევრმეტყველება ღირსებაა, ხოლო მის სარგებლობაზე ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ.

რაც შეეხება ორატორის მასალას. ზოგი ამბობს, რომ ეს არის გამოსვლა (სიტყვა), როგორც ამას პლატონთან გორგიასი ამტკიცებს. როგორც მოქანდაკისთვის ქანდაკება არის შემოქმედების პროდუქტი, ისე ორატორისთვის სიტყვა არის შემოქმედების პროდუქტი. უბრალოდ ლაპარაკი არ არის ხელოვნე-

ბის შედეგი. ზოგს მიაჩნია, რომ ორატორის მასალა არის დამარწმუნებელი არგუმენტები. ეს მართლაც არის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ მხოლოდ მასალა თხზულებისთვის. ზოგისთვის ეს არის სამოქალაქო ადმინისტრაციის საკითხები. ეს მცდარი მოსაზრებაა, რადგან ასეთი საკითხები რიტორიკის საგანია, მაგრამ არა მხოლოდ საგანი.

რადგან ორატორი უნდა იყოს სათნო, ზოგი ამბობს, რომ მისი მასალა უნდა იყოს ადამიანის მთელი ცხოვრება. სხვებისთვის მთელ ცხოვრებასთან არ არის დაკავშირებული სათნოება, არამედ მხოლოდ მის ნაწილთან, როგორცაა: სამართლიანობა, სიმტკიცე, თავმოყვარეობა, საკუთარი საზღვრების დაცვა, ამიტომ მათთვის რიტორიკა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ერთი ნაწილით, მაგალითად, ეთიკით.

რიტორიკის საგნად მიმაჩნია ყველაფერი, რაზეც კი შეიძლება ვისაუბროთ. აქ ვეყრდნობი საუკეთესო მწერლების აზრს. პლატონთან სოკრატესი მგონი, გორგიასს შთააგონებს, რომ რიტორიკის საგანი სიტყვებში კი არა, საქმეშია. „ფედრაში“ სოკრატესი პირდაპირ ამტკიცებს, რომ იგი არა მხოლოდ სასამართლო სიტყვებსა და გარჩევებშია, არამედ კერძო საქმეებშიც უდევს წილი. აქედან ჩანს, რომ თავად პლატონიც ასე ფიქრობდა.

ციცერონი ერთგან ჩამოთვლის, კერძოდ რა არის რიტორიკის საგანი, მაგრამ სხვაგან თვლის, რომ ორატორს შეუძლია ყველაფერზე ილაპარაკოს. აი, მისი სიტყვები: „ორატორის ძალა და მისი მოვალეობაა, რომ ყველაფერზე, რასაც კი შესთავაზებენ, ისაუბროს ნათლად და ოსტატურად“. და კიდევ, ციცერონი ამბობს, რომ „ორატორი ვალდებულია, ყველაფერზე, რაც კი ადამიანების ცხოვრებაში ხდება (და ეს იქნება მისი სა-

განი), იფიქროს, იმსჯელოს, მოისმინოს, წაიკითხოს, განსაჯოს. მაგრამ საგანს, რომელსაც ჩვენ ახლა ორატორს ვუდგენთ, ზოგი განუსაზღვრელს უწოდებს, ზოგი – რიტორიკისათვის უცხოს და ამ მეცნიერებას უწოდებენ არა მდგრადს, საგნიდან საგანზე მორბენალს.

ჩემთვის არ არის ძნელი ამ მოსაზრებათა უკუგდება. ისინი თავადვე აღიარებენ, რომ რიტორიკა ყველაფერზე ლაპარაკობს, ხოლო უცხოდ მისთვის ამას იმიტომ თვლიან, რომ ასეთი საგანი მრავალნაირია. არ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იგი განუსაზღვრელი და უსასრულოა, ისე, როგორც არქიტექტურა მოიაზრებს ყველა დეტალს, რაც კი მშენებლობას ეხება, უმნიშვნელო წვრილმანის ჩათვლით; საჭრეთელი ოქროსგან, ვერცხლისგან, სპილენძისგან სხვადასხვა ნაკეთობებს ამზადებს; ქანდაკება, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მასალისა, ხისგან, მინისგან, ძვირფასი ქვებისგან, ძვლისგან, მარმარილოსგანაც მზადდება. ნუთუ რიტორიკის საგანი არ შეიძლება იყოს ის, რასაც სხვაც იყენებს? როცა ვიკითხავ, რისგან ამზადებს მოქანდაკე ქანდაკებას, მიპასუხებენ, სპილენძისგან. ვიკითხავ: რისგან აკეთებს ჭურჭელს თითბერის სპეციალისტი? ასევე მეტყვიან, სპილენძისგან. ქანდაკებებსა და ჭურჭელს შორის კი დიდი განსხვავებაა. ნუთუ მედიცინაც აღარ იქნება მეცნიერება, რადგან სხეულის დაზეღვა და მოძრაობები ჰგავს მებრძოლთა მოძრაობებს და რომ საკვები, რომელსაც ექიმები გამოწერენ, ისევე მზადდება, როგორც ამას მზარეულები აკეთებენ?

მეტყვიან, რომ სიკეთეზე, სასარგებლოზე და სამართლიანზე მსჯელობა ფილოსოფოსის საქმეა. დაე, ასე იყოს, რადგან სიტყვა ფილოსოფოსის ქვეშ გულისხმობენ პატიოსან ადამი-

ანს. რატომღა უნდა გაგიკვირდეს, როცა ორატორი, რომელსაც ჩვენ არ განვასხვავებთ პატიოსანი ადამიანისგან, იმავე საკითხებით დაინტერესდება?

მე უკვე პირველ წიგნში ვაჩვენე, რომ ფილოსოფოსებმა მითვისეს ის ნაწილი, რომელიც ყოველთვის ორატორებს ეკუთვნოდათ. შესაბამისად, არა ჩვენ დავუფუძლეთ მათ საკუთრებას, არამედ, ისინი – ჩვენსას. ბოლოს, თუ დიალექტიკას შეუძლია ყველაფერზე იმსჯელოს, რისთვის შევზღუდოთ რიტორიკა, რომელიც დიალექტიკისგან მხოლოდ გამოსვლით განსხვავდება?

აი, კიდევ ერთი წინააღმდეგობა: ორატორმა თუ ყველაფერზე უნდა ილაპარაკოს, ე. ი. ყველაფერი უნდა იცოდეს. მე ამაზე შემიძლია ციცერონის სიტყვებით ვუპასუხო: „ვერც ერთი ორატორი ვერ იქნება სრულყოფილი, თუ არ შეისწავლა მეცნიერებები და სხვადასხვა საკითხები“. ჩემთვის კი, ისიც საკმარისია, თუ ორატორი საფუძვლიანად გაიაზრებს იმ საკითხს, რომელზე საუბარსაც იგი აპირებს.

ყველა შემთხვევა ვერ ეცოდინება, მაგრამ ყველაფერზე საუბარი უნდა შეეძლოს. რაზე უნდა ილაპარაკოს? რის შესახებაც სრული ინფორმაცია აქვს. იგივე ეხება მეცნიერებებს, რომლებზეც მსჯელობა მოუწევს. ჯერ ისწავლოს, მერე კი, მათზე ილაპარაკოს.

თქვენ ფიქრობთ, რომ მხატვარს თავის ხელოვნებაზე, ხოლო მუსიკოსს – მუსიკაზე შეუძლია უკეთ ისაუბროს, ვიდრე ორატორს – უცნობ საქმეზე? რა თქმა უნდა. ნებისმიერი მთხოვნელი უკეთ იტყვის თავის საქმეზე, ვიდრე ორატორი, რომელმაც არ იცის, რაში მდგომარეობს საქმის არსი, მაგრამ თუ ინფორმაციას მოკრებს მხატვრისგან, მუსიკოსისგან და

ყველა მთხოვნელისგან, ორატორი, უდავოდ, უკეთ ილაპარაკებს, ვიდრე თავად ისინი – თავიანთ საქმეზე. თუმცა, მხატვარიც იტყვის თავის ხელოვნებაზე, მუსიკოსიც – მუსიკაზე თუ იგი არ იქნება ორატორი, მაგრამ ისე გააკეთებს ამას, როგორც ორატორი გააკეთებდა. ადამიანი, რომელიც არ არის ექიმი, შეიძლება ჭრილობა ექიმივით გადაახვიოს. ნუთუ ამგვარი რამეები არ შედის არც სახოტბო, არც სათათბირო, არც სასამართლოზე წარმოსათქმელ სიტყვებში? როდესაც ოსტის პრისტანის მოწყობაზე მსჯელობდნენ, ორატორი არ იყო ვალდებული თავისი აზრი ეთქვა? საქმე კი ეხებოდა არქიტექტორის მოვალეობას. კიბო და ლაქები სხეულზე რომ მოწამვლის, ან სოკოს ნიშანია, ამაზე ორატორი არ მსჯელობს? ეს კი მედიცინას ეკუთვნის. რიცხვები და საზომები ზოგჯერ არ შედის მის ინტერესებში? ეს გეომეტრიას განეკუთვნება. ჩემი აზრით, ყველა ეს საგანი, ასე თუ ისე, შედის ორატორის მოვალეობაში. თუ ამ საკითხს არ გადაეყრება, მაშინ მასზე არც ისაუბრებს.

ასე რომ, ჩვენ სწორად ვთვლით – რიტორიკის საგანია ყველაფერი, რაზეც კი ლაპარაკი შეიძლება. ეს ჩვეულებრივი საუბრით მტკიცდება. თუ უბრალოდაც ვაპირებთ ამა თუ იმ თემაზე საუბარს, ხშირად წინასწარ ვამზადებთ მსმენელს ჩვენი გამოსვლის შინაარსთან, ან საგანთან დაკავშირებით.

გორგიასის აზრით, ორატორმა უნდა იცოდეს ყველაფერი, რაზეც კი შეიძლება დაუსვან შეკითხვა. ჰერმაგორასიც ასევე ფიქრობს.

თუ ის ფიქრობდა, რომ ეს შეკითხვები ორატორს არ ეკუთვნის, მე მაინც სხვაგვარად ვხედავ ამ საკითხს, მაგრამ მასაც რომ არ ეკუთვნოდეს, მე მაინც მისი კომპეტენციის იმედი

მაქვს, რადგან არ არსებობს საგანი, ან შეკითხვა, რომელიც მასთან არ იქნება დაკავშირებული.

არისტოტელეც რომელიც რიტორიკას სამ ნაწილად ჰყოფდა – სასამართლო, სათათბირო და საჩვენებელი, თვლიდა, რომ ორატორის ხელში იყო ყველაფერი, რადგან არ არსებობს საგანი, ჩამოთვლილთაგან რომელიმეში რომ არ ხვდებოდეს.

ზოგიერთ მწერალს აინტერესებდა, რა არის რიტორიკის იარაღი. იარაღს იმას ვუწოდებ, რომლის გარეშეც მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. ვფიქრობ, ეს მხატვარზეა და არა მეცნიერებაზე. ცოდნა იარაღს არ ითხოვს. ის თავად არის იარაღი, თუმცა ჯერ არაფერი შეუქმნია, მაგრამ მხატვარს ესაჭიროება იარაღი, როგორც მჭრელს – საჭრეთელი, ფუნჯი – ფერმწერს. ამას ავხსნით, როცა რიტორიკაზე ვისაუბრებთ.

ლათინურიდან თარგმნა **ნინო ჩიხლაძემ**



VARIA

ხალხური ლათინური ენა

2020 წელს გამოვიდა მეცნიერის, პედაგოგის ირაკლი შენგელიას მონოგრაფიის *Народно-разговорная латынь. Цодна: Тбилиси, 1962* ქართული თარგმანი „ხალხური ლათინური ენა“ (მთარგმნელ-რედაქტორები: მანანა ფხაკაძე, თამარ ჭეიშვილი, რედაქტორი ქეთევან აბესაძე, რეცენზენტი ქეთევან გარდაფხაძე, თბილისი, ლოგოსი, 2020).

ღვაწლმოსილი მეცნიერი და გამორჩეული კეთილშობილების ადამიანი ირაკლი შენგელია დაიბადა 1919 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში. მამა, გიორგი შენგელია, 1919 წლამდე მეფის არმიის გენერალი 1935 წელს მეუღლესთან - ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტისა და მწერლის იონა მეუნარგიას ქალიშვილ ნინოსთან ერთად - ჯერ შუა აზიაში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კი კიდევ უფრო შორს, ციმბირში გადასახლეს და იქიდან ცხადია, არ დაბრუნებულა.

ირაკლი შენგელიას ჩინებული განათლება ჰქონდა მიღებული. 1928-1935 წლებში იგი ლენინგრადის სკოლაში (გერმანულ სექტორზე) სწავლობდა.

1935 წელს მშობლებმა გადასახლებაში წაიყვანეს. ფრანგულად აღზრდილი, დიდად განათლებული ქალბატონი ნინო დამლაგებლად მუშაობდა, რომ შვილს ენების სწავლა გაეგ-

რძელებინა. (ირაკლი შენგელია თავისუფლად ფლობდა გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, ლათინურ, ძველბერძნულ ენებს). ირაკლი შენგელიამ სკოლა 1938 წელს ტაშკენტში დაამთავრა.

იმავე წელს ნათლიებმა – ოპერის ცნობილმა მომღერალმა ვერა დავიდოვამ და მისმა მეუღლემ, ოპერის დირექტორმა, დიმიტრი მჭედლიძემ მოახერხეს საქართველოში მისი დაბრუნება (მოგვიანებით დედისაც) და ირაკლი შენგელიამ თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსულ სექტორზე ჩააბარა. 1944 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში სპეციალობით „კლასიკური ფილოლოგია“. მისი ხელმძღვანელი აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი გახლდათ. 1950 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პრომეთეს მითის უძველესი ელემენტები“.

1964 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, მუშაობდა ისტორიის (1947-1950), ხელნა-

წერთა (1964-1965), თსუ-სა (1970 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე) და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტებში, სხვადასხვა დროს იყო ამ ინსტიტუტში ზოგადი ფილოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი (1950-1964), გერმანული ენის ფაკულტეტის დეკანი (1952-1958), პრორექტორი (1965-1970) და რექტორი (1972-1973). ირაკლი შენგელიას გამოქვეყნებული ჰქონდა მონოგრაფია და საინტერესო ორიგინალური სამეცნიერო სტატიები.

ირაკლი შენგელია მეცნიერებაში გაუკვალავ გზებს ირჩევდა, იკვლევდა ხალხურ ლათინურს, რომლის მცოდნე არამც თუ ჩვენთან, ვეებერთელა საბჭოთა კავშირშიც ორიოდე კაცი

იყო, საქართველოში კი ამ საგნის ერთადერთი და უნიკალური სპეციალისტი გახლდათ.

ქართულ ენაზე სწორედ ეს რარიტეტად ქცეული მნიშვნელოვანი მონოგრაფია „Народно-разговорная латынь“ ითარგმნა. ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ხალხურ ლათინურ ენაზე შექმნილი თითქმის ყველა ტექსტის (Inscriptiones, Petronii Cena Trimalchionis, Itala et Vulgata, Appendix Probi, Mulomedicina Chironis, Itinerarium Egeria) თავმოყრისა, ამ ტექსტების გრამატიკული, სემანტიკური, ისტორიული კომენტარებისა და ჩვენს სივრცეში პირველი სისტემატიზირებული ხალხური ლათინური გრამატიკის წარმოდგენის გამო.

წიგნის პირველ ნაწილი - ქრესტომათია - შეიცავს ხალხურ ლათინური ტექსტებს -წარწერებს, პეტრონიუსის „ტრიმალქიოს ნადიმს“, იტალასა და ვულგატას, პრობუსის დანართს, ქირონის მულომედიცინას და ეგერიას მოგზაურობას (11-48 გვ.).

წიგნის მეორე ნაწილი-კომენტარები- ამ ტექსტების გრამატიკულ და ისტორიულ კომენტარებას ეძღვნება (49-189 გვ.). ირაკლი შენგელია აქ თანმიმდევრულად განიხილავს ქრესტომათიის ტექსტებს, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს ხალხურ ლათინურ ენაში დამკვიდრებულ ფრაზეოლოგიზმებს, ანდაზებს, გამოთქმებს, რომელთა მიხედვითაც ხსნის ხალხური ენის თავისებურებებს, გრამატიკული ფორმების ისტორიული ფორმირების პროცესსა და რომანულ ენებში მათ მრავალგვარ ტრანსფორმაციას.

ასე მაგ.: *“rogo, me putatis illa cena esse contentum: ყოველდღიური მეტყველებისთვის დამახასიათებელია თანამოსაუბრის ყურადღების მიპყრობა ჩართული გამოთქმებით, როგორცაა*

inquam, tibi dico, etc. ამავე მიზნით გამოიყენებოდა ასევე *oro te*. ეს გამოთქმა ციცერონთან შუა წინადადებაში გვხვდება (*Att. 4.8a: dic, oro te, clarius*), პეტრონიუსთან წინადადების დასაწყისში (*45.1: oro te...melius liquere*) და ა.შ. იმპერიის პერიოდის ხალხურ ლათინურში *rogo*-მ განდევნა *quaeso, oro* დაშენარჩუნდა რომანულ ენებში, cf. რუმ. *rugà*, პრ., ესპ., *rogar*. *Rogo* უმეტესად გვხვდება წინადადების დასაწყისში, იშვიათად წინადადების შუაში, ხშირად გვხვდება პეტრონიუსთან, განსაკუთრებით აზატების დიალოგებში”.

ან „*meliusculae a Graeculis*: კნინობითი სახელების განსხვავებული სემანტიკური მნიშვნელობით ფართოდ გამოიყენება ლათინური ენის ექსპრესიული საშუალება იყო (cf. e.g., საოჯახო ლექსიკაში *fraterculus, matercula, sororcula, etc.*). კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსები ფართოდ გავრცელებული იყო ხალხურ ლათინურშიც, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიაში დარგობრივი ლექსიკის საწარმოებლად. ამასთან, ხშირ შემთხვევებში, კნინობით სახელებს ექსპრესიული მნიშვნელობა არ ჰქონდა და რთულ ფუძეებს მარტივი ფუძეებით ანაცვლებდა (cf. იტალ. *vecchio*, ფრანგ. *vieux* < *veclus* (*vetulus*) = კლას. ლათ. *vetus*, ფრანგ. *oreille* < *auricula* = კლას. ლათ. *auris, etc.*).

შემდეგ ვრცელ თავში - „ფონეტიკა“ (190-252 გვ.) განხილულია ზემოხსენებული ტექსტების ფონეტიკური თავისებურებები: მახვილი, ხმოვნები, მარცვლების სიგრძე-სიმოკლე, დიფთონგთა მონოფთონგიზაცია, თანხმოვანთა ჯგუფების გამარტივება, ასიმილაცია, ეპენთეზისი, ანაპტიქსი, მეტათეზისი და ა.შ. და ა.შ., ტექსტებში დამოწმებული ყველა ფონეტიკური მოვლენა. მაგ.: *parantalia* (183), *carcar* (43), *ansar* (129; 164), *passar* (163), *novarca*

(168), *Serena* (203): ამ სიტყვებში სონანტი *r* განაპირობებდა ას-იმილაციას. ხალხურ ლათინურში *-ar-* დაბოლოებიანი ფორმების გავრცელება რომანული შესატყვისობებით დასტურდება, cf. ესპ. *pajaro, passaro* (“ჩიტი”), რომელიც *passer* < *passer* (163)-დან მომდინარეობს. *ansar-*ი მიეკუთვნება ხალხური ლათინურის იმ სიტყვებს, რომლებიც რომანულ ენებში არ შენარჩუნებულა. Cf. ფრანგ. *oie* (“ბატი”) < *auca* (*avica*). ხალხური ლათინურის ფუძეს *carcar* (43) შეესატყვისება *CARCARIS* (CIL 9.1617), ასევე ძვ. იტალ. *carcar* (“ციხე”), (იტალ. *cárcere*). *novarca* (168), როგორც ჩანს, წარმოიშვა ფუძეების *noverca*-სა და *nova*-ს კონტამინაციით. *Serena* = *Sirena* (203) ხალხური ეტიმოლოგიით აიხსნება, cf. *serena*

vox.“ ან „რესპუბლიკის პერიოდში დიალექტურ და ხალხურ ლათინურში მონოფთონგიზაცია *ae > e* უმახვილო მარცვლებში, მახვილიან მარცვლებში კი — პირველი

საუკუნიდან გახდა კანონზომიერი, cf. *CESVLA* = *Caesulla* (CIL 1 2 .376), *CEDITO*, *CED(e)RE* = *caedito*, *caedere* (CIL 1 2 .366). პირველი საუკუნიდან, *ae >* *e* მონოფთონგიზაციის შედეგად, დაწერილობისას *ae-* სა და *e-*ს აღრევა ხდებოდა, cf. *EMILIO* = *Aemilio* (CIL 4.1553), *QVESTVS* = *quaestus* (CIL 2.6278), *ERE* = *aere* (CIL 9.3685). ვაროსთან (Ling. 5.97) დასტურდება ხალხური ფორმა *edus* = *haedus*, etc. მეორე-მესამე საუკუნეებისთვის მონოფთონგიზაცია *ae >* *e* ლათინური ენის გავრცელების მთელ არეალში გვხვდება, მესამე-მეოთხე საუკუნეებში *ae* [e]-ს მონოფთონგური წართოქმა რომაული ლათინური ენისთვის ნორმად იქცევა.

გრძელ *ē* < *ae-*ში ღია ტემბრის არსებობა პირველ საუკუნეში *ē*-სა და *ae-*ს დაწერილობის აღრევის შემთხვევებითა (cf. *MAEAE* = *mēae* (CIL 4.1684), *AEQVES* = *ēques* (CIL 6.3409)) და, ასევე, რომანული ენების ვოკალიზმით დასტურდება, cf.: *querit* > იტალ. *chiede*, ესპ. *quiere*, ძვ. ფრანგ. *quiert* („ის ეძებს“).

caelum > იტალ. *cielo*, ესპ. *cielo*, ფრანგ. *ciel* („ცა“);

laetum > იტალ. *lieto*;

caecum > იტალ. *cieco*, ესპ. *ciego*. და ა.შ. “

თავში - „მორფოლოგია“ (253-335 გვ.) ხალხურ ლათინურ ენაზე შექმნილი ტექსტების მორფოლოგიაა შესწავლილი. სახელდობრ: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელების ბრუნვები და მათი ფუნქციები, ნაცვალსახელები, ზმნა, უღლების თავისებურებები, ზმნის დროები, ნაზმნარი არსებითი და ზედსართავი სახელები და ა.შ. და ა.შ. მაგ.: „... *istum medianum*: ტექსტში ავტორი *iste*-ს *hic*-ის მნიშვნელობით იყენებს. ტექსტში ორჯერ გვხვდება

ხალხური ლათინურისთვის დამახასიათებელი და რომანულ ენებში გავრცელებული შეთანხმება, *ecce iste* (XIV.2.3): cf. *ecce iste* > ფრანგ. *cet, ce, eccum istum* > იტალ. *questo* (“ეს”), cf. *etiam* XIV.1: *ecce hic* = ფრანგ. *ici*, v. “მორფოლოგია”, LXV. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მაგალითი პირდაპირ ნათქვამში გვხვდება“.

შესაბამისად, წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ხალხური ლათინური ენის სისტემატიზირებულ გრამატიკულ სახელმძღვანელოს, რაც შეეხება სინტაქსს, მას ცალკე ნაკვეთი არა ეთმობა, თუმცა სინტაქსური საქცევები განხილულია კომენტარებისა და მორფოლოგიის ნაწილში.

მთარგმნელ - რედაქტორებმა გარკვეული სამუშაო გასწიეს ამ უნიკალური წიგნის სიცოცხლისუნარიანობის გასაგრძელებლად და თანამედროვე მკითხველების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით ტექსტები შეედარდა სხვა, ძველ თუ ახალ გამოცემებთან და დაზუსტდა. ამის საჭიროება კი გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც ზოგჯერ კომენტარების თავში გატანილი და განხილული მაგალითი არ თანხვდებოდა ქრესტომათიის ტექსტს, ასევე გადამოწმდა ყველა პარალე-

ლური სიტყვა რომანული ენებიდან კლასიკური პერიოდის ტექსტების ამონარიდებთან ერთად.

ირაკლი შენგელიას მიერ წარმოდგენილი, ძირითადად, რუს მეცნიერთა თარგმანები მთარგმნელ-რედაქტორებმა სხვა ენებზე გაკეთებულ თარგმანებთან შეადარეს და სიზუსტისათვის შესწორებები შეიტანეს. ზოგჯერ კი თავადაც თარგმნეს. განსაკუთრებით, ტრიმალქიოს ნადიმის ნაწილში წარმოდგენილი ხალხური გამოთქმები თუ ანდაზები და წარმოდგინეს ორიგინალის თარგმანთან ერთად ქართული შესატყვისებიც. ასე მაგ.:

1. si in puteum conicias - „გინდა ორმოში ჩაგიგდია“ – „შეაყარე კედელს ცერცვი“.

2. qui linguam caninam comedi- „ძაღლის ენა ვჭამე“ - ჭიპი მაქვს მოჭრილი“.

3. malam parram pilavit - „ავისმომასწავებელი ჩიტი გაბრდღვნა“ – „იღბალი არ ჰქონდა“.

4. in tenebris micare(digitis) - „თითებით თამაში სიბნელეში“ – „იმდენად ერთგულია, რომ ყველაფერში შეგიძლია ენდო“.

5. ille milvo volante poterat ungues resecaere - „მას შეეძლო ფრინავი ძერისთვის კლანჭების დაჭრა“ - „თავისას მაინც გაიტანს“.

6. colubra restem non parit - „გველი ვერ შობს თოვს“ - მსგავსი მსგავსს შობს, „კვიცი გვარზე ხტის“. და ა.შ.

მთარგმნელი-რედაქტორები მაქსიმალურად შეეცადნენ დაეცვათ ავტორის ლაკონური სტილი, თუმცა ზოგჯერ თავს უფლება მისცეს უფრო ვრცლად განემარტათ პასაჟები, რომლებიც ისეთი პროფესიონალისთვის, როგორც ირაკლი შენგელია გახლდათ a priori გასაგები იყო (sapienti sat), ხოლო

სტუდენტებისა და ამ საკითხებში ნაკლებად გათვითცნობი-
რებული მკითხველისათვის გავრცობას საჭიროებდა.

მთარგმნელ-რედაქტორებმა ავტორის თემატურად დაყო-
ფილი ბიბლიოგრაფია ანბანურად გააწყვეს, დაამატეს გამოყე-
ნებული ლიტერატურის უახლესი გამოცემები, რათა განახლე-
ბული ბიბლიოგრაფია უფრო გამოსაყენებელი და აქტუალ-
ური გამხდარიყო, ასევე წიგნში წარმოდგენილ მასალასთან
თანხვედრისათვის შეასწორეს ინდექსი და მოაწესრიგეს, თა-
ნამედროვე სტანდარტებს შეუსაბამეს დამოწმების სტილი.

ვფიქრობთ, ირაკლი შენგელიას „ხალხური ლათინური ენა“
ხელმისაწვდომი გახდა ფილოლოგებისათვის, ენთიმეცნიერებ-
ისათვის, განსაკუთრებით კი ლათინური და რომანული ენებ-
ით დაინტერესული სტუდენტებისა და სპეციალისტების-
თვის.

მანანა ფხაკაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი

თამარ ჭეიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი